ჯერონიკი

რჩეული თხზულებანი

ხუთ ტომად

«MERANI»
TBILISSI 1969

ჯერონტაი

ბოეთი პირველი
ბაღაბა
ბოლელი

„მერანი"
თბილისი 1969

თარგმანი ფრანგულიდან

არისტო ჭუმბაძისა

TRADUIT EN GÉORGIEN
PAR ARISTÖT TCHOUMBADZÉ

ბივი მელაძის საერთო რედაქციით

გუსტავ ფლობერი

გამოჩენილი ფრანგი რომანისტი გუსტავ ფლობერი ბურჟუაზიული რეალიზმის უდიდესი წარმომადგენელია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ფრანგულ ლიტერატურაში. იგი ცხოვრობდა და ქმნიდა ისეთ ეპოქაში, როცა თავისუფლებისმოყვარე საფრანგეთს მძიმე, შავბნელი დღეები ედგა. ეს იყო 1848 წლის რევოლუციის შემდგომი ხანა, როცა ბურჟუაზიამ ამოწურა თავისი რევოლუციური შესაძლებლობანი, საბოლოოდ გაკოტრდა როგორც ცხოვრების რევოლუციურ-გარდამქმნელი ძალა და საზოგადოების შემდგომი განვითარების შემფერხებელ, რეაქციულ ძალად გადაიქცა. აქედან წარმოდგა ფლობერის გულგატეხილობა, გაცრუება რწმენისა ხალხის შემოქმედებითი უნარისადმი, საერთოდ ურწმენობა ისტორიის განვითარებისადმი. მისი აზრით, ისტორიის განვითარება წარმოადგენს მოვლენათა უაზრო მარადიულ ორომტრიალს, რასაც ადამიანისათვის არაფერი არ მოაქვს უიმედობისა და ტანჯვის გარდა. მხოლოდ უგულო, უხამსი ადამიანები არ იტანჯებიან ამქვეყნად. მხოლოდ პრიმიტიულ ადამიანს შეუძლია თავი ინუგეშოს ილუზიით. მოაზროვნე ადამიანის ხვედრი კი, რა ეპოქაშიც უნდა ცხოვრობდეს, მხოლოდ ეუჭყი და უსასოებაა. და რაც უფრო დიდია მისი სულიერი განვითარება, მით უფრო ადრე იმსხვრევა მისი ოცნება.

ფლობერის დროის ფრანგულ ლიტერატურაში გაბატონებული იყო ისეთი მიმდინარეობა, რომელიც თავგამოდებით იცავდა „წესრიგს, რელიგიას, საკუთრებას". ასეთ უსასოო მდგომარეობას მეტად მკაფიოდ გვიხატავენ ფლობერის წერილები, რომლებიც მეორე იმპერიის პერიოდს განეკუთვნებიან. „ი რას წერს, ბოგალითად, ფლობერი 1852 წლის ერთ-ერთ წერილში: „ღმერთო ჩემო, სად უნდა დავიმალო! სად უნდა ვიპოვნო ადამიანი? სიამაყე, რწმენა საკუთარი შემოქმედებისადმი, თაყვანისცემა მშვენიერების წინაშე — ნუთუ ყველაფერი გაქრა? ნუთუ ყველას სული სავსეა საყოველთაო ეუჭყით, რომელშიც ყველამდე ეფლობი?" იგი სასტიკად გმობს სიყალბეს, სიცრუეს და მლიქნელობას, რითაც გამსჭვალული იყო მისი თანამედროვე ბურჟუაზიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება. მას გულწრფელად სძულს იგი. ეზიზღება. მაგრამ მწერალი ვერ ახერხებს თავი დააღწიოს ამ უგვან ცხოვრებას, არ ძალუძს ამაღლდეს სხვა, უკეთესი, იდეალური ცხოვრების შეგნებამდე. იგი მაინც ბურჟუაზიული იდეოლოგიის ტყვეობაში იმყოფებოდა.

* * *

გუსტავ ფლობერი დაიბადა 1821 წლის 12 დეკემბერს ექიმის ოჯახში. მამამისი, რუანის მთავარი საავადმყოფოს ქირურგი, თავისი დროისათვის ფრიად გა-

ნათლებული და კულტურული ადამიანი იყო. თვით ფლობერი ასე ახასიათებს მას: ჰქონდა „...ღონიერი, ხორციანი ხელები, — მეტად ლამაზი ხელები. რომელთაც არასოდეს არ ცმიათ თათმანები, რომლებიც თითქოს მუდამ ირქარიან ადამიანის ტანჯვას მალამო დასდონ. მას ეზიზღებოდა ხარისხების მოპოვება, ჯვარმჭედლები და აკადემიები, იყო სტუმართმოყვარე და გულუხვი, ღარიბებს ისე ეპყრობოდა, როგორც საკუთარი მამა, თუმცა სათნოება არ სწამდა, გარნა მისი ნიმუში კი იყო... მისი თვალი ლანცეტზე უფრო ბასრი გახლდათ, — პირდაპირ გულში სწვდებოდა ადამიანს და ერთბაშად ააშკარავებდა ყოველგვარ სიცრუეს. ასე ეკირა თავი იმ გულკეთილი სიდიადით გამსჭვალულს, რასაც დიდი ნიჭის, ბედნიერების შეგნება და ორმოცი წლის უმწიკვლო შრომითი ცხოვრება იძლევა".

პატარა ფლობერს, ისე როგორც ბევრ გამოჩენილ მწერალსა თუ ხელოვანს, ჰყავდა საყვარელი ძიძა ჟიული, რომელიც უამბობდა ხოლმე ზღაპრებს და ძველ ხალხურ გადმოცემებსა და ლეგენდებს. იქვე, მეზობლად ცხოვრობდა ვინმე მინიო, ვისაც ფლობერი „მამილოს" ეძახდა. მოხუცს გატაცებით უყვარდა ბუთხეზა ფლობერი, მუხლზე დაისვამდა ხოლმე და უკითხავდა „დონ კიხოტს".

ასეთ გარემოცვასა და ვითარებაში იზრდებოდა პატარა ფლობერი. ჯერ კიდევ ლიცეუმში სწავლის დროს გატაცებული იყო თეატრით და ლიტერატურით. რედაქტორობდა სასწავლებლის ხელნაწერ ჟურნალს. წერა ადრე დაიწყო. ეს იყო პატარა ქრონიკები და ნოველები, რომლებიც მის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა და რომლებითაც ერთგვარი ხარკი გადაუხადა მის დროს უკვე ღონემიხდილ რომანტიზმს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ რომანტიზმმა განსაკუთრებით ძლიერ იჩინა თავი მის უფრო გვიანდელ ნაწარმოებში—„სენტიმენტალური აღზრდა". ერთი ფრანგი ლიტერატურათმცოდნის, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორის რენე დუმიკის სიტყვით „გუსტავ ფლობერის შემოქმედების თავისებურება ის არის, რომ მან მარჯვედ შეახამა რომანტიზმისა და რეალიზმის ელემენტები. ეს გოლიათი, ვინც თავისი მხარ-ბეჭით და ულვაშებით ნორმანთა ძველ ბელადს მოგვაგონებდა, და თავისი გულისწყრომითა და რიხიანი ხმით სამუშაო კაბინეტს აზანზარებდა, გემოვნებით და ბუნებით რომანტიკოსი იყო".

ფლობერის რომანტიკოსობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ის კი უტყუარი ფაქტია, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ფრანგული კრიტიკული რეალიზმის აღიარებული მამამთავარი და მოძღვარი (Le maître) იყო, ვინაიდან ამ დროს ცოცხალი აღარ იყო სტენდალი და არც ბალზაკი. მისი შემოქმედების მთავარი ძარღვი და მასულდგმულებელი იყო რეალიზმი, რითაც ფრანგული (და არა მარტო ფრანგული) ლიტერატურა ესოდენ ბრწყინვალე შედეგრებით გამდიდრა. მისი რეალიზმი განმტკიცდა ბურჟუაზიული დემოკრატიზმის გაქარწყლების პერიოდში, როცა პროლეტარიატი პირველად გამოდიოდა რევოლუციურ ასპარეზზე. რომანისტთა მთელი შემდგომი თაობა—გი დე მოპასანი, ედმონდ და ჟიულ გონკურები, ალფონს დოდე, ემილ ზოლა,— ფლობერის ლიტერატურული ნაშიერია. მათ ფლობერთან მოჰქონდათ თავიანთი ნაწარმოებნი, რათა ჯერ ოსტატს კბილი გაესინჯა მათთვის, და ისიც უყურადღებოდ არ ტოვებდა

მალ. ემილ ზოლამ 1869 წლის ზამთარში გაუგზავნა თავისი რომანი „მადლენ ფერატ“ და აქედან დაიწყო ორი ლიდი მწერლის მეგობრობა. ფლობერი შემდეგშიც არ აკლებდა ყურადღებას ზოლას და ეხმარებოდა რჩევით და შენიშვნებით. მოპასანიც დაკალებულია მისგან. იგი ეურჩევდა გამოემუშავებინა ერთეული ნაწერი,—„დიდი მოთმინება“. საჭიროა შრომა და მოთმინება,—ეუბნებოდა იგი მოპასანს,—რათა სინამდვილეში აღმოაჩინო ისეთი ნიშნები, რომლებსაც სხვები ვერ ამჩნევენო. თვით მოპასანი გულწრფელად აღიარებდა, თუ როგორ წვრთნიდა მას ფლობერი: „როცა გაიელი იმ მეწვრილმანის ახლოს, თავისი დუქნის კართან რომ ზის, მეკარის ახლოს, ჩიბუხს რომ ეწევა მეეტლეების სადგომთან,—მეუბნებოდა იგი, — მიჩვენე ეს მეწვრილმანე და მეკარე, მათი პოზა, მათი გარეგნული სახე, რომელიც შეიცავს აგრეთვე მათს ზნეობრივ ხასიათს, მიჩვენე ისე, რომ არ ავრიო არც ერთ სხვა მეწვრილმანესა ან მეკარეში, დამანახე, — მხოლოდ ერთი სიტყვის დახმარებით, — რით განირჩევა ეს ცხენი ორმოცდაათი სხვა ცხენისაგან, რომლებიც მას უსწრებენ, თუ უკან მიჰყვებიან.“

ფლობერის აზრით, სიგნის ზედმიწევნითი, ზუსტი შესწავლა, სიუჟეტის მეოცე წერილმანის ცოდნა რეალისტური შემოქმედების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პირობაა. თავის მეგობარს, მწერალ ქალს ლ. კოლეს ერთ-ერთ წერილში იგი სწერდა: „რიგიანად უნდა მოიფიქრო შენი ობიექტი, ვიდრე ფორმისათვის იზრუნებდე. რადგან ფორმა კარგი მხოლოდ მაშინ არის, თუ მთლიანად დაგვეუფლება სიუჟეტის ილუზია“. „აზრის სიზუსტე განაპირობებს მისი გამოთქმის სიზუსტეს“,—ხშირად ამბობდა იგი. მისი დევიზი იყო: „თუ ზუსტად იცი, რისი თქმაც გსურს, მაშინ კარგად იტყვი“.

ფლობერი სასტიკად ილაშქრებდა იმის წინააღმდეგ, რომ ენა დანაგვიანდეს ბოროტგვარი კილოკავებით, კუთხური გამოთქმებით, ყოველნაირი გაუმართლებელი ბიანლით. მან ზოლას რომან „ნანას“ გამო უსაყვედურა: „შეგეძლოთ ნაკლებ გეხმართ უხამსი სიტყვები“. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ აკმაყოფილებდა გრამატიკულად სწორი, უფერული, ინდივიდუალობას მოკლებული ენა. იგი მეტად დიდ, პირდაპირ წარმოუდგენელ შრომას ეწეოდა, რათა მიეღწია ფრაზის ჰარმონიული ეღერისათვის. მოპასანი დიდი მოკრძალებით ლაპარაკობს ფლობერის მკაცრ მომთხოვნელობაზე ამ მხრივ. ამასვე ადასტურებს ფლობერის ძმისწული კაროლინა თავის მოგონებაში: „მე მდუმარე მოწმესავით ვესწრები ხოლმე ამ ესოდენ შრომით გამომუშავებული ფრაზების შექმნას. საღამოობით გვინათებს ერთი და იგივე ლამპა. მე ვუზივარ ფარო მაგიდას და ვხელსაქმობ რამეს ან ვკითხულობ; იგი გმინავს მძიმე შრომის გამო: ხან მაგიდაზე დაიხრება, გამალებული წერს, ხან უკან გადაიხრება, ორივე ხელს ჩასჭიდებს საფარძლის სახელურებს, თანაც კვნესის, როგორლაც ხიხინებს დროდადრო. და უეცრად ხმა მოდულირებს. უძლიერდება, ქუხს: იპოვნა, რასაც ეძებდა და წყნარად იმეორებს ამ ნაპოვან ფრაზას, მაგრამ შემდეგ უეცრად წამოდგება, დიდი ნაბიჯებით სცემს ბოლთას კაბინეტში და იმეორებს სიტყვებს. კმაყოფილია, რადგან ეს არის საზეიმო მომენტი მოქმედ ანცველი შრომის შემდეგ“.

ზოგჯერ ბურეუაზიული სინამდვილისადმი სიძულვილისა და მის გარდუვალ წინააღმდეგობათა წინაშე შეცბუნების გამო, აღეძვრებოდა სურვილი გაჰქცეოდა

ამ საშინელ სინამდვილეს, მაგრამ ამაოდ. პირიქით, ერთ ხანს, 1848 წლის თებერვლის რევოლუციის დასაწყისში, იგი დაინტერესა სამშობლოს ბედმა და, რათა მისთვის რაიმე სამსახური გაეწია, ეროვნული გვარდიის რიგებშიც კი შევიდა, მაგრამ რევოლუციის მსვლელობამ მალე გამოიწვია მისი უნდობლობა — ეს ჩაუწვდა მოვლენათა ნამდვილ მნიშვნელობას და მხოლოდ მათი ბურჟუაზიული, უფერული, მახინჯი მხარეები ეცა თვალში. „ყოველივე ეს დიდი უაზრობაა. ძნელია წარმოიდგინო უფრო ბურჟუაზიული რამ ან უფრო არარა", — სწერდა იგი ლ. კოლეს 1848 წ. მარტში.

1846 წელს, მამისა და კაროლინას გარდაცვალების შემდეგ, ფლობერი გადასახლდა პატარა მამულში, რომელიც მამამისმა გარდაცვალებამდე რამდენიმე წლის წინათ შეიძინა. პატარა დაბა კრუასე ქალაქ რუანის მახლობლად გახდა ფლობერის მუუდრო სავანე, სადაც დიდხანს ეწეოდა დაძაბულ ლიტერატურულ შრომას. აქ დაწერა მან თავისი განთქმული რომანები: „მადამ ბოვარი", „სალამბო", „სენტიმენტალური აღზრდა", „ბუვარი და პეკიუშე".

„მადამ ბოვარის" წერდა ხუთი წლის განმავლობაში და მხოლოდ 1856 წელს დაამთავრა. თუ რა წარმოუდგენელი შრომა და ენერგია მოახმარა მწერალმა მის შექმნას, ამას ყველაზე უკეთ გვიჩვენებენ თვით ავტორის იმ პერიოდის წერილები. „...ჩემი წიგნი ძლივს მიიწევს წინ. ვაფუჭებ დიდძალ ქაღალდს, რამდენი ნაჯღაბნია! ფრაზა არ მნებდება. რა ჯოჯოხეთური სტილია". „წყეულიმც იყოს ეს მარტივი სიუჟეტები". „ვაკეთებ მონახაზებს, ეშლი, ვბორძიკობ, ესაზრაკ, ვცვლებ ახლა, ბოლოს და ბოლოს, მივაგნო საკუთარ თავს". „თუ ასეთი ტემპით ვიარე, „ბოვარის" დავამთავრებ არა უადრეს ერთი წლისა",—წერდა იგი 1852 წელს.—„ხშირად რამდენიმე საათს ვეძებ რომელიმე სიტყვას"...

და ასე, დღითი დღე, მთელი კვირების, თვეების, წლების განმავლობაში მწერალი წარმოუდგენელ უჯიათ შრომას ანდომებდა ამ რომანს. ყოველდღე თორმეტ საათს მუშაობდა. „ბოვარი" კუა ნაბიჯით მიბობღავს, — წერდა იგი 1852 წელს,—და ხანდახან სრული გულგატეხილობა მეწევევა ხოლმე". „გასულ კვირას ხუთი დღე მოვანდომე მხოლოდ ერთ გვერდს" და კვლავ: „ბოვარი" ზანტად მიდის წინ, მთელ კვირაში ო რ ა დ ო რ ი გ ვ ე რ დ ი დ ა ვ წ ე რ ე!!!" (ხაზგასმა მისია). 1853 წელს ისევ ჩივის: „რა ნელა მივიწევ წინ! ნუთუ როდისმე მიხვდებიან, რაოდენ რთული კომბინაციები მომთხოვა წიგნმა? რა რთულ მექანიზმს შეიცავს ეს უბრალოება და რამდენი ფანდია საჭირო, რომ მართალი იყო!"

და აი, ბოლოს, 1856 წელს „მადამ ბოვარი" გამოქვეყნდა. იგი იბეჭდებოდა ჟურნალში „რევიუ პარიზიენ".

მაგრამ რა! ამდენი ტანჯვით, ასეთი ტიტანური შრომით დაწერილი რომანი მლიქვნელთა კრიტიკისა და რეაქციული მმართველი წრეების აბუჩად ასაგდები გახდა. უფრო მეტიც: რომანის ავტორი, გამომცემელი და სტამბა პასუხისგებაში მისცეს და ბრალად წაუყენეს „საზოგადოებრივი მორალის, რელიგიისა და საერო ზნე-ჩვეულებათა შეურაცხყოფა".

რა მოხდა? რამ გამოიწვია ეს განგაში და საზოგადოებრივი აღშფოთება? იმან, რომ რომანში შეუფერადებლად, უტყუვრად იყო დახატული მაშინდელი ბურჟუაზიული სამყარო, საზოგადოების ზნე-ჩვეულებანი, მისი მორალი და

ფილოსოფია, ოჯახური ურთიერთობა. მწერალმა ულმობელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ყოველივე ეს და ნიღაბი ჩამოხადა ყოველგვარ უხამსობას, „ნეშჯანებს", სიცრუით და სიყალბით რომ იყვნენ შეჯავშნულნი. აი სწორედ ეს ვერ აპატიეს რეალისტ მწერალს რომანში გამოყვანილი გმირების პროტოტიპებმა, რომლებიც მაშინდელ მახინჯ ცხოვრებას მესვეურობდნენ.

რომანს დაცვა, ფლობერს თხოვნით, იკისრა მწერლის მამის ძველმა მეგობარმა, ცნობილმა პარიზელმა ადვოკატმა სენარმა, ვისაც მწერალი დიდი მადლიერებით უძღვნის თავის ნაწარმოებს. პროკურორი თავის სიტყვაში ბრალად სდებდა ფლობერს უზნეობის პროპაგანდას, ცოლქმრული ერთგულების ღალატის შეჭებას, რელიგიისადმი უპატივცემლობას, რადგან რომანში უარყოფითად არის ღალატელი მღვდელი ბურნისიენი. ვექილმა სენარმა სავსებით გააბათილა პროკურორის ბრალდება და სასამართლოს დადგენილებით ფლობერი გამართლებულ იქნა, მაგრამ ნათქვამი რომ არის „მავრმა გაიქეთა თავისი საქმე..." ბურჟუაზიულმა სამსჯავროს სახელი მაინც გაუტეხა რეალისტურ ნაწარმოებს. გასამართლების შემდეგ თვით ფლობერმა განაცხადა „Le coup est porté" (დარტყმა ნაგებია). პროცესმა საშინლად იმოქმედა მასზე. ამას დაერთო რეაქციული კრიტიკის განგაში. ბევრი მიმომხილველის გამოხმაურება აშკარად მტრული იყო. ზოგი მათგანი სრულიად უარყოფდა ფლობერის, როგორც მწერლის, ორიგინალობას, ბალზაკსა და სხვების მიმბაძველად აღიარებდა, ზოგიც უტიფრად აცხადებდა, ასეთი უზნეო წიგნი ჯერ არ წაგვიკითხავსო. სამაგიეროდ მწერალს ბევრი მომხრე და გამამხნევებელიც გამოუჩნდა. მის თანამედროვე ცნობილ მწერალთა შორის ჯორჯ სანდმა აღნიშნა რომანის კეთილსასურველი გავლენა ბევრ ემა ბოვარზე, რომელთაც „პროვინციაში წარმოშობენ ანალოგიური გარემოებანი". ემილ ზოლა წერდა, რომ „მადამ ბოვარის" გამოჩენა ლიტერატურული ევოლუციის მთელ ეტაპს მოასწავებდა; „თანამედროვე რომანის ფორმული, რაც გაბნეული ბალზაკის კოლოსალურ შემოქმედებაში, ჩამოყალიბებულია ერთ სახედ და ნათლად გამოთქმულია ოთხასგვერდიან წიგნში. დაწერილია ახალი ხელოვნების კოდექსი". ფლობერის ნაწარმოებზე დიდი აზრისა იყო აგრეთვე გი დე მოპასანი: „მადამ ბოვარის" დაბეჭდვა რევოლუცია იყო ლიტერატურაში". დადებითად შეაფასა რომანის გამოსვლა შარლ ბოდლერმა. მისი აზრით გამხნევებულმა ფლობერმა პოეტს მისწერა: „თქვენ ჩასწვდით ჩემი ნაწარმოების საიდუმლოებას, ითქოს ჩემი ტვინი თქვენ გეკუთვნოდეთ, ყველაფერი გაგიგიათ და ღრმად გიგრძნიათ".

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომანი „მადამ ბოვარი" წარმოადგენს მეორე იმპერიის ეპოქის საფრანგეთის პროვინციული ცხოვრების, „პროვინციულ ზნეჩვეულებათა" სურათს, როგორც რომანის ქვესათაურშია აღნიშნული. მავრამ ისიც უნდა ითქვას, რომ არც იმდროინდელი პარიზი წარმოადგენდა სანატრელ სურათს, იქაც გამეფებული იყო სულიერი სიღატაკე, პირუტყვული სიტლანქე, სიცრუე, სიყალბე და აღვირახსნილი უხამსობა, რაც ესოდენ უკლავდა გულს დიდ მწერალს. იქაც და აქაც, სატახტო ქალაქშიც და პროვინციაშიც, ცხოვრება თანაბრად მოსაწყენი და უფერული იყო, როგორც თვით მწერალი აღნიშნავს ერთ-ერთ თავის წერილში: „ერთი მეორის ფარდია",

აი რომანის მთავარი გმირი, ემა ბოვარი. ვინ და რამ შექმნა იგი ისეთი, როგორც ნაწარმოებშია გამოყვანილი? საიდან წარმოდგა, რა იყო მიზეზი იმ საშინელი ტრაგედიისა, რომელმაც იმსხვერპლა ემა და გაანადგურა მთელი ოჯახი? ემა ბოვარი აღიზარდა მონასტრის დახშულ ატმოსფეროში. ,,ლერიკალური, ფარისევლური მორალით გაჟღენთილ საეკლესიო სკოლაში. აქ, ამ სკოლის საერთო საცხოვრებელში ყალიბდებოდა იგი სულიერად. აქ ეწაფებოდა რომანტიკულ ნაწარმოებთა კითხვას, რომლებშიც დახატული იყო საოცნებო, მიმტაცი ცხოვრება, რაც ესოდენ განსხვავდებოდა არსებული უფერული სინამდვილისაგან. აქ ოცნებობდა მოწიფული ქალიშვილი თავის მომავალ, ათასგვარი სიამითა და ბედნიერებით აღსავსე ცხოვრებაზე. პარიზული რომანების კითხვამ აღიტაცა იგი ოცნების მეშვიდე ცაზე, საიდანაც ჩამოსვლა არ სურდა მაშინაც კი, როცა სასტიკი, ულმობელი სინამდვილე ზედიზედ ამსხვრევდა მის მიერ ასე გატაცებით შექმნილ სანუკვარ კოშკებს. იგი გრძნობების, ოცნების მონა იყო და ამიტომაც მისი ცხოვრების ისტორია მისივე გრძნობების ისტორიაა. სწორედ წარმტაცი ოცნებისა და უხეში სინამდვილის შეუსაბამობამ, მათმა წინააღმდეგობამ გამოიწვია ემა ბოვარის საზარელი ტრაგედია. სინამდვილეს მოწყვეტილ გარემოში აღზრდილი ემა ვერ ურიგდება უხეშ, უფერულ, მოსაწყენ პროვინციულ ცხოვრებას. რაკი პარიზში ცხოვრება ხელმისაწვდომი არ არის, იგი ცდილობს მიყრუებულ ტოსტსა და იონვილში შექმნას თავისი პარიზი: ისე იცვამს და იხურავს, როგორც პარიზში იცვამენ და იხურავენ. „მან იცოდა ყველა უკანასკნელი მოდა, — წერს ფლობერი, — საუკეთესო მკერავების მისამართი, ის დღეები, როცა ბულონის ტყეში ან ოპერაში უნდა იყო". თავის ოთახსაც ისე აწყობს, როგორც პარიზელი დემი-მონდენის ბუდუარს შეეფერება. მიხრა-მოხრაში, ქცევაში, ლაპარაკში ჰბაძავს მაღალი ფენების რაფინირებულ ბანოვანებს, რომლებიც წაკითხულ რომანებში უნახავს. როცა როდოლფთან ერთად ცხენით სეირნობს, თავი ბულონის ტყეში ან შანზელიზეს მინდვრებში წარმოუდგენია. რუანის საუკეთესო სასტუმროებში უნიშნავს პაემნებს შეყვარებულ ლეონს და ისეთი ნატიფი ენით ესაუბრება, როგორც ვინმე განთქმული ვიკონტესა ან ვერსალელი უფლისწული... მაგრამ როცა ულმობელმა სინამდვილემ ფრთები შეაკვეცა მის ოცნებას, როცა განცდილი სიყვარულის გრძნობა ესოდენ ყალბი, უშნო და უსიხარულო აღმოჩნდა, როცა „პარიზული ცხოვრების" შექმნის სურვილმა ერთობ დიდი მატერიალური საფასური მოითხოვა, რის დასაკმაყოფილებლად იქამდეც კი მივიდა, რომ ქმრისაგან მალულად მის პაციენტებს მკურნალობის გასამრჯელოს სთხოვდა და მეკობრეს ლერეს გადაუხდელ ვალში ყელამდე ჩაეფლო, როცა ყოველმხრივ იმედგაცრუებული, ზნეობრივად და სულიერად განადგურებული, ხორციელად ღონემიხდილი და უმწეო ემა ბოვარი უკანასკნელ ზღვარს მიადგა, მაშინ... მაშინ მისი ერთადერთი ხსნა და საშველი დარეშხანი გახდა.

ასეთია რომანის ამ მთავარი გმირის მოკლედ, ესკიზურად მოხაზული პორტრეტი.

ახლა რომანის სხვა გმირები. რა სწორეპოვარი ოსტატობით და უტყუარი სიმართლით გვიხატავს მათ დიდი მწერალი. აი შარლ ბოვარი, ემას ქმარი, პრო-

ვინციელი ექიმი. ერთი ვინმე გულუბრყვილო, უწყინარი, უბრალო, საბრალო ადამიანი, ვინც ცოლს ისე უყვარს და ეპყრობა, როგორც სალოცავ ხატს. მას თითქოს არაფერი არ გაეგება ამქვეყნიური სიავკარგისა. თავის მოვალეობას საზოგადოების წინაშე ისე უდრტვინველად ასრულებს, როგორც უღელში გაბმული ეარგი გამწევი ხარი.

აი მემაჭელე როდოლფი, კლერკი ლეონი, — ემა ბოვარის საყვარლები, რომლებისთვისაც უცხო და უცნობია ნამდვილი გრძნობა, ჭეშმარიტი სიყვარული. ემა მათთვის წუთიერი გატაცების ობიექტია, დროებითი გასართობია. მოწყენილობით და უფერული ყოველდღიურობით აღსავსე მიყრუებულ დაბაში ისინი ისე ეპყრობიან ბედუკუღმართ ქალს, როგორც ბავშვი მოყიჟებულ სათამაშოს.

როცა ფლობერი როდოლფისა და ემას შეხვედრის სცენაზე მუშაობდა, იმ ხანებში ლ. კოლეს სწერდა: „იმავე (სიყალბის, უმსგავსოების,—ა. ჭ.) ცომისაგანაა გაკეთებული ყველა, ვინც ლაპარაკობს უკვე გამქრალ სიყვარულზე და დედისა თუ მამის საფლავზე, ნეტარ მოგონებებზე; ვინც მედალიონებს ეამბორება და მთვარიან ღამეში ქვითინებს, ვინც გაგიჟებულია სინაზით, როცა ბავშვებს ხედავს, იბნიდება თეატრში, ხოლო ზღვის პირას ღრმადჩაფიქრებულის პოზას იღებს. ჯამბაზები! ჯამბაზები! ტაკიმასხრები! სამგზის ტაკიმასხრები!..“

აი ადგილობრივი მეაფთიაქე ჰომე—ტიპიური მოლაყბე და უქნარა; უვიცს, მკვეხარას თავი ყველაფრისმცოდნედ, ამ ქვეყნის მარილად მოაქვს. ცხოვრებაში არ არის ისეთი მოვლენა თუ შემთხვევა, რომლისთვისაც მზად არ ჰქონდეს თავისი აზრი, როგორც აუცილებელი რეცეპტი. მისი ცხოვრების ინტერესი სცილდება იონვილის ფარგლებს. ლიბერალობს, თავი საზოგადოების მეკვეთრად წარმოუდგენია, მჭევრმეტყველურად ლაპარაკობს სხვადასხვა გეგმაზე, თავში რომ უტრიალებს მოქალაქეთა საკეთილდღეოდ. „ჩემი ღმერთია,—თავმომწონედ ამბობს იგი, — სოკრატეს, ფრანკლინის, ვოლტერისა და ბერანჟეს ღმერთი! მე ვიზიარებ „საუფლო ქორეპისკოპოზის აღსარებას“, ოთხმოცდაცხრა წლის უკვდავ პრინციპებს!“

იგი გაზეთ „რუანის ფარნის“ თანამშრომელია. არც ერთ ოდნავ საგულისხმო მოვლენას თუ ფაქტს, რაც კი იონვილსა და მის მიდამოებში მოხდება, არ გაუშვებს, რომ გაზეთში არ გამოაქვეყნოს. იონვილში ცხოვრობდა ადგილობრივი სასტუმროს მეჯინიბე იპოლიტე ტოტენი, ვისაც ცალი ფეხი დაბადებითვე გარუდებული ჰქონდა, და აი, ჰომეს დაეინებული რჩევით, შარლ ბოვარიმ ამ ფეხის ოპერაცია გააკეთა, (რაც, აქვე უნდა ითქვას, საბედისწეროდ დამთავრდა: უხეიროდ გაკეთებული ოპერაციის გამო, ქალაქიდან გამოწვეულმა ქირურგმა ნაცვლად საბოლოოდ მოჭკვეთა საბრალო მეჯინიბეს) ჰოდა, სანამ ეს კატასტროფა მოხდებოდა, ჰომემ ამ ოპერაციის ამბავი ასეთი მაღალფარდოვანი ინფორმაციით აცნობა გაზეთს: „მიუხედავად ათასგვარი ცრურწმენისა, რაც ჯერ კიდევ ფარდასავით მალავს ევროპის სახის ერთ ნაწილს, სინათლე მაინც შემოდის ჩვენს სოფელში...“ და შემდეგ მოთხრობილია ოპერაციის ამბავი.

აი ჩვენი ძველი ნაცნობი რუო, ემა ბოვარის მამა,—ყოჩაღი, გამრჯე გლეხი, ვინც არ ივიწყებს შორს გათხოვილ ქალიშვილს და დროდადრო ძღვენით ეს-

ტუმრება ხალმე სიძეს. ხურჯინი საკუთ აქვს დაკლული გოკით, ინდაურით, ხილითა და ტკბილეულით. ხოლო თუ ნახვა დაუგვიანდა, კაცის ხელით უგზავნის მოსაკითხს და წრფელი გულით დაწერილ წერილს, რომელშიც გამოთქმულია მალე ნახვის ნატვრა და ემას გათხოვებით დაობლებული ოჯახის ამბავი. თან ისიც არ ავიწყდება, რომ მოითხოვოს: დამიბრუნეთ კალათი, რომლითაც ამას წინათ მოსაკითხი გამოგიგზავნეთო.

აი კიდევ გულმართალი, ალალი ეუსტენი, მეაფთიაქე ჰომეს ნოქარი, ვისაც ქალწულისებრი მოკრძალება ნებას არ აძლევს პირდაპირ თვალში შეხედოს მოპაბიბველელ ემას და ვინც მისი არაერთგზის სიყვარულით გატაცების უნებური მოწმე და მესაიდუმლეა. ეს სწორედ ის ეუსტენია, ვინც ერთ დროს, როცა ემა გადაწყვეტილი ჰქონდა თავის მოკვლა, აფთიაქის ლაბორატორიაში უჩვენა, საღ და რომელ ქილაში რა წამალი ან საწამლავი ინახებოდა. აბა მაშინ რას წარმოიდგენდა საბრალო ბიჭი, რომ ამით ხელი შეუწყო უნებლიეთ საყვარელი არსების დაღუპვას.

გულისმომკვლელი ნაღვლით არის გამსჭვალული რომანის ფინალი: უდროოდ დაიღუპა მახინჯი ცხოვრების ყალბი და ფარისეველური კანონების ხლართში გაბმული მშვენიერი ემა ბოვარი; უეცრად გარდაიცვალა ბედნიერებას მონატრებული, საყვარელი ცოლის დაკარგვით განადგურებული შარლ ბოვარი; ობლად დარჩენილი პატარა ბერტა შეუდგა მძიმე შრომას ადგილობრივ საქსოვ ფაბრიკაში; ფეხაკრეფით ეპარება სიკვდილი აგრეთვე მოხუც, დამბლადაცემულ რუოს. მხოლოდ ერთი ჰომე აღწევს წარმატებას დუხჭირი ცხოვრების სარბიელზე: „ამ ცოტა ხნის წინათ მან მიიღო საპატიო ლეგიონის ორდენი“.

ასე ამთავრებს ფლობერი თავის რომანს, რომელიც ფრანგული ლიტერატურის დამამშვენებელი შედევრი და მსოფლიო კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია.

„მადამ ბოვარის“ დამთავრების შემდეგ მწერალი კელავ გაიტაცა ფართო და პოეტურმა თემამ, რაც მისი გონებისათვის საკირო იყო როგორც ერთგვარი ხარკი წინანდელი განწყობილებისადმი. ამ მიზნით იგი შეუდგა „წმიდა ანტონის ცდუნების“ გადაკეთებას. ეს ნაწარმოები ოდესღაც დაწერილი ჰქონდა სამ ვარიანტად, მაგრამ არც ერთი არ აკმაყოფილებდა.

მან გამოიყენა ძველიძველი თქმულება იმ ცდუნებაზე, რასაც წმ. ანტონი განიცდიდა უდაბნოში. ეს იყო უეჭველად ერთ-ერთი უდიდესი შემართება, რაც კი ოდესმე ადამიანის სულს უცდია.

„თვით თემის ბუნება, — ამბობს ამაზე გი დე მოპასანი, — მისი მოცულობა, მისი მიეწვდომელი სიმაღლე, ყოველივე ეს თითქმის შეუძლებელს ხდიდა ასეთი წიგნის დაწერას... წმიდანს აცდუნებენ არა მარტო შიშველ ქალთა და საუკეთესო საჭმელთა ჩვენებანი, არამედ მთელი ის დოქტრინები, რწმენანი, ცრურწმენანი, რომელთა შორის ოდესღაც დაწრიალებდა ადამიანის მოუსვენარი გონება. ეს არის დაუსრულებელი დინება სხვადასხვა რელიგიისა, რასაც თან ახლავს მთელი ის ხან გულუბრყვილო, ხან რთული და უცნაური წარმოდგენანი, რომელნიც წარმოიშობოდნენ იმ მეოცნებეთა, მღვდელთა, ფილოსოფოსთა ტვინში, რომელთაც ტანჯავდათ შეუღწევისა და შეუცნობის გაგების სურვილი“.

ასე რომ, ამ ნაწარმოებით ფლობერმა ანგარიში გაუსწორა ძველ რელიგიებსა და ფილოსოფიურ სისტემებს.

რომან „მადამ ბოვარის“ გასამართლებამ შესაძლებლობა არ მისცა მწერალს დაემუშავებინა და გამოექვეყნებინა შესწორებული ვარიანტი. იგი ვერ ბედავდა მის დაბეჭდვას, რადგან იქ ეშმაკის პირით აშკარად და ნათლად იყო დაგმობილი მაშინდელ საფრანგეთში გამეფებული რეაქციის თარეში. და მწერალი, ბუნებრივია, ერიდებოდა „რეციდივს“, რაც, როგორც ერთ-ერთ თავის წერილში ამბობს, „კატორღაში ამომაყოფინებსო“ თავს“.

„მადამ ბოვარის“ სამარცხვინო გასამართლებით განაწყენებელმა ფლობერმა, თითქოს საფრანგეთის ცხოვრების სინამდვილეს განერინაო, ანტიკური ისტორიის თემას მიმართა და დაწერა რომანი „სალამბო“ კართაგენის დაქირავებულ მეომართა ცხოვრებიდან.

თანამედროვეობას ესოდენ დაშორებული თემის დაძლევას („სალამბოში“ აღწერილია დაქირავებულ მუშათა, მეომართა აჯანყება კართაგენის წინააღმდეგ, რაც ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში მოხდა) მწერალმა დიდი დრო და შრომა მოანდომა. ჯერ ერთი, უნდა შეესწავლა ამ შორეული წარსულის მატერიალური კულტურა, რისთვისაც უნდა გაეწია ჭეშმარიტად უმძიმესი შრომა: მოეძებნა და თავი მოეყარა წვრილი და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობებისათვის კართაგენის შესახებ, რომლებიც გაბნეულია ანტიკური და ახალი დროის წყაროებში; ერთმანეთისათვის შეედარებინა მრავალი სხვადასხვა ცნობა, რათა დაეზუსტებინა მათი სიმართლე, სინამდვილე, რადგან ბევრი მათგანი საწინააღმდეგო და ზოგჯერ დაუჯერებელ ამბავს შეიცავდა. საამისოდ მწერალს მოუხდა გასცნობოდა ჰეროდოტეს, პლუტარქეს, ტაციტის, აგრეთვე არისტოტელეს ნაწარმოებთ, რათა დაედგინა კართაგენის სახელმწიფოებრივი მმართველობის სურათი. ისარგებლა აგრეთვე რომაელი მეცნიერის პოლიბიუსის „საყოველთაო ისტორიით“, სადაც აღწერილია დაქირავებულთა ომი კართაგენის წინააღმდეგ. გაეცნო თავის თანამედროვე მეცნიერთა (მენარი, რენანი და სხვ.) შრომებს. ერთი სიტყვით, არ დაუტოვებია არც ერთი ძეგლი თუ წყარო, სადაც კი შეეძლო თუნდაც მცირე რამ მასალა ეპოვნა თავისი თემისათვის. ერთ-ერთ თავის წერილში აღიარებს, რომ ამონაწერები გაუკეთებია ორმოცდაცამეტი სხვადასხვა სახელწოდების ნაშრომიდან.

ამგვარამ არანაკლები ენერგია და შრომა დასჭირდა მწერალს, როგორც ხელოვანს, რომ მართლად დაეხატა ძველი კართაგენის ცოცხალი ცხოვრების სურათი, ეჩვენებინა მის მცხოვრებთა და დაქირავებულ მეომართა უტყუარი სახე, მათი ხასიათი, გრძნობანი, მისწრაფებანი. ერთი სიტყვით, დაენახვებინა მაშინდელი ცოცხალი ადამიანი. რასაკვირველია, ამისათვის არ კმაროდა ის მწირი, ზოგჯერ საეჭვო ცნობები, რომლებიც მის ხელთ იყო. ამიტომ ხარვეზების შესავსებად მწერალი მიმართავდა გამონაგონს, მაგრამ ისე ოსტატურად, ისეთი გაბედული ხელოვნებით, რომ მოგონილი ნამდვილივით ექსოვებოდა მოთხრობას და ბუნებრივად ავითარებდა მის მსვლელობას. ასეთია, მაგალითად, აკვედუკში მათოს შესვლის, მაბეკერპლად ბაეშვთა შეწირვისა და სხვ. სურათები.

მწერალი მთელ ექვს წელიწადს მუშაობდა ამ რომანზე, მაგრამ, მიუხედავად ესოდენ დიდი რუდუნებისა, პირველ ხანებში არ აკმაყოფილებდა თავისი ნაშრომი, არ მოსწონდა რომანის განვითარების გზა.

„თუ მე ახლა ვერაფერს ვახერხებ, — ამბობს მწერალი ერთ-ერთ თავის წერილში,— თუ ყველაფერი, რასაც ვწერ, უშინაარსო და უხამსია, ეს იმიტომ ხდება, რომ არ ვცხოვრობ ჩემი გმირების ცხოვრებით!"

აი 1857 წლის ზამთარი. დაწერილია რომანის პირველი თავები. თითქოს ყველაფერი რიგზეა, თხრობა ნაკადულივით მირაკრაკებს და უეცრად... მწერალი აცხადებს: „ყალბ გზას ვადგავარ: პერსონაჟები სხვანაირად უნდა ლაპარაკობდნენ".

მან ხაზი გადაუსვა ყველაფერს, რაც დაწერილი ჰქონდა, და გაემგზავრა რომანის მოქმედების ადგილას, ტუნისში. ეს იყო 1858 წლის ივნისში.

ტუნისში მწერალი ეცნობა ამ ქვეყნის ბუნებას, უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერებს, იმახსოვრებს პეიზაჟებს, აკვირდება მცხოვრებთა სახეებს, მათს ზნე-ჩვეულებათ, ავ-კარგს, ცდილობს ცოცხალი ტუნისის მეშვეობით დაუახლოვდეს შორეული კართაგენის წარსულს. ერთი სიტყვით, სამი თვის განმავლობაში, რაც ტუნისში გაატარა, ერთი წუთიც უქმად არ დაუკარგავს; ნანახით და ათასგვარი შთაბეჭდილებით დატვირთული დაბრუნდა საფრანგეთში და მისთვის ჩვეული შრომისმოყვარეობით შეუდგა რომანის წერას, რაც ბრწყინვალედ დააგვირგვინა 1862 წლის აპრილში.

მაგრამ განა შეეძლო დიდ რეალისტ მწერალს საბოლოოდ უგულებელეყო თავისი ქვეყნის ცხოვრების სინამდვილე? და აი, დაამთავრა თუ არა ეს დიდებული, ჰომეროსისებრი სისადავით დაწერილი რომანი „სალამბო",—იგი შეუდგა მესამე, მონუმენტური ნაწარმოების „სენტიმენტალური აღზრდის" წერას.

ამ რომანს, ცოტა არ იყოს, ორიგინალური ისტორია აქვს: ფლობერმა ამ სახელწოდების ორი რომანი დაწერა. პირველი დაწერილია მის სიყმაწვილეში, 1845 წელს, აშკარად სუბიექტური მანერით, როცა გატაცებული იყო რომანტიზმით. ასე რომ, ეს დიდი ტანის რომანი ის, როგორც იმ პერიოდის სხვა ნაწარმოებნი, რომლებშიც მის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა, ერთგვარი ხარკი იყო რომანტიზმისადმი.

რომანის პირველ ვარიანტში გამოყვანილია ორი პროვინციელი ახალგაზრდა: ანრი და ჟიული. პირველი ოცნებობს გახდეს „დიდი კაცი", მოიპოვოს ამქვეყნიური „ცხოვრების სიამე" და, მაშასადამე, „ბედნიერება", რასაც �დევაც აღწევს ყოველგვარი ადამიანური, ზნეობრივი პრინციპების დაწიხლვით.

მეორე, ჟიული, ანრისაგან განსხვავებით, პროვინციაში რჩება და კმაყოფილებას პოვებს ლიტერატურულ შემოქმედებაში. იგი „უარს ამბობს ყოველივეზე, რაც ამქვეყნად შეიძინება ან იყიდება: სიამოვნებაზე, პატივზე, ფულზე, სიყვარულით მონიჭებულ სიხარულსა და პატივმოყვარეობის ზეიმზე". ასეთია ამ რომანის ორი მთავარი გმირი.

ცხოვრების ამ ორგვარი გზის დაპირდაპირებით ფლობერმა გამოხატა თავისი ზიზღი ბურჟუაზიული „საღი კეთილგონიერებისადმი". მან იცის, რას

წარმოადგენს ბურჟუაზიული საზოგადოებრიობა; იცის, რომ იქ ოცნება და სინამდვილე გათიშულია, რომ იქ ოცნებას განხორციელება არ უწერია.

„სენტიმენტალური აღზრდის" მეორე ვარიანტია წერა ფლობერმა დაიწყო 1846 წლის სექტემბერში, როცა უკვე სახელმოხვეჭილი მწერალი იყო. პირველი ვარიანტის დაწერიდან თითქმის მეოთხედი საუკუნე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა საფრანგეთის პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობაში და აი ფლობერმა განიზრახა დაეწერა „თავისი თაობის ადამიანთა ზნეობრივი ისტორია".

ეს იყო მეორე იმპერიის ზეიმის ხანა. საფრანგეთის ბურჟუაზია განუხრელად მდიდრდებოდა. ვითარდებოდა მრეწველობა, ვაჭრობა, ტექნიკა, მაგრამ ეს როდი ჰხიბლავდა მწერალს. მან იცოდა, რომ ეს არ იყო ნამდვილი პროგრესი, იცოდა, რომ ზედა ფენების მატერიალური წარმატება ვერ გამოისყიდდა მის ხნეობრივ დაკნინებას. მან უკვე თავის პირველ რომანში—„მადამ ბოვარი" გვიჩვენა თუ რა არის ბურჟუაზიული პროგრესი. ამ მხრივ იგი სამუდამოდ იმედგაცრუებული დარჩა; არ სწამდა ისტორიული, საზოგადოებრივი პროგრესის შესაძლებლობა, რადგან იულისის მონარქიაც, მეორე რესპუბლიკაც და მეორე იმპერიაც მისთვის მხოლოდ საძულველი ბურჟუაზიის ზეიმი იყო. ამ რომანზე მუშაობის დროს იგი ჟორჟ სანდს სწერდა: „თუ გამოცდილებას დავუჯერებთ, მე მგონია, რომ მმართველობის არც ერთი ფორმა კარგს არაფერს შეიცავს; ორლეანიზმი, რესპუბლიკა, იმპერია აღარაფერს არ ეუბნება არც გონებასა და არც გულს, რადგან თითოეულ ამ კოლოფში ჩადებულია უაღრესად წინააღმდეგობრივი იდეები. ყველა დროში ისე გათხუპნულია სისხლითა და ნეხვით, რომ დროა სულაც უარი ვთქვათ მათზე. კმარა სიტყვები. ძირს სიმბოლოები და ფეტიშები!"

ასეთი განწყობილებით შეუდგა ფლობერი ამ რომანის წერას, რომელსაც ქვესათაურად აქვს: „ერთი ახალგაზრდა კაცის ისტორია".

მაგრამ რომანის განვითარება წარმოებს რეოლუციის დროს და რეალისტ მწერალს არ შეეძლო გვერდი აეცალა იმ ამბებისათვის, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს საფრანგეთისა და მთელი ევროპის ცხოვრებაში. „სენტიმენტალური აღზრდის", როგორც ისტორიული რომანის, თავისებურება ის არის, რომ იგი დაწერილია ადამიანის მიერ, ვისაც არ სწამს რეოლუციის შემოქმედებითი ძალა, რადგან მას, მისი აზრით, არ შესწევს საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის უნარი. ამიტომაც რეოლუციური ამბები რომანში ჩანს ეპიზოდურად, გაკვრით და მოქმედი პირებიც არ არიან ისეთი ტიპიური რეოლუციური ფიგურები, რომელთა ხასიათი მთელი ისტორიული კონფლიქტის განმავლობაში ჩამოყალიბდეს და გამოჩნდეს. ესენი არიან ან ჩვეულებრივი, უფერული პიროვნებანი, როგორც, მაგალითად, ჰიუსონე და მარტინონი ან გულწრფელი და პატიოსანი, მაგრამ უპრინციპო და ნებისყოფას მოკლებული ადამიანები, როგორიცაა ნოქარი დიუსარდიე, ანდა გაცვეთილი რადიკალური ფრაზებით თავგამოტენილი დოგმატიკოსები, როგორიცაა სენეკალი, რომლებიც პოლიტიკური ამბების შემყურე „მედღეხვალიები" არიან.

აი, თუნდ, რომანის მთავარი გმირი, — ფრედერიკ მორო, — უქნარა, მეოცნებე, რომანტიკულ ლიტერატურაზე აღზრდილი, გრძნობის ამყოლი პროვინცი-

ელი ახალგაზრდა. იგი ჩამოჰგავს ამ რომანის პირველი ვარიანტის ეიულსაც, რადგან მასავით რომანტიკულად უცქერის ამქვეყნიურ სინამდვილეს, და ანრისაც, რაკი მასავით უპრინციპო და უთაურია; მასავით ნატრობს წარმატებასა და „საამო“ ცხოვრებას. იგი 1848 წლის რევოლუციის შემთხვევითი და უნებური მონაწილეა. ისტორიული ამბების განვითარება თავისი გზით მიდის, ფრედერიკს მათი არაფერი ეკითხება, მას თავისი გზა აქვს, სრულიად განსხვავებული, რომელსაც საერთო არაფერი აქვს საზოგადოებრივ ამბებთან. ხალხი აჯანყდა, ქუჩებში თოფ-ზარბაზნის განუწყვეტელი გრიალია, ხოლო ფრედერიკი თავმოჭრილი ქათამივით ეხეთქება აქეთ-იქით ტრონშესა და ფერმის ქალებს შუა და ქალბატონ მარი არნუს ელოდება პალმანზე... განვლო 1848 წლის გაზაფხულმა და თან წაიღო რესპუბლიკური ილუზიები; იმედგაცრუებული პარიზელი მუშები კვლავ აღდგნენ, გმირულად იბრძვიან და იხოცებიან ბარიკადებზე, ფრედერიკ მორო კი ფონტენბლოს ტყე-პარკში ცხოვრობს განცხრომით თავის სატრფოსთან —როზანეტთან ერთად. დადგა 1851 წლის დეკემბერი, მოხდა სახელმწიფოებრივი გადატრიალება, რაც ფრედერიკისა და მისი მეორე სატრფოს — ქ-ნ დამბრეზის გაყრას დაემთხვა, გამოცხადდა სამხედრო წესები, დაითხოვეს ეროვნული კრება, მაგრამ, თითქოს აქ არაფერიაო, ფრედერიკი ყურსაც არ იბერტყავს, მას თავის პირად ცხოვრებაში მომხდარი გადატრიალება აწუხებს, თავისი ოცნების დამსხვრევა დასტირის.

ფლობერი დარწმუნებულია, რომ რევოლუციას არავითარი ცვლილება არ მოუხდენია საფრანგეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამიტომ რევოლუციის ეპიზოდები რომანში ნაჩვენებია უხალისოდ, ზერელედ, ისე როგორც ისინი შეუძლია დაინახოს გარეშე მაყურებელმა: „დოლი საიერიშოს უკრავდა. გაბრაზდა გამაყრუებელი შეძახილები, გამარჯვების „ვაშა“. ბრბო ქანაობდა თითქოს მორევი ტრიალებსო; ფრედერიკი შიგ შუაგულში მოექცა; სანახაობით გატაცებული, თანაც მეტისმეტად კმაყოფილი, ველარ იძვროდა. დაჭრილები, რომლებიც ეცემოდნენ, დახოცილები, მიწაზე რომ ეყარნენ, ნამდვილ დაჭრილებს, ნამდვილ მკვდრებს არ ჰგავდნენ. მას ეგონა, სპექტაკლს ვუცქერო“.

ერთ-ერთ თავის წერილში მწერალი ჩიოდა: „მეშინია, მეორეხარისხოვანმა ეპიზოდებმა მთავარი არ ჩაყლაპონ“. სწორედ ამიტომ რევოლუციური ამბები მიჩნეულია „მეორეხარისხოვან ეპიზოდებად“, პირველ პლანზეკი წამოწეულია რომანის გმირი და მისი პირადი განცდანი.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ რომანის მთავარი გმირი საკმაოდ უცნაური ტიპია. მას თითქოს არც გონება აკლია და არც გრძნობა, მაგრამ ვერც ერთი საათანადოდ ვერ გამოუყენებია. მისი საზოგადოებრივი მრწამსი კეთილშობილურია, მაგრამ გაურკვეველი. რევოლუციის დღეებში ცდილობს მონაწილეობაც კი მიიღოს საზოგადოებრივ საქმეებში: ესწრება საარჩევნო კრებებს, ეპირებს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელოს თავი, მაგრამ არაფერი არ გამოუდის, რაღაც გაუკრელი კაცია, ვერ ბედავს, თუ არ ეხერხება საქმის დაწყება, მიუხედავად იმისა, რომ დახმარებას უწევენ მეგობარი დელორიე და სატრფო, ქ-ნი დამბრეზი, ვისაც ქმრის მეოხებით დიდი გავლენა აქვს ბურჟუაზიულ წრეებში.

რაც შეეხება გრძნობათა სფეროს, აქ იგი პირდაპირ შეუდრეკელია. თუ პო-

ლიტიკაში უმწეო და უსუსურია, ამ სფეროში მეტად გაბედული და მოხერხებულია. ერთსა და იმავე დროს უყვარს ოთხი, სხვადასხვა წრისა და სხვადასხვანაირი ხასიათის ქალი. მშობლიურ ქალაქ ნოჟანში ჭაბუკური გატაცებით უყვარს მეზობლის — როკის ქალიშვილი კატრინი. ჰავრიდან ნოჟანს მიმავალ სამდინარო ბემზე შეხვდება და ერთი შეხედვისთანავე შეუყვარდება ორი შვილის დედა, ქ-ნი არნუ. ეს იყო მისი, ასე ვთქვათ, წრფელი პლატონური სიყვარული, რაც სიცოცხლის დასასრულამდე შერჩა. პარიზში ცხოვრების მანძილზე გადაეყრება თავისუფალი ქცევის ქალს როზანეტს, რომელთანაც ვაჟიშვილი შეეძინება. ამ კავშირს იგი იმით ამართლებს, რომ როზანეტი ახალგაზრდა და გარეგნულად მომხიბვლელია. თითქოს მართლაც ბედი ეწია და ისეთი ვინმე შეხვდა, ვისზედაც ოცნებობდა, მაგრამ დიდი ხანი არ გაივლის, რომ გრძნობის ამყოლი ფრედერიკი, „საოცნებოზე“ გულს აიყრის და გულიცივად, ტლანქად განშორდება. ამჯერად მისი გატაცების ობიექტი გახდება ქ-ნი დამბრეზი, მდიდარი ბანკირის ახალგაზრდა ქვრივი. აქ ხორციელ ლტოლვას სხვა მისწრაფებაც დაერთვის — მატერიალური მოსაზრება და „მაღალ საზოგადოებაში“ შეღწევის სურვილი. მაგრამ გრძნობის დაუდგრომლობა თავისას იზამს: ამასაც პირდაპირ დაქორწინების წინადღეს გაეყრებაჰ ბოლოს გაახსენდება თავისი ჭაბუკური გატაცება — კატრინ როკი. პარიზს მიატოვებს და ნოჟანს გაეშურება, მაგრამ პირველი სურათი, რომელიც იქ ჩასვლისას თვალწინ წარმოუდგება, ასეთია: ეკლესიიდან მკლავგაყრილი გამოდის ფრედერიკის მეგობარ დელორიეზე ჯვარდაწერილი კატრინი.

ფლობერი, რაკი რევოლუციის გარდამქმნელი ძალა არა სწამს, ხალხის მასობრივ გამოსვლებს გვიხატავს, როგორც ბრბოს აჯანყებას, რაც განუსჯელად სპობს, ანადგურებს ყველაფერს.

აი როგორ იქცევა გამარჯვებული ბრბო მეფის სასახლეში: „ყველა მძაფრმა სიხარულმა შეიპყრო; თითქოს მოსპობილმა ტახტმა მომავალ უსაზღვრო ბედნიერებას ადგილი უკვე დაუთმოო, ხალხმა დაუწყო გლეჯა ფარდებს, ამსხვრევდა სარკეებს, ჭაღებს, სასანთლეებს, მაგიდებს, სკამებს, ყოველგვარ ავეჯს, სპობდა ნახატებიან ალბომებსა და ხელსაქმის კალათებსაც კი. თუკი გაიმარჯვეს, რატომაც არ უნდა გაერთონ! — ირონიულად ამართლებს ავტორი. — ყველა იკმაყოფილებდა პირველეულობას: სირაქლემასფრთებიანი ქუდი მჭედლის თავს ამშვენებდა, საპატიო ლეგიონის ორდენის ლენტებს როსკიპები ქამრად ირტყამდნენ... შემდეგ ონავრობამ უფრო შავბნელი ხასიათი მიიღო. უტიფარი ცნობისმოყვარეობა აიძულებდათ შეეხედათ ყოველ კუთხეში, ჩაეხედათ ყველა ყუთში. კატრიოლელები ხელს აფათურებდნენ პრინცესების საწოლში, ზედ გორაობდნენ და ამით ინაზღაურებდნენ იმას, რომ მეფის ქალიშვილები ვერ გაეპატიურეს... სხვები, უფრო საშინელი სახისანი, უხმოდ დაეხეტებოდნენ სასახლეში და ცდილობდნენ მოეპარათ რაიმე... ტალანში ტანსაცმლის გროვაზე შემდგარიყო მეძავი ქალი, თავისუფლების ქანდაკებას რომ გამოხატავდა, უძრავი, საშინელი, თვალებგადმოკარკლული“.

გარნა, თუ გამარჯვებული ბრბო ასეთია, ნაკლებ საშინელი და საზიზღარი არც გამარჯვებული „კულტურული“ ბურჟუაა.

ლაფაიეტის ქუჩაზე ჯარმა ბარიკადი აიღო, დამარცხებული მუშები ტუილრის სარდაფებში ჩაყარეს... ცხრაასი კაცი იყო; ტალახში იზილებოდნენ, დენთის ბოლით და შემხმარი სისხლით გაშავებულნი, აცახცახებულნი, გააფთრებით ყვიროდნენ... ვინმე რომ მოკვდებოდა, გვამი არ გაჰქონდათ. ჰაერში ლიცლიცებდნენ მყრალი ანაორთქლის ანთებული მწვანე და ყვითელი ენები. ეპიდემიის შიშით დანიშნეს განსაკუთრებული კომისია. თავმჯდომარემ სარდაფში ჩასვლა დაპირა, მაგრამ, გახრწნილებისა და უწმინდურობის სიმყრალით თავზარდაცემული, უკანვე ამოვარდა. როცა პყრობილნი სარკმელებთან მივიდოდნენ, საგუშაგოზე მდგარი ეროვნული გვარდიის ჯარისკაცები ხიშტებით ჩხვლეტდნენ და უკანვე ერეკებოდნენ მათ.

ულმობელნი იყვნენ ეს ჯარისკაცები. იმათ, ვისაც ბრძოლაში მონაწილეობის მიღება არ მოუხდა, სურდათ რითიმე გამოეჩინათ თავი. ეს იყო სიმხდალის ზეიმი. შურს იძიებდნენ ერთბაშად გაზეთების, კლუბების, კრებებისა და დოქტრინების გამო, ყველაფრის გამო, რასაც ისინი მთელი სამი თვის მანძილზე სასოწარკვეთილებაში მოჰყავდა. თანასწორობამ, ჩლუნგმა, მხეცურმა თანასწორობამ, მიუხედავად თავისი დამარცხებისა (თითქოს თავისი დამცველების დასასჯელად და თავისი მტრების გასაცინად), ზეიმით იჩინა თავი. დამყარდა სისხლიანი საზიზღრობის ერთნაირი დონე, რადგან გამდიდრების ფანატიზმი არ ჩამორჩებოდა სიღარიბის სიგიჟეს. არისტოკრატია ისევე მძვინვარებდა, როგორც ბრბო, ღამის ჩაჩი წითელ ჩაჩზე ნაკლებ საზიზღარი როდი აღმოჩნდა. საზოგადოებრივი გონიერება დაბნელდა, როგორც დიდი უბედურების შემდეგ ხდება ხოლმე...“

საგულისხმოა, რომ 48 წლის რევოლუციაზე ფლობერი წერდა: „იმას, რამაც 48 წლის რევოლუციაში შემაძრწუნა, თავისი ბუნებრივი საწყისი აქვს დიდ რევოლუციაში, რომელიც, რაც უნდა ილაპარაკონ, შორს არ წასულა საშუალო საუკუნეებიდან.“

ამრიგად, ფლობერისათვის თანაბრად მიუღებელია როგორც რევოლუცია, ისე კონტრრევოლუცია. იგი მათ შორის ტოლობის ნიშანს სვამს. აი ეს ურწმენობა ისტორიის მამოძრავებელი ძალისადმი უდევს საფუძვლად ფლობერის პესიმისტურ განწყობილებას. მეგობარი ქალისადმი, ლუიზ კოლესადმი მიწერილ წერილში იგი ამბობს: „ჩვენ, ლიტერატორებსა და მწერლებს, არა გვაქვს საყრდენი წერტილი, ნიადაგი ფეხქვეშ გვეცლება. ვის ესაჭიროება მთელი ეს ჩმახვა? ვის მოთხოვნას აკმაყოფილებს იგი? ჩვენსა და ბრბოს შორის არავითარი კავშირი არ არსებობს; მით უარესი ბრბოსათვის და განსაკუთრებით ჩვენთვის. მაგრამ... საჭიროა, მიუხედავად ყველაფრისა, დამოუკიდებლად კაცობრიობისაგან, რომელიც უარგვყოფს, ვიცოცხლოთ საკუთარი მოწოდებისათვის, ავიდეთ ჩვენს სპილოს ძვლის კოშკში და ვიყოთ იქ მარტო ჩვენს ფიქრებთან ერთად...“

ასე ფიქრობდა მწერალი, მაგრამ ეს როდი ნიშნავდა ცხოვრებისაგან განდგომას, განდეგილობას. მეორე იმპერიის ბურჟუაზიული საზოგადოების ურთიერთობა, მისი გემოვნება და ზნე-ჩვეულებანი მას ისე ეზიზღებოდა, რომ იძულებული იყო დამალულიყო „სპილოს ძვლის კოშკში“, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა დაეცვა ხელოვანის დამოუკიდებლობა და შემოქმედებითი პროცესი

არ დაექვემდებარებინა ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის, რათა „ეცოცხლა საკუთარი მოწოდებისათვის“.

მართალია, ამ რომანში ფლობერმა ვერ მოგვცა, თუ არ მოგვცა იმდროინდელი ამბების გმირის, 48 წლის რევოლუციის გმირული მებრძოლის უტყუარი სურათი. რევოლუციის დროინდელი პარიზის პროლეტარიატის იდეურ წარმომადგენლად ავტორი გვიხატავს სენეკალს, ვისაც ისეთ თვისებებს მიაწერს, რომ იგი გვეჩვენება რაღაც საშინელ ფანატიკოსად, გონებაჩლუნგ დოგმატიკოსად, განყენებულ დოქტრინებად;-იგი გატაცებულია საყოველთაო გათანაბრების იდეით და უგულოდ, გულცივად ეპყრობა კონკრეტულ ადამიანებს. ეჯავრება ხელოვნება და სილამაზე. ერთი სიტყვით ეს არის ადამიანურ გრძნობებს მოკლებული პედანტი, ვინც, ბოლოს და ბოლოს, თავის „მოღვაწეობას“ იმით აგვირგვინებს, რომ პოლიციელი ხდება და არ ინდობს თავის მეგობარსაც კი, დიუსარდიეს კლავს.

რევოლუციის დროინდელ ტიპებს შორის ყველაზე მკაფიოდ დახატულია სწორედ ეს დიუსარდიე. მისი სახით მწერალს სურდა მოეცა ხალხის წრიდან გამოსული გულწრფელი ადამიანის ტიპი, ვისაც მართლა ენატრება სამართლიანობა და საყოველთაო ძმობა-თანასწორობა. მაგრამ იგი თავისი მოქმედებით, მუდმივი მერყეობით, ერთბაშად აღტყინებითა და მყისვე უიმედობით უფრო წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის წარმომადგენელია, ვიდრე ხალხისა. 1848 წლის თებერვალში იგი აღტაცებულია რევოლუციის ლოზუნგებით, ივნისში იარაღით იბრძვის აჯანყებული ხალხის წინააღმდეგ, ერთი წლის შემდეგ კი სინანული შეიპყრობს და ნამდვილ წვრილ ბურჟუასავით დაიწყებს წუწუნს: „განა ყველაფერი არ დაიღუპა? როცა რევოლუცია დაიწყო, ვფიქრობდი, ბედნიერი ვიქნები-მეთქი. გახსოვთ, რა კარგი იყო ყველაფერი, რა შვებით ვსუნთქავდი! მაგრამ ახალა უარესია, ვიდრე წინათ. ახლა ისინი კლავენ ჩვენს რესპუბლიკას... თუმცა მაინც, რომ გვცოდნოდა! მეტი პატიოსნება რომ გამოგვეჩინა, შეიძლებოდა მოვრიგებულიყავით... მაგრამ არა! მუშები ბურჟუებზე უკეთესი არ არიან, აი რა!“

უკეთესი არც უპრინციპო დელორიეა, ვინც არაფერს არ ზოგავს იმისათვის, რომ ძალაუფლება მოიპოვოს: „იყო ლედრიუ ლორენის კომისარი, მაგრამ რადგან კონსერვატორებს ძმობას უქადაგებდა, სოციალისტებს კი — კანონების პატივისცემას, ივნისის ამბების შემდეგ უბოდიშოდ დაითხოვეს თანამდებობიდან... დემოკრატიის კარს უკაკუნებდა, სთავაზობდა სამსახურს ჯალმით, სიტყვით, საქმით, მაგრამ ყველგან უკუაგდეს, არ ენდობოდნენ და იძულებული გახდა გაეყიდა საათი, წიგნები, თეთრეული...“

ან კიდევ ფუქსავატი, მოლაყბე რეჟემბარი — მოქალაქე, ვინც ყველაფრით უკმაყოფილოა, მუდამ ბუზღუნებს, მთელ თავის სიცოცხლეს კაფე-რესტორნებში ატარებს და, უნდა არ უნდა, ყოველ საგანზე ორატორობს.

მაგრამ ფლობერის, როგორც ბრწყინვალე რეალისტი მწერლის სწორუპოვარი ნიჭი შეუდარებელ ძალას იჩენს ბურჟუაზიული საზოგადოების, „წესრიგის პარტიის“ წარმომადგენელთა დახატვაში. ივნისის აჯანყების დამარცხების შემდეგ თითქოს იმისათვის, რომ უფრო მკაფიოდ დაგვანახოს რეაქციის საზიზ-

ღარი საერთო სახე, მწერალი ამ საზოგადოებას ბანკირ დამბრეზის სალონ-- ში უყრის თავს და დაუნდობლად ამხილებს გამდიდრებულ „მედუქნეთა“ გაუ- მაძღარ მომხვეჭელობას, ფარისევლობას. ცრუ პატრიოტიზმს, უზნეობასა და უდიერობა-სისასტიკეს. ისინი არაფერს არ ერიდებიან, არაფერა არ ზოგავენ იმი- სათვის, რომ დაიცვან თავიანთი ჯიბე.

რა უბადრუკია უხეირო ეაკრუკა ეაკ არნუ, ვინც ჯერ მხატვრული ნივთე- ბით ეაკრობს, მერე კერამიკის ქარხანას აშენებს, შემდეგ საეკლესიო ნივთების საეაკრობ აწყობს. მაგრამ უთაურობის გამო დახლი არსად არ დასდგომია. მიუ- ხედავად ამისა, თავგამოდებით იცავს კერძო საკუთრებას, რისთვისაც ივნისის დღეებში ეროვნული გვარდიის რიგებში შედის.

საზიზღარია მრეწველი ფუმიშონი, ვინც „სიტყვა საკუთრებას რომ გაიგო- ნებს, რისხვით გონებას კარგავს: — ეს უფლება თვით ბუნებამ დააწესა! ბავ- შვებიც კი ვერ ელევიან თავიანთ სათამაშოებს. ყველა ადამიანი იზიარებს ჩემს აზრს, აგრეთვე ყველა ცხოველი. ლომიც კი, ლაპარაკი რომ შეეძლოს, განაცხადებდა, მესაკუთრე ვარო! მე, მაგალითად, ბატონებო, საქმე სულ რაღაც თხუთმეტი ათასი ფრანკით დავიწყე. იცით თუ არა, რომ მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში მუდამ დილის ოთხ საათზე ვდგებოდი, რომ კა- პიტალი დამეგროვებინა! და ახლა დამიწყებენ მტკიცებას, მისი პატრონი შენ როდი ხარ, შენი ფული შენი როდიაო. ერთი სიტყვით, საკუთრება ქურდო- ბაა!“

ფლობერისეული უტყუარი თვალით არის დახატული მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელი, ბანკირი დამბრეზი. იგი ქამელეონივით იცვლის ფერს იმის მიხედვით, თუ როგორია პოლიტიკური ამინდი. რევოლუციის აღმავლობის დღე- ებში იგი მზად არის იწამოს პრუდონის მოძღვრების სიმართლე, აქებს „ჩვენს საუცხოო დევიზს: „ძმობა, თავისუფლება“. უფრო მეტიც, იგი ამბობს: „ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ყველანი ცოტად თუ ბევრად მუშები ვართ“. ივნისის აჯანყე- ბის დღეებში კი „ისე გააფთრდება, რომ ჯიბეში ატარებს კასტეტს და მოუწო- დებს: „დააკავონ ყველა დამთხვეული, ყველა სოციალისტი. დამბრეზის სალონ- ში თავმოყრილ საზოგადოებას მწერალი ასე ახასიათებს: „აქ მყოფ შამაკაცთა უმ- რავლესობა სულ მცირე ოთხ მთავრობას მაინც ემსახურებოდა და ისინი გა- ყიდდნენ საფრანგეთს ან ადამიანთა მოდგმას, ოღონდ გადაერჩინათ თავიანთი სიმდიდრე, თავიდან აეცილებინათ გაკირვება, ანდა მხოლოდ იმიტომ, რომ თან- დაყოლილი სიხარბე აიძულებდათ ქედი მოეხარათ ძალის წინაშე“.

ფლობერი ცნობილია, როგორც სწორუპოვარი სტილისტი, რომელიც ვით დედა საყვარელ შვილს, გაფაციცებული დასტრიალებს თავს თითოეულ სიტყ- ვას, ყოველ ფრაზას. მაგალითად, მისივე სიტყვით ვიცით, რომ რომანში „მადამ ბოვარი“ იგი ერთ კვირას ფიქრობდა ფრაზაზე, რომელიც მისი მოსაწონი მაინც ვერ გახდა.

რომან „სენტიმენტალური აღზრდის“ ენა შედარებით უფრო სადაა, მაგრამ, სამაგიეროდ, უფრო უხვია ლექსიკის მხრივ, უფრო მკაფიო და სხარტულია, თხრობა ნაკადულივით მორაკრაკე.

ასეთია რომანი, რომელიც განზრახული იყო როგორც ავტორის „თაობის

ადამიანთა ზნეობრივი ისტორია". მწერალმა თავისი განზრახვა შეასრულა და ნოგვცა მისი თანამედროვე ცხოვრების, მართალია, არასახარბიელო, მაგრამ პირუთვნელი, უტყუარი სურათი. და თუმცა იგი ამბობდა: სილამაზე შეუთავსებელია თანამედროვე ცხოვრებასთანო, მაგრამ თურმე ამ მიუღებელ, მახინჯ სინამდვილეშიც კი ჭეშმარიტ ხელოვანს შეუძლია იშოვოს მასალა ისეთი მშვენიერი ქმნილებისათვის, როგორიცაა რომანი „სენტიმენტალური აღზრდა..."

ედმონდ გონკური იგონებს: „1880 წლის აღდგომა მე და ჩემმა მეგობარმა გუსტავ ფლობერისას გავატარეთ კრუასეში.

ზოლა ისე მხიარული იყო, როგორც კომისიონერი, ვინც სარფიანი საქმე გაჩარხა, დოდე, როგორც ადამიანი, უჯიათ შრომას რომ გაექცა და სურს ერთი გაიმეორდოს. ბარპანტიე, როგორც სტუდენტი, კაი სმას რომ ელოდება; მე კი უბრალოდ, ფლობერთან ყოფნა მახარებდა.

ბევრი ესეთ სხვადასხვა ღვინო და მთელი საღამო გავატარეთ დიდი ამბების ნოყოლაში, რის გამოც ფლობერი ბავშვივით ხარხარებდა. მან უარი გვითხრა თავისი რომანის წაკითხვაზე, არ შემიძლია, მეტად მოქანცული ვარო"...

ეს რომანი იყო „ბუვარი და პეკიუშე", რომლის წერას იგი 1872 წელს შეუდგა.

რაგორია ამ რომანის შინაარსი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა გავიხსენოთ, რომ ფლობერს ერთ დროს (1879 წ.) აზრად ჰქონდა რომანისათვის ქვესათაურად მიეცა: „მეთოდის ნაკლებობა მეცნიერებაში".

და აი სწორედ ეს არის „ბუვარი და პეკიუშეს" ნამდვილი შინაარსი. ჩაგინდ უცნაური და მცდარიც უნდა გვეჩვენოს იგი.

მწერალს ამ რომანში მთავარ გმირებად გამოჰყავს ორი მოხუცი, პატარა ბოხელები, რომელთაც მოსძულებიათ, თავიანთი უფერული ცხოვრება და გაწუხრახავთ, გაგონ, რა არის ამქვეყნიური არსებობის აზრი. ამ მიზნით ისინი შეეჯაჭვებიან მეცნიერების სხვადასხვა დარგის: ქიმიის, ფიზიკის, მედიცინის, ფიზიოლოგიისა და სხვ. შესწავლას. ახლენენ მრავალ ექსპერიმენტს, ცდილობენ ცხოვრებაში, პრაქტიკაში გამოიყენონ შეძენილი ცოდნა, მაგრამ ბევრ შეცდომასა და სასულელეს სჩადიან უმეცრების გამო, და შედეგიც მეადამ ან სასაცილო ან საგალილო გამოუდით. როცა, მაგალითად, რაიმე ექსპერიმენტის დროს ამჩნევენ, რომ „თარიღები ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევიან", ისინი ზიზღით ეკიდებიან ფაქტებსაც. იმის გამო, რომ ტყის გაშენების საკითხი მეტად რთულია, ისინი დაასკვნიან: „აგრონომიაც შეიძლება ფუჭი და გამოგონილი იყოს". როცა ხედავენ, რომ „გამონაკლისები" შეიძლება „მართალი" არ იყოს, გულგატეხილნი გეიძახიან: „აბა ვიღას უნდა ენდო"?

ბოლოს, სრულიად იმედგაცრუებულნი, თავიანთ ძველ ხელობას, ქაღალდების გადაწერას უბრუნდებიან. ასეთია მათი „დიდი გარჯისა და მცდელობის" უნაგეშო ფინალი.

მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამაში, ავტორის აზრით, ბრალი მიუძღვის თვით მეცნიერებასაც მეთოდის ნაკლებობის თუ უქონლობის გამო. მწერალი არ მალავდა, რომ განზრახული ჰქონდა დაეწერა „ერთგვარი კრიტი-

კელი ჰუმორისტული ენციკლოპედია". მეო, ამბობდა იგი, „თანამედროვეებს პირში მივახლი იმ ზიზღს, რასაც ისინი მგვრიან".

ეს თანამედროვეები კი იყვნენ მესამე რესპუბლიკის გაბატონებული კლასები, რომლებმაც ულმობლად დაასამარეს კომუნა და ცხოვრებაში გაბატონეს ბურჟუაზიული წესრიგი, მეცნიერებაში კი სუბიექტივიზმი და ემპირიზმი. ფლობერისათვის მიუღებელი იყო როგორც ერთი, ისე მეორე. თუ ერთ დროს, საოცდაათიან წლებში, იყო ხოლმე ისეთი მომენტები, როცა მას სწამდა მეცნიერების ძალა და ფიქრობდა, საზოგადოებრივ ცხოვრებას მეცნიერები უნდა ხელმძღვანელობდნენო, ახლა, პირიქით, იმედგაცრუებული იყო ამ მხრივ და არც მეცნიერების და არც საერთოდ, პროგრესისა აღარაფერი სწამდა.

ეს იყო სწორედ ის მომენტი, როცა იგი თავის მეგობარ ჭალს — ლუიზ კოლეს სწერდა: „ჩვენ, ლიტერატორებსა და მწერლებს ერა გვაქვს საყრდენი წერტილი, ნიადაგი ფეხქვეშ გვეცლება. ვის ესაჭიროება მთელი ეს ჩმახვა? ვის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს იგი? ჩვენსა და ბრბოს შორის არ არსებობს არავითარი კავშირი; მით უარესი ბრბოსათვის და განსაკუთრებით ჩვენთვის..."

ასე გაორებული იყო ფლობერის პიროვნება, ასეთ საშინელ სულიერ მდგომარეობაში მყოფი შეუდგა იგი „ბუვარი და პეკიუშეს" წერას.

დიდი შრომა და დრო დასჭირდა მასალის შეგროვებას, რადგან რომანის შინაარსის მიხედვით იძულებული იყო გასცნობოდა მეცნიერების სხვადასხვა დარგს.

ფლობერის წერილებში გაბნეულია ცნობები, თუ როგორ მუშაობდა იგი ამ რომანზე. ერთ-ერთ წერილში ნათქვამია: „აგერ უკვე ორი თვეა, რაც ერთი სტრიქონიც კი არ დამიწერია, სულ ვკითხულობდი... ვკითხულობდი, სანამ თვალისჩინი არ დამეკარგებოდა... იანგარიშეთ საშუალოდ დღეში ორი ტომი..."

ორი ტომი დღეში! მწერალს კი „ორი მოხუცის გულისათვის", როგორც თვითონ ამბობდა, ათას ხუთასზე მეტი ტომის წაკითხვა მოუხდა! იგი მოპასანსაც კი სთხოვდა შეეგროვებინა მისთვის ცნობები ბოტანიკის დარგში. გარდა ამისა, რამდენჯერმე დასჭირდა მოგზაურობა, რათა აერჩია ადგილი, სადაც ეს ორი ახირებული მოხუცი უნდა დაესახლებინა.

უკვე 1872 წლის 18 აპრილს იგი წერდა: „ამას ალბათ თვითონ 1880 წლამდე მოვუნდები. ვიჩქარი, მუჯლუგუნით ვერეკები საკუთარ თავს, რომ ერთი წუთიც კი არ დავკარგო. ისე დავიქანცე, ძვლებიც კი მტკივა".

ფლობერის ეპვი გამართლდა: იგი უეცრად გარდაიცვალა 1880 წლის 8 მაისს და უკანასკნელი რომანი „ბუვარი და პეკიუშე" დაუმთავრებელი დარჩა. გარნა მწერალმა დაგვიტოვა რომანის დაწვრილებითი კონსპექტი, რომლის მიხედვით მკითხველს შეუძლია წარმოიდგინოს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მისი დასასრული.

ფლობერის კალამს ეკუთვნის აგრეთვე სამი მშვენიერი მოთხრობა, რომლებიც დაწერილია მისთვის ჩვეული ღრმააზროვნებითა და ნატიფი ენით. ესენია: „გულმართალი," „ლეგენდა წმ. იულიანეზე" და „ჰეროდია".

ჩვენ ვბეჭდავთ გუსტავ ფლობერის წერილების მცირე ნაწილს, რაც მეტად

საინტერესო მასალას წარმოადგენს მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების გასაცნობად. აქ მართლად და შეუფერადებლად არის გადაშლილი მისი სული და გული. მისი აზრები, მისი რწმენა, მისი მისწრაფება, ზნე-ჩვეულება, ავი და კარგი. გარდა ამისა, წერილები გვაცნობენ ფლობერის თითქმის ყველა თანამედროვე მწერლის (პოეტისა თუ პროზაიკოსის, გამოჩენილისა თუ ნაკლებ ცნობილის) პორტრეტებს, მათ ურთიერთობას ფლობერთან. წერილები გვიჩვენებენ, თუ როგორ მუშაობდა ეს სწორეპოვარი სტილისტი თავის განთქმულ რომანებზე, რა „წვითა და დაგვით“ აღწევდა წარმატებას. ერთი სიტყვით, ეს არის მწერლის უტყუარი დაწერილებითი ბიოგრაფია.

არისტო ბუმბაძე

ნაწილი პირველი

I

კაკვეთილზე ვიყავით, როცა დირექტორი შემოვიდა; მას შემოჰყვა ქალაქურად ჩაცმული ერთი ახალბედა და კლასის მსახური, რომელსაც დიდი მერხი მოჰქონდა. ვინც თვლემდა, მყის გამოფხიზლდა და ისე წამოხტა, თითქოს მუშაობაში ხელი შეუშალეს.

დირექტორმა გვანიშნა, დასხედითო; მერე კლასის დამრიგებელს მიუბრუნდა:

— ბატონო როუე, — მიმართა დირექტორმა დაბალი ხმით, — აი წარმოვიდგენია თქვენთვის ეს მოწაფე. მეხუთეში შემოდის. უკეთუ მეცადინეობით და ყოფაქცევით დაიმსახურებს, უფროს კლასში გადავა, რაც მის ასაკს კიდევაც შეეფერება.

ახალბედა კუთხეში იდგა, კარს უკან, ისე, რომ ძლივს ჩანდა; სოფლის ბიჭი იყო, თხუთმეტიოდე წლისა, ტანადობით ყოველ ჩვენგანზე უფრო მაღალი. თმა, ვით სოფლის მგალობელს, შუბლზე სწორად ჰქონდა შეკრეჭილი; სახე — გონივრული და ძალზე დარცხვენილი. თუმცა მხარბეჭიანი არ იყო, მაგრამ მწვანე მაუ-

დის შავღილებიანი საცმელი, ალბათ, იღლიებში უპერდა, რის გამოც სახელოებიდან სიშიშვლეს ნაჩვევი დაწითლებული ხელები გამოეყო. საბეჭურით ძალზე აჭიმულ, მოყვითალო ფერის შარვალში ლურჯი წინდები უჩანდა; ფეხთ ეცვა მაგარი, ლურსმნით მოჭედილი და ცუდად გაწმენდილი ფეხსაცმელი.

დაიწყო გაკვეთილზე გამოძახება. იგი ისეთ გულისყურს იჩენდა, თითქოს ქადაგებას უსმენსო. ვერ გაებედა ვერც ფეხზე ფეხის გადადება, ვერც იდაყვებზე დაყრდნობა და, როცა ორ საათზე ზარი დაირეკა, დამრიგებელი იძულებული იყო გაეხსენებინა, რომ ისიც ჩვენთან ერთად რიგში ჩამდგარიყო.

ჩვეულება გვქონდა, კლასში შესვლისას, ქუდები ძირს დაგვეყარა, რათა ხელები უფრო თავისუფალი გვქონოდა; საჭირო იყო, კარიბჭიდანვე ქუდი კედლისთვის ისე გვეხალა, რომ შემდეგ მერხს ქვეშ შევარდნილიყო, და ამასთანავე რაც შეიძლება მეტი მტვერი აეყენებინა; აი ბიჭობა ეს იყო.

მაგრამ ახალბედამ ან ვერ შეამჩნია ეს ხერხი, ან ვერ გაბედა ჩვენთვის მოებაძა, ხოლო, როცა ლოცვა უკვე გათავდა, თავისი ქუდი ისევ მუხლებზე ედო. ეს იყო რაღაც რთული სახის ქუდი, სადაც იპოვნიდით ბოხოხის მრგვალი ქუდის, ბეწვიანი კასკეტისა და ბამბის ჩაჩის ელემენტებს, ერთი სიტყვით, უხეირო რაღაც, რომლის უთქმელი სიმახინჯე ისე ღრმად მეტყველია, ვით სულელის სახე. ოვალური, ვეშაპის ულვაშზე გადაჭიმული, იგი იწყებოდა კუპატის ფორმის სამი პატარა ბაფთით: შემდეგ ერთმანეთს ენაცვლებოდა წითელი ზოლით გაყოფილი ნაჭრები ხავერდისა და კურდღლის ტყავისა; ამათ ზემოთ ტომსიკისებური რაღაც იყო, რაც მუყაოს მრავალკუთხოვანი ბოყვით თავდებოდა; ეს უკანასკნელი სუტაშით იყო ბარაქიანად მოქარგული, ხოლო კუნწულზე, მეტად წვრილი და გრძელი ყაითნით, ოქრომკედით ნასკვენი რკო ეკიდა. ქუდი ახალი იყო, წინაფრა უბრწყინავდა.

— ადექით! — უთხრა მასწავლებელმა.

იგი ადგა; ქუდი დაუვარდა, მთელ კლასს სიცილი აუტყდა. ქუდის ასაღებად რომ დაიხარა, მეზობელმა იდაყვი ჰკრა და ქუდი დააგდებინა; კვლავ დაიხარა და აიღო.

— დაეთხოვეთ მაგ თქვენს მუზარადს. — უთხრა მასწავლებელმა, რომელიც ოხუნჯი კაცი იყო.

მოწაფეებში ისეთი გამაყრუებელი ხარხარი ატყდა, რომ საბ-

რალო ბიჭი ბოლად დაიბნა; აღარ იცოდა ეს ქუდი ხელში დაეჭირა, ძირს დაეგდო, თუ თავზე დაეხურა. დაჯდა და მუხლზე დაიდო.

— ადექით, — გაუმეორა მასწავლებელმა, — და მითხარით, რა გვარი ხართ.

ახალბედამ რაღაც გაუგებარი გვარი წაიბურტყუნა.

— გაიმეორეთ!

კვლავ ისეთივე გაუგებარი ბურტყუნი, რაც კლასის ღრიანცელმა ჩაახშო.

— ხმამაღლა, — მიაძახა მასწავლებელმა, — ხმამაღლა!

ბაშინ ახალბედამ უკიდურესი გადაწყვეტილება მიიღო, პირი უზომოდ დააღო და ისე დაიყვირა, თითქოს ვისმე ეძახისო: შ ა რ ბ ო ვ ა რ ი.

ატყდა ერთი ღრიანცელი, ხორხოცმა მწვერვალს მიაღწია, ბერმე ცალკე გამყივან ხმებად დაიფრქვა (ღრიალებდნენ, ყეფდნენ, ფეხებს უბარტყუნებდნენ, გაჰკიოდნენ: შ ა რ ბ ო ვ ა რ ი, შ ა რ ბ ო ვ ა რ ი!) გუგუნი ხან ოდნავ მიწყდებოდა, ხან უეცრად აქა-იქ იფეთქებდა, ვით ცუდად ჩაქრობილი პეტარდა.

მაგრამ საჯარიმო ამოცანათა სიუხვის წყალობით, წესიერებანელინელ აღდგენილ იქნა და მასწავლებელმა, რაკი გაიგო შარლ ბოვარის სახელი და გვარი, აკარნახებინა, მარცვალ-მარცვალ ათქმევინა და გაამეორებინა, ბერმე საბრალო ბიჭს უბრძანა, წადი ზარმაცების მერხზე დაჯექი, კათედრის ძირსაო. იგიც დაიძრა, მაგრამ, სანამ წავიდოდა, შეყოყმანდა.

— რას ეძებთ? — ჰკითხა მასწავლებელმა.

— ჩემს კასკ... — გაუბედავად მიუგო ახალბედამ და შეშფოთებით მიმოიხედა.

— ხუთასი სტრიქონი ლექსი მთელ კლასს! — ბრისხანე ხმით წამოძახებულმა, Quos ego*-სავით ერთბაშად შეაჩერა ახალი, მოსალოდნელი ალიაქოთი.

— დაწყნარდით-მეთქი, — განაგრძობდა გაჯავრებული მასწავლებელი და ცხვირსახოცით სახეს იწმენდდა, — თქვენ კი, ახალბედავ, ოცჯერ დამიწერთ ზმნას რვეულში ridiculus sum.**

შემდეგ კი, უფრო ნაზი ხმით:

---

* მე თქვენ გიჩვენებთ!

** სასაცილო ვარ.

— იმ თქვენ ქუდს კი იპოვნით, არავის მოუპარავს!

ყველაფერი მიწყნარდა. თავები საწერზე დაიხარა და ახალბედაც ორი საათის განმავლობაში სამაგალითოდ იჯდა, თუმცა ხანდახან ნაღეჭი ქაღალდის გორგალი, კალმის წვერზე წამოგებული და გასროლილი სახეზე ეკვროდა, მაგრამ მხოლოდ ხელით იწმენდდა და უძრავად იჯდა, თვალდახრილი.

საღამოს, მეცადინეობისას, მერხიდან გამოიღო სამკლაურები, თავისი საკუთარი წვრილმანი ნივთებიც დაალაგა და გულმოდგინედ დახაზა ქაღალდი. ვხედავდით, რა სინდისიერად მუშაობდა. თითოეულ სიტყვას ლექსიკონში ეძებდა და დიდ შრომას ანდომებდა. ალბათ, ამ გამოჩენილი ბეჯითობის წყალობით არ დატოვეს იგი დაბალ კლასში. თუმცა გრამატიკული კანონები გვარიანად იცოდა, სამაგიეროდ მის სიტყვას არავითარი შნო არ ჰქონდა. ლათინური მისი სოფლის მღვდელს დაეწყებინებია, რადგან მშობლებს, მომჭირნეობის მიზნით, სურდათ რაც შეიძლება გვიან მიეცათ კოლეჟში.

მამამისმა, ბ. შარლ-ბართოლომე ბოვარიმ, სამხედრო ქირურგის თანაშემწემ, დაახლოებით 1812 წელს ჯარში ახალგაზრდების გაწვევის დროს სახელი გაიტეხა, რის გამოც იმავე ხანებში იძულებული გახდა სამსახური მიეტოვებინა, თავისი გარეგნობით ისარგებლა და გვარიან მზითევს გამოჰკრა ხელი; ეს სამოცათასფრანკიანი მზითევი მას მოუტანა ქუდის ვაჭრის ქალმა, რომელიც მისმა ტანადობამ მოხიბლა.

კოხტა, ტრაბახა, დეზებს ხმამაღლა აწკარუნებდა, ულვაშებთან შეერთებულ ქილვაშებს ატარებდა, თითები მუდამ ბეჭდებით ჰქონდა შეჭედილი და, თვალში მოსახვედრი ტანისამოსით გამოწყობილს, შესახედაობა მამაცური ჰქონდა, თუმცა კომივოიაჟერის ოდნავი იერიც გადაჰკრავდა. დაქორწინების შემდეგ, ორი-სამი წლის განმავლობაში ცოლის მზითევით ცხოვრობდა, კარგად სადილობდა, გვიან დგებოდა, პორცელენის დიდრონ ჩიბუხებს ეწეოდა, საღამოობით შინ წარმოდგენების შემდეგ ბრუნდებოდა, კაფეების ხშირი სტუმარი იყო. სიმამრი მოუკვდა, მცირე რამ დაუტოვა; ამის გამო აღშფოთდა, მრეწველობას მოჰკიდა ხელი, აქ ფული წააგო, მერმე სოფლად წავიდა, მეურნეობის დაწყება სურდა. ხოლო, რადგან მეურნეობის იმდენივე გაეგებოდა, რამდენიც ფეიქრობისა, რაკი ცხენებს თავისივე სიამოვნებისათვის, საჯირითოდ კაზმავდა;

იმის მაგიერ, რომ სამუშაოდ გაეგზავნა, თავის სიდრს ბოთლობით სვამდა, კასრობით გაყიდვის ნაცვლად, საუკეთესო ფრინველებს თვით ჭამდა და თავისი ღორების ქონით სანადირო წაღებს იპოხავდა, დიდხანს აღარ გაუვლია, რომ ნათლად დაინახა თავისი მეურნეობის ფუქსავატობა.

ერთ სოფელში, კოს და პიკარდიის საზღვარზე, ორას ფრანკად წელიწადში დაიქირავა ერთი ნახევრად ფერმა, ნახევრად სახლკარი; დანაღვლიანებული, სინანულით დაგესლილი, ზეცის მოსაყვედურე, მოშურნე მთელი ქვეყნისა, ორმოცდახუთი წლის ასაკიდან განმარტოვდა კაცთაგან თავმობეზრებული, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, და წყნარი ცხოვრება გადაწყვიტა.

ცოლი ოდესღაც გიჟდებოდა მისთვის, ათასგვარი მონური სიყვარულით აღმერთებდა, რამაც ქმარი უფრო დააშორა. წინათ მხიარული, ექსპანსიური და ძალზე მოყვარული, ნანში შესვლისას (ვით თავღია ღვინო ძმარადქცეული) ცოლი ჭირვეული, მოწუწუნე, ნერვული შეიქნა. ჯერ რამდენი რამ აიტანა უჩივლელად, როცა ხეღავდა, რომ ქმარი სოფლის ყოველ გოგოს დასდევდა, ან ათასგვარ ნაუგეგ ადგილიდან საღამოობით შინ ბრუნდებოდა, მოყირჭებული და ღვინით გალეშილი! მაგრამ შემდეგ თავმოყვარეობა ამბოხდა. ქალი დადუმდა და მუნჯი სტოიციზმით იტანდა წუხილს, რაც სიკვდილამდე შეინარჩუნა. იგი მუდამ გაწამაწიაში იყო, მუდამ საქმობდა. დარბოდა ვექილებთან, თავმჯდომარესთან, ახსოვდა ვექსილების ვადა, ცდილობდა მათ განვადებას; შინ კი აუთოებდა, კერავდა, რეცხავდა, მუშებს თვალ-ყურს ადევნებდა, ვალებს იხდიდა, ხოლო ბატონი არაფერზე თავს არ იწუხებდა, მუდამ რაღაც ჭობუზღუნე თვლემაში იყო ჩაფლული, საიდანაც მხოლოდ იმიტომ თუ გამოფხიზლდებოდა, რომ ცოლისთვის რაიმე უსიამოვნება მიეყენებინა, იჯდა ცეცხლის პირას, ეწეოდა და ნაცარში იფურთხებოდა.

როცა ქალს ბავშვი გაუჩნდა, იძულებული გახდა იგი გაეძიძავებინა. შინ მოყვანილს პრინციპით ანებივრებდა. დედა ტკბილეულობით კვებავდა, მამა კი ფეხშიშველს დაატანტალებდა და თანაც ფილოსოფოსობდა, რომ შეუძლია სულაც შიშველმა იაროს, როგორც პირუტყვის შვილებმაო. დედის მისწრაფებათა საწინააღმდეგოდ, მამას თავში ერთგვარი მამაცური აღზრდის იდეალი უტრიალებდა, რომლის მიხედვითაც სურდა შვილი მკაცრად, სპარტანულად აღეზარდა, რათა ჯანსაღი აგებულებისა დამდგარიყო.

უთბობ სადგომში აძინებდა. რომის ბლომად სმას ასწავლიდა და საეკლესიო პროცესების გინებას ათვისებინებდა, მაგრამ, ბუნებით მშვიდი პატარა ვერ ამართლებდა მამის სურვილებს. დედა არასოდეს გვერდით არ იშორებდა: მუყაოს სურათებს ამოუჭრიდა, ამბებს უყვებოდა, მელანქოლიური ხალისითა და ჭარტალა ალერსით აღსავსე მონოლოგებით ებაასებოდა. თავის მარტოობაში ამ ბავშვზე დაამყარა ყველა თავისი აუხდენელი ნატვრა და გაცრუებული იმედი. ოცნებობდა მის მაღალ მდგომარეობაზე, უკვე ხედავდა დიდს, ლამაზს, გონებამახვილს, გზათა და ხიდთა სამმართველოში თუ მაგისტრატურაში რომ იყო მოწყობილი. მანვე ასწავლა წერა-კითხვა და ორი-სამი პატარა რომანსი თავის ძველ პიანინოზე. მაგრამ, ყოველივე ამასთან, ბატონი ბოვარი, ვისაც მწერლობა არაფრად მიაჩნდა, ამბობდა: ეგ საქმე გარჯადაც არ ღირსო. განა შევძლებთ როდისმე სახელმწიფო სკოლაში მივცეთ ბავშვი, ან თანამდებობა თუ სავაჭრო თანხა ვუშოვოთთო? გარდა ამისა, მ ო ხ ერ ხ ებ უ ლ ი კ ა ც ი თ ა ვ ი ს გ ზ ა ს ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ი პ ო ვ ნ ი ს ო ა მ ქ ვ ე ყ ნ ა დ. მადამ ბოვარი ჩარბებს იკვნეტდა. ბავშვი კი სოფელში დაწანწალებდა.

ბავშვი ყანის მუშებს დასდევდა, თან, ბელტებით აფრთხობდა ყვავებს. თხრილების ნაპირებზე მაყვალს ჰკრეფდა, წნელით ხელში ინდაურებს მწყევსავდა, ველში თივას ჰქუბავდა, ტყეში დარბოდა, ავდარში კი ეკლესიის წინ ცალ ფეხზე დახტოდა და მნათეს ეხვეწებოდა, დიდ დღესასწაულებში ნება დაერთო მისთვის ზარები ჩამოერეკა, რომ თოკს დაჰკიდებოდა და ექანავებინა.

ამიტომაც ტანი შუხასავით აუშვა. მკლავები დაეძაგრა, ფერხორციანი გახდა.

თორმეტი წლისა რომ შეიქნა, დედამ მოახერხა სწავლა დაეწყებინებინა. ეს საქმე მღვდელს დაავალეს, მაგრამ გაკვეთილები ისე მოკლე და უწესრიგო იყო, რომ აქედან არაფერი ხეირი გამოვიდოდა. მეცადინეობა ხანგამოშვებით მიმდინარეობდა, სასამსლოში, ზეზე, ნაჩქარევად, ნათლობასა და დამარხვას შუა; მღვდელი კიდევ მაშინ დაუძახებდა ხოლმე თავის მოწაფეს, როცა მწუხრის ლოცვა უკვე გაეთავებინა და წასასვლელიც აღარსად იყო. ავიდოდნენ ზემოთ, ოთახში, დასხდებოდნენ; მუმლი და ღამის პეპლები სანთელს შემოეფრქვეოდნენ; სიცხე იყო, ბავშვს ძილი მოერეოდა; ხოლო მოძღვარი მუცელზე ხელებს დაიწყობდა და

მალე თვითონაც ხვრინს ამრუშვებდა პირდაღებული. ზოგჯერაც, როცა მომაკვდავის საზიარებლად წასული მღვდელი შინ დაბრუნებისას მინდორში ცელქობით გართულ შარლს შეამჩნევდა, მიიხმობდა, თხუთმეტიოდე წუთის განმავლობაში გვარიანად რჯულავდა და, რაკი შემთხვევით სარგებლობდა, იქვე ხის ძირას აუღვლებინებდა რომელიმე ზმნას. ასეთ გაკვეთილებსაც წვიმა და ნაცნობი გამვლელი შეაწყვეტინებდათ ხოლმე, გარნა მღვდელი მაინც მუდამ კმაყოფილი იყო თავისი მოწაფისა და იმასაც კი ამბობდა, ყმაწვილს კარგი მეხსიერება აქვსო.

შარლის განათლება აქ ვერ შეჩერდებოდა. მადამი ენერგიული ქალი იყო. დარცხვენილმა, ან, უკეთ, დაღლილმა, ბატონმა ბოვარიმ წინააღმდეგობის გაუწევლად დაუთმო და ერთ წელს კიდევ მოიცადეს, სანამ ბიჭი პირველ ზიარებას ეღირსებოდა.

კიდევ ექვსი თვე გავიდა; ხოლო ერთი წლის შემდგომ შარლი საბოლოოდ გაგზავნეს რუანის კოლეჟში, სადაც თვით მამამ ვიიყვანა იგი ოქტომბრის დამლევს, წმიდა რომანის ბაზრობის ხანს.

ამჟამად ყოველი ჩვენთაგანისათვის ძნელი იქნებოდა რაიმე მოგვგონებოდა მასზე. მშვიდი ხასიათის ბავშვი იყო, რომელიც გაკვეთილებს შუა, შესვენების დროს თამაშობდა, მეცადინეობის დროს მუშაობდა, კლასში გულისყურიანი იყო, დორტუარში კარგად ეძინა, სასადილოში მადიანად ჭამდა, მეთვალყურედ რკინეულობის ერთი ვაჭარი ჰყავდა განტერის ქუჩაზე, რომელსაც თვეში ერთხელ პანსიონატიდან გამოჰყავდა და ისიც კვირაობით, როცა თავის სავაჭროს დაკეტავდა, გასასეირნებლად ნავსადგურში გზავნიდა გემები დაათვალიერეო; შემდეგ, საღამოს შვიდ საათზე, ვახშმის წინ, კვლავ კოლეჟში აბრუნებდა. ყოველ ხუთშაბათ საღამოს ბავშვი გრძელ წერილს უგზავნიდა თავის დედას, წერილი წითელი მელნით იყო ნაწერი და სამად დალუქული; შემდეგ იგი ისტორიის გაკვეთილების გადაკითხვას შეუდგებოდა, ან ანანახარზისის ძველ ტომს კითხულობდა, საკლასო ოთახში რომ ეგდო. სეირნობის დროს უყვარდა ბაასი მსახურთან, რომელიც მასავით სოფლელი იყო.

ბეჯითი იყო, კლასში მუდამ საშუალო მოწაფედ ითვლებოდა; ხოლო ერთხელ ქების ფურცელიც კი მიიღო ბუნებისმეტყველების ისტორიაში. მაგრამ მესამე კლასის შემდეგ მშობლებმა კოლეჟიდან გაიყვანეს, რათა სამკურნალო სასწავლებელში მიეცათ,

რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ ბაკალავრობას საკუთარი ძალით მიაღწევდა.

დედამ ერთი ოთახი აურჩია ოდერობეკის სანაპიროზე, მეოთხე სართულზე, ნაცნობი მღებრის სახლში. შესანახავ ხარჯზე მოურიგდა. ავეჯი უშოვნა — ერთი მაგიდა და ორი სკამი, — შინიდანაც ალუბლის ხის ერთი ძველი ტახტი მოატანინა და, დასასრულ, ერთი რკინის ღუმელი და შეშის მარაგიც უყიდა, რითაც მისი საბრალო ბიჭი უნდა გამთბარიყო. ერთი კვირის შემდეგ თვითონ წავიდა, ხოლო შვილი ათასჯერ დაარიგა, ჭკუიანად იყავ, რადგან ახლა შენი თავის ამარა ხარ დატოვებულიო.

ლექციების პროგრამამ, რომელიც კედელზე იყო გაკრული, კინაღამ რეტი დაასხა: ანატომიის კურსი, პათოლოგიის კურსი, ფიზიოლოგიის კურსი, ფარმაციის კურსი, ქიმიის კურსი, ახლა კიდევ ბოტანიკა, კლინიკა და თერაპია, ჰიგიენა და ფარმაკოლოგია რომ აღარ ვახსენოთ, ყველა ამ სახელის ეტიმოლოგია უცნობი იყო მისთვის და უზენაესი იდუმალებით აღსავსე ტაძრის კარიბჭეებად ეჩვენებოდა.

არაფერი გაეგებოდა; თუმცა გულმოდგინებით უსმენდა, მაინც ვერ ითვისებდა. მაინც მუშაობდა, დაკინძული რვეულები ჰქონდა; ყოველ ლექციას ესწრებოდა, არც ერთ გამოკითხვას არ უშვებდა. თავის ყოველდღიურ მცირე საქმეებს ისე აკეთებდა, როგორც მუშა-ცხენი, რომელიც თვალახვეული აბრუნებს ჩარხს და არც კი იცის, რა საჭიროებისათვის ტრიალებს ერთსა და იმავე ადგილას.

შვილი რომ ზედმეტი ხარჯისაგან გადაერჩინა, დედა ყოველ კვირა კაცის ხელით უგზავნიდა ფურნეში შემწვარ ხბოს ხორცს, რომლითაც იგი ჰოსპიტლიდან დაბრუნებისას საუზმობდა და თანაც ლანჩებს კედელს უტყაპუნებდა. შემდეგ ლექციებზე უნდა გაქცეულიყო, იქიდან სანატორიუმში, საავადმყოფოში და შინ მრავალქუჩამოვლილი უნდა დაბრუნებულიყო. საღამოს, სახლის პატრონისას მცირე ვახშმის შემდეგ, იგი მაღლა, თავის ოთახში ადიოდა, და კვლავ მუშაობას განაგრძობდა წითლად გახურებული ღუმელის ახლოს, რომლისგანაც სველ ტანისამოსს ორთქლი ასდიოდა.

ზაფხულის მშვენიერ საღამოს, იმ დროს, როცა მოთბილო ქუჩები ცარიელია, როცა მსახური ქალები კარებთან ვოლანს თამაშობენ, იგი თავის ფანჯარას გააღებდა და იდაყვდაყრდნობილი

გადაეყუდებოდა. პატარა მდინარე, რომელიც რუანის ამ უბანს უცნობ პატარა ვენეციად ხდის, მის ქვემოთ, დაბლა მიდორავს, ყვითელი, მოლურჯო, ხანაც ცისფერი, ხიდთა და მოაჯირთ შორის. მდინარის ნაპირს ჩაცუცქული მუშები მკლავებს იბანენ. სხვენებიდან გამოჩრილ ჭოკებზე ბამბის ნართი შრება. პირდაპირ კი, სახურავებს გადაღმა, უსაზღვროდ გაშლილ მოწმენდილ ცაზე წითლად ჩამავალი მზე მოჩანს. რა კარგია, ალბათ, იქ! რა სიგრილეა წიფლებს ქვეშ! და იგი ნესტოებს ბერავდა, რათა ველ-მინდვრის მშვენიერი სურნელება ეყნოსა, რაც იქამდე ვერ აღწევდა.

გახდა, აიწოწა, სახეს ნაღვლიანი იერი მიეცა, რაც თითქმის მიმზიდველს ხდიდა მას.

ცხადია, უდარდელობის გამო, საქმე ისე წავიდა, რომ იგი სრულიად განთავისუფლდა ყველა იმ გადაწყვეტილებისაგან, რაც თითქოს უკვე მიეღო. ერთხელ გამოკითხვას დააკლდა, მეორე დღეს — ლექციას და, რაკი სიზარმაცე გაუტცბა, სწავლას ნელ-ნელა სულაც თავი გაანება.

კაბარეს შეეჩვია, დომინომ გაიტაცა. ყოველ საღამოს კაბარეს დარბაზში ყოფნა და ცხვრის შავადმოწინწკლული ჯაწია ძვლების ტკაპუნი მარმარილოს მაგიდაზე თავისუფლების ძვირფას აქტად ეჩვენებოდა, რაც თითქოს ამაღლებდა საკუთარსავე თვალში. ეს თითქოს მაღალ საზოგადოებაში შესვლა იყო, ნაკრძალავ სიამეთა გემება; და, შესვლისას, კარის სახელურს თითქმის ხორციელი სიამის გრძნობით ეხებოდა. მაშინ ბევრი რამ, რაც მასში დათრგუნული იყო, გამომზეურდა. გულდასმით შეისწავლა კუპლეტები, რომლებსაც შემხვდურ ქალებს უმღეროდა, ბერანჟეს თაყვანისმცემელი გახდა, ისწავლა პუნშის მზადება და, ბოლოს, სიყვარულიც იგემა.

ამ წინასწარი სამზადისის წყალობით, მკურნალის ხარისხის მისაღებ გამოცდაზე სავსებით ჩაიჭრა. შინ კი, იმავე საღამოს მოუთმენლად ელოდებოდნენ, რათა მისი წარმატება ედღესასწაულათ!

შინ ქვეითად გასწია, სოფლის ბოლოს შედგა, დედა გამოიწვია და ყველაფერი უამბო. დედამ აპატია, მარცხი გამომცდელების უსამართლობას დააბრალა, ცოტათი გაამხნევა და საქმის მოგვარებას შეუდგა. ბ-მა ბოვარიმ მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ გაიგო მთე-

ლი სიმართლე. გარემოებას შეურიგდა, რაკი არც იმისი ფიქრი იყო შესაძლებელი, რომ მისი ნაშიერი ყეყეჩია.

შარლი კვლავ შეუდგა მუშაობას და გამოსაცდელი საგნების ყოველი კითხვა წინდაწინვე გაიზეპირა. საკმაო კარგი ნიშნით გავიდა. რა მშვენიერი დღე იყო მისი დედისათვის! ჩინებული სადილი გამართეს.

ახლა, სად უნდა გამოიყენოს თავისი ხელობა? ქალაქ ტოსტში. იქ მხოლოდ ერთი მოხუცი ექიმიღა იყო. მადამ ბოვარი დიდი ხანია მის სიკვდილს ელოდებოდა, მაგრამ მოხუცს ბარგი ჯერ სრულიადაც არ აეკრიფა, რომ შარლი მის პირდაპირ დასახლდა, როგორც მისი მემკვიდრე.

ხოლო საქმე ხომ იმით არ გათავებულა, რომ შვილი აღზარდა, ექიმობა ასწავლა, ტოსტიც აღმოაჩინა ხელობის გამოსაყენებლად: მისთვის ცოლიც იყო საჭირო. დედამ ისიც უპოვნა: დიეპელი საჯამართლოს ბოქაულის ორმოცდახუთი წლის ქვრივი, რომელსაც თორმეტი ათასი ლივრის შემოსავალი ჰქონდა.

მიუხედავად იმისა, რომ იგი ულამაზო იყო, ნაფოტივით გამხმარი და დაჭორფლილიც, ვით გაზაფხული, მადამ დიუბიუკს არჩევანი მაინც არ აკლდა. თავისი მიზნის მისაღწევად დედა-ბოვარი იძულებული იყო სხვა საქმროები ჩამოეშორებინა და საუცხოოდაც დაშალა ერთი მეძეხვის ინტრიგები, ვისაც მღვდლები უჭერდნენ მხარს.

ამ ქორწინებით შარლი თავისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას მოელოდა; ეგონა, უფრო თავისუფალი ვიქნები და საკუთარ თავს ისე დავიჭერ და საკუთარ ფულს ისე მოვიხმარ, როგორც მინდაო. მაგრამ ცოლი გაუბატონდა; მისი კარნახით საზოგადოებაში ესა და ეს უნდა ეთქვა, იმაზე გაჩუმებულიყო, ყოველ პარასკევს უნდა ემარხულებინა, ისე ჩაეცვა, როგორც ცოლი ურჩევდა, დაეჩქარებინა ის კლიენტები, რომლებიც ფულის გადახდას აგვიანებდნენ. ცოლი მის წერილებს ხსნიდა, თვალ-ყურს ადევნებდა მის ყველა მოქმედებას, შირმის უკან ყურს უგდებდა, როცა ქმარი თავის კაბინეტში ქალებს იღებდა.

ყოველ დილას ცოლისათვის ფინჯნით შოკოლადი უნდა მიერთმია და ცდილიყო ყურადღება არ მოეკლო მისთვის. ცოლი განუწყვეტლად უჩიოდა ნერვების აშლილობას, ფილტვების სისუსტეს, საერთო უგუნებობას. ფეხის ხმა აწუხებდა; წავიდოდნენ —

და მარტოობას ვეღარ იტანდა; უკეთუ მასთან იყვნენ, ეს უთუოდ ჩემ სიკვდილს ელოდებიანო. საღამოს, როცა შარლი შინ დაბრუნდებოდა, ცოლი საბნიდან ჩამომჭკნარ მკლავებს გამოიღებდა, კისერზე შემოხვევდა, ლოგინზე დასვამდა და თავის მწუხარებაზე გაუბამდა საუბარს: დაგავიწყდი, სხვა ვინმე გიყვარსო! აკი ეუბნებოდნენ ოდესღაც, უბედური იქნებიო; და იმით ათავებდა, რომ ეხვეწებოდა, რაიმე სარგო წამალი და ოდნავ მეტი სიყვარული გამოიმეტეო.

II

ერთ ღამეს, დაახლოებით თერთმეტ საათზე, ისინი ცხენის ფეხის ხმამ გააღვიძა, ზედ კარებთან რომ შეწყდა. მსახურმა სხვენის სარკმელი გააღო და კარგა ხანს ელაპარაკა ვიღაცას, ქვემოთ, ეზოში რომ იდგა. ექიმის წასაყვანად მოსულიყო, თან ბარათი ჰქონდა, სიცივით აკანკალებულმა ნასტაზიმ კიბე ჩაჰოირბინა, ერთი მეორეზე ბოქლომი და ურდული გამოაძრო. კაცმა თავისი ცხენი დატოვა და მსახურთან ერთად შინ შემოვიდა. მალის ჩაჩიდან ჩვარში შეხვეული წერილი ამოაძრო და თავაზიანად შარლს მიაწოდა, რომელიც წასაკითხავად იდაყვით ბალიშს დაეყრდნო. ნასტაზიმ სანთელი ლოგინთან დაიკავა. მადამი, დარცხვენით, კედლისკენ გადაბრუნდა.

ამ წერილით, ცისფერი ლუქის პატარა ბეჭდით რომ იყო დაბეჭდილი, ბ-ნ ბოვარის ემუდარებოდნენ, დაუყოვნებლივ მისულიყო ბერტოს ფერმაში მოტეხილი ფეხის გასამართავად, ხოლო ტოსტიდან ბერტომდე კაი ექვსი მილი მანძილია, ლონგეევილსა და სენ-ვიქტორზე გავლით. ბნელი ღამე იყო. ახალგაზრდა მადამ ბოვარის ეშინოდა, ქმარს რაიმე არ შეემთხვეს გზაშიო. ასე რომ, გადაწყვიტეს: გამოგზავნილი მეჯინიბე დაიწინაურებს, შარლი კი სამი საათის შემდეგ გაემგზავრება, მთვარის ამოსვლისას. მის შესახვედრად ბიჭს გამოგზავნიან მეგზურად და ჭიშკრის გასაღებად.

დაახლოებით დილის ოთხ საათზე, წამოსასხამში კარგად შეფუთნული შარლი ბერტოს გზას გაუდგა. თბილი ძილით კვლავ მთვლემარე, იგი მშვიდი პირუტყვის მოძრაობით გამოწვეულ რწევას მიუნდო. როცა ცხენი ეკლით შემორგულ სასამნე თხრილებთან უეცრად შედგებოდა, შარლიც მყის გამოიღვიძებდა, მოტეხილ

ფეხს გაიხსენებდა, და ცდილობდა გაეხსენებინა მოტეხილობის ყველა შემთხვევა, რაც კი ენახა. უკვე აღარ წვიმდა, თენდებოდა. ვაშლის ხის უფოთლო ტოტებზე უძრავად შემომსხდარიყვნენ დილის ცივი ქარით ბუმბულაბურძგნული ჩიტები. დაცემული ჭალა თვალმიუწვდენელ სივრცეზე გაჭიმულიყო და ხეთა თაიგულები, კარგა მანძილით ერთმანეთს დაშორებულნი, მოშავო-ლურჯ ლაქებად დასჩნეოდა ვეებერთელა რუხ ფართობს, რომელიც ჰორიზონტზე მოღრუბლულ ცაში იკარგებოდა. დროდადრო შარლი თვალს გაახელდა, მაგრამ აზრი მალე ილულებოდა, თვლემა ერეოდა, რაღაც გარინდებაში იძირებოდა, სადაც წეღანდელი შთაბეჭდილებანი მოგონებათა ბურუსში ინთქმებოდა და თვითონ იგიც ორდებოდა; ისე ეჩვენებოდა, თითქოს ერთსა და იმავე დროს სტუდენტიც იყო, ცოლიანიც, თითქოს მეუღლის ლოგინშიც ეძინა, როგორც ამ რამდენიმე წუთის წინ, და ნაოპერაციევთა დარბაზშიც მიმოდიოდა, ვით ოდესმე. მის თავში კომპრესის თბილი ორთქლი ნამის გრილ სურნელებას ეზავებოდა; რკინის საწოლების რგოლთა წკრიალიც ესმოდა და მძინარე ცოლის სუნთქვაც... როცა ვასონვილს მიუახლოვდა, თხრილის პირას მინდორზე მჯდომარე ბავშვი შეამჩნია.

— თქვენ ექიმი ბრძანდებით? — ჰკითხა ბავშვმა.

შარლის პასუხი რომ ესმა, ხის ფეხსაცმელი ხელში დაიკავა და სირბილით წარუძღვა.

გზადაგზა, გამყოლის ნაამბობიდან მკურნალი მიხვდა, რომ ბატონი რუო ერთ-ერთი კარგა შეძლებული მეურნე უნდა ყოფილიყო. ფეხი გუშინ საღამოს მოეტეხა, ნათლიღების ლხინზე, მეზობლისას. ცოლი ორი წლის წინ გარდაცვლოდა. ახლა ერთადერთი ქალიშვილის ამარა დარჩენილიყო, რომელიც ოჯახში ეხმარებოდა.

ურმის ნაკვალევი თანდათან გაღრმავდა, ბერტოს ფერმას უახლოვდებოდნენ. პატარა ბიჭი ცოცხალ ღობეში გაძვრა და მიიმალა, მერმე ეზოს ბოლოში გამოჩნდა და ჭიშკარი გააღო. სოველ ბალახზე ცხენს ფეხი უსხლტებოდა: შარლი იხრებოდა, ხეებქვეშ მიმავალი. ბეჩოში დაბმული ნაგაზები ჯაჭვებს ჭიმავდნენ და ყეფდნენ. ფერმაში შესვლისას, ცხენი რაღაცამ დააფრთხო. განზე გაუტია.

ფერმა კარგი სანახავი იყო. თავლის ღია კარებში მოჩანდნენ დიდრონი მუშა-ცხენები, რომლებიც მშვიდად ჭამდნენ ახალ ბაგებში. შენობათა გასწვრივ მოჩანდა განიერი სანეხველა, რომელ-

საც ოდნავ ბოლი ასდიოდა, ხოლო იქით, ქათმებსა და ინდაურებს შორის, იქექებოდა ხუთი თუ ექვსი ფარშავანგი — მშვენება ამ კუთხის ეზოებისა. ფარეხი გრძელი იყო, ბეღელი — მაღალი, ხელისგულივით შიშველი კედლებით. ფარდულის ქვეშ ორი დიდი ურემი და ოთხი გუთანი იდგა, თავიანთი შოლტებით, საკისურებით და სრული აკაზმულობით, რომელთა შალის ლურჯი საფარველიც ბეღლიდან ნაფრქვევი მტვრით დაფარულიყო. დაქანებულ ეზოში ხეხილი იყო მწკრივად ჩარგული, ხოლო გუბესთან ბატების გუნდის მხიარული ყიყინი გაისმოდა.

ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ტანთ ეცვა ცისფერი შალის კაბა, კარებში მიეგება ბ-ნ ბოვარის და სამზარეულოში შეიყვანა, სადაც დიდი ცეცხლი გიზგიზებდა. ცეცხლის პირას რამდენიმე სხვადასხვა ზომის ქოთანი იდგა, რომლებშიც მუშების საუზმე იხარშებოდა. იქვე სოველი ტანისამოსი შრებოდა. სანაკვერჩხლე ჩოტი, მაშა და საბერველის ტუჩი, ყველა უზარმაზარი ოდენობისა, ნაფერავი ფოლადივით ბრწყინავდა, ხოლო კედლების გასწვრივ გამართულ თაროებზე მრავალი ჭურჭელი ელაგა, რომლებზედაც კერის ციაგი სინათლე და ამომავალი მზის ფანჯრებს მომდგარი შუქი ლაპლაპებდა.

შარლი პირველ სართულზე ავიდა ავადმყოფის სანახავად. ავადმყოფი ლოგინში დახვდა, საბნებში გახვეული და ოფლიანი, ღამის ჩაჩი შორს გადაეგდო. ეს იყო მომცრო ტანის ლიპიანი, შესახედაობით ასე ორმოცდაათი წლისა, თეთრონა, ლურჯთვალა, თხემმელოტი, საყურეებიანი; სასთუმალთან, სკამზე, არყით სავსე სურა ედგა, რომლიდანაც დროგამოშვებით დაისხამდა ხოლმე ჯანის შესამატებლად, მაგრამ, როგორც კი ექიმი დაინახა, აღტყინება ჩაუქრა და გინების ნაცვლად, რასაც თორმეტი საათის განმავლობაში არ იშლიდა, წყნარად აკვნესდა.

მოტეხილობა მარტივი იყო, ყოველგვარი გართულების გარეშე. ამაზე იოლს შარლი ვერც კი ისურვებდა. გაიხსენა თავის მასწავლებელთა ქცევა დაჭრილთა სარეცელის წინაშე და პაციენტი გაამხნევა ათასნაირი ტკბილი სიტყვებით, ქირურგის ალერსით, სადასტაქრო დანაზე წასაცხებ ზეთს რომ ჰგავს. არტაშნებად ერთი შეკვრა ყავრის ნახეთქები მოუტანეს. შარლმა ერთ-ერთი გამოარჩია, დაჭრა, მინის ნატეხით გაფხიკა, მსახურმა ზეწრები დახია შესახვევად, ხოლო მადმუაზელ ემა კი ყურბალიშების კერვას ცდი-

ლობდა. რაკი დიდხანს ეძებდა თავის საკერავ ხელსაწყოს, მამას ძოთმინება დაელია; ქალმა ხმა არ გასცა, მაგრამ კერვის დროს თითები კი მრავალჯერ დაიჩხვლიტა, ნაჩხვლეტი თითები ტუჩოან მიიტანა ამოსაწუწნად.

შარლი გააკვირვა მისი ფრჩხილების სითეთრემ. გაქათქათებული, ბოლოწვრილი, სალუქი, ვით დიეპის სპილოს ძვლის ნაკეთობანი, და ნუშის სახედ მოქნილი. გარნა ხელი მაინც არ იყო ლამაზი, შესაძლოა, არა საკმაოდ მკრთალი, სახსრებში ოდნავ ხმელი. გარდა ამისა, მეტად გრძელიც იყო და ნაკვთების სირბილეს მოკლებულიც. მისი მშვენება თვალები იყო; თუმცა თაფლისფერი, წამწამთა გამო შავი გეგონებოდა; მზერა მათი პირდაპირი და გულწრფელი შეუპოვრობით იყო აღსავსე.

ფეხის შეხვევა რომ გათავდა, ბ-ნმა როუმ თვით დაპატიჟა ექიმი, სანამ წაბრძანდებოდეთ, ცოტა დაიხემსეთო.

შარლი ქვემო სართულის დარბაზში ჩავიდა. პატარა სუფრა ორი პირისათვის იყო გაშლილი, ზედ ვერცხლის თასები ელაგა; სუფრის ახლოს დიდი საწოლი იდგა, ჩარდახიანი, რომელზედაც თურქთა სახეები იყო ამოჩითული. ფანჯრის პირდაპირ მუხის მაღალი კარადა ამართულიყო, საიდანაც შროშანასი და ნოტიო ზეწრების სუნი დიოდა. კუთხეებში იატაკზე ხორბლიანი ტომრები ეწყო, რაც მეზობელ საკუჭნაოში ვერ დატეულიყო, სადაც სამსაფეხურიანი ქვის კიბე ადიოდა. ოთახის მორთულობას შეადგენდა ფანქრით ნახატი მინერვის თავი, ოქროს ვარაყიან ჩარჩოში ჩასმული; სურათი შუა კედელზე ეკიდა, რომლის მწვანე საღებავიც გვარჯილას ჩამოეშალა; სურათის ბოლოს გოთური ანბანით გაჭოყვანილი იყო: „ჩემს ძვირფას მამას“.

ბაასი ჯერ ავადმყოფზე ჩამოვარდა, მერე ამინდზე, დიდ სიცივეებსა და მგლებზე, ღამე-მობით რომ გარშემო მინდვრებში დაძრწიან. მადმუაზელ რუო ვერავითარ მხიარულებას ვერ პოულობდა სოფლად, განსაკუთრებით ახლა, როცა მთელი ფერმის მოვლა თითქმის მხოლოდ მას აწვა კისრად. რადგან ოთახში ცივოდა, ქალს ჭამის დროს კბილები უკაწკაწებდა, რის გამოც ოდნავ ჩნდებოდა მისი სქელი ტუჩები; ქალს ჩვეულება ჰქონდა სიჩუმის დროს ტუჩები ეკვნიტა.

გადმოფენილი საყელო ქალის თეთრ კისერს აჩენდა. შავი თმა ორ დიდ ნაწნავად ჰქონდა დახვეული, რომელთაგან თვითე-

ული იმდენად სალუქი იყო, რომ ერთ მთლიან ნაკვეთად მოგეჩვენებოდათ; კეფას თმის ვიწრო განაყოფი მისდევდა რკალად ქოჩრისაკენ; ხოლო ქოჩრის უკან უხვ ბოლქვად დაწყობილი ნაწნავები, ყურების ბიბილოებს რომ ვერ ფარავდა, საფეთქლებზე კულულებად ეფინებოდა, რაც სოფლის ექიმმა თავის სიცოცხლეში პირველად მხოლოდ აქ ნახა. ლოყები ვარდისფრად ულვიოდა. კორსაჟის ღილსა და ღილს შუა, მამაკაცივით, კუს ხოკის ლორნეტი ჰქონდა გაჩრილი.

როცა შარლი მოხუც რუოსთან ავიდა გამოსათხოვრად და კვლავ დარბაზში დაბრუნდა, ქალი ფანჯარასთან მიმდგარი ნახა, მინისთვის შუბლი მიეყრდნო და ბაღს გასცქეროდა, სადაც ქარს ლობიოს ჩხირები წაექცია. იგი ექიმისკენ მობრუნდა.

— ეძებთ რასმე? — ჰკითხა.

— ჩემი მათრახი, თუ უკაცრავად არ ვიყო! — მიუგო მან.

ექიმი მათრახს ეძებდა — საწოლზე, კარს უკან, სკამებზე, თურმე ტომრებსა და კედელს შუა ჩავარდნილიყო. ემამ შეამჩნია და ასაღებად დაიხარა. შარლიც, თავაზიანობით, იქითკენ მიიქცა და, როცა ხელი იმავე მიმართულებით გაიწოდა, მისი მკერდი უნებურად დახრილი ქალიშვილის ზურგს შეეხო. აწითლებული ქალი გაიმართა, მხარზემოდან თვალი შეავლო და ხარის ძარღვის მათრახი მიაწოდა.

იმის მაგიერ, რომ ბერტოს სამი დღის შემდეგ მისულიყო, როგორც დაჰპირდა, ექიმი მეორე დღესვე მივიდა, შემდეგ კი ყოველ კვირაში ორ-ორჯერ დაიარებოდა, უკეთუ სათვალავში არ ჩავაგდებთ მოულოდნელ ვიზიტებს, რაც დროდადრო თითქოს შემთხვევით ხდებოდა.

გარნა, ყოველივე კარგად წარიმართა; გამომრთელება წესიერად მიმდინარეობდა და, როცა ორმოცდამეექვსე დღის შემდეგ, მოხუცი რუო თავის ქოხში საკუთარი ფეხით მობორძიკე ნახეს, ბ-ნ ბოვარის ისე დაუწყეს ცქერა, როგორც დიდი ნიჭის პატრონს. მოხუცი რუო ამბობდა, ივეტოს, გინდ თვით რუანის უპირველესი ექიმებიც კი უკეთ ვერ განმკურნავდნენო.

ხოლო შარლი არც კი შეჰკითხებია თავს, რად უხაროდა ასე ბერტოში ხშირი სიარული. რომ დაფიქრებულიყო, ამას ალბათ, თავის ექიმურ გულმოდგინებას მიაწერდა ან კარგი სასყიდლის მოლოდინს. მაგრამ ნუთუ მართლაც ამიტომ იყო ასე მომხიბვლე-

ლი ბერტოში სიარული, რაც აშკარად გამონაკლისს შეადგენდა მისი ცხოვრების უფერულ საქმიანობაში? იმ დღეებში იგი ძალიან ადრე დგებოდა, ცხენს აჩქარებდა, მიაჭენებდა, როცა ჩამოხდებოდა, ბალახზე ფეხს გაიწმენდდა და, სანამ ზღურბლს გადააბიჯებდა, შავ ხელთათმანებს წამოიცვამდა. უყვარდა ამ ფერმის ნახვა, უხაროდა, როცა ეზოში შესვლისას, ბეჭით ჭიშკარს გაეხახუნებოდა, უყვარდა ღობეს შემჯდარი მყივანა მამალი, მის შესაგებებლად გამოსული მსახურნი. მოსწონდა ეს ბეღელი და თავლა; უყვარდა მოხუცი რუო, ტლაშუნით რომ ხელს ართმევდა და თავის მხსნელს ეძახდა. მოსწონდა აგრეთვე მადმუაზელ ემას ხის ქოშების პრაკუნი სამზარეულოს მორეცხილ იატაკზე; ქოშების მაღალი ქუსლები ქალს ოდნავ ამაღლებდა და, როცა იგი წინ გაუვლიდა, ხის ლანჩები სხარტად ეტყაპუნებოდა ქალის ფეხსაცმლის საძირეს.

ქალი ყოველთვის კიბის საფეხურამდე მიაცილებდა ხოლმე, სანამ ცხენს მოგვრიდნენ, იქვე იცდიდა. ერთმანეთს გამოეთხოვებოდნენ და მეტს აღარას ლაპარაკობდნენ, ქარი მისი თმის დაუდეგარ კულულებს ეთამაშებოდა, ან წინსაფრის შესაკრავების ბოლოებს აფრიალებდა, თითქოს ალამიაო. ერთხელ, როცა დათბა და ხეების ქერქი ეზოში სისველით დარბილდა, ხოლო შენობათა სახურავებზე თოვლი ჩამოდნა, ქალი წინკარში გავიდა. ქოლგა აიღო და გაშალა. ქოლგის მტრედისფერი აბრეშუმი მქრქალ ჩრდილებს ესროდა მისი სახის სითეთრეს, ქოლგის ქვეშ მწყაზრად უღიმოდა მოსალბუნე სითბოს; და ქოლგის გადაჭიმულ ქსოვილზე ისმოდა წვეთების წკაპუნი, რიტმულად, ზედიზედ.

ბერტოში სიარულის პირველ ხანს ახალგაზრდა ქ-ნი ბოვარი ყოველთვის კითხულობდა ხოლმე ავადმყოფის ამბავს და თავის შემოსავალ-გასავლის წიგნში ერთი ჩინებული სუფთა გვერდიც კი გაუხსნა ბ-ნ რუოს. მაგრამ, როცა გაიგო, რუოს ქალიშვილი ჰყავსო, ცნობების შეკრებას შეუდგა, შეიტყო, რომ მადმუაზელ რუო მონასტერში, — ურსულიანებთან აღზრდილა და, როგორც იტყვიან, მ შ ვ ე ნ ი ე რ ი გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა ც მიუღია; ცოდნია ცეკვა, გეოგრაფია, ხატვა და პიანინოს დაკვრა. ესღა აკლდა!

— მაშ ამიტომაა, რომ ასე სახეგაბადრული მიეშურება ხოლმე ჰის სანახავად, — ამბობდა ის თავისთვის, — ამისთვისაა, რომ ახალ ჟილეტს იცვამს და წვიმაში მისი გაფუჭებაც არ ენანება? აჰ, ეს ქალი, ეს ქალი!..

და შეიძულა ის ქალი, ინსტინქტურად. პირველად ქარაგმულად გადაუკრავდა ხოლმე სიტყვას. შარლმა ეს ვერ გაიგო, ამას ზოგადი ანალოგიური მსჯელობა მოჰყვა. ქმარი ქარიშხლის შიშით ყურს არ ათხოვებდა, შემდეგ პირდაპირი კვლევა დაიწყო, შარლმა უკვე აღარ იცოდა, რა ეპასუხა.

— რისთვისღა დაიარება იგი ბერტოს, როცა ბ-ნი რუო უკვე განიკურნა და ამ ხალხს ფული ჯერაც არ მოუცია? აჰ, იმიტომ, რომ იქ არის ვიღაც, ერთი ვინმე, ტკბილმოსაუბრე, მქარგავი, კეთილგონიერი! სწორედ ამას ელტვოდა: ქალაქელი ქალები ნებავს, და განაგრძობდა:

— მერედა, მოხუც რუოს ქალიშვილი ქალაქელი ქალია, ერთი მიბრძანეთ, გეთაყვა? — აღშფოთებით ამბობდა ქ-ნი ბოვარი, — მისი პაპა მწყემსი იყო, ხოლო ერთი ბიძაშვილი ჰყავთ და ისიც კინაღამ სისხლის სამართალში მისცეს ერთი უგვანი საქციელის გამო. რის მაქნისია ამდენი ფართიფურთი და კვირაობით ფარჩის კაბებით გამოწყობილი, ვით გრაფინია, ეკლესიაში რომ დაბრძანდება. საბრალო ბერიკაცი, შარშან რომ თალგამის კარგი მოსავალი არ ყოფილიყო, გადასახადთა ნარჩენების გასტუმრებასაც ვერ მოახერხებდა.

შარლს ეს ამბები მობეზრდა და ამიტომ ბერტოში სიარული შეწყვიტა. ელოიზამ ბევრი ტირილისა და უაღრესად აფეთქებული სიყვარულის, ხვევნა-კოცნის შემდგომ, ლოცვანზე ხელი დაადებინა და დააფიცა, რომ ბერტოს ამიერიდან აღარ წავიდოდა; იგი დაემორჩილა, მაგრამ სურვილთ სიმძაფრე მისივე მონური საქციელის წინააღმდეგ ამხედრდა და რაღაცნაირი გულუბრყვილო ორპირობით თავი დაიჯერა, რომ ნახვის აკრძალვა სიყვარულის უფლებას აძლევდა მას. ამასთან ერთად ქვრივი მშლეც იყო, წამოსარული კბილები ჰქონდა და მთელი წლის განმავლობაში ტანზე პატარა შავი შალის წამოსხმა იცოდა, რომლის ყურებიც ბეჭებზე სცემდა; გამხმარსა და ჩამოფერთხილ თეძოზე ვიწრო და მოკლე კაბა ჰქონდა შემოჭერილი, რაც კოჭებსა და დიდი ფეხსაცმელის გადაჯვარედინებულ ბანდულებს ვერ უფარავდა.

შარლის დედა დროგამოშვებით მიდიოდა ხოლმე მათ სანახავად; მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ დედამთილმა მხარი მისცა თავის რძალს და ორივენი დანის პირივით ილესავდნენ ენას მის წინააღმდეგ. იგი ერთობ ბევრსა ჭამს! რა საჭიროა ყოველი გამვ-

ლელ-გამომვლელის გამასპინძლება? ან რა ჯიუტობაა, რომ სათბურს არ იცვამს!

გაზაფხულის პირზე ისე მოხდა, რომ ინგუვილელმა ნოტარიუსმა, ვისაც ქვრივი დიუბიუკის თანხები ებარა, ერთ მშვენიერ დღეს აფრა აღმართა და თავისი მოანაბრის ფულიანად სადღაც გაქრა. მართალია, ელოიზას, გემში მონაწილეობის გარდა, რაც ექვსი ათას ფრანკს უდრიდა, სახლიც ჰქონდა სენ-ფრანსუას ქუჩაზე, მაგრამ მთელი ამ ქონებისა, რომლის შესახებაც ამდენს გაჰკიოდნენ, ოჯახში არაფერი ჩანდა, უკეთუ ცოტაოდენ ავეჯეულობასა და ჭინჭებს ანგარიშში არ ჩავაგდებთ. საჭირო გახდა, რათა ყოველივე მზის სინათლეზე ყოფილიყო გამოტანილი. სახლი დიეპში ვალებით იყო დაღრღნილი თვით ლარტყებამდე; რამდენი ჰქონდა ნოტარიუსს ჩაბარებული, ეს ღმერთმა უწყის, ხოლო გემში მონაწილეობა ათას ეკიუს არ აღემატებოდა. მაშ, იმ კაი ქალმა იცრუა ხომ! გაბრაზებულმა მამა ბოვარიმ სკამი მიწას დაანარცხა და ცოლს აყვედრა, შვილი შენ გააუბედურე, ისეთ ჯახრაკს შეაუღლე, რომლის აკაზმულობაც მის ტყავად არ ღირსო. ისინი ტოსტს ეწვივნენ. შელაპარაკდნენ. იყო სცენებიც. ელოიზა ატირდა. ქმარს ყელზე მოეხვია და ემუდარა, შენი მშობლებისაგან დამიცავიო. შარლმა ქომაგობა განიზრახა. მშობლები გაჯავრდნენ და წავიდნენ.

მაგრამ დაკვრა მოუზომელი გამოდგა. რვა დღის შემდეგ, როცა ელოიზა ეზოში სარეცხს ჰფენდა, ყელიდან სისხლი წასკდა და მეორე დღეს, ქმარი რომ ფანჯრის ფარდას ასწორებდა, ქალმა უეცრად წამოიძახა: „ოჰ, ღმერთო ჩემო“ და გული წაუვიდა. გარდაცვლილიყო. რა საცრებაა!

როცა სასაფლაოზე ყოველივე გათავდა, შარლი შინ დაბრუნდა. ზემო სართულში ავიდა, მისი კაბა საწოლის ჩარდახთან ნახა ჩამოკიდებული; საწერ მაგიდას დაეყრდნო და მწუხარე ფიქრებში წასული საღამომდე უძრავად იჯდა. ბოლოს და ბოლოს ამ ქალს იგი უყვარდა.

III

ერთხელ, დილით, მოხუცი რუო შარლს ეწვია და ფეხის სამკურნალო ფული მოუტანა; სამოცდათხუთმეტი ფრანკი, სულ ორორფრანკიანები, და ერთი ინდაური. გაეგო მისი მწუხარების ამბავი და ანუგეშა, რაც კი შეეძლო.

— ვიცი, რასაც ნიშნავს ესა, — უთხრა და მხარზე ხელი დაუცაცუნა, — მეც აგრე ვიყავი, შენსავით! როცა ჩემი საბრალო დავკარგე, მინდორში წაველ, რათა მარტო დავრჩენილიყავ; ხის ძირას მივეგდე და ვტიროდი, ღმერთს მოვუწოდებდი, სულელეებს ვროშავდი: რატომ მეც აი ის მკვდარი თხუნელა არა ვარ, ტოტზე რომ ჩამოუდვიათ და მატლებს მუცელი გამოუჭამიათ-მეთქი. და როდესაც წარმოვიდგინე, აი ახლა, ამ წუთს სხვები თავიანთ ცოლებთან არიან და ეხვევიან-მეთქი, ჩემი საბიჯგი ავიღე და გაბრაზებულმა მიწას დავუწყე ცემა; გიჟივით ვიყავი, სასმელ-საჭმელს ზედ არ ვეკარებოდი; არ დაიჯერებთ, მაგრამ კაფეში შესვლის ფიქრიც კი მძაგდა. დიახ, ასე იყო, მაგრამ ნელ-ნელა, დღითი-დღე, ზამთარს გაზაფხული წაება, ზაფხულს შემოდგომა, და ესეც ფინჩხა-ფინჩხა, წვეთ-წვეთად დადნა, წავიდა, გაქრა, დაილექა-მეთქი, მინდა ვთქვა, რადგან რაღაც მაინც გრჩება ფსკერში, როგორც... სიმძიმე, იქ, გულის სიღრმეში! მაგრამ, რაკი ჩვენი, ყველას ბედი ასეთია, ამიტომ თავი როდი უნდა მისცე საკვდავ დარდს, აქაოდა, სხვები დაიხოცნენ, მეც სიკვდილი მინდაო; უნდა გამხნევდეთ, ბატონო ბოვარი. ეგ წარმავალია! მობრძანდით, გვნახეთ, ჩემი ქალი დროდადრო, იცით, გიგონებთ, ასე ამბობს, დამივიწყაო. აგერ გაზაფხულიც კარს გვადგას; კურდღლებზე სანადიროდ წაგიყვანთ, ცოტათი გაერთობით.

შარლმა რჩევა დაუჯერა. ბერტოს ესტუმრა; ყოველივე ისე დაუხვდა, როგორც ამას წინათ, ე. ი. ხუთი თვის წინათ ენახა, მსხლის ხეები უკვე ჰყვაოდა; მოხუცი რუო ეზოში დაფუსფუსებდა, რაც ფერმას სიცოცხლეს ჰმატებდა.

მოხუცს თავის მოვალეობად მიაჩნდა ექიმს, მისი მწუხარების გამო, რაც კი შეიძლებოდა, მეტი თავაზიანობით მოპყრობოდა, ამიტომ სთხოვა გარეთ ქუდს ნუ მოიხდიო, დაბალი ხმით ელაპარაკებოდა, თითქოს იგი ავად ყოფილიყოს, და გაჯავრებაც კი განიზრახა, როცა გაიგო, რომ მისთვის განსაკუთრებული რამ ნაზი და მსუბუქი არაფერი მოუმზადებიათ, როგორიცაა კრემი ან მსხლის კომპოტი. მერმე სახუმარო ამბავს მოჰყვა. შარლს სიცილი წასკდა, მაგრამ უმალვე ცოლი მოაგონდა და მოიღუშა. როცა ყავა მოიტანეს, ამის ფიქრიც გაუქრა.

იმის მიხედვით, რაც მარტო ცხოვრებას ეჩვეოდა, ცოლზე სულ ნაკლებსა და ნაკლებს ფიქრობდა. დამოუკიდებლობის ახალი სიამე

მის მარტოობას უფრო ასატანს ხდიდა. ახლა შეეძლო იჯრის საათებიც შეეცვალა, დაუკითხავად წასულიყო და მოსულიყო, ხოლო, როცა დაღლილი იყო, შეეძლო თავის ლოგინზე განიერად გაშლართულიყო. ასე რომ გააზატდა, განებივრდა და სამძიმარსაც მოთმინებით ისმენდა. მეორე მხრით, ცოლის სიკვდილს ხელი როდი შეუშლია მისი საქმიანობისათვის, რადგან მთელი ერთი თვის განმავლობაში სულ ასე გაისმოდა: „საბრალო ყმაწვილი! რა სამწუხაროა!“ სახელი გაითქვა, კლიენტები მოემატა და ბერტოშიც სრულიად თავისი სურვილისამებრ დაიარებოდა. როცა იმედი, გაურკვეველი ბედნიერების გრძნობა ჰქონდა, როცა წვერის დასაოშავად სარკეში ჩაიხედავდა ხოლმე, სახეც უფრო საამური ეჩვენებოდა.

ერთხელ რუოანთსა ნაშუადღევის სამ საათზე მივიდა. ყველა ყანაში იყო გასული, სამზარეულოში შევიდა, მაგრამ პირველად იქ ემა ვერ შეამჩნია: დარაბები მიხურული იყო. ჭუჭრუტანებიდან იატაკზე მზის გრძელი და ვიწრო სხივი დაფენილიყო, ავეჯზე ასხლეტილი ჭერზე ფარფატებდა. სუფრაზე ნახმარ ჭიქებს ბუზები ეხვეოდნენ და შიგ ნარჩენ სიდრში ზუზუნით იხრჩობოდნენ. საკომურიდან დაშვებული სინათლე ჭვარტლს ახავერდებდა, ნაცარს კი ოდნავ აცისფეროვნებდა. ფანჯარას და კერას შუა ემა იჯდა და კერავდა; თავშიშველა იყო, ღია მხრები ოფლით დაცვაროდა.

სოფლის ჩვეულებისამებრ, ქალმა სასმელი რამ შესთავაზა, შარლმა უარი თქვა, ქალი არ მოეშვა და ბოლოს სიცილით დაითანხმა, თითო ჭიქა ლიქიორი ერთად დავლიოთო, კარადაში ერთი ბოთლი კიურასო გამოიღო, ორი ჭიქაც მიაყოლა: ერთი პირამდე აავსო, მეორეში ოდნავ ჩააყონა, სავსე მას მიაწოდა, თავისი ნაკლული მიუჭახუნა და ტუჩთან მიიტანა; ჭიქა თითქმის ცარიელი იყო, უკან გადაიხარა; თავი გადააგდო, ყელი გამოიჩინა. ტუჩები წამოიზარდა და რაკი ვერაფერი იგემა, სიცილი აუტყდა. ენის წვერო წაიგრძელა და ჭიქის ფსკერი გამოლოკა.

კვლავ დაჯდა და მუშაობა განაგრძო: ბამბის თეთრი წინდა ჰქონდა გამოსაკერავი; თავაუღებლად კერავდა, არას ამბობდა, შარლიც დუმდა. კარის ქვემოდან შემონაბერ ქარს ოდნავ მტვერი შემოჰქონდა; შარლი ამ ანიავებულ მტვერს ადევნებდა თვალს და ესმოდა მხოლოდ საკუთარი საფეთქლების ცემა და ეზოდანაც ქათ-

ვის შორეული კაკანი. ემას, დროდადრო, გასაგრილებლად ლოყაზე ხელისგულები მიჰქონდა, ხოლო შემდეგ ხელისგულებს გასაცი-ებლად ბუხრის რკინის რიკულის ბუშტულებს ადებდა.

ქალი ჩიოდა, გაზაფხულიდანვე თავის ბრუალი დამჩემდაო, და ეკითხებოდა, ზღვის აბაზანები ხომ არ მარგებსო; მერმე თავის მონასტერზე ჩამოაგდო სიტყვა, შარლმა კი კოლექი გაიხსენა, ბაა-სი ნელ-ნელა გაიბა. მერმე ქალმა თავის ოთახში აიყვანა; უჩვენა მუსიკის ძველი რვეულები, პატარა წიგნაკები, საჩუქრად რომ მიეღო, და მუხის კუნძლების გვირგვინები, კარადის ქვემო გან-ჯინაში რომ ეყარა; ებაასა თავისი დედის სასაფლაოს შესახებ და ბაღში ის კვალიც კი უჩვენა, სადაც ყვავილებს კრეფდა და ყოველ პარასკევობით დედის საფლავზე მიჰქონდა... მაგრამ მათ მებაღეს ამისი არაფერი გაეგება, საზოგადოდ, ცუდი მსახურები ჰყავთ! მას სწადია, რომ ზამთრობით მაინც იცხოვრონ ქალაქად, თუნდაც. ამ გაუთავებელი კარგი ამინდების გამო, ზაფხულში სოფლად ცხოვ-რება შესაძლოა უფრო აუტანელიც იყოს. და, იმის მიხედვით, თუ რაზე ლაპარაკობდა, მისი ხმა ხან მკაფიო იყო, მაღალი, ხან თითქოს თავის თავს ებაასებაო, უეცრად მინელებული, კილოს იცვლიდა და ჩურჩულით თავდებოდა, — ამ წამს რომ მხიარული იყო და თვალს გულუბრყვილოდ აშუქებინებდა, მყის თვალი მისი ნახევ-რად მოიხუჭებოდა და შიგ მოწყენილობა, დაუცხრომელი ფიქრი გაკრთებოდა.

საღამოს შინ დაბრუნებული შარლი სათითაოდ არჩევდა ქალის ნათქვამ ფრაზებს. ცდილობდა გაეხსენებინა და თავისებურად შეეკვეთა ისინი, რათა ნაწილობრივ მაინც წარმოედგინა მისი ცხოვ-რების ის ხანა, როცა ემას ჯერ კიდევ არ იცნობდა. მაგრამ მის გონებას მუდამ ისე წარმოუდგებოდა ხოლმე, როგორიც პირველად იხილა, ან ისეთი, როგორიც წელან დატოვა. შემდეგ თავის თავს შეეკითხა. ნეტავ, რა მომივა, რომ გათხოვდეს, ან ვის უნდა მით-ხოვდესო. ეჰ, მოხუცი რუო ძალზე შეძლებულია, ქალი კი... ასეთი ლამაზია; ხოლო ემას სახე მუდამ თვალწინ ედგა და რაღაც ერთ-ხმოვანი, თითქოს ჯარას ზუზუნიაო, ყურში ჩასჩურჩულებდა: „შენ რომ შეირთო! შენ რომ შეირთო!“ ღამით ძილი არ ეკარებოდა, ყელში უჭერდა, წყურვილი აწუხებდა; ადგა, წყლიანი დოქი მო-იყუდა, მერე ფანჯარა გააღო; ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი,

ქროდა თბილი ქარი. სადღაც შორს ძაღლები ყეფდნენ. პირი ბერტოსკენ იბრუნა.

რაკი, ბოლოს და ბოლოს, არაფერს ვკარგავო, შარლმა თავის თავს სიტყვა მისცა, პირველი შემთხვევისთანავე წინადადებას მივცემო: მაგრამ ყოველთვის, როცა კი ასეთი შემთხვევა ეძლეოდა, იმის შიშით — ვაითუ შესაფერისი სიტყვები ვერ ვიპოვნოო, მუდამ კრიჭა ეკვროდა.

მოხუცი რუო მაინცდამაინც ნაწყენი არ დარჩებოდა, უკეთუ ვინმე ქალიშვილისაგან გაათავისუფლებდა, რადგან ოჯახში ბევრს არაფერს ეხმარებოდა. თუმცა გულში კიდეც ამართლებდა შვილს. რა მისი ჭკუის საქმეა სოფლის მეურნეობა, ეს დაწყევლილი ხელობა, რითაც მილიონერი ვერასოდეს ვერ გახდებიო. თვით მოხუცი არათუ იგებდა რასმე, პირიქით, ყოველ წელს ზარალში იყო, რადგან, თუმცა ვაჭრობაში მოხერხებული იყო და ბაზრის ხრიკები ერთგვარ სიამესაც კი ჰგვრიდა, სამაგიეროდ, მეურნეობა და მისი გაძღოლა სრულიად მისი საქმე არ იყო. ზურგზე ხელებშემოდებული დაიარებოდა, ყაირათისა არაფერი გაეგებოდა, სურდა ყარგი ჭამა-სმა, სითბო და ტკბილი ძილი, უყვარდა მაგარი სიდრი, ცვრიანი ბივშტექსი და რომიანი კარგად შეზავებული ყავა. სამზარეულოში იჯრობდა ხოლმე, მარტო, ცეცხლის პირას, პატარა სუფრაზე, რომელსაც გაშლილს მიართმევდნენ ხოლმე, ვით თეატრში.

როცა შეამჩნია, შარლს ლოყები უწითლდება ხოლმე ჩემი ქალიშვილის წინაშეო, რაც იმას ნიშნავდა, რომ თხოვნის დრო შორს აღარ იყო, წინდაწინვე მოისაზრა ყოველივე. მართალია, იგი ფუქსავატ კაცად მიაჩნდა და ასეთი სიძე არასოდეს არ უნატრია, მაგრამ სამაგიეროდ უქებდნენ ყოფაქცევას, მომჭირნეობას, კაი აღზრდასა და, ალბათ, მზითევზედაც ბევრს არ ივაჭრებდა. თანაც მოხუცი რუო იძულებული იყო ოცდაორი აკრი მიწა გაეყიდა, რათა ზოგი კალატოზისთვის გადაეხადა, ზოგი სარაჯისათვის, საწნახელისათვის კიდევ ხრახნი უნდა გამოეცვალა.

— თუკი მთხოვს, მივცემ, — თავის თავს ეუბნებოდა.

მთავარანგელოზობის მოახლოებისას, შარლი სამი დღით ეწვია ბერტოს ფერმას. უკანასკნელი დღეც ისე გავიდა, როგორც პირველი, ყოველ წუთში ყოყმანით. მოხუცმა რეომ გააცილა, ოღროჩოღრო გზით მიდიოდნენ; აი კიდეც უნდა გამოეთხოვონ

ერთმანეთს; დადგა გადამწყვეტი წუთი. შარლმა თავს ვადა მისცა ღობის ყურემდე და, ბოლოს, როცა ესეც გაიარეს,

— ბატონო რუო, — წაიბუტბუტა შარლმა, — რამე უნდა გითხრათ.

შეჩერდნენ, შარლი დუმდა.

— ჰო, მითხარით, რა ამბავია! განა მე კი არ ვიცი? — ნაზი ღიმილით თქვა მოხუცმა.

— მამილო რუო... მამილო რუო... — ბუტბუტებდა შარლი.

— მე, ჩემი მხრით, უკეთესს ვერ ვინატრებდი, — განაგრძო მოხუცმა, — ალბათ პატარაც ჩემი აზრისაა, მაგრამ მაინც უნდა ვკითხოთ. განაგრძეთ თქვენი გზა; მე შინ მივბრუნდები. თუ თანახმა იქნა, კარგად მისმინეთ, თქვენი დაბრუნება საჭირო არაა, ხომ იცით ხალხის ამბავი; გარდა ამისა, თვითონაც ძალზე აღელდება. მაგრამ თქვენ რომ აქ უბრალოდ არ იტანჯოთ, მე ფანჯრის დარაბას გავაღებ სრულიად, კედლამდე, თქვენ შეგეძლებათ მისი დანახვა, თუ ღობეზე ოდნავ გადმოეკიდებით.

და იგი შინისაკენ წავიდა.

შარლმა თავისი ცხენი ხეს მიაბა. ჩირგვებში შეძვრა, ელოდებოდა. ნახევარი საათი გავიდა; მერმე ცხრამეტი წუთი, თვით დათვალა თავის საათზე. უეცრად, კედელზე დიდი ბრახუნი გაისმა, დარაბა გაიღო, ურდული კიდევ ჭანაობდა.

მეორე დღეს, დილის ცხრა საათზე, იგი უკვე ფერმაში იყო, მის დანახვაზე ემა წამოწითლდა და ზრდილობისათვის გაღიმება სცადა. მოხუცი რუო თავის მომავალ სიძეს მოეხვია. მერმე ბაასი მზითევს შეეხო; თუმცა დრო საკმაო ჰქონდათ, რადგან ქორწილი მანამდე ვერ მოხდებოდა, სანამ შარლი არ გამოიგლოვდა, ესე იგი, მომავალი წლის გაზაფხულამდე.

ზამთარი ამ მოლოდინში გავიდა. მადმუაზელ რუო მზითვის მზადებას შეუდგა. ნაწილი რუანში შეუკვეთეს, პერანგები და ღამის თავსაფრები თვით გაიკეთა იმ ნახატების მიხედვით, რაც მოდის ნათხოვარ ჟურნალებში იპოვნა, ფერმაში შარლის ყოფნისას ლაპარაკობდნენ ხოლმე ქორწილის სამზადისზე, არჩევდნენ, თუ რომელ ოთახში გაიმართოს სადილიო; ოცნებობდნენ კერძთა რაოდენობასა და იმაზე, თუ რა უნდა მიართვან პირველად.

ემას, პირიქით, ქორწილი ღამით სურდა, ჩირაღდნებით, მაგრამ მოხუცმა რუომ ამგვარი სურვილისა ვერაფერი გაიგო. ასე

რომ, გადაიხადეს ქორწილი, რომელსაც ორმოცდასამი კაცი დაესწრო; ლხინი თექვსმეტ საათს გრძელდებოდა. მეორე დღეს განახლდა და რამდენიმე დღეს კიდევ არ შეწყვეტილა.

IV

სტუმრებმა ადრიანად იწყეს მოსვლა სხვადასხვა ეკიპაჟებით; ერთცხენიანი კაბრიოლით, ორთვლიანი შარაბანით, უჩარდახო ძველი კაბრიოლეტით, ტყავის ლაფათინიანი ფურგონით; ახლო სოფლების ახალგაზრდები ურემში იდგნენ, მწკრივად, და ხელით საგვერდულებზე დაყრდნობილნი, რათა არ წაქცეულიყვნენ, დიდი სისწრაფითა და საშინელი ჯახჯახით მოექანებოდნენ. მოვიდნენ ათი ლიეს მანძილით დაშორებულნი, გოდერვილიდან, ნორმანვილიდან და კანიდან, ორივე ოჯახის ყველა ნათესავი იყო დაპატიჟებული, დამდურებულებს ამ შემთხვევისათვის შეურიგდნენ, დიდი ხნის უნახავი ნაცნობები წერილით მოიწვიეს.

ღობის გადაღმა დროდადრო ისმოდა შოლტის ტყლაშუნი, ჭიშკარი გაიღებოდა და ეზოში ეკიპაჟი შემოდიოდა. ეკიპაჟს ზედ კიბის პირველ საფეხურს მოაყენებდნენ, შიგ მჯდომნი ყოველი მხრიდან ჩამოდიოდნენ, მუხლებს იზელდნენ, მკლავებს იმართავდნენ. ქალები ქალაქურად იყვნენ მორთულნი: თავზე ბონეტი, კისერზე საათის ოქროს ძეწკვი, ტანზე პელერინა, რომლის ქიმებიც წელზე ჰქონდათ გადაჯვარედინებული, ან პატარა ფერადი გარუსი, რომელიც ზურგზე ქინძისთავით იყო დამაგრებული ისე, რომ მის პატრონს კისერი უჩანდა. თავიანთი მამებივით ჩაცმული მოზარდები, ჩანდა, თავს უხერხულად გრძნობდნენ ახალ ტანისამოსში (ბევრ მათგანს ფეხსაცმელი სწორედ იმ დღეს განეახლებინა თავის სიცოცხლეში); მათ გვერდით სულგანაბული იდგა თოთხმეტი-თექვსმეტი წლის გოგონა, ალბათ, და ან ბიძაშვილი, თეთრ კაბაში გამოწყობილი, რომელიც პირველი ზიარებისთვის იყო შეკერილი, ახლა კი დაგრძელებული ამ შემთხვევისათვის. სახე წითელი ჰქონდა, შეშფოთებული, თმა პომადით ძალზე გაქონილი, მეტად უფრთხილდებოდა თავის თათმანებს, არ გამესვაროსო. რადგან იმდენი მსახური არ იყო, რომ ეტლები გამოეხსნათ, სტუმრები იკაპიწებდნენ და თვით აკეთებდნენ ამ საქმეს. მათი სოციალური სხვადასხვა მდგომარეობის შესაფერისად, მათ ტანთ ეცვათ ფრაკი ან

სერთუკი, პიჯაკი, მოკლე ჯუბა, — საუკეთესო რამ საცმელი, რაც მთელი ოჯახის მშვენებას შეადგენდა და რაც მხოლოდ დღესასწაულებში ამოდიოდა სკივრიდან: ცილინდროვან-საყელოიანი და ჯიბეტომარა რედინგოტი, რომლის გრძელ კალთებსაც ქარი აფრიალებდა; სქელი მაუდის პიჯაკი, რომელსაც ჩვეულებრივად თან ახლდა კასკეტი, წინაფრაზე რომ სპილენძი ჰქონდა შემოჭედილი; მოკლე ჯუბა, საქამრესთან რომ ახლო-ახლო ორი ღილი ეკერა, თითქოს წყვილი თვალიაო და რომლის კალთებიც თითქოს ხურის ნაჯახით იყო მოჭრილი. ზოგიერთს კიდევ (ასეთები, რასაკვირველია, სუფრის ბოლოს უნდა მჯდარიყვნენ) ტანთ ეცვათ საყელოგადმოფენილი, ზურგზე დანაოჭებული საზეიმო ბლუზა და ზედ ნაქსოვი ქამარი ერტყათ.

პერანგები მკერდზე ჯავშანივით ამობურცულიყო! მამაკაცებს თავები ახალგაკრეჭილი ჰქონდათ, ყურები წამოლაფათინებული, წვერი წმინდად გაპარსული; ზოგიერთი ალბათ ადრე ამდგარიყო წვერის გასაპარსავად, სიბნელეში კარგად ვერ დაენახა, ცხვირქვეშ თუ ყბებზე კანი გვარიანად დაესერა, ზოგს კიდევ სამფრანკიანის ოდენა ნაფხეკი ემჩნეოდა სახეზე, რაც გზაში ჰაერის მოძრაობას გაეწითლებინა; ამის გამო ყველა ეს ფართო მოზეიმე სახე მარმარილოს ძარღვებივით იყო ოდნავ აჭრელებული.

ქალაქის სამმართველო ნახევარი ლიეს მანძილზე იყო დაშორებული და ამიტომ იქითაც და აქეთაც მაყრიონს ფეხით მოუხდა სიარული. კორტეჟი ჯერ ერთი მთლიანი ფერადი შარფივით გაიჭიმა მინდორში, ჯეჯილების ვიწრო სამნების გასწვრივ, მერმე კი ცალკე ჯგუფად დაიშალა, რომლებიც ბაასში ერთმანეთს ჩამოშორდნენ. ვიოლინოს დამკვრელი ყველაზე წინ მიდიოდა, თავისი საკრავი ბაფთებით ჰქონდა მორთული; მას მისდევდნენ ნეფედედოფალი, შემდეგ მშობლები და ნათესავები, კვლავ მეგობრები, ბოლოს კი ბავშვები, რომლებიც ანცობით ქერის თავთავებს გლეჯდნენ და ცელქობდნენ ისე, რომ დიდებს არ შეენიშნათ. ემას მეტად გრძელი კაბა მიწაზე ოდნავ ეთრეოდა: ხანდახან იგი შედგებოდა, კაბის ბოლოს ასწევდა და თათმანიანი ვიწრო თითებით ხმელ ბალახს ან ბირკას მოაშორებდა, შარლი კი ხელებდაშვებული იდგა და ელოდებოდა. მოხუც რუოს აბრეშუმის ახალი ცილინდრი ეხურა, ტანთ ეცვა შავი საცმელი, რომლის სახელოებიც თითქმის ფრჩხილებამდე წვდებოდა, მკლავი შარლის დედისათვის

გაეყარა და დინჯად მიაბიჯებდა. რაც შეეხება მამა ბოვარის, რომელსაც გულში კიდევაც ეზიზღებოდა მთელი ეს ხალხი, სამხედრო ფორმის უბრალო რედინგოტი ეცვა, ღილები რომ ერთ მწკრივად ჰქონდა ჩაყოლებული; იგი გაბედულად ექათინაურებოდა გლეხის ქერა ქალს, რომელიც თავს ხრიდა, წითლდებოდა და არ იცოდა, რა ეთქვა. დანარჩენი წვეულები თავიანთ საქმეზე ბაასობდნენ, ან ერთმანეთს დასცინოდნენ და ადრევე სამხიარულო გუნებას იქმნიდნენ. მუსიკოსი კი უკრავდა და ვიოლინოს წკრიალი მინდვრებს ეფინებოდა. როდესაც იგი შეამჩნევდა, ძალზე ჩამორჩენო, შედგებოდა, შეისვენებდა, დიდხანს და ბეჯითად უსვამდა კანიფოლს თავის სოლინარს და კვლავ სიარულს განაგრძობდა; საკრავის ტარი რიტმულად ადიოდ-ჩამოდიოდა მის ხელში, რათა ამით თავისთვის ტაქტი მკაფიოდ აღენიშნა. საკრავის ხმა შორიდანვე აფრთხობდა პატარა ჩიტებს.

სუფრა ურმების ფარდულში გაეშალათ. მას ამშვენებდა ოთხი ხონჩა შემწვარი, წიწილების ექვსი ფრიკასე, მოხრაკული ხბოს ხორცი, ცხვრის სამი ბაყვი და შუაში მშვენიერი შემწვარი გოჭი, რომელსაც გარს შემოწყობილი ჰქონდა ჭაუნით შენელებული კუპატები. კუთხეებში სურებით არაყი იდგა. ტკბილი სიდრი ბოთლების საცობებში ამოქაფებულიყო, ხოლო ჭიქები წინასწარ პირამდე გაევსოთ ღვინით. ყვითელი კრემით სავსე უზარმაზარი მათლაფები სუფრის ოდნავ შერხევაზე თრთოდა; მათ მთლიან ზედაპირზე ახლადდაქორწინებულთა ინიციალები იყო ხლართულად გამოყვანილი. ტორტებისა და ნუგას მოსამზადებლად კონდიტერი ივეტოდან მოეწვიათ; იგი ამ კუთხეში პირველად იყო, განსაკუთრებულად ცდილობდა, და ისეთი დესერტი მოართვა, რამაც საერთო ყიჟინა გამოიწვია: საფუძვლად ამ დესერტს ლურჯი შუყაოს ოთხკუთხედი ედო, ტაძრის სახით გამოჭრილი კოლონადებითა და ქანდაკებებით; ნიშებში ოქროვანი ქაღალდის ვარსკვლავები ბრწყინავდა; მეორე სართულს წარმოადგენდა სავოას ტორტი — კოშკი, რომელსაც სიმაგრეებად და სათოფურებად სხვადასხვა ცუკატი, ნუში, ქიშმიში, ფორთოხლის ჭეობები ჰქონდა. და, ბოლოს, სულ ზემო პლატფორმაზე, რომელიც მწვანე ველს წარმოადგენდა, და სადაც კლდეებს შორის მურაბის ტბა იყო გაკეთებული და ზედ ნიგვზის ნაჭუჭის ნავები, ქანაობდა ამური შოკო-

ლადის პაწია საქანელაზე, რომლის ბოძებსაც ცოცხალი ვარდის ორი კოკორი აგვირგვინებდა.

ლხინი საღამომდე გაგრძელდა, როცა ჯდომით ძლიერ დაიღლებოდნენ, ეზოში გაივლ-გამოივლიდნენ, ან ბეღელში ერთ ხელ „ბუშონს“ წაითამაშებდნენ და კვლავ სუფრას მიუჯდებოდნენ. ზოგიერთს, დასასრულ, იქვე ჩაეძინა და ხვრინი ამოუშვა. მაგრამ ყავის მორთმევისას ყველაფერი გამოცოცხლდა; გაისმა სიმღერები, ზოგი ღონესა და სიმარჯვეში გაეჯიბრა ერთიმეორეს. სწევდნენ სიმძიმეებს, ცერის საშუალებით ფოკუსებს აკეთებდნენ, ერთმანეთს აქეზებდნენ — აბა იმ ურემს ვინ გაიდებს მხარზეო, ლაზღანდარობდნენ და ქალებს ეხვეოდნენ. საღამოს, როცა წასვლის დროს მოატანა, ყელამდე ქერით მაძღარი ცხენები გაზანტდნენ და გაჭირდა მათი შებმა: იტლინკებოდნენ, ყალხზე დგებოდნენ, მოსართავს წყვეტდნენ; მათი პატრონებიც ან იგინებოდნენ, ან ხარხარებდნენ; და მთელი ღამე, მთვარიანში, გარემოს გზებზე ისმოდა ეტლების გრიალი, ქვებში, ყორეებში, ოღროჩოღროებში მათი თავაწყვეტილი სრბოლა და ხარხარი; შეშინებული ქალები გამირს ეკიდებოდნენ და სადავეებს ებღაუჭებოდნენ.

ბერტოში დარჩენილნი მთელი ღამე ქეიფობდნენ სამზარეულოში. ბავშვებს სკამლოგინების ქვეშ მიეძინათ.

დედოფალი მამას ემუდარებოდა, ჩვეულებრივ ხუმრობას გადავარჩინეო. მიუხედავად ამისა, მათმა ერთ-ერთმა ბიძაშვილმა, ხელობით მეთევზემ (რომელმაც საქორწილო ძღვნად ერთი წყვილი კამბალა მოიტანა) პირში წყალი დაიგუბა და ნეფე-დედოფლის სანთიობოს საკლიტურში შესხმა განიზრახა, მაგრამ სწორედ ამ დროს მოხუცი რუო თავს წამოადგა და დაუშალა, თანაც განუმარტა, ჩვენი სიძის დარბაისლობას ასეთი ხუმრობა არ შეეფერებაო, გარნა ბიძაშვილმა ძლივს დაიჯერა მისი საბუთიანობა, გულში კი ამკარად ააუგებდა სიამაყისა და განდიდებისათვის; ნაწყენი წავიდა და სტუმართა ერთ ჯგუფს მიუჯდა, რომელსაც სადილზე შემთხვევით ხორცის ცუდი ნაჭრები რგებოდა ზედიზედ და ამის გამო აგრეთვე ნაწყენი იყო მასპინძლობით. ისინი ჩურჩულით მასპინძელს კილავდნენ და გაკვრით ოჯახის დაქცევას უსურვებდნენ.

უფროს ქ-ნ ბოვარის მთელი დღე კრიჭა არ გაუხსნია. მას არც დედოფლის მორთულობის ჰკითხეს რამე და არც ქორწილის მოწყობისა, ამიტომ ადრიანად წავიდა. მისმა მეუღლემ, იმის მა-

გიერ, რომ გაჰყოლოდა, სენ-ვიქტორს კაცი გაგზავნა სიგარებზე, გათენებამდე ეწეოდა, თანაც ალუბლის გროგს წრუპავდა; ამგვარად შემზადებული გროგი სოფლელებს ჯერ არ ენახათ, რამაც მათ თვალში მეტი ფასი დასდო მოხუც. ბოვარის.

შარლი ბუნებით ხუმარა არ იყო, ამიტომ ქორწილში თავი არაფრით გამოუჩენია, იგი უხერხულად უპასუხებდა ხოლმე ხუმრობაზე, სიტყვამოსწრებულობაზე, ორაზროვნობაზე, ქათინაურებსა და ლაზღანდარობაზე, რაც სადილის დაწყებისთანავე დააყარეს თავს.

სამაგიეროდ, მეორე დღეს იგი სულ სხვა იყო. გუშინდელ ქალწულს უფრო ჰგავდა, მაშინ როცა ნამდვილ პატარძალს არავითარი ცვლილება არ ეტყობოდა. ყველაზე უფრო ცბიერნი ვერავითარ საეჭვოს ვერ პოულობდნენ და ფოცა ემა მათ ახლო გაივლიდა, ამაოდ იცვეთდნენ ენას. შარლი კი არაფერს მალავდა. თავის ცოლს ეძახდა, შენობით ელაპარაკებოდა, ყველას მის შესახებ ეკითხებოდა, მუდამ უკან დასდევდა; ხშირად ეზოში გაიყვანდა და იქ, ხეებს შორის, ჩანდა, როგორ ხვევდა წელზე ტელს, მისკენ იხრებოდა და გულში ეხუტებოდა.

ქორწინების ორი დღის შემდეგ ცოლ-ქმარი წავიდა, შარლს არ შეეძლო დიდი ხნით თავისი ავადმყოფების მიტოვება. მოხუცმა რუომ თავისი კაბრიოლი შეაბა და თვითონაც ვასონვილამდე გაჰყვა. იქ უკანასკნელად მოეხვია თავის ქალს, ჩამოხდა და შინ დაბრუნდა. როცა ასიოდე ნაბიჯი გაიარა, შედგა, მტვერში გახვეულ კაბრიოლს თვალი გაადევნა და ღრმად ამოიოხრა. გაახსენდა თავისი დაქორწინება, საკუთარი წარსული, ცოლის პირველი ორსულობა; მაშინ ესეც ძალიან მხიარული იყო, როცა თავისი პატარძალი მშობლების ოჯახიდან შინ მიჰყავდა; უნაგირის უკან უჯდა, ცხენი ლაღად მიგელავდა ახალ თოვლში, რადგან შობის წინა დღეები იყო და მთელი სოფელი თეთრად იყო შემოსილი; ქალი ცალი ხელით მის წელს ეხვეოდა, მეორეში კი კაბის ბოლო ეჭირა; ქარი მისი ნორმანდიული თავკაზმულობის გრძელ არშიებს აფრიალებდა და რუოს ტუჩს ულამუნებდა; უკან მიხედვისას, საკუთარ ბეჭთან პაწია მწყაზარი სახე ჩანდა, რომელიც უხმოდ ულიმოდა, დროდადრო თავის პატარა თითებს გასათბობად უბეში უყოფდა. რამდენი ხანი გავიდა მას აქეთ! მათი ვაჟი ახლა ოცდაათი წლისა იქნებოდა! კვლავ უკან მიიხედა, მაგრამ გზაში უკვე ველარავინ დაი-

ნახა. ისეთი ნაღველი იგრძნო, ვით დაცარიელებულ სახლში; ნაბახურევ თავში ტკბილი მოგონებანი მწარე ფიქრებს შეერთო და ერთი წუთით გზის გადახვევა და ეკლესიისაკენ გავლა მოუნდა. მაგრამ, შეშინდა, საფლავის ნახვამ უფრო მეტი ნაღველი არ მომგვაროსო და პირდაპირ შინისაკენ გასწია.

ახალჯვარდაწერილნი შინ საღამოს ექვს საათზე მივიდნენ. მეზობლები ფანჯრებს მოადგნენ, რათა თავიანთი ექიმის ახალი ცოლი დაენახათ.

ძველი გადია ემას წარუდგა, მიულოცა, მერე ბოდიში მოიხადა, სადილი ჯერ მზად არ არისო, და ამასობაში სახლის დათვალიერება ურჩია.

V

აგურის წინამო პირდაპირ ქუჩაში, ან უკეთ რომ ვთქვათ, გზაზე გამოდიოდა. კარს უკან ლურსმანზე ეკიდა კაპიუშონიანი მანტო, იქვე აღვირი და შავი ტყავის კასკეტი, ხოლო ერთ კუთხეში, იატაკზე, ტალახიანი მესტები ეყარა. მარჯვნივ დარბაზი იყო, ესე იგი აპარტამენტი, სადაც სადილობდნენ და ისვენებდნენ. ქაღალდის მოყვითალო შპალიერი, რომელსაც ზემოთ ყვავილთა ბაკიდოს გახუნებული არშია ჰქონდა შემოვლებული, ერთიან ირხეოდა ცუდად გადაჭიმულ ტილოზე; წითელი ყაითნით მოქარგული, თეთრი მიტკლის ფარდები ფანჯრებს ჯვარედინად ეკიდა; ბუხრის ვიწრო გამირზე, ნაჭედი ვერცხლის შანდლებს შუა, მინის ხუფებით რომ იყო დაცული, ჰიპოკრატეს ბიუსტიანი საათი იდგა. ტალანის მეორე მხარეს შარლის კაბინეტი იყო. ექვსი ნაბიჯი სივრცის პატარა ოთახი, საწერი მაგიდით, სამი სკამითა და ერთი სავარძლით. სამკურნალო მეცნიერებათა ლექსიკონის გაუჭრელი, მაგრამ ხშირი ყიდვა-გაყიდვის გამო გაცვეთილი ტომები ამშვენებდნენ მხოლოდ ნაძვის ხის საწიგნე კარადის ექვს თაროს. კაბინეტში, მიღების დროს, სამზარეულოდან ტუსის სუნი შემოდიოდა, სამზარეულოში კი ავადმყოფების ხველება და სატკივარზე ჩივილი ისმოდა. შემდეგ იყო ერთი ჩამოგლეჯილი დიდი ოთახი, რომელიც ფარდულის პირდაპირ ეზოში გადიოდა, ამ ოთახში მოთავსებული იყო ფურნე, იგივე წარმოადგენდა საშეშეს, საკუჭნაოს, საწყობს, სადაც უთავბოლოდ ეყარა ძველი რკინეულობა.

ცარიელი კასრები, სოფლის მეურნეობის უვარგისი იარაღები და ბევრი ისეთი მტვრიანი რამ, რომელთა დანიშნულების გამოცნობაც შეუძლებელი იყო.

გრძელი და ვიწრო ბაღი, ორ თიხის კედელს შუა მოქცეული და ჭერმებით შემორგული, ეკლის ღობით თავდებოდა, რომელიც მას იქით გაშლილი მინდვრებისაგან გამოჰყოფდა. შუა ბაღში მოწყობილი იყო ფიქალის მზის საათი, რომელიც ქვის კვარცხლბეკზე შეედგათ. მჭლე ნარით შემორგული ოთხი კვალი სიმეტრიულად ერტყა გარს უფრო გამოსადეგ ოთხკუთხედს, სადაც უფრო მნიშვნელოვანი მცენარეულობა იყო დარგული. ბაღის ბოლოს, პატარა ნაძვებში, თაბაშირის მღვდელი ლოცვანს კითხულობდა.

ემა ზემო სართულის ოთახებში ავიდა. პირველი სრულიად მოუწყობელი იყო; მეორეში, რომელიც ცოლ-ქმრის საწოლი ოთახი იყო, წითლით დაჩარდახებული წითელი ხის საწოლი იდგა. კომოდზე სადაფით ნაჭედი კოლოფი იდო; ხოლო საწერ მაგიდაზე, ფანჯარასთან სურაში თეთრი სატინის ბაფთით შეკრული ნარინჯის ყვავილების თაიგული ჩაედგათ. ეს იყო საქორწინო, იმ მეორის საქორწინო თაიგული! ქალი თაიგულს დააცქერდა. შარლმა შეამჩნია, თაიგული აიღო და სხვენში აიტანა. ამასობაში სავარძელში მჯდომარე ემა (იქვე ნივთებს ალაგებდნენ) თავის თაიგულზე ფიქრობდა, მუყაოს კოლოფში რომ იყო დაცული. ნეტავ იმას რაღა მოუვა, უეცრად რომ მოვკვდეო.

პირველ დღეებში იმაზე ფიქრობდა, რა შეეცვალა ამ სახლში. შანდლებს მინის ხუფები მოაშორა. ოთახში ახალი შპალიერი გააკვრევინა. კიბე შეაღებინა, ხოლო ბაღში მზის საათის ირგვლივ სკამლოგინები დაადგმევინა; კითხულობდა, თუ შეიძლება აუზის მოწყობა შადრევანითა და თევზებითაო. დასასრულ, რაკი შარლმა იცოდა, ემას ეტლით სეირნობა უყვარსო, შემთხვევით ერთი შარაბანი იყიდა, რომელიც, როცა ახალი ფარნები დაუდგეს და ტყავის მოგვირისტებული ლაფათინებიც მიაკერეს, თითქმის ტილბურის დაემსგავსა.

ასე რომ, შარლი ბედნიერი იყო და სრულიად აღარაფერი ადარდებდა. მასთან მარტოდმარტო იჯრობა, საღამოთი დიდ გზაზე გასეირნება, მისი ხელის მოძრაობა თმის გასასწორებლად, შესახედაობა მისი ჭილის ქუდისა, ფანჯრის კარბაზე რომ ეკიდა ხოლმე, და ბევრი რამ სხვაც, რისი მშვენება წინათ აზრადაც არ მო-

სვლია, ახლა მისი ბედნიერების დაუსრულებელ სიამეს წარმოადგენდა. დილით, ლოგინში, მასთან ერთ ბალიშზე თავდადებული შარლი სიამით უცქერდა ხოლმე, როგორ ავარაყებდა მზის სხივი ქინქლს მის ვარდისფერ ღაწვთა, რომლებიც ჩაჩის ფოჩვებით ნახევრად დაბურულიყო. ასე ახლოს ნახული მისი თვალებიც უფრო გაფართოებული ეჩვენებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ახალგაღვიძებული ემა წამწამებს ხშირად აფახურებდა; ჩრდილში მოშავო, დღის სინათლეზე კი მუქი ცისფერი თვალები მისი, თითქოს ფერადთა რამდენიმე ფენას შეიცავდა ზედიზედ, ფსკერში უფრო სქელსა და სარკის ზედაპირისკენ კი უფრო და უფრო ღიას. შარლის ცქერა ამ თვალთა სიღრმეში ინთქებოდა; იგი იქ ხედავდა თავისივე თავს, დაპატარავებულს, მხრებამდე ფულარით თავწაკრულსა და მკერდგაღეღილს. შარლი ადგებოდა, ემა კი ფანჯარას მიადგებოდა და მიმავალს თვალს გააყოლებდა; ასე დარჩებოდა ფანჯარაზე იდაყვდაყრდნობილი, გერანიუმის ქოთანთა შორის, თავის განიერ პენუარში გახვეული. შარლი ქუჩაში ქვის ტუმბოზე ფეხს შედგამდა დეზების შესაკრავად, ეს კი ზემოდან ელაპარაკებოდა, თან ტუჩით ყვავილს ფურცელს ან ფოთოლს შეაწყვეტდა და მისკენ შეუბერავდა; ფურცელი გაფრინდებოდა, შეტორტმანდებოდა, ვით ჩიტი, ნახევარ წრეს შემოავლებდა, სანამ კარებთან უძრავად მდგომ ბებერი თეთრი ფაშატის უვარცხნელ ფაფარში გაეჩრებოდა. ცხენზე შემჯდარი შარლი ჰაეროვან ამბორს გაუგზავნიდა, იგიც ანიშნებდა, ფანჯარას მიხურავდა, შარლი წავიდოდა. შემდეგ კი დაუსრულებელ მტვრიან ლენტივით გაჭიმულ დიდ გზაზე, ოღროჩოღრო სასოფლო შარაზე, სადაც ხეებს თაღები შეუკრავთ, ყანების სამნების გასწვრივ, სადაც ხორბლის თავთავი მუხლებამდე სწვდება, მზის სხივებით მხრებზე, მკერდში დილის ჰაერით, წუხანდელი ღამის სიამით გულსავსე, სულდამშვიდებული და სხეულდაამებული ვიდოდა და თავისი ბედნიერებით პირს იტკბარუნებდა ვით იგი, ვისაც გემრიელი შაქარლამა უჭამია, ხოლო გემოვნება მისი კი პირს ჯერ კიდევ არ მოშორებია.

აქამდე ნეტავ კარგი რა განიცადა მან თავის სიცოცხლეში? ნუთუ ის დრო, კოლეჯში რომ სწავლობდა მაღალ კედლებში დამწყვდეული, მარტოდმარტო იმ ამხანაგთა შორის, რომლებიც მასზე ან უფრო მდიდარნი ან უფრო ნიჭიერები იყვნენ, რომლებიც დასცინოდნენ მის კილოს, მის ტანისამოსს და რომელთა დედებ-

საც საბაასო ოთახში მუფთით მათთვის ნამცხვარი მოჰქონდათ. ან, შეიძლება, უფრო გვიან, როცა იგი მედიცინას სწავლობდა, ხოლო ქისაში იმდენი არასოდეს ჰქონია, რომ ცეკვის ფასი გადაეხადა იმ პატარა მუშა-ქალთან ერთად, ვინც მისი ხასა გახდა? შემდეგ კი იგი თოთხმეტი თვის განმავლობაში ცხოვრობდა ქვრივთან, ვისაც ფეხები ლოგინშიც კი ყინულის ნატეხებივით ეწყო. ახლა კი მას სამარადისოდ გააჩნია ეს ლამაზი ქალი, რომელსაც იგი აღმერთებს. მსოფლიო მისთვის შემოფარგლული იყო ამ ქალის აბრეშუმის კაბის ქობით, მაგრამ მაინც საკუთარ თავს აყვედრიდა, საკმაოდ არ მიყვარს იგიო; ენატრებოდა მისი დანახვა, ჩქარა ბრუნდებოდა შინ, გულაჩქროლებული აირბენდა კიბეს; ემა თავის ოთახში იჯდა და ირთვებოდა; ფეხაკრეფით მიეპარებოდა, ზურგში აკოცებდა, ქალი უნებლიეთ შეჰკივლებდა.

არ შეეძლო თავი შეეკავებინა და განუწყვეტლივ არ შეხებოდა მის სავარცხელს, ბეჭდებს, თავსაფარს, ზოგჯერ ლოყაზე აკოცებდა მაგრად, ზოგჯერაც მრავალ ნაზ კოცნას დააყრიდა მის შიშველ მკლავებს, თითის ფრჩხილებიდან დაწყებული ბეჭებამდე, იგი კი, ოდნავ მოღიმარე და გაბეზრებული ისე იშორიებდა, როგორც დაჟინებით კისერს ჩამომკიდე ბავშვს.

გათხოვებამდე ემას ეგონა, რომ უკვე უყვარდა; მაგრამ, რაკი ბედნიერება, რაც ამ სიყვარულის ნაყოფი უნდა ყოფილიყო, ჯერ არ მოსულიყო, ალბათ მოვტყუვდიო, ფიქრობდა, და სწყუროდა გაეგო, ნამდვილად რას ნიშნავს ცხოვრებაში სიტყვები ნ ე ტ ა რ ე ბ ა, ვ ნ ე ბ ა და თ ა ვ დ ა ვ იწ ყ ე ბ ა, რომლებიც წიგნებში ასე მომხიბვლელი ეჩვენებოდა.

VI

ემას ოდესმე წაეკითხა „პოლი და ვირჟინი“ და ბევრი ეოცნება ბამბუკის პატარა სახლზე, ზანგ დომინგოსა და ნაგაზ ფიდელზე, მაგრამ განსაკუთრებით უნატრია ვინმე პატარა და კეთილი ძმის ტკბილი მეგობრობა, ვინც შენთვის დამკვრახულ ხილს ეძებს სამრეკლოზე უფრო მაღალ ხეებზე, ან ვინც ქვიშნარში ფეხშიშველი დარბის, რათა ჩიტის ბუდე გიპოვნოს და მოგართვას.

ცამეტი წლისა რომ შეიქნა, მამამ თვით წაიყვანა ქალაქს მონასტერში მისაცემად. სენ-ჟერვეს უბნის ერთ-ერთ სასტუმროში

ჩამოხდნენ, სადაც სავახშმოდ ისეთი თეფშები მოუტანეს, რომ-ლებზეც მადმუაზელ დე ლა ვალიერის თავგადასავალი იყო დასუ-რათებული. ლეგენდარული წარწერები, ადგილ-ადგილ დანის პი-რით ნაფხაჭნი, ქებას ასხამდნენ სარწმუნოებას, გულის მგრძნობი-ერებასა და სასახლის ბრწყინვალებას.

მონასტერში, პირველ ხანებში, სულაც არ მოუწყენია. თავს კარგად გრძნობდა კეთილი დების საზოგადოებაში, რომლებიც გასართობად სამლოცველოში დაატარებდნენ, სადაც რეფერატო-რიუმიდან გრძელი ტალანით შედიოდნენ. შესვენების დროს იგი ძლიერ ცოტას თამაშობდა, კარგად ესმოდა კათეხიზმო და ძნელ საკითხებზე მხოლოდ იგი უპასუხებდა მუდამ ბ-ნ ვიკარს. რაკი გამოუსვლელად ცხოვრობდა კლასების თბილ ატმოსფეროში და ამ სპეტაკ ქალთა შორის, რომლებიც სპილენძის ჯვრიან კრიალოსნებს ხელთ არ იშორებდნენ, იგი სიამით დაემორჩილა იმ მისტიკურ მიბნედას, რაც საკურთხევლის სურნელებიდან, სასხურებელთა სიგ-რილიდან და სანთელთა ციმციმიდან გამოფშვინავს. წირვის დროს მღვდელმსახურებისადმი უყურადღებო, იგი თავის ლოცვანის წმი-და ნახატებს აკვირდებოდა, მოსწონდა სნეული კრავი, წვეტიანი ისრებით განგმირული წმიდა გული, ან ჯვრის სიმძიმით წაჩოქე-ბული საბრალო ქრისტე. ხორცის დასათრგუნავად იგი ეცადა ერთ დღეს მშიერი დარჩენილიყო; გონების ძალით ეძიებდა რაიმე აღთქმას, რათა აღესრულებინა.

როცა აღსარების სათქმელად წარდგებოდა, ათასგვარ მცირე შეცოდებას გამოიგონებდა, რათა უფრო მეტ ხანს დარჩენილიყო საალსარებოში მუხლმოდრეკილი, ხელებდაჭდობილი, შუბლით სა-კურთხევლის მოაჯირს მიყრდნობილი და მღვდლის ჩურჩულის ვსმენელი. შედარებანი ზეციური სასძლოისა, მეუღლისა, ზეგარდ-მო შეყვარებულისა, წართქმანი მარადიული ქორწინებისა, რომ-ლებიც ქადაგებაში ხშირია ხოლმე, მისი სულის სიღრმეში მოუ-ლოდნელი სიამის აღმძვრელნი იყვნენ.

საღამოობით, ლოცვამდე, კლასში რაიმე სარწმუნოებრივი ში-ნაარსის წიგნი უნდა წაეკითხათ. კვირის განმავლობაში ეს იყო ეპიზო-დები საღვთო ისტორიიდან ან აბატ ფრეისინუს „მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა-ნ ი“. კვირაობით კი, დასვენების მიზნით „ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ი ს გ ე ნ ი ა ს“ კითხულობდნენ; როგორ უსმენდა იგი პირველ ხანებ-ში რომანტიკული ნაღვლის მკაფიო მოთქმას, რასაც თითქოს დე-

დამიწისა და მარადიულობის ყოველი გამოხმობა იმეორებდა! მას რომ თავისი ბავშვობა რომელიმე სავაჭრო უბნის წიაღში ჰქონოდა გატარებული, მაშინ ალბათ ბუნების ლირიკულ განცდებს გაუღებდა გულის კარს, რაც ჩვენამდე მხოლოდ მწერლების მეშვეობით აღწევს ხოლმე. მაგრამ იგი ერთობ კარგად იცნობდა სოფელს: იცნობდა ფარის ბღავილს, საწველ მოწყობილობას, გუთანს. შშვიდობიან სანახაობას მიჩვეული, იგი, პირიქით, შფოთიან მოვლენებს ეტანებოდა. ზღვა მიტომ უყვარდა, რომ მღელვარეა, მწვანე კი — იმიტომ, რომ ნანგრევებს ეხვეოდა. მას სურდა საგანთა ჰვრეტიდან რაიმე პირადი სარგებლობა გამოეტანა; და უარყოფდა ყველაფერს, ვით უსარგებლოს, რაც მის გულს უშუალო საკვებად არ გამოადგებოდა, — რაკი ტემპერამენტით უფრო სენტიმენტალისტი იყო, ვიდრე ხელოვანი, განცდათა მაძიებელი და არა მჰვრეტელი.

მონასტერში ერთი ხნიერი ქალიშვილი იყო, რომელიც ყოველ თვეში მოდიოდა თეთრეულის საკერავად. რაკი იგი შთამომავლობით ერთ ძველ კეთილშობილ საგვარეულოს ეკუთვნოდა, სამღვდელოებაც მფარველობას უწევდა და სატრაპეზოში ქალი კეთილ დებთან ერთად იკვებებოდა, ხოლო იჯრის შემდეგ, სანამ თავის საჰუშევარს დაუბრუნდებოდა, მათთან მცირე საუბარს გამართავდა ხოლმე. მოწაფეები ხშირად კლასიდან იპარებოდნენ მის სანახავად. მან ზეპირად იცოდა წარსული საუკუნის სატრფიალო სიმღერები და კერვის დროს ღიღინებდა ხოლმე. იცოდა აგრეთვე ამბების თხრობა, ახალი ამბების მოტანა, ქალაქში დავალებათა შესრულება, ხოლო მოზრდილებს, მალულად, რომანის ტომებსაც ათხოვებდა ხოლმე, რომლებიც წინსაფრის ჯიბეებში ჰქონდა დამალული და რომლებსაც, მოცლილობის დროს, თვითონაც ხარბად კითხულობდა. ამ რომანებში აწერილი იყო მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული, მოსიყვარულე ქალ-ვაჟი, დევნილი და განმარტოებულ ფანჩატურში გულწასული ქალი, ფოსტალიონი, რომელსაც ყოველ სადგურზე კლავენ, ცხენები, ყოველ ნაბიჯზე რომ იხოცებიან. ულრანი ტყეები, გულის წუხილი, ფიცი, ქვითინი, ცრემლი და ამბორი, ნავი მთვარიან ღამეში, ბულბული ბაღჩაში, ვაჟები — მამაცნი, ვით ლომი; და ნაზნი, ვით ბატკანი, დაუჯერებლად კეთილისმყოფელნი, მუდამ შნოიანად ჩაცმულნი და აცრემლებულნი, ვით სამლოცველოს ლარნაკი. ექვსი თვის განმავ-

ლობაში თხუთმეტი წლის ემა განუწყვეტლად ისვრიდა ხელებს ბიბლიოთეკის მტვერში. უფრო გვიან, ვალტერ სკოტთან ერთად, იგი ისტორიულმა ამბებმა გაიტაცა, ოცნებობდა ნაჭედ სკივრებზე, საგუშაგო დარბაზებსა და მოხეტიალე პოეტებზე. ნატრობდა რომელიმე ძველ ციხე-კოშკში ცხოვრებას. ვით გრძელკორსაჟიანი თავადის ქალები, თავიანთ დღეებს რომ თაღიან ფანჯრებზე იდაყვდაყრდნობილნი ატარებდნენ, მიდამოს თვალს არ აშორებდნენ და მოუთმენლად ელოდნენ შავცხენოსან რაინდებს, ქუდები რომ თეთრი ფრთებით აქვთ მორთული. ამ ხანებში იგი მარიამ სტიუარტის თაყვანისმცემელი იყო და, აღფრთოვანებული, თავს იდრეკდა სახელგანთქმულ თუ უბედურ ქალთა წინაშე. ჟანა დ'არკი, ელიოზი, აგნეს სორელი, მშვენიერი ფერონიერი და კლემანს იზორი ცთომილებივით უნათებდნენ ისტორიის ბუნდოვან უსაზღვროებას; ამ ბურუსში აქა-იქ სხვებიც მოჩანდნენ, მაგრამ ისინი უფრო ბუნდოვანები და ურთიერთობას მოკლებულნი იყვნენ: წმიდა ლუი თავისი განთქმული მუხის ქვეშ, მომაკვდავი ბაიარდი, ლუი XI-ს სიმკაცრე, ცოტა რამ ბართლომეს ღამის ისტორიიდან, ბეარნეს მუზარადი და დაუვიწყარი მოგონება მოხატული თეფშებისა, ლუი XIV-ს რომ ასხამდნენ ხოტბას.

მუსიკის გაკვეთილებზე რომანსები, რომლებსაც იგი მღეროდა, მას მოუთხრობდნენ მხოლოდ ოქროსფრთიან პაწია ანგელოზებზე, მადონებზე, ლაგუნებსა და გონდოლიერებზე; ეს მშვიდი კომპოზიციები თავიანთი გულუბრყვილო სტილითა და მუსიკალური უგუნურობით სენტიმენტალური სინამდვილის მიმზიდველ ფანტასმაგორიას უხატავდნენ თვალწინ. ზოგიერთ მის ამხანაგს მონასტერში მიჰქონდა ხოლმე საიბალწლოდ ნაჩუქარი სამახსოვრო წიგნები, ამ წიგნებს, რომელთა დამალვაც დიდი ამბავი იყო, დორტუარში კითხულობდნენ. ემა ნაზად აიღებდა ხელში ამ ლამაზად დაკაზმულ სატინისყდიან წიგნებს და მისი გაცეცებული თვალი ავტორების გვარს დააშტერდებოდა, მეტწილად თავადების ან ვიკონტებისა რომ იყო.

ცახცახით შეუბერავდა სულს გრავიურაზე დაფარებულ თხელ ქაღალდს, ოდნავ რომ წამოიშლებოდა და მერე ნაზად ისევ გრავიურას დაეცემოდა. აივნის მოაჯირიდან, მოკლე მანტოში გახვეული ყმა გულში იხუტებდა თეთრად ჩაცმულ ქალწულს, ქამარზე რომ სამოწყალეო ქისა ეკიდა. ან კიდევ, ეს იყო ქერაკულულე-

ბიანი ინგლისელი უცნობი ლედი, ჰილის მრგვალი ქუდით დაჩრდილული დიდრონი ნათელი თვალებით რომ შემოგცქეროდათ. ასეთივე კეკლუცნი, პარკში ეტლით მოსეირნენი — ცხენების წინ, რომლებსაც ორი თეთრშარვლიანი პატარა ფორეიტორი მართავს; მწვევარი ხტუნავს და თამაშობს, ზოგიერთებს კიდევ, სოფაზე მიწოლილთ, გახსნილი ბარათები მუხლზე დაუდვიათ და შავი ფარდით დაბურულ, ოდნავ ღია ფანჯრიდან მთვარეს გასცქერიან, თვალცრემლიანნი, გულუბრყვილონი ნისკარტს უკოცნიან გვრიტს, რკინის გოთურ გალიაში რომ ზის, ან გვერდზე თავგადახრილნი და მოღიმარენი გვირილას ფურცლავენ ნაზი, ვიწრო თითებით. თქვენ იქ ნახავდით აგრეთვე სულთნებს, რომლებიც გრძელ ყალიონებს ეწევიან და, ბაიადერებთან ხელგადახვეულნი, ფანჩატურებში ნებივრობენ; გიაურებს, თურქულ ხმლებს, ბერძნულ ფესებსა და, განსაკუთრებით კი, საზღაპრო ქვეყნების მქრქალად დანისლულ პეიზაჟებს, ერთბაშად რომ წარმოგვიდგენენ პალმებსაც და ნაძვებსაც, მარჯვნით — ვეფხვებს, მარხცნით — ლომს, ჰორიზონტზე თათრულ მინარეთებს, პირველ პლანზე რომანულ ნანგრევებს, იქით მწოლიარე ქალებს, — ყოველივე ეს კი კარგად გაწმენდილ ულრან ტყეში, ზემოდან რომ მზის შვეული სხივი ეფრქვევა წყალს, რომლის ფოლადისფერ სარკეზედაც შორი-შორს, თითქოს თეთრი ხელებიაო, გედები დაცურავენ.

ემას თავს ზემოთ, კედელს ჩამოკიდებული შუქფარიანი სანათური ანათებდა ქვეყნის ყველა ამ სურათს, რომელიც მიყუჩებულ დორტუარში მის თვალწინ ზედიზედ ენაცვლებოდა ერთიმეორეს, მაშინ, როცა გარედან ოდნავ ისმოდა ბულვარებზე შეგვიანებული რომელიმე ეტლის ხმაური.

დედა რომ მოუკვდა, პირველ ხანებში, ემა ძალიან ტიროდა. გარდაცვალებულის თმისთვის სამგლოვიარო ჩარჩო გააკეთებინა და ბერტოში გაგზავნილ, ცხოვრებაზე ნაღვლიანი ფიქრებით აღსავსე წერილში თხოულობდა, მომავალში მეც იმავ სამარეში დამშარხეთო. კეთილ მამას ავად ეგონა და სანახავად მივიდა. ემა გულში კმაყოფილი იყო, რომ ერთი დაკვრითვე მიაღწია მწუხრული არსებობის იმ იშვიათ იდეალს, რაც მდაბალ გულთათვის მარად მიუწვდომელია. ამრიგად, იგი დანებდა ლამარტინისებურ განცდებს, ესმოდა ჩანგთა ჟღერა ტბების სივრცეში, უკანასკნელი სიმღერა მომაკვდავ გედთა, შრიალი დაცვივნულ ფოთოლთა, გალობა ზეცას-

აღმავალ წმიდა ქალწულთა და ხმა მარადიულისა, მთასა და ბარში რომ ღაღადებს. გარნა ყოველივე ეს მალე მობეზრდა, თუმცა კი არ სურდა გამოტეხილიყო, და კვლავ განაგრძობდა ჯერ ჩვეულების ძალით, შემდეგ — პატივმოყვარეობის გამო, ხოლო ბოლოს თვითონაც გაკვირვებული დარჩა, როცა დამშვიდდა, როცა გულს წუხილი აღარ აჩნდა, სახეს კი — ნაოჭი.

კეთილი მონაზვნები, რომლებმაც ასე კარგად იცოდნენ მისი ზნე და მიდრეკილებანი, ძალიან გაკვირვებული იყვნენ, როცა შეამჩნიეს, რომ ემა თითქოს არ ემორჩილებოდა მათ მზრუნველობას. ამ შემთხვევაში მათ ისე გაეღინთეს იგი ლოცვა-ვედრებით, მარხულობითა და ქადაგებით, ისე გულმოდგინედ შთააგონებდნენ მოწიწების გრძნობას წმიდანებისა და მოწამეების წინაშე, იმდენ კეთილ რჩევას აძლევდნენ ხორცის დასათრგუნავად და სულის სახსნელად, რომ ემას ის დაემართა რაც აღვირით წათრეულ ცხენს: უეცრად შედგა და ლაგამიც პირიდან გამოუვარდა. მისი პოზიტიური გონება, რომელმაც, მიუხედავად ასეთი აღფრთოვანებისა, ეკლესია შეიყვარა მისი ყვავილებისთვის, მუსიკა — რომანსების სიტყვების გამო, ლიტერატურა კი — ვნებიანი გრძნობების აღძვრისთვის, ამხედრდა სარწმუნოების მისტერიების წინააღმდეგ; აგრეთვე აღშფოთდა დისციპლინის წინაშე, რომელიც რაღაც ანტიპათიური იყო მისი ბუნებისთვის. როცა მამამ პანსიონიდან გაიყვანა, მისი წასვლა სრულიადაც არავის წყენია. წინამძღვრის აზრით, იგი ბოლო ხანს საკმაო მოკრძალებასაც კი არ იჩენდა მონასტრის ძმობის წინაშე.

შინდაბრუნებულ ემას პირველად მოსწონდა მოსამსახურეებზე ბატონობა, შემდეგ სოფელი მობეზრდა და მონასტრის მიტოვება დაენანა. როცა შარლი პირველად მივიდა ბერტოს, ემას ასე ეგონა, უკვე ვეღარაფერი გამიტაცებს, ცხოვრებაში ვეღარას ვისწავლი, ვერც რამეს ვიგრძნობო.

მაგრამ სულ სხვა, ახალი ცხოვრებისათვის წუხილმა, ან, შესაძლებელია, ამ ვაჟის სიახლოვით გამოწვეულმა მღელვარებამ საკმაოდ დაარწმუნა, რომ ბოლოს და ბოლოს იგი დაეუფლა იმ სანეტარო ვნებას, რომელიც აქამდე, ვით ვარდისფერფრთიანი დიდი ფრინველი, პოეტურ ცათა უსაზღვრო წიაღში დაფარფატებდა; და

ახლა უკვე ვეღარ წარმოედგინა, რომ ის სიწყნარე, რომელშიც იგი ცხოვრობდა, სწორედ ის ბედნიერებაა, რომელზედაც ასე ოცნებობდა.

VII

ზოგჯერ მაინც ეგონა, რომ ეს იყო მისი ცხოვრების საუკეთესო დღენი, თაფლის თვე, როგორც იტყვიან ხოლმე. თუმცა მის სიამეთა განსაცდელად უთუოდ საჭირო იყო ამ ლამაზსახელიან ქვეყნებისკენ გამგზავრება, სადაც ქორწინების მომდევნო დღეებს მოთენთილობის მეტი სიტკბო ახლავს! ზიხარ აბრეშუმის ცისფერი ფარდებით მობურულ საფოსტო ეტლში, აღმართში ფეხით მიდიხარ, უსმენ ფოსტალიონის სიმღერას, საძოვრად გარეკილი თხების ზართა წკრიალსა და ჩანჩქერების ყრუ ხრიალს რომ უერთდება და მთებში გამოხმობის სახით მეორდება. მზის ჩასვლისას, ზღვის პირას ლიმონის ნარგავთა სურნელებას იყნოსავ; საღამოობით კი, ვილების ტერასაზე, მარტონი და ხელგადახვეულნი ვარსკვლავებს შესცქერით და მომავლის გეგმებს აწყობთ. მას ეგონა, რომ დედამიწის ზოგიერთმა კუთხემ ბედნიერება უნდა წარმოშვას სწორედ ისე, როგორც მისი ნიადაგისთვის ჩვეული მცენარე, რომელიც სხვაგან არ გაიხარებსო. რად არ შეუძლია მას იდაყვით დაეყრდნოს შვეიცარული ქოხის აივანს, ან შოტლანდიურ კოტეჯში დაამწყვდიოს თავისი დარდი, ქმართან ერთად, ვისაც ტანთ შავი ხავერდი აცვია, ფეხთ — რბილი წაღები, თავს — წოწოლა ქუდი და მაჯებსაც არშიიანი მანჟეტები უმშვენებს!

იქნებ სასურველი ყოფილიყო ვისთვისმე გაენდო, გაეზიარებინა ყოველივე ეს. მაგრამ როგორ გამოთქვას ეს დაუჭერელი წუხილი, ღრუბლებივით რომ სახეს იცვლის და ქარივით ფორიაქობს? საამისოდ სიტყვებიც აკლდა, შემთხვევაცა და გაბედულებაც.

ყოველ შემთხვევაში, შარლს რომ მოესურვებინა, იგი რომ ოდნავ მიხვედრილი ყოფილიყო, მისი თვალი რომ მხოლოდ ერთხელ მაინც ჩასწვდომოდა მის ნაფიქრს, მაშინ, ასე ეგონა ემას, გულიდან უეცარი სიუხვე დასდინდებოდა, ისე, ვით რგულს მწიფე ნაყოფი სცვივა, როდესაც ხელს შეახებ. მაგრამ, რამდენადაც მათი ცხოვრება უფრო და უფრო ინტიმური ხდებოდა, იმდე-

ნადვე ძლიერდებოდა შინაგანი განკერძოებაც, რაც შარლს აშორებდა.

შარლის ენა ბრტყელი იყო, ვით ქუჩის ქვაფენილი, და მთელი ქვეყნის იდეები დაიარებოდა ზედ თავისი ჩვეულებრივი სამოსით ისე, რომ არც მღელვარების აღმძვრელი იყო და არც სიხარულისა თუ ოცნების. რუანში ცხოვრების დროს, როგორც თვითონ უთქვამს, ერთხელაც კი არ მოსურვებია თეატრში წასვლა და პარიზელი მსახიობების ნახვა. მან არც ცურვა იცოდა, არც ფარიკაობა და არც ნიშანში სროლა; ხოლო ერთხელ ცხენოსნობის რაღაც ტერმინის ახსნაც კი ვერ შეძლო, ემამ რომ რომანში ამოიკითხა.

განა კაცმა, პირიქით, ყველაფერი არ უნდა იცოდეს, განა იგი შრავალმხრივი აქტივობით არ უნდა გამოირჩეოდეს, ქალს უხსნიდეს ვნების ძალას, სიცოცხლის რაფინირებას, მის ყველა საიდუმლოებას? ხოლო ეს კი, ეს ვაჟი არაფერს ასწავლიდა, თვით არაფერი იცოდა, არაფერი სურდა. ცოლი ბედნიერი ეგონა; ეს კი ჯავრობდა მისი შეურყეველი სიმშვიდის გამო, ამ დიდებული სიზანტის გამო და იმ ბედნიერების გამოც, რასაც ქალი ანიჭებდა.

ხანდახან ემა ხატავდა; შარლისთვის დიდი სიამოვნება იყო მაშინ მის ახლოს დგომა, ცქერა, თუ როგორ იყო იგი დახრილი მუყაოზე, როგორ ლულავდა თვალს, რათა უკეთ დაენახა თავისი დანახატი, ან როგორ არგვალებდა ცერზე პურის გულს გამოუცდელი ხელით ნახატის წასაშლელად. რაც შეეხება როიალს, რამდენადაც ემას თითები სწრაფად ამოძრავდებოდა კლავიშებზე, შარლიც იმდენადვე აღფრთოვანებაში მოდიოდა. ქალი გაბედულად ურტყამდა კლავიშებსა და თავიდან ბოლომდე შეუწყვეტლად ჩაარაკრაკებდა. ასე გაღვივებული დუნესიმებიანი ძველი ინსტრუმენტის ხმა, უკეთუ ფანჯარა ღია იყო, სოფლის ბოლომდე ისმოდა და, ხშირად, ბოქაულის გადამწერი, რომელიც დიდ გზაზე გაივლიდა ხოლმე, თავშიშველი და ფოსტლებიანი, ქაღალდებით ხელში, ფანჯარასთან შედგებოდა და უსმენდა.

მეორე მხრივ, ემამ მეოჯახეობის უნარიც გამოიჩინა. კარგად შედგენილი წერილებით, რომლებიც დუქნის ანგარიშს სრულიად არ ჰგავდა, იგი სამკურნალო გასამრჯელოს გადახდას მოაგონებდა ხოლმე ავადმყოფს. კვირაობით, როცა სადილად ვინმე სტუმარი ჰყავდათ, მშვენიერი კერძის მომზადებასაც ახერხებდა; იცოდა

რაინ-კლოდის შნოიანი დალაგება ვენახის ფოთოლზე, ეხერხებოდა ჟელეიანი ქილის თეფშზე გადმობრუნება და იმაზედაც კი ლაპარაკობდა, რომ დესერტისგან პირის გამოსარეცხავი ფინჯნები ეყიდა. ყოველივე ამის გამო ბოვარის ოჯახისადმი პატივისცემა თანდათან იზრდებოდა.

შარლი თვითონაც მეტ პატივისცემას გრძნობდა საკუთარი თავისადმი იმის გამო, რომ ასეთი ცოლი ჰყავდა. სიამაყით უჩვენებდა სტუმრებს ემას მიერ ფანქრით ნახატ ორ პატარა ეტიუდს, ფართო ჩარჩოებში რომ ჩაასმევინა და გრძელი მწვანე გრეხილით დარბაზში ჩამოაკიდებინა, იქ კიდევ, წირვიდან შინდაბრუნებული მეზობლები ექიმის ფეხებზე მშვენივრად მოქარგულ ფოსტლებს ხედავდნენ ხოლმე.

შინ შარლი გვიან ბრუნდებოდა, ათ საათზე, ზოგჯერ შუაღამისასაც. საჭმელს მოითხოვდა და, რაკი მსახურს უკვე ეძინა ხოლმე, თვით ემა მოუმზადებდა, ექიმი პიჯაკს გაიხდიდა, რათა უფრო თავისუფლად ევახშმა. სათითაოდ ჩამოუთვლიდა ყველაფერს, ვინ ნახა, რომელ სოფელში იყო, რა რეცეპტი დაწერა და, საკუთარი თავის კმაყოფილი, სადილის ნარჩენ მოხრაკულს რომ გააოთავებდა, მერე ყველს ჩამოთლიდა, ვაშლს გაიფცქვნიდა, სურასაც გამოცლიდა, შემდეგ დასაწოლად გაემართებოდა, ზურგზე დაწვებოდა და ხვრინს ამოუშვებდა.

რაკი დიდი ხნიდან ბამბის ჩაჩს იყო ნაჩვევი, დარაია თავზე აღარ უდგებოდა; ამიტომ თმა დილით აბურძგნული და ბუმბულით მთლად გადათეთრებული აჰყვებოდა, რადგან ბალიშის პირის შესაკრავი ზორტები ღამით იხსნებოდა. მუდამ სქელ წაღებს ატარებდა, რომელსაც მოსახრელიდან კოჭებისკენ ორი ღრმა ნაოჭი დაჰყვებოდა, დანარჩენი ყელი კი სრულიად სწორი იყო, თითქოს ხის ფეხზეა ჩამოცმულიო. მისი სიტყვით, ს ა ს ო ფ ლ ო დ ს წ ო რ ე დ ე ს ი ყ ო კ ა რ გ ი.

ამგვარ მომჭირნეობას დედაც უწონებდა, რომელიც წინანდებურად მოდიოდა ხოლმე მის სანახავად, განსაკუთრებით მაშინ, როცა შინ ცოტა მეტი უსიამოვნება შეემთხვეოდა; ხოლო, როგორც ეტყობოდა, იგი რძლის წინააღმდეგ იყო განწყობილი. მისი აზრით, მ ა თ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა მ ა თ ს ა ვ ე ქ ო ნ ე ბ ა ს ა რ შ ე ე ფ ე რ ე ბ ო დ ა: შეშა, შაქარი, სანთელი ისე იხარჯებოდა, რ ო გ ო რ ც დ ი დ ო ჯ ა ხ შ ი, ხოლო სამზარეულოში დამწვარი ნახშირი ოცდახუთი

კერძის მომზადებას ეყოფოდა! თეთრეულს კარადებში ალაგებდა და რძალს ურჩევდა, მეხორცეზე თვალი გეჭიროს, როცა ხორცი მოაქვს ხოლმეო. ემა ამ გაკვეთილებს იღებდა, დედა-ბოვარის კი ისინი არ ელეოდა; და მთელი დღის განმავლობაში ისმოდა სიტყვები: ჩ ე მ ო შ ვ ი ლ ო, ჩ ე მ ო დ ე დ ა, რასაც თან ახლდა ჩარბების ოდნავი თრთოლვა, რადგან ამ ტკბილ სიტყვებს თითოეული მათგანი ბრაზით აკანკალებული ხმით ისროდა.

მადამ დიუბიუკის სიცოცხლეში ეს მოხუცი ქალი თავს კვლავ უპირატესად თვლიდა და ამიტომ ემასადმი შარლის სიყვარული, საკუთარი სინაზის დაუფასებლობად, რაღაც ისეთის წართმევად ეჩვენებოდა, რაც მხოლოდ მას ეკუთვნოდა; და თავისი შვილის ბედნიერებას სწორედ ისეთი ნაღვლიანი დუმილით უცქეროდა, როგორითაც ვინმე გაკოტრებული ფანჯრიდან უცქერის იმ ხალხს, რომელიც მის წინანდელ სახლში სამხიარულო სუფრას მისჯდომია. მოგონებათა სახით, იგი შვილს ახსენებდა მის მიერ გადატანილ ტანჯვას. გაღებულ მსხვერპლს და, როდესაც ყოველივე ამას ემას უზრუნველობას ადარებდა, ისეთი დასკვნა გამოჰქონდა. რომ ცოლის ამგვარი გაღმერთება უჭკუობაო.

შარლმა არ იცოდა, რა ეპასუხა; დედას პატივსა სცემდა, ცოლი კი უსაზღვროდ ეყვარდა; პირველის მსჯელობა უცოდველი მიაჩნდა, მაგრამ მეორესაც საძრახავი არაფერი ჰქონდა. როცა მოხუცი წავიდოდა, იგი ცდილობდა გაუბედავად და იმავე სიტყვებით ემასათვის ერთი-ორი ისეთი შენიშვნის მიცემას, როგორიც დედისაგან ჰქონდა გაგონილი; ემა კი ერთი სიტყვით დაუმტკიცებდა, ცდებიო. და თავის ავადმყოფებთან გაგზავნიდა.

გარნა, მის მიერ აღიარებული თეორიების მიხედვით, ქალი ცდილობდა სიყვარულს მისცემოდა. მთვარიან ღამეს ბაღში მღეროდა ხოლმე ყველა იმ სამიჯნერო ლექსს, რაც კი ზეპირად იცოდა, და ოხვრით ჩაჰღიღინებდა შარლს ნაღვლიან ადაჟიოებს; მაგრამ შემდეგ კვლავ ისეთივე დამშვიდებული იყო ხოლმე, როგორც წინათ და შარლსაც არავითარი ზედმეტი სიყვარული ან აღტყინება არ ემჩნეოდა.

როცა ამგვარი ხერხით შარლის გულს ერთი მცირე ნაპერწკალიც კი ვერ დააკვესინა და, ამასთანავე, თვითონაც უნარი არ გააჩნდა ის გაეგო, რაც საკუთრივ არ განეცადა, ან ის ეწამებინა, რაც მისთვის ჩვეული სახით არ იხატებოდა, იგი ადვილად დარწ-

ჰუნდა. შარლის გრძნობა უკვე აღარც ისე განუსაზღვრელიაო. მის მიერ გრძნობათა გამოთქმა რეგულარული ხასიათის შეიქნა; ალერსიც განსაზღვრულ მომენტში იცოდა. ეს იყო მისი ერთ-ერთი ჩვეულება. ვით წინდაწინვე ნაცნობი დესერტი უგემური და უფერული საღილის შემდეგ.

ერთმა სანადირო ადგილების მცველმა, რომელიც შარლმა ფილტვების ანთებისაგან განკურნა, ემას იტალიური პატარა მწევარი მოჰგვარა; ქალს მუდამ თან დაჰყავდა იგი, როცა ხანდახან სასეირნოდ წავიდოდა ხოლმე, რათა ცოტა ხნით მაინც განმარტოებულიყო და მუდამ თვალწინ არა ჰქონოდა ეს უცვლელი ბაღი და მტვრიანი გზა.

ბანვილის წიფლარამდე მივიდოდა, სადაც მიტოვებული პავილიონი იყო, ყორით შემოზღუდული. იქ, ფართო თხრილში, ბალახთა შორის, ფოთოლდაცქვეტილი ლერწამი ხარობდა.

როცა მოვიდოდა, მთელ გარემოს თვალს მოავლებდა, ხომ არაფერი გამოცვლილა მას შემდეგ, რაც აქ უკანასკნელად ვიყავიო. ყოველივე კვლავ თავის ადგილას იყო: ყოველივე — ბაია და დედაფუტკარი, ჭინჭრის ბუდნები დაყრილ ქვათა შორის, ხავსით გადავლილი სამი მიხურული ფანჯარა დამპალი დარაბებითა და დაჟანგებული ურდულებით. მისი ფიქრები უმიზნოდ იწყებდა ბორიალს, როგორც მისი ძაღლი, რომელიც მინდვრებში დარბოდა. ყვითელ პეპლებს უყეფდა, ხან კიდევ თხუნელებს დასდევდა და ყანის პირას ყაყაჩოებს წიწკნიდა. ბოლოს, მისი ფიქრები თანდათანობით გარკვეულობას აღწევდა; ბალახზე მჯდომარე, ქოლგის ტარის წვეროთი მწვანეს ბურდავდა და თავისთვის იმეორებდა:

— ღმერთო ჩემო, აბა რისთვის გავთხოვდი?

თავის თავს ეკითხებოდა, შეიძლებოდა თუ არა, შემთხვევათა სხვაგვარი შეხამებით, სულ სხვა ვაჟს შეჰყროდა, და ცდილობდა წარმოედგინა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ეს მოუმხდარი გარემოებანი, სხვანაირი ცხოვრება, ქმარი, რომელსაც არ შეხვედრია. ალბათ არც ერთი არ ემგვანებოდა მის ქმარს. ის სხვა ლამაზი იქნებოდა. გონებამახვილი, ჩინებული, მომხიბვლელი, ისეთი, როგორიც არიან, ალბათ, მისი ძველი, მონასტრის ამხანაგების ქმრები. ნეტავ, როგორ არიან ახლა ისინი? ქალაქში, ახმაურებული ქუჩებით, მოგუგუნე თეატრებითა და ბრწყინვალე ბალებით, ისი-

ნი ისეთ ცხოვრებას ატარებენ, რითაც გული ილხენს და გრძნობებიც იფურჩქნებიან. მისი ცხოვრება კი ისე ცივია, როგორც ჩრდილოეთისკენ სარკმელმიქცეული სხვენი, და მოწყენილობა, ეს მდუმარე ობობა, მისი გულის ყოველ ბნელ კუნჭულში სიფრიფანა ქსელს აბამს. აგონდება ჯილდოთა გაცემის დღენი, როცა იგი ესტრადაზე ადიოდა პატარა საჩუქრების მისაღებად. ნაწნავდაშვებული, თეთრი კაბით და პრუნელის ღია ფეხსაცმლით გამოწყობილი. იგი საამო სანახავი იყო. და როცა თავის ადგილს დაბრუნდებოდა, იქ დამსწრე ვაჟები მისკენ იხრებოდნენ და ქათინაურებს ეუბნებოდნენ ხოლმე; ეზო სავსე იყო ეტლებით, რომელთა კარებიდან მას ეთხოვებოდნენ, ხოლო მუსიკის მასწავლებელი, იღლიაში რომ საკრავი ჰქონდა ამოჩრილი, გვერდს ჩაუვლიდა და გამოეთხოვებოდა. რა დიდი ხანია მას აქეთ! რა დიდი ხანია!

ჯალის მოიხმობდა, კალთაში ჩაისვამდა, პაწია თავზე ხელს გადაუსვამდა და ასე ეტყოდა:

— აბა, აკოცე პატრონს, შე უდარდელო!

ბერე. როცა შნოიანი ცხოველის დაღვრემილ თვალებს ჩააცქერდებოდა. გული აუჩუყდებოდა, საკუთარ ყოფას ძაღლისას შეადარებდა და ხმამაღლა დაუწყებდა ლაპარაკს, თითქოს ვინმე მწუხარეს ანუგეშებსო.

ხანდახან ზღვიდან უეცრად ქარი დაბერავდა, მთელ კოლ ზეგანს გადაურბენდა და შორეულ მინდვრებს ნესტიანი სიგრილისა და მარილის სუნს მიჰფენდა. მაშინ ლერწამი მიწას განერთხმოდა და აწივლდებოდა. წიფლის ფოთლები სწრაფი ცახცახით აშფიალდებოდა, წვეროკინა კი განუწყვეტლივ ქანაობდა და რაღაცას თავისებურად მოთქუამდა. ემა შალში გაეხვეოდა და წამოდგებოდა.

ხეივანში ფოთლებზე ანასხლეტი მწვანე სინათლე დაბალ ხავსს ეფრქვეოდა, ხავსი ფეხქვეშ კრახუნობდა. გადახრილი მზე ჩასვლას ეშურებოდა; ცა წითლად გამოკრთოდა ტოტებს შორის და ჩამწკრივებულ ხეთა ტანებში ისე მოჩანდა, თითქოს მიბინდული კოლონადაო მოოქრულ არეზე ამოქარგული; ემას რაღაც შიში შეიპყრობდა, ძაღლს დაუძახებდა და დიდი გზით ტოსტს დაუბრუნდებოდა: მისვლისთანავე სავარძელში ჩაეშვებოდა და მთელი საღამო კრინტს არ დაყძრავდა.

მაგრამ სექტემბრის დასასრულს მის ცხოვრებაში ერთი არა-

ჩვეულებრივი რამ მოხდა: იგი ვობიესარში მიიწვიეს მარკიზ დ'ანდერვილიესას.

რესტავრაციის ხანაში მარკიზი სახელმწიფო მდივანი იყო და, რაკი სწადდა პოლიტიკურ მოღვაწეობას დაბრუნებოდა, ადრიდანვე ამზადებდა თავის კანდიდატურას დეპუტატთა პალატაში. ზამთრობით უხვად არიგებდა შეშას, ხოლო გენერალურ საბჭოში მუდამ თავგამოდებით მოითხოვდა თავის საარჩევნო ოლქში გზების გაყვანას. ცოტა ხნის წინათ, დიდი სიცხეების დროს, ყელში რაღაცა მუწუკი გაუჩნდა და შარლმა, თითქოს სასწაულებრივ, მოარჩინა. ლანცეტის ერთი დაკვრით. საოპერაციო გასამრჯელოს გადასახდელად ტოსტში გაგზავნილმა მოურავმა დაბრუნებისას მარკიზს უამბო, ექიმის ბაღში საუცხოო ალუბალი ვნახეო, და რადგან ვობიესარში ალუბლის ხეები ვერ ხეირობდა, მარკიზმა რამდენიმე სანამყენე სთხოვა ბოვარის და შემდეგ თავის მოვალეობად მიიჩნია, მისულიყო და პირადად მადლობა გადაეხადა მისთვის; იქ ნახა ემა. მოეწონა მისი ტანადობა და თანაც შეამჩნია, რომ მისი სალამი გლეხურს სრულიადაც არ ჰგავდა; ასე რომ, ახალგაზრდა ცოლ-ქმრის მიწვევა კოშკში დარბაისლობის საზღვართა გადამლახველ თავმდაბლობად ან სხვა რაიმე დამცირებად არავის არ მიუჩნევია.

ერთ ოთხშაბათს, ნაშუადღევის სამ საათზე, ცოლ-ქმარი ბოვარი თავის ბოკში ჩაჯდა, უკან ერთი დიდი ჩემოდანი შემოიკრა. ქუდის კოლოფი წინ დაიდო, ერთიც ფეხებთან მოათავსა და ვობიესარის გზას გაუდგა.

დაბინდებისას მივიდნენ, როცა ბაღში ჩირაღდნებს ანთებდნენ, რათა სტუმრებისათვის გზა გაენათებინათ.

VIII

იტალიურად ახალნაგები ციხე-დარბაზი, ორი წამოწეული ფრთითა და სამი კარიბჭით, ვრცელ მწვანეზე იყო წამოჭიმული, სადაც, დიდრონ ხეთა ჯგუფებს შორის, რამდენიმე ძროხა ძოვდა. ხოლო იელის, იასამნისა და წითელი კურკანტელის ჩირგვები ქვიშამიყრილი მოხრილი გზის ნაპირებზე ჩამწკრივებულიყო; ხიდქვეშ ჭდინარე მიჩქრიალებდა; ნისლში გამოჩნდა ისლით დახურული შენობები მინდორში აქა-იქ გაბნეული, ორი ტყიანი ბორცვის ძი-

ტას რომ დაფენილიყო; უკან მოჩანდა სასახლის ფარდულები და საჯინიბოები — ძველი დანგრეული ციხე-დარბაზის გადარჩენილი ნაშთი.

შარლის ეტლი შუათანა შესასვლელთან შედგა; მსახურნი გამოჩნდნენ; მარკიზი მიეგება, ექიმის ცოლს მკლავი გაუყარა და ვესტიბიულში შეიყვანა.

ვესტიბიული ერთობ მაღალი იყო, მარმარილოს ფილაქნით მოგებული, და ფეხის ხმასა და ხმაურობას ისე გამოსცემდა, როგორც ეკლესია. პირდაპირ ერთი სწორი კიბე მიიმართებოდა, ხოლო მარჯვნით ტალანი, ფანჯრები რომ ბაღს გადასცქეროდა, საბილიარდო ოთახში გადიოდა, საიდანაც, კარებიდანვე, მოისმოდა სპილოს ძკლის ბურთების რახუნი. სასტუმრო ოთახში შესვლისას ემამ თვალი მოჰკრა ბილიარდის მოთამაშე, დარბაისლური შესახედაობის ვაჟებს, რომელთა ნიკაპებიც მაღალ საყელოებს ებჯინებოდა: ისინი ყველანი ორდენებით იყვნენ მკერდდამშვენებულნი და კიების დამიზნებისას უხმოდ იღიმებოდნენ. ლამბრისის მუქ შეფიცრულზე დაკიდებულ დიდრონ მოოქრულ ჩარჩოებს შავი ასოებით ეწერა თავ-თავიანთი სახელები. ემამ წაიკითხა: „ჟან-ანტუან დ'ანდერვილიე დ'ივერბონვილ, გრაფი ვობიესარისა და ბარონი ფრენეი, მოკლულ იქნა კუტრასის ბრძოლაში, 1587 წლ. 20 ოქტომბერს". და მეორეზე — „ჟან-ანტუან-ჰანრი-გიუი, დ'ანდერვილიე, ვობიესარელი ადმირალი საფრანგეთისა და წმ. მიხეილის ორდენის კავალერი. დაიჭრა ჰუგსენ-ვაასტის ბრძოლაში, 1692 წლ. 29 მაისს, გარდაიცვალა ვობიესარს 1693 წლ. 23 იანვარს". დანარჩენები ძლივს გასარჩევი იყო, რადგან სანთლების შუქი, ბილიარდის მწვანე მაუდზე ანასხლეტი, ჩრდილივით ეფინებოდა ოთახს. ამუქებდა რა ჰორიზონტალურ ტილოებს, მოციალე ნამსხვრევებად გაბნეული შუქი სურათების საღებავის ბზარს ამჟღავნებდა; და ყველა ამ შავ დიდრონ ოთხკუთხედებზე, ოქროთი რომ იყო მოვარაყებული, აქა-იქ მოჩანდა პორტრეტების უფრო განათებული ნაწილები: ფერმკრთალი შუბლი, თქვენდამი მოპყრობილი თვალები, წითელი ტანსაცმლის დაპუდრულ ბეჭამდე დაშვებული პარიკი ან კიდევ წვივსაკრავის ბრჭყვიალა აბზინდი.

მარკიზმა სალონის კარი შეაღო; ერთი ქალი წამოდგა (თვით მარკიზის მეუღლე), ემას მიეგება, თავის ახლო დასვა კოზეტზე და ისე მეგობრულად დაუწყო ლაპარაკი, თითქოს დიდი ხნის ნაცნო-

ბიაო. ეს იყო ორმოციოდე წლის ქალი, მშვენიერი მხრები ჰქონდა, ცხვირი ოდნავ მოხრილი, ხმა — მოღუღუნე, და ამასთანავე, იმ საღამოს წაბლისფერ თმაზე მხოლოდ გიპიურის ქსოვილი ჰქონდა მოხვეული, რომელიც უკან სამკუთხად დაჰკიდებოდა. მის კვერდით, მაღალზურგიან სკამზე, ერთი ახალგაზრდა ქერა ქალიშვილი იჯდა; ბუხართანაც ქალებს ებაასებოდნენ საღილეში ყვავილგაყრილი ვაჟები.

სადილის სუფრა შვიდ საათზე გაშალეს. ვაჟები, რომლებიც რიცხვით ქალებს სჭარბობდნენ, პირველ სუფრას შემოუსხდნენ. ვესტიბიულში ქალები კი — მეორეს, სასადილო ოთახში ცოქ-ქმარ მარკიზებთან ერთად.

შესვლისას ემა თბილ ჰაერში გაეხვია, რომელიც ყვავილთა სურნელების, კეთილნაქსოვი სუფრების, ხორცეულობის ორთქლისა და ტრუფელების საამო სუნისაგან იყო შეზავებული. კანდელების წაგრძელებული ენები ვერცხლის ხუფზე ლაპლაპებდა, ნათალი შუქი ბროლის წახნაგებში მკრთალი შუქი ციმციმებდა; ზთელი სუფრის გასწვრივ ყვავილთა თაიგულები იყო ჩამწკრივებული, ხოლო ფართო ბორდიურიან თეფშებზე, ხელსახოცებში, ეპისკოპოსის ტიარისებრ რომ იყო ნაკეცი, პატარა მოგრძო პურები იყო გაჩრილი. ომარების წითელი სატაცები სინებს გადასცილებოდა; აქეურულ კალათებში მსხვილი ხილეულობა ეწყო ხავსით შეფუთული: მწყერები თავისივე ბუმბულით მოეტანათ სუფრაზე; იძვროდა საჭმელთა ოხშივარი; აბრეშუმის გრძელწინდებიანი, მოკლეშარვლიანი მეტრ დ'ოტელი, რომლის ყელსაც დიდებული ჟაბო და თეთრი ჰალსტუხი ამშვენებდა, დინჯი, ვით მსაჯული, სტუმართა ბეჭსა და ბეჭს შუა ატარებდა უკვე დაჭრილ კერძს და კოვზის მსუბუქი მოძრაობით მოგვართმევდათ თქვენს არჩეულ ნაჭერს. სპილენძით შეკედილი ფაღანსის მაღალი ბუხრიდან, ნიკაპამდე ტანისამოსით შებურული ქალის ქანდაკება უძრავად დასცქეროდა ხალხით გაჭედილ დარბაზს.

ზადამ ბოვარიმ შეამჩნია, რომ ქალთა შორის, ბევრი თათმანგაუხდელი იჯდა.

სუფრის ზემო თავში, მარტო, ამდენ ქალთა შორის, თავის სავსე თეფშზე დახრილი, და ბავშვივით გულზე ხელსახოცაფარებული იჯდა ერთი მოხუცი, ჭამდა და წვენი პირიდან წვეთავდა. თვალები ანთებიანს უგავდა, თმაში უკან შავი ბაფთა ჩაეწნა. ეს

იყო მარკიზის სიმამრი, მოხუცი ჰერცოგი დე ლავერდიერ კონტ დ'არტუას ყოფილი ფავორიტი, როცა იგი მარკიზ კომფლანისას ნადირობდა ხოლმე ვოდრეილში, და, როგორც ამბობდნენ, დედოფალ მარიამ-ანტუანეტის ყოფილი საყვარელი, დე კუანის შემდეგ და დე ლოზენზე ადრე. ოდესმე დიდი მოქეიფე ყოფილა, მოჩხუბარი, მონაძლევე, ქალთა მომტაცებელი, მთელი ქონება გაუფლანგავს და საგვარეულო შეუწუხებია. მის ზურგს უკან მდგომი მსახური ყურში ხმამაღლა ჩასძახოდა კერძების სახელს, მოხუცი რომ ბუტბუტითა და თითით უჩვენებდა. ემას თვალი უნებლიეთ სულ ამ ტუჩიან მოხუცს უცქეროდა, ვით რაღაც არაჩვეულებრივს და დიდებულს. მას ხომ მეფის კარზე უცხოვრია და დედოფალთა სარეცელზე უძინია.

ცივი შამპანური დაასხეს. ემას ჟრუანტელმა დაუარა, როცა ტუჩით ღვინის სიცივე იგრძნო. ბროწეული არასოდეს ენახა, არც ანანასი ეჭამა როდისმე. შაქრის ფხვნილიც კი უფრო თეთრი და წმინდა ეჩვენა აქ, ვიდრე სხვაგან სადმე.

შემდეგ, ქალები ზემოთ ავიდნენ, თავიანთ ოთახებში, რათა საბალოდ მორთულიყვნენ

ემა ისეთი ზედმიწევნითი გულმოდგინებით შეუდგა თავის მორთვას. ვით მსახიობი სადებიუტოდ. თმა პარიკმახერის რჩევისამებრ დაივარცხნა, ვერე თავისი მარეჟის კაბა ჩაიცვა, იქვე ლოგინზე რომ ჰქონდა მიფენილი. შარლს კი შარვალი უჭერდა მუცელზე.

— პაჭანიკები ალბათ ცეკვას დამიშლის. — თქვა მან.

— ცეკვას? — შეეკითხა ემა.

— ჰო!

— ხომ არ გაგიჟდი, სიცილს დაგაყრიან, შენს ტყავში დაეტიე. ექიმისთვის ეს უფრო შესაფერისიც იქნება. — დაუმატა მან.

შარლმა ხმა არ გასცა და ოთახში აქეთ-იქით სიარულს მოჰყვა. სანამ ცოლი ჩაცმას მორჩებოდა.

იგი უკანიდან ხედავდა ემას, სარკეში, აქეთ-იქით ანთებულ შანდლებს შუა. ქალის მოშავო თვალები უფრო შავი ჩანდა. ყურთა ზემოთ ოდნავ დახვეული თმა მოლურჯოდ ელავდა. ნაწნავებში სათუთკინწიანი ვარდი ჰქონდა გაბნეული, ფოთლებზე რომ ხელოვნური ცვარი ციმციმებდა. ღია ზაფრანისფერი კაბა სამ ადგილას ფოთლებიანი ვარდის თაიგულებით ჰქონდა აზიდული.

შარლი მივიდა და მხარზე ეამბორა.

— თავი დამანებე, — უთხრა მან, — კაბას დამიქმუჭნი.

გაისმა ვიოლინოს წკრიალა და ტრომბონის ხმა. ემა კიბეს დაჰყვა, თავს ძლივს იკავებდა, რომ არ გაქცეულიყო.

კადრილი უკვე დაწყებულიყო. ხალხი გროვდებოდა, ტევა. ალარ იყო, იკი კარებთან ჩამოჯდა სკამლოგინზე.

კონტრდანსი რომ გათავდა, ადგილი დაცარიელდა ჯგუფებად მობაასე ვაჟებისა და ლივრეანი მსახურებისათვის, რომელთაც ფართო სინები შემოჰქონდათ. მჯდომარე ქალთა მწკრივში მოხატული მარაოები ირხეოდა, თაიგულები ოდნავ მალავდა მოღიმარ სახეებს, ხოლო ოქროსსაცობიანი შუშები ფრთხილად იძვროდა თითებში, თეთრი თათმანები რომ ფრჩხილების მოყვანილობას აღბეჭდავდა და მაჯას უჭერდა, არშიების მორთულობა, ბრილიანტის ქინძისთავები, მედალიონებიანი სამაჯურები კორსაჟებზე ცახცახებდა, ჰკერდებზე ბრწყინავდა და შიშველ მკლავებზე წკრიალებდა. თმაზე, შუბლზე მეტად ნაოში, კეფაზე კი აბურთული, ზოგი კვირგვინისებრ, ზოგიც მტევნისა თუ შტოს სახით მოკაზმული იყო ნაირი ყვავილებით: გვირილა, იასამანი, ბროწეულის ყვავილი. პერის თავთავი ერთმანეთს ენაცვლებოდა. თავ-თავიანთ ადგილას მიწყნარებულნი, ისხდნენ მრისხანე სახისა და წითლით თავმოხვეული დედები.

ბუღი ოდნავ აუძგერდა ემას, როცა მისმა კავალერმა თითის წვერებში ხელი ჩაჰკიდა და მოცეკვავეთა მწკრივში ჩააყენა მუსიკის ტაქტის მოლოდინში. მაგრამ მღელვარება მალე გაქრა; ორკესტრის რიტმს აყოლილი, თავის ოდნავი რხევით წინ გაექანა ვაჟთან ერთად. ხანდახან, ვიოლინოს მარტო წკრიალზე, როცა სხვა საკრავები მიჩუმდებოდნენ, ემას ბაგეზე ღიმილი ათამაშდებოდა; და მაშინ უფრო მკაფიოდ გაისმოდა ოქროს ლუიდორების წკარუნი გვერდით ოთახის სათამაშო მაგიდებზე; შემდეგ კი ყველაფერი კვლავ ამოძრავდებოდა, კორნეტ აპისტონი უფრო მძლავრ ხმას გამოსცემდა, ფეხები ტაქტის მიხედვით ამოძრავდებოდა. კაბები აფრიალდებოდა და გაედებოდა, ხელები შეერთდებოდა და გაიშვებოდა; ერთი და იგივე თვალები ხან დაიხრებოდა მისი ცქერის წინაშე, ხან კვლავ მიაშტერდებოდა.

რამდენიმე ვაჟი (ასე თხუთმეტიოდე) ოცდახუთიდან ორმოცი წლის ასაკამდე, მოცეკვავეთა შორის რომ აქეთ-იქით იყო გაბნეული ან კარებთან ერთმანეთს ეგბაასებოდა, დანარჩენებისაგან რა-

ღაც ნათესაური მსგავსებით განირჩეოდა, მიუხედავად ჩაცმულობის, ასაკის თუ სახის სხვაობისა.

მათი უკეთ შეკერილი ტანისამოსი თითქოს უფრო ლბილი ქსოვილისაა, ხოლო საფეთქლებზე კულულებად ჩამოვარცხნილი თმა თითქოს უკეთესი ნელსაცხებლებითაა აბზინებულიო. სიმდიდრის ფერი დაჰკრავდათ, ის თეთრი ფერი, რაც ფასს ჰმატებს ფაიფურის სიმუქეს, აბრეშუმის ხასხასს, ძვირფასი ავეჯის პრიალსა და რომლის სიჯანსაღეც რჩეულ საჭმელებისადმი ჩვევით შეიძინება. მათი კისრები თავისუფლად მოძრაობდენ დაბალ საყელოებში, გრძელი ქილვაშები თითქმის მხრებსა სწვდებოდა. ისინი ჩქარობდნენ ფართო ინიციალებით მოქარგულ ცხვირსახოცებს, რომლებსაც საამური სუნი სდიოდათ. იმათ, ვინც ხანში შესულიყო, ახალგაზრდული იერი ჰქონდათ. ახალგაზრდების სახეს კი რაღაც შოწიფულობის ნიშანი დაჰკრავდა. მათს გულგრილ ცქერაში ვნებათა ყოველდღიური კმაყოფის სიმშვიდე ფეთქავდა, მათს მოქნილ მიმოხვრაში კი ის განსაკუთრებული სიმკაცრე, რასაც საგნების ადვილი დაპყრობა იძლევა და რითაც ძალა ვარჯიშობს, ხოლო პატივმოყვარეობა ერთობა, — ის, რასაც ჯიშიანი ცხენებით სიარული და ზნედაცემულ ქალთა საზოგადოება იძლევა.

ემას ახლოს ერთი ცისფრადჩაცმული კავალერი იტალიაზე ებაასებოდა, ახალგაზრდა ფერმკრთალ ქალს, რომელსაც მარგალიტის მორთულობა ამშვენებდა. ისინი ქებით იხსენიებდნენ წმ. პეტრეს ტაძრის დიდებულ სვეტებს, ტივოლის, ვეზუვის, კასტელამარესა და კასინის, გენუას ვარდებს, კოლიზეს მთვარიან ღამეში, მეორე ყურით კი ემა უსმენდა ისეთ საუბარს, რომლის სიტყვებიც სრულიად გაუგებარი იყო მისთვის. იქით კიდევ გარს შემოხვეოდნენ ერთს მეტად ახალგაზრდა კაცს, რომელსაც ერთი კვირის წინათ თბრილზე გადახტომაში დაემარცხებინა მ ი ს ა რ ა ბ ე ლ ა და. რ ო მ უ ლ უ ს ი და ორი ათასი ლუიდორი მოეგო. ერთი თავის ცხენზე სჩიოდა, სუქდებაო; მეორე კი — ჩემი ცხენის სახელი მახინჯად დაბეჭდესო.

დარბაზში შეხუთული ჰაერი იდგა; ლამპრები ილულებოდა, ხალხი საბილიარდო ოთახისკენ დაიძრა. ერთი მსახური სკამზე შედგა და ფანჯრის ორი მინა ჩაამტვრია; მინის მსხვრევის ხმაზე ემამ მიიხედა და ბაღში, ზედ ფანჯარაზე მომდგარი გლეხები შეამჩნია, დარბაზში რომ იჭვრიტებოდნენ. უეცრად თავისი ფირმა

ეაახსენდა. თვალწინ წარმოუდგა მშობლიური ოჯახი. ლელიანი ტბა. ბლუზიანი მამა ვაშლის ხეებქვეშ, საკუთარი თავი, ვით ოდესმე, როცა, თითით ნაღებს ხდიდა ხოლმე ქოთნებს სარძეოში. მაგრამ ახლანდელი წუთის მოკაშკაშე ბრწყინვალებაში თვისი წარსული, აქამდე რომ ასე ნათელი იყო, სრულიად იბინდებოდა და ამიტომ თითქოს ეჭვიც ებადებოდა, მართლაც ასე მიცხოვრია, თუ არაო. იგი აქ არის, ხოლო ამ ბალს იქით არაფერი არაა, გარდა ბინდისა, რომელსაც ყოველივე მოუცავს. ამ დროს იგი მარასკინიან ნაყინს შეექცეოდა, მარცხენა ხელში მინანქრის სადაფი ეჭირა და კოვზი ნახევრად თვალმოხუჭულს მიჰქონდა ტუჩთან.

მის ახლოს ერთ ქალს მარაო დაუვარდა. იქვე გაიარა ერთმა მოცეკვავემ.

— კარგს ინებებდით, ბატონო, — მიმართა ქალმა, — უკეთუ გაირჯებოდით და მომაწვდიდით მარაოს, კანაპეს უკან რომ ჩამივარდა!

ვაჟი დაიხარა და იმ დროს, როცა ხელი გაიწოდა მარაოს ასაღებად, ემამ შეამჩნია, რომ ახალგაზრდა ქალმა ვაჟის ქუდში სამკუთხად დაკეცილი რაღაც თეთრი ჩააგდო. ვაჟმა მარაო აიღო და ქალს თავაზიანად მიაწოდა; ქალმა თავის დაქნევით გადაუხადა მადლობა და თაიგულს დაუწყო ყნოსვა.

ვახშმის შემდეგ, რომელზედაც უხვად იყო ესპანური და რაინული ღვინოები, კიბოს და ნუშნახადის ხუპი, პუდინგი ალა ტრაფალგარ და ყოველნაირი ცივად მორთმეული ხორცეულობა ყველეს საზავებლით, თეფშებზე რომ ძიგძიგობდა, — ეტლები ერთიერთმანეთზე დაიძრა წასასვლელად. მუსლინის ფარდა რომ ოდნავ გადაგეწიათ, დაინახავდით როგორ ციმციმებდა ბნელში მათი ფარნები. სკამლოგინები დაცარიელდა; რამდენიმე მოთამაშეღა დარჩენილიყო: დამკვრელები თითის წვერებს ენაზე მიდებით იგრილებდნენ; შარლი თვლემდა ზურგით კარსმიყრდნობილი.

დილის სამ საათზე კოტილიონი დაიწყო; ემამ ვალსის ცეკვა არ ეცოდა. ყველა ვალსში ჩაება, თვით მადმუაზელ დ'ანდერვილიე და მარკიზის მეუღლე; დარბაზში დარჩნენ მხოლოდ ისინი, ვინც ღამის გასათევად იყვნენ დაპატიჟებულნი, ასე თორნეტიოდე პიროვნება.

ამ დროს, ერთი მოცეკვავე, ვისაც უბრალოდ „ვიკონტს" ეძახდნენ, და ვისი მეტად ღრმადამოკრილი ჟილეტიც მკერდზე ჩა-

ეოსხმულივით ჩანდა, მეორეჯერ მივიდა ემასთან და სთხოვა, ვიცეკვოთ, მე წაგიყვანთ და, აი ნახავთ, რა ჩინებულად მოახერხოთო.

ჯერ ნელა დაიწყეს, შემდეგ მოუჩქარეს. ტრიალებდნენ და მათთან ერთად ტრიალებდა ყველაფერი: ლამპრები, ავეჯი, კედლები და იატაკი, თითქოს ტარზე ფირფიტა ბრუნავსო. კარებთან გაქროლებისას ემას კაბის ბოლო შარვალს ეფინებოდა: მათი ფეხები ერთმანეთში იხლართებოდა; ვაჟი ქალისკენ ხრიდა თვალს, ქალი ვაჟს შეაცქერდებოდა; ემას რაღაცნაირი გარინდება ერეოდა, იგი შედგა. მერმე კვლავ დაიძრნენ და ვიკონტმა სწრაფი მოძრაობით ტალანის ბოლოს გაიტაცა, სადაც აქოშინებული ქალი კინაღამ წაიქცა და უნებურად, წუთით, ვაჟის მკერდს მიაყრდნო გაბრუებული თავი. შემდეგ ვაჟმა კვლავ ტრიალით, ხოლო უფრო შენელებულით, იგი თავის ადგილზე მიიყვანა; ემა დაჯდა, კედლისკენ გადაიზნიქა და თვალებზე ხელი მიიფარა.

როცა თვალი გაახილა, ნახა, რომ შუა დარბაზში ტაბურეტზე ზის ერთი ქალი. მის წინაშე კი სამი ვაჟი დაჩოქილა, ქალმა ვიკონტი აირჩია და ვიოლინოსტაც კვლავ დაუკრა.

მათ მიაცქერდნენ, მიჰქროდნენ და მოჰქროდნენ. ქალი — ტანურხევლად, თავდახრილი; ვაჟი კი იმავე მიმოხვრით, ოდნავ მოღუნული, მკლავმოვრგვალებული, ტუჩწაზიდული. ჰო, ამ ქალმა ცეკვა იცოდა! ისინი დიდხანს ცეკვავდნენ და ყველა დაღალეს.

კვლავ რამდენიმე წუთი იმუსაიფეს, შემდეგ ღამე მშვიდობისა, ან უკეთ, დილა მშვიდობისა უსურვეს ერთმანეთს, და სტუმრები დასაწოლად გაემართნენ.

შარლი ძლივს მიეთრეოდა, რიკულს მიჰყვებოდა, ფეხი თითქოს დასცვივნიაო. მთელი ხუთი საათის განმავლობაში სულ ზეზე იყო და ვისტის სათამაშო მაგიდებს დასცქეროდა, თუმცა თამაშისა არაფერი გაეგებოდა. კმაყოფილების უღრმესი ოხვრა აღმოხდა, როცა, როგორც იყო, ფეხთ გაიხადა.

ემამ შალი მოიხსნა, ფანჯარა გააღო და გადაეყუდა.

ბნელი ღამე იყო. წვიმის რამდენიმე წვეთი ჩამოვარდა. ემა ნოტიო ჰაერს ისუნთქავდა, თვალის ქუთუთოებს რომ უგრილებდა. ბალის მუსიკა კვლავ ყურში უგუგუნებდა; ყოველ ღონეს ხმარობდა ფხიზელი ყოფილიყო, რათა კიდევ განეგრძო ილუზია ამ სანუკვარი ყოფისა, რასაც მალე უნდა გაჰყოლოდა.

ინათა. იგი ციხე-დარბაზის ფანჯრებს მიაშტერდა, ცდილობ-

და გაეგო. რომელ ოთახში ეძინა ყველა იმ ხალხს, წუხელ რომ ნახა. სურდა გაეცნო მათი ცხოვრება, შიგ შეეჩვეოდა, შეერთებულიყო.

სიცივემ აკანკალა. ტანთ გაიხადა, საბანში შეძვრა და მძინარე შარლს მიეხუტა.

საუზმეს ბევრი ხალხი დაესწრო. სუფრამ ათ წუთს გასტანა. არავითარი ლიქერი არ მიურთმევიათ, რამაც ექიმი გააკვირვა. მადმუაზელ დ'ანდერვილიემ კალათში მოაგროვა ფინჩხები და ტბაზე გედებს წაუღო საკვებად. დანარჩენები კი სასეირნოდ გავიდნენ სათბურებში, სადაც უცნაური, ბუსუსიანი მცენარეები პირამიდებივით ამართული ეკიდა მოწიაპე ქოთნებში; ვით გველნი, თავიანთ ბუდეებზე გადმოზნექილნი, ქოთნის ნაპირებს დაჰკიდებოდნენ მწვანე და გრძელი, ერთმანეთში გადახლართული ბარდები. ორანჟერეია. სათბუნებლების ბოლოს რომ იყო, დახურული ტალანით უერთდებოდა ციხე-დარბაზის შენობას. მარკიზმა, რათა ახალგაზრდა ქალი გაერთო, საჯინიბოს სანახავად წაიყვანა. ბაგების ზემოთ, კალათების სახით რომ იყო მოწყობილი, ფაიფურის ფირფიტებზე შავად ეწერა ცხენთა სახელები. ცხენები, როცა ახლოს გაუვლიდნენ, კრთოდნენ და ენას აწკლარტუნებდნენ. აკაზმულობის საგომის იატაკი დარბაზის პარკეტივით ბრწყინავდა. ეტლთა სარეზერვო შუაგულს ეკიდა ორ მბრუნავ ბოძზე, ხოლო ლაგამი, მათრახი, უზანგები და რგოლები კედლის გასწვრივ იყო ჩამწკრივებული.

ამასობაში შარლმა ერთ-ერთ მსახურს სთხოვა, ჩემი ბოკი შეაბითო. ეტლი მთავარ შესასვლელთან მოიყვანეს; როცა ბარგი ჩაალაგეს, ცოლ-ქმარი ბოვარი მასპინძლებს გამოეთხოვა და ტოსტის გზას გაუდგნენ.

მდუმარე ემა ეტლის თვლებს მიშტერებოდა, ნაპირზე მჯდომარე შარლი მკლავგამართული მართავდა, პატარა ცხენი თავისუფლად ჭიჩაქჩაქებდა. მოდუნებული სადავეები გავაზე სცემდა და ოფლში ისვრებოდა, ეტლის უკანშემოკრული კოლოფი განუწყვეტლივ ეხლებოდა ბოკის ძარას.

თიბურვილის სერზე იყვნენ გადმომდგარი, როცა მათს ახლოს ორმა ცხენოსანმა გაიარა, პირში სიგარები ეჭირათ და იცინოდნენ. ემამ თითქოს ვიკონტი შეიცნო; მყის მიბრუნდა, მაგრამ

სერს გადაღმა ორი თავიღა მოჩანდა, ჩორთს აყოლებული რომ ხან ადიოდა, ხან კი ჩადიოდა.

მეოთხედი ლიეს გავლის შემდეგ გაჩერება მოუხდათ, რათა გაწყვეტილი ბაგირი თოკით შეეკრათ.

როცა შარლმა ერთხელ კიდევ მოავლო თვალი ცხენის აკაზმულობას, მიწაზე, ცხენის ფეხთა შორის რაღაც ნივთი შეამჩნია, დასწვდა და ქისა აღმოჩნდა მწვანე აბრეშუმით ნაკერი, ზედ გერბი იყო ამოქარგული, როგორც ეტლის კარებზე იციან ხოლმე.

— ორი სიგარაც შიგაა, — თქვა მან, — ეს დღეს გამომადგება ნასადილევს.

— შენ განა ეწევი? — ჰკითხა ცოლმა.

— ხანდახან, როცა შემხვდება.

ნაპოვნი ჯიბეში ჩაიდო და ცხენს გაუძახა.

შინ რომ მივიდნენ, სადილი კიდევ არ იყო მზად. ემა გაჯავრდა. ნასტაზიმ უკმეხად უპასუხა.

— გამეცალეთ! — მიახალა ემამ, — ეს დაცინვაა, სულაც დაგითხოვთ.

სადილად ხახვის სუპი ჰქონდათ და ერთი ნაჭერი ხბოს ხორცი მეაუნით. ემას პირდაპირ მჯდომარე შარლი სიხარულით ხელებს იფშვნეტდა და ამბობდა:

— რა სასიამოვნოა შინ დაბრუნება!

ნასტაზის ტირილი შეესმათ. შარლს ოდნავ უყვარდა ეს საბრალო ქალი. ოდესღაც, ქვრივი რომ იყო, მოცლილი საღამოები ამ ქალთან საუბარში გაეტარებინა; იგივე იყო მისი პირველი პაციენტი და ყველაზე უფრო ძველი ნაცნობი ამ კუთხეში.

— მართლა საბოლოოდ გაუშვი? — ჰკითხა ემას.

— განა ვინ დამიშლის? — მიუგო ემამ.

შემდეგ ორივენი სამზარეულოში თბებოდნენ. სანამ მათ ოთახს მიალაგებდნენ. შარლი სიგარის წევას შეუდგა. ტუჩგამოწვეული სწევდა, მალი-მალ აფურთხებდა, ბოლის ყოველ გამოშვებას თავს არიდებდა.

— აბა თავს რად იწუხებ! — ზიზღით უთხრა ემამ.

შარლმა სიგარა დადო, გაიქცა და ერთი ჭიქა ცივი წყალი გადაყლაპა. ემამ ქისას ხელი დაავლო და კომოდის უჯრაში ჩააგდო.

მეორე დღე განა გრძელი არ იყო? თავის ბაღჩაში დასეირნობდა, იმავე ხეივნებში მიდი-მოდიოდა, ყვავილთა კვლების, ხე-

ხილის, თაბაშირის ხეცესის წინ შედგებოდა, გაკვირვებული შესცქეროდა ყველაფერს, რასაც ძალიან კარგად იცნობდა. რა შორეულად ეჩვენებოდა უკვე გუშინდელი ბალი! ვინ დააშორა ასეთი ღიდი ნანძილით გუშინწინდელი დილა და დღევანდელი საღამო? ეობიესარში სტუმრობამ მის ცხოვრებაში ერთი ნაპრალი გააჩინა მსგავსად იმისა, როგორც ქარიშხალი მხოლოდ ერთი ღამის განმავლობაში აჩენს ხოლმე მთებში. მაგრამ მაინც შეურიგდა; მოწიწებით ჩადო კომოდში თვისი მშვენიერი სამოსი და სატინის ფეხსაცმელი. ლანჩები რომ პარკეტის სანთლით გაყვითლებულიყო. მისი გულიც ამ ფეხსაცმელივით იყო: ფუფუნებას რომ მიეკარა, რაღაც ისეთი მიეცხო, რაც აღარ მოსცილდებოდა.

„ამ ბალის მოგონება ერთგვარ საქმიანობად გადაექცა ემას. ყოველ ოთხშაბათს, გაღვიძებისას, ასე იტყოდა: აჰ, უკვე რვა დღე გავიდა... თხუთმეტი დღე... სამი კვირა, რაც იქ ვიყავ!“ და თანდათანობით, მის ხსოვნაში სახეები მიილულა, კონტრდანსების მელოდია დაავიწყდა. გარკვევით აღარც ლივრეები და ოთახები ახსოვდა: წვრილმანი რაღაც გაჰქრა. მაგრამ ნაღველი კი დარჩა.

IX

ხშირად, როცა შარლი შინ არ იყო, ემა მწვანე აბრეშუმის პორტსიგარს ამოიღებდა ხოლმე, კომოდში რომ ჰქონდა დამალული დაკეცილ თეთრეულს შორის.

ათვალიერებდა, გახსნიდა და მისი სარჩულის სუნს იყნოსავდა. ვერვენითა და თამბაქოთი რომ იყო შეზავებული, ვის ეკუთვნოდა იგი?.. ვიკონტს. შეიძლება იგი სატრფოს ნაჩუქარი იყო. ქისა უთუოდ პალისანდრის ქარგაზე იყო ნაკერი: ამ პაწია ხელსაწყოს, ალბათ, გულმოდგინედ მალავდა ცნობისმოყვარე თვალთაგან და მრავალი საათის განმავლობაში ჩაჰკირკიტებდა მას ხუჭუჭთმიანი დაფიქრებული მოხელსაქმე. სიყვარულის სულთქმას გაუვლია კანკის თვალთა შორის; ნემსის თითოეულ გაცმას ზედ აღუბეჭდია იმედი თუ მოგონება, და ყველა ეს აბრეშუმის დახლართული ძაფი სიცვა არა იყო რა, თუ არა იმავე უთქმელი ვნების განგრძობა. და ვიკონტმაც შემდეგ, ერთ მშვენიერ დილას, თან წაიღო იგი. ნეტავ რაზე ბაასობდნენ ისინი მაშინ, როცა ეს პორტსიგარი მშვენიერი ბუხრის თავზე იდო ყვავილოვან ლარნაკთა და პომპადურის

სტილის საათს შორის?.. ემა ტოსტშია. იგი კი, ვიკონტი, პარიზშია ახლა; იქ! ნეტავ როგორია ეს პარიზი? რა უსაზღვრო სახელია! დაბალი ხმით იმეორებდა ამ სახელს, რათა სიამე ეგემნა, კათედრალის ზარივით გუგუნებდა იგი მის ყურებში, თვალთა წინაშე ულაპლაპებდა ყველგან, — თვით მის ნელსაცხებელთა კოჭობის ეტიკეტზედაც კი.

ღამით, როცა მეთევზეები, თავიანთ ურმებზე მჯდომარენი, მარჟოლენის სიმღერით გაივლიდნენ ხოლმე მის ფანჯარასთან, იგი მყის გაიღვიძებდა და მანამ უგდებდა ყურს ურმების ჭრიალს, სანამ ქალაქს გაშორებული, იგი სრულიად არ მიწყდებოდა.

— ხვალ ისინი იქ იქნებიან! — იტყოდა ხოლმე თავისთვის...

და ფიქრით მათ გაედევნებოდა, აღმართსა და დაღმართს აივლ-ჩაივლიდა, სოფლებს გასცდებოდა და დიდი გზით მიემართებოდა ვარსკვლავთა შუქზე. განუსაზღვრელი მანძილის ბოლოს მუდამ ისეთი ადგილი აღმოჩნდებოდა, სადაც მისი ოცნება ქრებოდა ხოლმე.

პარიზის გეგმა იყიდა და თითით, რუკაზე, სატახტო ქალაქში დაიარებოდა, ბულვარებს გაჰყვებოდა, ყოველ კუთხეში, ქუჩაბანდებში, თეთრი ოთხკუთხედების წინ, სახლებს რომ ნიშნავდა, უთუოდ უნდა შემდგარიყო. როცა ცქერით დაიღლებოდა, თვალს მოხუჭავდა და ხედავდა ბნელში ქარისგან ალიცლიცებულ გაზის ფარნებსა და ეტლთა საფეხურებს, თეატრების პერისტილის წინ რომ დიდი ხმაურით მყის დაეშვებოდნენ.

გამოიწერა ქალთა ჟურნალი „კორბეი“, აგრეთვე „Sylphe des salons“. წაუკითხავს არ გაუშვებდა არც ერთ ანგარიშს პრემიერების, დოღისა და საღამოების შესახებ, აინტერესებდა მომღერალ ქალთა დებიუტი, ახალი მაღაზიების გახსნა. იცოდა ახალი მოდა. კარგი მკერავების მისამართები. ბულონის ტყეში სეირნობისა თუ ოპერის დღეები. ეჟენ სიუს ნაწარმოებთა მიხედვით შეისწავლა სახლების შინამორთულობა. წაიკითხა ბალზაკი და ჟორჟ სანდი, იქ ეძიებდა თავისი მძაფრი სურვილების ოცნებით დაკმაყოფილებას, სუფრაზე მჯდომარეც კი არ იცილებდა წიგნსა და ფურცლავდა იმ დროს, როცა ჭამდა და ებაასებოდა. ამ კითხვის დროს, ვიკონტის ხსოვნა არასოდეს შორდებოდა, მასა და მოგონილ პიროვნებათა შორის ურთიერთობას აბამდა. მაგრამ წრე, რომლის ცენტრსაც ვიკონტი წარმოადგენდა, თანდათან ფართოვდებოდა.

ის შარავაადედი, მის თავს რომ ადგა, მოშორდა, მეტად განივრცო და სხვა ოცნებანი გააშუქა.

პარაზი, უფრო ვრცელი, ვიდრე ოკეანე, ემას ვარდისფერ ბურუსში გახვეული ეჩვენებოდა. ჭარბი ცხოვრება, ამ ორომტრიალში რომ დუღდა, დაყოფილიყო ნაწილებად, განრიგებული იყო მკაფიო სურათებად. ემა მათ შორის მხოლოდ ორს ან სამს არჩევდა, რომელიც დანარჩენებს ფარავდა, და რომელიც თავისთავად მთელ კაცობრიობას წარმოადგენდა. დიპლომატების სამყარო გაპრიალებულ პარკეტზე დაიარებოდა, სარკეებით მორთულ დარბაზებში, მრგვალ მაგიდებს შორის, ხავერდი რომ ფარავს ოქროსფოჩებიანი. იქ იყო გრძელბოლოიანი კაბები, დიდი იდუმალება. ღიმილით დაფარული შეშფოთება. შემდეგ ჰერცოგების საზოგადოება მოდიოდა; ესენი ფერმკრთალები იყვნენ; ოთხ საათზე დგებოდნენ: ქალები, საბრალო არსებანი, კაბის ქობაზე ინგლისურ არშიებს ატარებდნენ; ვაჟები კი, დაუფასებელი ნიჭისა და ფუქსავატი გარეგნობისანი, თავიანთ ცხენებს სეირის გულისთვის ღუპავენ. ზაფხულს ბადენ-ბადენში ატარებენ და, ბოლოს, ორმოცი წლისანი მზითვიან ქალებს ირთავენ; რესტორნების კაბინეტში, სადაც ნაშუალამევს ვახშმობენ, ლიტერატორებისა და აქტრისების ბრბო ჭხიარულობს, სანთლებით გაბრდღიალებულნი, ესენი მფლანგველები არიან, ვით მეფენი, უდიდესი პატივმოყვარეობით აღსავსენი და გიჟურ ოცნებას აყოლილნი. ეს არის ზეკაცური ცხოვრება, ცასა და დედამიწას შუა, ქარიშხალთა შორის, რაღაც უზენაესი. რაც შეეხება დანარჩენ სამყაროს, იგი დაღუპული იყო, თითქმის უადგილო, თითქოს არც კი არსებობსო. რამდენადაც საგნები უფრო ახლო იყო, იმდენადვე ფიქრი მისი უფრო შორს მიფრინავდა. ყოველივე, რაც მას უშუალოდ გარს ერტყა: მოსაბეზრებელი სოფელი, უჭკუო წვრილი ბურჟუები. ცხოვრების სიდუხჭირე, ყველაფერი რაღაც გამონაკლისად ეჩვენებოდა ამქვეყნად, კერძო შემთხვევა, რომელთა შორისაც თვით გახლართულიყო მაშინ, როცა ამიხ გადაღმა თვალუწვდენ სივრცეზე გაზიდულიყო განუზომელი ქვეყანა სიამისა და ვნებისა. მის სურვილს ერთმანეთისგან ვერ გაერჩია ტკბობა ფუფუნებისა და სიხარული გულისა, შნოიერება ჩვევისა და სინაზე გრძნობისა. განა სიყვარულს ისე, ვით ინდოეთის მცენარეს, საგანგებოდ შემზადებული ნიადაგი და განსაკუთრებული ჰავა არ ესაჭიროება? ოხვრა მთვარიან ღამეში,

ხანგრძლივი ხვევნა, ცრემლები, გაყრისას რომ ხელებს ეფრქვევიან, თრთოლვა აღგზნებული სხეულისა და დაუსრულებელი სიამენი განუყრელნი არიან ციხე-დარბაზის აივნებთან, მოცალეობით რომ აღვსილან; განუყრელნი არიან ბუდუართან. აბრეშუმის ვარდებით, რბილი ხალებით, ყვავილოვანი კალთებითა და მაღალი სარეცელით რომ არის მორთული; განუყრელნი არიან ძვირფასი ოვლების ბრწყინვასა და ოქრომკედით მოქარგულ ლივრეებთან.

ფოსტის მეჯინიბე ბიჭი, ყოველ დილას რომ ფაშატის დასაურვებლად დაიარებოდა, ხის დიდრონი ფოსტლების ბრახუნით გაივლიდა ხოლმე დერეფანს; ბლუზა ჩამოგლეჯილი ეცვა, ფეხსაცმელში შიშველი ფეხი ჰქონდა წაყრილი. აი, ეს იყო ის მოკლეშარვლიანი გრუმი, რომლითაც ემა უნდა დაკმაყოფილებულიყო! თავის სამუშაოს რომ მორჩებოდა, მერე მთელი დღე თავისუფალი იყო, რადგან შარლი, შინ დაბრუნებისას, თვითონ გამოხსნიდა ხოლმე ცხენს, ავშარას გაუკეთებდა, მსახური ქალი კი ბზეს ჩაუყრიდა ბაგაში.

ნასტაზის მაგიერ (რომელიც ცრემლთა ნაკადულის ღვრით წავიდა ტოსტიდან) ემამ ერთი ობოლი და მწყაზარი სახის თოთხმეტი წლის გოგონა აიყვანა. ემამ მას აუკრძალა ჩითის ჩაჩის ტარება, ასწავლა სხვასთან მესამე პირით ლაპარაკი. წყლით სავსე ჭიქის ფინჯანზე დადგმა და ისე მირთმევა, კარზე დაკაკუნება, ვიდრე სადმე შევიდოდა, ასწავლა უთოობა, გახამება. ქალბატონის ჩაცმევა, რადგან სურდა თავის პირფარეშად გაეხადა; ახალი ფარეში უბუზღუნოდ ემორჩილებოდა, რადგან გაგდების უშინოდა: და რაკი ქალბატონი, ჩვეულებრივ, გასაღებს ბუფეტის კარებშივე ტოვებდა, ფელისიტე ყოველ საღამოს შაქრის ნატეხებს იმარაგებდა და ლოგინში, ლოცვის წარმოთქმის შემდეგ, პირს იტკბარუნებდა.

ფარეში ნაშუადღევს, ზოგჯერ, მათს პირდაპირ მცხოვრებ ფოსტის მეჯინიბეებთან დადიოდა სალაყბოდ, ქალბატონი კი ამ დროს ზემოთ იყო ხოლმე, თავის აპარტამენტში.

ემა ატარებდა გულღია ხალათს, რომლიდანაც ოქრის სამღილიანი დანაოჭებული ბლუზა მოჩანდა. ქამრად დიდფოჩიან გრეხილს ხმარობდა, ხოლო ბროწეულისფერი ფოსტლები ფართო ბაბთებით იყო მორთული. საკუთრივ ჰქონდა მომარაგებული ბიუვარი, კალამი, ქაღალდი და კონვერტები, თუმცა წერილის მისაწერი კი არავინ ჰყავდა; ეტაჟერს გასწმენდდა, სარკეში ჩაი-

ხედავდა, მერმე წიგნს აიღებდა, სტრიქონსა და სტრიქონს შუა ოცნებას მიეცემოდა და წიგნიც მუხლებზე დაუვარდებოდა. ენატრებოდა სადმე გამგზავრებულიყო ან კიდევ თავის მონასტერს დაბრუნებოდა. ამასთანავე სურდა პარიზში ცხოვრება და იქ სიკვდილი.

შარლი კი. თოვლსა და წვიმაში, სასოფლო გზებზე დაწანწალებდა. იოლს მიდიოდა ტაფამწვრით, ფერმებში რომ სთავაზობდნენ. ოფლიან ლოგინებში ხელს უყოფდა, სისხლის გაღების დროს სახეს სისხლით ითხუპნიდა, სულთმობრძავთა ხროტინს უსმენდა. განავლებს ათვალიერებდა, ჭუჭყიან საცვლებში ხელს ურევდა; ხოლო ყოველ საღამოს შინ ანთებული ბუხარი, გაშლილი სუფრა, რბილი სავარძელი და კოხტადჩაცმული, მომხიბლავი და მთლად ნორჩი ცოლი დახვდებოდა; გრძნობდა და არ იცოდა, საიდან დიოდა ეს ნორჩი სურნელება. ან, იქნებ, ემას სხეული იყო, რომ მისსავე პერანგს ასე ამუშკებდა.

ქმარს ათასგვარი დელიკატესით ხიბლავდა; ხან შანდლებზე დასაფენ ქაღალდის ვარდებს სხვანაირად დაკეცავდა, ხან თავის კაბას ფურჩალს გამოუცვლიდა, ხანაც თვით უბრალო კერძს, მსახურს რომ წაეხდინა, არაჩვეულებრივ სახელს გამოუგონებდა და შარლიც დიდი სიამით მიირთმევდა. რუანელ ქალებს საათის ძეწკვზე ბრელოკების მთელი აკიდო დაუნახა; ბრელოკები თვითონაც იყიდა. ბუხრის თავის შესამკობლად ორი დიდი ლარნაკი შეიძინა ლურჯი მინისა, ცოტა ხნის შემდეგ კი სპილოს ძვლის ნესესერი, მოოქრული სათითით, რამდენადაც შარლს ნაკლებ გაეგებოდა ყველა ამ მშვენებისა, იმდენადვე უნებურად იხიბლებოდა. ყოველივე ეს რაღაც მეტ სიამეს ანიჭებდა მის გრძნობებსა და ოჯახის სინაზეს. იგი, თითქოს ოქროს ქინქლიაო, ისე ავარაყებდა მისი ცხოვრების მთელ ვიწრო ბილიკს.

ჯანმრთელი იყო, ფერხორციანი, მტკიცე რეპუტაცია ჰქონდა, სოფლელებს უყვარდათ, რადგან ამაყი არ იყო. ბავშვებთან ალერსიანი იყო, სამიკიტნოში არ შედიოდა და ამასთანავე ზნეობრივი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. განსაკუთრებით ეხერხებოდა კატარებისა და ფილტვების ავადობის მკურნალობა. რაკი უფრთხოდა, ბევრი ხალხი არ დავხოცოო, ამიტომ ჭხოლოდ დამამშვიდებელ წამლებს უწერდა, ზოგჯერ სასაქმებელს, ფეხის აბაზანებსა და წურბელას. მაგრამ არც დასტაქრობას ერიდებოდა; სისხლს

ისე უღებდა, ვით ცხენს, ხოლო კბილების ამოთხრის დროს ნამდვილი ჯოჯოხეთური ხელი ჰქონდა.

დასასრულ, თავის პროფესიას რომ არ ჩამორჩენოდა, გამოწერილი ჰქონდა „რუშ მედიკალ“, ახალი სამკურნალო ჟურნალი, რომლის პროსპექტიც წინასწარ ჰქონდა მიღებული. ნასადილევს ოდნავ გადაავლებდა თვალს, მაგრამ თბილი ოთახი და საჭმლის მონელება თავისას შვრებოდა და ხუთიოდე წუთის შემდგომ ტკბილად ჩაეძინებოდა; იქვე ეძინა, მაგიდაზე, ნიკაპი ხელებზე ჰქონდა დაყრდნობილი, ხოლო ფაფარივით ჩამოყრილი თმა კი თითქმის ლამპის ფეხამდე ეფინებოდა. ემა მხრების აჩეჩვით უცქერდა. რატომ ისეთი ქმარი მაინც არ შეხვდა, მედგარი და შრომისმოყვარე, რომელიც მთელ ღამეებს წიგნის კითხვაში ატარებს, მაგრამ, სამაგიეროდ, ორმოცი წლისა, როცა რევმატიზმის ასაკი დგება, ცუდად შეკერილ ფრაკზე მთელ გროვა ორდენებს ატარებს. სურდა, რათა ბოვარის გვარი, რომელიც მისი გვარიც იყო, განთქმული გამხდარიყო, წიგნის მაღაზიების ვიტრინებზე გამოფენილი, ჟურნალ-გაზეთებში ნახსენები და მთელ საფრანგეთში ცნობილი ყოფილიყო. მაგრამ შარლი სრულიადაც პატივმოყვარე არ იყო! ერთმა ექიმმა, ქ. ივეტოდან, რომელსაც კონსილიუმზე შეხვდა, ერთგვარი შეურაცხყოფა მიაყენა თვით ავადმყოფის ლოგინთან, ნათესავთა მთელი კრებულის წინაშე. როცა, საღამოს, შარლმა ეს ამბავი გაუმჟღავნა, ემა საშინლად აღშფოთდა მისი კოლეგის საქციელით. ამან შარლს გული აუჩუყა, თვალცრემლიანმა ცოლს შუბლზე აკოცა, ხოლო ემა კი სირცხვილით იწვოდა. სურდა ერთი კარგად მიეტყეპა იგი; ადგა. დერეფანში ფანჯარა გააღო და თავი ცივ ქარს მიუშვირა, რათა დამშვიდებულიყო.

— რა საბრალო კაცია! რა საბრალო კაცია!

ჩუმად ამბობდა თავისთვის და ჩარბებს იკვნეტდა.

მისი საქციელი უფრო და უფრო აღიზიანებდა ემას. რამდენადაც ასაკში შედიოდა, იმდენადვე მეტი ტლანქი ჩვევანი უჩნდებოდა; დესერტის დროს ცარიელი ბოთლების საცობებს დანით ჩლიგნიდა; ნასადილევს კბილებს ენით იწმენდდა; წვნიანსაც ხრუპუნით ჭამდა; და რაკი სუქდებოდა, ისედაც წვრილი თვალები, ლოყების სისქის გამო, თითქოს კვინიხში უძვრებაო.

ზოგჯერ ემა საკუთარი ხელით ჩაუტენიდა ხოლმე ჟილეტში სათბურის გარეთ გამოშვერილ წითელ ქობას; ჭალსტუხს გაუსწო-

რებდა, ძალით გამოსტაცებდა ხელში გახუნებულ თითმანებს-სწორედ მაშინ, როცა წამოცმას დააპირებდა. ყოველივე ამას მისი გულისთვის კი არ შვრებოდა, როგორც შარლს ეგონა, არამედ თავისთვის, საკუთარი ეგოიზმისა და ნერვული აღგზნების გამო. ხანდახან წაკითხულზე ჩამოუგდებდა სიტყვას, იქნებოდა ეს რომანის რომელიმე ადგილი, ახალი პიესა თუ მაღალი საზოგადოების ახალი ამბავი, ფელეტონში რომ იყო ხოლმე მოთავსებული. რადგან შარლი, რაც უნდა იყოს, მაინც მსმენელი იყო, რომელსაც შეეძლო გაგონება და თქმულის დადასტურება. ხომ უმეღავნებდა ხოლმე იგი გულისნადებს თავის პირფარეშს! ემა მუგეზლებსა და საათის ქანქარასაც კი გაებაასებოდა ხოლმე.

ამასთანავე, გულის სიღრმეში რაღაცას ელოდებოდა. ვით განწირული მეზღვაური, იგი სასოწარკვეთილ თვალს ავლებდა საკუთარ გაპარტახებულ ცხოვრებას და ბურუსიან სივრცეში საიმედო თეთრ იალქანს ეძებდა. ემამ არ იცოდა, როგორი იქნებოდა ეს შემთხვევა, ეს იალქანი; რომელი ქარი მოუცურებდა მას ან რომელი ნაპირისკენ წაიყვანდა ის იალქანი; არც ის იცოდა, პატარა ნავი იქნებოდა თუ სამანძიანი ხომალდი, წუხილით დატვირთული თუ პირთამდე ნეტარებით ავსილი. მაგრამ ყოველ დილას, გაღვიძებისას, იმედი ჰქონდა, აი დღეს გამოჩნდებაო, ყურს უგდებდა ყოველ ხმაურს, უნებურად წამოხტებოდა და უკვირდა, რომ ჯერ კიდევ არ გამოჩენილიყო; ხოლო საღამოს, მუდამ უფრო დაღვრემილი, ხვალინდელი დღის დადგომას ნატრობდა.

კვლავ გაზაფხულდა. პირველ სიცხეებისთანავე, როცა მსხლის ხეები აყვავდა, გულის ხუთვა იგრძნო.

ივლისის დადგომიდანვე თითებზე ითვლიდა, ოქტომბრამდე რამდენი კვირაა, ეგონა, მარკიზ დ'ანდერვილიე, ალბათ, კვლავ გამართავდა ბალს ვობიესარშიო, მაგრამ სექტემბერი გავიდა და არც წერილი ყოფილა, არც დარბაზობა.

ამ იმედგაცრუების ნაღვლის შემდგომ გული უწინდებურად ცარიელი დარჩა და უფერული დღეებიც ერთმანეთს გადაეება. და მისდევდა ერთნაირ, უთვალავ დღეთა ლარს, ასე უნაყოფოდ რომ გაჭიმულიყო! სხვა არსებათა ცხოვრება, რაგინდ უგემური იყოს, რაიმე მოსალოდნელობას მაინც შეიცავს. ერთი რამ თავგადასავალი დაუსრულებელ პერიპეტიებს იწვევს და, ხედავენ, გარემოც იცვლება, ხოლო მისთვის სრულიად არაფერი ხდება, ღმერთმა, ალ-

ბათ, ასე ინება! მომავალი მისთვის ბნელით აღსავსე ტალანია, რომ-ლის გასასვლელიც მტკიცედაა დახშული.

მუსიკას თავი გაინება, რისთვის დაუკრას! ვინ მოუსმენს? მას ხომ არასოდეს შეეძლება, რომ ხავერდის მოკლესახელოიანი კაბით გამოწყობილმა, კონცერტზე, ერარის პიანინოს სპილოს ძვლის კლავიშებზე აათამაშოს თვისი მსუბუქი თითები და თავის გარშემო სიოს სისინივით იგრძნოს აღტაცებით გამოწვეული ჩურჩული, ამიტომაც საჭირო არაა ნოტების სწავლით თავის შეწუხება. აღარც თავის ნახატებისა და ნაქარგებისთვის უხლია ხელი. რისთვისღა? რისთვისღა? ქარგვა აბრაზებდა.

— ყველაფერი წავიკითხე უკვე. — ამბობდა თავისთვის.

იჯდა ბუხართან და ნაკვერჩხლებზე მაშას ავარვარებდა ან წვიმას გასცქეროდა გარეთ.

რა ნაღვლიანი იყო ხოლმე კვირაობით, როცა ძწუხრის ზარს ჩამოჰკრავდნენ! რაღაც გაშტერებულის ყურადღებით უსმენდა გაბზარული ზარის რეკვას. მეზობლის სახლის სახურავზე ჩამავალი მზის სხივებში ეხვეოდა ზმორებით ზურგაზნექილი კატა. დიდ შარაზე ქარი მტვრის ფარდებს მიაქანებდა. ზოგჯერაც სადღაც შორეული ძაღლი ყმუოდა. ზარი კი თანაბარი დროგამოშვებით ერთხმოვან რეკვას განაგრძობდა და მისი ჟღარუნი შორეულ მინდვრებში იკარგებოდა.

ამასობაში მლოცველნიც გამოვიდნენ, ქალები ხის გასანთლული ფეხსაცმლით, გლეხები ახალი ხალათებით, ხოლო მათ წინ ცალფეხზე მოხტუნავე თავშიშველი ბავშვები. ყველანი თავიანთ სახლებისკენ გაეშურებოდნენ, სამიკიტნოს წინ კი, ხუთი თუ ექვსი მოქალაქე, მუდამ ერთი და იგივე, დაბინდებამდე ბუშონის თამაშში იყვნენ ხოლმე გართულნი.

ზამთარი სუსხიანი იყო. ფანჯრის მინები დილაობით იყინებოდა და მათში გავლილი მუქი სინათლე ზოგჯერ მთელი დღის განმავლობაში არ იცვლებოდა. საღამოს ოთხი საათიდან საჭირო იყო ლამპრის ანთება.

კარგ ამინდში ემა ბაღში ჩადიოდა. კომბოსტოს თავებზე ცვარს ვერცხლის არშიები ამოუქარგავს, ერთიდან მეორემდე გრძელი ბრწყინვალე ძაფით გაბმული. ფრინველების ხმა არ ისმის; თითქოს ყველაფერს მიუძინიაო; ხეხილი ჩალით არის შეფუთნული, ხოლო ვაზი უშველებელ ავადმყოფ გველსა ჰგავს. კე-

ველზე ჩამოკიდებული, სადაც, თუ დააკვირდები, მრავალფეხები ფაცოცავენ; ახალგაზრდა ნაძვებში, ღობის ახლოს, თაბაშირის ხუკეს. სამკუთხოვანი ქუდი რომ ხურავს და თავის ლოცვანს ჩასკქერის, მარჯვენა ფეხი მოვარდნია, სახეზედაც კი ყინვას თაბაშირი დაუფორაჯებია, თითქოს მუწუკები დაჰყრიაო.

ზერმე კვლავ შინ დაბრუნდებოდა, კარებს ჩაკეტავდა, ბუხარში ნაკვერცხალს გამოაფხიზლებდა და მცხუნვარებით მოთენთილს მოწყენილობა უფრო მეტი სიმძიმით დააწვებოდა თავს. კარგი იქნებოდა, სამზარეულოში რომ ჩასულიყო და მსახურს გამოლაპარაკებოდა, მაგრამ რიდი აკავებდა.

ყოველ დღე, ერთსა და იმავე დროს, სოფლის მასწავლებელი, შავი აბრეშუმის ჩაჩით, თავისი საბლის დარაბებს აღებდა, სოფლის მეველე კი, ხალათზე რომ ხმალი ეკიდა, ჩვეულებრივი დინჯი ნაბიჯით ჩაივლიდა. დილითა და საღამოთი ფოსტის ცხენები, ამ-ამი ერთად, ქუჩას გადაჭრიდნენ ტბაზე წყლის დასალევად. დროდადრო რომელიმე სამიკიტნოს კარი, გაღებისას, პატარა ზარს აწკარუნებდა, ხოლო, თუ ქარი იყო, მაშინ თითბრის იმ პატარა ტაშტების ჩხაკუნიც ისმოდა, სადალაქოს კარზე რომ აბრის მაგიერ იყო ჩამოკიდებული. სადალაქოს სხვა მოკაზმულობაც ჰქონდა: მოდების ძველი გრავიურა, შიგნიდან რომ ფანჯრის მინაზე იყო აკრული, და სანთლის ბიუსტი ქალისა, რომელსაც ყვითელი ფერის თმა ჰქონდა. ისიც, დალაქიც ჩიოდა მუშაობის სიმცირეს, თავის დაღუპულ მომავალს; ნატრობდა სადალაქოს გახსნას რომელიმე დიდ ქალაქში, მაგალითად, რუანში, ნავსადგურში, თეატრის ახლოს; მთელი დღე მერიასა და ეკლესიას შორის დასეირნობდა მოწყენილი და მუშტარს ელოდებოდა. როდესაც კი მადამ ბოვარი გადაიხედავდა, მუდამ იქ ხედავდა, ვით თავის პოსტზე მდგომ გუშაგს, ყურჩეჩამოზიდული ბერძნული ფესითა და ლასტინგის პიჯაკით.

ზოგჯერაც, ნაშუადღევს, დარბაზის ფანჯრებთან ვინმე გამოჩნდებოდა, მზითდამწვარი, შავქილვაშებიანი, რომელიც ნელა და ფართოდ გაიღიმებდა და თეთრ კბილებს გამოაჩენდა. იმწამსვე ვალში დაიწყებოდა და ორღანის თავზე, პაწია სალონში, თითის ტოლა მოცეკვავენი ვარდისფერთავსაკრავიანი ქალები, ყაკეტიანი ტიროლელები, შავსამოსიანი მაიმუნები, მოკლეშარვლიანი ვაჟები დაიწყებდნენ დაუსრულებელ ტრიალს სავარძლების, კანაპეებისა და დაკიდებული ლამპრების გარშემო და მათი აჩრდილები მეორდე-

ბოდნენ სარკის ნამტვრევებში, მოოქრულ ქაღალდში რომ იყო ჩასმული. კაცი ორღანის სახელურს ატრიალებდა და თანაც მარჯვნით და მარცხნით ფანჯრებისაკენ იცქირებოდა. დროდადრო ქუჩის ბოძს გრძლად მიატყეპებდა ჭვარტლისფერ ნაფურთხსა და მუხლზე თავის საკრავს აიფარებდა, რომლის ხმელი ტყავიც მხარს უღლიდა. და კოლოფის ვარდისფერი ტაფტის პაწია ფარდიდან, სპილენძის მოხარატებული ფირფიტით რომ იყო დამაგრებული, ზუზუნით ისმოდა მუსიკის ხმები ხან ნაღვლიანი და ნელი, ხანაც მხიარული და აჩქარებული. ეს იყო ისეთი არიები, რომლებსაც ბევრგან უკრავენ, თეატრებში, სალონებში, რომელთა ხმაზედაც ცეკვავენ ჭაღებით გაბრდღიალებულ დარბაზებში; ეს იყო მაღალი საზოგადოების გამოხმობა ემას ყურამდე მოღწეული. დაუსრულებელი სარაბანდები რიალობდა მის თავში და, ვით ბაიადერი მოხატულ ნოხზე, ფიქრი მისი გასდევდა ამ ხმებს, ოცნებიდან ოცნებაზე. წუხილიდან წუხილზე ქანაობდა. დამკვრელი თავის ქუდში მოაგროვებდა მოწყალებას, კოლოფს ლურჯი შალის ძველ საბანს დააფარებდა, ზურგზე მოიკიდებდა და მძიმე ნაბიჯით გაუდგებოდა თავის გზას. ემა თვალს გაადევნებდა.

მაგრამ ყველაზე უფრო აუტანელი მისთვის იჯრობის საათები იყო იმ პატარა სასადილოში პირველ სართულზე, სადაც ღუმელი ხრჩოლავდა, კარი ჭრიალებდა, კედლები ნესტიანი, ხოლო იატაკი სველი იყო, თითქოს ცხოვრების მთელი სიმწარე ხონჩით მიურთმევიათო; მოხარშული ხორცის ოხშივრის დანახვაზე მისი სულის სიღრმიდან ზიზღის ბოლქვები დაიძრებოდა. შარლი ზანტად მიირთმევდა, ემა კი თხილს აკნატუნებდა, ან უკეთ, იდაყვდაყრდნობილი. გასანთლულ სუფრაზე დანის წვერით გასართობად ხაზვას შეუდგებოდა.

ოჯახს ახლა სრულიად გაანება თავი და, როცა ბოვარის დედა დიდმარხვაში რამდენიმე დღით ესტუმრა ტოსტს, ამ ცვლილებით მეტად გაკვირვებული დარჩა. ემა, რომელიც ოდესმე ასე ჭზრუნველი და ჭირვეული იყო ჩაცმა-დახურვაში, ახლა მთელი ღღეების განმავლობაში ჩაუცმელი დაიარებოდა, ბამბის ნაცრისფერ წინდებს ატარებდა, სახლს შანდლით ინათებდა, განუწყვეტლად იმეორებდა: რადგან მდიდრები არა ვართ, მომჭირნედ უნდა ვიცხოვროთო, და თანაც დაუმატებდა, მეტად კმაყოფილი, ძალზე ბედნიერი ვარ, ტოსტში ცხოვრება ძლიერ მომწონსო და სხვა

ასეთები. ამაზე დედამთილი ხმას არ იღებდა. გარდა ამისა, ემას ჯერ-ჯერობით აღარ ჰქონდა სურვილი მის რჩევას მიჰყოლოდა; ერთხელ, ბოვარის დედამ სიტყვა იმაზე ჩამოაგდო, რომ პატრონები ვალდებულნი არიან თვალყური ადევნონ თავიანთ მსახურთა კეთილმორწმუნეობასო, რაზედაც ემამ ისეთი ბღვერითა და ცივი ღიმილით უპასუხა, რომ დედაბერს ამაზე კვლავ კრინტი აღარ დაუძრავს.

ემა აბეზარი და ჭირვეული შეიქნა. თავისთვის განსაკუთრებულ საქმელებს შეუკვეთავდა, ხოლო იჯრობისას პირს ზედაც არ დააკარებდა, ერთ დღეს რომ მხოლოდ შუმი რძით იკვებებოდა, მეორე დღეს მარტო ჩაის სვამდა დაუსრულებლად, ხშირად გამუდმებით შინ იჯდა, მერე სული შეეხუთებოდა, ფანჯრებს დააღებდა. ჰსუბუქ ტანისამოსს ჩაიცვამდა. ზოგჯერ რომ მსახურს გვარიანად გაჯორავდა, მერე საჩუქრებით აავსებდა და მეზობლებისას კასართობად გაუშვებდა; ერთ მშვენიერ დღეს მთელ ვერცხლის ფულს, რაც კი ქისაში მოეპოვებოდა, სულ მათხოვრებს უწყალობებდა, თუმცა შემბრალე არ იყო, არც სხვისი გაჭირვების ადვილი გამზიარებელი, როგორც გლეხობიდან წარმომდგართა უმეტესობა, რომელსაც გულში რაღაც უძევს მამა-პაპათა დაკოჟრებული ბელების სისასტიკისა.

თებერვლის ბოლო რიცხვებში პაპა რუომ, თავისი განკურნების მოსაგონარად, ერთი საუცხოო დედალი ინდაური მიჰგვარა სიძეს და სამ დღეს მასთან სტუმრად იყო. რაკი შარლი ავადმყოფებს დასტრიალებდა, მოხუცმა იმდენი თამბაქო სწია, ბუხარი ნაფურთხით ისე მოჩითა, თანაც იმდენი ილაყბა თავის მეურნეობის ხბოების, ძროხების, ფრინველებისა და მუნიციპალურ საბჭოს შეესახებ, რომ როცა წავიდა, ემამ ისეთი კმაყოფილებით მიაკეტა კარი, რომ თვითონაც გაუკვირდა; თუმცა ახლა იგი როდილა მალავდა თავის ზიზღს საგნებისა და ადამიანებისადმი; ზოგჯერ მეტად უცნაურ აზრებს გამოთქვამდა ხოლმე: აძაგებდა იმას, რასაც აქებდნენ და, პირიქით, ქებით იხსენიებდა მწიკვლიანსა და უზნეოს, რაც ქმარს ერთობ აცვიფრებდა.

ნუთუ ეს არარაობა მუდამ ასე გაგრძელდება? ნუთუ ამას ვერასოდეს თავს ვერ დააღწევს? განა იგი იმათზე ნაკლებია, ვინც ბედნიერად ცხოვრობს! ვობიესარში ნახა ისეთი ჰერცოგინები, რომელნიც მასზე უკეთესი არც ტანადობით იყვნენ და არც მოქცე-

ვით; ამიტომ ასეთ უსამართლობას ღმერთს აყვედრიდა, ტირილით კედლებს თავს ახლიდა. შურდა იმათი ბედი, ვინც მღელვარე ცხოვრებას ატარებდა, ვინც ნიღაბაფარებული მთელი ღამეების განმავლობაში თავდავიწყებით ეძლეოდა იმ საძრახის ტკბობას, რომელიც მისთვის უცნობი იყო და რომელსაც გიჟური სიამე უნდა მიენიჭებინა.

ხშირად ფითრდებოდა ხოლმე, გულის ფრიალი დასჩემდა. შარლმა ვალერიანის წვეთები და ქაფურის აბაზანები გამოუწერა, მაგრამ დახმარების ყოველი ცდა უფრო და უფრო აღიზიანებდა.

ზოგჯერ, სიცხიანივით დაუსრულებლად ლაპარაკობდა, ხოლო შემდეგ უეცრად გარინდდებოდა, არც ხმას იღებდა, აღარც იძვროდა. მისი გამომფხიზლებელი მაშინ ოდეკოლონი იყო, მთელი ფლაკონი უნდა დაესხა მკლავებზე.

რაკი განუწყვეტლად ტოსტში ცხოვრებას უჩიოდა, შარლ ეგონა მისი ავადმყოფობის მიზეზი რაღაც ადგილობრივი პირობებში უნდა იყოსო, და სერიოზულად ფიქრობდა სხვაგან გადასვლას.

შემდეგ ემამ ძმრის სმა დაიწყო, დამამშვლეებსო; მშრალი ხველება დააწყებინა და მადაც სრულიად დაეკარგა.

როგორ უმძიმდა შარლს ტოსტის მიტოვება მის შემდგომ, რაც ოთხი წელიწადი უკვე გაატარა იქ და მისი მდგომარეობაც ის იყო მტკიცედ ებოდა. მაგრამ მეტი გზა არ იყო! რუანს წაიყვანა, რათა თავისი ძველი პროფესორისათვის ეჩვენებინა. ნერვების ავადობა აღმოაჩინდა: საჭირო იყო ჰავის გამოცვლა.

შარლი აქეთ-იქით ეცა, შეიტყო, რომ ნევშატელის ოლქში არის ერთ-ერთი პატარა დაბა — იონვილ-ლ'აბეი, რომლის ექიმსაც ერთს პოლონელ ემიგრანტს, ადგილი გაეთავისუფლებინა. შარლმა იქაურ მეაფთიაქეს მისწერა. შეეტყობინებინა მოსახლეობის რაოდენობა, რა მანძილით იყო დაშორებული ყველაზე უფრო ახლობელი საექიმო პუნქტი, რა შემოსავალი ჰქონდა წინანდელ ექიმსა და სხვ. რაკი პასუხი დამაკმაყოფილებელი გამოდგა, გადაწყვიტა გაზაფხულზე უთუოდ გადასულიყო, უკეთუ ემას ჯანმრთელობა არ გაუმჯობესდებოდა.

ერთხელ, როცა ემა გადასვლის მოლოდინში კარადას ალაგებდა, ხელში რაღაც ეჩხვლიტა; თურმე ქორწინების თაიგულის მავთული იყო. ფორთოხლის ყვავილთა კოკრები მტვერს დაე-

ყვითლებინა, ვერცხლისარშიიან სატინის ლენტებს ნაპირები დასჩეჩოდა, აიღო და ბუხარში შეაგდო. თაიგული ჩალასავით აბრიალდა. შემდეგ წითელი ბუჩქივით აიბურცა ნაცარში და ნელინელ დაიჯერფლა. ემა დააცქერდა. მუყაო სკდებოდა და ტკაცუნობდა, მავთული იგრიხებოდა, ვარაყი ლხვებოდა; ყვავილთა ქაღალდის ფურცლები, დამანჭული და მთრთოლვარე, ვით შავი პეპლები, თუჯის ფირფიტას შეფრთხიალებდნენ და საკვამურისაკენ მიფრინავდნენ.

მარტში, როცა ტოსტიდან წავიდნენ, მადამ ბოვარი ფეხმძიმე იყო.

ნაწილი მეორე

I

იონვილ-ლ'ბეი (ასე დაურქმევიათ კაპუცინების საბატოს გამო. რომლის ნანგრევებიც კი აღარ დარჩენილან) ერთი პატარა დაბაა რუანიდან რვა ლიეს მანძილზე, აბევილსა და ბოვეს შორის: იგი ჭალაში მდებარეობს, რომელსაც რწყავს რიელი, პატარა მდინარე, ანდელს რომ ერთვის; ეს პატარა მდინარე შესართავთან სან წისქვილს აბრუნებს, შიგ კალმახი იცის, ბავშვები რომ კვირაობით გასართობად ანკესით იჭერენ.

ლაბუასიერის დიდ გზას უნდა გადაუხვიო, მიჰყვე ვაკე ზეგანსა და ლეს დაღმართს დაეკიდო, საიდანაც მთელი ჭალა მოჩანს. მდინარე, რომელიც ჭალაში მოედინება, ორ სხვადასხვა საბის მკაფიო ნაწილად ჰყოფს მას: მთელი მარცხენა ნაპირი მინდვრებს უკავია, მარჯვენა კი — სახნავს. მინდორი მოქცეულია დაბალ გორაკებს შუა, რომელთა გადაღმაც იგი ბრეს საძოვრებს უერთდება; აღმოსავლეთის მხრით კი ეს ვაკე ოდნავ მაღლდება, განიერდება და, სანამდეც თვალი მიაღწევს, სულ ხორბლის ქერა ყანებითაა დაფენილი. ბალახოვან კალაპოტში მოქცეული მდინარე თავისი თეთ-

რი ზოლით ერთმანეთს აშორებს მინდვრებსა და ხნულების მწვანეს, ასე რომ, მთელი ეს კუთხე ვეება გაშლილ წამოსასხამს ჰგავს, როშელსაც ვერცხლიმკედით მოქარგული მწვანე ხავერდის საყელო ამშვენებს.

ჰორიზონტზე, როცა უახლოვდები, თვალწინ არგელის მუხნარი და სენ-ჟანის მთების ფერდობები იშლება, თავიდან ბოლომდე რომ წითელი, უსწორმასწორო ხაზებითაა დაღარული, — ეს წვიმების ბრალია, ხოლო ის აგურის ფერი კი, მთის სირუხე რომ წმინდა ძაფივით დაუქსელავს, რკინოვანი წყაროების ნამუშევარია, იმ მიდამოებში რომ უხვად გადმოსჩქეფს.

ეს არის ნორმანდიის, პიკარდიისა და ილ-დე-ფრანსის შესართავი, ნარევი კუთხე, სადაც ენას თავისებური კილო აკლია, პეიზაჟს კი — დამახასიათებელი იერი. აქ აკეთებენ მთელ ოლქში ყველაზე უცუდეს ნევშატელურ ყველს, ხოლო მეორე მხრით, მეურნეობა აქ დიდ ხარჯს მოითხოვს, რადგანაც საჭიროა დიდძალი სასუქი ქვიშიანი და რიყიანი ნიადაგის გასანოყიერებლად.

1835 წლამდე იონვილს ხეირიანი გზა არ ჰქონდა, მაგრამ დაახლოებით ამ ხანებში გაიყვანეს სასოფლო შარა, აბევილის გზას რომ ამიენისას უერთებს, და ზოგჯერაც ამ გზით სარგებლობენ რუანიდან ფლანდრიაში მიმავალი ურმები. მიუხედავად მიმოსვლისა და აღებმიცემობის ამ ახალი საშუალებისა, იონვილ-ლ'აბეი მაინც ჩამორჩენილია. იმის მაგიერ, რომ მემინდვრეობა გააუმჯობესოს, მოსახლეობა დაჟინებით მისდევს ბალახის თესვას, თუმცა იგი ხელსაყრელი არ არის და უქნარა დაბაც ნოყიერ ჭალას პირს არიდებს და მდინარის ნაპირებისაკენ მიიწევს. შორიდან რომ შეხედო, იგი მთლად მდინარის პირზეა გაწოლილი, ვით დასარწყულებლად მორეკილი ნახირი.

მაღლობის ძირას, ხიდს გაღმა, იწყება ახალგაზრდა ვერხვებით ნაპირებშემორგული გზატკეცილი, რომელიც პირდაპირ დაბაში შედის. ეზოები ცოცხალი ღობითაა შეკავებული და სავსეა სხვადასხვა ნამშრალით, ფარდულებით, მარნებით, საწნეხლებით, რომლებიც დაჩრდილულია ხეებით, გარშემო რომ კიბეები, სარები და ცელები მიუყუდებიათ. ისლის სახურავები, ვით თვალებზე ჩამოფხატული ფაფახი, თითქმის მესამედზე ფარავს დაბალ ფანჯრებს, რომელთა სქელი, გამოზნექილი მინებიც ბოთლის ძროებივითაა ბუშტუკებით მოჩითული. [illegible] შეფეთქილ კედელთა გასწვრივ,

გადაჯვარედინებული შავი კოჭებია დატანებული; აქა-იქ მსხლის მკვლე ხეები ხარობს; ქვედა სართულში კარებს სატრიალო ბარიერი აქვს, რათა ოთახი დაცულ იქნეს წიწილებისაგან, სიდრში დამპალი პურის ფინჩხების საკენკად რომ სახლებს ეტანებიან; ცოტა იქით ეზოები ვიწროვდება. მოსახლეობა უფრო შეჯგუფებულია, ცოცხალი ღობეები აღარ ჩანს; ერთ ფანჯარასთან ჯოხზე წამოგებული გვიმრის კონა ირხევა; აქ სამკედლოა, იქით კი — ურმის სახელოსნო, სადაც ორი თუ სამი ახალი ურემია ქუჩაში გახიდული. შემდეგ, ხეებში გამოჩანს ერთი თეთრი სახლი, წინ მრგვალი მდელო, მდელოს ტუჩზე თითმიდებული ამურის ქანდაკება ამშვენებს; წინ, კარის ორივე მხარეს, თუჯის თითო ლარნაკია; კარებზე ლითონის ღერბიანი ფირფიტები ბრწყინავს; ეს ნოტარიუსის სახლია, და ულამაზესიც მთელ ამ მხარეში.

ეკლესია ქუჩის მეორე მხარეზეა, ოციოდე ნაბიჯს იქით, მოედნის ახლოს. მის გარშემო პატარა, დაბალი ყორით შემოზღუდული სასაფლაო ისე გაჭედილია საფლავებით, რომ მიწაში პირამდე დაფლული ძველი ქვები ერთ მთლიან ქვის იატაკს ქმნის, სადაც ბალხს თავისთავად გამოუყვანია სწორი და მწვანე ოთხკუთხედები. ეკლესია შარლ X მეფობის უკანასკნელ წლებში იქნა განახლებული. ხის გუმბათი ლპობაში შესულა და, აქა-იქ, ლურჯ ცაზე შავი ნახვრეტები ჩანს. კარიბჭის თავზე, სადაც ორღანი უნდა იდგეს, ქოროა მამაკაცებისათვის, ხვეული კიბით, ფეხქვეშ რომ ჭრაჭუნებს.

უფერული მინებიდან შემოსული დღის სინათლე მწკრივებად განლაგებულ სკამებს ალმაცერად ანათებს; აქა-იქ სკამების ზურგი ჭილობითაა ამოქსოვილი, რომელზედაც მიკრულია მსხვილი ასოებით წანაწერი: „ბ. მავანის სკამი“. უფრო მოშორებით, იქ, სადაც გასასვლელი ვიწროვდება, სააღსარებოს პირდაპირ, ღვთისმშობლის ქანდაკებაა სატინისკაბიანი, თავზე ვერცხლის ვარსკვლავებით მოქარგული ლეჩაქი ახურავს, ხოლო ლოყები სანდვიჩის კუნძულის კერპივით აქვს შეწითლებული; და ბოლოს, პერსპექტივს ზღუდავს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ შეწირული წმ. ოჯახის ხატი, საკურთხეველის ზემოთ რომ რთხ შანდალს შუა აღმართულა. ფიქვის ხისგან ნაკეთები კლიროსი კი შეუღებავია. მარტო ბაზარს, ესე იგი კრამიტიან სახურავს, ოციოდე ბოძზე რომ არის დაყრდნობილი, იონვილის დიდი მოედნის თითქმის ნახევარი უჭირავს. მერია, რომელიც პარიზე-

ლი ხუროთმოძღვრის ნახაზების მიხედვითაა ნაგები. ბერძნული ტაძრისებური შენობაა და მეაფთიაქის სახლთან ერთად კუთხეს ქმნის. ქვემო სართულს სამი იონური სტილის სვეტი ამშვენებს, ზემოს კი — მრგვალთაღოვანი ტალანი, შენობის გუმბათზე გალური მამალია, რომელსაც ცალ ფეხში ქარტია უჭირავს, მეორეში კი — სასწორ-სამართალი.

მაგრამ რაც ყველაზე უფრო თვალს იტაცებს, ესაა ბ-ნ ჰომეს აფთიაქი „ოქროს ლომის" სასტუმროს პირდაპირ! განსაკუთრებით საღამოს, როცა აფთიაქის კანდელი ანთებულია და მინის ორი ბუშტი, წითელი და მწვანე, წინამოს რომ ამშვენებს, მიწაზე შორს ისვრის ფერადოვან შუქს. მაშინ ამ სინათლეში, თითქოს ბენგალის ჩირაღდანშია გავლებულიო, ოდნავ გამოჩანს აჩრდილი თავის მაღალ საწერ მაგიდას დაყრდნობილი მეაფთიაქისა. მისი სახლი, თავიდან ბოლომდე, აჭრელებულია ინგლისური შრიფტის, რონდოს თუ ნაბეჭდი ასოების პლაკატებით: „ვიშის, ზელცის, ბარეჟის წყალი, სასაქმებელი, რასპაილის აბები, არაბული რაჰათი, დარსეს კვერები, რენიოს მალამო, სახვევი, აბაზანები, მარგებელი შოკოლადი" და სხვ. აბრას, რომელსაც შენობის მთელი წინამო უკავია, ოქროს ვარაყით აწერია: „ჰომე, მეაფთიაქე". შემდეგ, თვით აფთიაქის სიღრმეში, დიდი სასწორის უკან, ზედ დახლზე რომ არის დამაგრებული, დამინული კარის ერთ ნახევარზე აწერია: „ლაბორატორია", მეორეზე კი, დაახლოებით შუა ადგილას, ოქროს ასოებით შავ არეზე ერთხელ კიდევ მეორდება „ჰომე".

ამას გარდა, სანახავი არა არის რა იონვილში. ქუჩა (ერთადერთი), რომელიც თოფის სასროლზე გრძელდება და გაშენებულია ზედ რამდენიმე დუქანი, გზის მოსახვევში ერთბაშად თავდება. იგი რომ მხარმარჯვნივ დატოვო და სენ-ჟანის ბორცვს შემოუარო, სულ მალე სასაფლაოს მიადგები.

ხოლერობის დროს, მის გასაფართოებლად გალავნის ერთი ნაწილი დაანგრიეს და მეზობლადაც სამი აკრი მიწა იყიდეს, მაგრამ ეს ახალი ნაწილი თითქმის გამოუყენებელია, ხოლო საფლავები კი ძველებურად კვლავ კარებთანაა შეჯგუფებული. სასაფლაოს მცველმა, რომელიც ამავე დროს მესაფლავეცაა და მნათეც (მკვდრებისგან რომ ამრიგად ორმაგ ხეირს ნახულობს), ცარიელი მიწით ისარგებლა და იქ კარტოფილი დათესა. გარნა, წლითი-წლობით მისი ეცირე ნაკვეთი ვიწროვდება და, როცა რაიმე ეპიდემია ჩნდება,

არ იცის, გაიხაროს მომეტებული სიკვდილიანობის გამო, თუ იწუ-ხოს.

— თქვენ მკვდრებით იკვებებით, ლესტიბუდუა! — უთხრა ერთხელ ბ-ნმა მღვდელმა.

ამ შავბნელმა სიტყვამ იგი ჩააფიქრა და რამდენიმე ხნით კი-დეც შეაყენა, მაგრამ დღეს კვლავ განაგრძობს თავისი ტუბერკუ-ლების მოვლასა და დამაჯერებლად ამტკიცებს, თითქოს მცენარე თავისთავად ამოდიოდეს.

იმ ამბების შემდგომ, რომლებიც აქ იქნება მოთხრობილი, იონ-ვილში არავითარი საგულისხმო ცვლილება არ მომხდარა. რკინის სამფეროვანი დროშა კვლავინდებურად ტრიალებს სამრეკლოზე; საწვრილმანო სავაჭრო ისევ აფრიალებს ქარში ორ ნაჭერს; ჩანა-სახები და თეთრი აბედის კონები თანდათან ლპება მღვრიე სპირ-ტში, ხოლო სამიკიტნოს ჭიშკრის თავზე მოვარაყებული ბებერი ლომი, წვიმებს რომ ძალზე გაუხუნებია, ძველებურად უჩვენებს გამვლელთ პუდელივით ხუჭუჭა ბალანს.

იმ საღამოს, როცა ცოლ-ქმარი ბოვარი იონვილს უნდა მი-სულიყო, ამ სამიკიტნოს პატრონი ქვრივი მადამ ლეფრანსუა დიდ ეაწამაწიაში იყო, სულ ოფლში იწურებოდა. დაბაში ბაზრობის წი-ნადღე იყო. ხორცი წინდაწინ უნდა დაჭრილიყო. ქათმები დაპუ-ტულიყო, სუპი და ყავაც მომზადებულიყო. გარდა ამისა, გასა-კეთებელი იყო თავისი პანსიონერების იჯრაც, ექიმის, მისი ცო-ლისა და მსახურის ვახშამიც. საბილიარდოში სიცილ-ხარხარი ის-მოდა; პატარა სასადილოში სამი მეწისქვილე არაყს მოითხოვდა; ცეცხლი გიზგიზებდა, მუგუზალი ტკაცუნობდა, სამზარეულოს გრძელ მაგიდაზე კი, ცხვრის ხორცის უმ ნაჭერთა შორის, გორე-ბად დამდგარიყო ერთმანეთზე შედგმული თეფშები, რომლებიც იმ ფიცრის რყევაზე ირხეოდა, სადაც მჟაუნას სისნიდნენ. ეზოში ისმოდა ტკვარცალი შინაურ ფრინველთა, მსახური რომ დასაკ-ლავად დასდევდა.

ერთი კაცი, მწვანე ტყავის ფოსტლებში ფეხწაყრილი, ოდნავ ჩოფურა და ხავერდისჩაჩიანი, რასაც ოქრომკედის ფოჩი ამ-შვენებდა, ბუხარზე ზურგს იფიცხებდა. მისი სახე მხოლოდ თვით-კმაყოფილებას გამოხატავდა და ცხოვრებასაც თითქმის ისეთი დამშვიდებული უცქერდა, როგორც ის იადონი, ''ის თავს ზემოთ

რომ ტირიფის წნულს გალიაში მჯდომი ეკიდა: ეს კაცი მეაფთიაქე იყო.

— არტემიზ, — იძახდა სამიკიტნოს პატრონი ქალი, — ფიჩხი დაამტკრიე, სურები აავსე, არაყი მოიტა, აბა ჩქარა! ის მაინც ვიცოდე, დესერტად რა მივართვა სტუმრებს, რომლებსაც შენ ელოდები! ღმერთო მოწყალეო! მეურმეებმა ისევ ასტეხეს ღრიანცელი საბილიარდოში! მათი ურმებიც შიგ ჭიშკარშია გახიდული! „მ ე რ ც ხ ა ლ მ ა“ შეიძლება სულ დალეწოს იგი შემოსვლისას! პოლიტს დაუძახე, სადმე სხვაგან დააყენოს!.. გაგონილა, ბ. ჰომე, ციდან მოკიდებული, მგონი, თხუთმეტი ხელი ითამაშეს და რვა დოქი სიდრი დალიეს!.. ვიცი, ბილიარდის საპირეს დამიხევენ, — განაგრძობდა იგი და შორიდან გასცქეროდა მათ, ქაფქირით ხელში.

— დიდი არა მოხდება რა, — მიუგო ბ. ჰომემ, — ახალს იყიდი.

— ახალი ბილიარდი! — წამოიძახა ქვრივმა.

— ეგ ხომ სულ აღარ ვარგა, მადამ ლეფრანსუა; ვიმეორებ, საკუთარ თავს აყენებთ-მეთქი ზარალს! დიდ ზარალს აყენებთ! მერმე კიდევ, ახლანდელ მოთამაშეებს ვიწრო ლუზები და მძიმე კიები მოსწონთ. ბილს უკვე აღარ თამაშობენ; მთლად გამოიცვალა ყველაფერი! დროს უნდა მისდიო! აბა, ერთი ტელიეს შეხე...

დიასახლისი ბრაზით მთლად წამოჭარხლდა. მეაფთიაქემ დაურთო:

— რაც გინდა თქვი, და მისი ბილიარდი უფრო კოხტაა; ვისმე რომ ფიქრად მოუვიდეს და პატრიოტული თამაში გამართოს პოლონეთის ან წყალდიდობით დაზარალებული ლიონის სასარგებლოდ...

— ჩვენ იმისთანა კოტრების როდი გვეშინია, როგორც შენი ტელიე ბრძანდება! — გააწყვეტინა დიასახლისმა და ბრები აიჩეჩა, — მოიცა, მოიცა, ბ. ჰომე, სანამ „ოქროს ლომი“ ცოცხალია, მუშტარიც არ დაგვაკლდება. ქვაცა გვაქვს და კაკალიც! აი ნახავ ერთ მშვენიერ დილას „ფრანგულ კაფეს“ დალუქულს და მის დარაბებზედაც ლამაზ განცხადებას. ბილიარდი გამოვცვალო,—განაგრძობდა იგი თავისთვის ლაპარაკს, — ის ბილიარდი, რომელზედაც ამ მოხდენილად მიწყვია ხოლმე სარეცხი და რომელზედაც

ნადირობისას ექვსი კაცი დამიწვენია ერთად!.. ეს ზანტი ჰიეერიც რომ იგვიანებს!

— მის მოსვლას გინდათ ალოდინოთ, თქვენი პანსიონერები და ძანამდე არაფერი აჭამოთ? — ჰკითხა მეაფთიაქემ.

— ვალოდინო? ბ. ბინე კი? დაჰკრავს თუ არა ექვსი საათი, იგიც შემოდგამს ფეხს, ვინაიდან მისებრ წესიერი ქვეყანას არ მოსჩვენებია. მისთვის აუცილებლად მუდამ უნდა იქნეს ადგილი პატარა სასადილოში! თავს მოიკლავს და სხვა ოთახში არ დაჯდება! მერე რა აზიზი მჭამელია! ან სიდრს როგორ აჭაშნიკებს! აბა ბ. ლეონს კი არა ჰგავს; იგი ზოგჯერ შვიდ საათზე მოდის და რვის ნახევარზედაც. არც კი უყურებს, რას აჭმევენ, რა მშვენიერი ყმაწვილია! ერთ მაღალ სიტყვასაც არ დასძრავს.

— ხომ იცით, დიდი განსხვავებაა კარგად აღზრდილ ადამიანსა, და კარაბინერად ნამყოფს, გადასახადთა ამკრეფს შორის.

საათმა ექვსი დაჰკრა. შემოვიდა ბინე.

გამხდარ სხეულზე ლურჯი სურთუკი ისე ადგა, თითქოს ჰკიდიაო; თავს ტყავის კასკეტი ეხურა, მისი ყურთასაფარველი კეფაზე ზონრით შეეკრა, წინაფრა აწეულიყო და იქიდან მელოტი შუბლი უჩანდა, ჩაჩქნის ტარებას რომ ნაჭყლეტი კვალი დაეტოვებინა. შავი მაუდის ჟილეტს ატარებდა, ნაქსოვ ჰალსტუხსა და რუხ შარვალს, მუდამ გაკრიალებულ წაღებს სიმეტრიულად აჩნდა ცერების ამონაბურცავი. ქერა წვერი ყვავილთა კვალის ბორდიურივით მოსდებოდა მის მოგრძო, უფერულ სახეს; თვალები წვრილი ჰქონდა, ცხვირი — კეხიანი. ბანქოს ყოველგვარ თამაშში ძლიერს, კარგ მონადირესა და კარგი ხელის მქონეს შინ სახარატო დაზგა ჰქონდა და ხელსახოცების საჭერი რგოლების კეთებით თავს ირთობდა; მთელი სახლი სავსე იყო ამ რგოლებით, რომელთა გამოხარატებაშიც ხელოვანის გულმოდგინებასა და ბურჟუას ეგოისტურ ჟინს იჩენდა.

იგი პატარა სასადილოსკენ გაემართა, მაგრამ საჭირო იყო ჯერ ის სამი მეწისქვილე გაეყვანათ იქიდან; მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ სუფრას გაუშლიდნენ, ბინე უხმოდ იდგა თავის ადგილას, ღუმელის წინ; შემდეგ მიბრუნდა, კარი მიხურა და, ჩვეულებისამებრ, კასკეტი მოიხადა.

— ეგ ქათინაურებით ენას არ გაიცვეთს, ნუ გეშინია! — თქვა მეაფთიაქემ, როცა იგი და დიასახლისი კვლავ მარტონი დარჩნენ.

— ამაზე უფრო მოლაპარაკე არასოდეს არ ყოფილა, — მიუგო დიასახლისმა, — ამ წასულ კვირას, ფართლის ორი ვაჭარი გვეწვია. ოხუნჯი, მხიარული ბიჭები იყვნენ; მთელი საღამო სულ ანეკდოტებს მიამბობდნენ, სიცილით კინაღამ მოვკვდი: ეგ კი თევზიკით იყო გალუგებული, კრინტიც არ დაუძრავს.

— დიახ, — მიუგო მეაფთიაქემ, — არც ოცნების უნარი აქვს, არც ოხუნჯობა იცის, არც არაფერი ისეთი, რაც მაღალი საზოგადოების კაცს ახასიათებს.

— თუმცა, ამბობენ, ნიჭი კი არ აკლიაო. — შეუბრუნა სიტყვა დიასახლისმა.

— ნიჭი? — მიახალა ბ. ჰომემ, — მას? ნიჭი? თავის ხელობაში შესაძლებელია. — ცოტა დამშვიდებით დაუმატა და კვლავ დაიწყო:

— აჰ, ვთქვათ, დიდი ვაჭარი, იურისკონსულტი, ექიმი თუ მეაფთიაქე რომ ისე იყოს თავის საქმეებში გართული, რომ უცნაური და უკარებელი გახდეს, ეს მესმის! ამისი მაგალითები ისტორიამ იცის! ისინი რაიმეზე მაინც ფიქრობენ. აი, მაგალითად, მე რამდენჯერ დამმართნია, რომ რეცეპტის დასაწერად კალამი მაგიდაზე მიძებნია, იგი კი თურმე ყურს უკან მქონდა გაჩრილი!

ამასობაში მადამ ლეფრანსუა კარს მიდგა, დავინახო, მოდის თუ არა „მერცხალიო“, და უეცრად შეკრთა. ვიღაც შავადჩაცმული სამზარეულოში შემოვიდა. ბინდბუნდში კიდევ გაარჩევდი მის ღაჟღაჟა სახესა და ათლეტურ აგებულებას.

— რას ინებებდით, ბ. მოძღვარო? — შეეკითხა დიასახლისი და ბუხრიდან თითბრის ერთ-ერთი შანდალი ჩამოიღო, გამირზე რომ სვეტებივით იყო გამწკრივებული, — იქნებ რასმე მიირთმევდით? ტკბილნახადს ან ჭიქა ღვინოს?

მღვდელმა მეტად თავაზიანად იუარა. იგი თავისი ქოლგის წასაღებად მოვიდა, ამას წინათ რომ ეჩნემონის მონასტერში დარჩენოდა, და მადამ ლეფრანსუას სთხოვა, ამ საღამოსვე საეკლესიო სახლში გამომიგზავნე როგორმეო, თვითონ კი ეკლესიაში გაეშურა, სადაც უკვე მწუხრისას რეკავდნენ.

როცა მისი ფეხის ხმა მიწყდა, მეაფთიაქემ კვლავ ენა აიდგა და მღვდლის საქციელი საძრახისად მიიჩნია. მღვდლის მიერ ერთ ყლაპ ღვინოზე უარის თქმა საშინელ ფარისევლობად ეჩვენა; ყველა მღვდელი ფარულად ლოთობს და იმ დროების დაბრუნებას ნატრულობს, როცა ეკლესიას მეათედი ეძლეოდაო.

დიასახლისი მღვდელს გამოექომაგა:

— ეგ მღვდელი თქვენისთანას ოთხს შეჰკრავს. შარშან ჩვენს ბიჭებს ჩალის აკონვაში შველოდა, ერთბაშად ექვს-ექვს კონას იღებდა, ძალიან ღონიერი ვინმეა!

— ვაშა! — წამოიძახა მეაფთიაქემ, — ახლა ინებე და მაგისთანა გოლიათს ჩვენი ქალიშვილები გაუგზავნე საალსარებოდ! მე რომ ბთავრობა ვიყო, თვეში ერთხელ სისხლს გავუღებდი ყველა მღვდელს. დიახ, მადამ ლეფრანსუა. ყოველ თვე ერთი კაი გაღება სისხლისა, პოლიციის ინტერესებისა და კეთილზნეობის თვალსაზრისით!

— გაჩუმდით. ბ. ჰომე! თქვენ ურჯულო ხართ! სარწმუნოება არ გაგაჩნიათ!

მეაფთიაქემ მიუგო:

— მე მაქვს სარწმუნოება, ჩემი სარწმუნოება, და უფრო მეტიც, ვიდრე სხვებს, მთელი ბათი პირმოთნეობითა და ჯამბაზობით. პირიქით, მე მიყვარს ღმერთი! მე მრწამს არსი უზენაესი, შემოქმედი; ჩემთვის სულ ერთია, როგორიც უნდა იყოს იგი; მე მრწამს იგი, ვინც გაგვაჩინა და ამქვეყნად მოგვავლინა, რათა პირნათლად შევასრულოთ ჩვენი მოვალეობანი მოქალაქისა და ოჯახის მამისა; მაგრამ საამისოდ მე როდი მესაჭიროება ეკლესიაში სიარული, იქ ვერცხლის თეფშებზე მთხვევა და საკუთარი ჯიბით იმ ერთი მუჭა თვალბმაქცების სუქება, ვინც ჩვენზე უკეთ იკვებება! ვინაიდან ღმერთი შეგიძლია ადიდო აგრეთვე ტყეშიც, მინდორშიც და ეთეროვანი ცის გუმბათის ჭვრეტითაც, ვით ჩვენი ძველები შვრებოდნენ. ჩემი ღმერთი არის ღმერთი სოკრატესი, ფრანკლინის, ვოლტერისა და ბერანჟესი! მე მომხრე ვარ ს ა ვ ო ი ი ს ქ ო რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ს ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ი ს ა და 89 წლის უკვდავი პრინციპებისა! მე არ მრწამს ღმერთი — მოხუცი, თავის ბაღჩაში რომ ყავარჯნით დასეირნობს, თავის მომხრეებს დასაძინებლად ვეშაპის მუცელში გზავნის, კივილითა კვდება და მესამე დღეს დგება. ყოველივე ეს თავისთავად უაზრობაა და, სხვათა შორის, სრულიად ეწინააღმდეგება ფიზიკის ყოველგვარ კანონს; ამასთანავე, იგი გვიმტკიცებს, რომ ხუცები მუდამ უხეშ უმეცრებაში იყვნენ ჩაფლულნი და მოსახლეობასაც იქით მიათრევდნენ.

გაჩუმდა და თვალით გარშემო მსმენელებს ეძებდა, ვინაიდან, ლაპარაკების დროს, თავი ერთი წუთით მუნიციპალურ საბჭოში ეგო-

ნა .მაგრამ სამეკიტნოს დიასახლისი როდიღა უსმენდა. ყური ურმის შორეული ხრაგუნისთვის მიეპყრო. მალე სულ ახლოს გაისმა ურმის ხმა, ავარდნილი ნალის ჭახუნი და „მერცხალიც“ ზედ კარებთან გაჩერდა.

ეს იყო ყვითელი დიდი კოლოფი, უზარმაზარ რგოლებზე შედგმული, რომლებიც დილიჟანსის სახურავს უსწორდებოდა, მგზავრებს გზის დანახვას უშლიდა და მხრებსაც ტალახით უთხუპნიდა. ვიწრო ფანჯრების პაწია მინები ეტლის მოძრაობისას საბრალოდ ლახლახებდა ჩარჩოებში და ძველ მტვერს ზემოდან, აქა-იქ, ტალახით იყო გაგოზილი, რაც ქარიშხლის წვიმებსაც კი სავსებით ვერ ჩამოერეცხა. შიგ სამი ცხენი იყო შებმული, ეტლი დაღმართში საცოდავად ლახლახებდა და ძარათი მიწას ეხებოდა.

იონვილის რამდენიმე მოქალაქე ეკიპაჟს გარს შემოეხვია; ერთბაშად ალაპარაკდნენ, ახალ ამბებს, ცნობებს ეკითხებოდნენ, თავიანთ ბარგს ეძებდნენ; ჰივერმა აღარ იცოდა, ვისთვის ეპასუხნა; მხოლოდ იგი ასრულებდა ქალაქში დაბის მცხოვრებთა დავალებას. სავაჭროებს დაუვლიდა, მეწაღეებისთვის ტყავის ხვეულები მოჰქონდა, მჭედლებისთვის — რკინა, თავის მიჯნურისთვის ხან ერთი კასრი თევზი, ხან ახალმოდის ქუდი, ხანაც პარიკმახერის ნაკეთები კულულები. ქალაქიდან დაბრუნებისას, გზადაგზა, ამანათებს არიგებდა, ზოგჯერ პირდაპირ ეზოში გადაისვრიდა. ღობეს გადაღმა, კოფოზე ზეზე იდგა და ხმამაღლა გაჰკიოდა, ცხენები კი ამასობაში თავისთავად მიდიოდნენ.

დღეს ერთმა გარემოებამ დააგვიანა: მადამ ბოვარის მეძებარი მინდორში გაიქცა. მთელი მეოთხედი საათის განმავლობაში ეძახდნენ და უწრუწუნებდნენ; ჰივერიც კი ასე ნახევარ ლიეზე უკან დაბრუნდა, იქნებ სადმე თვალი მოვკრაო, მაგრამ იძულებული შეიქნა გზა განეგრძო. ემა ტიროდა, ჯავრობდა, ამ უბედურებას შარლს აბრალებდა. ერთი მეფართლე, ბ. ლერე, რომელიც იმავე ეტლით მგზავრობდა, ათასნაირი მაგალითით ცდილობდა ენუგეშებინა, რომ დაკარგულ ძაღლებს ხშირად რამდენიმე წლის შემდგომ უცვნიათ თავიანთი პატრონებიო. ასეთ ძაღლებს შორის, — ამბობდა იგი, — ერთი თურმე კონსტანტინეპოლიდან პარიზს დაბრუნებულა. მეორეს ორმოცდაათიოდე ლიე გაუვლია და ოთხი მდინარე გაუტოპავს; მამამისსაც ჰყოლია ერთი პუდელი, რომელიც

თორმეტი წლის დაკარგული ყოფილა და ერთ მშვენიერ საღამოს უეცრად ზურგზე შეხტომია, როცა სტუმრადწასული მამა ქუჩაში მიდიოდა თურმე.

II

ემა პირველი ჩამოხდა, შემდეგ ფელისიტე, ბ. ლერე, ძიძა; შარლი კი იძულებულნი იყვნენ გაელვიძებინათ, რადგან დაბინდებისთანავე კუთხეში მიყუჟულიყო და ჩასძინებოდა.

ჰომე წარუდგათ; მადამს თავისი პატივისცემა გაუმჟღავნა, ბ. ბოვარის მიესალმა და უთხრა, ძლიერ საამოა ჩემთვის, უკეთუ მცირე რამ სამსახურის გაწევა წილად მხვდაო, და გულითადი კიდოთი დაუმატა: გავბედე და თვით დაგეპატიჟეთ, მით უმეტეს, რომ ჩემი ცოლი შინ არ არისო.

მადამ ბოვარი სამზარეულოში შევიდა და ბუხარს მიაშურა. რრი თითით მუხლებზე კაბა აიწია. კოჭამდე აიკრიფა და შავფეხსაცმლიანი ფეხი, შამფურის ზემოდან, რომელზედაც ცხვრის ბარკალი იწვოდა, ცეცხლს მიუფიცხა, ცეცხლი მთელ ტანს უნათებდა და კაშკაშით ეფინებოდა მისი ტანისამოსის ქსოვილს, თეთრ პირისახესა და თვალის უპეებსაც კი, ხანდახან რომ მოეხუჭებოდა, ხოლო, როცა ნახევარღია კარიდან ქარი დაჰბერავდა, მაშინ სულ წითლად ლაპლაპებდა.

ბუხრის მეორე კუთხიდან უხმოდ უცქერდა ერთი ქერა ყმაწვილი.

რადგან იონვილში მეტად დიდ მოწყენილობას განიცდიდა. სადაც ბ. გიიომენის სანოტაროში კლერკად მუშაობდა, ამიტომ ბ. ლეონ დიუპუი (იგიც ხშირი სტუმარი იყო „ოქროს ლომისა") იჯრობას განგებ აგვიანებდა ხოლმე; იქნებ სამიკიტნოში ვინმე ისეთი სტუმარი გამოჩნდეს, ვისთანაც საღამო ბაასით გავატაროო. იმ დღეებში კი. როდესაც თავის საქმეს ადრე მორჩებოდა, უსაქმურობის გამო იძულებული იყო იჯრობისას წესიერად მოსულიყო და პირველი კერძით დაწყებული უკანასკნელამდე ბ. ბინესთან მჯდარიყო. ამიტომ სიხარულით მიიღო დიასახლისის წინადადება, ახალმოსულებთან ერთად ესადილა დიდ დარბაზში, სადაც მადამ ლეფრანსუამ, მეტი ზეიმურობის მიზნით, სუფრა ოთხი პირისთვის გაშალა.

ჰომემ ნებართვა ითხოვა, ქუდი მეხუროს, გაცივებისა მეშინიაო.

მერე თავის გვერდით მჯდომარეს, მადამ ბოვარის მიმართა:

— ქალბატონი უთუოდ ოდნავ დაღლილია? ჩვენი „მერცხალი" ხომ საშინლად ანჯღრევს!

— მართალია, — მიუგო ემამ, — მაგრამ მოძრაობა ყოველთვის მართობს; მიყვარს ადგილის გამოცვლა.

— ძალზე მოსაწყენია, ერთ ადგილას იყო მიკრული! — ამოოხვრით ჩაურთო კლერკმა.

— თქვენ რომ ჩემსავით მუდამ ცხენზე იჯდეთ... — დაიწყო შარლმა.

— მე მგონია, — განაგრძო ლეონმა და მადამ ბოვარის მიმართა, — მაგაზე უფრო სასიამოვნო არა იქნება რა, — და შემდეგ დაუმატა, — თუკი შესაძლოა.

— თანაც, — ამბობდა მეაფთიაქე, — ექიმის პროფესია არც ისე ძნელია ამ ჩვენს კუთხეში, რადგანაც ჩვენი გზები კაბრიოლეტის ხმარების საშუალებას იძლევა და, საზოგადოდ, რაკი გლეხებიც შეძლებულები არიან, კარგ გასამრჯელოსაც იძლევიან. ავადმყოფობის მხრით, ჩვენში, გარდა ჩვეულებრივი ენტერიტისა, ბრონქიტისა და ღვიძლის თუ სხვა ავადობისა, ზოგჯერ მკის დროს განმეორებითი ციებაც იცის, მაგრამ, საერთოდ, სამძიმო ან სპეციალურად აღსანიშნავი არაფერია, თუ ხშირ დურბელს არ ვიანგარიშებთ, რაც უეჭველია, ჩვენი გლეხის ბინის სავალალო ჰიგიენურ პირობებზეა დამოკიდებული. აჰ, რამდენი ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ მოგიხდებათ ბრძოლა, ბატონო ბოვარი! ბევრია დამყაყებული ჩვეულება, რასაც ყოველდღიურად შეეჯახება თქვენი მეცნიერება, რადგან აქ კიდევ მიმართავენ მარხულობას, წმიდანებსა და ხუცებს, ვიდრე ბუნებრივად ექიმთან ან მეაფთიაქესთან მივიდოდნენ. ჰავა, სიმართლე რომ ვთქვათ, ცუდი არ არის და ჩვენს თემში რამდენიმე ოთხმოცდაათწლიანი მოხუციც მოიპოვება. თერმომეტრი ზამთარში (დაკვირვებული ვარ) ოთხ გრადუსამდე ჩამოდის, ხოლო ძალზე სიცხიან ზაფხულში ოცდახუთ, ოცდაათ გრადუსამდე ადის, რაც რეომიურით ოცდაოთხს უდრის მაქსიმუმ, ან ფარენჰეიტით რომ ვიანგარიშოთ (ინგლისური საზომია), ორმოცდათოთხმეტი გრადუსი გამოვა; გარდა ამისა, ჩრდილოეთის ქარისგან დაცული ვართ არგეილის ტყით, ერთი მხრით, დასავლეთის ქარისგან — სენ-ჟანის სერით, მეორე მხრით; ამ სიცხეს, მდინარის ანაორთქლისა და მინდვრებში დიდძალი ჯოგის ყოფნის გამო, რო-

ველიც, როგორც იცით, ამოისუნთქავს ბევრ ამონიაკს, ესე იგი, აზოტს, წყალბადსა და ჟანგბადს (არა, მხოლოდ აზოტსა და წყალბადს), და რომელიც, ამასთანავე შეისუნთქავს ნიადაგის სინესტეს, შეაზავებს რა ამ სხვადასხვა ემანაციას, ასე ვთქვათ, ერთ ნარევად, თავის მხრივაც შეუერთდება ატმოსფეროში გავრცელებულ ელექტრობას, როცა იგი მოიპოვება. ამ სიცხეს შეუძლია, ისე, როგორც ტროპიკულ ქვეყნებში, ძალზე მწვანე ხაშმი წარმოშვას; მაგრამ ამ სიცხეს, ვამბობ, იმ მხრიდან, საიდანაც იგი მოდის, ან უკეთ, საიდანაც უნდა მოდიოდეს, ესე იგი, სამხრეთიდან, ანელებს სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი, რომელიც მდინარე სენაზე გადავლით ცივდება და ერთბაშად თავს გვესხმის, თითქოს რუსეთიდან მონაბერი სუსხიაო!

— სასეირნო ადგილები თუ არის მაინც ამ მიდამოებში?

განაგრძობდა ყმაწვილთან ბაასს მადამ ბოვარი.

— ოჰ, ძლიერ ცოტა, — მიუგო მან, — არის ერთი ადგილი, პატარს რომ ეძახიან, სერის მწვერვალზე. ტყის პირას. ზოგჯერ, კვირაობით, ავდივარ ხოლმე იქ, თან მიმაქვს წიგნი და ჩამავალ მზეს გავცქერი.

— მე ჩამავალ მზეზე უფრო დიდებული არა ვიცი რა, — გააწყვეტინა ემამ, — განსაკუთრებით ზღვაში.

— ოჰ, მე ზღვას ვაღმერთებ! — თქვა ლეონმა.

— და განა ასე არ გგონიათ, - მიუგო ემამ, — თითქოა ჩვენი სული უფრო თავისუფლად დაფარფატობსო ამ უსაზღვროდ გაშლილ სივრცეზე, რომლის ჭვრეტაც სულს ამაღლებს და უსაზღვროების, იდეალის აზრს გიძრავთ?

— ასევე მთების დანახვაც. — განაგრძობდა ლეონი. — მე ერთი ბიძაშვილი მყავს. რომელმაც შარშან შვეიცარიაში იმოგზაურა: იგი მეუბნებოდა, წარმოუდგენელი რამეა პოეზია ტბებისა, მომხიბვლელობა ჩანჩქერებისა, სიდიადე ყინულებისა, ხედავ უზარმაზარ ფიჭვებს, ნაკადულებზე რომ გახიდულა; უფსკრულებზე გადამდგარ ქოხებს, ხოლო ძირს, ათასი წყრთის სიღრმეზე, მთელ ჭალებს, როცა ღრუბლები გაიფანტება. ასეთმა სანახაობამ უაღრესად უნდა აგაფრთოვანოს, ლოცვისა და ექსტაზის განწყობილება უნდა მოგგვაროს! ამის შემდეგ, როდილა მიკვირს იმ განთქმული მუსიკოსის საქციელი, საოცნებოდ რომ ბუნების დიდებულ წიაღში მიდიოდა და იქ უკრავდა თავის პიანინოს.

თქვენ უკრავთ? — ჰკითხა ქალმა.

— არა, მაგრამ მუსიკა კი ძალიან მიყვარს.

— აჰ, არ დაუჯეროთ, მადამ ბოვარი, — გააწყვეტინა მისკენ დახრილმა ჰომემ, — ეგ მოკრძალებაა მხოლოდ, როგორ, ჩემო კარგო? განა ამას წინათ თქვენ არ იყავით, რომ ასე მომხიბვლელად მღეროდით „მცველ ანგელოზს“ თქვენს ოთახში? მე ლაბორატორიიდან გისმენდით, ისე უკრიმანჭულებდით, როგორც კარგი არტისტი.

ლეონი, მართლაც, მეაფთიაქისას ცხოვრობდა; მესამე სართულზე, მოედნის მხარეს, ერთი პატარა ოთახი ეჭირა, მასპინძლის ამ ქათინაურზე იგი უნებურად წამოწითლდა, მაგრამ ჰომეს პირი უკვე ექიმისკენ ებრუნებინა და ერთიმეორეზე სათითაოდ უსახელებდა იონვილის ცნობილ მცხოვრებთ. ანეკდოტებს უამბობდა, საჭირო ცნობებს აძლევდა: ნოტარიუსის ქონებისა ნამდვილად არავინ არაფერი იცის, ხოლო რაც შეეხება ტუვაშიანთ ოჯახს, ისინი ცხვირს ძალიან მაღლა სწევენ.

ემა განაგრძობდა:

და რომელი მუსიკა გირჩევნიათ?

— ოჰ, გერმანული მუსიკა, საოცნებოდ რომ გიწვევთ.

— იტალიელებისთვის გისმენიათ?

— ჯერ არა, მაგრამ გაისად კი მოვისმენ, როცა პარიზს გადავალ სწავლის დასამთავრებლად.

— როგორც ბატონ თქვენს მეუღლეს მოვახსენებდი, — დაიწყო მეაფთიაქემ, — იმ საბრალო იანოდაზე, აქედან რომ გადაიკარგა, მისი მფლანგველობისა და უცნაურობის მეოხებით, თქვენ იონვილის ერთ-ერთ საუკეთესო სახლში დაბინავდებით. ამ სახლში ყველაზე უფრო-მოხერხებული ექიმისთვის ისაა, რომ ხ ე ი ვ ნ ი ს კ ე ნ კარი აქვს, რომელიც საშუალებას იძლევა, შეუმჩნევლად შეხვიდე და გამოხვიდე. გარდა ამისა, მას არც ის აკლია, რაც ოჯახისთვის სასურველია: სამრეცხაო, სამზარეულო მსახურის ბინით, საოჯახო სასადილო ოთახი, საკუჭნაო და სხვ. ის დამთხვეული ფულს როდი ზოგავდა! ბაღის ბოლოს, წყალთან, საგანგებო ფანჩატური ააგო, რათა ზაფხულობით იქ ცივი ლუდი ესვა, ხოლო თუ მადამს მებაღეობა უყვარს, მაშინ მას შეუძლია...

— ჩემს ცოლს სრულიად არ აინტერესებს მებაღეობა, —

თქვა შარლმა, — თუმცა ურჩევენ, მეტი იმოძრაოს, იგი მაიხც შინ ჯდომასა და წიგნის კითხვას ამჯობინებს.

-- როგორც მე, — ჩაურთო ლეონმა,— აბა იმას რა სჯობია, საღამოთი ბუხართან იჯდე და წიგნს კითხულობდე მაშინ, როცა გარეთ მრისხანე ქარი ფანჯრებს აწყდება, ოთახი კი ანთებული ლამპარითაა გაბრწყინებული?

-- ხომ მართლა? — თქვა ემამ და თავისი შავი თვალები მიაშტერა.

-- აღარაფერზე ფიქრობ, — განაგრძობდა იგი, -- დრო მიდის. უმოძრაოდ დასეირნობ ნანატრ ქვეყანაში, და აზრიც ოცნებასთან ხელგადახვეული, წვრილმანებით ტკბება, ან ავანტიურების განვითარებას ელტვის, თქვენი ფიქრი წიგნის გმირებზე გადადის, ასე გგონია, ეს შენა ხარ, მათი სამოსი რომ მოგიბურავს და მათებრ მოქმედებ.

— ეგ მართალია! ეგ მართალია! — იძახდა ქალი.

-- შეგხვედრიათ თუ არა წიგნში, — განაგრძო ლეონმა, — რაღაც გაურკვეველი აზრი, როგორიც თვითონაც მოგსვლიათ ხოლმე თავში, რაღაცნაირი ბუნდოვანი სახე, რომელიც თითქოს შორიდან დაბრუნებულაო, და რომელიც სავსებით გამოხატავს თქვენს საკუთარ უნაზეს გრძნობას?

— მე განმიცდია იგი, — მიუგო ემამ.

— აი ამიტომაც, — თქვა მან, — ყველაზე უფრო პოეტები მიყვარს. მე მგონია, რომ ლექსი პროზაზე უფრო ნაზია, გვატირებს ხოლმე.

— თუმცა ძალზე გვღლის, — თქვა ქალმა, — ამჟამად, პირიქით. მე ისეთი მოთხრობანი უფრო მომწონს, სადაც მოქმედება სწრაფად ვითარდება და შიშის მომგვრელია. მე მეზიზღებიან ყოველდღიურობის გამომხატველი გმირები და ზომიერი გრძნობები, როგორიც სინამდვილეშია.

— მართლაც, — შენიშნა კლერკმა, — ასეთი ნაწარმოებნი, რაკი გულს ვერ ხვდებიან, მე მგონია, ხელოვნების ნამდვილ მიზანსაც ასცდებიან. რა საამოა, ცხოვრების სიავეთა შორის, ფიქრით ჭვრეტდე კეთილშობილ ხასიათს, წმინდა განცდებსა და ბედნიერების სურათებს! ჩემთვის, რომელიც აქ ქვეყანას მოწყვეტილი ვცხოვრობ, ეს ერთადერთი გასართობია; იონვილი ხომ მეტად მცირე რასმე იძლევა!

— როგორც ტოსტი, უეჭველია, — მიუგო ემამ. — ამიტომაც. როცა იქ ვცხოვრობდი, მუდამ ბიბლიოთეკაში ვიყავი ჩაწერილი.

— თუ მადამი პატივს დამდებს, — ჩაურთო მეაფთიაქემ. — რომელმაც ყური მოჰკრა ემას უკანასკნელ სიტყვებს, — და ჩემს დახმარებას ინებებს, მე შემიძლია ჩემი ბიბლიოთეკით სარგებლობა შევთავაზო, სადაც საუკეთესო ავტორები მოიპოვებიან: ვოლტერი, რუსო, დე ლილი, ვალტერ სკოტი, ლეკო დე ფეიეტონ და სხვ. გარდა ამისა, მე ვღებულობ პერიოდულ სხვადასხვა გამოცემასაც, რომელთა შორისაც „ანალ დე რუანს“ ყოველდღიურად, რომლის კორესპონდენტიც გახლავართ ბიუშის, ფორჟის, ნევშატელის, იონვილის ოლქებსა და მის მიდამოებში.

სუფრაზე უკვე მთელი ორი საათი და ნახევარი ისხდნენ, რადგან მსახური არტემიზა, ზანტად რომ დააჩლატუნებდა თავის ნაბდის ფოსტლებს, კერძის მოტანას აგვიანებდა, ყველაფერი ავიწყდებოდა, არ ესმოდა, რასაც უბრძანებდნენ და საბილიარდო ოთახის კარს მუდამ მიუხურავს ტოვებდა, რის გამოც კარის სახელური განუწყვეტლივ კედელს ეჯახუნებოდა.

ბაასით გატაცებულმა ლეონმა სრულიად უნებურად თავისი ფეხი იმ სკამის გამირზე შედგა, რომელზედაც მადამ ბოვარი იჯდა. ქალი ატარებდა ცისფერი აბრეშუმის პატარა ჰალსტუხს, რომელსაც ბატისტის გახამებული საყელო ქედივით აეყენებინა; თავის მოძრაობისას ნიკაპი ხან დაიმალებოდა ამ საყელოში, ხანაც ნაზად გამოჩნდებოდა. ამრიგად, ახლოს მჯდომარენი იმ დროს, როცა შარლი მეაფთიაქეს ემასლაათებოდა, ისინი ერთ-ერთ ისეთ ბაასში გაერთნენ, როცა შემთხვევით ნათქვამი სიტყვები მობაასეებს უნებურად საერთო სიმპათიისკენ იზიდავს, პარიზის სანახაობანი, რომანების სათაურები, ახალმოდის ცეკვები და მათთვის უცნობი საზოგადოება, ტოსტი, სადაც ქალი ცხოვრობდა, და იონვილი, სადაც ამჟამად იყვნენ, ყოველივე ეს გაარჩეს, ყველაფერზე ილაპარაკეს, სანამ სადილი გათავდებოდა.

როცა ყავა მოართვეს, ფელისიტე ახალ სახლში წავიდა ოთახის მოსაწყობად; ამის შემდეგ სტუმრებიც მალე წამოიშალნენ, ნადამ ლეფრანსუას ბუხართან ჩასძინებოდა, მეჯინიბეს კი ხელში ანთებული ფარანი ეკავა და ცოლ-ქმარ ბოვარის ელოდებოდა, რათა შინ წაეყვანა. მისი მწითური თმა ბზეში იყო ამოგანგლული,

მარცხენა ფეხით კოჭლობდა. როცა მეორე ხელით მღვდლის ქოლგა აიღო, ყველანი გზას გაუდგნენ.

ღაბას მისძინებოდა. დახურული ბაზრის სვეტებს გრძელი ჩრდილები წაეგდო. მიწა მთლად რუხი ფერისა იყო, თითქოს ზაფხულის ღამეაო.

მაგრამ, რაკი ექიმის სახლი რაღაც ორმოცდაათიოდე ნაბიჯით შორავდა სამიკიტნოს, თითქმის უმალვე ღამე მშვიდობისა უსურვეს ერთმანეთს და კომპანიაც დაიშალა.

ემამ უკვე დერეფნიდანვე იგრძნო გაჯით შელესილი ჭერის სიცივე, თითქოს ნოტიო რამ ზეწარი მოასხესო. კედლები ახალი იყო. ხის კიბე ჭრაჭუნობდა. პირველი სართულის ოთახში უფარდო ფანჯრებიდან მოთეთრო სინათლე შემოდიოდა. ეზოში ხის წვეროკინები მოჩანდა. უფრო შორს კი — ნისლით ნახევრადდაფარული მინდორი, მდინარის გასწვრივ რომ კვამლით ბოლავდა მთვარის შუქზე. შუა ოთახში უთავბოლოდ ეყარა კომოდიდან გამოღებული უჯრები, ბოთლები, ფარდაში გასაყრელი ჯოხები, მოოქრული ბაგეტები, სკამებზე ლეიბები მიეხვიათ, იატაკზე ტაშტები დაემხოთ, — იმ ორ მუშას, ავეჯი რომ მოეტანა, ყველაფერი ასე უწესრიგოდ მიეყარ-მოეყარა.

ეს მეოთხეჯერ იყო, რომ ემა უცხო ადგილას იძინებდა. პირველი — მონასტერში შესვლის პირველი დღე იყო, მეორე — ტოსტში მისი მისვლის საღამო, მესამე — ვობიესარში და მეოთხეც — ეს იყო ახლა; და თითოეული ასეთი ღამე მის ცხოვრებაში თითქოს ახალი ფაზის დასაწყისად ეჩვენებაო. არ სჯეროდა, რომ ახალ ადგილას ყველაფერი ძველებურად დარჩებოდა და, რადგანაც ცხოვრების განვლილი ნაწილი ცუდი იყო, დანარჩენი ნაწილი, რაც წინ ედო, უეჭველია, უკეთესი უნდა ყოფილიყო.

III

მეორე დილას, ადგომისას, კლერკს მოედანზე მოჰკრა თვალი. ეჭას პენუარი ეცვა. კლერკმა თავი ასწია და მიესალმა. ემამ თავი სწრაფად დაუქნია და ფანჯარა მიხურა.

ლეონი მოუთმენლად ელოდებოდა, სადილობის დრო როდის დადგებოდა, მაგრამ, როცა სასადილო ოთახში შევიდა, იქ მხოლოდ სუფრასმიმჯდარი ბ. ბინე დახვდა.

გუშინდელი სადილი მისთვის მეტად დიდმნიშვნელოვანი რამ იყო: მანამდე თავის სიცოცხლეში არასოდეს უბაასნია ქალთან მთელი ორი საათი განუწყვეტლად. როგორ მოახერხა, და ისიც ასე მშვენივრად, ამდენი რამეების თქმა, რასაც წინათ ასე კარგად ვერ გამოხატავდა? ჩვეულებრივ მოკრძალებული იყო და ისეთი თავდაჭერილობა ახასიათებდა, რასაც მორცხვობა და მორიდება ამძაფრებდა. იონვილში ამბობდნენ, მას კარგი ქცევა აქვსო. უყვარდა დარბაისელი ადამიანების მსჯელობის მოსმენა და, ეტყობოდა, პოლიტიკით სრულიადაც არ იყო გატაცებული, რაც ახალგაზრდა კაცისაგან ერთობ გასაკვირველი იყო. გარდა ამისა, ნიჭიერიც იყო, აკვარელით ხატავდა, მაღალი გასაღების ნოტებს არ-ჩევდა და ლიტერატურასაც სიამით კითხულობდა ყოველ ნასადილევს, თუკი ბანქოს არ თამაშობდა. ბ. ჰომე პატივს სცემდა მისი განათლების გამო; ქ-ნ ჰომეს კი თავაზიანობის გამო უყვარდა, რადგან იგი ხშირად დაატარებდა ხოლმე ბაღში პატარა ჰომეებს, მუდამ ჭუჭყიანთ, ცუდად აღზრდილთ და დედასავით ოდნავ დორბლიანთ. ბავშვებს, გარდა მსახურ ჟუსტენისა, უვლიდა აფთიაქის შეგირდი, ბ. ჰომეს შორეული ბიძაშვილი, რომელიც სამოწყალოდ ჰყავდათ შევრდომილი და ამავე დროს მსახურის მოვალეობასაც ასრულებდა.

მეაფთიაქე საუკეთესო მეზობელი გამოდგა. მადამ ბოვარის საჭირო ცნობები და დარიგება მისცა საოჯახო საგნების ყიდვის შესახებ, საგანგებოდ გამოიწვია ვაჭარი, მასთან რომ სიდრი მოჰქონდა ხოლმე, სიდრი თვით დააჭაშნიკა და სარდაფშიც კი ჩაჰყვა. რათა კასრი კარგად დაედგათ; ამასთანავე ასწავლიდა კარაქი სად ან იაფად როგორ ეყიდა და ლესტიბუდუასთანაც ხელშეკრულება დადო, რადგან ეს მნათე, საეკლესიო და სასაფლაო მოვალეობათა გარდა, იონვილის უმთავრეს ბაღებსაც უვლიდა.

ხოლო მეაფთიაქეს მოყვასისადმი დახმარებისა და გულითადობის გამოჩენის სურვილი როდი ამოძრავებდა მხოლოდ, მას თავისი გეგმაც ჰქონდა.

მან ოდესღაც დაარღვია IX წლის ვენტოზის 19-ის კანონის I მუხლი, რომელიც დიპლომის ყველა არამქონეს მკურნალის პროფესიას უკრძალავს; ასე რომ, გამოურკვეველი დაბეზღების გამო, ჰომე რუანს დაიბარეს სამეფო პროკურორის წინაშე, მის საკუთარ კაბინეტში. სამართლის მცველი ზეზე მიეგება, სიასამურის წამო-

სასხამითა და ბერეტით მორთული. ეს იყო დილით, სხდომის დაწყებამდე, დერეფანში ჟანდარმთა დაჭედილი ფეხსაცმლის ბრახუნი და მსხვილი ბოქლომების კეტვის შორეული ხმაური ისმოდა. მეაფთიაქეს საფეთქლებში სისხლი მიეჭრა და ეგონა, სადაცაა გული წამივაო. თავი უკვე მიწურში მჯდომარე წარმოედგინა, ცოლ-შვილი — ატირებული, აფთიაქი — გაყიდული, მთელი შუშეულობა — — გაბნეული; იგი იძულებული იყო, ერთ-ერთ კაფეში შესულიყო, ერთი ჭიქა ზელციანი რომი დაელია და ამრიგად გონს მოსულიყო.

ეს პირველი გაფრთხილება თანდათანობით განელდა და იგი ახლაც, ვით ოდესმე, გაგაგრძობს ტკივილთა დამაამებელი რჩევის მიცემას აფთიაქის უკანა ოთახში. მაგრამ ქალაქის მერი გაჯავრებულია, კოლეგებს მისი შურთ, საჭიროა სიფრთხილე. თავაზიანობით ბ. ბოვარის გადმობირება მისი გულის მოგებას ნიშნავდა და, ამრიგად, უკეთუ რასმე შენიშნავდა, სალაპარაკოსაც მოუსპობდა. და ჰომესაც ყოველ დილას გაზეთი მიჰქონდა ხოლმე მასთან; ხშირად ნასადილევსაც ერთი წუთით შეირბენდა, რათა ჯანმრთელობის უწყების წარმომადგენელთან მცირე რამ საუბარი გაემართა.

შარლი უგუნებოდ იყო: პაციენტები არ ჩანდნენ. მთელი საათობით მდუმარე იჯდა, კაბინეტში ეძინა ან მოხელსაქმე ცოლს უცქერდა. გასართობად შინ მუშაობდა, ვით მოჯამაგირე; ერთხელ სხვენის შეღებვასაც კი შეუდგა საღებავის იმ ნარჩენით, მღებავებს რომ დაეტოვებინათ. მაგრამ ფულის საკითხი აფიქრებდა. იმდენი დაეხარჯა ტოსტში ბინის შეკეთებაზე, მადამის მორთულობასა და ტოსტიდან გადმობარგებაზე, რომ მთელი ნამზითვი, სამი ათას ეკიუზე მეტი, ორი წლის განმავლობაში გაქრა. მერმე კიდევ რამდენი რამ დაზიანდა ან დაიკარგა ტოსტიდან იონვილამდე ვადმოტანის დროს, გარდა თაბაშირის ხუცესისა, ურმიდან რომ გადავარდა და კენკამპუას ქვაფენილზე უთვალავ ნამსხვრევებად იქცა!

მაგრამ ერთმა საზრუნავმა გასართობი გაუჩინა, ეს იყო ცოლის ორსულობა. რამდენადაც მშობიარობის დრო ახლოვდებოდა, ცოლი იმდენადვე უფრო საყვარელი და ძვირფასი ხდებოდა მისთვის. ეს იყო სულ სხვანაირი ხორციელი კავშირი მათ შორის, თითქოს უფრო რთული ერთობის უხრწნელი გრძნობა მყარდებაო. როცა შორიდან უცქეროდა მის ზანტ მოძრაობას, მისი უკორსეტო

ტანის რბილ მიმოხვრას, ან როცა პირისპირ ხედავდა სავარძელში ჯდომარესა და მოთენთილს, მაშინ სიხარულს ველარ იკავებდა: ადგებოდა, მოეხვეოდა, ბავშვივით ეალერსებოდა, „დედიკოს“ ეძახდა, სურდა ხელი მოეხვია და ეცეკვებინა, მერმე ტირილით თუ სიცილით ათასგვარი საალერსო-ხუმრობა უნდა ეთქვა, რაც კი ენაზე მოადგებოდა. მამად გახდომის აზრი ნეტარებას ჰგვრიდა. ამჟამად აღარაფერი აკლდა. იგი მიწვდა ადამიანის ცხოვრების მთელ სიღრმეს და ამიტომაც დამშვიდებული მოინახე ხდებოდა მ-სი.

ემა პირველად ძალზე გაკვირვებული იყო, მაგრამ შემდეგ მალე განთავისუფლებას ნატრობდა, რადგან სწყუროდა გაეგო თუ რას წარმოადგენდა ეს დედობა. მაგრამ, რაკი იმ ხარჯების გაწევა არ შეეძლო რაც განზრახული ჰქონდა: ნავისებური აკვანი, ვარდისფერი აბრეშუმის ფარდებით მორთული, და მოქარგული პაწია ჩაჩები. ამიტომ გულისტკივილით ყოველივე ამაზე უარი თქვა და ბავშვის მზითევი ერთბაშად სოფლის მკერვალს შეუკვეთა ისე, რომ არც რა აურჩევია და არც რაიმეზე უფიქრია. ამრიგად, არ განუცდია სამზადისის ის ხალისი, რის გამოც დედის სინაზე უფრო იზრდება, და მის სიყვარულს ბავშვისადმი დასაბამიდანვე ამით, შესაძლებელია, რაიმე ევნო.

მაგრამ, რაკი შარლი ყოველ იჯრობისას სულ ბალღზე ლაპარაკობდა, ემამაც უფრო მეტი სიდინჯით იწყო მასზე ფიქრი.

მას ვაჟი ენატრებოდა: ღონიერი და შავგვრემანი უნდა ყოფილიყო; ჟორეს დაარქმევდა. და ფიქრი იმისა, რომ ვაჟი ეყოლებოდა, მთელი თავისი წარსული უმწეობის საიმედო საზღაურად ეჩვენებოდა. შამაკაცი თავისუფალი მაინცაა, შეუძლია ყოველგვარი ვნება და ქვეყანა იხილოს, დაბრკოლებანი გადალახოს, თვით უშორეს ბედნიერებას მისწვდეს. ქალი კი ყოველთვის შეფერხებულია. უმოქმედო და იმავე დროს მოქნილი, იგი დამოკიდებულია საკუთარი სხეულის უმწეობასა და კანონზე. მისი ნებისყოფა, ვით საკუთარი ქუდის ბანდული, ზონარით რომ არის დამაგრებული, ფრიალებს ყოველი ქარის დაქროლვაზე; მას მუდამ აქვს რაღაც სურვილი, რასაც ზრდილობის რაიმე მოსაზრება აკავებს.

ერთ კვირა დღეს მოიმშობიარა, ექვს საათზე, მზის ამოსვლისას.

— ქალია! — თქვა შარლმა.

ემამ პირი იბრუნა და გული წაუვიდა. თითქმის იმწამსვე მოირ-

ბინა მადამ ჰომემ და მიულოცა, აგრეთვე ქ-ნმა ლეფრანსუამ „ოქროს ლომიდან“. მეაფთიაქემ კი, კაცმა მოკრძალებულმა, თავისი წინასწარი მილოცვა ნახევრად ღია კარიდან გადასცა; სთხოვა, ბავშვი მაჩვენეთო; რა ნახა, მისი კარგი აგებულება მოიწონა.

ლოგინობის განმავლობაში ემა ბევრს ცდილობდა ბავშვისათვის სახელი შეერჩია. ჯერ ყველა ის სახელი გადაარჩია, რომლებიც იტალიურად თავდებოდა, როგორიცაა კლარა, ლუიზა, ამანდა, ატალა; მოსწონდა გალსუინდა, ამაზე უფრო კიდევ იზოლდა თუ ლეოკადი. შარლს უნდოდა, ბავშვს დედის სახელი დარქმეოდა; ემა კი ამის წინააღმდეგი იყო.

კალენდარი თავიდან ბოლომდე გადაიკითხეს. უცხოებსაც რჩევა ჰკითხეს.

— ბ. ლეონი, რომელსაც ამას წინათ ველაპარაკე, — ამბობდა მეაფთიაქე, — გაკვირვებულია, მაგდალინა რად არ აირჩიეს, რაც ამჟამად ძალიან მოდაშია.

მაგრამ შარლის დედა მძაფრი მოწინააღმდეგე შეიქნა ცდომილის ამ სახელისა. რაც შეეხება ბ. ჰომეს, იგი უპირატესობას იმ სახელებს აძლევდა, რომლებიც ვინმე დიდ ადამიანს, სახელოვან მოქმედებას ან კეთილშობილ მოსაზრებას მოაგონებდა კაცს, და აი სწორედ ამ სისტემით მონათლა მან თავისი ოთხი შვილი. ამრიგად, ნაპოლეონი წარმოადგენდა დიდებას, ფრანკლინი კი — თავისუფლებას; ირმა, შესაძლებელია, ერთგვარი დათმობა იყო რომანტიზმისადმი, მაგრამ ატალა მოწიწება იყო ფრანგული სცენის ყველაზე უკვდავი შედევრისადმი, რადგან მისი ფილოსოფიური რწმენა ხელს როდი უშლიდა მისსავე არტისტულ აღმაფრენას; მასში ბრძენი გრძნობის ადამიანს არ აშთობდა; იცოდა განსხვავებათა ღადგინება და ოცნებას თავისას მიუზღავდა, ხოლო ფანატიზმს კიდევ — საიმისოს. ამ ტრაგედიაში, მაგალითად, იგი ჰკიცხავდა აზრებს, მაგრამ აღმერთებდა სტილს; წყევლიდა კონცეფციას, ხოლო ქებას ასხამდა ყოველ წვრილმანს და გახელებული იყო გმირების წინააღმდეგ. მათ სიტყვებს კი აღფრთოვანებაში მოჰყავდა. როდესაც დიდებულ ნაწყვეტებს წაიკითხავდა, სიამით ცას ეწეოდა, მაგრამ როცა იმასაც გაიხსენებდა, რომ ხუცები ამით კარგ დახლს იჯენდნენ, სასო ეკარგებოდა; ამ ორგვარ ცეცხლს შუა ჩავარდნილს, ერთსა და იმავე დროს სურდა საკუთარი ხელით რა-

ანისთვის დაფნის გვირგვინი დაედგა თავს და ცოტა ხანს გვარი-ნადაც გამოკამათებოდა.

ბოლოს, ემას გაახსენდა, რომ ვობიესარის ციხე-დარბაზში მარ-კიზის მეუღლემ ერთ ახალგაზრდა ქალს ბერტა დაუძახა; ამიერიდან ეს სახელი იქნა არჩეული და, ვინაიდან პაპა რუოს მოსვლა არ შეეძლო, ბ. ჰომეს სთხოვეს ნათლიობა. საჩუქრად მან მხოლოდ თავისი საწარმოს პროდუქტები მოიტანა, სახელდობრ: ექვსი კოლოფი ხველის საწინააღმდეგო შაქარყინული, მთელი ქილა რაჰათი, სამი კოლოფი ძირტკბილას ფაფა და შაქრის ექვსი ჯოხი, რომელიღაც უჯრაში რომ ეპოვნა. ნათლობის საღამოს დიდებული სადილი გაიმართა; მღვდელიც დაპატიჟეს, კარგად შეხურდნენ. ბ. ჰომემ, ლიკიორის მორთმევისას, „კეთილ კაცთა ღმერთი“ შეჰსძახა, ბ. ლეონმა ბარკაროლა იმღერა, ხოლო ბოვარის დედამ, ესეც ხომ ნათლია იყო, — იმპერიის იმდროინდელი ერთი რომანსი; ბოლოს, მოხუცმა ბოვარიმ ბავშვის ჩამოყვანა მოითხოვა და როცა მიჰგვარეს, თავზე შამპანური დააწვეთა და თავისებურად მონათლა. წმ. საიდუმლოთა შორის უპირველესის ასეთი შებღალვის გამო მამა ბურნიზიენი ძალიან განაწყენდა; ბოვარის მამამ პასუხად „ღმერთების ომიდან“ ერთი ადგილი წარმოთქვა. მღვდელმა წასვლა დააპირა, ქალები დარჩენას ემუდარებოდნენ; ბ. ჰომე ჩაერია და ეკლესიის მსახური, როგორც იქნა, დასვეს; მანაც, თითქოს აქ არაფერიაო, კვლავ აიღო ყავის ფინჯანი და მშვიდად განაგრძო სმა.

მოხუცი ბოვარი ერთ თვეს კიდევ დარჩა იონვილში და იქაურებს აცვიფრებდა თავისი პოლიციური ქუდით, ძირი რომ ვერცხლის ძაფით ჰქონდა მოქარგული; ამ ქუდს იგი დილაობით იხურავდა ხოლმე, რათა ერთი ჩიბუხი მოეწია დაბის მოედანზე. რაკი სმა უყვარდა, ამიტომ მსახურს ხშირად გზავნიდა ხოლმე „ოქროს ლომში“ სასმელისათვის, რასაც მის შვილს აწერდნენ ნისიად; რძალს კი ოდეკოლონის მთელი მარაგი გამოულია თავისი ფულარის საცხებლად.

ემას როდი მოსწყენია მასთან ყოფნა. მოხუცს მთელი ქვეყანა შემოევლო: უამბობდა ბერლინზე, ვენასა და სტრასბურგზე. იხსენებდა თავისი ოფიცრობის დროს, საყვარლებს, დიდ ლხინებს, უხვად რომ გაუმართავს ხოლმე; თანაც თავს მოსიყვარულედ აჩვენებდა, ხოლო ზოგჯერ, კიბეზე ჩასვლისას თუ ბაღში სეირნობის დროს, წელზე ხელს მოხვევდა ხოლმე და შესძახებდა:

— ჰაიტ, შარლ, მიფრთხილდი!

მაშინ ბოვარის დედა შვილის ბედნიერებისათვის შეშფოთდა, და, რაკი ეშინოდა, ჩემი მეუღლის საქციელმა, ბოლოს და ბოლოს, ეზნეო გავლენა არ იქონიოს ახალგაზრდა ქალის ფიქრებზეო, წასვლა დააჩქარა, შესაძლებელია, სხვა, უფრო სერიოზული რამ მოსაზრებაც აწუხებდა, — მოხუცი ბოვარი ისეთი კაცი იყო, ვისაც არავითარი წმინდა რამ არ გააჩნდა.

ერთხელ ემას უეცრად მოენატრა თავისი პატარა გოგონას ნახვა, რომელიც ხარატის ოჯახში ჰყავდა გაძიძავებული; არც კი გახსენებია, გავიდა თუ არა მელოგინესთვის დაწესებული ექვსი კვირა, ისე გაუდგა გზას როლეს სახლისკენ, რომელიც სოფლის ბოლოს მდებარეობდა, გორაკის ძირას, დიდ გზასა და მინდვრებს შუა.

შუადღე იყო; სახლების დარაბები დახურული იყო, ხოლო ფიქალის სახურავები ლურჯი ცის მკაფიო სინათლეზე ისე ბრწყინავდა, თითქოს ნაპერწკლებს აფრქვევსო. სულისშემხუთველი ქარი უბერავდა. ემას სიარული ეძნელებოდა; ქვაფენილის რიყე ფეხებს ტკენდა; ჭოჭმანობდა, დავბრუნდე თუ სადმე შევიდე დასასვენებლადო.

ამ დროს, მეზობელი სახლიდან ლეონი გამოვიდა, იღლიაში ერთი შეკვრა ქაღალდი ჰქონდა ამოჩრილი. სალამი მისცა და ჩრდილში გაჩერდა, ლერეს დუქნის რუხ ფარდულქვეშ.

— თუ... — დაიწყო ვითომ ლეონმა და განგრძობა ვეღარ გაბედა.

— საქმეზე მიდიხართ სადმე? — ჰკითხა ქალმა.

და როცა პასუხი მიიღო, კლერკს სთხოვა, გამყევიო. იმ საღამოსვე ეს ამბავი მთელმა ირონვილმა შეიტყო, და მადამ ტუვაშმა, ბერის ცოლმა, თავისი მსახურის წინაშე განაცხადა, მ ა დ ა მ ბ ო ვ ა რ ი ს ა ხ ე ლ ს ი ტ ე ხ ს ო.

ძიძისას მისასვლელად საჭირო იყო ქუჩიდან მარცხნივ გადახვევა იმ გზისკენ, რომელიც სასაფლაოზე გადიოდა, მერმე ქოხებსა და ეზოებს შორის უნდა გაჰყოლოდა ვიწრო ბილიკს, ველური იასამნის ბუჩქებით რომ იყო შემორგული. ეს ჩირგვები, აგრეთვე ვერონიკი, კურკანტელი, უჯანგარი და ჩირგვებზე დახვეული მაყვალი მთლად აყვავებულიყო. მცენარეთა თარალებში მოჩანდა ბოსლები, ნეხვზე მოფუსფუსე გოჭები თუ დაბმული

ბროხები, რქებით რომ ხეებს ეხახუნებოდნენ. მხარდამხარ მიდიოდნენ წყნარი ნაბიჯით; ქალი ვაჟს ეყრდნობოდა, ხოლო იგი ფეხს ანელებდა და ქალის ნაბიჯს უთანაბრებდა; მათ წინაშე ბუზების გუნდი ზუზუნებდა მცხუნვარე ჰაერში.

ძიძის სახლი ერთი ძველი კაკლის ხით იცნეს, იქაურობას რომ ჩრდილავდა; სახლი დაბალი იყო, მუქი კრამიტით დახურული. სხვენის სარკმელზე, გარედან, ნივრის კონა ეკიდა. ეკლით შეღობილ ბოსტანში სალათის კვალი ფიჩხით იყო შემომესრილი, ხოლო რამდენიმე ძირი ხარდანზე ასული ლევანდი და ლობიო უკვე ყვაოდა. ჭუჭყიანი წყალი სდიოდა და ბალახში იფანტებოდა, გარშემო აუარებელი ჩვარი ეყარა, ნაქსოვი წინდები, წითელი ჩითის კამზოლი, ხოლო ღობეზე უზარმაზარი, მსხვილი ტილოს ზეწარი იყო მოფენილი. ჭიშკრის ხმაურზე ძიძა გამოვიდა, პავშვი ჰყავდა ატატებული, ძუძუს რომ ~~ს~~წოვდა. მეორე ხელით ერთ გამხდარსა და საცოდავ ბალღს მოათრევდა, სახეზე რომ საყმაწვილოს ნიშნები აჩნდა; მის მშობლებს, ნაყასნაყევი საქონლის ვაჭრებს რუანში, მოუცლელობის გამო, სოფლად დაეტოვებინათ იგი.

— შემოდით, — თქვა მან, — თქვენი პატარა იქ ძრის, სძინავს.

ქვედა სართულის ერთადერთ ოთახში, უკანა კედელთან ფართო და უჩარდახო საწოლი იყო, ხოლო წინ, ფანჯრისკენ, რომლის ერთი მინაც ლურჯი ქაღალდით იყო აწებებული, სადღვები იდგა. კუთხეში კი, კარს უკან, ხელსაბანს ქვეშ ბრჭყვიალა ლურსმნით ნაჭედი ფეხსაცმელი ელაგა მწკრივად; იქვე ზეთით სავსე ბოთლი, რომელსაც საცობში ფრთა ერჭო; ბუხრის მტვრიან თაროზე „მათიე ლენსბერგის" ერთი წიგნი ეგდო, კაჟსა, სანთლის ნამწვავსა და აბედის ნაჩლეთებს შორის. და, ბოლოს, ამ ბინის ზედმეტ სამკაულს წარმოადგენდა „განთქმული" ამური, რომელიც ბუკს აყვირებდა; ეს ნახატი უთუოდ პარფიუმერიის რომელიმე რეკლამიდან იყო ამოჭრილი და კედელზე ფეხსაცმლის ექვსი ლურსმნით იყო მიკრული.

ემას ბავშვს ქვემოთ ეძინა, წნულ აკვანში. დედამ სახვევებიანად აიყვანა წყნარად და ნანაობა დაუწყო.

ლეონი ოთახში მიმოდიოდა; ეს ლამაზი და ნანკინის კაბით გამოწყობილი ქალი რაღაც უცნაურ სანახაობად ეჩვენებოდა ამ სიღატაკის წიაღში. მადამ ბოვარი წამოწითლდა: ლეონმა პირი იბრუნა, ეგონა, იქნებ ჩემს თვალებში რაიმე უკადრისი გაკრთაო.

ემამ კვლავ მიაწვინა ბავშვი, რომელმაც საყელურზე პირი აღებინა. ძიძა მაშინვე მივარდა და მოსწმინდა, თანაც იბოდიშა, არ დააჩნდებაო.

— მე მაგაზე მეტს მიშვება, — ამბობდა იგი, — მისი ბანვის მეტს არას ვაკეთებ! კარგს იზამდით, თუ ინებებდით და მედუქნე კამუსს უბრძანებდით, საპონი მომცეს ხოლმე, როცა დამჭირდება. ეს თქვენთვისაც უმჯობესი იქნება, ყოველთვის აღარ შეგაწუხებთ.

— კარგი, კარგი! — უთხრა ემამ, — ნახვამდის, დეიდა როლე!

გავიდა და კარის გამირზე ფეხი გაიწმინდა.

ქალმა ეზოს ბოლომდე გააცილა და სულ იმის ლაპარაკში იყო, ღამღამობით ადგომა მიჭირსო.

— ზოგჯერ ისე მოვითენთები, რომ სკამზე ჯდომელას ჩამეძინება; ერთ გირვანქა დაფქულ ყავას რომ მაინც მიწყალობებდეთ, დილაობით რძიანს დავლევდი და ერთ თვეს ვიმყოფინებდი.

მადამ ბოვარიმ ძიძას მადლობა გადაუხადა და გზას გაუდგა. მაგრამ შორი მანძილი არ გაუვლია, რომ ხის ფოსტლების ტყაპუნი მოესმა; მიიხედა: ძიძა იყო!

— რა ამბავია?

ქალმა განზე გაიხმო. ხეს ამოეფარა და მოჰყვა ქმრის გაჭირვებას, რომელიც თავისი ხელობით და იმ წლიური ექვსი ფრანკით, რასაც კაპიტანი...

— თქვით ბარემ! — მიახალა ემამ.

— დიახ! — წუწუნით განაგრძო მან, — მეშინია, არ გამიჯავრდეს, ყავას რომ მარტო მე დავლევ, ხომ იცით, მამაკაცები...

— ყავა ხომ გექნებათ, — გაუმეორა ემამ, — აკი გითხარით, გამოგიგზავნით-მეთქი!... რაღას მაბეზრებთ!

— ეჰ! ჩემო ძვირფასო ქალბატონო, საქმე ისაა, რომ ჭრილობების გამო საშინელი ჭიდილი აქვს მკერდის არეში. ამბობს, სიდრიც კი მასუსტებსო.

— კარგი, გაათავე, დეიდა როლე!

— ჰოდა, — განაგრძობდა გლეხი ქალი და წელში იხრებოდა. — თუ. თქვენთვის სამძიმო არ იქნება, თუკი მეტად... — და ერთხელ კიდევ თავი დაუკრა, — რომ ინებებდეთ, — და თვალით ემუდარებოდა, — და ერთ ბოთლ არაყს, — როგორც იყო, თქვა, — თქვენს პატარასაც იმით ფეხებს დავუზელავდი, ისე ნაზი აქვს, თითქოს ენაო.

ძიძა რომ მოიშორა, ემამ კვლავ გაუყარა მკლავი ლეონს. რამ-ღენიმე ხანს ჩქარა ვიდოდა, შემდეგ ფეხი შეანელა, თვალი, წელან რომ სივრცისათვის მიეპყრო, ახლა ვაჟის მხარს მოხვდა: ლეონს ხავერდის საყელოიანი რედინგოტი ეცვა; წაბლისფერი თმა, სწორედ და კარგად დავარცხნილი, საყელოს ეფინებოდა. ქალის ყურადღება მისმა ფრჩხილებმა მიიქცია, ასე გრძელ ფრჩხილებს იონვილში არავინ ატარებდა. მათი მოვლა კლერკისთვის დიდი ამბავი იყო, საიმისოდ საგანგებო ჯაყვაც კი ჰქონდა შემონახული, საწერ ხელსაწყოთა შორის.

იონვილს მდინარის ნაპირით დაბრუნდნენ. გოლვიანში კალაპოტი ვიწროვდებოდა და ბაღების კედლებს ბალავერი უჩანდა, საიდანაც მდინარისკენ რამდენიმე საფეხური კიბე ჩასდევდა. ჩქარი და შესახედავად ცივი მდინარე ყრუდ მიჩხრიალებდა. მაღალი და წვრილი ბალახი, თითქოს წყალს მიაქვსო, შიგ იღუნებოდა და, ვით მწვანე გრძელი თმა, კამკამა ტალღებში ლივლივებდა. ზოგან, ლერწმის წვეტოზე ან წყლის ზამბახის ფოთოლზე გრძელფეხა მწერი რამ იჯდა თუ დაცოცავდა. მზის სხივი ტალღების მოლურჯო ბუშტულებს ისრავდა და ისინიც ზედიზედ სკდებოდა; ტოტებშეჭრილი ბებერი ტირიფები თავიანთ რუხ ტანს წყალში ხატავდნენ. გაღმა მხარეს კი, მინდვრები თითქოს გაუკაცურებულაო. ფერმების სადილობის დრო იყო, და ამიტომ ახალგაზრდა ქალსა და მის თანამგზავრს მხოლოდ თავიანთი ფეხის ხმა, ერთმანეთის ლაპარაკი და ემას კაბის შრიალი ესმოდათ.

ბაღის ყორეები, ზემოდან კირში რომ ბოთლის ნამსხვრევები ჰქონდა ჩატანებული, სათბურის შუშაბანდივით გახურებულიყო. ყორეებზე, ქვასა და ქვას შუა, ქათანაცარა ხარობდა; მადამ ბოვარის გაშლილი ქოლგის ბოლო გავლისას მის დამჭკნარ ყვავილს ეხებოდა და ყვითელ მტვერს აყრევინებდა; მრავალძარღვას და ალემატიტის გადმოშვერილი კენწლები ქოლგის აბრეშუმს ეხახუნებოდა და არშიაში ეჩრებოდა.

ისინი ესპანელ მოცეკვავეთა დასზე ბაასობდნენ, ამ მოკლე ხანში რომ რუანის თეატრის სცენაზე უნდა გამოსულიყო.

— დაესწრებით? — ჰკითხა ემამ.

— თუ მოვახერხე, — მიუგო მან.

ნუთუ სათქმელი მეტი არა ჰქონდათ რა? მათი თვალები კი უფრო სერიოზული ბაასით იყო აღსავსე; იმ დროს, როცა ისინი

ბანალურ ფრაზებს ეძებდნენ, თვითვე გრძნობდნენ, რომ ერთნაირი ბნედით იმსჭვალებოდნენ; ეს იყო ჩურჩული სულისა, ღრმა და ხმათა დამხშობი. ამ ახალი სიამის უეცრობით განცვიფრებულნი, ისინი როდი ცდილობდნენ ერთმანეთისათვის მის გამჟღავნებას, ან მისი მიზეზის აღმოჩენას. მომავალი ბედნიერება, ვით ტროპიკული ქვეყნის ნაპირები, წინმდებარე უსაზღვროებას თავის მშობლიურ სინაზეს, სურნელოვან სიოს აფრქვევს; რული გერევა მით მთვრალსა და აღარც კი დარდობ ჰორიზონტს, თვალით რომ აღარსად ჩანს.

გზა ერთ ადგილას საქონლის ფეხისგან ჩაქცეულიყო; საჭირო იყო დიდ, მწვანე ტალახში გამწკრივებულ ქვებზე გავლა. ემა ხშირად შედგებოდა, ფეხი სად დავადგაო და, რიყის მერყეე ქვაზე შემდგარი, მოქანავე, მკლავებგაშლილი, წინგაწვდილი, თვალმოწურული, იცინოდა, ვაითუ ტლაპოში ჩავვარდეო.

როცა თავის ბაღთან მივიდნენ, ემამ პატარა ჭიშკარი შეაღო, კიბე აირბინა და მიიმალა.

ლეონი თავის სამუშაოს დაუბრუნდა, უფროსი იქ არ იყო, ქაღალდებს თვალი გადაავლო, მერმე კალამს წვერი წაუკეთა, ქუდი დაიხურა და კარი გაიარა.

პატურზე წავიდა, არგეილის სერზე, ტყის პირას წამოწვა ფიჩვებს ქვეშ და თვალი ცას მიაშტერა.

— რა მოწყენილობაა, — ამბობდა იგი, — რა მოწყენილობაა!

საკუთარი თავი ებრალებოდა, რომ ამ სოფელში ცხოვრობდა; ჰომე მეგობრად ჰყავდა, გილიომენი კი — უფროსად. ამ უკანასკნელს, მუდამ საქმეებში ჩაფლულს, ოქროს ბუდიან სათვალეს რომ ატარებდა და მოწითალო ქილვაშები თეთრ ჰალსტუხზე ეფინებოდა, სულის უნაზეს მოძრაობათა არაფერი გაეგებოდა, თუმცა კი ცდილობდა ცივი, ინგლისური იერი ჰქონოდა, რამაც კლერკი პირველ ხანს ერთობ განაცვიფრა, რაც შეეხება მეაფთიაქის ცოლა. იგი სამაგალითო მეუღლე იყო მთელ ნორმანდიაში, მშვიდი, ვით ბატკანი. მოყვარული შვილების, დედ-მამის, ბიძაშვილებისა; მოყვასის შემბრალე, უხეირო დიასახლისი და კორსეტის მოძულე; თანაც ისეთი ზანტი, მოსაწყენი მოსაუბრე, გარეგნობით უშნო და მოკლე ჭკუისა, რომ ლეონს, მიუხედავად იმისა, რომ ქალი მხოლოდ ოცდაათი წლისა იყო, თვითონ კი — ოცისა, საწოლი ოთახებიც ახლოს ჰქონდათ და ერთმანეთსაც ყოველდღე ხვდებოდნენ, არა-

ოდეს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ იგი ვისმე ქალად გამოადგებოდა ან საკუთარი სქესის რაიმე გააჩნდა, გარდა კაბისა.

და შემდეგ, კიდევ ვინლა იყო? ბინე, რამდენიმე ვაჭარი, ორი თუ სამი მიკიტანი, ხუცესი და, ბოლოს, ბ. ტუვაში, ქალაქის თავი, მისი ორი ვაჟი, ტლანქი, რეგვენი, ჩაქვავებული ხალხი, რომელიც თვითონვე ამუშავებს თავის მიწას, თვითონვე ქეიფობს შინ, ამასთანავე ფარისეველიცაა და აუტანელი მეზობელიც.

ხოლო ამ მდაბიო სახეთა შორის ხატება ემასი განცალკევებული და რაღაც უფრო შორეული ჩანდა, რადგან თავისა და ქალს შორის თითქოს გაუვალ უფსკრულს გრძნობდა.

პირველ ხანებში ლეონი ხშირად დაიარებოდა ხოლმე მეაფთიაქესთან ერთად. შარლს არაფერი გაუმეღავნებია, რომ დიდი მოხარული ყოფილიყოს მისი სტუმრობისა; და ლეონმა აღარ იცოდა, რა ექნა; ერთი მხრით, ეშინოდა უტიფრობაში არ ჩამოერთმიათ ეს ხშირი სტუმრობა, ხოლო, მეორე მხრით, წყუროდა ემას სიახლოვე, რაც თითქმის მიუწვდომლად მიაჩნდა.

IV

პირველმა სიცივემ რომ დაჰკრა, ემა თავისი ოთახიდან სასადილოში გადავიდა; ეს იყო გრძელი, დაბალჭერიანი ოთახი, სადაც ბუხრის გამირზე ქოთნით შედგმული, გაბურდული ლელი სარკის პირს განრთხმოდა. ფანჯარასთან სავარძელში მჯდომარე თვალს ადევნებდა ხოლმე სოფლელებს, მახლობელ ქვაფენილზე რომ მიმოდიოდნენ.

სამსახურიდან „ოქროს ლომში“ მიმავალი ლეონი დღეში ორჯერ გაივლიდა ხოლმე. ემა შორიდანვე გრძნობდა მის მოახლოებას; დაიხრებოდა და დააყურადებდა; ყმაწვილი წყნარად გაივლიდა ფარდას იქით, მუდამ ერთნაირად ჩაცმული და თავმოუბრუნებელი. ხოლო ბინდისას, ძარცხენა ხელზე ნიკაპდაყრდნობილს რომ საქარგავი მუხლზე დაუვარდებოდა, ხშირად უნებური თრთოლვა შეიპყრობდა ხოლმე ყმაწვილის შემხედვარეს. მაშინ წამოდგებოდა და სუფრის გაშლას უბრძანებდა.

სადილობისას ჰომე უთუოდ უნდა შემოსულიყო ბერძნული ფესით ხელში, იგი ფეხაკრეფით შემოილალებოდა, რათა არავინ შეეწუხებინა. და მუდამ ერთსა და იმავე სალამს იმეორებდა. „კომ-

პანიას ვაუმარჯოს!“ შემდეგ, როცა თავის ადგილზე, ცოლ-ქმარს შუა დაჯდებოდა, ექიმს პაციენტების ამბავს გამოჰკითხავდა. შარლი კი, თავის მხრით, ჰონორარებზე დაუწყებდა თათბირს. მერმე ბაასი იმდღევანდელი გაზეთის ამბებზე გადავიდოდა. ამ დროისათვის ჰომემ გაზეთი თითქმის სულ ზეპირად იცოდა და მთლიანად ეამბობდა მის შინაარსს, არ დაავიწყდებოდა არც ჟურნალისტის მოსაზრებანი და არც ერთი შემთხვევა, რაც კი საფრანგეთსა თუ უცხოეთში მომხდარიყო. როცა ეს მასალაც ამოიწურებოდა, იგი რამდენიმე შენიშვნას მორთმეულ კერძებზეც გამოთქვამდა. ზოგჯერ ოდნავ წამოიწევდა და დიასახლისს თავაზიანად მიუთითებდა სინზე საუკეთესო ნაჭერს, ან მზარეულს მიუბრუნდებოდა და რჩევას მისცემდა რაგუს მომზადებასა და იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს მარგებლობისათვის საკაზმ-სანელებელს; გასაოცარი ხელოვნებით იცოდა ლაპარაკი სურნელოვან და მარგებელ ნივთიერებაზე. მისი თავი უფრო სავსე იყო რეცეპტებით, ვიდრე მისივე აფთიაქი კოჭობებით; ჩინებულად იცოდა მომზადება სხვადასხვა მურაბის, მწნილისა და ტკბილი სასმელების; იცოდა აგრეთვე უკანასკნელი და უახლესი გამოგონებანი დასაშლელი ტაფების ეკონომიის შესახებ; არ აკლდა არც ყველის შენახვისა და არც მოჭანგული ღვინის გატკბობის ხელოვნება.

რვა საათზე ჟუსტენი გამოუვლიდა აფთიაქის დასაკეტავად. მაშინ ჰომე გამომცდელ თვალს შეავლებდა ხოლმე თავის შეგირდს, განსაკუთრებით კი, უკეთუ ფელისიტეც იმ დროს იქ იქნებოდა, რადგან ჰომე, ეს ერთი ხანია, მიკერძოებას ამჩნევდა მას ექიმის სახლისადმი.

— ეს ჩემი ბიჭი, — იტყოდა ხოლმე იგი, — რაღაც გაბჭობილია; დასწყევლოს ღმერთმა, მგონი, თქვენი მზარეული შეუყვარდა!

მაგრამ მეორე, უფრო დიდი ნაკლი, რასაც იგი თავის შეგირდს უსაყვედურებდა, ის იყო, რომ ამ უკანასკნელს ძალიან უყვარდა ლაპარაკისთვის ყურისგდება.. კვირას, მაგალითად, ვერასგზით ვერ გაიყვანეს სასტუმრო ოთახიდან, სადაც ქ-ნმა ჰომემ უხმო ბავშვების წასაყვანად; ასე რომ ბავშვებმა სავარძლებში ჩაიძინეს და ზურგებით დაითრიეს სავარძლების ერთობ განიერი ჩარსავები.

მეაფთიაქის ამ საღამოებზე მაინცდამაინც დიდი ხალხი არ დაიარებოდა, მისმა ენაძვირობამ და პოლიტიკურმა შეხედულებამ თანდათანობით ჩამოაშორა სხვადასხვა პატივცემული პიროვნება.

კლერკი ერთ საღამოსაც არ გაუშვებდა დაუსწრებლად. შეესმოდა თუ არა ზარის ხმა, მაშინვე მადამ ბოვარის შესაგებებლად გაეშურებოდა. შალს ჩამოართმევდა და ცალკე, მეაფთიაქის საწერ მაგიდის ქკეშ დააწყობდა თბილ ბოტებს, რასაც ემა თოვლში ფეხსაცმელზე ატარებდა ხოლმე.

ჯერ რამდენიმე ხელს „ოცდათერთმეტს“ ითამაშებდნენ; მერე ჰომე ემასთან ერთად „ეკარტეს“ შეუდგებოდა, ლეონი ქალის უკან იდგა და რჩევას აძლევდა: ქალის სკამს ხელდაყრდნობილი, იგი სიამით ათვალიერებდა სავარცხლის კბილებს, ემას ნაწნავებს რომ ჩარჭობოდა. ყოველთვის, როცა ქალი ქაღალდს ჩავიდოდა, მისი კაბის მარჯვენა კალთა აიწევდა. დაწნული თმიდან მის კისერს შუქი ფერი ედებოდა, რომელიც შემდეგ თანდათანობით ბაცდებოდა და ნელინელ ჩრდილს შეერთვოდა. კაბა კი, სკამის მხარეს უხვ ნაოჭებად დაშვებული, იატაკს ეფინებოდა. ზოგჯერ, როცა ლეონი ფეხსაცმლით კაბის შეხებას იგრძნობდა, მყისვე უკან დაიხევდა, თითქოს ვისმე ფეხი დაადგაო.

ბანქოს თამაში რომ გათავდებოდა, მეაფთიაქე და ექიმი დომინოს მიჰყოფდნენ ხელს, ემა კი ადგილს გამოიცვლიდა და, მაგიდას იდაყვდაყრდნობილი, „ილუსტრასიონს“ დაუწყებდა ფურცვლას, ან მოდების ჟურნალს მოიტანდა; ლეონიც ახლოს დაუჯდებოდა, ერთად ათვალიერებდნენ და ერთიმეორეს უცდიდნენ ჟურნალის ფურცლების გადაბრუნებას. ხშირად ლექსის წარმოთქმას სთხოვდა; ლეონი გაბმული ხმით დაიწყებდა და სასიყვარულო ადგილებზე ხმას ძალზე აათრთოლებდა, მაგრამ დომინოს ხმაურობა ლეონს აღიზიანებდა: ჰომე ძლიერი მოთამაშე იყო და შარლს მაშინაც კი უგებდა, როცა ამ უკანასკნელს ორმაგი ექვსიანები ეჭირა. სამასამდე ითამაშებდნენ და, ბუხართან ფეხებგაწვდილნი, ორივენი თვლემას მოჰყვებოდნენ. ცეცხლი ჩაიფერფლებოდა, ჩაიდანი დაცლილი იყო. ლეონი კი კვლავ კითხულობდა. ემა უსმენდა და მაშინალურად ატრიალებდა ლამპარის შუქფარს, რომელზედაც გამოხატული იყვნენ თავიანთ სასაცილო ეტლებში მჯდომარე ხუმარები და გრძელპოკებიანი ჯამბაზები. ლეონი მძინარე აუდიტორიაზე ანიშნებდა და გაჩუმდებოდა; შემდეგ ამისა, დაბალი ხმით დაიწყებდნენ ლაპარაკს და მუსაიფიც უფრო ტკბილი ეჩვენებოდათ. რადგან იგი სხვას არავის ესმოდა.

ასე დამყარდა მათ შორის ერთგვარი ურთიერთობა, წიგნებისა

და როძახსების გაცვლა-გამოცვლა. შარლი იქვნეული არ იყო, და ეს გარემოება უჩვეულოდ არ ეჩვენებოდა.

თავის დღეობაზე ბ. ბოვარიმ მშვენიერი ფრენელოგიური თავი მიიღო საჩუქრად, რომელიც მკერდამდე მთლად ციფრებით იყო მოჩითული და მტრედისფრად შეღებილი. იგი ნიშანი იყო კლერკის ყურადღებისა, რასაც სხვა მხრითაც არ აკლებდა: ხშირად, რუანს გამგზავრებისას, დანაბარებს უსრულებდა; და, რაკი ერთი რომანისტის წიგნის გამო მოდაში შემოვიდა კაკტუსები, ლეონი მადამ ბოვარისთვის ყიდულობდა მათ და, „მერცხალში" მჯდომარეს ქოთნები მუხლებზე ედგა, რის გამოც თითები მთლად დაჩხვლეტილი ჰქონდა კაკტუსის ეკლებით.

ემამ თავის ფანჯარაზე ფიცრის გამირი გააკეთებინა ყვავილთა ქოთნების დასადგმელად. კლერკსაც თავისი დაკიდებული ბაღი ჰქონდა, ასე რომ, ყვავილობის დროს ერთმანეთს ფანჯარაში ხედავდნენ.

ამ სოფლის ფანჯრებს შორის ერთი ისეთიც იყო, სადაც ერთი ვინმე ყველაზე ხშირად მოჩანდა ხოლმე; კვირაობით, დილიდან დაწყებული საღამომდე, და ყოველ ნასადილევს, თუ კარგი ამინდი იყო, სხვენის სარკმელში მუდამ .გამოჩანდა გამხდარი სახე ბ. ბინესი, რომლის დაზგის ხრიალი „ოქროს ლომამდეც" კი აღწევდა.

ერთ საღამოს, შინ დაბრუნებისას, ლეონს თავის ოთახში ერთი ხალი დახვდა, ხავერდითა და შალით ფოთლოვნად ნაქარგი; მაშინვე მოიხმო მადამ ჰომე, ბ. ჰომე, ჟუსტენი, ბავშვები, მზარეული; ამაზე თავის უფროსსაც კი ელაპარაკა; ყველას უნდოდა ამ ხალის ნახვა, მაგრამ რად სძღვნიდა კლერკს ექიმის მეუღლე? ეს უცნაურად ეჩვენებოდათ და საბოლოოდ ასე დაასკვნეს: მისი საყვარელი უნდა იყოსო.

თვითონაც ამას გაფიქრებინებდა, რადგან მუდამ მისი მშვენებისა და ჭკუის ქებაში იყო; ერთხელ ბინემ უკმეხადაც კი მიახალა:

— რაში მეპრიანება, მე გეტყვი — მისი საზოგადოებისა ვიყო!

ლეონი იტანჯებოდა და არ იცოდა, რა გზით გაემეღავნებინა ემასთვის თავისი ხვაშიადი; მუდამ ყოყმანში იყო: ერთი მხრით, ის აშინებდა, ვაითუ არ მოვეწონოო, ხოლო, მეორე მხრით, საკუთარი უმწეობა არცხვენდა, რის გამოც თავის გაუბედაობასა და სურვილებს დასტიროდა. შემდეგ თითქოს გადაჭრილ გზას დაად-

ებოდა, წერილებს დაწერდა და ისევ დახევდა, ვერმე თითქოს ეკადს დადებდა, მაგრამ კვლავ გადადებდა. ხშირად ისეთი გადაწყვეტილებით ესტუმრებოდა ხოლმე, რომ ყველაფერი უნდა გაემხილა. მაგრამ დაინახავდა ემას თუ არა, გადაწყვეტილება ავიწყდებოდა. და, როცა შინ დაბრუნებული შარლი ეტყოდა, ავადმყოფების სანახავად ხომ არ წამოხვალ ჩემთან ერთადო, იგი მაშინვე დასთანხმდებოდა, მადამ ბოვარის გამოეთხოვებოდა და შარლს გაჰყვებოდა. განა ემას ქმარი მისთვის უცხო იყო?

ემას კი არ უკითხავს თავისთვის, მიყვარს თუ არაო. სიყვარულიო. ფიქრობდა იგი, უეცრად უნდა მოვარდეს ელვითა და ჭექა-ქუხილით, ვით ციური ქარიშხალი, ცხოვრებას რომ ერთბაშად ესხმის თავს და ნებისყოფას ფოთლებსავით ჰგლეჯს, ხოლო გულს უფსკრულისკენ მიაქანებს. მან როდი იცოდა, რომ ნაწვიმარი გუბეებად დგება სახლის ბანებზე, უკეთუ საწვიმარი მილები დაცობილია; და ასეთსავე მყუდრო, ყოფნაში დარჩებოდა იგი, რომ უეცრად კედელში ნაპრალი რამ არ აღმოჩენილიყო.

V

ეს იყო თებერვლის ერთ კვირა დღეს, ნაშუადღევს, როცა ითოვდა.

ცოლ-ქმარი ბოვარი, ჰომე, და ბ. ლეონი სელის ძაფსაღები ქარხნის. სანახავად წავიდნენ, იონვილიდან რომ ნახევარ ლიეს მანძილზე შენდებოდა ხეობაში. მეაფთიაქემ გასასეირნებლად თან წაიყვანა თავისი ბავშვები — ნაპოლეონი და ატალა, რომელთაც ჟუსტენიც ახლდა მხარზე ქოლგებგადებული.

გარნა, ამ სანახაობაზე უფრო ნაკლებ საინტერესო, მგონი, არაფერი იქნებოდა. ვრცელი ტრამალი, სადაც დახვავებულ ქვიშათა და რიყეთა შორის რამდენიმე უკვე დაჟანგულ-დაკბილული ჩარხი ეყარა, გარს ერტყა გრძელ ოთხკუთხოვან შენობას, რომელიც მრავალი პატარა ფანჯრით იყო დაჩვრეტილი. შენობა დაუმთავრებელი იყო და სახურავის დვირეებს შორის ცა მოჩანდა. სახურავის იგოგზე მიმაგრებული იყო ჩალისა და თავთავის კონა, რომლის სამფეროვან ლენტსაც ქარი აფრიალებდა.

ჰომე ლაპარაკობდა. იგი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს' უხსნიდა ამ შენობის მომავალ მნიშვნელობას, მსჯელობდა იატაკის სიმტკი-

ცესა და კედლების სისქეზე და ძლიერ წუხდა, რომ საზომნაჭდევი ჯობი არ ჰქონდა ისეთი, როგორსაც ბ. ბინე ხმარობს ხოლმე თავის კერძო საჭიროებისათვის. ემა, რომელიც მკლავგაყრილი მიჰყვებოდა, ოდნავ ეყრდნობოდა მის მხარს და თვალს არ აშორებდა ნისლის ბურუსში გახვეულ მზის ფერმკრთალ დისკოს; მერმე ერთბაშად მოიხედა: მის ახლოს შარლი იდგა. კასკეტი წარბებამდე ჩამოეფხატა, სქელი ჩარბები ოდნავ უთრთოდა, რაც მის სახეს ულაკოს იერს აძლევდა; მისი ზურგიც კი, მისი უმოძრაო ზურგი ამაღელვებელი სანახავი იყო და ისე ეჩვენებოდა, თითქოს მთელი მისი პირადი უშნოობა იმ სერთუკზეა აღბეჭდილიო.

იმ დროს, როცა იგი შარლს უცქეროდა და ამ თავის აღელვებაში რაღაც გარყვნილ სიამეს პოულობდა, ლეონი მიუახლოვდა. სიცივეს მისი სახე ოდნავ გაეფერმკრთალებინა, რის გამოც თითქოს უფრო დანაზებიაო. ჰალსტუხსა და ყელს შუა, პერანგის ოდნავ ფართო საყელოში, კანი მოჩანდა; თმის კულულებს ყურის ბიბილო გამოქცეოდა; მისი თვალები კი, ღრუბლებისკენ ზეაღმართული ლურჯი თვალები, ემას უფრო სპეტაკი და მიმზიდველი ეჩვენა, ვიდრე მთის კამკამა ტბა, რომელშიც ზეცა იხატება.

— შე უბედურო! — უეცრად წამოიძახა მეაფთიაქემ.

და უეცრად თავისი ვაჟისკენ გაექანა, რომელიც კირში ჩამდგარიყო ფეხსაცმლის გასათეთრებლად. გაჯავრებაზე ნაპოლეონმა ღრიალი მორთო; ჟუსტენმა ერთი მუჭა ჩალა აიღო და მის ფეხსაცმელს წმენდა დაუწყო. საჭირო შეიქნა დანა; შარლმა თავისი ჯაჯვა მიაწოდა.

აჰ, — თავისთვის ჩაილაპარაკა ემამ, — დანას ჯიბით ატარებს, როგორც გლეხკაცი.

სუსხმა დაჰკრა, და ყველანი იონვილს დაბრუნდნენ.

საღამოს მადამ ბოვარი მეზობლისას აღარ წასულა; როცა შარლი წავიდა და მარტო დარჩა, კვლავ ტანახლდა განცდილის შედარებანი იმ თითქმის უშუალო შთაბეჭდილების მკაფიობითა და პერსპექტივის დაშორებით, რასაც ნივთებს მოგონება აძლევს ხოლმე. იწვა და ანთებულ ბუხარს უცქეროდა. და აი, სწორედ ისე, როგორც იქ, თვალწინ წარმოუდგა ლეონი — დგას და ცალი ხელით საბიჯგს ღუნავს, ცალით კი ატალა უჭირავს, ყინულის ლოლუას რომ წუწნის; რა მომხიბვლელი ეჩვენებოდა, თვალი ვეღარ მოეშორებინა. მოაგონდა მისი ქცევა სხვა დროსაც, მისი სიტყვები, მისი

ხმა, მისი სახის ნაკვთები და, თითქოს საკოცნელად ტუჩგაწვდილი, იმეორებდა:

— დიახ, მომხიბვლელია, მომხიბვლელი! ნუთუ შეყვარებული არ არის, — —თავისსავე თავს ეკითხებოდა, — კი, მაგრამ ვინ უყვარს? ვინ და მე?

ყველა საამისო საბუთი ერთბაშად წარმოუდგა, გული აუძგერდა; ბუხრიდან ანასხლეტი, ჭერზე მხიარული სინათლე ციმციმებდა; ზურგზე გადაბრუნდა და მკლავები გაჭიმა.

მაშინ კვლავ განუახლდა მარადიული ჩივილი: „ოჰ, ზეცას რომ ენებებინა! ანკი რატომაც არა? რა შეუშლიდა ხელს?..“

როცა შუაღამისას შარლი დაბრუნდა, ქალმა თავი ისე აჩვენა, თითქოს გამეღვიძაო; რაკი შარლი გახდისას ხმაურობდა, ემამ თავის ტკივილი მოიმიზეზა; მერმე გულგრილად გამოჰკითხა საღამოს ამბები.

— ბ. ლეონი, — მიუგო შარლმა, — ადრე წავიდა.

ემამ მოძალებული ღიმილი ვეღარ შეიკავა, ახალი ნეტარებით გულსავსე გადაბრუნდა და ტკბილად ჩაეძინა.

მეორე დღეს, დაბინდებისას, ახალმოდის საქონლის ვაჭარი ესტუმრა, ბ. ლერე, გაიძვერა ვინმე იყო ეს მედუქნე.

გასკონში დაბადებული, ის შემდეგ ნორმანდიელი გახდა, მის სამხრეთულ ენამჭრელობას ნორმანდიული ვერაგობა ემატებოდა. მისი რბილი, მსუქანი, უწვერ-ულვაშო სახე თითქოს ძირტკბილას ბაცი ნახადითაა შეღებილიო, ხოლო ჭაღარა თმა მის ისედაც წვრილ თვალებს სიმძაფრის მეტ შუქს აძლევდა. მისი წარსულიც არავინ იცოდა: დამტარებელი იყოო, ამბობდნენ ერთნი; არა, ქალაქ რუტოს ბანკირიო, ამტკიცებდნენ მეორენი. მაგრამ ერთი რამ კი ნამდვილი იყო, სახელდობრ ის, რომ რთულ საანგარიშოს ზეპირად ისე გამოიყვანდა, თვით ბინესაც კი გაუკვირდებოდა. ისე ზრდილობიანი იყო, გეგონებოდა, ფეხქვეშ გამეგებაო; თავიც მუდამ ისე ეჭირა, თითქოს ვისმე ესალმება ან ეპატიჟებაო.

კრეპით მორთული თავისი ქუდი კარებთან დატოვა, მწვანე კოლოფი ჰაგიდაზე დადო, მერმე ათასნაირი თავაზიანობითა და ბოდიშობით მოჰყვა წუწუნს, ამდენი ხანია თქვენი ნდობა ვერ დამიმსახურებიაო, ისეთი მცირე სავაჭრო, როგორიც ჩემია, აბა ელეგანტის ყურადღებას როგორ მიიქცევსო. ეს სიტყვა განგებ დაათარგმანა. ოღონდ კი მიბრძანოთ და, რაც გენებებათ, ყვე-

ლაფერს მოგართმევთ, ნაყასნაყევი იქნება თუ თეთრეული, საგალანტერიო თუ ახალმოდის საქონელიო; თვეში ბარემ ოთხჯერ დავიარები ქალაქს რეგულარულადო. საქმე ყველაზე უფრო ახლოვილ სავაჭრო სახლებთან მაქვს და თამამად შეგიძლიათ ჰკითხოთ „სამ ძმას“, „ოქროწვერას“, გინდ „დიდ ველურს“, ყველანი ისე მიცნობენ, როგორც თავიანთ საკუთარ ჯიბესო. დღეს კი ისე, გავლით, მინდა გაჩვენოთ სხვადასხვანაირი საქონელი, რაც განსაკუთრებული შემთხვევის წყალობით მიშოვნიაო. და კოლოფიდან ნახევარ დუზენამდე ნაქარგი საყელო ამოიღო.

მადამ ბოვარიმ საქონელი გასინჯა.

— ამჟამად არაფერი მესაჭიროება, — უთხრა.

მაშინ ლერემ მოფრთხილებით გაშალა სამი ალჟირული შარფი, რამდენიმე შეკვრა ინგლისური ქინძისთავი, ჩალის ფოსტლები, და, ბოლოს, კოკოსის კაკლის ნაჭუჭისგან გამოთლილი კვერცხის საჭერი, ოთხი ცალი, კატორღელების ნახელოვნევი. ყველა ეს რომ ამოალაგა, ხელებით მაგიდას დაეყრდნო, კისერი წაიგრძელა, ბეჭებში მოიხარა და, პირდაღებული, თვალში უცქერდა ემას. საქონელს რომ გაუბედავად ათვალიერებდა, დროდადრო, თითქოს მტვერს აშორებსო, წკიპურტს გაჰკრავდა სიგრძეზე გაშლილ შარფებს, რომლებიც ნაზად შრიალებდნენ და ბინდის მოლურჯო სინათლეზე ვარსკვლავებივით აციმციმებდნენ ოქრომკედით ნაქარგ სახეებს.

— რა ღირს?

— ოფი, — მიუგო მან, — სულ იაფი, არც მეჩქარება, როდესაც თქვენ გენებებათ. მე ხომ ებრაელი არა ვარ!

ემა ერთ წამს დაფიქრდა და მადლობა გადაუხადა ლერეს, რომელმაც, თითქოს არც კი შეიმჩნიაო, თამამად უპასუხა.

— რა გაეწყობა! შემდეგ მოვრიგდებით. ქალებს ყოველთვის მოვრიგებივარ ხოლმე, — გარდა საკუთარი მეუღლისა.

ემას გაეღიმა.

— მე მინდოდა მხოლოდ მომეხსენებინა, — დაიწყო მან ამ ხუმრობის შემდეგ, — რომ ფულის დარდი სრულიადაც არა მაქვს. შემიძლია კიდევაც გასესხოთ, თუ საჭირო იქნება.

ემა გაკვირვებით შეირხა.

— ო, — სწრაფად და ხმადაბლა წამოიძახა ლერემ, — შორს წასვლა როდი დამჭირდებოდა მის მოსაპოვებლად. იმედი გქონდეთ'

და შემდეგ „ფრანგული კაფეს“ პატრონის, ბ. ტელიეს ამბავი გამოჰკითხა, რომელსაც იმჟამად ბ. ბოვარი მკურნალობდა.

— ნეტავ, რა დაემართა მოხუც ტელიეს? ისე ასველებს, რომ მთელ სახლს ზანზარი გააქვს. ვშიშობ, ფლანელის სათბურის მაგიერ ფიქვის პალტო არ დასჭირდეს ახლო მომავალში! სიყმაწვილეში ბევრი უცუღლუტებია! ამ ხალხს, ქალბატონო ჩემო, ცხოვრებაში არავითარი წესი არ გააჩნდა! გულ-ღვიძლი არყით აქვს დათუთქული, მაგრამ მაინც საწყენია, როცა კარგი ნაცნობი საიქიოს მიემგზავრება.

თავის კოლოფს ახვევდა და ექიმის პაციენტებზე ასე მსჯელობდა:

— ყველა ამ ავადმყოფობის მიზეზი, — ამბობდა იგი და ნაღვლიანი თვალით ფანჯარას უცქეროდა, — სწორედ ასეთი ამინდია! მეც ვერა ვარ კარგად. ამ დღეებში, მგონი, მეც დამჭირდეს ბ. ექიმის დახმარება წელის ტკივილის გამო. მაშ, ნახვამდის, ქალბატონო! მუდამ თქვენს მონა-მორჩილად მიგულეთ!

და კარი წყნარად გაიხურა.

სადილი ემამ თავის ოთახში მოითხოვა, ხონჩით, ცეცხლის პირას, ნელა შეექცეოდა, ყოველივე გემრიელი ეჩვენებოდა.

— რა გონივრულად მოვიქეცი! — ამბობდა და შარფებს იგონებდა.

კიბეზე ფეხის ხმა გაისმა: ეს ლეონი იყო. ემა წამოდგა, კომოდის თავზე ერთ-ერთი სახელსაქმო აიღო, შემოსატესავად რომ ჰქონდა გამზადებული და, როცა ლეონი შემოვიდა, თავი ისე მოაჩვენა, თითქოს საქმეში ვარ გართულიო.

საუბარი არ ხერხდებოდა; მადამ ბოვარი ხშირად წყვეტდა სიტყვას, ლეონიც რაღაც დარცხვენილივით იყო. ბუხრის წინ იჯდა დაბალ სკამზე და ხელში სპილოს ძვლის სანემსეს ათამაშებდა; ემა კი კერვას განაგრძობდა, ხმას აღარ იღებდა. ქალის დუმილით შეპყრობილი, ისიც ჩუმად იყო, თითქოს მისი სიტყვებით მოხიბლულაო.

— საბრალო ბავშვი! — ფიქრობდა ქალი.

— ნეტავ, რა არ მოსწონს ჩემი? — თავის თავს ეკითხებოდა ვაჟი.

ბოლოს ლეონმა განაცხადა, ამ დღეებში რუანს მივდივარ სამსახურის საქმეების გამოო.

— თქვენი აბონემენტი ხოტებისა უკვე გათავდა, ხომ არ განვაახლო?

— არა, — მიუგო ემამ.

— რატომ?

— იმიტომ რომ...

ტუჩები მოკუმა და კბილით გრძელი რუხი ძაფი გამოაძრო საკერავს.

ეს საკერავი აღიზიანებდა ლეონს. ასე ეგონა, ემას თითებს უფუჭებსო. აზრად ქათინაურის თქმაც მოუვიდა, მაგრამ გამბედაობა არ იყო.

— მაშ, თავს ანებებთ? — წამოიწყო ლეონმა.

— რაო? — უეცრად წამოიძახა, — მუსიკას? აჰ, ღმერთო ჩემო, დიახ! განა არ მეყოფა ოჯახის მოვლა, ქმრისათვის მზრუნველობა, და ათასი სხვა რამ მოვალეობა?

კედლის საათს შეავლო თვალი ემამ; შარლი იგვიანებდა, ვითომ შეშფოთდა, რამდენჯერმე კიდეც გაიმეორა:

— იგი ისეთი კეთილია!

კლერკსაც მოსწონდა ბ. ბოვარი, მაგრამ ასეთმა სინაზემ მის მიმართ უსიამოვნოდ იმოქმედა. მიუხედავად ამისა, განაგრძობდა მის ქებას, რაც სხვებისგან, განსაკუთრებით კი მეაფთიაქისაგან სჯენია.

— აჰ! საუცხოო ადამიანია! — განაგრძო ემამ.

— უეჭველად.

დაუდასტურა ლეონმა და სიტყვა ქ-ნ ჰომეზე ჩამოაგდო, რომლის უშნო ჩაცმულობაც ხშირად აცინებდა ხოლმე.

— მერე რა ვუყოთ? — გააწყვეტინა ემამ. — კარგი დიასახლისი მორთულობაზე არ უნდა ფიქრობდეს.

და კვლავ გაჩუმდა.

შემდეგ დღეებშიც ასევე იყო: ქცევა, ლაპარაკი, ყოველივე შეეცვალა ემას. ხელი მოჰკიდა ოჯახობას, ეკლესიაში წესიერად დაიარებოდა და მსახურსაც მეტი სიმკაცრით ეპყრობოდა.

ბერტა ძიძას გამოართვა, შინ მოიყვანა. და, როცა სტუმრები ეწვეოდნენ ხოლმე, ფელისიტეს უხმობდა, ბავშვს მოაყვანინებდა. კაბას გაბდიდა და მის მშვენიერ აგებულებას აჩვენებდა. ამბობდა, ბავშვი ჩემი ღვთაება, ჩემი ნუგეში, სიხარული და აღტყინებაა, და ისეთი სინაზით ეალერსებოდა, რომ სხვებს იონვილელებს გარდა, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის საშეტს მოაგონებდა.

როცა შარლი დაბრუნდებოდა, თავისი ფოსტლები ყოველთვის ცეცხლის პირას დასვდებოდა მიფიცხებული. მისი ჟილეტის სარჩელი ახლა ყოველთვის გამოკერებული იყო, პერანგებსაც ღილი აღარ აკლდა, ხოლო ღამის ჩაჩები კარადაში სასიამოვნოდ იყო ერთიმეორეზე შეწყობილი. ბაღში გასეირნება, ვით ოდესმე, აღარ ეზიზღებოდა; ყველაფერს ეთანხმებოდა, რასაც კი ქმარი ურჩევდა; თუმცა ქმრის სურვილებს წინასწარ ვერ ტყობილობდა, მაგრამ მაინც უხმოდ ემორჩილებოდა, და როცა შარლი, ნასადილევს, ბუხარს მიუჯდებოდა, ფეხებს ცეცხლისკენ გასჭიმავდა, ხელებს მუცელზე დაიწყობდა, საუბრის მონელებაში ლოყები აუწითლდებოდა, თვალები კმაყოფილების იერით აევსებოდა, ხოლო იქვე ხალიჩაზე ბავშვი დაიწყებდა ფორთხვას, ეს ტანწერწეტა ქალი კი ქმრის სავარძელზე დაიხრებოდა და შუბლზე აკოცებდა, — ყოველივე ამის მნახველი ლეონი გულში გაივლებდა:

— რა სიგიჟეა! აბა ამას ვინ მისწვდება?

იგი ისეთი ღვთისნიერი, ისეთი მიუწვდომელი ეჩვენებოდა, რომ ოდნავი იმედიც კი დაეკარგა.

მაგრამ ამგვარი ხელისაღებით იგი რაღაც არაჩვეულებრივ არსებად წარმოედგინა. ემა მისთვის ხორცსხმული ადამიანი როდიღა იყო, რომლისგანაც რასმე მოელოდა; მის ოცნებაში ქალი თანდათან შორდებოდა, მაღლა იწევდა, ვით ხელშეუხებელი დიდებული ჩვენება. ეს იყო ერთი იმ წმინდა გრძნობათაგანი, რომელიც სიცოცხლეს არ გიმძიმებს და გსურს განიცადო ეს იშვიათი რამ, რადგან მისი დაკარგვა უფრო მეტ წუხილს გამოიწვევს, ვიდრე მისგან მონიჭებული სიამე — სიხარული.

ემა გახდა, ღაწვები გაუფერმკრთალდა, სხეული აეწოწა. მისი გიშრის თმა, დიდრონი თვალები, სწორადჩამოქნილი ცხვირი, მუდმივი დუმილი გაფიქრებინებდა, რომ ამქვეყნიურ ცხოვრებას ოდნავ ეხება, რომ მთელ მის არსებას რაღაც ზენარი დანიშნულების ბეჭედი აზის. იგი ისეთი ნაღვლიანი, ისეთი მშვიდი, ისეთი ნაზი და თან ისეთი მკაცრი იყო, რომ მისი სიახლოვე იმგვარსავე გრძნობას აღგიძრავდა როგორსაც ეკლესიაში განიცდი ვარდთა სურნელებისა და მარმარილოს სიგრილის შეზავების გამო. გარეშეებიც კი ასეთ შთაბეჭდილებას იღებდნენ მისგან. მეაფთიაქე იტყოდა ხოლმე:

— ამ ქალს დიდი უნარი აქვს და თავის ადგილს თვით სუბპრეფექტურაშიც კი იპოვნიდა.

დიასახლისებს ხიბლავდა მისი მომჭირნეობა, პაციენტებს — თავაზიანობა, ღარიბებს — მისი სათნოება.

მაგრამ ამასთანავე მისი არსება აღსავსე იყო გულისთქმით, ბრაზით და სიძულვილით. მისი სწორნაოჭებიანი კაბა მისვე ამღვრეულ გულს ფარავდა, ხოლო უბიწოებით მოკუმული ბაგენი — გამოუთქმელ ტანჯვას. უყვარდა ლეონი და მარტოობას ელტვოდა, რათა მისი ხატებით სრულიად დამტკბარიყო. ლეონის ხორციელი ხილვა ამღვრევდა ამ ვნებიან ჭვრეტას. მისი მოახლეების ხმაური ერეოლას ჰგვრიდა, ხოლო მასთან ყოფნა მღელვარებას უცხრობდა, რასაც შედეგად უსაზღვრო განცვიფრება და ნაღველი მოსდევდა.

ლეონმა აბა რა იცოდა, რომ, როცა უსასოო გამოეთხოვებოდა და კარს გაივლიდა, ქალი იმწამსვე ადგებოდა და ფანჯრიდან თვალს აჰევნებდა, რათა ერთხელ კიდევ დაენახა იგი ქუჩაში მიმავალი. ქალს აღელვებდა ყოველი მისი ნაბიჯი; გაფაციცებით აკვირდებოდა მის სახეს; ათასგვარი ამბები გამოიგონა, რათა საბაბი ეშოვნა და მის სანახავად წასულიყო. მეაფთიაქის ცოლი უბედნიერეს ქალად ეჩვენებოდა, რაკი ერთ სახურავქვეშ ცხოვრობდა მასთან; მისი ფიქრები მუდამ იმ სახლს დასტრიალებდა თავს, ვით მტრედები „ოქროს ლომის“ სახურავს, საწვიმრის ღარში რომ თავიანთ წითელ ფეხებსა და სპეტაკ ფრთებს იბანდნენ. მაგრამ რამდენადაც სიყვარული უმძაფრდებოდა, იმდენადვე უფრო ცდილობდა მის გამკლავებას, რათა არავისთვის დაენახვებინა და დაეუძლურებინა იგი. თანაც სურდა, რომ ლეონი მიმხვდარიყო და საამისოდ ათასგვარ შემთხვევასა და კატასტროფას წარმოადგენდა, რაც ამ მიხვედრას გაუადვილებდა მას. უეჭველია, ქალს შიში და სიზანტე იჭერდა, აგრეთვე მოკრძალება. ეგონა, მეტად დიდი მანძილით დავიშორე, უკვე გვიანღაა და ყველაფერი გათავებულიაო. ამასთანავე სიამაყე, სიამე იმის თქმისა, რომ „მე სათნო ვარო“ და მტკიცე გადაწყვეტილების იერით სარკეში ჩახედვა ოდნავ ანუგეშებდა ვითომ მიტანილი მსხვერპლის გამო.

მაშინ ლტოლვანი ხორცისა, წყურვილი ვერცხლისა და ნაღველი ვნებისა ერთ აუტანელ ტანჯვად იქცა; და, იმის მაგიერ, რომ ამაზე აღარ ეფიქრა, მთელი მისი ზრახვა მხოლოდ ამას მიელტვოდა, ტკივილს ამძაფრებდა და ყველგან მის გასაღიზიანებელს ეძიებდა. ყველაფერი აბრაზებდა — ხან ცუდად მორთმეული საჭმე-

ლი, ხან უხეიროდ მიხურული კარი; ნაღვლობდა ხავერდზე, რომელიც არა ჰქონდა, ბედნიერებაზე, რაც მუდამ აკლდა, საკუთარ მაღალ ოცნებასა და საკანისებრ სახლზე.

ყველაზე უფრო ის აბრაზებდა, რომ შარლს, ალბათ, აინუნშიაც არ მოსდიოდა მისი ტანჯვა, შარლის რწმენა, შემიძლია ცოლი გავაბედნიეროო, ემას სისულელედ და შეურაცხყოფად ეჩვენებოდა, ხოლო მისი სიმშვიდე — უმადურობად. მაშ, ვისთვისღა იყო ასე სათნო? განა ქმარი არ იყო დაბრკოლება მისი ბედნიერი ცხოვრებისა, მიზეზი მთელი მისი უბედურებისა და თითქოს მუხრუჭი, რომელიც ყოველი მხრით სულს უხუთავდა?

ამიტომ მხოლოდ ქმარზე გადაიტანა თავისი განუქარვებელი, ათასგვარი წუხილით გამოწვეული სიძულვილი, და ყოველგვარი ცდა ამ სიძულვილის განელებისა უფრო აძლიერებდა მას, რადგან ეს უნაყოფო შრომა ერთი ზედმეტი საბაბი იყო სასოწარკვეთილებისა და უფრო და უფრო აშორებდა ქმარს, საკუთარივე სიმშვიდე აღშფოთებდა. ოჯახური ხელმოკლეობა ფუფუნებაზე ოცნებისკენ, ხოლო მეუღლური სინაზე მაცთუნებელი სურვილებისკენ იტაცებდა. თითქოს სურდა, რომ შარლი უდიერად მოპყრობოდა, ეცემა, მაშინ სამართლიანად შეიძულებდა ქმარს, სამაგიეროს გადაუხდიდა. ხშირად თვით უკვირდა, რომ ასეთი ველური ზრახვანი აღეძვროდა, მაგრამ თან იძულებული იყო მოღიმარი ყოფილიყო, თავი ერწმუნებინა, ბედნიერი ვარო, და სხვებსაც ასე მოჩვენებოდა.

თუმცა ასეთი ფარისევლობა თვითვე ზიზღსა ჰგვრიდა. ზოგჯერ ცთუნება შეიპყრობდა ლეონთან ერთად სადმე გაქცეულიყო, ძალიან შორს, და ახალი ბედი ეცადა; მაგრამ წამსვე მის გულში წყვდიადით აღსავსე უფსკრული გაიხსნებოდა.

— მასაც ხომ აღარ ვუყვარვარ! — ფიქრობდა იგი. — რა მეშველება? სად არის ხსნა, ნუგეში, შვება?

და იყო ასე უმწეო, სუნთქვაშეკრული და ცხარე ცრემლით მტირალი.

— რატომ ბატონს არ გაუმხელთ?

ეტყოდა ხოლმე მსახური ქალი, როცა თავის ქალბატონს ასეთ ყოფაში შეესწრებოდა.

— ნერვების ბრალია, — მიუგებდა ემა, — ბატონს ნურას ეტყვი, ტყუილუბრალოდ შეაწუხებ.

— დიახ, — ამბობდა ფელისიტე, — სწორედ აგრე მოსდიოდა ს. გერენის ქალიშვილსაც, პოლელ მეთევზის ქალს, დიეპში რომ ვიცნობდი, სანამ თქვენთან დავდგებოდი. საბრალო ისეთი ნაღვლიანი იყო, ისეთი, რომ, როცა კარს მიდგებოდა, გეგონებოდა სამარის სუდარი გამოუფენიათო. მისი სატკივარი ის იყო, რომ თავში რაღაც ბურუსი ჰქონდა, რასაც ვერც ექიმებმა უშველეს და ვერც ზოძღვარმა. როცა ავადმყოფობა ძალიან მოუვლიდა, მარტოდმარტო წავიდოდა ზღვის ნაპირს ისე, რომ საბაჟოს მოხელეს, ნაპირების დათვალიერებისას, ხშირად უნახავს ხოლმე რიყეზე თავდაღმა დამხობილი და მტირალი, მერმე კი, გათხოვების შემდეგ, გაუარაო, ამბობდნენ.

— მე კი, — მიუგო ემამ, — სწორედ გათხოვების შემდეგ დაბეწყო.

VI

ერთხელ, საღამოჟამს, ემა ღია ფანჯარასთან ჩამომჯდარიყო და ეკლესიის დარაჯს, ლესტიბუდუას უცქეროდა, რომელიც გალავანში ბუჩქებს სხლავდა. უეცრად მწუხრის რეკვა მოესმა.

აპრილის დასაწყისი იყო, როცა ფურსულა უკვე იფურჩქნება. ნაზი ნიავი დამუშავებულ კვლებს დაჰფოფინებს და ბაღები, ვით ტურფები, საგაზაფხულო დღესასწაულებისათვის ირთვება. ფანჩატურის მოაჯირში და მის იქით, ხელისგულივით გაშლილი მინდვრები მოჩანს და მდინარეც წარმტაცად მიიკლაკნება. ალვის ხის შიშველ ტოტებში საღამოს ნისლი იხვევა და მქრქალი ლეჩაქის უნაზესი საბურველით ფუთნის მათ. შორიდან ჯოგი მოდის. არც ბღავილი ისმის, არც ფეხის ხმა, ზარი კი ისევ რეკს და ჰაერში იცარება მისი მშვიდი ჩივილი.

ზარის რეკვაზე ახალგაზრდა ქალის ფიქრი თავისი სიყმაწვილისა და პანსიონის ძველმა მოგონებამ წარიტაცა. გაახსენდა დიდრონი შანდლები, სვეტებიანი საკურთხეველი და ყვავილებით სავსე ლარნაკები. მოენატრა, ვით ოდესმე, კვლავ შერეოდა თეთრჩადროსანთა გრძელ რიგს, რომელშიც აქა-იქ შავად მოჩანს თავსაფრები კეთილ მონოზანთა, თავიანთ საწიგნობლებზე რომ დახრილან; კვირაობით წირვაზე როცა თავს აღმართავდა, თვალწინ წარმოუდგებოდა ღვთისმშობლის სათნო სახე, საკმევლის ზეაღმავალ

ლურჯ ნისლში გახვეული. ქალი ლმობიერებამ მოიცვა. უცნაური სირბილე. სიმჩატე იგრძნო, თითქოს ჩიტის ბუმბულია ქარიშხალით ატაცებულიო. ადგა და, უნებურად, ეკლესიისკენ გაემართა; მზად იყო, ყოველგვარი ღვაწლი ეტვირთა, ოღონდ კი მთელი მისი არსება, სული და გული ამ ღვაწლით ყოფილიყო შეპყრობილი.

ეკლესიის წინ იქიდან მომავალ ლესტიბუდუას შეეყარა. სამუშაოს რომ არ მომცდარიყო, ცოტა ხნით ხელს აუშვებდა ხოლმე, ადრევე ჩამოჰკრავდა „ანგელუსს“ და კვლავ მუშაობას მიჰყოფდა ხელს, თანაც, ადრე დარეკილი მწუხრი ბავშვებს აფრთხილებდა, დროა კატეხიზმოზე ეკლესიაში წახვიდეთო.

ისინი, ვინც უკვე მისულიყვნენ, ზოგი შესასვლელთან კოჭს თამაშობდა, ზოგიც გალავანზე შემჯდარიყო და ფეხების ბარტყუნით თელავდა განაპირა საფლავებსა და გალავნის კედელს შორის ამოსულ ჭინჭარს; ეს იყო ერთადერთი მწვანე კუთხე, დანარჩენი კი მთლად საფლავების დამტვერიანებული ქვებით იყო სავსე, მიუხედავად იმისა, რომ ამ მტვერს მნათეს ცოცხი არ აკლდა.

შესასვლელში ფეხჩაცმული ბავშვები ხტუნაობდნენ, თითქოს მხოლოდ მათთვის გაკეთებული პარკეტიაო; ზარის გუგუნში მკაფიოდ ისმოდა მათი ყიჟინა; თვით ზარის ხმა კი თანდათან ნელდებოდა ისე, როგორც სამრეკლოდან მიწაზე დაშვებული მსხვილი თოკის ქანაობა. ჰაერში წყნარი ჭიკჭიკით მერცხლები დასრიალებდნენ და ელვისებური კრთომით იმალებოდნენ თავიანთ ყვითელ ბუდეებში, კარნიზის კრამიტებში რომ იყო ნაკეთები. ეკლესიის სიღრმეში ლამპარი, ე. ი. მორიგი კანდელი ბჟუტავდა. მისი შუქი შორიდან ისე მოჩანდა, ვით ზეთის ზედაპირზე მოციმციმე მოთეთრო ლაქა. მზის ერთი გრძელი სხივი გასწვრივ სერავდა ეკლესიის სივრცეს, რის გამოც დაბალი მინაშენები და დანარჩენი კუთხეები უფრო ბნელი ჩანდა.

— მღვდელი სად არის?

ჰკითხა მადამ ბოვარიმ ერთ ბავშვს, რომელიც ისედაც მორყეული ღერძის რყევით იქცევდა თავს.

— ახლავე მოვა.

და მართლაც, საკრებულოს კარი აჭრიალდა და მღვდელი ბურნისიენიც გამოჩნდა; თავქუდმოგლეჯილი ბავშვები ეკლესიაში შეცვივდნენ.

— ეს ანცები �, — ბურტყუნებდა მღვდელმსახური, — რომ არ დაიშლიან!

და კინაღამ ფეხი დააბიჯა ერთს დაფლეთილ კატეხიზმოს, დაიხარა, აიღო და დუდუნითვე დაუმატა:

— არაფრისადმი მოკრძალება არ გააჩნიათ!

ხოლო, რა წამს მადამ ბოვარი შენიშნა:

— უკაცრავად, — წამოიძახა, — ვერც კი შეგამჩნიეთ!

კატეხიზმო ჯიბეში ჩაიტენა, შედგა და ტაძრის მძიმე გასაღები ორ თითზე აათამაშა.

ჩამავალი მზე სახეში სცემდა და ლასტიკის ანაფორას ყვითლად ღებავდა, იდაყვებზე გაპრიალებული იყო, ხოლო კალთებზე შემოცვეთილი; მთელი ფართო გვერდი, წვრილი ღილების დაყოლებით, ქონისა და თამბაქოს ლაქებით ჰქონდა დაფარული; ეს ლაქები, საყელოდან დაწყებული, რომელზედაც ჩაწითლებული კისრის ნაოჭები გადმოჰფენოდა, ქვევით და ქვევით უფრო მრავლდებოდა; სახე მოყვითალო ჭორფლით ჰქონდა დაჩითული, რასაც ჯაგარა წვერის ჭაღარა მალავდა. ის იყო, სადილი გაეთავებინა და მძიმედ ქშინავდა.

— როგორ ბრძანდებით? — შეეკითხა მღვდელი.

— ცუდად, — მიუგო ემამ, — ვიტანჯები.

— რა გაეწყობა, — განაგრძობდა მღვდელი, — მეც ეგრე ვარ, ეს პირველი სიცხეები რაღაც ძალზე თენთავს ადამიანს. და ბოლოს, ჩვენ ხომ ტანჯვისთვის ვართ გაჩენილნი, როგორც წმ. პავლე ბრძანებს, კი მაგრამ, ბ. ბოვარი რაღას ფიქრობს?

— ისა? — ზიზღით წარმოთქვა ქალმა.

— როგორ! — გაიკვირვა მოხუცმა, — წამალი არაფერი გამოგიწერათ?

— აჰ, — მიუგო ემამ, — მე ამქვეყნიური წამალი როდი მესაჭიროება.

მღვდელი დროდადრო ეკლესიაში იცქირებოდა, სადაც დაჩოქებული ბავშვები ერთმანეთს უჯიკავებდნენ და ხუხულასავით ეცემოდნენ ძირს.

— მინდოდა გამეგო... — დაიწყო ემამ.

— მოიცა, მოიცა, რიბუდე, — გაჯავრებით მიაძახა მღვდელმა, — აი მოვიდე ერთი და ეგ ყურები დაგისრისო, შე არამზადავ!

მერე ისევ ემას მოუბრუნდა:

— ეს დურგალ ბუდეს ბიჭია; შეძლებული მშობლები ჰყავს და ამიტომ გალოლიავებულია. მონდომებული რომ იყოს, კარგად ისწავლიდა, ძალიან ნიჭიერია. მეც ხანდახან ხუმრობით ვეძახი რიბუდეს (როგორც იმ გორას, მარომის გზაზე რომ არის). ჰა, ჰა! გორა რიბუდე!* ამას წინათ ეს კალამბური მის ყოვლად სამღვდელოებასაც ვუთხარი, სიცილით გადაბრუნდა. ბ. ბოვარი რაღასა იქმს?

ემას თითქოს არ გაუგონიაო. ხოლო მღვდელი განაგრძობდა:

— მუდამ მოუცლელია, ალბათ? ჩვენ ხომ, მე და მას, ამ მრევლში ყველაზე მეტი საქმე გვაქვს, თუმცა, იგი ხორცის მკურნალია, მე კი — სულისა!

მსუბუქი სიცილით დაუმატა.

ემამ მუდარის თვალი მიაშტერა მღვდელს:

— დიახ... თქვენ ყოველ მწუხარებას აქარვებთ.

— აჰ, ნუღა მეტყვით, მადამ ბოვარი! სწორედ ამ დილას მომიხდა ქვემო დიოვილში წასვლა—ძროხას „სისხლი" დამართოდა, ისათ კი, ყველას თვალნაკრავი ეგონა, იქაური ძროხები როგორღაც, არ ვიცი... ოჰ, უკაცრავად! ლონგემარო და ბუდევ! თქვე ტაკიმასხარებო, გაათავებთ თუ არა!

და ერთბაშად ეკლესიაში შევარდა.

ბავშვები ამ დროს საწიგნეს შემოხვეოდნენ, მედავითნის სკამზე შემდგარიყვნენ და ჟამნს ფურცლავდნენ; ზოგი კი ფეხაკრეფით მიიპარებოდა სააღსარებოში შესასვლელად. მაგრამ მღვდელმა ერთბაშად დაუტია და ატყდა ტყაპა-ტყუპი; გაცხარებული მოძღვარი ბავშვებს კისერში ჩაავლებდა ხელს, ჰაერში აიტანდა და, მერმე ორივე მუხლზე დააჩოქებდა მძლავრად, თითქოს იქვე სურს ჩარგოსო.

— რაც გინდა, თქვი, — ამბობდა იგი ემასკენ მომავალი და ჩითის განიერ ცხვრისახოცს შლიდა, რომლის ერთი ბოლოც კბილით ეჭირა, — მაგრამ ე გლეხები ძაან საბრალო ხალხია!

— სხვებიც... — მიუგო ემამ.

— უეჭველია! ქალაქის მუშებიც, მაგალითად.

---

* აქ ეგრეთწოდებული კალამბურია, რადგან „ჩემო რიბუდე" და „მთა რიბუდე" ფრანგულად ერთნაირად გამოითქმის. (მთარგმნელის შენიშვნა).

— მე იმათზე როდი...

— უკაცრავად! მე აქ ვიცნობდი ოჯახის საბრალო დედებს, სათნო ქალებს, მერწმუნეთ, ნამდვილ წმიდანებს, რომელთაც ლუკმა პურიც კი უჭირდათ.

— ხოლო ისინი, — განაგრძობდა ემა (და ლაპარაკის დროს წარბები უთრთოდა), — ისინი, ბატონო მოძღვარო, ვისაც პური აქვს, მაგრამ არ აქვს...

— ზამთრის სათბობი. — დაამთავრა მღვდელმა.

— აჰ, ამას რა მნიშვნელობა აქვს!

— როგორ თუ არ აქვს! მე მგონია, როცა თბილად ხარ, როცა მაძღარი ხარ... ვინაიდან ბოლოს და ბოლოს...

— ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! — თავისთვის წაიჩურჩულა ქალმა.

— ცუდად ხომ არა ხართ? — წამოიძახა მღვდელმა და შეშფოთებით მისკენ მიიწია, — ეს, ალბათ, ცუდი მონელების ბრალია? შინ უნდა წახვიდეთ და ჩაი დალიოთ, ან უბრალო დაშაქრული წყალი, მოგიხდებათ.

— რათა?

და ისეთი იერი ჰქონდა, თითქოს სიზმრიდან გამოერკვაო.

— შუბლზე რომ ხელი გადაისვით, მეგონა, გული მიუდიოდ-მეთქი. — და უეცრად გაიხსენა:

— დიახ, თქვენ რაღაცას მეკითხებოდით, მგონი? აღარ მახსოვს, რა იყო?

— მე? არაფერი... არაფერი...

იმეორებდა ემა და გაცეცებით თვალი ანაფორიან მოხუცს მიაშტერა. ასე იდგნენ ორივენი, პირისპირ, და დუმდნენ.

— აბა მაპატიეთ, ქალბატონო ბოვარი, — თქვა ბოლოს მღვდელმა, — მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, მოვალეობა უპირველეს ყოვლისა. საჭიროა ეს ბავშვები გავუშვა; აგერ პირველი ზიარების კვირაც მოახლოებულია და, მგონია, ვეღარც კი მოვასწრებთ მომზადებას. ამიტომ ამაღლებიდან მოკიდებული ყოველ ოთხშაბათს ერთი საათით ზედმეტად ვიჭერ ხოლმე. საბრალო ბავშვები! ადრევე უნდა ვცდილობდე, რათა გზასა უფლისასა დავაყენო, როგორც თვით მან გვიბრძანა თვისი ღვთაებრივი ძის პირით... კარ-

გად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო! გადაეცით ჩემი სალამი ბატონ თქვენს მეუღლეს.

და მუხლმოყრით ეკლესიაში შევიდა.

ემამ თვალი გააყოლა სკამების რიგებს შორის დინჯი ნაბიჯით მიმავალ მოძღვარს, რომელსაც თავი ოდნავ გვერდზე დაეხარა და ნახევრადმოკვარჩხულ ხელებს მიიქნევდა.

ქალი ქუსლებზე შეტრიალდა, ვით ტარზე დასობილი ქანდაკება, და შინისკენ გაემართა. მიმავალს კვლავ ესმოდა მღვდლის ბოხი ხმა და ბავშვების წკრიალი:

— ქრისტიანი ხარ?

— დიახ, ქრისტიანი ვარ!

— ვინ არის ქრისტიანი?

— ქრისტიანი ის არის, ვინც ნათელიღო... ნათელიღო... ნათელიღო.

ემამ, მოაჯირსმოჭიდებით, კიბე აიარა და, როცა თავის ოთახს მიაღწია, მოდუნებული სავარძელში ჩაჯდა.

მიბნედილი სინათლე ფანჯრებში ციმციმით ილეოდა. ოთახის აკეჯეულობა თითქოს უფრო უძრავი გამხდარა და სიბნელეში ისე იძირება, ვით ოკეანის უფსკრულში. ბუხარი ჩაქრა, კედლის საათი დაუცხრომლად რაკრაკებდა; ემას უცნაურად აკვირვებდა გარემოს დუმილი მაშინ, როცა მის არსებაში ასეთი დაუცხრომელი მღელვარება სუფევდა. ამ დროს კი, ფანჯარასა და სამუშაო მაგიდას შუა იდგა პატარა ბერტა, რომელიც გაუბედავად ადგამდა ნაქსოვი ფეხსაცმლით შემოსილ ფეხსა და დედისკენ იწევდა, რათა ხელი ჩაევლო მისი წინსაფრის არშიისთვის.

— მომშორდი! — უთხრა ემამ და ბავშვი ხელით მოიშორა.

მაგრამ პატარა უმალვე დედის მუხლებთან მიბობღდა, ზედ ხელებით დაეყრდნო და დედას ფართო ლურჯი თვალები მიაპყრო. ტუჩზე კი ანკარა ლორწკი სდიოდა და აბრეშუმის გულსაფარზე ედინებოდა.

— თავი დამანებე! — გაჯავრებით წამოიძახა ახალგაზრდა ქალმა.

დედის სახემ ბავშვი შეაშინა და აატირა.

— აჰ, თავი დამანებე-მეთქი! — თქვა და იდაყვი ჰკრა.

ბერტა გაექანა და კომოდთან წაიქცა; ლოყა სპილენძის კარბაზე გაიხეთქა, სისხლი დასდინდა. მადამ ბოვარი ბავშვს მივარდა,

ზარი ჩამოგლიჯა, რაც ძალი ჰქონდა, მსახურს უხმობდა, საკუთარ თავს კრულავდა; ამ დროს შარლიც შემოვიდა. უკვე სადილის დრო იყო და ისიც მოსულიყო.

— დახე, ძვირფასო, — დამშვიდებული ხმით უთხრა ემამ, — თამაშობის დროს ჩვენი პატარა წაიქცა და იატაკზე ლოყა იტკინა.

შარლმა დაამშვიდა, სამძიმო არ არის რაო, და შესახვევის მოსატანად გავიდა.

მადამ ბოვარი სასადილოში აღარ ჩასულა, თვითონ სურდა ბავშვისთვის მოევლო. მძინარე ბავშვს რომ დასცქეროდა, წუხილი, რაც კი დარჩენილიყო, თანდათან ქრებოდა და საკუთარი თავი ძალზე სულელიცა და ძალზე კეთილიც ეჩვენა, რომ ასეთმა მცირე რამემ შეაშფოთა. ბერტა უკვე აღარ სლუკუნებდა. მისი სუნთქვა ძლისვღა ანძრევდა საზაფხულო საბნის პირს. მსხვილი ცრემლები თვალის კუთხეებში შესდგომოდა და ნახევრადღია ქუთუთოებში ორი მკრთალი ფერის გადაბრუნებული გუგა მოჩანდა; ჭრილობაზე დადებულ სახვევს ლოყის კანი ალმაცერად დაეჭიმა.

— უცნაურია, — ფიქრობდა ემა, — რა მახინჯია ეს ბავშვი!

როცა შარლი ღამის თერთმეტ საათზე აფთიაქიდან დაბრუნდა (სადაც, ნასადილევს, სახვევის ნარჩენი წაიღო), ცოლი კვლავ ზეზე დახვდა აკვანთან მდგომი.

— გარწმუნებ, ეგ არაფერია, — უთხრა შარლმა და შუბლზე აკოცა, — თავს ნუ იტანჯავ, თვითონ ავად არ გახდე, ჩემო კარგო!

მეაფთიაქისას შარლი კარგა ხანს დარჩა, თუმცა არც ისე დამწუხრებული იყო, მაგრამ ბ. ჰომემ მაინც სცადა მისი გამხნევება, „ზნეობრივად განმტკიცება". მერმე ბაასი ჩამოვარდა იმ ათასგვარ საფრთხეზე, ბავშვობას რომ ემუქრება, მსახურთა დაუდევრობაზე. მადამ ჰომეს ბევრი რამ გამოევლო ასეთი, მის მკერდს ახლაც აჩნია იმ ნაკვერჩხლების კვალი, მსახურმა რომ უცაბედად ჩოტით მიაყარა. ამიტომაც მათი მზრუნველი მშობლები განუწყვეტლივ სიფრთხილეს იჩენდნენ. დანები არასოდეს არ ყოფილიყო გალესილი, არც იატაკი ფიჭაწასმული. ფანჯრები რკინის რიკულით იყო დაცული, ბუხარი კი — მაგარი გამირებით. პატარა ჰომეებს, მიუხედავად მათი დამოუკიდებლობისა, განძრევაც კი არ შეეძლოთ მსახურის უმეთვალყურეოდ. მცირე სურდოს შემთხვევაშიც კი იმათი მამა ხველების წამლით ჭყიპავდა და ოთხ წლამდე ყოველი მათგანი აუცილებლად თბილი სარჩულით გამო-

ფენილ ქუდს ატარებდა. თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, ამას მადამ ჰომე სჩადიოდა, ქმარი კი, პირიქით, წუხდა, ვაითუ ასეთმა წნევამ ცუდად იმოქმედოს მათი გონების ორგანოებზეო და არც კი ერიდებოდა ცოლისთვის ასეთი რამ ეთქვა:

— მათგან ყარაიბები ან ბოტოკუდები ხომ არ გინდა გამოიყვანო?

შარლმა რამდენჯერმე სცადა ბაასის შეწყვეტა.

— თქვენთან სალაპარაკო მაქვს.

ყურში წასჩურჩულა შარლმა კლერკს, რომელიც მის წინ კიბეზე ჩადიოდა.

— ხომ არაფერს ეჭვიანობს? — გაიფიქრა ლეონმა, გული აუთრთოლდა, ფიქრებში ვერ გარკვეულიყო.

ბოლოს შარლმა, როცა კარი გაიხურა, ლეონს სთხოვა, თუ შეიძლებოდეს გამიგე რუანში, ერთი კარგი დაგეროტიპი რა ეღირებაო: ეს იყო სენტიმენტალური სიურპრიზი, ყურადღების უნაზესი გამოხატულება, რასაც იგი ცოლს უმზადებდა თავისი პორტრეტის მირთმევით, რომელზედაც შავი ტანისამოსით იქნებოდა დახატული, მაგრამ სურდა წინდაწინვე გაეგო, აქედან რა გამოვიდოდა; ასეთი დავალებანი ლეონს როდი დაამძიმებენ, ვინაიდან იგი რუანს თითქმის ყოველკვირა დაიარებოდა.

ნეტავ რა მიზნით? ჰომე ეჭვიანობდა, აქ უთუოდ ყმაწვილი კაცის ამბები, სიყვარულის ინტრიგა უნდა იყოსო. მაგრამ ჰომე ცდებოდა; ლეონი არავითარი სიყვარულის ხლართებს არ გასდევდა. ახლა იგი უფრო ნაღვლიანი იყო, ვიდრე ოდესმე, და მადამ ლეფრანსუა ამას აშკარად ატყობდა იმ საჭმლის რაოდენობის მიხედვით, რასაც ლეონი თავის თეფშზე ხელუხლებლად ტოვებდა. უფრო დანამდვილებით რომ გაეგო, მადამ ლეფრანსუა გადასახადთა ამკრეფს შეეკითხა, რაზედაც ბინემ მედიდურად მიუგო, მე პოლიციის დაქირავებული არა ვარო.

თუმცა, მისი ამხანაგი ერთობ უცნაური ეჩვენებოდა ბინეს, ვინაიდან ლეონი ხშირად გადააწვებოდა ხოლმე სკამის ზურგს, ხელებს გადაჰყრიდა და რაღაც გაურკვევლად უჩიოდა ცხოვრებას.

— ეგ იმიტომ, რომ ნაკლებ ერთობი! — ეტყოდა ხოლმე გადასახადთა ამკრეფი.

— რითა?

— შენს ადგილას მე ერთ სახარატო დაზგას გავიჩენდი!

— მერე ხელობა რომ არ ვიცი!

— ჰო, მართლა! — იტყოდა იგი და რაღაც ზიზღნარევი კმაყოფილებით ნიკაპს შეისრესდა.

ლეონი დაიღალა უნაყოფო სიყვარულით; უკვე გრძნობდა სულის იმ სიცარიელეს, რაც ცხოვრების მოვლენათა ერთფეროვნებას მოაქვს, როცა სიცოცხლეს აღარავითარი ინტერესი აღარ ამოძრავებს და აღარც რაიმე იმედი ამხნევებს. მას იმდენად მობეზრდა იონვილი და იონვილელები, რომ ზოგიერთი პირისა და სახლის დანახვას მოთმინებიდან გამოჰყავდა. ამასთანავე ცხოვრების გამოცელის შესაძლებლობა უფრო აშინებდა, ვიდრე ხიბლავდა.

მაგრამ ეს შიში მალე მოუთმენლობამ შეცვალა და მაშინ პარიზმა მისთვის აახმაურა შორიდან მასკარადების დაფდაფი და გრიზეტების კისკისი. მას ხომ იქ უნდა დაესრულებინა იურიდიული კურსი, მაშ, რად არ მიდის? რა აბრკოლებს? და გულში წასვლის სამზადისს შეუდგა; წინასწარვე გაარიგა თავისი საქმეები; ბინაც მორთო, თავისი ფიქრით; ხელოვანივით იცხოვრებს! გიტარის დაკვრას ისწავლის! ექნება ხალათი, ბასკური ბერეტი, ცისფერი ხავერდის ფოსტლები! და უკვე ტკბებოდა ბუხრის ზემოთ გადაჯვარედინებული რაპირებითა და მათს შუა თავის ქალას ძვლისა და გიტარის ცქერით.

მაგრამ ძნელი იყო დედისგან თანხმობის მიღება, თუმცა ამაზე უფრო გონივრული არაფერი იქნებოდა. პატრონიც ურჩევდა, სხვა რამ სამსახური მოძებნე, სადაც შენს ნიჭს უფრო მეტი განვითარება შეეძლებაო. ლეონმა შუათანა გეზი აიღო და ცდილობდა რუანში მეორე კლერკის ადგილი ეშოვნა, მაგრამ ვერ მოახერხა; მაშინ დედას გრძელი წერილი მისწერა, სადაც დაწვრილებით აუხსნა მიზეზი დაუყოვნებლად პარიზს გადასვლისა. დედა დასთანხმდა.

ახლა თვითონ აღარ ჩქარობდა. ყოველ დღე, მთელი ერთი თვის განმავლობაში, ჰიერი იონვილიდან რუანს, ხოლო რუანიდან იონვილს უზიდავდა სკივრებს, ყუთებს. და როცა ახალი ტანისამოსიც შეიკერა, თავის სამ სავარძელსაც პირი გამოუცვალა, აუარებელი ფულარი შეიძინა, ერთი სიტყვით, ისეთი სამზადისი ჰქონდა, რომ იმდენი მთელი ქვეყნის შემოსავლელადაც არ დასჭირდებოდა, წასვლას მაინც ამ კვირიდან იმ კვირაში გადადებდა, სანამ

დედისაგან მეორე წერილი არ მოუვიდა, სადაც იგი აჩქარებდა, თუ გინდა არდადეგებამდე გამოცდები ჩააბარო, ნუღა აყოვნებო.

როცა გამოთხოვების ჟამმა დაჰკრა, მადამ ჰომეს ტირილი მოერია, ჟუსტენი აქვითინდა, ბ. ჰომემ, როგორც ვაუკაცმა, თავისი მღელვარება დამალა; ისურვა ლეონის პალტო თავისი ხელით მიეტანა ნოტარიუსამდე, რომელსაც ლეონი რუანს უნდა წაეყვანა თავისი ეტლით. ლეონმა ძლივს მოასწრო მადამ ბოვარისთან გამოთხოვება.

როცა კიბის თავს ავიდა, შედგა, სულს ძლივს იბრუნებდა აღელვებული. მისი შესვლისას, მადამ ბოვარი სწრაფად წამოდგა.

— ისევ მე გახლავართ! — თქვა ლეონმა.

— დარწმუნებული ვიყავი!

ქალმა ტუჩებს კბილი დააჭირა, სისხლი სახეს მოეძალა და მთლად წამოაწითლა, თმის ძირებიდან მოკიდებული კოფთის საყელომდე, ზეზე იდგა, კარის წირთხლს ბეჭით მიყრდნობილი.

— ბატონი ბოვარი განა შინ არ არის? — იკითხა ლეონმა

— არ არის! — და ქალმა გაიმეორა:

— არ არის.

მცირე ხნის სიჩუმე. ერთმანეთს შეხედეს. და ერთი და იმავე წუხილით შეზავებული მათი ფიქრები, მჭიდროდ გადაეხვივნენ ერთმანეთს, ვით ორი ათრთოლებული მკერდი.

— მინდოდა ბერტას მოვხვეოდი, — თქვა ლეონმა.

ემაზ რამდენიმე საფეხური ჩაიარა და ფელისიტე იხმო.

ლეონმა სასწრაფოდ მოავლო ფართო თვალი კედლებს, ბუხარს. ეტაჟერს, თითქოს სურს ყველაფრით განიმსჭვალოს, თან წაიღოსო.

ემა შემობრუნდა, მსახურმაც ბერტა შემოიყვანა, რომელიც ძაფით გადაბრუნებულ სათამაშო წისქვილს მოათრევდა.

ლეონმა რამდენჯერმე ჩაუკოცნა კისერი ბავშვს.

— მშვიდობით, საბრალო ბავშვო! მშვიდობით, ძვირფასო პატარავ, მშვიდობით! — და ბავშვი დედას გადასცა.

— წაიყვანე! — უბრძანა ემამ მსახურს.

მარტონი დარჩნენ.

მადამ ბოვარი მიბრუნდა და ფანჯრის მინას შუბლი მიაყრდნო: ლეონს თავისი ქუდი ეჭირა და მუხლზე წყნარად იცემდა.

— წვიმა იქნება. — თქვა ემამ.

— საწვიმარი თან მაქვს. — მიუგო ლეონმა.

ქალმა კვლავ პირი იბრუნა, თავი დახარა. სინათლე სახეს უბრწყინვებდა, თითქოს მარმარილოსიაო, და ვერ გაიგებდი, რას გასცქეროდა სივრცეში, ან რას ფიქრობდა.

— მაშ, მშვიდობით! — ამოიოხრა ლეონმა.

ქალმა ერთბაშად თავი ასწია:

— დიახ... მიდიხარ!

ერთმანეთს მიუახლოვდნენ: ვაჟმა ხელი გაუწოდა, ქალი ყოყმანობდა.

— ინგლისურად ასე...

თქვა ემამ დუმილის შემდეგ და ხელი ჩამოართვა, თან ცდილობდა სახეზე ღიმილი მოეგვარა.

ლეონმა მისი ხელი თავისაში იგრძნო და ასე ეგონა, მთელი არსება ამ თბილ ხელშია მოქცეულიო.

ლეონმა ხელი შეუშვა, ერთმანეთს კვლავ მიაპყრეს თვალნი, და წავიდა.

ბაზრის ფარდულში ლეონი შედგა, სვეტს ამოეფარა და სურდა ერთხელ კიდევ მოევლო თვალი იმ თეთრი სახლისთვის, ოთხი დარიკულებული მწვანე დარაბა რომ ჰქონდა. მოეჩვენა, თითქოს ფანჯარაში აჩრდილი რამ აიძრა; ფარდაც თითქოს თავისთავად შეირხაო, მაგრამ წამს შერხეული, ისევ დაეშვა და უმოძრაოდ დაეკიდა, ვით ალებასტრის თეთრი კედელი. ლეონი სწრაფად მოშორდა იქაურობას.

გზაში, შორიდანვე, თავისი პატრონის კაბრიოლეტი შენიშნა, ჩოლო გვერდით ვიღაც წინსაფრიანი კაცი, ვისაც ცხენის სადავე ეკავა. ჰომე და ბ. გილიომენი იქვე იდგნენ და ბაასობდნენ; მას ელოდებოდნენ.

— მოდი, მომეხვიე, — უთხრა მეაფთიაქემ და თვალს ცრემლი მოადგა, — აი შენი პალტოც, ჩემო ძვირფასო მეგობარო. არ გაცივდე, უფრთხილდი! თავს მოუარე!

— აბა, ლეონ, დაჯექ! — უთხრა ნოტარიუსმა.

ჰომე ეტლის ფრთაზე გადმოიღუნა და ქვითინით ძლივს წარმოთქვა ორი ნაღვლიანი სიტყვა:

— გზა მშვიდობისა!

— ნახვამდე, — მიუგო გილიომენმა, — ფიქრი ნუ გაქვს!

დაიძრნენ, და ჰომეც გაბრუნდა.

მადამ ბოვარიმ ბაღისკენ ფანჯარა გააღო და ღრუბლებს გასცქეროდა.

ღრუბლები დასავლეთისკენ, რუანის მხარეს ილექებოდნენ და სწრაფი ჯიკავით მიეშურებოდნენ იქითკენ, ვით შავნი ეტლნი; შიგადაშიგ უეცრად მზის გრძელი სხივები გამოკრთებოდნენ, ვით საზეიმოდ ნასრთლი ოქროს ისრები; დანარჩენი ნაწილი ცისა კი ფაიფურივით მინაცრულიყო. ერთბაშად, ძლიერმა ქარმა ალვის ხეები შეარხია და მწვანე ფოთლებზე წვიმის წვეთები ახმაურდა. მერმე მზემ კვლავ გამოიხედა, ქათმებმა კაკანი მორთეს, სველ ჩირგვებში ბეღურები აფრთქიალდნენ და ქვიშაზე ნადენმა საწვიმარმა წყალმა ნაკადულში აკაციის მოვარდისფრო ყვავილები ააცურა.

— აჰ, იგი, ალბათ, უკვე შორსაა ახლა! — გაიფიქრა ემამ.

ჰომე, ჩვეულებრივად, შვიდის ნახევარზე, სადილობის დროს მოვიდა.

— მაშ, ასე, — თქვა და თავის ადგილას დაჯდა, — გავისტუმრეთ ჩვენი ყმაწვილი?

— თითქოს! — მიუგო მკურნალმა.

მერმე მისკენ მობრუნდა და ჰკითხა:

— ახალი ამბავი რა იცი?

— ბევრი არაფერი. მხოლოდ ჩემი ცოლი იყო ცოტათი აღელვებული დღეს. ხომ იცით, ქალებს ცოტაოდენიც აღელვებს, განსაკუთრებით ჩემსას! ჩვენ, რასაკვირველია, არავითარი საბუთი არ გვაქვს ამის წინააღმდეგ ასამხედრებლად, ვინაიდან მათი ნერვული სისტემა ჩვენსაზე გაცილებით უნაზესია!

— საბრლო ლეონი! — თქვა შარლმა, — როგორ უნდა იცხოვროს პარიზში?.. შეეგუება თუ ვერა?

მადამ ბოვარიმ ამოიოხრა.

— რასა ბრძანებთ, — მიუგო მეაფთიაქემ და ენა დააწკლატუნა, — რესტორნებში დროს ტარება! მასკარადები! შამპანური! არაფერი არ დააკლდება, გარწმუნებთ.

— არა მგონია, გზას ასცდეს. — მიუგო შარლმა.

— არც მე მგონია, — გააწყვეტინა ჰომემ, — მაგრამ ამხანაგებს შაინც ვერ ჩამორჩება, რათა იეზუიტის სახელი არ დაიმსახუროს. და თქვენ არ იცით, რა ცხოვრებას ეწევიან ეს ლოთი-ფოთები ლა-

თინთა უბანში აქტრისებთან ერთად! თუმცა სტუდენტებს კარგი თვალით უცქერენ პარიზში. თუ კი ოდნავაც არის სასიამოვნოდ მოაჩვენა თავი საზოგადოებაში, მათ ჩინებულ ოჯახებში შეესვლებათ; ეგ კი არა, სენ-ჟერმენის უბნის ზოგიერთი ქალი კიდეც შეიყვარებს ხოლმე სტუდენტს და ეს გარემოება შემდეგში საშუალებას აძლევს მათ ძალიან ხელსაყრელი პარტია გააკეთონ.

— კი, მაგრამ, —მიუგო შარლმა, — ვშიშობ, რომ მან... იქ...

— სრული სიმართლეა, მაგრამ რას იზამთ, ეგ უკვე მედალის მეორე მხარეა! იქ ადამიანს მუდამ ჯიბეზე უნდა ეჭიროს ხელი. ეთქვათ, თქვენ რომელიმე ბაღში ხართ, მოდის ვინმე, კარგად ჩაცმული, ორდენიც კი ჰკიდია, დიპლომატსა ჰგავს; შეგხვდება, გამოგელაპარაკება, თავს მოგაწონებს, ბურნუთს მოგაწვდის, ან თქვენს დავარდნილ ქუდს აიღებს; შემდეგ დაუახლოვდებით, კაფეშიც დაგპატიჟებთ, ან სააგარაკოდ თავის სახლში მიგიწვევთ, სუფრაზე სხვებსაც გაგაცნობთ და ყოველივე ამას იმიტომ სჩადის, რომ ჯიბე გამოგიფხიკოთ ან რაიმე დამღუპველ საქმეში ჩაგითრიოთ.

— ეგ მართალია, — გააწყვეტინა შარლმა, — მაგრამ მე უმთავრესად რაიმე ავადმყოფობას ვგულისხმობდი, მუცლის ტიფს, მაგალითად, რაც ხშირად ემართებათ ხოლმე პროვინციელ სტუდენტებს.

ემა შეკრთა.

— ცხოვრების პირობათა ცვლილებების გამო, — მის მაგივრ განაგრძო მეაფთიაქემ, — და აქედან გამომდინარე საერთო ეკონომიური პერტურბაციის მიზეზით. და შემდეგ, პარიზის წყალი, ხომ მოგეხსენებათ! რესტორნების საჭმელი და ყველა ეს ტკბილი ნამზადი სისხლს უჩქროლებს ადამიანს და ერთ ქოთან შინაურულ წვნიანად არ ღირს! მე ჩემი მხრით მუდამ შინაურ საჭმელს ვამჯობინებდი ხოლმე, უფრო მარგებელია; ამიტომ, როცა რუანში ფარმაციას ვსწავლობდი, ერთ-ერთ პანსიონში ვიკვებებოდი, სადაც პროფესორებიც სადილობდნენ.

და შემდეგ სიტყვა განაგრძო თავის გემოვნებასა და შეხედულებაზე, სანამ ჟუსტენი არ მოვიდა და არ უთხრა, წამლის შესაზავებლად გეძახიანო.

— ერთ წუთს არ მოგასვენებენ! კისერზე მუდამ უღელი გადგას, არ შემიძლია კარში გავიხედო! უღლის ხარივით სულ ოფლი და სისხლი უნდა ღვარო! წყეული ჭაპანი!

დაუკვე კარებიდან მოაძახა:

— ახალი ამბავი იცით?

— რა?

— ადვილი შესაძლებელია, — დაიწყო ჰომემ და წარბები აზიდა. თანაც სახეს მეტად სერიოზული იერი მისცა, — რომ ქვემო სენის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა წელს იონვილში მოხდეს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ხმები დადის. დღეს გაზეთშიც იყო გაკვრით ამაზე. ჩვენი კუთხისათვის ამას ერთობ დიდი მნიშვნელობა ექნება! მაგრამ ამაზე მერეც ვიბაასებთ. გმადლობთ. ვხედავ ჟუსტენს ფარანი აქვს!

VII

მეორე დღე ემასთან ნამდვილი სამგლოვიარო დღე იყო. ყველაფერი მწუხარი ბინდით მოცული ეჩვენებოდა და ნაღველიც წუნარი მოთქმით ეუფლებოდა მის სულს, ვით ზამთრის ქარი მიტოვებულ ციხე-დარბაზს. ეს იყო ნაღველი დაუბრუნებლის, განუმეორებლად წარსულის გამო; მოქანცულობა, სულს რომ საბოლოო ასრულების, დასასრულის შემდეგ ეწვევა ხოლმე; წუხილი. ჩვეული მოძრაობის შეწყვეტით, ხანგრძლივი სულიერი თრთოლვის უეცარი შეჩერებით გამოწვეული.

როგორც ვობიესარიდან დაბრუნებისას, როცა მის ხსოვნაში კადრილის ტრიალი რიალობდა, სწორედ ისეთსავე უჯიათ მოწყენილობას, მძიმე უნუგეშობას განიცდიდა. ლეონი ახლა უფრო ამაღლებული, მშვენიერი, მომხიბვლელი და გამოუცნობი ეჩვენებოდა; ბუმცა განშორდა მას, მაგრამ მთლად როდი მიუტოვებია, იგი კვლავ აქვე იყო და სახლის კედლებიც თითქოს მის აჩრდილს იცავენო. ემას თვალი ვერ მოეშორებინა აი იმ ხალიჩისათვის, რომელზედაც იგი დაიარებოდა, იმ ცარიელი სავარძლებისათვის, რომლებშიც იგი იჯდა ხოლმე. მდინარეც კვლავინდებურად მიჩხრიალებდა და ნაზად უტლაშუნებდა თავის პაწია ტალღებს მოლიპულ ნაპირებს. რამდენჯერ უსეირნიათ იქ, სადაც წყალი ნაზად ჟღურტულებს ხავსმოკიდებულ ქვებს შორის. რა საამურად ანათებდა მაშინ ბზე! რა ტკბილი წუთები გაუტარებიათ ხოლმე ერთად ნაშუადღევის ჟამს მყუდრო ბაღის გრილ ჩრდილში! იგი, ქუდმოხდილი და ხის რტოებისგან ნაკეთებ სკამზე მჯდომარე, ხმამაღლა

კითხულობდა ხოლმე; მინდვრებიდან დაძრული გრილი ნიავი წიგნის ფურცლებს და ფანჩატურზე შემოხვეულ ყვავილებს ათამაშებდა!.. აჰ, წავიდა იგი. მისი სიცოცხლის ერთადერთი მაცისკროვნებელი, შესაძლო ბედნიერების ერთადერთი იმედი! რისთვის არ დაიჭირა ეს ბედნიერება, როცა ასე ახლოს იყო! რატომ ორივე ხელით, ჩოქვით არ შეაყენა, როცა იგი გაქცევას ლამობდა? საკუთარ თავს კრულავდა, ლეონი რად არ მიყვარდაო; წყუროდა ამბორი მის ბაგეთა. სურდა მის დასაწევად გაქცეულიყო, შეეყენებინა, გულში ჩაკვროდა და ეთქვა: „ეს მე ვარ, შენი ვარ!“ მაგრამ ემა აქედანვე გრძნობდა, თუ რაოდენ ძნელი იყო ამის შესრულება, ხოლო სინანულით გაღიზიანებული სურვილი უფრო და უფრო მძაფრდებოდა.

ლეონის ხსოვნა თითქოს მისი სევდის საკრებულო გახდა; იგი უფრო მძაფრად ღვივოდა, ვიდრე რუსეთის თოვლიან ველებში მგზავრთაგან დანთებული და მიტოვებული კოცონი. იგი მოელოდა, გარს ევლებოდა, ფრთხილად ჩხრეკდა მის მილეულ ღველფსა და ცდილობდა გაღვივებას; თვით შორეულ მოგონებებსა და უახლოეს, უშუალო შემთხვევით შთაბეჭდილებებს, ყოველივეს, რაც კი ოდესმე განეცადა, ან რაც კი განცდილი ეჩვენებოდა, სინამდვილის მიერ განიავებულ ტკბილ ოცნებას, ბედნიერების მოლოდინს, ცხოვრების ქარტეხილში რომ ხმელი ფიჩხივით იმსხვრეოდა, თავის უნაყოფო სათნოებას, გაცრუებულ იმედს, ოჯახურ შეუდროებას, ყველას და ყველაფერს კრებდა, აგროვებდა, ყველაფერს იყენებდა თავისი მწუხარების გასაღვივებლად.

მაგრამ კოცონი მაინც იშრიტებოდა ან იმის გამო, რომ საწვავი ილეოდა, ან, შესაძლოა, იმის გამოც, რომ ერთობ ბევრი იყო ზედ მიყრილი. სიყვარული ნელინელ გაყრამ ჩააქრო, სინანული კი — ჩვევამ. და ხანძრის ეს გიზგიზი, მისი ცხოვრების უფერულ ცას რომ ანათებდა, ბინდმა მოიცვა და თანდათანობით ჩააშთო. ემას მიძინებულ სინდისს ქმრისადმი გულგრილი ზიზღი საყვარლისადმი ვნების ტალღად ეჩვენებოდა, სიძულვილის მწვავე განცდანი კი — სიყვარულის სინანზედ; მაგრამ, რადგან ქარიშხალი კვლავ ზუზუნებდა და ვნება კი ფერფლით იფარებოდა, ხოლო შველა არსად იყო, აღარც მზე ანათებდა, ყოველი მხრით ბნელი გაშეფდა, და იგიც საშინელმა დამღუპველმა სიცივემ მდიცვა.

და კვლავ დაუბრუნდა ტოსტის შავბნელი დღეები. ახლა იგი თავს უფრო უბედურად გრძნობდა, რადგან ნამდვილად განიცადა მწუხარება და დარწმუნებულიც იყო, რომ მწუხარება აღარასოდეს გათავდებოდა.

ქალს, რომელმაც ასეთი დიდი მსხვერპლი გაიღო, შეეძლო მცირე რამ ფუქსავატობის ნება მიეცა თავის თავისთვის: სალოცავად გოთური საწიგნობელი იყიდა, ხოლო ერთი თვის განმავლობაში ფრჩხილების გასაკრიალებლად ლიმონში თოთხმეტი ფრანკი დახარჯა; რუანიდან ცისფერი ქაშემირის კაბა გამოიწერა, ვაჭარ ლერესთან საუკეთესო შარფი იყიდა; ამ შარფს დილის კაპოტზე შემოირტყავდა ხოლმე, დარაბებს მიხურავდა, წიგნს აიღებდა და, ასე უცნაურად მორთული, მთელ საათებს ატარებდა დივანზე მიწოლილი.

თმის ვარხცნილობასაც ხშირ-ხშირად იცვლიდა: ხან ჩინურად დაიწყობდა, ხან წვრილად დაიხუჭუჭებდა, ხანაც გრძლად დაიწნავდა, ზოგჯერ კი გვერდზე გაიყოფდა და საფეთქლებზე ვაჟურად ჩამოივარცხნიდა.

იტალიური ენის შესწავლა მოესურვა: იყიდა ლექსიკონები, გრამატიკა, დიდძალი თეთრი ქაღალდი. კითხულობდა ისტორიას, ფილოსოფიის სერიოზულ წიგნებს. ღამეობით შარლს ხშირად უეცრად გაეღვიძებოდა, ეგონა, ავადმყოფთან მეძახიანო.

— ახლავე მოვალ! — ბუტბუტებდა იგი.

ეს კი ასანთის ჩხაკუნის გამო იყო, ემა რომ ლამპას აანთებდა ხოლმე; მაგრამ ამ გატაცებასაც იგივე ბედი ეწია, რაც ხალების ქსოვას, — ოდნავდაწყებული ნაქარგებით განჯინები მთლად გამოტენილი იყო; ერთ წიგნს რომ აიღებდა, უმალვე მიაგდებდა და სხვებს ეტანებოდა.

ზოგჯერ ისე იგზნებოდა, სულ ადვილი იყო ავი რამ ჩაგდენინებინა. ერთხელ ქმარს დაენაძლევა, ნახევარ დიდ ჭიქა არაყს დავლევო, ხოლო, რადგან შარლმა სიბრიყვე გამოიჩინა და დაუჯერა, ემამაც აიღო ნახევარი ჭიქა და მართლაც გამოცალა.

მაგრამ, მიუხედავად თავისი ფუქსავატი იერისა (ირონვრილი ქალბატონების გამოთქმით), ემას სრულიადაც არ ეტყობოდა მხიარულება და, ჩვეულებრივ, მის ბაგეთა კუთხეებში მუდამ უმოძრაო ნაოჭი იდო, რაც დროგადასული ქალწულებისა და უბედო პატივმოყვარეთა სახეს ახასიათებს ხოლმე. მთლად ფერმკრთა-

ლი იყო, ვით თეთრი ტილო; ცხვირის კანი ნესტოებისკენ დაჭიმ-ოდა, თვალი უაზროდ გაშტერებოდა.

ხშირად სისუსტესა და თავბრუხვევას გრძნობდა; ერთხელ სისხლიც კი ამოახველა და, როცა შარლი შეშფოთდა, აფუსფუსდა:

— აჰ, ერთი შენცა, — მიუგო ემამ, — ვითომ რა იქნება?

შარლი თავის კაბინეტში გავიდა, სავარძელში ჩამჯდარი იდა-ყვებით მაგიდას დაეყრდნო და ატირდა.

შემდეგ დედას წერილი მისწერა, სთხოვა გვნახეო, და ორი-ვენი დიდხანს თათბირობდნენ ხოლმე ემაზე.

რა უნდა გადაწყვიტონ? რა უნდა ქნან, როცა იგი ყოველ-გვარ მკურნალობაზე უარს ამბობს?

— იცი, რა ესაჭიროება შენს ცოლს? — ეუბნებოდა დედა, — საკალდებულო გარჯა, ხელსაქმობა! იგი რომ სხვებივით იძულებუ-ლი იყოს ლუკმა პური თვით იშოვნოს, მაშინ არც ასეთი დარდი ექნებოდა, რაც იქიდან წარმოდგება, რომ თავი სისულელით აქვს გამოტენილი, თანაც გულხელდაკრეფილი ზის.

— კი, მაგრამ ხომ მაინც საქმობს? — უპასუხებდა შარლი.

— იჰ, საქმობს! მერე რას აკეთებს? კითხულობს რომანებს, მავნე წიგნებს, ღვთის საწინააღმდეგო თხზულებებს, სადაც ვოლ-ტერის ნაწერებიდან ამოღებული სიტყვებით მღვდელს დასცინი-ან. ყოველივე ამას ცუდი ბოლო აქვს, ჩემო კარგო, და ურწმუნო ადამიანიც ცუდად ათავებს.

ამრიგად, გადაწყდა, რომ ემასთვის რომანების კითხვა დაე-შალათ.

ამ განზრახვის ასრულება არც ისე ადვილი საქმე იყო, მხნე ქალმა თავს იდო მისი მოგვარება; რუანში გავლისას თვითონ უნდა შესულიყო წიგნების გამცემისას და განეცხადებინა, რომ ემამ შეწყვიტა წიგნების ნათხოვრობა. განა უფლება არ ექნებოდათ პოლიციისათვის მიემართათ, უკეთუ მეწიგნე მაინც თავისას არ დაიშლიდა და განაგრძობდა ემას მოწამვლას?

რძალ-დედამთილი ცივად გამოეთხოვა ერთმანეთს. სამი კვი-რის განმავლობაში ერთად ცხოვრების დროს ორი სიტყვაც არ უთქვამთ ერთიმეორისათვის, უკეთუ ანგარიშში არ მივიღებთ მი-სალმებასა და ამბის კითხვას იჯრისას და დაძინებისას.

მოხუცი მადამ ბოვარი ოთხშაბათს წავიდა, ეს იყო იონვილის ბაზრობის დღე.

მოედანი დილიდანვე დაყირავებული ურმებით იყო გაჭედილი. ეკლესიიდან დაწყებული სამიკიტნომდე. მეორე მხარეს მოთავსებულიყო ბამბის კარვები, სადაც იყიდებოდა ჩითეულობა, საბნები, შალის წინდები, აგრეთვე ცხენის ავშარები და კონადშეკრული ცისფერი ლენტები, რომელთა ბოლოებსაც ქარი აფრიალებდა. რკინისა და სპილენძის ნაკეთობანი პირდაპირ მიწაზე ელაგა. კვერცხების გროვასა და ყველის გუნდებს შორის, საიდანაც გაქონილი ჩალაბულა ამოჩრილიყო; სასოფლო-სამეურნეო იარაღთა ახლოს, ბრტყელ გალიებში ქათმები კრიახობდნენ და რიკულში თავებს ჰყოფდნენ. ბრბო ისე შეჯგუფულიყო ერთ ადგილას და ფეხს აღარ იცვლიდა, რომ აფთიაქის მინებს ჩამტვრევა ემუქრებოდა. ოთხშაბათობით აფთიაქში ხალხმრავლობა იყო; მისკენ მიილტვოდნენ არა იმდენად წამლის საყიდლად, რამდენადაც სამკურნალო რჩევის მისაღებად. ისე განთქმული იყო ბატონ ჰომეს სახელი ახლომახლო სოფლებში, მის შეურყეველ თავდაჯერებას მოხიბლული ჰყავდა სოფლელები. იგი ყველას ექიმზე უკეთეს მკურნალად მიაჩნდა.

იდაყვდაყრდნობილი ემა ფანჯარას მისჯდომოდა (ხშირად იჯდა ხოლმე იქ: პროვინციაში ფანჯარა თეატრისა და სეირნობის მაგიერობას ეწევა) და ხალხის მიხლა-მოხლას ადევნებდა თვალს, რომ უეცრად მწვანე ხავერდის სერთუკიანი ვინმე შენიშნა. ხელებზე ყვითელი ტყავის თათმანები ეცვა, თუმცა ფეხთ კი ტლანქი გეტრები ემოსა; ექიმის ბინისკენ მოდიოდა ერთი გლეხის თანხლებით, რომელიც თავჩაღუნული და ჩაფიქრებული მოაბიჯებდა.

— ბატონი ექიმის ნახვა შეიძლება?

ჰკითხა მან ჟუსტენს, რომელიც შესასვლელში ფელისიტეს ელაპარაკებოდა. და რაკი იგი ექიმის მსახურად მიიღო, დაუმატა:

— მოახსენეთ ექიმს, რომ თქვენი ნახვა სურს ბ. როდოლფ ბულანჟეს, ლა ჰუშეტის პატრონს-თქო.

თავისი ტიტული მემამულის სიამაყით კი არ დაუმატებია მოსულს, არამედ რათა მკაფიოდ დაესახელებინა თავისი თავი. ჰუშეტი მართლაც იონვილის ახლოს მდებარეობდა და ბულანჟემ ცოტაოდენი ხნის წინათ შეიძინა იგი ციხე-დარბაზითა და ორი ფერმით, რომლებსაც თვითონ ამუშავებდა იოლად. მარტოხელა ცხოვრებას ეწეოდა და, ზოგიერთების თქმით, სულ მცირე, თხუთმეტი ათასი წლიური შემოსავალი ჰქონდა.

შარლი სასტუმრო ოთახში მიეგება: ბულანჟემ თავისი გლეხი წარუდგინა, რომელსაც სისხლის გაღება სურდა, რადგან მ თ ე ლ ს ტ ა ნ ში თ ი თ ქ ო ს ჭ ი ა ნ ჭ ვ ე ლ ე ბ ი დ ა უ დ ი ა ნ ო.

— ეს მე გამწმენდს. — უპასუხებდა იგი ყოველ რჩევაზე.

ბოვარიმ სახვევების მოტანა უბრძანა და ჟუსტენს სთხოვა ტაშტი დამიკავეო. შემდეგ შიშისაგან ფერწასულ პაციენტს მიჰმართა:

— ნურაფრის შიში ნუ გაქვს, ჩემო კარგო!

— არა, რისი უნდა მეშინოდეს,— მიუგო მან. — გაუტიეთ! და ბაქიობით გაუწოდა თავისი მსხვილი მკლავი. ნესტარის დაკვრისას სისხლმა ერთბაშად იჩქეფა და სარკეს მიესხა.

— მოსწიე ტაშტი! — მიაძახა შარლმა.

— დახე, — ამბობდა გლეხი, — თითქოს პატარა შადრევანიაო! რა წითელი სისხლი მქონია! ალბათ, კაი სისხლი უნდა იყოს, არა?

— ზოგჯერ, — განმარტა ჯანმრთელობის მსახურმა, — ადამიანი პირველად არაფერს გრძნობს, მაგრამ შემდეგ უეცრად გული მიუდის, და უმეტეს ნაწილად ასე მოსდით მაგარი აგებულებისხალხს, როგორიც აი ეს არის.

ამ სიტყვებზე სოფლელს კოლოფი დაუვარდა, ხელში რომ ატრიალებდა. მისი მხრების ძიგძიგმა სკამის ზურგი ააკრაჭუნა, ქუდი მოსძვრა და გადავარდა.

— აკი ვამბობდი! — თქვა ბოვარიმ და ვენას თითი დააჭირა.

ჟუსტენს ტაშტიანი ხელები აუკანკალდა, მუხლთ მოეკვეთა, გაფითრდა.

— ემა! ემა! — მიაძახა შარლმა.

ქალი ლანდივით დაეშვა კიბეზე.

— ძმარი! აჰა, ღმერთო ჩემო, ორი ერთბაშად!

და აღელვებული ძლივს ახერხებდა შეხვევას.

— არაფერია!

მშვიდად თქვა ბულანჟემ, რომელიც ჟუსტენს ამაგრებდა. მერმე იგი სკამზე დასვა და საზურგეს მიაყრდნო.

მადამ ბოვარიმ ჰალსტუხის შეხსნა დაუწყო; საკინძეზე ნასკვი აღმოჩნდა; ერთხანს მისი წვრილი თითები ყმაწვილის ყელს ეხებოდა ნაზად; მერმე თავის ბატისტის ცხვირსახოცზე ძმარი დააწვეთა, საფეთქლები დაუზილა, და თანაც მსუბუქად შეუბერა.

სოფლელი უკვე მოვიდა გონს; ხოლო ჟუსტენი კვლავ გულწა-

სული იყო; ცქერა ფერმკრთალ გუგებში მიმქრალიყო, ვით რძეში ცისფერი ყვავილები.

— ამას ნუღა დაანახვებთ, — ტაშტზე მიუთითა შარლმა.

მადამ ბოვარიმ ტაშტი აიღო, და როცა იგი დაიხარა, რათა ტაშტი მაგიდის ქვეშ შეედგა, კაბა (ეს იყო საზაფხულო ყვითელი კაბა, გრძელი და ფურჩალებიანი) მის გარშემო გაშლილ ქოლგასავით დაჯდა; დახრის დროს აქეთ-იქით ირხეოდა და კაბაც, მოძრაობის შესაბამისად, ზოგან იფუქებოდა. მერე წყლიანი სურა მოიტანა, დაასხა და ნატეხ შაქარს ლხობა დაუწყო; ამ დროს მეაფთიაქეც შემოვიდა. არეულობაში მსახური გაქცეულიყო და საშველად დაეძახა მისთვის; როცა ნახა, რომ მისმა შეგირდმა უკვე თვალი გაახილა, მეაფთიაქემ მსუბუქად ამოისუნთქა. მერმე მის გარშემო იწყო სიარული და თავიდან ფეხებამდე ათვალიერებდა.

— სულელი! — თქვა მან. — ნამდვილი სულელი! შუმი სულელი! დიდი ამბავია რაღა — ფლებოტომია! მამაცობას კი იჩემებს! აი ამ ბიჭს რომ ხედავთ, — მიუბრუნდა იგი იქ მყოფთ, — ნამდვილი ციყვია, ისეთ სიმაღლეზე ადის კაკლის ჩამოსარეკად, რომ თავბრუ დამეხვევა. აბა, ახლაც თქვი რამე. იტრაბახე! ერთი სიტყვით, ჩინებული თვისებანი გქონია, რათა შემდეგში ფარმაცევტის ხელობას შეუდგე; შენ ხომ სასამართლოშიც გაგიწვევენ ხოლმე, რათა რაიმე მნიშვნელოვან საქმეს მოსამართლეთა წინაშე ნათელი მოჰფინო! და ამ დროს შენთვის საჭირო იქნება მხნედ ყოფნა, მსჯელობა, სიმამაცის გამოჩენა, თუ არ გინდა, რომ რეგვენად ჩაგთვალონ.

ჟუსტენი ხმას არ იღებდა.

— აბა ვინ გთხოვა, აქ მოდიო? — განაგრძობდა მეაფთიაქე, — მუდამ თავს აბეზრებ ექიმსა და მის მეუღლეს! გარდა ამისა, ხომ იცი, რომ ოთხშაბათობით განსაკუთრებით მესაჭიროები ხოლმე. ახლა აფთიაქში ოციოდე კაცი მელოდება! ყველა მივატოვე შენი გულისათვის. აბა, ადექ, გაესწი! მელოდე და თვალყური ადევნე იქაურობას!

როცა ჟუსტენმა ჩაიცვა და წავიდა, ლაპარაკი გულისწასვლაზე ჩამოვარდა. მადამ ბოვარის ასეთი რამ არასოდეს განეცადა.

— ეგ ძალიან იშვიათია ქალისათვის! — თქვა ბულანჟემ, — თუმცა არიან ძლიერი შთაბეჭდილებიანი მამაკაცებიც. ერთხელ, დუელის დროს, მე ვნახე, რომ ერთ სეკუნდანტს გული წაუვიდა დამბაჩების გატენის ჩხაკუნზე.

— სხვისი სისხლის დანახვა ჩემზე არ მოქმედებს. — თქვა მეაფთიაქემ, — მაგრამ, როგორც კი საკუთარი სისხლის მოძრაობაზე გავიფიქრებ, მაშინვე ცუდად გავხდები, განსაკუთრებით, თუ ღრმად ჩავუფიქრდები მის მოძრაობას.

ამასობაში ბულანჟემ თავისი მსახური გაისტუმრა, რადგან მისი ჭირვეულობა უკვე შესრულებულ იქნა.

— თუმცა ამ ჭირვეულობამ თქვენი გაცნობის საშუალება მომცა, — დასძინა მან და ამ სიტყვებზე ემას შეხედა.

შემდეგ მაგიდის კიდეზე სამფრანკიანი დადო, უგულო სალამი მისცა და წავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ მდინარის გაღმა მიაბიჯებდა (ეს იყო ლა ჰუშეტის დასავხარი გზა); ემამ თვალი მოჰკრა მას მინდორში, ალვის ხეებს ქვეშ, იგი თანდათან ანელებდა ნაბიჯს, როგორც ფიქრში წასული კაცი.

— ძალიან კარგია! — ამბობდა თავისთვის. — ძალიან კარგი ქალია ექიმის ცოლი! მშვენიერი კბილები, შავი თვალები, ჯოხტაფეხები და მოყვანილი ტანადობა, ვით პარიზელ ქალს. ნეტავ სადაურია ეგ ეშმაკის კერძი? ან სად უპოვნია ასეთი იმ ბუდრუგუნას?

ბ. როდოლფ ბულანჟე ოცდათოთხმეტი წლისა იყო; გოროზი ხასიათისა და გამჭრიახი გონების პატრონი, ქალებს იყო გადაყოლილი და უნარიც ჰქონდა მათი არჩევისა. წეღანნახულიც ძლიერ მოეწონა. ამიტომ მასა და მის ქმარზე ფიქრობდა:

„გარეგნობით ექიმი ძლიერ სულელი ჩანს და ცოლს, ალბათ, კიდეც მობეზრდა. ფრჩხილები უსუფთაო აქვს, წვერსაც, ალბათ, ძვირად იპარსავს. სანამ იგი თავის ავადმყოფებს უნდება, ცოლი ზის და წინდებს აკერებს. მოწყენილია, ალბათ! ქალაქად ცხოვრება სურს! საღამოობით პოლონურის ცეკვა! საბრალო ქალი! სიყვარულობის შემდეგ, ალბათ, ამთქნარებენ პირდაღებულნი, ვით წყლიდან ამოყვანილი თევზი სამზარეულოს დაზგაზე. დარწმუნებული ვარ, საკმაოა ორიოდე საათიკო სიტყვა უთხრა და ქალიც ვნებით აინთება! საუცხოო რამ იქნებოდა, აი! საამო! კი, მაგრამ შემდეგ როგორღა უნდა მოიშორო თავიდან?“

და გათვალისწინებული სიამის დაბრკოლებებზე რომ დაფიქრდა, კონტრასტით, თავისი სიყვარული გაახსენდა, ის რუანელი არტისტი ქალი, ხასად რომ ჰყავდა: როცა იგი თვალწინ წარმოუდგა, მოგონებითაც კი გულის მოსუყება იგრძნო.

„აჰ, მადამ ბოვარი ლამაზია, — ფიქრობდა, — და განსაკუთრე-

ბით კი უფრო ნორჩია. ვირჟინი მეტისმეტად მსხვილდება. მერე, რა მომაბეზრებელია მისი ალერსი! ან რა გაგიჟებით უყვარს ეს ზღვის კიბოები!“

მინდორში არავინ ჩანდა და როდოლფს ესმოდა მხოლოდ ბალახის შრიალი ფეხქვეშ და კალიების ჭრიჭინი, ქერის ყანებიდან რომ ისმოდა; კვლავ თვალწინ წარმოუდგა ემა, ისე, როგორც სასტუმრო ოთახში იხილა. იმავე ყვითელი კაბით, და აზრით გააშიშელა.

— ოჰ, იგი ჩემი იქნება! — წამოიძახა და ჯოხის ერთი დაკვრით გააფხვიერა მის წინ მდებარე ბელტი.

მერმე განზრახულის შესრულების საშუალებებზე ფიქრს შეუდგა.

„სად უნდა შევხვდე? — ეკითხებოდა თავს, — რა საშუალებით? ეუდამ ზურგზე აგეკიდება ბავშვი, ძიძა, მეზობლები, ქმარი და სხვა ათასნაირი ჯანდაბა. ჰოდა, აი! მერმე დროც რამდენი უნდა დაკარგო!“

და კვლავ აგონდება:

„თვალებიც რომ ისეთი აქვს, თითქოს შიგ გულში გეჭრებაო ბურღივით! თანაც ეს ფერმკრთალობა! მერმე რა მომწონს ფერმკრთალი ქალები!“

არგეილის მაღლობზე რომ ავიდა, გადაწყვეტილებაც უკვე მზად ჰქონდა.

— ისღა დამრჩენია, რომ ხელსაყრელი შემთხვევა ვეძიო, რა გაეწყობა! ხანდახან ვეწვევი ხოლმე, წანადირევს, შინაურ ფრინველს ვუძღვნი; სისხლსაც გავაღებინებ, თუ საჭირო იქნა; დავმეგობრდებით, მერე ჩემსას დავპატიჟებ... აი, დასწყეველოს, ყრილობაც ხომ მალე იქნება! ისიც დაესწრება უთუოდ და მეც ვნახავ. დავიწყოთ და ვნახოთ, მე მგონია, გათავებული საქმეა.

VIII

როგორც იქნა, იმ განთქმული გამოფენის დღეც დადგა. იონვილის მცხოვრებნი ამ საზეიმო დღეს, დილიდანვე, თავიანთი სახლების კარებში იდგნენ და დღესასწაულის სამზადისზე ბაასობდნენ. მერიის შესასვლელი მწვანით იყო მორთული. მინდორში სეფე დაედგათ, სადაც ყრილობის წევრთა გამასპინძლება უნდა მომხდა-

რიყო; ხოლო მოედანზე, ეკლესიის წინ, ზარბაზნის ხმას უნდა ემცნო პრეფექტის მობრძანება და დაჯილდოებულ მემამულეთა გვარების გამოცხადება. ბუშიდან მოსული ეროვნული გვარდია (იონეილში იგი არ იყო) ადგილობრივ მეხანძრეთა რაზმს შეუერთდა, რომელსაც ბინე მეთაურობდა. ამ დღეს ბინეს მუნდირის საყელო ჩვეულებრივზე უფრო მაღალი იყო, ტანიც ისე გამოსკვნილი ჰქონდა მუნდირში, ისე სწორად და უძრავად ეჭირა თავი, რომ გეგონებოდა, მთელი მისი სიცოცხლის ძალა ფეხებში წასულაო: ტაქტის აყოლებით, სხარტად და მხედრული სიმტკიცით მიაბიჯებდა. რადგან გადასახადთა ამკრეფსა დ პოლკოვნიკს შორის ერთგვარი მეტოქეობა სუფევდა, ერთიცა და მეორეც, თავიანთი ტალანტის გამოსაჩენად, ძათდამი დაქვემდებარებულ რაზმებს ცალ-ცალკე ავარჯიშებდა. შეცვლით იძვროდნენ ქუჩებში წითელი სამხრეულები და შავი სამკერდეები, რასაც დასასრული აღარ ჰქონდა! ასეთი საზეიმო აღლუმი არავის არასოდეს უნახავს! ბევრმა მოქალაქემ ჯერ კიდევ წინა დღით გარეცხა თავისი სახლის წინამო; ნახევრად ღია ფანჯრებზე სამფეროვანი დროშები ფრიალებდა; ყველა სამეკიტნო ხალხით იყო გაჭედილი; მშვენიერი ამინდი იყო და თოვლივით თეთრი გახამებული ბონეტები, მზეზე აბრჭყვიალებული ოქროს ჯვრები და ფერადი თავსაფრები მკაფიო ლაქებად აჩენდნენ შავი სერთუკებისა და ლურჯი ბლუზების ერთფეროვან სიმუქეს. ახლომახლო ფერმერების ცოლები, ცხენებიდან ჩამოხდომიხას, დიდრონ ქინძისთავებს იხსნიდნენ, რომლებითაც კაბები ჰქონდათ ამოკეცილი, რათა ტალახით არ დაესვარათ; მათი ქმრები კი, პირიქით, თავიანთ ქუდებს უფრთხილდებოდნენ, რისთვისაც ზემოდან ცხვირსახოცები წაეფარებინათ, რომელთა ცალი ბოლოც კბილით ეჭირათ.

მთავარ ქუჩაში ხალხი ორი მხრიდან გამოდიოდა. იძვროდნენ შესახვევებიდან, შუკებიდან, სახლებიდან და დროდადრო კარებზე ისმოდა პაწია ჩაქუჩების რაკუნი; კარები იღებოდა და იხურებოდა; დიასახლისები მიმოდიოდნენ ზეიმისთვის თვალის გადასავლებად. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ორი მაღალი სვეტი, სამკუთხედშემორიგებული საჩირაღდნეებით; ეს სვეტები აღმართული იყო იმ ესტრადის ორსავე მხარეს, რომელიც ხელისუფლებისათვის იყო განკუთვნილი. გარდა ამისა, მერიის ოთხ სვეტზე მიკრული იყო ოთხი გრძელი ჭოკი, რომლებზეც მომწვანო ტილოს შტანდარტები ეკიდა ოქროვანი წარწერებით. ერთზე

ეწერა: „ვაჭრობა“, მეორეზე: „მიწათმოქმედება“, მესამეზე: „მრეწველობა“ და მეოთხეზე: „ხელოვნება“.

მაგრამ ეს საზეიმო იერი, ყველას სახეს რომ აშუქებდა, ცუდ გუნებაზე აყენებდა სამიკიტნოს პატრონს მადამ ლეფრანსუას. იგი სამზარეულოს კიბეზე ჩამომდგარიყო და თავისთვის ბუტბუტებდა.

— რა სისულელეა! აბა რა უაზრო სისულელეა ეს ტილოს ბალაგანი! ნუთუ ჰგონიათ, რომ პრეფექტს ძალზე ეამება იმ ჩვარს ქვეშ სადილობა, ვითომ ხუმარა ვინმე იყოს! და ამ ნაცოდვილარს ისინი ქვეყნისთვის ზრუნვას ეძახიან! ღირდა განა ამ ფეთხუმი მზარეულის ნევშატელიდან გამოწერა! ან ვისთვის ზრუნავენ ასე? მეძროხეებისათვის! ფეხშიშველებისათვის!

იქვე მეაფთიაქემ გაიარა. შავი ტანისამოსი ეცვა, ნანკინის შარვალი, კასტორის ფეხსაცმელი და სადღესასწაულო დაბალი ქუდი ეხურა.

— თქვენი უმორჩილესი მონა! — თქვა მან, — მაპატიეთ, მეჩქარება.

და რაკი ჩასუქებულმა ქვრივმა ჰკითხა, საით მიბრძანდებიო:

— გაგიკვირდებათ, რა თქმა უნდა! მე მუდამ ისე ვარ დამწყვდეული ჩემს ლაბორატორიაში, როგორც ვირთხა ბეღელში!

— რა ვირთხა? — ჰკითხა მიკიტანმა ქალმა.

— არა, არაფერი! სრულიად არაფერი! მე მინდოდა მხოლოდ მეთქვა, რომ ძალიან კარჩაკეტილად ვცხოვრობ-მეთქი. თუმცა დღეს, ამ გარემოების გამო, საჭიროა, რომ...

— ა, იქ მიბრძანდებით? — ზიზღნარევი კილოთი ჰკითხა ქვრივმა.

— დიახ, იქ მივდივარ, — მიუგო გაკვირვებულმა მეაფთიაქემ, — განა მე სათათბირო კომისიის წევრი არა ვარ?

მადამ ლეფრანსუა ერთხანს დააქცერდა, მერე ღიმილით უთხრა:

— ეგ სხვა საქმეა! მაგრამ სად თქვენ და სად მიწათმოქმედება? განა გაგეგებათ რამე მისი?

— რასაკვირველია, გამეგება, რაკი მეაფთიაქე ვარ, ესე იგი, ქიმიკოსი! ქიმია კი, მადამ ლეფრანსუა, ბუნების ყოველგვარ ნივთის მოლეკულათა ურთიერთობას იკვლევს და, მაშასადამე, მიწათმოქმედებაც მის დარგში შედის! და, მართლაც სასუქთა შედგენი-

ლობა, სითხეთა დუღილი, გაზების ანალიზი და მიაზმების გავლენა, ყოველივე ეს, გეკითხებით მე თქვენ, რა არის თუ არა პირწმინდა ქიმია?

ქალი დუმდა, ხოლო ჰომე განაგრძობდა:

— ნუთუ გგონიათ, რომ აგრონომმა, მაგალითად, თვითონ უნდა ხნას და ფრინველებიც თავისი ხელით ასუქოს? ამისათვის საჭიროა იცოდე ამა თუ იმ ნივთიერების შემადგენლობა, გეოლოგიური ფენები, ატმოსფერული გავლენა, მიწის თვისებანი, აგრეთვე თვისებანი წყლებისა და მინერალების, სხვადასხვა ნივთიერების სიმკვრივე და კაპილარობა. და ბევრი კიდევ სხვა რამეც. გარდა ამისა, საჭიროა კიდევ ზედმიწევნით იცოდე ჰიგიენის კანონები, რათა წარმართო და კრიტიკულად შეაფასო სასოფლო-სამეურნეო ნაშენობანი, მეცხოველეობის განვითარების წესები და მუშა ძალის გამოკვების პირობები, საჭიროა ბოტანიკის ცოდნაც. მადამ ლეფრანსუა; საჭიროა იცოდე სხვადასხვა მცენარის გარჩევა, რომელია მათ შორის, ვთქვათ, სამკურნალო და შხამიანი, მარგებელი და მავნე, რათა ზოგიერთი მათგანი მოსპო, ზოგი კი გაამრავლო, ერთი სიტყვით, წიგნაკებისა და პერიოდულ გამოცემათა დახმარებით მუდამ მზად უნდა იყო გაუმჯობესებათა შემოსაღებად.

ქალი თვალს არ აშორებდა „ფრანგულ კაფეს“ კარებს, მეაფთიაქე კი განაგრძობდა:

— ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენი სოფლის მეურნეები ქიმიკოსები ყოფილიყვნენ, ან უკეთ მიეგდოთ ყური მეცნიერების მოთხოვნებისთვის! ამას წინათ მე დავწერე ერთი დიდი თხზულება, რომელიც სამოცდათოთხმეტ გვერდს შეიცავს, შემდეგი სათაურით: „სიდრი, მისი წარმოება და გავლენა; რამდენიმე დამატებითი ახალი მოსაზრება ამაზე“. და ეს ჩემი ნაშრომი აგრონომიულ საზოგადოებას გავუგზავნე რუანს, რამაც ის პატივი დამდო, რომ საზოგადოების წევრად ამირჩიეს მიწათმოქმედების სექციაში, მეხილეობის დარგში. ასე რომ, ჩემი ნაშრომი რომ გამოქვეყნებული ყოფილიყო...

აქ უკვე მეაფთიაქე შედგა, რადგან მადამ ლეფრანსუა რაღაც ძალზე შეშფოთებული ჩანდა.

— აბა ერთი იმათ შეხედე! — წარმოთქვა ქალმა, — სრულიად ვერაფერი გამიგია! ამისთანა სამიკიტნო.

მადამ ლეფრანსუამ მხრები აიჩეჩა, რის გამოც მისი სათბუ-

რის საღილეები ბაკერდზე დაიჭიმა: იგი ორივე ხელს იშვერდა მოწინააღმდეგის კაფესკენ, სადაც იმ დროს სიმღერა გაისმოდა.

— თუმცა, დიდი დღე აღარ აქვს, — დაუმატა. — ამ ერთ კვირაში გამოუვა წირვა!

გაკვირვებულმა ჰომემ უკან დაიწია. ქალმა სამი საფეხურით ჩამოიწია და ჰომეს ყურში უჩურჩულა:

— როგორ? განა თქვენ არ იცით? ამ კვირაში იმას ყადაღას დაადებენ. ლერე მოითხოვს მის გაყიდვას, ვექსილებით დაახრჩო.

— რა საშინელი კატასტროფაა!

წამოიძახა მეაფთიაქემ, რომელსაც მუდამ მზად ჰქონდა ყოველგვარი შესაძლო გარემოების შესაფერისი თქმა.

და ქალმა დაიწყო იმ ამბის მოყოლა, რომელიც ბ. გილიომენის მსახურის თეოდორესგან ჰქონდა გაგონილი, და თუმცა ტელიე სძულდა, ლერესაც ქირდავდა: მლიქვნელი და უნდოაო.

— ეგერ თვითონაც ბაზრის ფანჩატურთან! მადამ ბოვარის ესალმება, რომელსაც მწვანე ქუდი ხურავს... ბ. ბულანჟეს მიჰყვება მკლავგაყრილი.

— მადამ ბოვარი? — წამოიძახა ჰომემ. — ვიჩქარი, გამოვუცხადო ჩემი პატივისცემა. იქნებ ადგილი უნდა შიგნივ, ქანდარაზე.

ყური აღარ უგდო მადამ ლეფრანსუას, რომელიც იმ ამბის დასრულებას აპირებდა, ჩქარი ნაბიჯით მოშორდა, გამართული, მხნე, ბოღიმარი აქეთ-იქით სალამს იძლეოდა და მისი შავი ფრაკის კალთები განივრად ფრიალებდა.

როდოლფმა შორიდანვე შეამჩნია და ფეხს აუჩქარა, მაგრამ მადამ ბოვარის სული ეხუთებოდა: კაცმა ფეხი შეანელა და უკმეხად, თანაც ღიმილით უთხრა:

— მინდოდა იმ გაბერილ კაცს მოვრიდებოდი, რა ჰქვია მეაფთიაქეს?

ქალმა იდაყვი ოდნავ დააჭირა მის ხელს.

„ნეტავი, ეს რას ნიშნავს?“ — გაიფიქრა როდოლფმა და ემას ალმაცერად შეავლო თვალი.

ქალის პროფილი ისეთი მშვიდი იყო, რომ ვერას შეატყობდი. საბე მთლად გაბრწყინებოდა კოხტა ქუდის ოვალში, რომელიც მკრთალი, ლერწმის ფოთლებისებური ბაბთებით იყო მორთული. გრძელი და ზემოთშეხრილი წამწამებით დაჩრდილული თვალები პირდაპირ იცქირებოდა წინ და, თუმცა ფართოდ გახელილი იყო,

მაინც მოხუჭული ჩანდა სისხლის მიძალების გამო, გამქვირვალე პირის კანქვეშ რომ ფეთქდა. ნესტორებს ვარდისფერი გადაჰკვროდა, თავი ოდნავ გადაეხარა და ბაგეთა შორის თეთრ კბილთა სადაფი გამოკრთოდა.

„იქნებ დამცინის?“ — ფიქრობდა როდოლფი.

ემას საქციელი კი გაფრთხილება იყო მხოლოდ, რადგან მათს უკან ლერე მოდიოდა და, თითქოს ლაპარაკში უნდა ჩაერიოსო, სანდახან იტყოდა:

— საუცხოო ამინდია! მთელი ხალხი გარეთაა! ზენა ქარი ქრის!

არც მადამ ბოვარი და არც როდოლფი ხმას არ სცემდა: მიუხედავად ამისა, მათს ყოველ მოძრაობაზე იგი მყის მიუახლოვდებოდა და იკითხავდა: „რა გნებავთ?“ და ქუდისკენ ხელს წაიღებდა.

როცა მეედლის სახლს გაუსწორდნენ, იმის მაგიერ, რომ პირდაპირ ეელოთ ბარიერამდე, როდოლფმა უეცრად ბილიკისკენ გადაუხვია, ემაც თან გაიტაცა და ლერეს მიაძახა:

— ღამე მშვიდობისა, ბ. ლერე! კარგად ბრძანდებოდეთ!

— ძაან არ მოიცილეთ! — სიცილით უთხრა ემამ.

— რა საჭიროა ფეხებში გებლანდებოდნენ? და რაკი დღეს ბედნიერება მხვდა წილად და თქვენთან ვარ...

ემა წამოწითლდა, მან სიტყვა აღარ დაასრულა. ამინდსა და ბალახში სიარულის სიამეზე დაიწყო ლაპარაკი. რამდენიმე თეთრი გვირილა გაშლილიყო.

— მშვენიერი ყვავილებია, — თქვა მან, — მთელი ამ უბნის შეყვარებულებს ეყოფათ სამკითხაოდ!

და დასძინა:

— მეც ხომ არ მოვწყვიტო? თქვენ რას იტყვით?

— განა თქვენ შეყვარებული ხართ? — ჰკითხა ქალმა და ოდნავ ჩაახველა.

— ეჰ, ვინ იცის? — მიუგო მან.

მინდორი ხალხით იჭედებოდა; დიასახლისები ერთმანეთს ეხლებოდნენ, მათი უზარმაზარი გაშლილი ქოლგები, კალათები და ბავშვები გამვლელებს ედებოდნენ. ხშირად საჭირო იყო გვერდის აქცევა, რათა გაგეტარებინათ ჩამწკრივებული გლეხი ქალები, ლურჯწინდებიანი მსახურნი, თავიანთი დიდრონი ფეხსაცმლით, ხელები რომ ვერცხლის ბეჭდებით ჰქონდათ შეჭედილი; ფერმების

მუშა ქალები, რძის სუნი რომ სდიოდათ, როცა ვვერდს ჩაგიგლიდნენ; ისინი ხელიხელჩაკიდებულნი იძვროდნენ და მინდვრის მთელი სიგანე ეკავათ ვერხვებიდან დაწყებული ბანკეტისთვის გამართულ კარვამდე. მაგრამ პირუტყვთა გასინჯვის დრო იყო და სოფლის მეურნეები ერთიმეორეზე შედიოდნენ ჰიპოდრომისებურ გალავანში, რომელიც პალოებზე მიმაგრებული თოკით იყო გადაღობილი.

პირუტყვი იქ შეერეკათ; მათ დრუნჩები თოკისკენ მოებრუნებინათ, ზურგებით უსწორმასწორო რიგები შეექმნათ; ღორებს დინგები მიწაში წაეყოთ და ეძინათ; ხბოები და ცხვრები ბღაოდნენ; ძროხები მინდორზე წამოწოლილიყვნენ, ცალი ფეხი ქვეშ მოეყოლებინათ, მშვიდად იცოხნებოდნენ, მძიმე უპეებს აფახურებდნენ და მწერებს იგერიებდნენ. ურმებით მისულ დამკლავებულ გლეხებს ავშარით ულაყები ეკავათ, რომლებიც ჭაკების დანახვაზე ჭიხვინებდნენ და ყალხზე დგებოდნენ. ჭაკები კი წყნარად იდგნენ კისერგაწვდილნი, ფაფარდაშვებულნი; კვიცები მათს ჩრდილში გორაობდნენ ან საწოვრად მისცვიოდნენ; და ამ ტალღისებურად მოძრავ ხროვაში უეცრად ხან თეთრი ფაფარი გამოკრთებოდა, ხან წვეტიანი რქები და ხანაც მოფუსფუსე კაცთა თავები. მოშორებით, გალავნიდან ასე ას ნაბიჯ მანძილზე, იდგა უზარმაზარი შავი ხარი, რომელსაც სატუჩარი ეკეთა, ნესტოში კი რკინის რგოლი ჰქონდა გაყრილი, უძრავად იდგა, ვით ბრინჯაოს ქანდაკი, იგი ჩამოფლეთილ ბავშვს ეკავა თოკით.

პირუტყვთა ორ რიგს შუა დინჯად იძვროდნენ დარბაისელი პირები, ათვალიერებდნენ და დაბალი ხმით თათბირობდნენ; ერთი მათგანი, ალბათ, ყველაზე მთავარი, სიარულისას რაღაცას იწერდა უბის წიგნაკში. ის ჟიურის თავმჯდომარე იყო, ბ. დეროზერე, პანვილის პატრონი. როგორც კი თვალი მოჰკრა როდოლფს, მყის მისკენ გაეშურა და საამო ღიმილით უთხრა:

— როგორ, ბ. ბულანჟე, უკვე გვტოვებთ?

როდოლფი არწმუნებდა, დავბრუნდებიო. მაგრამ, როცა თავმჯდომარე მოშორდა, თქვა:

— არაფრის გულისთვის მათთან არ წავალ; ჩემთვის თქვენთან ყოფნა უფრო ძვირფასია.

და მოჰყვა ხუმრობას ყრილობის თაობაზე, თანაც რათა ყველგან დაუბრკოლებლივ გაევლო, ჟანდარმებს თავის ცისფერ მისაწვევ ბილეთს უჩვენებდა და ზოგჯერ საინტერესო სანახავთან შეჩერ-

ღებოდა ხოლმე; მაგრამ მადამ ბოვარის ყოველივე ეს არაფრად ეპიტნავებოდა. როდოლფმა შეამჩნია გულგრილობა და ბაასი ინნ-ვილელ ქალთა ტუალეტზე გადაიტანა, მერმე თავისი ჩაცმულობის-თვისაც იბოდიშა. მართლაც, მის ჩაცმულობას ემჩნეოდა ის უბ-რალოება და კოხტაობა, რომელიც მდაბიოს ჩვეულებრივ ორიგი-ნალობად, გრძნობათა აშლილობად, გემოვნების ჭირვეულობად და საზოგადოებრივი პირობითობის აბუჩად აგდებად მიაჩნია, რაც მას ან აღაფრთოვანებს, ან აბრაზებს. მის ბატისტის პერანგს ჟილეტის ამოჭრილ გულზე ქარი ბერავდა, ხოლო ფართოზოლიანი შარვა-ლი, სიარულისას, მისი ფეხსაცმლის ქსოვილიან ყელს აჩენდა; ფეხ-საცმელი ლაქის ტყავით იყო ნაკაზმი და ისე ბრწყინავდა, რომ შიგ ბალახი იხატებოდა. უდარდელად მიაბიჯებდა ცხენის ჩონჩო-რიკში, ცალი ხელი ჟილეტის ჯიბეში ჩაეყო, ჭილოფის ქუდი განზე ჰოექცია.

— თუმცა, — დაუმატა, — როცა სოფლად ცხოვრობ...

— ყოველივე ამაოა. — დაასრულა ემამ.

— დიახ, მართალია, — მიუგო როდოლფმა. — წარმოიდგინეთ, რომ ვერც ერთი ამ კეთილ ხალხში ტანისამოსის თარგს ვერ გაარ-ჩევს!

ახლა ლაპარაკი პროვინციის უფერულ ცხოვრებაზე ჩამოვარ-და, იქ ჩამკვდარ სიცოცხლესა და გაცრუებულ იმედებზე.

— ამიტომაა სწორედ, რომ მოწყენილობაში ვიძირები...

— თქვენა? — გაკვირვებით შეეკითხა ემა. — მე კი მეგონა, რომ ძალიან მხიარული ხართ!

— დიახ, გარეგნულად, რადგან საზოგადოებაში ვიცი მხია-რულობა, ნიღაბის აფარება; ხოლო ხშირად, მთვარით განათებულ სა-საფლაოს დანახვაზე, ჩემი თავისთვის მიკითხავს, განა უმჯობესი არ იქნება მეც იმათ მივმატებოდი, ვისაც აქ სამარადისო ძილით სძინავს-მეთქი...

— ოჰ, და თქვენი მეგობრები? — წამოიძახა ემამ. — თქვენ იმათზე არ ფიქრობთ.

— ჩემი მეგობრები? რომელი? სად მყავს მეგობრები? ვის შესტკივა ჩემთვის გული?

და ამ სიტყვებზე თითქოს რაღაცნაირად ჩაისტვინაო ტუჩებ-ში.

ამ დროს ისინი იძულებულნი შეიქნენ ერთმანეთს განშორე-

ბოდნენ, რათა გზა მიეცათ ახორავებული სკამებისათვის, მათს უკან რომ ერთ კაცს მოჰქონდა. იგი ისე იყო დატვირთული, რომ მოჩანდა მხოლოდ მისი ხის ფეხსაცმლის ქუსლები და განზე გაწეული ხელები.. ეს იყო ლესტრიბუდუა, მესაფლავე, რომელსაც საეკლესიო სკამები გადაჰქონდა. როცა კი საქმე გამორჩენას ეხებოდა, იგი მუდამ გამჭრიახი იყო და სწორედ მან მოიგონა ყრილობის ასე გამოყენება; ნავარაუდევი კიდეც გაუმართლდა, რადგან აღარ იცოდა, რომელი ერთი დაეკმაყოფილებინა სკამის მოთხოვნით. სოფლელი სტუმრები, რომლებიც სიცხის გამო იხუთებოდნენ, ერთმანეთს ხელიდან ჰგლეჯდნენ საკმევლის სუნით გაჟღენთილ ჭილობის სკამებს და მოწიწებით ეყრდნობოდნენ სანთლით დაღვენილ საზურგეებს.

მადამ ბოვარიმ კვლავ გაუყარა მკლავი როდოლფს, რომელიც თითქოს თავისთვის განაგრძობსო ლაპარაკს:

— დიახ, რამდენი მარცხი მომსვლია ცხოვრებაში! და მუდამ მარტო ვყოფილვარ! აჰ! ცხოვრების მიზანი რომ მქონოდა, თანაგრძნობა რომ ვისიმე მრგებოდა, ან ისეთს ვისმე რომ შევყროდი... ოჰ, მაშინ მთელ ჩემს ენერგიას სასარგებლოდ წარვმართავდი. ყველაფერს გადავლახავდი, ყოველივეს ვძლევდი!..

— მე კი მგონია, — თქვა ემამ, — რომ თქვენ საჩივლელი არაფერი გაქვთ...

— ჰოო? თქვენ აგრე გგონიათ?

— რადგან, სხვა არა იყოს რა, — განაგრძო ქალმა, — თავისუფალი ხართ...

და ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა:

— და მდიდარი.

— ნუ დამცინით. — მიუგო როდოლფმა.

ქალი არწმუნებდა, არ დაგცინიო, რომ უეცრად ქვემეხმა დაიქექა; ყველანი დღესასწულის ადგილისკენ გაეშურნენ.

მაგრამ ეს ტყუილი შეშფოთება გამოდგა. პრეფექტი ჯერ კიდევ არ მოსულიყო და ჟიურის წევრებიც ერთ გაჭირვებაში იყვნენ, არ იცოდნენ, დაეწყოთ სხდომა, თუ ელოდნათ.

ბოლოს, მოედნის თავში გამოჩნდა განიერი ლანდო, რომელსაც ორი მქლე ცხენი ება: თეთრქუდიანი მეეტლე, რაც ძალი ჰქონდა, მიერეკებოდა. ბინემ ძლივს მოასწრო დაძახება: „თოფებისაკენ!“ პოლკოვნიკმაც მას მიჰბაძა. ჯარისკაცებმა ჯოჯგინებად დადგმულ თო-

ფებს მიაშურეს. შეიქნა ფუსფუსი. ზოგს საკუთარი საყელოც კი დაავიწყდა. ხოლო პრეფექტის ეტლი, თითქოს ეს ფუსფუსი გათვალისწინებული ჰქონდათ, ნელი ჯაყჯაყით მიადგა მერიის კარიბჭეს სწორედ იმ მომენტში, როცა მეხანძრეთა რაზმი და ეროვნული გვარდია. დოლის ბრახუნით, მის წინაშე გაიშალა.

— სდექ!

დაიღრიალა ბინემ.

— სმენა! — ყვიროდა პოლკოვნიკი, — სწორება მარცხნივ!

ჯარისკაცებმა თოფები გამართეს და ამასთანავე ისეთი ხმაურობა ატყდა, თითქოს კიბეზე სპილენძის ქვაბი დაგორდათ; მერმე ოთოფები ისევ ძირს დაუშვეს.

მაშინ ლანდოდან გადმოხტა ვერცხლისმკერდით ნაქარგმუნდირიანი კაცი, კეფამელოტი, რომელსაც საქოჩრეზე ერთი ნამჯა თმა კიდევ შერჩენოდა. ძალზე ფერმკრთალი, კეთილი გამომეტყველებისა. გამოზიდული თვალები, შეშუპებული უპეებით, ოდნავ მოხუჭული ათვალიერებდა პრბოს, წვიტი ცხვირი ზეაჩქენტოდა, ხოლო ჩაცვენულ ბაგეებს ღიმილი ემჩნეოდა... რაკი ქალაქის თავი მისი შარფით გამოიცნო, გადასცა. რომ ბ. პრეფექტმა მოსვლა ვერ მოახერხა, მე კი პრეფექტერის მრჩეველი ვარო და თან ბოდიში დაიწყო. ტუკაშმა საამო სიტყვით მიმართა, მან კი განაცხადა, ღირსი არა ვარო: ასე იდგნენ ერთხანს, პირისპირ, თითქმის შუბლებით ეხებოდნენ ერთიმეორეს; ჟიურის წევრები, მუნიციპალური საბჭო, პატიეცემული მოქალაქენი, ეროვნული გვარდია და ხალხი გარს ეხვევნენ. მრჩეველმა თავისი სამყურა შავი ქუდი გულზე მიიკრა და მისალმება განაახლა; რკალივით მოხრილი ტუვაშიც იღიმებოდა, ჩიფჩიფებდა, სიტყვებს ვერ პოულობდა, მონარქიისადმი ერთგულებას იფიცებოდა და იმ პატივისცემისათვის მადლობას იხდიდა, იონვილს რომ დასდეს.

სასტუმროს მეჯინიბე იპოლიტემ მეეტლის ცხენებს აღვირში ხელი ჩაჰკიდა და თავისი კოპლაფეხის ათრევით „ოქროს ლომის“ ფარდულში შეიყვანა, სადაც მრავალი გლეხი შეკრებილიყო მოსულის ეტლის დასათვალიერებლად. გაისმა დოლის ხმა, მერმე ზარბაზანი გავარდა და დელეგატებიც გაეშურნენ ესტრადისაკენ ადგილების დასაკავებლად; ისინი მწყობრად მოთავსდნენ წითელი ხავერდის სავარძლებში, ამ შემთხვევისათვის რომ მადამ ტუვაშს ენათხოვრებინა ყრილობისათვის.

ყველა ეს ხალხი ერთმანეთს ჰგავდა: ყველა ქერა, მზისაგან დამწკარი, სიდრისფერი სავსე სახისა; დიდებული ქილვაშები მაღალ გახამებულ საყელოებზე გადმოჰფენოდათ, თეთრი ჰალსტუხების ბაბთები გულმოდგინედ გაეშალათ, ყველას ხავერდის ჟილეტი ეცვა. რომლის ჯიბეშიც საათი იდო, გრძელ ლენტზე დაკიდებული ოვალური ბეჭდით; ხელებით მუხლებს დაყრდნობოდნენ, შარვლის ტოტები ფრთხილად აეწიათ, რათა უპეწო მაუდი არ დაჭმუჭნულიყო, მათს მაგარ წაღებზე უფრო რომ ბრჭყვიალებდა.

რჩეული საზოგადოების ქალები უკვე ისხდნენ ვესტიბიულში, სვეტებს შორის, ხოლო მდაბიონი შენობის პირდაპირ შეჯგუფულიყვნენ, ზოგი ჯდომელა, ზოგიც დგომელა. ლესტიბუდუას უკვე მოესწრო მინდვრიდან აქ სკამების გადმოზიდვა და ახლა ეკლესიაში წარამარა გარბოდა კიდევ მოსატანად; მათ გადმოტანასა და დარიგებაში ისეთი ორომტრიალი შექმნა, რომ ესტრადისკენ მიმავალ ვიწრო კიბეზე ასვლა ძალზე გაჭირდა.

— ჩემი აზრით, — ეუბნებოდა ლერე თავის ადგილისკენ მიმავალ მეაფთიაქეს, — აქ ორი ვენეციური სვეტი უნდა ყოფილიყო აღმართული, ისინი რომ სადად და მდიდრულად მოერთოთ, ძალიან საამო სანახავი იქნებოდა.

— რა თქმა უნდა! — მიუგო ჰომემ, — მაგრამ რა უნდა ქნა? ქალაქის თავმა ყველაფერი ხელში ჩაიგდო. გემოვნება კი საბრალოს დიდი არ გააჩნია, ხოლო იმას, რასაც მხატვრულ ალღოს ეძახიან, სრულიად მოკლებულია.

როდოლფმა მადამ ბოვარი ზემოთ, „სათათბირო დარბაზში“ აიყვანა და რადგანაც ოთახი სრულიად ცარიელი იყო, განაცხადა, რომ ყველაზე უკეთ აქედან შეიძლება ცერემონიისთვის თვალყურის დევნებაო. მრგვალი მაგიდის გარშემო, მონარქის ბიუსტისთვის რომ იდგა, მან ტაბურეტები აიღო, ერთ-ერთ ფანჯარასთან დადგა და ერთმანეთის ახლოს დასხდნენ.

ესტრადაზე მყოფთ აღელვება ეტყობოდათ, ხანგრძლივად ჩურჩულებდნენ, თათბირობდნენ. ბოლოს, ბ. მრჩეველი წამოდგა, ახლა ყველამ იცოდა, რომ მას ლიევენი ერქვა, და მის სახელს განუწყვეტლად იმეორებდნენ. როცა რამდენიმე ფურცელი ქაღალდი დააწყო, თვალი ზედ დააშტერა და დაიწყო:

— ბატონებო!

ნება მიბოძეთ (სანამ დღევანდელ შეკრებილობაზე მოგახსენებ-

დეთ, და ამ გრძნობას, დარწმუნებული ვარ, ყოველი თქვენგანი კაიზიარებს), ნება მიბოძეთ-მეთქი, ვამბობ, სათანადო ბატივი მივუზღო უზენაეს ადმინისტრაციას, მთავრობას, მონარქს, ბატონებს, ჩვენს ხელმწიფეს, იმ საყვარელ მეფეს, რომლისთვისაც საზოგადოებრივი თუ კერძო კეთილდღეობის არც ერთი დარგი უცხო არ არის, რომელიც ასეთი მტკიცე და ბრძნული მარჯვენით მართავს სახელმწიფო ეტლს მუდამ აბრბოქრებული ზღვის უთვალავ საფრთხეთა შორის, რომელმაც ამასთანავე უწყის რარიგ უნდა ვაფასებდეთ მშვიდობიანობასა და ომს, მრეწველობას, ვაჭრობას, მიწათმოქმედებასა და ხელოვნებას.

— ბგონი ჯობს, ცოტა უკან დავიწიო! — თქვა როდოლფმა.

— რათა? — ჰკითხა ემამ.

მაგრამ ამ დროს მრჩეველის ხმამ უმაღლეს კილოს მიაღწია, იგი გაჰკიოდა:

— უკვე წავიდა ის დრო, ბატონებო, როცა მოქალაქეობრივი ეთანხმოებანი სისხლით ღებავდა ჩვენს საჯარო მოედნებს, როცა მესაკუთრე, ვაჭარი და თვით მუშაც კი, საღამოთი მშვიდად ჩაძინებული, მთელი ღამე კანკალებდა იმის მოლოდინში, რომ ცეცხლის წამკიდებელთა დაფი უეცრად გააღვიძებდა, როცა დამღუპველი მოძღვრებანი ეტიფრად არყევდნენ საფუძვლებს...

— იმიტომ, რომ შეიძლება ქვეშოდან დამინახონ, — განაგრძობდა როდოლფი. — და ბერმე მთელი ორი კვირა უნდა ვიბოდიშო, ხოლო ჩემი ცუდი რეპუტაციით...

— ჰა, თქვენ ცილაა აწაებთ თავს! — წამოიძახა ემამ.

— არა, არა! ძალიან ცუდი რეპუტაცია მაქვს, გეფიცებით!

— მაგრამ, ბატონებო, უკეთუ მე ჩემი ხსოვნიდან განვარინებ ამ შავბნელ სურათებს და თვალს ჩვენი მშვენიერი სამშობლოს ახლანდელ მდგომარეობას მივაპყრობ, რას დავინახავ იქ? ყველგან ყვავის ვაჭრობა და ხელოვნება: ყველგან მიმოსვლის ახალი გზები, ვით ახალი არტერიები სახელმწიფოს სხეულში, ამყარებენ ახალ-ახალ ურთიერთობას; ჩვენი მრეწველობის უმთავრესმა ცენტრებმა განაახლეს საქმიანობა; ჩვენი ნავსადგურები სავსეა, ნდობა აღდგენილია, და ბოლოს საფრანგეთი სუნთქავს!..

— თუმცა, — დაუმატა როდოლფმა, — შესაძლებელია, საზოგადოების თვალსაზრისით, მართალიც არიან.

— მერმე როგორ? — იკითხა ემამ.

— როგორ? განა არ იცით, რომ არიან მარად წამებული არსებანი? იმათ ხან ოცნება სჭირიათ, ხან მოქმედება, ხან თვით უწმინდესი ვნებანი, ხანაც გამძაფრებული ტკბობა და ისინიც ამგვარად ყოველნაირ ოცნებასა და სიგიჟეს ეძლევიან.

ემამ ისეთი თვალი შეავლო, როგორითაც არაჩვეულებრივი ქვეყნებიდან დაბრუნებულ მოგზაურს უცქერენ, და მერმე თქვა:

— ჩვენ კი, საბრალო ქალები, ამ გასართობსაც მოკლებულნი ვართ!

— ნაღვლიანი გასართობია, რადგან მასში ბედნიერებას ვერ პოულობენ.

— და განა შეიძლება როდისმე მისი პოვნა?

— დიახ, ერთ მშვენიერ დღეს. უეცრად. — მიუგო მან.

— და ეს თქვენც სცანით, — განაგრძობდა მრჩეველი, — თქვენ სოფლის მეურნეებმა და სოფლის მუშებმა, თქვენ, ცივილიზაციის საქმის მშვიდობიანმა პიონერებმა, თქვენ პროგრესისა და ზნეობრიობის ადამიანებმა, თქვენ გაიგეთ, ვამბობ, რომ პოლიტიკური ქარიშხალი ატმოსფერულ მღელვარებაზე უფრო საშიშია...

— ერთ დღეს შეგეყრება, — გაიმეორა როდოლფმა, — ერთ დღეს, უეცრად, და როცა უკვე სასოწარკვეთილი ხარ. მაშინ ჰორიზონტი გაიშლება და თითქოს ვიღაცის ხმა იძახისო: „აგერ ისიც!" თქვენ გრძნობთ, რომ საჭიროა ამ ადამიანს გაუზიარო შენი ცხოვრების ყოველი საიდუმლო, მისცე მას ყოველივე, ყველაფერი მსხვერპლად შესწირო! მაშინ ადამიანები როდი ებაასებიან ერთმანეთს, რათა აუხსნან რამე, არამედ მიუხვდებიან ერთიმეორეს. მათ თითქოს სიზმარში ნახესო ერთმანეთი (მან ქალს გადახედა). და, ბოლოს, იგი აქვეა, შენს ახლოს, ეს დიდი ხნიდან ნაძიები საუნჯე; იგი ბრწყინავს, ელვარებს, ამავე დროს კი ისევ ეჭვი გეპარება, ვერ ბედავ, ერწმუნო მას; დაბრმავებული დგახარ, თითქოს ჯურღმულიდან სინათლეზე ახლა გამოსულიყო!

უკანასკნელი სიტყვები როდოლფმა მიმიკით დაამთავრა. ხელი ისე გადაისვა შუბლზე, ვით თავბრუდახვევის განმცდელმა; შემდეგ ეს ხელი ემას ხელს დაეცა. ქალმა თავისი განაშორა. მრჩეველი კი ისევ კითხულობდა:

— მერე ვის გაუკვირდებოდა ყოველივე ეს, ბატონებო? მხოლოდ იმას, ვინც იმდენად დაბრმავებულია, ვინც იმდენად გაქღენთილია (მე არ მეშინია ამის თქმისა) წარსული საუკუნეების ცრუ-

რწმენით, რომ სოფლის მეურნე მოსახლეობის თანამედროვე სულისკვეთებას ვერ მისწვდებოდა. სად იპოვით თქვენ უფრო მეტ პატრიოტიზმს, ვიდრე სოფლებშია, სადაა იმაზე მეტი თავდადება საზოგადოებრივი საქმისადმი, ერთი სიტყვით, უფრო მეტი გონიერება? მე იმ ზერელე განვითარებაზე, უქმი გონების ფუქსავატ სამკაულზე როდი მოგახსენებთ, ბატონებო, არამედ აზრთა იმ ღრმა და ზომიერ განწყობაზე, რაც, უწინარეს ყოვლისა, მიმართულია სასარგებლო მიზნების მიღწევისაკენ და რომელიც, ამრიგად, ხელს უწყობს თითოეულის კეთილდღეობას, საერთო საქმის გაუმჯობესებასა და სახელმწიფოებრივობის განმტკიცებას, რაკი იგი კანონებისადმი პატივისცემისა და მოვალეობის განუხრელად აღსრულების ნაყოფია.

ეჰ, — ისევ მოვალეობა, — წამოიძახა როდოლფმა, — და მოვალეობა! ეს სიტყვები ჩემთვის პირდაპირ სულის შემხუთველია. ფლანელის სათბურიანი ბებერი უტვინოები და კრიალოსნიანი ფარისევლები მუდამ ასე ჩაგვწივიან ყურში — „მოვალეობა! მოვალეობა“! ეშმაკმა იცის იმათი თავი! მოვალეობა ისაა, რომ იგრძნო ყოველივე მაღალი, გიყვარდეს ყოველი სილამაზე და არა ის, რომ იწამო საზოგადოების ყოველი პირობითობა იმ სისაძაგლეებთან ერთად, რომლებსაც იგი გვიკარნახებს.

— თუმცა... თუმცა... — თითქოს პასუხს აპირებდა ემა.

— ეჰ, არა! რა საჭიროა ვნებათა წინააღმდეგ გალაშქრება? განა ვნებანი ერთადერთი მშვენება არაა ამ ქვეყნისა, წყარო არაა გმირობის, აღფრთოვანების, პოეზიის, მუსიკის, ხელოვნების, ერთი სიტყვით, ყველაფრისა?

— მაგრამ ხომ საჭიროა, — თქვა ემამ, — ოდნავ მაინც ანგარიშს უწევდე საზოგადოებრივ აზრსა და ემორჩილებოდე მის მორალს?

— საქმე ისაა, რომ მორალი ორგვარია, — მიუგო მან, — ერთია მცირე, პირობითი. ადამიანების მორალი, რომელიც განუწყვეტლად იცვლება და დაუღალავად ამოიძახის საითგანაც ქვემოდან, მიწაში იჩიჩქნება, როგორც აი ის სულელთა კრება, რომელსაც უცქერით. მეორე კი მარადიულია; იგი ჩვენს გარშემოა, ჩვენს ზემოთ, როგორც გარსშემორტყმული ბუნება, როგორც ლურჯი ცა, რომელიც გვინათებს.

ბატონმა ლიევენმა ცსვირსახოცით ტუჩი მოიწმინდა და განაგრძო:

— რა საჭირო იქნებოდა, ბატონებო, რომ აქ თქვენთვის მიწათმოქმედების სარგებლიანობა მემტკიცებინა? ვინ ზრუნავს ჩვენი საარსებო საჭიროებისათვის? მიწათმოქმედი არა? მიწათმოქმედი, ბატონებო, რომელიც შრომისმოყვარე მარჯვენით ნოყიერ ხნულს თესავს, მიზეზია ხორბლის მარცვლის ამოღივებისა; ხოლო ხორბალი, საზრიანად ნაკვეთებზე ფხვნილად ქცეული, ის ფქვილის სახელწოდებით ქალაქებში მიაქვთ და მეპურეებს ეძლევათ, რომელნიც საზრდოს მასალად აქცევენ მას როგორც მდიდრის, ისე ღარიბისათვის. განა მიწათმოქმედი არ ასუქებს საძოვრებზე უთვალავ ჯოგებს, რათა ჩვენ ტანისამოსით უზრუნველგვყოს? რა უნდა ჩაგვეცვა, რითი უნდა გვესაზრდოებინა თავი უმიწათმოქმედოდ? და განა საჭიროა, ბატონებო, კიდევ ვეძიოთ შორეული მაგალითები? ვინ არ დაფიქრებია იმ სარგებლობას, რასაც ცხოველთა სამეფოს ჩოკრძალებული ჯიში იძლევა, ის ჯიში, ჩვენს საფრინველეებს რომ აშენებს და რბილ ბალიშებსაც გვაწვდის საწოლად და გემრიელ ხორცს, კვერცხს საჭმელად? მაგრამ მე ვერასოდეს ვერ გავათავებდი, ერთიმეორეზე რომ ჩამომეთვალა ყველა ის პროდუქტი, რასაც კარგად დამუშავებული მიწა. ვით სულგრძელი დედა, აწვდის თავის შვილებს. აქ ვენახის ვაზია, იქ — ვაშლი სიდრისთვის; სხვაგან — თალგამი, იქით კიდევ — ყველი, და ბოლოს, სელი. ბატონებო, ნუ დავივიწყებთ სელს, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვან სათეს ფართობებს იჭერს, და ნებას მივცემ ჩემს თავს, თქვენი განსაკუთრებული ყურადღება მივაქციო სოფლის მეურნეობის ამ დარგს.

მას სრულიადაც არ ესაჭიროებოდა ამის გახსენება; ყველას პირი დაეღო, თითქოს მის სიტყვებს ყლაპავსო, ორატორის გვერდით მჯდომარე ტუვაში თვალდაჭყეტილი უსმენდა; დეროზერე ჯროდადრო დახრიდა ხოლმე თვალებს; შემდეგ, მეაფთიაქე, რომელსაც თავისი ვაჟი ნაპოლეონი მუხლებს შორის ედგა, ყურზე ხელს წამოიფარებდა ხოლმე, რათა არც ერთი სიტყვა არ გამოპარვოდა. ჟიურის დანარჩენი წევრები, ნიშნად დასტურისა, დარბაისლურად ხრიდნენ თავს. ესტრადის ძირს მდგარი მეხანძრეები ხიშტებს ეყრდნობოდნენ; უძრავი ბინე კი მკლავგაშეშებული იდგა შიშველი ხმლით. მას, შესაძლებელია, რაიმე გაეგონა, დანახვა კი

არაფრისა შეეძლო, ვინაიდან სახე ცხვირამდე ჩაჩქნის კარბით ჰქონდა დაფარული. მის თანაშემწეს, ტუვაშის უმცროს ვაჟს, ჩაჩქანი უფრო დიდი ჰქონდა, რომელიც აქეთ-იქით ულახლახებდა და ჩითის ყელსახვევის ბოლოს უჩენდა. იგი ბავშვური გულუბრყვილობით იღიმებოდა და მისი პატარა ფერმკრთალი სახე, რომელზედაც ოფლი ღვარად სდიოდა, მხიარული, დაღლილი და მთვლემარე იყო.

მთელი ეოედანი სახლების ხაზამდე ხალხით იყო გაჭედილი. ყოველ კარსა და ფანჯარაში მაყურებლები მოჩანდა. აფთიაქის დამინულ დარაბასთან მდგარი ჟუსტენი მთლად ჭვრეტად ქცეულიყო. მიუხედავად სიჩუმისა, ლიევენის ხმა სივრცეში იკარგებოდა. ისმოდა მხოლოდ ფრაზების ნაწილი, რასაც სკამების ხმაური ფარავდა; ვერმე, უეცრად, უკანიდან მოისმოდა ხარისა და ცხვრების გაბმული ბღავილი. მწყემსებმა თავიანთი ჯოგები მორეკეს ქუჩებში. ძროხები დროგამოშვებით ბღაოდნენ. მწვანე მოქანავე მორთულობათა ფოთლებს წიწკნიდნენ.

როდოლფმა ემასკენ მიიწია და წყნარი ხმით, აჩქარებით დაიწყო:

— განა ეს საერთო შეთქმულება თქვენ არ გაშფოთებთ? განა არის თუნდაც ერთი რომელიმე გრძნობა, რომელიც საზოგადოებამ არ დაძრახოს? თვით უკეთილშობილეს მისწრაფებას, უწმინდეს სიმპათიას იგი სდევნის და აძაგებს. შეხვდება თუ არა ერთმანეთს ორი საბრალო არსება. ყოველივე ისეა მოწყობილი, რომ ისინი ვერ შეერთდნენ; მაგრამ ისინი მაინც განწირვით ეცდებიან, ფრთების მტვრევით იფართქალებენ, ერთმანეთს მოეწოდებენ! ოჰ, ადრე თუ გვიან, ექვსი თვისა თუ ათი წლის შემდგომ, — განა სულ ერთი არაა? — ისინი მაინც შეერთდებიან, შეიყვარებენ ერთმანეთს, იმიტომ რომ ამას მოითხოვს ბედისწერა, იმიტომ რომ ისინი ერთმანეთისთვის არიან დაბადებულნი...

იგი მუხლებზე ხელდაკრეფილი იჯდა და ემასკენ სახემიმართული დაჟინებით უცქერდა თვალებში. ქალი მის თვალებში ამჩნევდა ოქროვან ნაპერწკლებს, შავ გუგებში რომ ელავდა. ყნოსავდა ნელსაცხებლის სუნს, რომლითაც თმა ჰქონდა გაპოხილი. უეცრად მოდუნება იგრძნო, გაახსენდა ვიკონტი, ვობიესარში რომ ვალსზე მიიწვია; მის წვერს, როგორც აი ამ თმას, ვანილისა და ლიმონის სურნელება სდიოდა; შეუგნებლად მოხუჭა თვალები, რა-

თა მეტი სიმძაფრით ეგრძნო ეს სურნელება. მაგრამ, როცა სკამის საზურგეს მიეყრდნო, ამ მოძრაობისას შორს, მინდვრების ბოლოს თვალი მოჰკრა ძველ დილიჟანს „მერცხალს“. რომელიც ლეს სერზე ნელა ჩამოდიოდა და უკან მტვრის ბუღს აყენებდა. ამ ყვითელი ეტლით რამდენჯერმე მისულა მისას ლეონი; და ამავე გზით იგი სამუდამოდ განშორდა მას! მოეჩვენა, თითქოს მას მოედნის იქითა ნაპირზე ხედავსო, მის ფანჯარასთან; შემდეგ ყველაფერი აირია, ბინდით დაიფარა; ეჩვენებოდა, თითქოს ისევ ვალსით ტრიალებდა ვიკონტთან, და ვითომ ლეონი შორს არაა, სადაცაა შემოვა... ამასთანავე კი სულ ახლოს კვლავ როდოლფის თავს გრძნობდა. ამ განცდის სიამეს გამსჭვალა მისი წინანდელი, კვლავ გაცოცხლებული სურვილები, რომლებიც ვით ქარისგან აყენებული ქვიშა, რიალებდნენ სურნელების ნაზ ტალღებში. მის სულს რომ წყაროსავით ავსებდნენ. რამდენჯერმე გაიგანიერა ნესტოები, რათა სვეტებს შემოხვეული უსურვაზის სუნი ეყნოსა. თათმანები გაიძრო. ხელები შეისრისა, შერმე სახე ცხვირსახოცით იგრილა, თანაც ყურში მიუგდო მოგუგუნე ბრბოსა და მრჩევლის ხმას. რომელიც გაბმულად განაგრძობდა:

— განაგრძეთ! ამსნეევეთ! ყურს ნუ დაუგდებთ ნურც რუტინის შთაგონებათ. ნურც წინდაუხედავი ექსპერიმენტატორების ნაჩქარევ რჩევას. უწინარეს ყოველისა, იზრუნეთ ნიადაგის გაუმჯობესებისათვის, კარგი სასუქისათვის, ცხენების, რქიანი საქონლის, ცხვრებისა და ღორების უკეთეს ჯიშთა გამოყვანისათვის! დაე, ეს გამოფენა იქნეს თქვენი მშვიდობიანი ასპარეზი, რომელზედაც მან, ვინც შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა. ხელი გაუწოდოს დამარცხებულსა და დაუძმობილდეს მომავალ წარმატებათა მოლოდინში! თქვენ კი. სახელოვანო მსახურნო, მოკრძალებულნო მუშაკნო. ეს ეჯიათი შრომაც დღემდე არც ერთი მთავრობის მიერ დაფასებული არ ყოფილა, მოდით და მიიღეთ ჯილდო თქვენ ჩუმი სათნოებისათვის და დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, რომ ამიერიდან სახელმწიფოს თვალი თქვენსკენაა მოპყრობილი, რომ იგი მხარს დაუჭერს თქვენს სამართლიან მოთხოვნებს და, რამდენადაც კი შესაძლებელია, შეგიმსუბუქებთ თქვენ მიერ გაღებულ მძიმე მსხვერპლს!

აქ ლიევენი დაჯდა, ადგა დეროზერე და დაიწყო თავისი სიტყვა. ეს მეორე სიტყვა, შესაძლებელია. ისეთი ფერადოვანი არ იყო.

როგორც მრჩეველისა, მაგრამ მას სხვა, დადებითი ხასიათის უპირატესობანი ჰქონდა. სახელდობრ, მეტი სპეციალური ცოდნა და მეტი არსებითი მოსაზრებანი. მთავრობის ქებას იქ ნაკლები ადგილი ჰქონდა დათმობილი, მეტი კი — სარწმუნოებასა და მიწათმოქმედებას. აღნიშნული იყო მათი ურთიერთ დამოკიდებულება და გამორკვეული იყო, რამდენად ერთობლივად უწყობდა ხელს ცივილიზაციის წარმატებას.

როდოლფი და მადამ ბოვარი სიზმრებზე. წინათგრძნობასა და მაგნეტიზმზე ბაასობდნენ. ორატორმა კაცობრიობის ცხოვრების პირველი ხანა მოიგონა, როცა ადამიანები უღრან ტყეებში რკოთი საზრდოობდნენ, შემდგომ მათ უკუაგდეს მხეცთა ტყავები, შალის ქსოვილებით შეიმოსნენ და დარგეს ვაზი. ყოველივე ეს საკეთილო იყო, თუ ამ აღმოჩენებში საფრთხე მეტი სუფევდა, ვიდრე უპირატესობა? დეროზერი ასეთ საკითხს აყენებდა. როდოლფი კი მაგნეტიზმიდან ნელინელ სულთა ნათესაობაზე გადავიდა, და იმ დროს, როცა ყრილობის თავმჯდომარე იხსენიებდა კავით მხვნელ ცინცინატის, კომბოსტოს მთესველ დიოკლეტიანეს და ჩინეთის იმპერატორებს, რომლებმაც თესვის დრო ახალი წლის დასაწყისად შემოიღეს, აღფრთოვანებული მობაასე ახალგაზრდა ქალს უხსნიდა, რომ სულთა გარდუვალ თანაზიარობის მიზეზი წინანდელ სიცოცხლეთა მემკვიდრეობაა, იმ დროს განცდილი, როცა ჩვენ ჯერ კიდევ ამქვეყნად მოვლენილნი არ ვყოფილვართო.

— აი, თუნდ ჩვენ, — ამბობდა იგი. — რისთვის შეეხვედით ერთმანეთს? რა შემთხვევამ ინება ეს? ისე, ვით ორი მდინარე, როძელიც განცალკევებით მოედინება, რათა შემდეგ შეერთდეს. ჩვენც, მიუხედავად სივრცისა, ჩვენი ცხოვრების დალმართმა ერთიმეორისკენ დაგვაქანა.

როდოლფმა ხელში ხელი ჩასჭიდა. ემა ნებას დაჰყვა.

„მთლიანად კარგი მოვლილი მეურნეობა!“ — გაჰკიოდა თავმჯდომარე.

— მაგალითად, წეღან რომ თქვენთან შემოვედი...

„— ...ბატონ ბიზეს, კენკამპუადან...“

— განა ვიცოდი, რომ თქვენ გამოგყვებოდით აქ?

„— ...სამოცდაათი ფრანკი!“.

— რამდენჯერმე მინდოდა წასვლა, მაგრამ მაინც დავრჩი, გამოგყევით.

„— ნიადაგის გაპოხიერება.“

— ისე, როგორც დავრჩებოდი ამ საღამოს, ხვალ, ყოველ-ოვის, მთელ ჩემს სიცოცხლეში!

„— ბატონ კარონს არგელიდან — ოქროს მედალი!“

— რადგან არავისგან ასეთი სრული მომხიბლველობა არ განმიცდია...

„— ბ. ბენს ჟივრი-სენ-მარტენიდან...“

— და თქვენი ხსოვნა მუდამ განუყრელი იქნება.

„— მერინოსის ჯიშის ცხვრისათვის...“

— თქვენ კი დაგავიწყდებით და თქვენს ცხოვრებაში ისე გავიცლი, ვით აჩრდილი.

„— ბ. ბელოს ნოტრ-დამიდან...“

ოჰ, არა. არა! თქვენს გონებაში, თქვენს ცხოვრებაში რამდენადმე მაინც დავრჩები, ხომ?

ღორის ჯიშებისათვის ჯილდო შუა გაიყვეს ბ. ლეჰერისემ და ბ. კულემბურგმა, თითოს სამოცი ფრანკი!“

როდოლფი ხელს უჭერდა და გრძნობდა, რომ ქალის ხელი იწვოდა და ფართქალებდა, ვით დაჭერილი გვრიტი, გასხლტომას რომ ლამობს; ხელის განთავისუფლებას ეცადა, თუ იმის ხელის მოჭერას უპასუხა, ემამ კი თითები შეანძრია:

— ოჰ, გმადლობთ! — წამოიძახა ვაუმა, — უარს არ მყოფთ! რა კეთილი ხართ! განა არ იცით, რომ თქვენი ვარ, ნება მიბოძეთ, გნახოთ, დავტკბე თქვენი ხილვით!

ქარმა დაუბერა და მაგიდაზე სუფრა დაანაოჭა, ქვევით კი, მოედანზე ქალთა თავსაფრების ყურები ისე ააფრიალა, თითქოს აფრენილ თეთრ პეპელათა ფრთებიაო.

„— ზეთოვანი მარცვლის ნაწნეხის გამოყენება“, — განაგრძობდა თავმჯდომარე.

იგი ჩქარობდა:

„— ფლამანდური სასუქი, ხელის კულტურა, ჭაობების ამოშრობა, გრძელვადიანი იჯარა, შინაური მუშა-პერსონალის სამსახური“.

როდოლფი დუმდა. ერთმანეთს უცქეროდნენ. ბაგე ორივეს გაფიცხებოდა და სურვილით უთრთოდა; და ნაზად, ძალდაუტანებლად, მათი თითები გადაიხლართა.

„— კატერინ-ნიკეზ-ელისაბედ ლერუს, სასტო-ლაგერიერიდან,

ერთსა და იმავე ფერმაში ორმოცდათოთხმეტი წლის სამსახურისათვის — ვერცხლის მედალი, ოცდახუთი ფრანკის ღირებულებისა!“

„— სად არის იგი, კატერინ ლერუ?“ — გაიმეორა მრჩეველმა.

ლერუ არ გამოდიოდა, მაგრამ ისმრდა ჩურჩული:

— გადი რაღა!

— არ გავალ.

— მარცხნივ.

— ნუ გეშინია!

— აი სულელი!

— აქ არის, თუ არა-მეთქი? — დაიძახა ტუვაშმა.

— დიახ!... აი აგერ!

— მერედა, მოვიდეს!

მაშინ შეშინებული ნაბიჯით ესტრადისკენ გაემართა ჩია დედაბერი, რომელიც თავის ღარიბულ ჩაცმულობაში ბოლად მობუზულიყო. ფეხზე ხის ტლანქი ქოშები ეცვა, თეძოებს ფართო ლურჯი წინსაფარი უმოსავდა. გამხდარი სახე დამჭკნარი ვაშლივით დანაოჭებოდა. ხოლო წითელი კოფთის სახელოებიდან გრძელი, სახსრებში დამურძებული ხელები უჩანდა. ბეღლების მტვრისა, სარეცხის მტუტისა და მატყლის ქონისაგან ხელები ისე გახევებოდა და დახეთქოდა, რომ ტალახიანს უგავდა, თუმცა წყაროს წყლით კი ჰქონდა დაბანილი; მუშაობას მიჩვეული ხელები ნახევრად მოპეშვილი იყვნენ, თითქოს გადატანილ ტანჯვათა მოკრძალებული მოწმენი არიანო. სახეს რაღაც მონაზვნისებური სისასტიკე ემჩნეოდა; არც ნაღველი და არც სინანზე არ ალბობდა მის გულგრილ ცქერას. ცხოველებთან მჭიდრო კავშირმა შეათვისებინა მათივე უთქმელობა და ჩუმი მორჩილება. თავის სიცოცხლეში პირველად ეწერებოდა ასეთ მრავალრიცხოვან კრებას; ამ დროშებით, დოლებით, შავფრაკიანი ბატონებითა და მრჩეველის ორდენით დაშინებული, იდგა უძრავად და არ იცოდა, წინ წასულიყო, თუ-უკან, ან იქით, საითაც ბრბო უბიძგებდა, არც ის იცოდა, რად ულიმოდნენ ქიურის წევრები. ასე იდგა ნახევარსაუკუნოვანი მონობა ამ. აყვავებული ბურჟუაზიის წინაშე.

— მობრძანდით, პატივცემულო კატერინ-ნიკეზ-ელისაბედ ლერუ! — წარმოთქვა ბ. მრჩეველმა და თავმჯდომარეს დასაჯილდოე-

ბელ. პირთა სია გამოართვა. ჯერ სიას დააცქერდა. მერმე დედა-ბერსაც და მამობრივი კილოთი განუმეორა:

მობრძანდით, ახლოს მობრძანდით!

— რაო, ყურს ხომ არ გაკლიათ? — ჰკითხა ტუვაშმა და საკარძელში შეხტა, მერე ყურში ჩასძახა:

— ორმოცდათოთხმეტი წლის სამსახური! ვერცხლის მედალი! ოცდახუთი ფრანკი! თქვენ!

დედაბერმა მედალი მიიღო და დააშტერდა. სახე ბედნიერების ღიმილმა გაუბრწყინა და წასვლისას წაიბუტბუტა:

— ჩვენს მოძღვარს მივცემ, რომ მიწიროს ხოლმე.

— რა ფანატიზმია! — ნოტარიუსისკენ გადახრით წამოიძახა მეაფთიაქემ.

სხდომა გათავდა: ხალხი წავიდ-წამოვიდა; ახლა, როცა სიტყვები წარმოითქვა, ყველა თავის საზოგადოებრივ მდგომარეობას დაუბრუნდა და ყველაფერი კვლავ ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა. პატრონები მსახურებს აგინებდნენ, ესენი კი პირუტყვებს სცემდნენ, ამ ზანტ მოზეიმეებს, რომლებიც თავიანთ ბოსლებს უბრუნდებოდნენ რქებზე მწვანე გვირგვინწამოცმულნი.

ამასობაში ეროვნული გვარდიის ჯარისკაცები მერიის მეორე სართულზე ადიოდნენ, ხიშტებზე ფუნთუშები ჰქონდათ წამოცმული, ხოლო მათი მედოლე ბოთლებით სავსე კალათს მიათრევდა. მადამ ბოვარიმ მკლავი გაუყარა ბ. როდოლფს, რომელმაც სახლამდე მიაცილა; კარებთან ერთმანეთს გამოეთხოვნენ; შემდეგ როდოლფი მარტო დასეირნობდა მინდორში ბანკეტის მოლოდინში.

ლხინი ხანგრძლივი და ხმაურიანი იყო; სტუმრები ისე მჭიდროდ ისხდნენ, რომ იდაყვის გაშლა არ შეიძლებოდა, ხოლო საჭდომად გამართული ვიწრო ფიცრები კინაღამ ჩაიმტვრა. უხვად ჭამდნენ. ყველა ცდილობდა გადახდილი ფულის საფასური შეეჭამა. სახეზე ოფლი წურწურით სდიოდათ; სუფრაზე, ლამპებს ქვეშ, მოთეთრო ბუღი ფოფინებდა, ვით ნისლი მდინარის ზედაპირზე შემოდგომის გრილ დილას. კარვის ტილოს ზურგით მიყრდნობილი როდოლფი ისე გაერთო ემაზე ფიქრებში, რომ აღარაფერი ესმოდა. უკან, მოლზე ლაქიები ჭუჭყიან თეფშებს ახვავებდნენ; მეზობლები ელაპარაკებოდნენ როდოლფს, მაგრამ იგი არ პასუხობდა; ღვინოს უსხამდნენ და დუმილი მყარდებოდა მის გონებაში. საზოგადოება კი უფრო და უფრო ხმაურობდა. იგი ემას ბაგეთა მოყვანი-

ლობასა და იმაზე ფიქრობდა, თუ რა უთხრა მან, მისი სახე ბუზარადებში იხატებოდა, ვით ჯადოსნურ სარკეში: მისი კაბის ნაოჭები კედლებზე ეშვებოდა და თვალწინ, მომავლის პერსპექტივით სიყვარულისთვის შეწირული უთვალავი დღეები ეშლებოდა.

საღამოს ერთხელ კიდევ იხილა იგი, ფეიერვერკის დროს; მაგრამ ქალს ქმარი და ცოლ-ქმარი ჰომე ახლდნენ; ბ. ჰომეს ნამტყუნევი რაკეტების შიში ჰქონდა და მალიმალ ტოვებდა ხოლმე თავის საზოგადოებას, რათა ბინესთვის რჩევა მიეცა.

ფეიერვერკის მასალა, ტუვაშის სახელზე რომ იყო გაძოგზავნილი, დიდი სიფრთხილით იყო ჩაკეტილი მის სარდაფში; დანესტიანებული თოფისწამალი ხეირიანად აღარ ფეთქდებოდა და პროგრამის მთავარი ნომერი, რომელსაც საკუთარი კუდის მკბენი ურჩხული უნდა გამოეხატა, სრულიად ჩაიფუშა. ხანდახან ავარდებოდა ხოლმე უბადრუკი რომაული შანდალი, მაშინ პირდაღებული ბრბო ყიჟინას ატეხდა, მას შეუერთდებოდა წვიანი ქალებისა, რომელთაც ბნელში უღუტუნებდნენ. ემა მდუმარე შარლის ბეჭს ეკვროდა, ან თავს მაღლა აწევდა და ცაში რაკეტის ფრენას ადევნებდა თვალს. როდოლფი მისი ცქერით ტკბებოდა ჩირაღდნების შუქზე.

ნელი-ნელ რაკეტებიც ჩაქრა. ვარსკვლავები გამობრწყინდა. წვიმის რამდენიმე წვეთი ჩამოვარდა. ემამ გაროზი წამოიფარა.

ამ დროს სასტუმროდან წამავალი მრჩევლის ეტლი დაიძრა. მეეტლე მთვრალი იყო და იმწამსვე ჩაეძინა: შორიდან, ორ ფარანს შორის, მოჩანდა, როგორ ირხეოდა მისი ჩასუქებული სხეული ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ რესორების მოძრაობის შესაბამისად.

— ჭეშმარიტად საჭიროა სასტიკი ღონისძიების მიღება ლობობის წინააღმდეგ. — თქვა მეაფთიაქემ. — მე ვისურვებდი, რომ მერიის კარებში განსაკუთრებულ დაფაზე ყოველკვირეულად ყოფილიყო აღნიშნული იმათი გვარები, ვინც ალკოჰოლით იწამლებოდა, და ამასთანავე ეს ცნობები, სტატისტიკის თვალსაზრისით, ნათელ სურათს წარმოგვიდგენდა, რომელსაც, საჭიროების დროს... მაგრამ, უკაცრავად!

და იგი კვლავ კაბინეტთან გაიქცა.

ბინე შინ მიდიოდა, თავის სახარატო დაზგასთან.

— შესაძლებელია, ცუდს არ იზამდით, — უთხრა მეაფთია-

ქემ. — რომ თქვენი რაზმიდან ვინმე გაგეგზავნათ, ან თვით წასულიყავით...

— თავი დამანებეთ ერთი, — მიუგო გადასახადთა ამკრეფმა, — ხომ ხედავთ, რომ არაფერია!

— დამშვიდდით, — უთხრა მეაფთიაქემ თავის მეგობარს, — ბინემ დამარწმუნა, ყოველი ღონისძიება მიღებულიაო; არც ერთი ნაპერწკალი არ დაგვეცემა, სახანძრე კასრები სავსეა წყლით. წავიდეთ, დავიძინოთ.

ბართალი გითხრათ, მე უარს არ ვიტყოდი, — მთქნარებით თქვა ბადამ ჰომემ, — მშვენიერი დარი კი დაუდგა ამ ჩვენს დღესასწაულს.

— ო, დიახ, ჩინებული დღეა!

წყნარად და ნაზი ცქერით დაუდასტურა როდოლფმა.

ყველანი ერთმანეთს გამოეთხოვნენ და განშორდნენ.

ორი დღის შემდეგ „რუანის შუქურაში" დიდი წერილი იყო ბოთავსებული ყრილობის შესახებ, ჰომემ მეორე დღესვე ერთი დაკვრით შეადგინა იგი.

„რას ნიშნავდა ეს გვირგვინები, ყვავილები, ჰირლანდები? სად მიილტვოდა ეს ბრბო, ვით ტალღები მღელვარე ზღვისა. ამ ტროპიკულ მზის სხივებში, ჩვენს ხნულებს რომ აცხუნებდა?"

შემდეგ იგი ლაპარაკობდა გლეხობის მდგომარეობაზე. რა თქმა უნდა. ბოლვრობა ბევრ რამეს აკეთებს, მაგრამ ეს არ კმარა! „გამხნევდით! — მიმართავდა მათ ჰომე, — საჭიროა მრავალი რეფორმა. განვაჭორციელოთ ისინი", ქვემოთ აღწერდა რა მრჩევლის მოსვლას, იგი არ ივიწყებდა არც „ჩვენი მილიციის მამაცურ შესახედაობას", არც „ჩვენს მეტად მკვირცხლ სოფლელ ქალებს", არც მელოტ ბოხუცებს, პატრიარქებს რომ გვანან, რომელთაგანაც ზოგიერთი, „ჩვენი უკვდავი ფალანგების ნაშთები დაფის საომარი ხმის გაგონებაზე გრძნობდა, რომ მათი გული წინანდებურად ბამაცური აღფრთოვანებით ძგერდა". ჟიურის წევრთა სიაში პირველად თავის თავს ასახელებდა, ხოლო, შენიშვნაში იმასაც აღნიშნავდა, რომ ბ. ჰომემ, მეაფთიაქემ, სიდრეს შესახებ საკუთარი მემუარი გაუგზავნა სამეწყალთმოქმედო საზოგადოებას. როცა ჯილდოების დარიგებას ეხებოდა, აღფრთოვანებით აღწერდა დაჯილდოებულთა სიხარულს. „მამა შვილს ეხვეოდა, ძმა — ძმას, მეუღლე — მეუღლეს. არა ერთი და ორი ბედნიერი სიამაყით უჩვენებდა თავის მცირე

მედალს და, უეჭველია, შინ, თავის კეთილ დიასახლისთან დაბრუნებული, იგი თვალზე ცრემლმორეული დაკიდებს მას თავის მოკრძალებული ქოხის კედელზე.

„ექვს საათზე ბ. ლიგარას მინდორში გამართული იქნა ბანკეტი, რომელსაც დაესწრნენ ზეიმის მთავარი მონაწილენი. სუფრაზე უდიდესი გულითადობა ბოლომდე არ შეწყვეტილა. წარმოთქმული იქნა სხვადასხვა სადღეგრძელო: ბ. ლიეენმა — მონარქის! ბ. ტუვაშმა — პრეფექტის! ბ. დეროზერემ — სოფლის მეურნეობის! ბ. ჰომემ — ხელოვნებისა და მრეწველობის, ვით ორი ღვიძლი დისა! ბ. ლეპლეშემ — საერთო აღორძინებისა! საღამოს, ბრწყინვალე ფეიერვერკმა უეცრად გააბრდღიალა არემარე. ნამდვილი კალეიდესკოპი, ჭეშმარიტი თეატრალური დეკორაცია გეგონებოდათ და ერთი წუთით ჩვენს პატარა დაბას თავი „ათას ერთი ღამის“ სიზმარში ეგონა.

„აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არავითარ სამწუხარო მოვლენას არ დაურღვევია ეს ოჯახური შეკრებილობა“.

და აქვე დასძენდა:

„ყველა ამჩნევდა სამღვდელოების დაუსწრებლობას. ალბათ, სასულიერო მმართველობას პროგრესი სხვანაირად ესმის, თქვენი ნებაა, ლოიოლას მიმდევარო ბატონებო!“

IX

ექვსი კვირა გავიდა. როდოლფი არ მოსულა. ბოლოს, ერთ საღამოს გამოჩნდა.

გამოფენის მეორე დღეს თავისთვის თქვა:

„არ ავჩქარდები იქ მისასვლელად. ეს შეცდომა იქნებოდა“.

და კვირის მიწურულში სანადირო წავიდა. ნადირობის შემდეგ კი უკვე ძალიან დაგვიანებული ეგონა, მაგრამ შემდეგ ასე განსაჯა:

„თუკი პირველი დღიდანვე შევუყვარდი, მაშინ, ჩემი ნახვის მონატრებულს ახლა უფრო უნდა ვუყვარდე. ასე რომ, ჯობს, არ მივიდე!“

სასტუმრო ოთახში შესვლისას, მიხვდა, რომ მისი ვარაუდი სწორი გამოდგა, რადგან შეამჩნია, რომ ემა გაფითრდა.

ქალი მარტო იყო. ბინდდებოდა ფანჯრის მქრქალი ფარდები

ბინდს ანუქებდა, ხოლო ბარომეტრის ვარაყი, რომელზედაც მზის სხივი თამაშობდა, სარკმელში ალივით ლაპლაპებდა.

როდოლფი იდვა: ემამ ძლივს მოახერხა სამაგიერო სალამის მიცემა. ვაჟმა უთხრა:

— საქმეები მქონდა. თანაც ავად ვიყავი.

— ძლიერ? — წამოიძახა ქალმა.

— არა! — მიუგო როდოლფმა და მის ახლოს დაჯდა ტაბურეტზე. — ისე, არ მინდოდა თქვენთან მოვსულიყავ.

— რათა?

— ვერ მიხვდით?

ვაჟმა კვლავ თვალებში შეხედა, მაგრამ ისეთი უტიფარი სურვილით, რომ ქალი წამოწითლდა და თავი დახარა.

— ემა... — დაიწყო ვითომ მან.

— ბატონო! — თქვა და ოდნავ დაშორდა.

— აი, ხომ ხედავთ, — ნაღვლიანად დაიწყო მან, — რომ მართალი ვიყავი, როცა მოსვლა არ მინდოდა. სახელი, სახელი, რომელიც მთელ ჩემს სულს ავსებს, თქვენ ამ სახელის წარმოთქმას მიკრძალავთ! მადამ ბოვარი! ეჰ, მთელი ქვეყანა ასე გეძახით!.. და, გარდა-იშისა, ეს ხომ თქვენი სახელი არაა, იგი სხვისია!

და გაიმეორა:

— სხვისია!

ბერმე სახეზე ხელები აიფარა.

— დიახ, განუწყვეტლად თქვენზე ვფიქრობ... თქვენი ხსოვნა სასოწარკვეთილებას მგვრის... ეჰ, უკაცრავად! უნდა წავიდე.. შშვიდობით!.. წავალ სადმე შორს, ძალიან შორს, რომ ველარასოდეს ჩემზე ველარაფერი გაიგონოთ! ხოლო... დღეს... არ ვიცი, რა ძალამ მაიძულა თქვენი ნახვა! ზენაარის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება, ანგელოზთა ღიმილს წინ ვერ აღუდგები! მიტაცებს ის, რაც ლამაზია, მომხიბვლელი, საღმერთებელი!

ემას თავის სიცოცხლეში პირველად ესმოდა ასეთი სიტყვები; და მისი პატივმოყვარეობა, ვით თბილ აბანოში მყოფი ადამიანი, ამ სიტყვების მცხუნვარებაში ლივლივებდა.

— მაგრამ, უკეთუ არ მოვდიოდი, — განაგრძობდა იგი, — უკეთუ თქვენი ნახვა არ შემეძლო, მაინც დიდი ხალისით ვუცქერდი ყოველივეს, რაც თქვენს გარშემოა. ღამით... ყოველღამე ავდგებოდი, აქ მოვდიოდი და ვუცქერდი თქვენს სამყოფელს, მთვა-

რით განათებულ სახურავს, ბაღის ხეებს, თქვენს ფანჯრებთან რომ ირხევიან, და პატარა ლამპარს, სინათლეს, რომელიც ფანჯრებიდან ბინდბუნდში კიაფობს. აჰ, თქვენ, რასაკვირველია, ფიქრადაც კი არ მოგდიოდათ, რომ თქვენი სახლის ახლოს, და იმავე დროს ასე შორს თქვენგან, დგას ვიღაც, მეტად უბედური...

ქალი მისკენ მობრუნდა ცრემლმორეული.

— ოჰ, რა კეთილი ხართ! — წარმოთქვა მან.

— არა, მე თქვენ მიყვარხართ, მხოლოდ! და თქვენ ამისი ეჭვი არ უნდა გქონდეთ! მითხარით, რომ ასეა! ერთი სიტყვა, მხოლოდ ერთი!

და როდოლფი სკამიდან შეუმჩნევლად იატაკზე ჩამოცურდა; მაგრამ ამ დროს სამზარეულოდან ხის ქოშების ხმა მოისმა; როდოლფმა შენიშნა, რომ სასტუმროს კარი მიხურული არ იყო.

— იყავით იმდენად შემბრალე, რომ ამისრულეთ ერთი რამ სათხოვარი. — დაუმატა მან და წამოდგა.

იგი სთხოვდა, თქვენი სახლი დამატარეთო; სურდა, ყველაფერი ენახა შიგ; და რაკი მადამ ბოვარი დასთანხმდა, ორივე ადგა, ამ დროს ოთახში შარლი შემოვიდა.

— გამარჯობა, ექიმო! — უთხრა როდოლფმა.

ამ მოულოდნელი ტიტულით ნაამებმა ექიმმა ათასნაირი თავაზა მიუძღვნა, ამასობაში როდოლფი ცოტათი თავის ყალიბში ჩადგა.

— თქვენი მეჯღლე. — დაიწყო როდოლფმა. — თავის ჯანმრთელობაზე მიამბობდა...

შარლმა სიტყვა გააწყვეტინა: მას მართლა აფიქრებდა ცოლის მდგომარეობა, სულისხუთვა კვლავ განუახლდა. მაშინ როდოლფმა ჰკითხა, ცხენოსნობა ხომ არ არგებსო.

— რა თქმა უნდა! საუცხოოა, ჩინებული! აი მართლაც აზრი! შენ უსათუოდ უნდა დაუჯერო ამას.

როცა ქალმა უპასუხა ცხენი არ მყავსო, როდოლფმა თავისი შესთავაზა. უარი თქვა; აღარც როდოლფმა დაიჟინა; შემდეგ. რათა თავისი მოსვლა გაემართლებინა, განაცხადა, გლეხს, რომელსაც სიცხელი გაუღეთ, კვლავ თავბრუ ესხმისო.

— როდისმე ვინახულებ, — უთხრა ბოვარიმ.

— არა, არა! აქ გამოვგზავნი; ჩვენ თვითონ მოვალთ. უმჯობესია.

— ძალიან კარგი, გმადლობთ.

როცა ცოლ-ქმარი მარტო დარჩა, შარლმა ჰკითხა:

— რატომ არ გინდა ბ. ბულანჟეს წინადადება მიიღო, რომელიც ასე თავაზიანია?

იგი. თითქოს გაიბუტაო, ათასგვარი რამ საბაბი ეოიგონა და ბოლოს თქვა. შ ე ი ძ ლ ე ბ ა, კ ა ცს უ ც ნ ა უ რ ა დ მ ო ე ჩ ვ ე ნ ო ს ო.

— აჰ. რა მენაღვლება! — წამოიძახა შარლმა და სწრაფად შეტრიალდა. — ჯანმრთელობა უწინარეს ყოვლისა. შენ არა ხარ მართალი.

— ან კი როგორ გინდა ცხენზე შევჯდე, როცა ამაზონური კაბა არა მაქვს?

უნდა შეუკვეთო! — მიუგო მან.

სწორედ ამ კაბამ გადააწყვეტინა.

როცა კაბა მზად იყო, შარლმა ბ. ბულანჟეს მისწერა ჩემი ცოლი გელოდებათ და თქვენი თავაზიანობის იმედი გვაქვსო.

მეორე დღეს, შუადღისას, როდოლფი ორი კარგად ნახედნი ცხენით შარლის კარს მიადგა. ერთ-ერთი ცხენი წითელი ჯინჯილებით იყო მორთული და ზამშის საქალო უნაგირით შეკაზმული.

როდოლფს მაღალი რბილი წაღები ჩაეცვა და ფიქრობდა, ალბათ, ასეთი თავის დღეში არ ექნება ნახულიო. და მართლაც, ემას ძლიერ მოეწონა მისი ჩაცმულობა, როცა იგი ხავერდის, საცხენოსნო გრძელ კამზოლითა და თეთრი ტრიკოს შარვლით გამოწყობილი წინკარში შევიდა. ემაც მზად იყო, მას ელოდებოდა.

აფთიაქიდან ჟუსტენმა მოირბინა, რათა ემასთვის თვალი შეევლო, თვით შეაფთიაქეც გაისარჯა. მან ბ. ბულანჟეს სათანადო დარიგება მისცა:

— ეშმაკს თვალი არ უჩანს! სიფრთხილე გმართებთ! შესაძლოა. ცხენები ძალიან ფიცხობენ?

ემას ზემოდან ხმაური მოესმა: ეს ფელისიტე იყო, ბერტას გასართობად რომ ფანჯრის მინას ურაკუნებდა. ბავშვი ფუნთუშა ხელით ჰაეროვან კოცნას უგზავნიდა, დედამ მათრახის ტარით სამაგიერო ანიშნა.

— სიამის სეირნობა, — მიაძახა ჰომემ, — მაგრამ სიფრთხილე, სიფრთხილე მთავარია!

და წასულებს გაზეთი დაუქნია.

როგორც კი ემას ცხენმა რბილი მიწა იგრძნო, მყისვე გაჭენე-

ბა მოიწადინა. როდოლფიც გვერდით ძიაქენებდა. ხანდახან ნაწ-ყვეტ ფრაზებს ესროდნენ ერთმანეთს. ოდნავ თავდახრილი, მარცხენა ხელაწეული და მარჯვენა დაშვებული, ემა მოძრაობის რიტმს მიენდო, უნაგირზე რომ აკვანივით არწევდა.

აღმართის დასაწყისში როდოლფმა სადავე მიუშვა და ისინი გაქროლდნენ ერთად. ერთბაშად; გორაკზე ცხენები უეცრად შედგნენ, და ქალს თავისი ცისფერი გრძელი პირსაბურავი სახეზე ჩამოუვარდა.

ოქტომბრის პირველი დღეები იყო. ქვემოთ ნისლი ირეოდა, გრძელ ქულებად იძვროდა ჭალის ნაპირზე, ბორცვებს შორის; ალაგ-ალაგ ქულები წყდებოდა, ბოლქვებად ადიოდა ზევით და იცარცვებოდა. ზოგჯერ, ღრუბელთა ნაჭიატევში, შორს, მზისგულზე ჩნდებოდა იონვილის სახლების სახურავები, ბაღები მდინარის პირას, ეზოები. კედლები და ეკლესიის სამრეკლო. ემა თვალებს წუ-რავდა, რათა თავისი სახლი გაერჩია, და არასოდეს ეს ღარიბი სო-ფელი, სადაც იგი ცხოვრობდა, ასე უბადრუკი არ მოსჩვენებია. მაღლიბიდან მთელი ჭალა ერთ უზარმაზარ, ანაორთქლით მბოლავ ტბას ჰგავდა. ხეთა ჯგუფები ალაგ-ალაგ შავი კლდეებივით შოჩანდა, ხოლო ბერესიდან მწკრივადგამოვლენილი, ქარისგან არხეული ალვის ხეები ზზოზავ დიუნებს მოგაგონებდა.

აქ კი, ჰატარა მინდორზე, ფიქვებს შორის, მიხაკისფერი ანარეკლი თბილ ჰაერში რიალობდა. მწითური ნიადაგი, ვით დაფხვნილი თამბაქო. ფლოქვების ხმას ახშობდა.

ტყის ნაპირს მისდევდნენ. ხანდახან ემა პირს იბრუნებდა, რათა მის ცქერას არ შეხვედროდა; მაშინ მხოლოდ ჩამწკრივებულ ფიქვებს ხედავდა, რომელთა ტრიალიც ოდნავ თავბრეს ახვევდა. ცხენები ფრთქვინავდნენ. უნაგირთა ტყავი ჭრაჭუნობდა. როცა ტყეში შედიოდნენ, მზემ გამოიხედა.

— განგებაც კი ხელს გვიწყობს! — თქვა როდოლფმა.

— ვითომ? — მიუგო ემამ.

— წინ! წინ! — დაიძახა მან და ცხენს დაუწრუწუნა.

ცხენები გაქანდნენ.

მაღალი გვიმრა, გზის ნაპირებზე რომ ხარობდა, უზანგში ერ-ჭობოდა ემას. როდოლფი ჭენებისას დაიხრებოდა და გამოუღებდა. ზოგჯერ, გაბანდულ რტოებში გავლისას, ისე ახლოს მიდიოდა ემასთან, რომ მისი ფეხი ემას მუხლს ეხებოდა. ცა გადაისარკა.

სიოც კი არ იძვროდა. უშველებელი სივრცე აყვავებული ოქროცოცხათი იყო დაფარული; უქარგავ ხალიჩას ხეების თაიგულები ენაცვლებოდა. ხან რუხი, ხან მოყვითალო; ხან ოქროსფერი, მათი ჯიშის მიხედვით. ხშირად ჩირგვებში გაისმოდა ფრთების ოდნავი ბარტყუნი ან რბილყანყრატოვანი ყრანტალი ყვავებისა, მუხნარის წიაღს რომ მიელტვოდნენ.

ჩამოხდნენ; როდოლფმა ცხენები მიაბა. ემა წინ მიდიოდა ხავსიან ნაგზურში, მაგრამ გრძელი კაბა, რომლის ბოლოც ხელში ეკავა. სიარულს მაინც უშლიდა და როდოლფი, უკან რომ მიჰყვებოდა, კაბის ბაუდსა და შავი ფეხსაცმლის ყელს შუა ხედავდა მის მქრქალ თეთრ წინდას, შიშველ ტანს რომ აგონებდა.

ქალი შედგა.

— დავიღალე. — თქვა.

— აბა ცოტა კიდევ! მხნედ!

ასიოდე ნაბიჯის შემდეგ იგი კვლავ გაჩერდა; და გრძელ საბურველქვეშ, თავისი ვაჟური ქუდიდან რომ თეძოზე ჩამოჰფენოდა, ცისფერ, გამჭვირვალე ნისლში მოჩანდა სახე მისი, თითქოს ვთერის ტალღებში ცურავსო.

— სადღა მივდივართ?

იგი არ პასუხობდა. ქალი მძიმედ სუნთქავდა. როდოლფი უცქერდა და ულვაშს იკვნეტდა.

ქაშანზე გავიდნენ, სადაც ლიშხიანი აჩეხილი იყო. წაქცეულ ხეზე ჩამოსხდნენ. როდოლფმა თავისი სიყვარული გაიხსენა.

ერთბაშად როდი შეაკრთო ქათინაურების დაფენით. დამშვიდებული იყო, დინჯი, ნაღვლიანი.

ემა თავდახრილი უსმენდა და ფეხს ნაფოტებში ურევდა.

მაგრამ ამ სიტყვებზე:

— განა ჩვენი ხვედრი ამჟამად ერთნაირი არ არის?

— ოჰ, არა! — მიუგო ქალმა, — თქვენ ეს ძალიან კარგად იცით, ეს შეუძლებელია.

და წასასვლელად წამოდგა. კაცმა ხელი სტაცა. ქალი შედგა. მერმე წყლიანი, შეყვარებული თვალით შეხედა როდოლფს და სწრაფად წარმოთქვა:

— გამიგონეთ, ამაზე ნუღა ვილაპარაკებთ... ცხენები სადაა? წავიდეთ შინ.

ვაჟი წყრომითა და წყენით დაიძრა. იგი კი იმეორებდა:

— ცხენები სადაა-მეთქი?

უცნაური ღიმილით, თვალგაშტერებული და კრიჭაშეკრული, იგი ხელგაწვდილი მიუახლოვდა ემას. ქალმა კანკალით უკან დაიწია და წაიჩურჩულა:

— თქვენ მაშინებთ! მაღონებთ! წავიდეთ.

— რა გაეწყობა! — თქვა სახეშეცვლილმა.

და იმწამსვე თავაზიანი, ალერსიანი, მოკრძალებული გახდა. ემამ მკლავი გაუყარა. ცხენებისკენ გეემართნენ.

— რაო! — დაიწყო ვაჟმა, — რა მოგივიდათ? ვერ გამიგია! თქვენ, ალბათ, შეცდით! ჩემს გულში თქვენ ისე ხართ ალმართული, ვით მადონა კვარცხლბეკზე, ამაღლებული, მტკიცე, შეუბღალავი. მაგრამ უთქვენოდ მე არ ძალმიძს სიცოცხლე! მე მსურს თქვენი თვალები, თქვენი აზრები, თქვენი ხმა. იყავით ჩემი შეგობარი, ჩემი და, ჩემი მფარველი ანგელოზი!

ხელი გაიწოდა და წელს მოჰხვია. ქალმა ვითომ სცადა გათავისუფლება. ასე ეკავა იგი სიარულის დროს.

მოისმა ცხენების ჩამიჩუმი, ხეებზე რომ ფოთლებს წიწკნიდნენ.

— ო, ცოტა ხანს კიდევ, — უთხრა როდოლფმა, — მოიცადეთ!

და ქალი პაწია ტბისკენ გაიტაცა, ლურჯად რომ ლივლივებდა. წყლის დამჭკნარი ზამბახები უძრავად იდო ატეხილ კალამში, ფეხის ხმაურით შეშინებული ბაყაყები ტბაში ცვიოდნენ და იმალებოდნენ.

— მე ცუდად ვიქცევი, — ამბობდა ემა. — ძალიან ცუდად! სიგიჟეა თქვენთვის ყურისგდება!

— რათა, ემა, რათა?

— ო, როდოლფ!

წყნარად წარმოთქვა ახალგაზრდა ქალმა და თავი მის ბეჭზე დახარა. შალის კაბა ვაჟის კამზოლის ხავერდს ეკიდებოდა. ქალმა ღრმად ამოიოხრა, თეთრი ყელი გადასწია და, მოთენთილი, თვალცრემლიანი, მთლად აცახცახებული და ხელებით სახედაფარული, დანებდა.

მიდამოს ბინდის ჩრდილები ეფინებოდა; ჩამავალმა მზემ, ხის ტოტებში რომ ჭიატობდა, ქალს თვალები დაუბრმავა. აქა-იქ, მის გარშემო, ფოთლებსა და ბალახებში, ნათელის ლაქები ციმციმებდა, ვით ძაფრენად ფრთააფართქალებული ჩიტების გუნდ-

ყველან სიჩუმე გამეფებულიყო: ხეები რაღაც ნაზი და რბილი სიამით ფშვინავდნენ: ქალმა იგრძნო, როგორ აფეთქდა კვლავ გული და სისხლიც თბილი, მოალერსე ტალღად მოედო მთელ მის ტანს. ფეცრად, ტყის იქითიდან, შორეულ-გორაკებიდან, მოესმა გაურკვეველი გაბმული ძახილი, ხმა, რომელიც ნელინელ იცარებოდა ჰაერში: ყური მიუგდო თუ არა, მისი მუსიკა საკუთარი გაღიზიანებული ნერვების თრთოლვას შეერთო. როდოლფი სიგარს აბოლებდა და ჯაყვით ერთ-ერთ გაწყვეტილ აღვირს აკეთებდა.

იონვილს იმავე გზით დაბრუნდნენ. ტალახს კვლავ აჩნდა ორი ცხენის კვალი: იგივე ბუჩქები, იგივე ქვები ბალახში. გარშემო არაფერი გამოცვლილიყო; ქალის არსებაში კი უფრო მნიშვნელოვანი რამ მომხდარიყო. ვიდრე, ვთქვათ, მთებს რომ ადგილები გადაეცვლებინათ. დროდადრო როდოლფი დაიხრებოდა, ხელს გამოართმევდა და უკოცნიდა.

მომხიბვლელი იყო ცხენზე მჯდომარე ემა: ტანწერწეტი, უზანგში კოხტად მუხლმოხრილი, ჰაერზე ყოფნითა და მოძრაობით მთლად გაღაქღაქებული, მკაფიოდ იხატებოდა ჩამავალი მზის ალისფერ შუქზე.

იონვილს რომ მივიდნენ, მისი ცხენი ქვაფენილზე ათამაშდა. ნობისმოყვარენი ფანჯრებიდან უცქერდნენ.

სადილობის დროს ქმარმა შენიშნა, ფერი მოგსვლიაო; ქალმა წაუყრუა, თითქოს არ გაუგონიაო, როცა შარლი სეირნობის ამბავს ჰკითხავდა. სუფრას დაყრდნობილი ჩუმად იჯდა ორ შანდალს შუა და თავის თეფშს ჩასცქეროდა.

— ემა! — უხმო ქმარმა.

— რა ჩყო?

— დღეს მე ბ. ალექსანდრესას შევიარე; მას ჰყავს ერთი ბებერი ჰაკი. ჯერ კიდევ არა უშავს რა, თუმცა ფეხებზე იარები აქვს; მე მგონია, შეიძლება მისი შეძენა რამდენიმე ასეულ ეკიუდ.

და თან დასძინა:

— დარწმუნებული ვიყავი, გესიამოვნებოდა... ამიტომ კიდევაც მოვურიგდი. ვიყიდე. კარგი მიქნია, არა? მითხარი.

მან თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად; ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა:

— ამ საღამოს აპირებ სადმე წასვლას?

— ჰო, რა იყო?

— არაფერი, ისე! არაფერი, ჩემო კარგო!

მერე წამოდგა. თავის საწოლ ოთახში შევიდა და ჩაიკეტა.

პირველად თითქოს თავბრუს ხვევა იგრძნოო: ხედავდა ხეებს, გზას, თხრილებს, როდოლფს და კვლავ გრძნობდა მის ხვევნას, გარშემო კი ფოთლები შრიალებდა და ლერწამი სიოდა.

მაგრამ, როცა სარკეში ჩაიხედა, თვით გაუკვირდა სახის ცვლილება; მთელ სიცოცხლეში მისი თვალები არასოდეს არ ყოფილა ასე ფართო, ასე შავი და ღრმა. რაღაც მიუწვდომელი გაბნეულიყო მთელ სახეზე და გამოეცვალა. დაჟინებით იმეორებდა თავისთვის: „მე საყვარელი მყავს! საყვარელი მყავს!“ და ითრობოდა ამ აზრით, თითქოს მეორე ახალგაზრდობის გაზაფხულს გრძნობსო. მაშ, მეც ვიგემებ სიყვარულის სიამეს, ბედნიერების ცეცხლებს. მერმე იმ დროს, როცა კინაღამ სასო წარეკვეთა! საუკეთესო სამყაროში შედგამს ფეხს, სადაც ყოველივე ვნებაა, თავდავიწყება და სიგიჟე; ეთეროვან უსაზღვროებაში ცურავს იგი. მის ფიქრებში ვნების მაღალი მწვერვალები ბრწყინავენ, ხოლო ყოველდღიურად სადღაც იკარგება, ძირს, ამ მწვერვალებს შორის არსებულ უფსკრულებში.

და გაახსენდა წაკითხული რომანების გმირი-ქალები; შეყვარებულ მოღალატე ცოლთა ლირიკული ლეგიონი ამღერდა მის ხსოვნაში მომჯადოებელი ხმით, ვით ახლობელი, სანუკვარი დები. მისი სიცოცხლეც ხომ ახლა ნაწილი იყო ამ მოგონებათა; მისი ახალგაზრდობის წლების ხანგრძლივი ოცნებანი ახლა ხორცს ის ხამდნენ, როცა შეყვარებულის ყოფაში წარმოიდგენდა თავს, რასაც დიდი ხნიდან ნატრობდა, დაკმაყოფილებული შურისძიების სიხარულსაც განიცდიდა. განა საკმაოდ არ იტანჯა? ახლა კი ზეიმობს, და სიყვარულიც. ამდენ ხანს შეკავებული, ჩქეფს და სიხარულად ღვრება. და იგიც ივსებოდა მით შეუნანებლად. შეუწყნარებლად, უზრუნველად.

მეორე დღემ ახალი სიამენი მოიტანა. შეყვარებულებმა ერთმანეთს შეჰფიცეს, ქალმა თავისი წუხილი გაუზიარა, როდოლფი კოცნით აწყვეტინებდა ლაპარაკს, იგი ოდნავ თვალმოხუჭული შესცქეროდა და სთხოვდა, ერთხელ კიდევ თქვი ჩემი სახელი და გაიმეორე, რომ გიყვარვარო. ტყეში იყვნენ, როგორც წინა დღით, ხის ქოშების მკეთებლის კარავში, რომელსაც ჩალის კედლები ჰქონდა, ხოლო ჭერი ისე დაბალი იყო, რომ დგომა მხოლოდ

ელში მოსრილი შეიძლებოდა. მჭკნარი ნეშოს საწოლზე ისხდნენ ერთმანეთს მიტყუპებულნი.

ამ დღიდან აუცილებლად წერდნენ ერთმანეთს ყოველ საღამოს. ემას თავისი წერილი ბაღის ბოლოს მიჰქონდა, მდინარის ნაპირას და ტერასის ნაპრალში მალავდა ხოლმე. როდოლფი წასაღებად მოდიოდა და სამაგიეროსაც ტოვებდა, რომელიც ქალს ძუდამ მცირე ეჩვენებოდა.

ერთ დილას, როცა შარლი ვათენებამდე წავიდა, ემას მძაფრი სურვილი აღეძრა როდოლფის დაუყოვნებელი ნახვისა. შეიძლებოდა ჰუშეტს სწრაფად მისულიყო, ერთ საათს იქ დარჩენილიყო და კვლავ იონვილს დაბრუნებულიყო, სანამ ყველას ჯერ კიდევ ეძინა. ამის ფიქრში, მოუთმენლობით კინაღამ სული შეეხუთა და ბალე უკვე მინდორში იყო, რომელიც უკანმიუხედავად, სირბილით განვლო. თენდებოდა. ემამ შორიდანვე მოჰკრა თვალი საყვარლის სახლს, რომლის სახურავზედაც მტრედისფერ ჰაერში ორი ბოლუგერი მოჩანდა შავად.

ეზოს ბოლოს შენობა იყო აღმართული; იგი, ალბათ, ბატონის ბინა იყო. შიგ რომ შევიდა, თითქოს კედლები თავისთავად გაგანიერდაო. დერეფნისკენ ფართო, სწორი კიბე აღმართულიყო. ემამ ზარის სახელური გადაატრიალა და ოთახის სიღრმეში მძინარე კაცი დაინახა. ეს როდოლფი იყო. ქალმა შეჰკივლა.

— შენ ხარ? — იკითხა იგი. — მერმე როგორ შემოხვედი? ტანისამოსი მთლად სველი გაქვს!...

— მიყვარხარ! — მიუგო და ყელზე მოეხვია.

რაკი პირველი სიანცე გაუვიდა, მას შემდეგ ყოველთვის, როცა შარლი ადრე წავიდოდა ხოლმე სადმე, ემა საჩქაროდ ჩაიცვამდა და ფეხაკრეფით ჩაიპარებოდა კიბეზე, მდინარისკენ.

მაგრამ, როცა ძროხების ბოგირი აიღეს, იძულებული შეიქნა კედელს გაჰყოლოდა ხოლმე, მოლიპული ნაპირით; რომ არ დაცემულიყო, დამჭკნარი ყვითელი ყვავილების ღეროებს ეპოტინებოდა, შემდეგ ხნული უნდა გაევლო, სადაც ბორძიკობდა და ძალზე ეფლობოდა თავისი თხელი ფეხსაცმლით, აბრეშუმის თავსაფარს მინდვრის ქარი უფრიალებდა; ხარებისა ეშინოდა და მოკურცხლავდა ხოლმე; ლოყებაწითლებული, აქოშინებული მივიდოდა და თან მიჰქონდა სიცოცხლის უტეხი ძალა, ბალახთა სურნელება და

გრილი ჰაერის სინორჩე. როდოლფს ამ დროს, ჩვეულებრივ, ეძინა ხოლმე. თითქოს გაზაფხულის ღილა შესულიყოს მის ოთახში.

ფანჯრის ყვითელი რიდეები რბილსა და ოქროვან ნათელს უშვებდა გარედან. ეშა ბოჩინით, თვალმოხუჭული შეეიდოდა; თმაზე ღაკიდებული ცვარი თითქოს დიადემის მარგალიტებიაო. როდოლფი სიხარულის ღიმილით მიიზიდავდა და გულში ჩაიკრავდა.

შემდეგ ქალი ოთახს დაათვალიერებდა, მაგიდისა და კამოდის უჯრებს გამოაღებდა, მისი სავარცხლით ივარცხნიდა და მის პატარა წვერის საპარსავ სარკეში იცქირებოდა. ხშირდა პირში მის მსხვილ ჩიბუხსაც გაირჭობდა, მაგიდაზე რომ იდო ხოლმე ღიმონებსა და შაქრის გოროხებს შორის, წყლიანი სურის გვერდით.

გამოთხოვება საათის მთელ მეოთხედს გრძელდებოდა. ეშა იტირდებოდა: მუდამ როდოლფთან უნდოდა დარჩენა. რაღაც საკუთარ თავზე უფრო ძლიერი იზიდავდა მისკენ.

ერთხელ, როცა ეშა სრულიად მოულოდნელად ეწვია, როდოლფმა წარბი შეიკრა. თითქოს ეწყინაო.

— რა მოგივიდა? — ეკითხა ქალმა. — ავად ხომ არა ხარ?

როდოლფმა, ბოლოს, სერიოზულად განუცხადა, შენი აქ ყოფნა ძალიან მეტად გაუფრთხილებელ საქციელად მიმაჩნია, და შენს თავსაც ეხერხულ მდგომარეობაში აგდებო.

X

როდოლფს ეს შიში ნელინელ ეშასაც გადაედო. პირველ ხანებში ქალი სიყვარულით ითვრებოდა და მეტს არაფერს ფიქრობდა. მაგრამ ახლა, როდესაც აღარ შეეძლო უსიყვარულოდ სიცოცხლე, ქალი ცდილობდა, ბოლოს ამ გრძნობას არაფერი დაპკლებოდა, ან რითიმე არ აემღვრია იგი. როდოლფისგან დაბრუნების დროს იგი გაფაციცებით იხედებოდა გარშემო, ჰორიზონტზე ყოველ ჩრდილს აკვირდებოდა, თვალს არ აშორებდა სხვენებს. საიდანაც მისი დანახვა შეეძლოთ. ყურს უგდებდა ყოველ ხმაურობას, ყვირილს. ეუთნების ჭრიალსა და შედგებოდა ხოლმე ფერმკრთალი და აცახცახებული, ვით კერხვის ფოთოლი.

ერთ დილას, როცა ასე ბრუნდებოდა შინ, უეცრად შეამჩნია თოფის გრძელი ლულა, რომელიც თითქოს მისკენ არისო დამიზნებული. ლულა გამოჩრილი იყო კასრიდან, რომელიც თხრილის

პირას ეგდო და ნახევრად ბალახით იყო დაფარული. ემას შიშით კინაღამ გული წაუვიდა, მაგრამ მაინც განაგრძობდა წინსვლას, ხოლო კასრიდან კაცი გამოძვრა, თითქოს სათამაშო ეშმაკიაო. კოლოფიდან რომ ამოხტება ხოლმე. მუხლამდე პაჭიჭები ეცვა, ქუდი თვალებზე ჰქონდა ჩამოფხატული; ბაგე უთრთოდა, ცხვირი გასწითლებოდა. ეს კაპიტანი ბინე იყო, გარეულ იხვებს რომ ჩასაფრებოდა.

— შორიდან უნდა დაგეძახათ! — თქვა მან. — როცა თოფს ხედავთ, უნდა გააფრთხილოთ კაცი.

გადასახადთა ამკრეფი რომ ამას ამბობდა, საკუთარი შიშის დაფარვა სურდა: გარეულ იხვებზე ნადირობა კანონით მხოლოდ ნავში ჯდომელა შეიძლებოდა და ბინე, მიუხედავად მის მიერ კანონის პატივისცემისა, ამრიგად მისი დამრღვევი გამოდიოდა. ყოველ წამს ელოდა იგი სოფლის გზირის მოსვლას, მაგრამ ეს შიში უფრო უმძაფრებდა ნადირობის სურვილს; კასრში მჯდომარე თავის მოხერხებულობასა და ეშმაკობას ზეიმობდა.

ემა რომ იცნო, მხრებიდან თითქოს მძიმე რამ ტვირთი მოეხსნაო. და მაშინვე ლაპარაკი დაუწყო:

— მაინც და მაინც ძაან არ ცხელა, ისე, იკბინება!

ემას ხმა არ გაუცია.

— გვარიანად ადრე ჩამოსულხართ შინიდან!

— დიახ, — წაიბუტბუტა ქალმა, — ძიძასთან ვიყავი, ჩემს ბავშვს რომ ზრდის.

— ა, ძალიან კარგი! ძალიან კარგი! მე კი, როგორც მხედავთ ინათა თუ არა, აქ ვზივარ! ეს წუნწკლიანი ამინდი რომ არ ყოფილიყო...

— ნახვამდე, ბ. ბინე! — უთხრა ქალმა და გაბრუნდა

— თქვენი უმორჩილესი მონა, ქალბატონო! — მშრალად მიუგო ბინემ და კვლავ თავის კასრში შეძვრა.

ემა ნანობდა, რომ ასე მოჭრით შეწყვიტა გადასახდთა ამკრეფთან ლაპარაკი, ეს შეხვედრა, ალბათ, აუგ ფიქრებს აღუძრავს ჩემზეო. ძიძის მომიზეზება ვერაფერი საბაბი იყო, რადგან იონვილში ყველამ კარგად იცოდა, რომ პატარა ბერტა აგერ ერთი წელიწადი იქნება, რაც მშობლებთანაა. გარდა ამისა, ახლომახლო არც სხვა მეზობელი ვინმე ცხოვრობს; ამ გზით მხოლოდ ჰუშეტში შეიძლებოდა მისვლა, მჯმასადამე, ბინე მიხვდა, საიდანაც მოვდიო-

დი, და რა თქმა უნდა, ენას არ დააყენებს, ყველას ჩამოუთვლისო. დაბინდებამდე იტანჯებოდა. სულ იმის ფიქრში იყო, რა ტყუილი მოეგონებინა; ეს ყეყეჩი ბინე სულ თვალწინ ედგა თვისი სანადირო ჩანთიანად.

ნასადილევს, რაკი შარლმა უგუნებობა შეატყო, გადაწყვიტა გასართობად მეაფთიაქესთან წაეყვანა სტუმრად. პირველი, ვინც ემამ აფთიაქში დაინახა, ბინე იყო. დახლთან იდგა, ლამპით მთლად გაშუქებული და ჰომეს ეუბნებოდა:

— მომეცით, თუ შეიძლებოდეს, ნახევარი უნცია შაბი.

— ჟუსტენ, — მიმართა მეაფთიაქემ, — მოიტა გოგირდის სიმჟავე.

შემდეგ ემას მიუბრუნდა, რომელიც ზემოთ, მადამ ჰომესთან ასვლას აპირებდა:

— არა, მოითმინეთ: ასვლა არა ღირს, თვითონ ახლავე აქ ჩამოვა. მანამდე ღუმელთან მოითბეთ... უკაცრავად ვარ... გამარჯობა, ექიმო (მეაფთიაქეს უყვარდა ამ სიტყვის, ექიმის, წარმოთქმა, თითქოს ამ წოდების წარმოთქმით თვითონაც რაიმე პატივი ედებაო)... მაგრამ ფრთხილად, როდინები არ გადამიგდო! სკამები, უმჯობესია, პატარა სალონიდან გამოიტანო, ხომ იცი, რომ დარბაზიდან სავარძლების დაძვრა არ შეიძლება.

და რათა სასტუმრო ოთახიდან გამოტანილი სავარძელი ისევ თავის ადგილას დაედგა, ჰომე დახლიდან გამოვარდა. მაგრამ ამ დროს ბინემ ნახევარი უნცია შაქრის სიმჟავე მოსთხოვა.

— შაქრის სიმჟავეო? — დამამცირებელი ხმით შეეკითხა მეაფთიაქე, — ვე ამისთანა არა ვიცი რა. შეიძლება თქვენ მჟაუნის სიმჟავე გინდოდეთ? ხომ?

ბინემ განუმარტა, რომ მას ესაჭიროებოდა რაიმე ისეთი მწვავე ნივთიერება, რომლისგანაც შემზადდეს სპილენძისა და სანადირო იარაღის გასაწმენდი შედგენილობა.

ემა შეკრთა. მეაფთიაქემ კი წარმოთქვა:

— მართლაც, ამინდი ხელს არ უწყობს, სინესტის გამო.

— და მაინც, — ეშმაკური იერით დაუმატა გადასახადთა ამკრეფმა: — არის ისეთი ხალხი, რომელსაც ეგ ვერ შეაჩერებს.

ემას სული ეხუთებოდა.

— მომეცით კიდევ ერთი...

„ეს, მგონი, სულაც არ აპირებს წასვლას!" — გაიფიქრა ქალმა.

— ნახევარი უნცია კანიფოლი და სკიპიდარი, ოთხი უნცია

ყვითელი ფიჭა და ერთნახევარი უნცია მური სანადირო ხელსაწყოების ლაკირონის გასაწმენდად.

მეაფთიაქე ფიჭას ჭრიდა, როცა შემოვიდა ქ-ნი ჰომე, პატარა ირმაატატებული; ნაპოლეონი გვერდით მოსდევდა. ატალა კი — უკან. ქ-ნი ჰომე ფანჯრის ახლოს ჩამოჯდა ხავერდის სკამლოგინზე, ბიჭი ტაბურეტზე აბობღდა,-მისი პატარა და კი შაქარყინულიან კოლოფს უტრიალებდა გარს, თავისი მამის ახლოს. ეს უკანასკნელი სითხით ძაბრებს ავსებდა, შუშებს თავს უცობდა, იარლიყებს აწებებდა და კოლოფებს ხვევდა. მის გარშემო ყველა დუმდა: დროდადრო ისმოდა მხოლოდ სასწორზე გირების ჩხაკუნი და თვით მეაფთიაქის მიერ მოწაფის დასარიგებლად წყნარად წარმოთქმული რამდენიმე სიტყვა.

— როგორ არის თქვენი ქალიშვილი? უეცრად ჰკითხა მადამ ჰომემ.

— ჩუმად! — წამოიძახა მისმა ქმარმა, რომელიც დავთარში ციფრებს წერდა.

— რატომ თან არ მოიყვანეთ? — კვლავ წყნარად შეეკითხა ქ-ნი ჰომე.

— ჩჩუუ!... — წასჩურჩულა ემამ და მეაფთიაქეზე ანიშნა.

მაგრამ ბინეს, რომელიც ანგარიშს ამოწმებდა, ალბათ, არაფერი გაუგონია. ბოლოს, როგორც იყო, წავიდა, ემამ შვებით ამოისუნთქა.

— რა ღრმად სუნთქავთ? — ჰკითხა მადამ ჰომემ.

— ცხელა, — მიუგო ემამ.

მეორე დღეს შეყვარებულნი პაემნის წესიერად მოწყობაზე თათბირობდნენ; ემა ფიქრობდა მსახური ქალის საჩუქრით მოსყიდვას, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა იონვილში სადმე ერთი მყუდრო ბინა მოეძებნათ. როდოლფმა იკისრა ამისი შესრულება.

მთელი ზამთრის განმავლობაში, კვირაში ორჯერ თუ სამჯერ, იგი ბაღში მიდიოდა ხოლმე. საამისოდ ემამ ჭიშკარს გასაღები გამოაცალა, რომელიც შარლს დაკარგული ეგონა.

თავისი მოსვლა რომ ეცნობებინა, როდოლფი მუჭით ქვიშას შეაყრიდა ხოლმე ემას ფანჯრის დარაბას. დათქმული ნიშანი მყის ზეზე წამოაგდებდა ხოლმე ქალს, მაგრამ ზოგჯერ ლოდინიც იყო საჭირო, რადგან შარლს მოუშლელი ჩვეულება ჰქონდა, ბუხართან ჯდარიყო და დაუსრულებლად ემასლაათნა. ქალს მოთმინება ეკარ-

ებოდა; თვალს რომ ასეთი ძალა ჰქონოდა, ცოლი ერთი შეხედვით გაისვრიდა მას ფანჯარაში. დასასრულ, ემა ვითომ დასაწოლად მზადებას დაიწყებდა; მერმე წიგნს აიღებდა და თვითონ კითხვით გაერთობოდა; ხოლო შარლი უკვე ლოგინში იყო და ეუბნებოდა, დაწექიო.

— კმარა, ემა, — ეტყოდა იგი, — დროა.

— აი, ახლავე! — მიუგებდა ცოლი.

სანთელი შარლს თვალს დაუღლიდა, იგი კედლისკენ გადაბრუნდებოდა. ემა კი მაშინვე გაიქცეოდა, სუნთქვაშეკრული, მოღიმარი, აკანკალებული.

როდოლფს განიერი წამოსასხამი ჰქონდა, ემას მთლად შიგ გახვევდა, წელზე ხელშემოხვეულს შუაგულ ბაღისკენ გაიტაცებდა, ფანჩატურში დასხდებოდნენ ხოლმე სწორედ იმ ნახევრადდამპალ სკამლოგინზე, რომელზედაც ოდესმე, ზაფხულის საღამოებში, ლეონიც იჯდა ხოლმე და შეყვარებულ თვალს არ აშორებდა ემას; მაგრამ ემას იგი ახლა აღარ აგონდებოდა.

იასამნის შიშველ ტოტებში ვარსკვლავები ბრჭყვიალებენ, უკან კი ბდინარე ტლაშუნებს და დროდადრო ნაპირზე ხმელი ლერწამი ლაწუნებს. ხან აქ. ხან იქ. ბნელში ხეთა ქოლგები გამოსახება, უცნაურად ქანაობს და ირხევა, თითქოს ვეება ტალღები მოდიან და შეყვარებულნი უნდა წალეკონო. ღამის სიცივე უფრო მჭიდროდ ჩაახუტებდა ხოლმე მათ; ამოსუნთქვა უფრო ღრმა ჩანდა, ბნელაში ოდნავ გასარჩევი თვალები კი — უფრო ფართო; საერთო დუმილში სიტყვებს ჩურჩულით ამბობდნენ ხოლმე. ხოლო სულში კი ისინი მეტისმეტი მკაფიოობით იჭრებოდნენ და დაუსრულებელ გამოხმობად ისმოდნენ.

წვიმიან ღამეებში ექიმის მისაღებ სახლში შევიდოდნენ ხოლმე, ფარდულსა და თავლას შუა რომ იყო მოთავსებული. ემა სანთელს აანთებდა, საგანგებოდ ამისთვის რომ ჰქონდა დამალული წიგნების უკან. როდოლფი მოიკალათებდა, თითქოს თავის სახლშიაო. და ამ ბინის შესახედაობა, საწერი მაგიდა, და. საერთოდ, მთელი მისი მორთულობა მხიარულ გუნებაზე აყენებდა; არ შეეძლო მოეთმინა და ხშირად უწყინარი რამ არ ეხუმრა შარლის შესახებ, რაც ემას გულს საჩოთიროდ ხვდებოდა. ქალს სურდა, რომ როდოლფს მეტი სიდარბაისლე და დრამატიზმი გამოეჩინა, ვით იმ დღეს, როდესაც ემას ფეხის ხმა მოესმა ხეივანში.

ძოდიან. — წამოიძახა მან.

როდოლფმა სინათლე ჩააქრო.

— დამბაჩა ხომ თან გაქვს?

— რისთვის?

— იმისთვის... რომ თავი დავიცვათ, — მიუგო ემამ.

— თქვენი ქმრისაგან, არა? რა შეუძლია საბრალოს...

და როდოლფმა სიტყვა ნიშნით დაასრულა, რაც ამის მომასწავებელი იყო: „ერთი წკიპურტით გავაქრობო“

ქალი გაკვირვებული იყო მისი სიმამაცით, თუმცა ისიც კი შეამჩნია, რომ ამ სიმამაცეში რაღაც გულუბრყვილო სულიერი სიტლანქე იყო გარეული, რამაც გული ატკინა.

როდოლფი შემდეგ დიდხანს ფიქრობდა დამბაჩის ამ ამბავზე: თუ ქალი სერიოზულად ამბობდა, სასაცილოა, — ფიქრობდა იგი, — და საზიზღარიც კი, რადგან როდოლფს არავითარი საბუთი არ აქვს ეკავრებოდეს კეთილი შარლი; არც იქვნეულობის ცეცხლით იწვის, როგორც იტყვიან ხოლმე; საამისოდ ემამ ზეიმით შეჰფიცა. რაც როდოლფს აგრეთვე უშნო რამედ მიაჩნდა.

ემა, საერთოდ, მეტისმეტად სენტიმენტალური ხდებოდა, ერთმანეთს თავიანთი მოკრილი თმა გაუცვალეს, აგრეთვე პატარა სურათებიც. ახლა იგი მოითხოვდა, რომ ბეჭდებიც შეეცვალათ, ნამდვილი საკვირგვინო ბეჭდები, ნიშნად სამარადისო კავშირისა. როდოლფს ხშირად უამბობდა ხოლმე. მწუხრის ზარებზე, ბ უ ნ ე ბ ი ს ი დ უ მ ა ლ ხ მ ე ბ ზ ე; მისი დედის ამბებს გამოჰკითხავდა, თავისაზე უამბობდა; დედა როდოლფს ოცი წლის წინათ გარდაცვლოდა. მიუხედავად ამისა, ემა მეტისმეტად გულითადი სიტყვებით ანუგეშებდა. თითქოს იგი უპატრონო ობოლი ვინმეაო. და ხშირად ჩურჩულებდა, თანაც თვალი ზეცისკენ ჰქონდა ხოლმე აპყრობილი:

— მე დარწმუნებული ვარ, რომ იქ ისინი ერთხმად ადასტურებენ ჩვენს სიყვარულსო.

მაგრამ იგი ასე ლამაზი იყო! როდოლფს ძვირად უგემნია ასეთი წმიდა ვნება. ეს უმწიკვლო სიყვარული მისთვის ის ძალა იყო, რომელიც თავშეუკავებელი ცხოვრების ჩვევებს აშორებდა და ამავე დროს მის სიამაყესა და გრძნობიერებასაც აოკებდა. ემას აღფრთოვანება. რაც ვაჟის მდაბიურ საღ გონებას სასაცილოდ ეჩვენებოდა, გულში მაინც მოსწონდა, რადგან მის პირადობას ეხებოდა. რაკი დარწმუნდა, ვუყვარვარო, როდოლფი აღარც მორიდებას

კრძნობდა და ნელინელ იცვლიდა მასთან დამოკიდებულებას. უკვე აღარ გააჩნდა აღარც ის ნაზი სიტყვები, რაც ემას სიამით ატირებდა ხოლმე და აღარც ის გიჟური ალერსი, ქალს რომ თავს ავიწყებინებდა: უძირო სიყვარული, რომელშიც ემა იძირებოდა, თანდათან თხელდებოდა. ვით მდინარე გვალვის დროს, და, ბოლოს, ქალმა შლამიც კი იგრძნო. მაგრამ როდი დაიჯერა. სინაზეს უფრო უმატა, როდოლფი კი უფრო და უფრო ნაკლებ ფარავდა თავის გულგრილობას.

ქალმა თვით არ იცოდა, ნანობდა თუ არა, რომ მთლად დანებდა, თუ პირიქით, მზადაა კიდევ უფრო მეტად შეიყვაროს იგი. თავისი სისუსტის დამამცირებელი შეგნება შეურაცხყოფად ეჩვენებოდა, რასაც მხოლოდ ვნებათტკბობა არბილებდა ოდნავ. ეს უკვე სიყვარული კი აღარ იყო, არამედ რაღაც ვანუწყვეტელი ცთუნება. როდოლფმა დაიმონა იგი. ქალს თითქმის ეშინოდა მისი.

მიუხედავად ამისა, გარეგნული ურთიერთობა უფრო მშვიდი იყო, ვიდრე როდესმე, რადგან როდოლფს ეხერხებოდა. თავის ჰკუაზე ეტარებინა იგი; და ექვსი თვის შემდგომ, გაზაფხულის მოსვლისას, მათ ისე იგრძნეს თავი, როგორც დიდი ხნის ცოლქმარმა, რომელიც მშვიდად იცავს ოჯახურ კერას.

დადგა დრო, როცა მოხუცი რუო ჩვეულებრივად ინდაურს გზავნიდა ხოლმე ძღვნად თავისი ფეხის განკურნების აღსანიშნავად. ძღვენს თან წერილიც ახლდა ხოლმე. ემამ გაკრა ძაფი, რომლითაც წერილი კალათზე იყო მიბმული და შემდეგი სტრიქონები წაიკითხა:

„ჩემო ძვირფასო შვილებო!

იმედი მაქვს, რომ ამ წერილს ყველანი კარგადმყოფნი წაიკითხავთ და რომ ინდაურიც ამჟამად წინანდელებს არ ჩამოუვარდება: მე მგონია იგი უფრო რბილიცაა, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, და უფრო მსუქანიცაა. შემდეგისთვის კი, ვფიქრობ, ქათმის მამალი გამოგიგზავნოთ, სხვადასხვაობისათვის, უკეთუ თქვენ ვ ა რ ი ე ბ ს არ ინებებთ; თუ შეიძლებოდეს, ეს კალათი და ორიც წინანდელი უკანვე გამომიგზავნეთ! ერთი უბედურება დამემართა: ქარმა ღამით ფარდულის სახურავი აჰგლიჯა და ხეებზე გაჰხიდა. მოსავალიც მაინცდამაინც არაფერი სახარბიელოა. ასე რომ არ ვიცი, როდისღა განახავთ. ჩემთვის ახლა ისე ძნელია სახლის მიტოვება, როცა მარტო ვარ, ჩემო კარგო ემა!“

აქ სტრიქონები შეწყვეტილია, თითქოს მოხუცს კალამი დაუდეკს. რათა ოდნავ ოცნებას მისცემოდაო.

„მე კარგად ვარ, მხოლოდ სურდო დამემართა, ამას წინათ რომ ივეტოს ბაზრობაზე წავედი, მწყემსის საძებრად წავედი, რადგან ძველი გავაგდე: მეტად აზიზი მჭამელი ბრძანდებოდა, სულ ნაირ-ნაირებს მოითხოვდა, რა წვალებაა მაგ ყაჩაღებთან საქმის დაჭერა! გარდა ამისა, ავყიაც იყო.

„ერთმა მეწვრილმანემ გადმომცა, რომელიც ამ ზამთარს თქვენს მხარეში ყოფილა და მანდ კბილი ამოუძვრია, რომ ბოვარი ძველებურად კარგად მუშაობსო, — ეს მე არ გამკვირვებია, — და თან ამოძრობილი კბილი მიჩვენა; ერთი ფინჯანი ყავა დავლიეთ ერთად. ვკითხე, ხომ არ გინახავს-მეთქი, არაო, მაგრამ თავლაში ორი ცხენი დაუნახავს, საიდანაც დავასკვენი, რომ თქვენი საქმე კარგად მიდის. მით უკეთესი, ჩემო კარგებო! ღმერთსა ვთხოვ ყოველ-კეთილი მოგანიჭოთ.

„ძალიან დამწუხრებული ვარ, რომ ჩემი საყვარელი შვილიშვილი ბერტა ბოვარი ამდენი ხანია არ მინახავს. ბაღში, შენი ოთახის აბლოს მის სახელზე ერთი ოქროქლიავის ხე ჩავრგე და ყველას ვუბრძანე ხელი არ ახლონ; რომ მოისხამს, დავკრეფ და მურაბას გავაკეთებ ბერტასთვის, როცა გვესტუმრება, გავუმასპინძლდები.

„მშვიდობით, ჩემო ძვირფასებო. გაკოცებ, ჩემო შვილო, და შენც. ჩემო სიძევ, პატარას კი — ორივე ლოყაზე.

დავშთები თქვენი კეთილისმსურველი და მოსიყვარულე მამა ეეოდორე რუო“.

ერთ ხანს ხელთ ეჭირა ეს სქელი ქაღალდი: ორთოგრაფიული შეცდომები ერთიერთმანეთს მისდევდა და ემა გაეტაცნა მოხუცზე ფიქრებს, რომლებიც ამ შეცდომებში კაკანებდა, ვით ჩირგვში ჰიმალული ქათამი. ნაწერი ნაცრით იყო ნაშრობი, რომლის ერთი ბეწოც კაბის კალთაზე დააცვივდა; ემას თვალწინ წარმოუდგა თავისი მოხუცი მამა, მაშის ასაღებად ბუხრისკენ დახრილი... რამდენი ხანია მასთან ერთად არ მჯდარა ბუხართან, თავის ტაბურეტზე და ცეცხლისთვის არ შეუკეთებია ასე ლამაზად მოგიზგიზე ხმელი ლერწამი ზღვისა!.. გაახსენდა ზაფხულის მზიანი საღამოები, კვიცები რომ გავლისას აჭიხვინდებოდნენ და დააჭენებდნენ. მისი ფანჯრის ახლოს სკა იდგა; მზეში მორიალე ფუტკრები ზოგჯერ ფანჯრის მინებს მოაწყდებოდნენ, ვით ოქროს ტყვიები. რა ბედნიერი იყო ივ

ღროს! რა თავისუფალი! რა იმედიანი! რა ჭარბი ოცნებიანი! ახლა სრულიად აღარა დარჩენია რა. სავსებით დაკარგა ისინი თავისი სულის დაუსრულებელ ხეტიალში, ცხოვრების თანდათანობითს ცვლაში; ქალწულობის, ცოლობისა და სიყვარულის დროს ისე განუწყვეტლად ხარჯავდა მათ მთელი სიცოცხლის მანძილზე, ვით მოგზაური თავის სიმდიდრეს გზის ფუნდუკებში.

მაგრამ ვინ არის მაზეზი მისი უბედურებისა? სად იყო ეს არაჩვეულებრივი კატასტროფა, რომელმაც მისი ცხოვრება თავდაყირა დააყენა? თავი აიღო და გარშემო მიმოიხედა, თითქოს თავისი ტანჯვის მიზეზს აქ ეძებსო.

აპრილის მზის სხივი მისი ეტაჟერის ფაიფურზე თამაშობდა: ბუხარში ცეცხლი ენთო; ფეხქვეშ რბილი ხალიჩა იგრძნო; დღე კი ნათელი იყო, ჰაერი — თბილი; გარედან თავისი პატარა ქალის კისკასი მოესმა.

ბავშვი მოლზე გორაობდა, სადაც მომკილი თივა იშლებოდა: იგი ზვინის თავზე მიბობღავდა, ძიძას კაბის ბოლოთი ეკავა; იქვე ლესტიბუდუა შლიდა თივას; და, როცა იგი მიუახლოვდებოდა, ბავშვი ორივე ხელს იშვერდა და მისკენ იხრებოდა.

— მომიყვანეთ აქა! — დაიძახა დედამ და შვილის მოსახვევნად გასწია, — როგორ მიყვარხარ, ჩემო პატარავ! როგორ მიყვარხარ!

შეამჩნია, რომ ყურები ოდნავ დასვრილი ჰქონდა; მაშინვე თბილი წყალი მოატანინა, გაჰბანა; საცვლები, წინდები, ფეხსაცმელი გამოუცვალა, და ძიძას ათასი კითხვა მისცა მისი ჯანმრთელობის შესახებ, თითქოს ესაა, ახლა დაბრუნებულა შორი მოგზაურობიდანო; მერმე ერთხელ კიდევ აკოცა, თვალზე ცრემლი მოეძალა, და ძიძას გადასცა, რომელიც პირდაღებული უცქერდა ასეთი მოულოდნელი სინაზის გამოჩენის გამო. საღამოს როდოლფმა შეამჩნია, რომ იგი ძალზე ჩაფიქრებული იყო.

— გაივლის, — გაიფიქრა, — ეს ჭირვეულობაა.

და ზედიზედ სამი პაემანი გაუშვა. როცა მოვიდა, ემამ გულგრილობა, თითქმის ზიზღი დაახვედრა.

და თავი ისე დაიჭირა, ვითომ არც მის ნაღვლიან ოხვრას ამჩნევს, არც მის ცხვირსახოცს, ხელში რომ სრესსო.

და სწორედ მაშინ ინანა ემამ!

თავის თავს ეკითხებოდა კიდეც; რად მძულს შარლიო, გან-

ეკეთესი არ იქნებოდა, რომ მისი შეყვარება შემეძლოსო. მაგრამ ქვარი ძალიან ნაკლებ საბაბს იძლეოდა საამისოდ; და იგი დიდ გაჭირვებაში იყო იმის გამო, თუ როგორ გამოეჩინა ის თავდადება; აქ ერთბაშად მეაფთიაქე შემოვიდა, რათა მისთვის საამისო შემთხვევა მიეცა.

XI

ამას წინათ, რომელიღაც სამკურნალო ჟურნალში მეაფთიაქეს ახალი მეთოდის ქება წაეკითხა გამრუდებული ფეხის გასწორების შესახებ. და, როგორც პროგრესის მომხრეს, პატრიოტული აზრი დაებადა: რათა იონვილი შესაფერის დონეზე მდგარიყო, ამ ქალაქშიც გაეკეთებინათ სტეფოპოდიის ოპერაციები.

— აქ ხომ არავითარი რისკი არ არის? — ეუბნებოდა იგი ემას, — აი, გამიგონეთ (და თითებზე ჩამოთვალა ამ ცდის სარგებლობანი): თითქმის უზრუნველყოფილი წარმატება, ავადმყოფის განკურნება და გალამაზება, ოპერატორს კი — სახელის სწრაფი მოპოვება. რატომ არ უნდა მოინდომოს თქვენმა ქმარმა, მაგალითად, „ოქროს ლომის“ მეჯინიბის, საბრალო იპოლიტეს გამართვლება? ნუ დაივიწყებთ, რომ სასტუმროში მიმსვლელს ყველას ჩამოუთვლის თავისი განკურნების ამბავს და, გარდა ამისა, (აქ ჰომეს ხმას დაუდაბლა და მიმოიხედა) მეც ვინ დამიშლის, რომ ამაზე პატარა შენიშვნა გავგზავნო გაზეთში? ხოლო შემდეგ კი, ღმერთო ჩემო! ეს შენიშვნა გავრცელდება... ხმა გავარდება... და ხომ იცით, მთის მწვერვალიდან რომ თოვლის გუნდა დაგორდება! ვინ იცის, რა მოხდეს?

მართლაც, ბოვარის შეეძლო სახელი მოეხვეჭა; ემას არავითარი საბუთი არ ჰქონდა, შარლის უნარიანობაში ეჭვი შეეტანა; და თანაც რა კმაყოფილებას მიანიჭებდა ცოლს ის გარემოება, რომ იქნებოდა ქმრის წამქეზებელი იმ საქმეში, რაც სახელის და ქონების მოხვეჭას გამოიწვევდა. ემაც ხომ ეძებდა უფრო მტკიცე დასაყრდენს, ვიდრე სიყვარული ანიჭებს.

მეაფთიაქისა და ცოლის დაჟინებით წაქეზებული შარლი დათანხმდა. რუანიდან გამოიწერა ექიმ დაუალის წიგნი და საღამოობით, ორივე იდაყვსდაყრდნობილი, გულდასმით კითხულობდა.

სანამ შარლი შეისწავლიდა მოქცეული ფეხის შემთხვევებს,

equinus varus და volgus, ესე იგი, სტრეფოკატოკოდიას, სტიფ-ფენდოპოდიასა და სტრეფექსოპოდიას (ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ფეხის სხვადასხვა მოქცევას, ძირს, შიგნით, თუ გარეთ) სტრეფიპოპოდიასა და სტრეფანოპოდიასთან ერთად (სხვანაირად რომ ვთქვათ, ფეხის ღრძობას ძირს ან მაღლა), ჰომე ყოველი საშუალებით აჯერებდა სამიკიტნოს მსახურს, რათა იგი ოპერაციის გაკეთებაზე დათანხმებულიყო.

— ტკივილს სულაც ვერ იგრძნობ; პატარას უჩხვლეტს, როგორც სისხლის გაღების დროს, და გათავდა; ზოგჯერ ბებერას აცლა უფრო მტკივნეულიცაა.

დაფიქრებული იპოლიტე რეგვენულად აკუეტდა თვალს.

— თუმცა, — განაგრძობდა მეაფთიაქე, — მე რა მენაღვლება! შენთვის ვცდილობ ძხოლოდ! კაცთმოყვარეობის გამო! ჩემთვის სასიამოვნო იქნებოდა, ჩემო კარგო, რომ განთავისუფლებულიყავ ეაგ საზიზღარი კოვლობისგან, მთელ ჯიგარს რომ გინგრევს და შენი მოვალეობის აღსრულებაშიც ხელს გიშლის, თუმცა შენ ამას უარჰყოფ.

და ჰომე უთვალისწინებდა, თუ როგორ გააჯეელებდა და გააცვიტებდა ეს ოპერაცია; იმაზედაც კი გადაუკრა სიტყვა, რომ მაშინ ქალებსაც უფრო მოეწონებოდა. მეჯინიბე ყეყეჩურად იღიმებოდა, მეაფთიაქე კი უფრო და უფრო აღიზიანებდა.

— მაგისი ღდინიც არ იყოს, განა ვაკეაცი არა ხარ? ერთიც ვნახოთ, ომში წასვლა მოგიხდა, დროშების ფრიალით ბრძოლა! აჰ, იპოლიტე!..

და ჰომე განშორდებოდა გაჯავრებული: არ მესმის შენი ჯიუტობა და ეს სიბრმავე, რომელიც მეცნიერების სიკეთეზე უარს ეალაპარაკებსო.

უბედური დათანხმდა, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ეს დაჟინება შეთქმულებას ჰგავდა: ბინე, რომელსაც სხვის საქმეებში ჩარევა არ უყვარდა, ქ-ნი ლეფრანსუა, არტემიზა, ყველანი და თვით ბერიც, ბ. ტუვაში არწმუნებდნენ, ურჩევდნენ, არცხვენდნენ. მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება იმ გარემოებამ დააჩქარებინა, რომ დაჰპირდნენ, ეს ოპერაცია სრულიად არაფერი დაგიჯდებაო. ბოვარიმ ფეხის გასასწორებელი საჭირო აპარატის შოვნაც კი აღუთქვა. ეს დიდსულოვანი ფიქრი ემას მოუვიდა. შარლი დაეთანხმა და გულში ამბობდა: რა ანგელოზია ჩემი ცოლი!

მეაფთიაქის რჩევით და სამჯერ დაწუნებით, შარლმა ადგილობრივ დურგალსა და ზეინკალს შეუკვეთა სათანადო ყუთის გაკეთება, რომლისთვისაც არ დაუზოგავთ რკინა, ხე, თუნუქი, ტყავი, მანქვები და ხრახნილები.

მაგრამ, რომ გაეგოთ, თუ რომელი ძარღვი იყო გადასაჭრელი, საჭირო იყო, რომ ჯერ ის გამოერკვიათ, რა ჯურისა იყო იპოლიტეს ფეხის გამრუდება.

ფეხისგული წვივიანად თითქმის პირდაპირ ხაზს ქმნიდა, რაც ხელს არ უშლიდა, რათა იგი შიგნით ყოფილიყო მიქცეული; ასე რომ, ეს იყო ფლოქა-ფეხი, ecuinus-ით ოდნავ გართულებული, ანუ ecuinus-ის მსუბუქი ფორმა ფლოქა-ფეხისკენ მძაფრად მიდრეკილი; მაგრამ, მიუხედავად ამ მობრეცილი ფეხისა, რომელიც, მართლაც, ცხენის ფლოქვს ჰგავდა, გახევებული კანით, ხმელი ძარღვებითა და მსხვილი თითებით, რომლებზედაც ჩაჟანგებული ფრჩხილები ლურსმნებივით იყო დასობილი, კოჭლი იპოლიტე დილიდან საღამომდე ქურციკივით დახტუნავდა. ყოველ წუთს შეიძლებოდა მისი დანახვა მოედანზე, სადაც ისე ხმარობდა თავის კოჭლაფეხს, ვით კაი ოჩოფეხს; გეგონებოდათ, ამ კვაჭუნას უფრო შოხერხებულად ხმარობს, ვიდრე მრთელ ფეხსაო. რაკი ეს ფეხი ამდენი ხნის განმავლობაში ემსახურებოდა, მან თითქოს მორალური ღირსებანიც მოიპოვაო: მოთმინება და ენერგია; და როცა რაიმე მძიმე სამუშაოვარს მიანდობდნენ ხოლმე, იპოლიტეც თავის კვაჭაფეხზე დაყრდნობას ამჯობინებდა.

მაშასადამე, რაკი ეს ფლოქა-ფეხის შემთხვევა იყო, ჯერ აქილევსის ძარღვი უნდა გადაეჭრა და მხოლოდ შემდგომ უნდა მიეყო ხელი ტიბილური შიგნითა ძარღვისთვის, რათა ecuinus-ისგან გაეთავისუფლებინა, რადგან ექიმი ვერ ბედავდა ორივე ოპერაციის ერთსა და იმავე დროს გაკეთებას; იგი ისედაც კანკალებდა შიშით, ვაითუ უნებლიეთ რაიმე მნიშვნელოვან ადგილს შეეხოო.

არც ამბრუაზ პარეს, რომელმაც ცელსიდან თხუთმეტი საუკუნის შემდეგ, პირველმა სცადა გადაჭრილი არტერიის გასკვნა, არც დიუპუტრენს, ვინც ტვინის სქელი ფენის ქვეშ მუწუკი გაკვეთა, არც ჟანსუელს, რომელიც პირველი შეეცადა ზედა ყბის ამოღებას, არც ერთს, ალბათ, ისე არ უცემდა გული, არ უკანკალებდა ხელი და არც ნებისყოფა ჰქონდა ისე დაძაბული, როგორც ბო-

ვარის, როცა იგი ტ ე ნ ო ტ ო მ ი თ შეიარაღებული იპოლიტეს მიუახლოვდა. როგორც საავადმყოფოში, ერთი მაგიდა სავსე იყო კორპით, გასანთლული ძაფითა და აუარებელი სახვევით, რაც კი მეაფთიაქეს გააჩნდა. ყოველი სამზადისი დილიდანვე თავს იდო თვით მეაფთიაქემ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საზოგადოება განეცვიფრებინა, მეორეც, იმიტომ, რომ თავისთვის ილუზია შეექმნა. შარლმა კანი გაკვეთა. გაისმა ხმელი ლაწუნი, ძარღვი გადაჭრილ იქნა, ოპერაცია გათავდა. განცვიფრებული იპოლიტე გადმოიხარა და ხელები დაუკოცნა ბოვარის.

— მოიცა, — უთხრა მეაფთიაქემ, — შენ შემდეგ დაუმადლებ შენს კეთილისმყოფელს!

და იგი სწრაფად დაეშვა ძირს, რათა ოპერაციის შედეგი ეცნობებინა ხუთი თუ ექვსი ცნობისმოყვარისთვის, ეზოში რომ ელოდებოდა და ეგონა, იპოლიტე ახლავე ფეხგასწორებული გამოვაო. შარლმა ავადმყოფის ფეხი მექანიკურ მამოძრავებელში მოათავსა და შინ დაბრუნდა, სადაც ემა გულისფანცქალით ელოდებოდა. ცოლი ყელს მოეხვია; მერმე სადილად დასხდნენ; ექიმი ბევრს ჭამდა და დესერტზე ერთი ფინჯანი ყავაც კი დააყოლა, ასე იგი მხოლოდ კვირაობით ნებივრობდა, როცა სტუმრები ჰყავდა ხოლმე.

საღამომ საუცხოოდ გაიარა, ცოცხალ საუბარსა და ოცნებაში, ცოლ-ქმარი მომავალ სიმდიდრეზე ვარაუდობდა, რაც ოჯახის გაუმჯობესების საშუალებას მისცემდა. შარლი უკვე ხედავდა გონების თვალით, როგორ გაითქვა სახელი და გაიზარდა მისი კეთილდღეობაც, ცოლს კი წინანდებურად უყვარდა იგი. ხოლო ემა ბედნიერი იყო ახალი, უფრო ჯანსაღი და კეთილი გრძნობის განცდით; ახარებდა გულში აღძრული ოდნავი სინაზე ამ საბრალო ადამიანისადმი, მას რომ აღმერთებდა. მის გონებაში წუთით როდოლფის ფიქრმაც გაიელვა, მაგრამ თვალი მყის შარლს მიაპყრო და გაკვირვებით შეამჩნია, რომ ურიგო კბილები როდი ჰქონია.

უკვე ლოგინში იწვნენ, როცა ჰომემ მზარეული ქალი იქით გააგდო და უეცრად საწოლ ოთახში შევიდა, ხელში ახალდაწერილი ქაღალდი ეჭირა. ეს იყო მის მიერ დამზადებული რეკლამა, რომელიც „რუანის შუქურაში“ დასაბეჭდად უნდოდა გაეგზავნა და წასაკითხავად მოიტანა.

— თვითონ წაიკითხეთ. — უთხრა ბოვარიმ.

მეაფთიაქემ კითხვა დაიწყო:

„მიუხედავად ცრურწმენათა იმ ხშირი ქსელისა, ევროპის მისავალ კუთხეს რომ ჰფარავს, სინათლე მაინც შემოდის ჩვენს სოფლებში. ასე, მაგალითად, გასულ სამშაბათს ჩვენს მივიწყებულ დაბა იონვილში ადგილი ჰქონდა ერთ ქირურგიულ ცდას, რაც ამავე დროს კაცთმოყვარეობის უმაღლეს აქტსაც წარმოადგენს. ბ. ბოვარიმ, რომელიც პრაქტიკული მედიცინის ერთ-ერთი ცნობილი მოღვაწეთაგანია, ჩვენს ოლქში...

— აჰ, ეგ მეტისმეტია! ეგ მეტისმეტია!

იძახოდა მღელვარებისაგან სულშეხუთული შარლი.

— არა-მეთქი, სრულიადაც არა! აბა სხვანაირად როგორ იქნება!... „მოახდინა მოქცეული ფეხის გასწორება“... მე აქ განგებ არ ვიხმარე შეცნიერული ტერმინი, ხომ იცით. გაზეთში... ალბათ, ყველა ვერ გაიგებს; აქ კი საჭიროა, რათა მასებმა...

— მართალია, — დაეთანხმა ბოვარი, — გახანგრძეთ.

— განვაგრძობ, „ბ. ბოვარიმ, რომელიც პრაქტიკული მედიცინის ერთ-ერთი მეტად ცნობილი მოღვაწეთაგანია ჩვენს ოლქში, მოახდინა მოქცეული ფეხის გასწორება — ეს იყო კოჭლი ვინმე იპოლიტე ტოტენი, მეჯინიბე, რომელიც ოცდახუთი წლის განმავლობაში მსახურობდა ქვრივის კუთვნილ სასტუმრო „ოქროს ლომში“ ლეფრანსუას საჭურვლის მოედანზე. ცდის სიახლემ და მის მიერ გამოწვეულმა ინტერესმა იმდენ ხალხს მოუყარა თავი, რომ შენობის შესასვლელში ტევა არ იყო, ოპერაცია ჯადოსნური ოსტატობით ჩატარდა; კანზე მხოლოდ რამდენიმე წვეთი სისხლი გამოჩნდა, თითქოს იმის დასამტკიცებლად, რომ უდრეკი ძარღვი ბოლოს და ბოლოს ხელოვნების ძალას დაემორჩილაო. ავადმყოფს, უცნაური რამ კია (ამას ჩვენ ვამტკიცებთ) de visu* ოდნავი ტკივილიც არ უგრძვნია, მისი მდგომარეობა დღემდე მშვენიერია, ყველაფერი იმას მოწმობს, რომ განკურნება ჩქარა მოხდება და ვინ იცის, შესაძლოა სოფლის მომავალ დღეობაში საკუთარი თვალით ვნახო ჩვენი კარგი იპოლიტე ბასუსური ცეკვის მონაწილედ სხვა მხიარულ ამხანაგებთან ერთად და თავისი ცქვიტი სრიალით ურყევად დაამტკიცოს სრული განკურნება! მაშ, დიდება სულგრძელ სწავლულებს! ქება და დიდება იმ დაუღალავი გონების პატრონებს, რომელნიც მრავალ უძილო ღა-

* როგორც დამსწრე.

ვეს ანდომებენ ადამიანთა მოდგმის გასაუმჯობესებელ საშუალებათა ძიებასა და ტანჯულ მოყვასთა ყოფის შემსუბუქებას! სამგზის ქება და დიდება მათ! განა აქ ნამდვილი არ იქნება ვთქვათ, რომ ბრმათ თვალნი აეხილნეს და კოჭლნი ვიდოდნენ! იმას, რასაც სარწმუნოებრივი ფანატიზმი ოდესმე თავიანთ რჩეულებს ჰპირდებოდა, დღეს იმას მეცნიერება ყოველი ადამიანის ხელმისაწვდომად ხდის! ჩვენ მკითხველს რეგულარულად მივაწვდით ხოლმე ცნობებს ამ შესანიშნავი მკურნალობის შესახებ".

მიუხედავად ყოველივე ამისა, სწორედ ხუთი დღის შემდეგ შიშით გულგახეთქილმა მადამ ლეფრანსუამ ყვირილით შემოირბინა:

— მიშველეთ! იპოლიტე კვდება! არ ვიცი, რა ვიღონო!...

შარლი „ოქროს ლომისკენ" გაეშურა; მეაფთიაქეც, ექიმი რომ მოედანზე უქუდო დაინახა, აფთიაქიდან გავარდა. აქოშინებული, წამოწითლებული და შეშინებული ეკითხებოდა ყველას, ვინც კი კიბეზე შეეყარა:

— რა დაემართა ჩვენს საინტერესო სტრეფოპოდს?

სტრეფოპოდი კი საშინელი ტკივილებით იმანჭებოდა, ასე რომ მექანიკური აპარატი კედელს უბრახუნებდა, თითქოს შენგრევა სურსო.

ათასგვარი სიფრთხილით, რათა მტკივანი ფეხი არ შეეწუხებიათ, კოლოფი შემოხსნეს და საშინელი სურათი წარმოუდგათ თვალწინ: ფეხის ფორმა მთლად სიმსივნეს დაეფარა. ისე შეშუპებულიყო, რომ სადაცაა კანი გასკდებოდა; თანაც ლურჯად იყო აფორაჯებული, რაც ნიშანი იყო ქებული აპარატის მოქმედებისა. იპოლიტე წინათაც უჩიოდა ტკივილს, მაგრამ მაშინ ამას ყურადღებაც არ მიაქციეს: ახლა კი იძულებული იყვნენ დაეჯერებინათ, რომ მისი ჩივილი საფუძველს ხრულებით მოკლებული როდი ყოფილა, და ფეხი რამდენიმე საათის განმავლობაში თავისუფალი დატოვეს, მაგრამ დაცხრა ოდნავ შეშუპება თუ არა, ორივე სწავლულმა საჭიროდ ცნო, ფეხი ისევ კოლოფში მოექციათ და, განკურნების დასაჩქარებლად, მანქანა უფრო მოეჭირებინათ, ბოლოს, სამი დღის შემდეგ, როცა იპოლიტეს მეტის მოთმენა აღარ შეეძლო, მათ ერთხელ კიდევ შემოხსნეს აპარატი და მიღწეული შედეგით ერთობ განცვიფრებული დარჩნენ: მთელი ფეხი შეშუპებოდა და ბუშტულებს დაეფარა, საიდანაც შავი სითხე ჟონავდა. საქმე

ძლიერ რთულდებოდა. იპოლიტე ძალზე წუხდა. ამიტომ მოსუცმა ლეფრანსუამ თავის პატარა სასადილო ოთახში დააწვინა, ცოტათი მაინც გულს გადააყოლებსო.

მაგრამ გადასახდთა ამკრეფი, რომელიც ყოველდღე იქ სადილობდა, ერთობ უჩიოდა ასეთ მეზობლობას და მაშინ იპოლიტე საბილიარდოში გადაიყვანეს.

აქ იწვა იგი სქელ საბნებქვეშ და კვნესოდა ფერმკრთალი, წვერგაუპარსავი, ყბებჩაცვივნული; თავს მოწყვეტილივით აგორებდა ჭუჭყიან, ბუზებით დაფარულ ბალიშზე! მადამ ბოვარი ნახულობდა ხოლმე. საკომპრესე ჩვრები მოჰქონდა, ანუგეშებდა, ამხნევებდა, თუმცა იპოლიტეს საზოგადოება არ აკლდა, განსაკუთრებით ბაზრობის დღეებში, როცა მის გარშემო გლეხები ბილიარდს თამაშობდნენ, კიეებით ფარიკაობდნენ, თამბაქოს ეწეოდნენ, სვამდნენ და სიმღერებს ღრიალებდნენ.

— როგორ ხარ? — ეკითხებოდნენ ისინი და ბეჭებზე ხელს ურტყამდნენ, — ეჰ, შესახედავად ვერაფერი შვილი ბრძანდები! შენ ბრალია! ასე და ასე უნდა მექნაო.

და უამბობდნენ, თუ როგორ განიკურნენ არა იმ საშუალებით, რომლითაც მას წამლობდნენ, არამედ სხვანაირით; და ნუგეშის მაგივრად დაუმატებდნენ:

— მაინცდამაინც ნურც ძალიან ათხოვებ ყურს სად რა გტკივა. ცმჯობესია, ადგე. გასათუთდი რაღა, მეფესავით! აი შე ძველო ბასხარავ! სუნი კი ძალიან მყრალი გდის, ძმობილო!

ქარცეცხლი, მართლაც, სულ უფრო და უფრო ვრცელდებოდა. ბოვარი თვითონაც ავად გახდა. ყოველ საათში, ყოველ წუთში იქ დარბოდა. იპოლიტე საშინელებით სავსე თვალს მიაპყრობდა და ტირილით დუდუნებდა:

— როდისღა გამოვკეთდები! მიხედეთ ღმერთს!... აი უბედურებაც ესაა! უბედურებაც ესაა!

ექიმი დიეტას ურჩევდა ავადმყოფს, მერმე ადგებოდა და წავიდოდა.

— მაგას ყურსაც ნუ უგდებ, — ეუბნებოდა დედაბერი ლეფრანსუა, — კმარა რაც გაწამეს! უფრო დასუსტდები, აი, ჭამე!

და მიჰქონდა მასთან ქონიანი სუპი, შემწვარი ცხვრის ხორცი, ქონის ნაჭერი და, ზოგჯერაც, პატარა ჭიქა არაყი, რის ტუჩთან მიტანას ავადმყოფი მაინც ვერ ბედავდა.

როცა აბატმა ბურნიზიენმა ავადმყოფის მდგომარეობის გაუარესება შეიტყო, ითხოვა სანახავად მიმიშვითო. იმით დაიწყო, შეცოდებითო და თან განუცხადა, გულში უნდა გიხაროდეს, რადგან ასეთია ნება ღვთისაო, და დაუყოვნებლივ შეეცადა, ავადმყოფი ცასთან შეერიგებინა.

— შენ ხომ, — მამობრივი კილოთი ეუბნებოდა ხუცესი, — უგულებელყოფდი შენს მოვალეობათ. ხშირად გხედავდნენ განა წირვა ლოცვაზე? რამდენი ხანია არ ზიარებულხარ? მესმის, რომ სამსახური და ცხოვრების ორომტრიალი ხელს გიშლიდა, რათა სულზედაც გეფიქრა, მაგრამ ახლა კი დროა ცხოვრებაზე იფიქრო, თუმცა, ორც სასო წარიკვეთო, მე ვიცი დიდნი ცოდვილნი, რომელნიც ღვთის წინაშე წარსადგომად გამზადილნი (შენი ქამი კი ჯერ არ მოწეულა, მე ვიცი) მოწყალეობას ემუდარებოდნენ მას და კვდებოდნენ ღვთისმოსავნი. იმედი ვიქონიოთ, რომ შენც მათ მსგავსად კეთილ მაგალითს გამოგვივლენ. ხოლო სიფრთხილისათვის, უკეთესია დილით და საღამოთი წაიკითხავდე „გიხაროდნენ, ღვთისმშობელო ქალწულო“-ს და „მამაო ჩვენო“-ს. ასე მოიქეცი, გევედრები! ჩემი გულისთვის! პირადად მე ვიქნები ამით დაეალებული. აბა რა დაგაკლდება? მპირდები თუ არა?

საბრალო დაჰპირდა. მღვდელი რამდენიმე დღეს ზედიზედ დაიარებოდა; თან მიკიტან ქალთან ბაასობდა, ხუმრობითა და კალამბურებით აღსავსე ანეგდოტებსაც კი უამბობდა, რომელთა აზრიც იპოლიტეს არ ესმოდა. შემდეგ, როდესაც კი გარემოებანი საშუალებას მისცემდნენ, კვლავ სარწმუნოებრივ საკითხებს დაუბრუნდებოდა და სათანადო იერსაც მიიღებდა.

მისი გულმოდგინება თითქოს დაგვირგვინდაო: სტრეფოპოდმა სურვილი გამოთქვა: ოლონდ კი მოვრჩე და სწრაფი დახმარებისათვის ღვთისმშობლის სავედრებლად გეახლებიო, რაზედაც ბურნიზიენმა უპასუხა, მაგის საწინააღმდეგო არაფერი მექნებაო. ზედმეტი სიფრთხილე არასოდეს ურიგო არ არის და ეს არავითარ რისკთან არ არის დაკავშირებულიო.

მეაფთიაქე აღშფოთებული იყო იმით, რასაც იგი „ხუცის ოინებს“ ეძახდა; ეს ოინები აბრკოლებენ იპოლიტეს განკურნებასო და ქ-ნ ლეფრანსუასაც უმეორებდა:

— თავი გაანებეთ, თავი გაანებეთ-მეთქი! თქვენი მისტიციზმი მის მორალურ ენერგიას ასუსტებს.

მაგრამ კეთილი ქალი არ უსმენდა. სწორედ ამ მეაფთიაქის ბრალი იყო ყველაფერი. წინააღმდეგობის სურვილით, ავადმყოფის სასთუმალთან ზემოთ ნაკურთხი წყლით სავსე სასხურებელიც კი ჩამოჰკიდა.

ხოლო როგორც ქირურგია, ისე რელიგია, ორივე თანაბრად უსარგებლო გამოდგა; ულმობელი ქარცეცხლი სულ მაღლა და მაღლა, მუცლისკენ მიიწევდა. რამდენჯერაც წამლები და კომპრესები არ გამოცვალეს, ძარღვები მაინც თანდათანობით სუსტდებოდა, ვიდრე შარლი თავის ჩაქნევით არ დაეთანხმა დედაბერ ლეფრანსუას რჩევას, რომ ასეთი უნუგეშო მდგომარეობის გამო ნევშატელიდან მოეწვიათ სახელგანთქმული ბ. კანივე.

მედიცინის დოქტორი, ორმოცდაათი წლისა, _ მდგომარეობის მქონე, თავდაჯერებული, ზიზღით იღიმებოდა, როცა ავადმყოფის ფეხი მუხლამდე ქარცეცხლით მოდებული ნახა. იქვე განაცხადა, ფეხი დაუყოვნებლივ უნდა მოიკვეთოსო და მერმე მეაფთიაქისაკენ წავიდა, რათა გვარიანად შეექო ის ვირები, ვინც უბედური ადამიანი ამ მდგომარეობამდე მიიყვანა. ღილში ხელჩაკიდებული, ანჯღრევდა ჰომესა და მთელ აფთიაქში ღრიალებდა.

— აი თქვენი პარიზის გამოგონებანი! აი უახლესი იდეები სატახტო ქალაქის ვაჟბატონებისა! ყველა ეს ახალ-ახალი რამე, როგორც ელამის განკურნება, ქლოროფორმირება და საშარდე ბუშტის ქვების დაშლა, მთელი რიგი უმსგავსოებანი, რომლებიც მთავრობამ უთუოდ უნდა აკრძალოს! თქვენზე ჭკუიანობას იჩემებენ და გეყიპავენ ათასგვარი წამლით. შედეგს კი არ დაგიდევენ, ჩვენ უბრალო ხალხი ვართ. არა სწავლული, არა გენიოსები, არა სულგრძელი მეცნიერები; ჩვენ საქმის ხალხი ვართ, ჩვენი მოვალეობა მკურნალობაა და აზრადაც არ მოგვივა, რომ ჯანმრთელ კაცს ოპერაცია გავუკეთოთ. ერთი მითხარით, შენი ჭირიმე: მოქცეული ფეხის გასწორება! განა შეიძლება მრუდი ფეხის გასწორება? ეს ხომ იგივე იქნებოდა, რომ კუზიანისთვის ზურგი გაესწორებინათ?

ჰომე უსმენდა და იტანჯებოდა, მაგრამ თავის უსიამოვნებას თავაზიანი ღიმილით მალავდა; საჭირო იყო მოფერებოდა კანივეს, ვისი რეცეპტებიც ზოგჯერ იონვილამდე აღწევდა; ამიტომაც არ იდო თავს ბოვარის დაცვა, ერთი შენიშვნის ნებაც კი არ მისცა

თავის თავს, შეელია პრინციპებსა და თავისი ღირსება უფრო საარსებო ინტერესს, ვაჭრობას მიუტანა მსხვერპლად.

ივნვილის ცხოვრებაში ფეხის ეს ამპუტაცია დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო, დაბის მცხოვრებნი ამ დღეს დილაადრიან წამოდგნენ. ხალხით გაჭედილ დიდ ქუჩას რაღაც სამგლოვიარო იერი ედო, თითქოს სიკვდილით დასჯას ელოდებიანო, მეწვრილმანის დუქანში იპოლიტეს ავადმყოფობაზე ლაპარაკობდნენ. დუქნები აღარ ვაჭრობდნენ, ხოლო ქ-ნი ტუვაში, მერის მეუღლე, ფანჯარას არ ცილდებოდა და მოუთმენლად ელოდებოდა ქირურგის მფსვლას.

იგიც თავისი საკუთარი კაბრიოლეტით მოვიდა, რომელსაც თვითონ მართავდა. იმის გამო, რომ მარჯვენა რესორი მისი სხეულის სიმძიმით დაკეცილიყო, ეტლი ოდნავგადახრილი მოდიოდა. მის გვერდით, დასაჯდომზე იყო წითელტყავგადაკრული დიდი ყუთი ს

უნდა იქონიოს თქვენს ტემპერატურაზე. აბა, ერთიც მე შემომხედეთ: ვდგები ყოველდღე დილის ოთხ საათზე, წვერს ვიპარსავ ცივი წყლით (და არასოდეს არ ვიყინები), სათბურს არ ვიცავამ, სურდოც კი არ ვიცი რა არის, მანქანა მშვენივრად მუშაობს! ვჭამ ამასაც, იმასაც, რაც კი შემხვდება; ვცხოვრობ შემთხვევის მიხედვით, როგორც ფილოსოფოსი. ამიტომ არც თქვენსავით განებივრებული ვარ და ჩემთვის სულ ერთია ქრისტიან კაცს ავქნი, თუ რომელიმე ნანადირევს. ამის შემდეგ კიდევ ილაპარაკებთ ჩვეულებაზე... ჩვეულებაზე?

მობაასენი ლაპარაკს განაგრძობდნენ და სრულიადაც არ აქცევდნენ ყურადღებას იპოლიტეს, რომელიც საბანქვეშ ოფლად იღვრებოდა; ექიმის გულგრილობას მეაფთიაქე სარდლის გულგრილობას ადარებდა; ეს შედარება კანივეს სიამეს ჰგვრიდა, დაუსრულებლად ლაპარაკობდა თავისი ხელობის მოთხოვნებზე. ეს ხელობა მისთვის წმიდათა წმიდა იყო, რასაც მისი კოლეგები ხშირად ფეხქვეშ თელავდნენ. ბოლოს ავადმყოფს მიუბრუნდა, გასინჯა სახვევები, ჰომეს რომ მოეტანა, ისეთივენი, პირველი ოპერაციის დროს რომ იყო ნახმარი, და სთხოვა, ვინმემ ავადმყოფის ფეხი დაიკავოსო. გაგზავნეს ლესტიბუდუას მოსაყვანად; მანამდე კი კანივემ დაიმკლავა და საბილიარდოში გავიდა. მეაფთიაქე არტემიზასა და ქ- ნ ლეფრანსუასთან დარჩა, ორივენი თავიანთ წინსაფრებზე უფრო ფერმკრთალები იყვნენ და კარს წარამარა ადებდნენ ყურს.

ამასობაში, ბოვარი თავის სახლიდან ვერ გამოსულიყო. ძირს, სასადილო ოთახში, გაცივებულ ბუხარს მისჯდომოდა, თავი ჩაეკიდა, ხელები დაეჭდო, თვალი გამოშტერებოდა. — რა მარცხი მომიხდა! — ფიქრობდა იგი,—რა უბედურება! მერმე, თითქოს ყოველგვარი სიფრთხილე ვიხმარე! არა, აქ უთუოდ ბედისწერა იყო! ხოლო, თუ იპოლიტე მოკვდა, მისი მკვლელი მე ვიქნები. და, ყოველ შემთხვევაში, რა საბუთებს დავასახელებ თავის გასამართლებლად, რა უნდა ვუპასუხო პაციენტების შეკითხვას? შესაძლებელია, მართლაც, რაიმე შეცდომა ჩავიდინე?

უნდოდა მოეგონებინა და არ შეეძლო. მაგრამ თვით სახელგანთქმული ქირურგებიც ხომ ცდებოდნენ. მას კი, რასაკვირველია, არავინ დაუჯერებს. პირიქით, დასცინებენ, აყეფდებიან! გაიბმება მითქმა-მოთქმა ფორჟამდე, ნევშატელამდე, რუანამდე, ყველგან, ვინ იცის, იქნებ კოლეგებიც მის წინააღმდეგ ამხედრდნენ.

პოლემიკა აუცილებელი გახდება; საჭირო იქნება გაზეთებში თავის მართლება. თვით იპოლიტეს შეუძლია საჩივარი აღძრას. შარლმა წარმოიდგინა, რომ იგი უკვე შერცხვენილია, განადგურებული და დაღუპულია. და მოჯარებულ ათასგვარ ეპვებში მისი ფანტაზია ისე ქანაობდა, ვით მდინარის ტალღებში ზღვისკენ გაქანებული ცარიელი კასრი.

ემა მის პირდაპირ იჯდა და თვალს არ აშორებდა. იგი არ იზიარებდა მის დამცირებას, რადგან თვით იყო დამცირებული; როგორ წარმოიდგენდა, რომ ეს კაცი გამოსადეგია რისთვისმე, თითქოს რამდენჯერმე ნათლად არ დარწმუნებულა, რომ იგი არარაობაა?!

შარლი კუთხიდან კუთხეს აწყდებოდა. წაღები უჭრაჭუნებდა.

— დაჯექი, — მიახალა ქალმა, — თავი მომაბეზრე!

შარლი დაჯდა.

როგორ მოხდა, რომ (მისი ჭკუის პატრონი) ერთხელ კიდევ შეცდა ასე? — განაგრძობდა ემა გაწყვეტილ ფიქრებს, — ან ეს რა უბედურებაა, განუწყვეტელი მსხვერპლის მიტანით თავისი სიცოცხლე გააჩანაგოს? გაახსენდა თავისი სწრაფვანი ფუფუნების შესაძენად. სულის სიღატაკე, ცოლქმრული ცხოვრების დამცირებანი, ტალახში ამოსვრილი ოცნებანი, ვით ფრთადამსხვრეული მერცხლები, ყოველივე, რასაც ნატრობდა, რასაც ელტვოდა, რისთვისაც საკუთარ თავს უარს ეუბნებოდა, რისი მიღწევაც შეეძლო. და რისთვის? რისთვის?

მკვდრული სიჩუმე, ქუჩებში რომ გამეფებულიყო, უეცრად გულისგამგმირავმა კივილმა შეარყია. ბოვარი გაფითრდა, კინაღამ გული წაუვიდა. ემამ ნერვული მოძრაობით კოპები შეიკრა; მერმე კვლავ თავის ფიქრებს დაუბრუნდა. რისთვის და ამ კაცისთვის, რომელსაც არც გაგების უნარი აქვს და არც გრძნობისა: აი, ზის აგერ სრულიად დამშვიდებული და ფიქრადაც არ მოსდის, რომ მისი სახელის შერცხვენა, ჩემი შერცხვენაცაა, და მე ყოველ ღონეს ვხმარობდი, შემყვარებოდა იგი, და ცრემლით ვინანიებდი, რომ სხვას დავნებდი!

— მაგრამ, ხომ შესაძლებელია ეს valgus-ი ყოფილიყო? — უეცრად წამოიძახა ფიქრებში წასულმა ბოვარიმ.

ამ უცნაური სიტყვების გახმაურებაზე, ქალის ფიქრებში რომ შეიჭრა, თითქოს ტყვია ვერცხლის სინს მოხვდაო, ემა შეკრთა,

თავი ასწია და უნდოდა, გაეგო, თუ რისი თქმა სურდა ქმარს; და იმდენად დაშორებული იყვნენ გონებით ერთმანეთს, რომ თვალგაშტერებულნი, თითქმის განცვიფრებულნი უცქერდნენ ერთიმეორეს. შარლი ამღვრეულ თვალს ავლებდა მას, ვით მთვრალი, და გაფაციცებით უგდებდა ყურს ნაწამები ავადმყოფის მოთქმას, რომელიც ხან გაბმით, არა თავისი ხმით ჰკიოდა, ხანაც მხეცივით ღმუოდა, თითქოს პირუტყვს ყელსა სჭრიანო, ემა გაფითრებულ ტუჩებს იკვნეტდა, ხელში რაღაც კენწალს ატრიალებდა და ქმარს შანთივით გახურებულ თვალებს არჭობდა. ახლა ყველაფერი აღშფოთებდა: მისი სახე, ტანისამოსი, წარმოუთქმელი სიტყვები, გარეგნობა, მთელი მისი არსება. ნანობდა, ვით შეცოდებას, თავის წინანდელ სათნოებას და ყოველივეს, რაც კი ძველ ჩვევათაგან კიდევ დარჩენილიყო; მისი სიამაყე რისხვით ნადგურდებოდა, ტკბებოდა მოზეიმე ღალატის გამარჯვებით ერთგულებაზე. საყვარლის მოგონება მიმზიდველობის თავბრუდამხვევი ცდუნებით ეპატიჟებოდა; სულსაც კი გაიმეტებდა მისთვის და ამ უანგარო თავგამეტებაში რაღაც ჯერ კიდევ განუცდელ აღფრთოვანებას პოულობდა. ქმარი ისე ეჩვენებოდა, როგორც სამუდამოდ მისგან მოწყვეტილი, დაუბრუნებლად სადღაც წასული, ამიერიდან იმდენადვე წარმოუდგენელი და არარსებული მისთვის, როგორც უკანასკნელად სულთმობრძავი.

ქვაფენილზე ფეხის ხმა გაისმა. შარლმა ფანჯარაში გაიხედა; ოდნავ ჭიატ ფარდებში თვალი მოჰკრა ექიმ კანივეს; იგი ბაზრის ფარდულების გასწვრივ მიდიოდა, მზეში, და შუბლს აბრეშუმის ცხვირსახოცით იმშრალებდა. უკან ჰომეს მიჰქონდა მისი წითელტყავიანი ყუთი; ორივე აფთიაქისკენ მიემართებოდა.

ამ დროს სინაზისა და სასოწარკვეთილების ჟამს, შარლი ცოლს მიუბრუნდა და უთხრა:

— მაკოცე რა, ჩემო კარგო!

— თავი დამანებე! — წამოიძახა ქალმა და სიბრაზით წამოწითლდა.

— რა მოგივიდა, რა მოგივიდა? — იმეორებდა იგი გაკვირვებული, — დამშვიდდი! გონს მოდი! ხომ იცი, რომ მიყვარხარ? მოდი!...

— კმარა!

საშინლად დაიყვირა ემამ. ოთახიდან გავიდა და კარი ისე

მძლავრად გაიჯახუნა, რომ კედელზე ბარომეტრი ჩამოვარდა და დაიმსხვრა.

შარლი უმწეოდ დაეშვა სავარძელზე და შეშფოთებული ეკითხებოდა თავს, რა მოუვიდაო; წარმოიდგინა სერიოზული აშლილობა ნერვებისა, ტიროდა და თან ბუნდოვნად გრძნობდა, რომ რაღაც დაატყდა თავს, საზარელი და გაუგებარი.

საღამოს, როცა როდოლფი ბაღში მივიდა, საყვარელი წინკარში კიბის პირველ საფეხურზე ელოდებოდა. ერთმანეთს გადაეხვივნენ და მთელი მათი წყენა ცეცხლოვან კოცნაში გალბვა, ვით თოვლის გუნდა.

XII

მათმა სიყვარულმა ახალი ძლიერებით იფეთქა. ხშირად შუადღისას ემა მოულოდნელად მისწერდა, მოდიო, მერმე ფანჯრიდან ჟუსტენს ანიშნებდა, რომელიც საჩქაროდ მოიხსნიდა თავის წინსაფარს და ჰუშეტისკენ გაეშურებოდა. როდოლფი მოვიდოდა; ქალს მხოლოდ იმის თქმა უნდოდა, რომ უმისოდ მოწყენილია, ქმარი ეზიზღება, სიცოცხლე დამძიმებია!

— მერმე მე რა უნდა ვქნა? — მოუთმენლად წამოიძახა როდოლფმა.

— აჰ, შენ რომ გინდოდეს!..

ქალი ძირს იჯდა მიწაზე მისი ფერხთით, თმაგაშლილი.

— სახელდობრ? — ჰკითხა როდოლფმა.

ქალმა ამოიოხრა.

— სამუდამოდ წავიდოდით სადმე აქედან...

— ნამდვილი გიჟი ხარ, — სიცილით უთხრა მან, — განა ეგ შესაძლებელია.

ემა თავისას გაიძახოდა; როდოლფმა, თითქოს არ ესმისო, ბაასი სხვა საგანზე გადაიტანა. მას სრულიად არ გაეგებოდა, რა არის საშფოთველი ისეთ უბრალო საქმეში, როგორიც სიყვარულია.

ემასთვის კი როდოლფთან კავშირი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებდა. იყო მიზეზიც, საიდანაც ეს გრძნობა მუდმივ საზრდოს პოულობდა. ეს სიყვარული დღითიდღე ძლიერდებოდა, რადგან იზრდებოდა მისი სიძულვილიც ქმრისადმი. რამდენადაც

თავდავიწყებით ეძლეოდა ერთ-ერთ მამაკაცს, იმდენად ზიზღით ანადგურებდა მეორეს; არასოდეს შარლი ისე საძაგელი არ მოსჩვენებია, როგორც ამჟამად; ეს ნამორივით დაკუთხული თითები, უძრავი გონება, უხეში მანერები, — ასე ეჩვენებოდა ყოველთვის, როცა როდოლფის ნახვის შემდეგ ცოლ-ქმარი მარტო დარჩებოდა. მაშინ ერთგული ცოლის როლს გაითამაშებდა ხოლმე, ხსოვნით კი ვნებააშლილი წარმოიდგენდა იმ შავთმიან თავს, კულული რომ ჰზით დამწვარ შუბლზე ჩამოვარდნოდა, წარმოიდგენდა მის მოყვანილსა და ბრგე ტანადობას, მას, ვინც ასე ხიბლავდა თავისი ნაცადი ჭკუით და იპყრობდა ვნებათა აღტყინებით. მისთვის იკრიალებდა იგი, ვით ოქრომჭედელი რაიმე ნივთს, თავის ფრჩხილებს; მისთვის ხარჯავდა ამდენ კოლდკრემსა და ცხვირსახოცებზედაც მისთვის იხმარდა ამდენ სურნელებას. იკაზმებოდა სამაჯურებით, ბეჭდებითა და ყელსაბამით. მისი მოსვლისას უზარმაზარ ლურჯ ვაზებს ვარდებით ავსებდა, ოთახსა და თავს ირთავდა, ვით პრინცის მომლოდინე კურტიზანი. სარეცხი მუდამ გამოულევი იყო და ფელისიტეც დილიდან დაწყებული საღამომდე სამზარეულოდან ვერ გადიოდა, სადაც ახალგაზრდა ჟუსტენი მისი მუშაობის ხშირი მოწმე იყო ხოლმე.

ჭრელ საუთოო ფიცარსდაყრდნობილი, იგი ჟინაშლილი ათვალიერებდა ქალის სხვადასხვა საცვალს, გარშემო რომ იყო დაფენილი: კრახმალიან ბოლოკაბებს, თავსაფრებს, საყელოებს, ნაოჭიან ქვედა საცვლებს, ზემოგანიერსა და ტოტებვიწროს.

— ეს რისი მაქნისია? — კითხულობდა იგი და ხელს ადებდა კრინოლინს ან შესაკრავ ზორტებს.

— ნუთუ არაფერი გინახავს? — სიცილით ეტყოდა ფელისიტე, — შენს ქალბატონს, ჰომეს, განა ბოლოკაბები არა აქვს?

— ქალბატონ ჰომეს? როგორ არა! — და ჩაფიქრებული დაეთანხმა:

— განა ისიც ისეთი ქალია, როგორც შენი ქალბატონი?

გარნა ფელისიტეს არაფრად ეჭაშნიკებოდა მისი მუდამ იქ ტრიალი, იგი ექვსი წლით უხნესი იყო და იცოდა, რომ თეოდორე, ბ. გილიომენის ლაქია, უკვე ეაშიკებოდა.

— რას ჩამციებიხარ, არ ვიცი! — ეუბნებოდა ფელისიტე და თან მუშაობას განაგრძობდა, — წადი, შენს მუშებს მიხედე ის გირ-

ჩევნია ვიდრე ქალებს უჭვრეტდე! მაგისთანები რა შენი საქმეა, ჯერ პირზე რძეც არ შეგშრობია ხეირიანად!

— ჰო, კარგი, ნუ ჯავრობ, აი წავალ და ქალბატონის ფეხსაცმელს გაგიწმენდ.

თაროზე ემას ტალახიან ფეხსაცმელს ჩამოიღებდა, პაემნების ეროს რომ იყო გასვრილი; წმენდისას მტვერი ადგებოდა და ისიც თვალს ადევნებდა. ქეზის სხივზე არიალებულ გვიბს.

— ნახე, როგორ უფრთხილდებაო! — იტყოდა მზარეული, რომელსაც ფეხსაცმლის წმენდისას ზედმეტი სიფრთხილე არ უყვარდა, რადგან ქალბატონი, შეეცვლებოდა თუ არა ოდნავ სიახლის ეფეწი, ფეხსაცმელს მსახურს ფეშქეშობდა.

მთელი ერთი კარადა სავსე იყო ფეხსაცმლით, რომლებსაც ემა საჭირეობის მიხედვით ხმარობდა; ცოლის მიერ გაწეულ ხარჯზე შარლს არასოდეს ერთი სიტყვაც არ დასცდენია.

ამას წინათ სამასი ფრანკი გადაიხადა ხის ხელოვნურ ფეხში, რომელიც ემამ საჭიროდ ცნო იპოლიტესთვის ეჩუქებინა; ფეხს გარედან კორპი ედო და ზამბარებზე იხრებოდა; ამ რთულ მექანიზმს შარლის ერთი ტოტი ეცვა, საიდანაც ლაკირონის წაღა მოჩანდა. მაგრამ იპოლიტეს ენანებოდა ყოველდღე ასეთი კაზმული ფეხით სიარული და მადამ ბოვარის მეორეც, უფრო უბრალო გამოსთხოვა, ექიმმა, რასაკვირველია, ამისი ფულიც გადაიხადა.

ამრიგად, მეჯინიბე თანდათან დაუბრუნდა თავის მოვალეობათა აღსრულებას, ვით ოდესმე, და სოფელში ხეტიალს; გაიგონებდა თუ არა შორიდან ქვაფენილზე მისი ხის ფეხის რაკუნს, შარლი მყისვე სხვა გზით გაუხვევდა.

შეკვეთა შესრულებული იქნა ვაჭარ ლერეს მეშვეობით, რამაც საშუალება მისცა მას რამდენჯერმე ენახა ემა. გაუბამდა ლაპარაკს პარიზიდან ახალმიღებულ სხვადასხვა საქონელზე, ძალზე დამთმობი იყო და არასოდეს ფულს არ თხოულობდა. ეძასაც გაიტაცებდა ცთუნება თავისი კაპრიზების ასე იოლად ასრულების გამო. ასე, მას უნდოდა როდოლფისთვის მიეძღვნა მშვენივრად ნაკეთები მათრახი, რომელიც რუანის ქოლგების ერთ-ერთ სავაჭროში ნახა. ერთი კვირის შემდეგ ლერემ მათრახი მოიტანა.

ხოლო მეორე დღეს კვლავ მოვიდა და ორას სამოცდაათი ფრანკის ანგარიში წარმოუდგინა, თუ სანტიმებს არ ვიანგარიშებთ: ემა უხერხულ ყოფაში ჩავარდა; საწერი მაგიდის ყველა უჯრა

მთლად ცარიელი აღმოჩნდა; ლესტიბუდუა აგერ ორი კვირა ელოდა თავისი ჯამაგირის მიღებას, მსახური კი — მთელი ექვსი თვე; სხვა წვრილმანი ვალიც ბევრი იყო გასასტუმრებელი. ბოვარი მოუთმენლად ელოდებოდა ბ. დეროზერესგან ფულის მიღებას, რომელსაც ჩვეულებად ჰქონდა პეტრე-პავლობას ბოვარის ვალის გადახდა.

პირველად ემა როგორღაც ახერხებდა ლერეს დათათბირებას, მაგრამ იმასაც მოთმინება დაელია, რადგან თავადაც სთხოვდნენ; მისი თანხა მთლად საბრუნავში იყო; ხოლო, უკეთესი ვადის ნაწილს მაინც არ გადაუხდიდნენ, იმუქრებოდა; მოტანილ საქონელს უკანვე წავიღებო.

— რა გაეწყობა, წაიღეთ! — უთხრა ემამ.

— რას ამბობ? ვიხუმრე. აბა როგორ იქნება? აი, მხოლოდ მათრახს რომ დამიბრუნებდეთ!.. რაც იქნება — იქნეს, მივალ და ვთხოვ ბ. ბოვარს.

— არა, არა! არაფრის გულისთვის! — წამოიძახა ქალმა.

— აა! გაები? — გაიფიქრა ლერემ.

ამ მიხვედრით გულდაჯერებული წავიდა, თანაც ჩვეული მსუბუქი ჩიფჩიფით იმეორებდა:

— კეთილი! ვნახოთ, ვნახოთ!

ემა ფიქრობდა, როგორ დავიძვრინო თავი ამდენი ვალებიდანო, რომ უეცრად მსახური შემოვიდა და ბუხარზე ლურჯ ქაღალდში შეხვეული მცირე ამანათი ჩამოსდო: „ბ. დეროზერესგან“. ემა მივარდა, ამანათი გახსნა. შიგ თხუთმეტი ოქროს ნაპოლეონი აღმოჩნდა. ეს იყო შარლის სამკურნალო ჰონორარი. კიბეზე ექიმის ფეხის ხმა გაისმა; ქალმა ოქრო ყუთში ჩაყარა, დაკეტა და კლიტე ეამოაძრო.

მესამე დღეს ლერე კვლავ გამოცხადდა.

— მე მინდა მორიგება მოვახდინო, — თქვა მან, — თუკი თქვენ დათანხმდებოდით, გარიგებული ფულის მაგიერ...

— აი, ინებეთ! — და ემამ მუჭში ჩაუყარა თოთხმეტი ოქრო.

ვაჭარი განცვიფრებული დარჩა. მაშინ, წყენის დასამალავად, ბევრი იბოდიშა და ათასგვარი თავაზი ჰკადრა, მაგრამ ემამ ხელაღებით იუარა. კიდევ რამდენიმე წუთს იდგა ქალი ასე და თავისი წინსაფრის ჯიბეში ხელით ათამაშებდა ასსუიან ორ დიდ ვერცხლის ფულს, რომელიც ხურდად მიიღო. სიტყვას აძლევდა თავს, ამიერიდან ხელმოჭერილი ვიქნებიო, რათა შემდეგში ფული დაებრუნებინა.

— ეჰ, — გაიფიქრა მან, — ამაზე არც კი იფიქრებს!

გარდა მოოქრულტარიანი მათრახისა, როდოლფს სხვა ნივთებიც ჰქონდა ემას ნაჩუქარი: ბეჭედი წარწერით: Amor nel cor *, ყელსახვევი შარფი და პორტსიგარი, სწორედ ისეთი, როგორიც ვიკონტის პორტსიგარი იყო, შარლმა რომ გზაში იპოვნა და ემა ინახავდა. მაგრამ ქალისგან საჩუქრების მიღება თავის დამცირებად მიაჩნდა. იგი უარობდა, ემა იჟინებდა, და როდოლფიც უთმობდა, თუმცა არ ეწყინდა მისი დესპოტური და მომაბეზრებელი დაჟინება.

ზოგჯერ უცნაური რამ ფიქრი მოუვლიდა:

— როდესაც საათი შუაღამისას დაკრავს, — ეტყოდა ხოლმე, — იფიქრე ჩემზე!

და უკეთუ გამოტყდებოდა, დამავიწყდაო, საყვედურით აიკლებდა; მერმე კვლავ ჩამოეკიდებოდა;

— გიყვარვარ?

— ჰო, მიყვარხარ, მიყვარხარ!

— ძალიან?

— რასაკვირველია!

— ჩემამდე სხვა ქალი არ გყვარებია?

— იქნება გგონია, რომ შენთან დავკარგე უბიწოება? — სიცილით წამოიძახებდა იგი.

ემა ატირდებოდა. იგი ნუგეშისცემას ცდილობდა, თანაც ხუმრობით მალავდა ყელსმიბჯენილ ბრაზს.

— ოჰ, მიყვარხარ და იმიტომ! — კვლავ დაიწყებდა. — ისე მიყვარხარ, რომ უშენოდ სიცოცხლეც არ შემიძლია, იცოდე! ხანდახან ისე მომენატრება შენი ნახვა, რომ გული სიყვარულის რისხვით სკდება. ჩემს თავს ვეკითხები ხოლმე: „ნეტავ, ახლა სადაა? შეიძლება სხვა ქალებთან ბაასობს? ისინი უღიმიან, იგი უახლოვდება...“ ოჰ, არა, შენ არავინ მოგწონს, ხომ? არიან, რა თქმა უნდა, ჩემზე ლამაზები, მაგრამ მე უკეთ ვიცი სიყვარული! მე მონა ვარ შენი და ხასა! შენ კი ჩემი მბრძანებელი ხარ, ჩემი კერპი! კეთილი ხარ! ლამაზი! ჭკუიანი! ძლიერი!

მას იმდენჯერ გაეგონა ამგვარი რამეები, რომ ემას სიტყვები მისთვის არავითარ თავისებურებას აღარ წარმოადგენდა. ემაც სხვა საყვარლებს ჰგავდა; სიახლის მომხიბვლელობა გაიცრიცა, ვით სა-

* სიყვარული გულში.

ბოსი რამ და სასტიკად გააშიშელა მუდმივი ერთგვარობა ენგბისა, რომელსაც ყოველთვის ერთი და იგივე გამოვლინება, ერთფეროვანი ენა აქვს. ამ პრაქტიკული ჭკუის კაცს არ შეეძლო გაერჩია გარეგნულად ერთსახოვანი გრძნობის შინაგანი სხვადასხვაობა, ვინ-დან გარყვნილს ანუ ნასყიდ ბაგეებს არა ერთხელ უჩურჩულებია ძისთვის ჩვეული სიტყვები ალერსისა, ამიტომ მას აღარ სწამდა მისი სიმართლე. საჭიროა მხედველობაში მიიღო, ფიქრობდა იგი, ის გადამეტებული სიტყვები, რომლებიც გრძნობის ჩვეულებრივობას ალამაზებსო, თითქოს სულიერი განცდებს ~~ზეუ~~ ზეგ ზოგჯერ სრულიად უბრალო გამოთქმებით არ გამოიხატებოდეს; რადგან არავის და არასოდეს არ ჰქონია ზუსტი საზომი არც თავის საჭიროებათა, არც თავის შეხედულებათა და არც მწუხარებათა; ადამიანის სიტყვა კი თითქოს გაბზარული ტაშტიაო, რომლის დაკვრითაც დათვებს ათამაშებენ იმ დროს, როცა გული ვარსკვლავებს ეთამაშება.

მაგრამ მიუხედავად ამგვარი მედიდური შეხედულებისა, რაც ისეთ ადამიანს ახასიათებს, ვინც ყოველნაირ საქმეში მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს, როდოლფმა ამ სიყვარულში ისეთი სიამენიც აღმოაჩინა, რომლებითაც აუცილებლად უნდა ესარგებლა. კდემამოსილება სრულიად უადგილოდ ჩათვალა. ემას სულ მოურიდებლად ეპყრობოდა; სავსებით ნდომის დასაკმაყოფილებელ უბრალო მანქანად გადააქცია, ეს იყო რაღაც განუსჯელი, მონური სიყვარული ამ კაცისადმი, ვისაც იგი აღმერთებდა და ვინც ტკბობათა მორევში სძირავდა. სული მისი ეწაფებოდა ამ ნექტარს და შიგ იხრჩობოდა, ვით თავადი კლარანსი სავსე კასრში.

სიყვარულით შენაძენ ახალ ჩვევათა გამო მადამ ბოვარის საქციელიც გამოეცვალა. თვალი უფრო უტიფარი გაუხდა, ლაპარაკი მოურიდებელი; იქამდეც კი მივიდა, რომ როდოლფთან ერთად დასეირნობდა პირში პაპიროსგამოჩრილი, თითქოს საზოგადოებრივ აზრს არაფრად აგდებსო; და, ბოლოს, ისინიც კი, ვინც კიდევ ეპვობდა, უკვე აღარ ეპვობდნენ, როცა ერთხელ იგი დილიჟან „მეარცხლიდან“ ჩამოხდა მამაკაცის ჟილეტით წელგამონაკვთული. ბოვარის დედა, რომელიც ქმართან დიდი უსიამოვნების გამო შვილთან შეხიზნულიყო, ემას ასეთი საქციელით არანაკლებ იყო აღშფოთებული, ვიდრე იქაური ქალები. დედა სხვითაც ბევრით იყო ნაწყენი: ჯერ ერთი, რომ შარლმა მისი რჩევა არ მიიღო და ცოლს

რომანების კითხვა არ აუკრძალა, მეორეც ისა, რომ არ მოსწონდა ეს ოჯახური განწყობილება; ერთხელ ვითომ შენიშვნის მიცემაც გაბედა, განსაკუთრებით ფელისიტეს გამო, მაგრამ ისიც კი იწყინეს.

ქალბატონმა დედა-ბოვარიმ წინა დღით საღამოს დერეფანში თვალი მოჰკრა ფელისიტეს, რომელიც ვიღაც შავქილვაშებიან შუახნის მამაკაცს ეკურკურებოდა, როცა ემას ეს უამბო, რძალმა გულიანად გადაიხარხარა; მაშინ დარბაისელი ქალი გაჯავრდა და განუცხადა, კეთილზნეობის გაქირდვის მაგიერ უმჯობესია თავიანთ მსახურს თვალყური ადევნონო.

— თქვენ რომელი საზოგადოებიდან ბრძანდებით?

ისე უკმეხად ჰკითხა ემამ, რომ დედამთილმა უნებლიეთ გაიფიქრა, საკუთარ თავს ხომ არ იცავსო.

— გაბრძანდით აქედან! — წამოიძახა და ზეწამოიჭრა.

— ემა!... დედა!... — იძახდა შარლი და ცდილობდა მათს დაშოშმინებას.

მაგრამ ორივე ქალი სიბრაზით გაიქც-გამოიქცა.

ემა ფეხების ბარტყუნით გაჰკიოდა:

— უზრდელი! ტეტია!...

შარლი დედას მივარდა, ხოლო ამას უკვე თავი ვეღარ შეეკავებინა და დუდუნებდა:

— უტიფარი! უსირცხვილო! იქნება მეტიც კიდევ!

და იმწამსვე წასვლას აპირებდა, უკეთუ რძალი ბოდიშს არ მოიხდიდა მის წინაშე. შარლი იძულებული იყო ცოლთან მისულიყო და შეევედრებოდა, დაუთმეო; მის წინ დაიჩოქა; ემუდარა, ბოლოს ემამ უთხრა:

— კარგი! მოვალ.

და მართლაც, მარკიზის სიამაყით გაუწოდა ხელი დედამთილს და უთხრა:

— მაპატიეთ, ქალბატონო!

მერმე ზემოთ, თავის ოთახში ავიდა, ლოგინზე თავდაღმა დაემხო და, ბალიშში თავჩარგული, ბავშვივით ატირდა.

ისინი შეთანხმებულნი იყვნენ, რომ რაიმე არაჩვეულებრივი შემთხვევის დროს, ემა ფანჯრის ფარდას ქაღალდის ნახევს მიაკრავდა, რათა როდოლფი იმ ვიწრო შუკაში მოსულიყო, სახლს უკან რომ არის, თუ ვინიცობაა იონვილში იქნებოდა. ემამ დათქ-

ბული ნიშანი მისცა. რამდენიმე ხნის შემდგომ ქალმა თვალი მოჰკრა ბაზრის კუთხეში, ემას უნდოდა ფანჯარა გაეღო და დაეძახა, მაგრამ როდოლფი კვლავ სადღაც გაქრა. სასოწარკვეთილი ქალი ისევ ბალიშზე დაემხო.

ვარნა, ქვაფენილზე კვლავ მოესმა ფეხის ხმა. რასაკვირველია, იგი იყო; ქალმა კიბე ჩაირბინა, ეზო გაიარა, მის წინ როდოლფი იდგა. ემა მოეხვია.

— ფრთხილად! — უთხრა ვაჟმა.

— ოჰ, რომ იცოდე! — დაიწყო ქალმა.

და აჩქარებით, უწესრიგოდ უამბო ყოველივე, თანაც ბევრი დაუმატა, მომხდარი გაბერა და ისე აურდაურია, რომ როდოლფმა ვერაფერი ვერ გაიგო.

— კარგი, ჩემო საბრალო ანგელოზო, გამხნევდი, ინუგეშე, მოთმინება მოიკრიფე!

— კი, მაგრამ აგერ ოთხი წელიწადია ვითმენ და ვიტანჯები!.. ისეთი სიყვარული, როგორიც ჩვენშია, აშკარა უნდა იყოს ღვთისა და კაცის წინაშე! ისინი ჩემს სატანჯველად არიან გაჩენილნი. მეტის მოთმენა აღარ შემიძლია! დამიხსენ!

როდოლფს ეხუტებოდა; თვალებში ცრემლი უკიაფობდა; ნაწყვეტ-ნაწყვეტად სუნთქავდა; როდოლფს არასოდეს არ ჰყვარებია იგი ასე ძლიერ. ჩვეულებრივი სიფრთხილე დააავიწყდა და წარმოთქვა:

— ახლა, რა უნდა ვქნათ? რა გინდა?

— წავიდეთ აქედან! — შესძახა მან, — წამიყვანე! გევედრები!

და ტუჩით მის ტუჩს დააკვდა, თითქოს კოცნის სიცხოველესთან ერთად თანხმობაც უნდა გამოსტაცოსო.

— მაგრამ... — თქვა როდოლფმა.

— მაგრამ რა?

— შენი ბავშვი?

ქალი რამდენიმე წუთს დაფიქრდა, მერმე მიუგო:

— თან წავიყვანოთ, მეტი რა გზაა?

„რა ქალია!" — თავისთვის წაილაპარაკა როდოლფმა და თვალი გააყოლა მიმავალ ემას.

ემა ბაღისკენ გაიქცა, რაკი შინიდან დაუძახეს.

დედამთილი ბოვარი შემდეგ დღეებში განცვიფრებული იყო იმ ცვლილებით, რაც რძალს ამჩნევდა. ემა მეტად მოკრძალებუ-

ლი შეიქნა და დედამთილისადმი მოწიწება იმ ზომამდე აიყვანა, რომ სთხოვა, კიტრის მწნილის რეცეპტი მასწავლეო.

იქნება ასე იმიტომ იქცეოდა, რომ ორივე გაესულელებინა, ქაბარიც და დედამთილიც? ან იქნებ ტკბებოდა ამ თავისებური სტოიციზმით, რათა უფრო მწვავედ ეგემებინა იმისი სიმწარე, რისი დატოვებაც გადაეწყვიტა? მაგრამ ამისი დარდი როდი ჰქონდა: ღაბნეულივით ცხოვრობდა თავისი ნანატრი ბედნიერების მოლოდინში. ეს იყო როდოლფთან მისი დაუსრულებელი საუბრის საგანი. მხარზე მიეყრდნობოდა, ჩურჩულებდა:

— ჰოდა, ერთიც ვნახოთ, დილიჟანსში ვზივართ ერთად!... როგორ გგონია, შესაძლებელია ესა? მე მგონია, რომ იმ წუთს, როცა ეტლი დაიძვრება, თითქოს საჰაერო ბუშტმა აგვიტაცა, თითქოს ღრუბლებს ზემოთ მივფრინავთო. იცი, მე ღღეებს ვითვლი, შენა?

მადამ ბოვარი არასოდეს ისე მშვენიერი არ ყოფილა, როგორც იმ დროს; იგი შემკული იყო იმ გაუგებარი სილამაზით, რაც სიხარულის, აღფრთოვანებისა და წარმატებისაგან წარმოდგება და სხვა არ არის რა, თუ არ გუნებისა და ცხოვრების გარეშე პირობებს შორის დამყარებული ჰარმონია. ნატვრამ, მწუხარებამ, ტკბობის გამოცდილებამ და მუდამ უმკნობმა იმედმა, ვით პატივმა, ქარმა, წვიმამ და მზემ, ყვავილთა ზრდას რომ უწყობენ ხელს, საშუალება მისცა მას ნელინელ გაფურჩქნულიყო და იგიც ბოლოს მთელი სისრულითა და მიმზიდველობით გაიბადრა. მისი თვალის უპეები თითქოს შეყვარებულის ხანგრძლივ ცქერისათვისაა გამოკვეთილიო, ისე ნაბავდა თვალებს; გამალებული სუნთქვა კი თხელ ნესტოებს უგანიერებდა და ნაზად ბურცავდა ტუჩის კუთხეებს, შავი ბუსუსით რომ იყო ოდნავ შექინქლული. გეგონებოდათ, სიყვარულის ცდუნებაში ნაცადი ხელოვანის მარჯვენას დაუთოშავს მის თავზე შავი თმის ტევრიო; აბრეშუმის მძიმე ქსოვილივით ეშვებოდა იგი დაუდევრად და სიყვარულის ჭირვეულობით, ყოველდღე რომ სულ სხვადასხვა იერს აძლევდა მას. ხმამაც უფრო ნაზი კილო ძოიპოვა, ტანმა კი — მეტი მოქნილობა. რაღაც მეტად ნაზი და გულის სიღრმემდე ჩამწვდომი გამოკრთოდა მისი კაბის ნაოჭებიდან და ფეხთა მოხრიდან. შარლს ისეთივე მომხიბლავი და შეუღლევნელი ეჩვენებოდა, როგორც დაქორწინების პირველ ხანებში.

ღამით, როცა შინ ბრუნდებოდა, მის გაღვიძებას ვერ ბედავდა.

საღამური ლამპრის ნათელი რკალი ჭერზე თამაშობდა, ხოლო აკვნის დაშვებული ფარდები კარვის თეთრ ფრთებად იხატებოდა ჩრდილში, ლოგინის გვერდით. შარლი ორივეს აცქერდებოდა. ასე ეგონა, ბავშვის სუნთქვა მესმისო. ოცნებასაც მიეცემოდა: აი, ნელინელ იზრდება მისი პატარა გოგონა, წლის ყოველ დროს თავისი ახალ-ახალი ცვლილება შეაქვს მის არსებაში. იგი უკვე ხედავს მას სკოლიდან დაბრუნებულს; მხიარული, მოცინარი, მელნით გათხუპნული წინსაფრით და პაწია კალათით ხელში ბრუნდებოდა ბერტა საღამოს. შემდეგ პანსიონში უნდა მოათავსოს იგი, რაც ფულს მოითხოვს; რა უნდა ქნას? არ აჯობებდა, რომ სადმე ახლოძახლო პატარა ფერმა აეღო იჯარით. თვითონ მოუვლიდა დილაობით, ავადმყოფების მოსვლამდე. შემოსავალს შემნახველ სალაროში შეიტანდა; შემდეგში რომელიმე აქციებს იყიდდა, სულ ერთია, რომელსა და სად; ამასთანავე, მისი პრაქტიკაც უნდა გადიდდეს: სწორედ ამისი იმედი აქვს, რადგან სურს, რომ ბერტა კარგად აღზარდოს, განუვითაროს ნიჭი, მუსიკა ასწავლოს. აჰ, რა ლამაზი იქნება. ასე თხუთმეტი წლისა, როცა დედის მგვანე, მასავით ჭილის განიერ ქუდს დაიხურავს ზაფხულში, შორიდან ორი და ეგონება მნახველს. ახლა წარმომიდგენია, საღამოობით როგორ მუშაობს იგი მშობლების გვერდით; მამას ფოსტლებს მოუქარგავს, ოჯახს გაუძღვება და თავისი მხიარული გუნებით მთელ სახლს გაახარებს. შემდეგ კი, დადგება დრო, რათა მის ბედნიერებაზეც იფიქრონ, პატიოსანი და მკვიდრი მდგომარეობის საქმრო მოუძებნონ; მასთან იგი სამუდამოდ ბედნიერი იქნება.

ემას კი როდი ეძინა ხოლმე, იგონებდა ვითომ მძინავსო; და როდესაც შარლი ჩაიძინებდა, იგი თვალს ახელდა სულ სხვა ჩვენებით გამოფხიზლებული.

ოთხი გაჭენებული ცხენი აი აგერ ერთი კვირაა მიაქროლებს უცხო ქვეყნისკენ, საიდანაც ისინი აღარასოდეს დაბრუნდებიან. მიქრიან. მიქრიან ისინი ხელგადახვეულნი, მდუმარენი. ზოგჯერ, მთის მწვერვალიდან, მათ თვალწინ გადაიშლება დიდებული სამყოფელი: გუმბათებით, ხიდებით, ხომალდებით, ლიმონის ბაღებითა და თეთრი მარმარილოს ტაძრებით, რომელთა წვეტიან სამრეკლოებზედაც ყანჩებს ბუდეები უკეთებიათ. ცხენები ახლა ზანტად მიაბიჯებენ ფართო ქვებით მოგებულ ქუჩებში; ქვაფენილებზე ყვავილთა თაიგულები აწყვია, წითლად ჩაცმული ქალწულები რომ

ვეთავაზობენ. ისმის ზარების რეკვა, სახედართა ყროყინი, გიტარების წკრიალი და შადრევნების ჟღურტული, რომელთა ნაპკურევი სიგრილეც ათასგვარი ხილის გორაკებს ეფინება, თეთრ, სპეტაკ ქანდაკთა ფერხთით რომ დაუხვავებიათ აუზების ახლოს. საღამოს მებადურთა სოფელში მივლენ; ქოხების წინ რიგზე გაკიდულ მოყვითალო ბადეებს ქარი აქანავებს და ამრობს სანაპიროს ხრამთან. აქ დარჩებიან ისინი საცხოვრებლად, დაბალ ერდოიან სახლში დაბინავდებიან, ზემოდან რომ პალმების ნამგალა ფოთლები დაშრიალებს, იქ, ზღვის ნაპირას, ზღვის ყურეს სიღრმეში, გონდოლებით ისეირნებენ, ჰამაკში აირწევიან; მათი ცხოვრება ისეთივე იოლი და ფართო იქნება, ვით მათი აბრეშუმის სამოსი, მთლად მცხუნვარე და ვარსკვლაოსანი, როგორც ის ნებიერი ღამეები, რომლებსაც ისინი გაათევენ. თანაც, ამ მის მიერ ნაოცნებევი მომავლის უსაზღვრო სივრცეზე განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა, ნაზად ირხეოდა ჰორიზონტი დაუსრულებელი, ჰარმონიული, მტრედისფერი და მზით მოვარაყებული, მაგრამ აი, პატარა თავის აკვანში დაბნეულებს, ან ბოვარი ამოუშვებს ხვრინს, და ემას მხოლოდ გვიან ჩაეძინება, როცა განთიადი ფანჯრის მინებს შეათეთრებს და პატარა ეუსტენიც მოედანზე აფთიაქის დარაბებს გააღებს.

მან ვაჭარი ლერე მოიწვია და უთხრა:

— მე მინდა სარჩულიანი წამოსასხამი, გრძელი პელერინიანი.

— მიემგზავრებით სადმე? — ჰკითხა მან.

— არა! მაგრამ... სულ ერთია, მჭირდება, თქვენი იმედი მექნება, არა? მხოლოდ საჩქაროდ.

ვაჭარმა თავი დახარა.

მე დამჭირდება აგრეთვე სკივრი... არა მძიმე... მოსახმარი.

— დიახ, მესმის. დაახლოებით ოთხმოცდათორმეტი სანტიმეტრი ორმოცდაათზე, როგორსაც ახლა აკეთებენ.

— სატუალეტო ჩანთით.

„ამ ოჯახში უთუოდ აყალმაყალია", — გაიფიქრა ლერემ.

— გაიგონეთ, — თქვა მადამ ბოვარიმ და კორსაჟიდან თავისი პატარა საათი ამოიღო, — და საფასურად ეს წაიღეთ.

მაგრამ ვაჭარმა შეჰყვირა, რატომ კადრულობთო; განა დღეს გაგვიცვნია ერთმანეთი, რომ არ გენდოთო? რა ბავშვობაა! გარნა, ემამ დაუქინა, ძეწკვი მაინც წაიღეო, ლერემაც გამოართვა, ჯიბეში ჩაიდო და, ის იყო, წასვლა დააპირა, ემამ შეაყენა.

— ნივთებს თქვენთან შეინახავთ, ხოლო წამოსასხამი (იგი წუთით დაფიქრდა), არა, ნურც იმას მოიტანთ; თქვენ მხოლოდ მკერვალის მისამართი შემატყობინეთ და უთხარით, რომ წამოსასხამი პირველ მოთხოვნისთანავე მომცეს.

გაქცევა მომავალ თვეში უნდა მომხდარიყო. ემა რუანს წავიდოდა ვითომ საყიდლებისათვის. როდოლფი ადგილებს დაიბეკებდა დილიჟანსში, პასპორტებს აიღებდა და პარიზში მისწერდა, რათა საფოსტო ეტლში ორი ადგილი შეენახათ მარსელამდე, სადაც ისინი საკუთარ ეტლს იყიდიდნენ და იქიდან პირდაპირ გენუას გაემგზავრებოდნენ. ემამ თავისი ბარგი ლერეს უნდა გაუგზავნოს, რომელიც „მერცხალზე“ მიატანინებს მას, ასე რომ, ვერავინ ვერავითარ ეჭვს ვერ აიღებს. მაგრამ მთელ ამ გეგმაში ბავშვზე არაფერი არ იყო ნავარაუდევი. როდოლფი ერიდებოდა ამაზე ლაპარაკს. ემა კი, ალბათ, სულაც არ ფიქრობდა მასზე.

როდოლფს ერთი-ორი კვირა კიდევ ესაჭიროებოდა საქმეების მოსაგვარებლად; ერთმა კვირამ რომ გაიარა, მან კიდევ ითხოვა ორი კვირის ვადა; მერმე ავად ვარო; შემდეგ სადღაც წასვლა მოუხდა, ამასობაში აგვისტოც გავიდა და ამდენი გაწამაწიის შემდეგ წასვლის დღე საბოლოოდ 4 სექტემბრის ორშაბათისათვის დანიშნეს.

დადგა შაბათი; ზეგ უკვე გზას უნდა გასდგომოდნენ. როდოლფი საღამოს ჩვეულებრივზე ადრე მოვიდა.

— ყველაფერი მზადაა? — ჰკითხა ემამ.

— დიახ.

ყვავილებს გასცდნენ და ტერასის ახლოს დასხდნენ ბაღის ქვიტკირის გალავნის კიდეზე.

— შენ მოწყენილი ხარ. — უთხრა ემამ.

— არა, რატომ? — და როდოლფი მაინც რაღაცნაირი განსაკუთრებული სინაზით უცქეროდა.

— იქნებ იმიტომ, რომ მიდიხარ? — განაგრძობდა ქალი, — ტოვებ ყველაფერს, საცხოვრებელს? აჰ, მესმის!... მაგრამ მე, მე არაფერი გამაჩნია ამქვეყნად! შენა ხარ ჩემთვის ყველაფერი. მეც ყველაფერი ვიქნები შენთვის; ვიქნები შენთვის ოჯახი, სამშობლო, შენთვის ვიზრუნებ, შენ მეყვარები.

— რა მომხიბვლელი ხარ! — უთხრა და გულში ჩაიკრა.

— მართლა? — საამო ნებივრობით ჰკითხა, — გიყვარვარ? აბა ღაიფიცე!

— მიყვარხარ თუ არა? მიყვარხარ თუ არა? მე შენ გაღმერთებ, ჩემო საყვარელო!

მიწის პირზე, მინდვრის ბოლოს მრგვალი, ალისფერი მთვარე ამოიწვერა, სწრაფად მიცურავდა იგი ალვის ხის შტოებს შორის, რომლებიც ალაგ-ალაგ დახვეული, შავი, ფარდასავით ეფარებოდა მას; შემდეგ მთლად გაშიშვლებული. და ცინცხალი გამოჩნდა გაბრწყინებულ ცაზე და მდინარეს ვეება ლაქად დაეფარა, უთვალავ ვარსკვლავად რომ აინთო. ვერცხლისფერი სინათლე მდინარეში იკლაკნებოდა, თვით ფსკერამდე, ვით ბრეშყვიალა ქერცლით შემოსილი უთავო გველი. ჰგავდა იგი აგრეთვე ვეებერთელა ჭაღს, რომელსაც გალხობილი ალმასის წვეთები სდიოდა. წყნარი ღამე მიდამოს დაეფინა, ჩრდილის ნაკუწები ფოთოლთა შორის დალაგდა, ემამ თვალი მოხუჭა და ხარბად ისუნთქავდა გრილი ნიავის ქროლვას. შეყვარებულნი ოცნებაში ჩაძირულიყვნენ და ამიტომაც დუმდნენ. წინანდებურმა სიყვარულმა მათი გულები აღავსო და ააჩქეფა. ჭარბი და ჩუმი, ვით იქვე ნადენი მდინარე, ნაზადმონებივრე, ვით გარემოსმოდებული, მფშვინავი სურნელება ვარდშროშანასი; იფეთქა და მათს მოგონებას გრძელი, ნაღვლიანი ჩრდილები წააფარა, უფრო გრძელი და მწუხრული, ვიდრე იმ უძრავ ბეწვნათა ჩრდილებში, მინდორზე რომ შოლტებად დაცემულიყო. ხშირად, ღამის ცხოველი, ზღარბი თუ თხუნელა, სანადიროდ რომ გამოსულიყო, დროდადრო ხმელ ფოთლებს აფაჩუნებდა; ისმოდა აგრეთვე მწიფე ატმის მოწყვეტისა და დაცემის ხმა.

— რა საუცხოო ღამეა! — თქვა როდოლფმა.

— და რა ღამეები გველოდება მომავალში! — მიუგო ემამ, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, — ჰო, საუცხოო მოგზაურობა იქნება... მაგრამ გულს რად აწევს ასეთი ნაღველი? იქნებ ეს შიშია უცნობი მომავლის წინაშე; ან იქნებ საშიშია იმის განშორება, რასაც უკვე მისჩვეეიხარ? ან შესაძლოა?.. არა, ეს ჭარბი ბედნიერებაა გამოა! რა სულმოკლე ვარ, არა? მაპატიე, ჩემო კარგო!

— ჯერ კიდევ გვიან არ არის! — წამოიძახა ვაჟმა, — დაუფიქრდი, იქნებ შემდეგ ინანო ჩადენილი.

— არასოდეს! — წამოიძახა ქალმა, ახლოს მიიწია და უთხრა:

— რა უბედურება უნდა შემემთხვეს? რა უდაბნო, უფსკრული

ან ოკეანე უნდა შემხვდეს, რომ შენთან ხელჩაკიდებულმა ვერ განვვლო? ყოველი ერთად გატარებული დღე უფრო მჭიდროდ, უფრო განუყოფელად შეაერთებს ჩვენს არსებას. ვეღარაფერი ვეღარ შეგვაშფოთებს, აღარ იქნება წუხილი, არც დაბრკოლებანი, მარტონი ვიქნებით, შენ და მე, სამარადისოდ... მითხარი რამე, მიპასუხე!

— დიახ... დიახ...

უპასუხებდა იგი დროგამოშვებით, ემას მის თმებში თითები ჩაეშვა და ბავშვური ხმით იმეორებდა, თუმცა ლოყებზე მსხვილი ცრემლები სდიოდა:

— როდოლფ! როდოლფ! აჰ, ძვირფასო, სასურველო.

შუაღამისა დაჰკრა.

— შუაღამეა! — თქვა ქალმა, — მაშ ხვალ! კიდევ ერთი დღე.

როდოლფი ადგა; და თითქოს ეს მოძრაობა ნიშანი იყო განზრახული გაქცევისა; ემამ უეცრად გამხიარულებული ხმით ჰკითხა:

— პასპორტები ხომ გაქვს?

— მაქვს.

— არაფერი დაგვიწყინია?

— არა.

— ნამდვილად იცი?

— რა თქმა უნდა.

— შენ სასტუმრო „პროვანსში“ დამიცდი, ხომ? სრულ შუადღისას.

მან თავი ჩაუქნია.

— მაშ, ხვალამდე!

გამოსათხოვარი ალერსით უთხრა ემამ და მიმავალს თვალი გააყოლა. იგი აღარ მობრუნებულა. ქალი დაედევნა, დაიხარა და ლერწმებიდან გასძახა:

— ხვალამდე!

იგი უკვე გაღმა იყო და მინდორში ჩქარა მიაბიჯებდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ როდოლფი შედგა და როცა თვალი მოჰკრა მის თეთრ ტანისამოსს, ჩრდილში რომ გაკრთა და მოჩვენებასავით გაქრა, გული ისე აუძგერდა, რომ იძულებული იყო ხეს მიყრდნობოდა, რათა არ წაქცეულიყო.

— რა სულელი ვარ! — თქვა და საშინლად შეიგინა, — თქმა არ უნდა, ძალიან ლამაზი ხასა იყო!

და ემას მთელი მშვენება, განცდილი სიყვარულის ყველა სი-

ამე თვალნათლივ წარმოუდგა. ოდნავი მღელვარება იგრძნო, მაგრამ უმალვე საკუთარი ვნების წინააღმდეგ აღშფოთდა.

— ახლა, ბოლოს და ბოლოს, ხომ ვერ გადავსახლდები, — ხელების ქნევით ამბობდა, — და ბავშვსაც ზურგზე ავიკიდებ!

ასე რომ ლაპარაკობდა, სურდა სიმტკიცე შეემატებია.

— და, გარდა ამისა, რამდენი შეწუხება, ხარჯი... აჰ, არა და არა, ათასჯერ არა! ეს მეტისმეტად სასულელე იქნებოდა!

XIII

დაბრუნდა თუ არა შინ, როდოლფი მაშინვე საწერ მაგიდას მივარდა, თავისი ნანადირევი, კედელზე ჩამოკიდებული ირმის თავის ქვეშ რომ იდგა; კალამს ხელი სტაცა, მაგრამ ვერაფრის დაწერა ვერ შეძლო; მერმე თავი ხელებს დააყრდნო და ფიქრებში წავიდა. ემა შორეულ წარსულში გადატყორცნილი ეჩვენა, თითქოს როდოლფის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ მათ შორის გაუვალი უფსკრული გათხარაო.

რათა რაიმე ემასი ეგემა, იგი კარადასთან მივიდა, სასთუმალთან რომ ედგა, და იქიდან ძველი, რეიმსული ბისკვიტების კოლოფი გამოიღო, სადაც ქალების წერილებს ინახავდა ხოლმე; თავი რომ აეხადა, კოლოფიდან ნესტიანი მტვრისა და მუკნარი ყვავილების სუნი ამოვარდა: პირველად თვალში მოხვდა ქალის ცხვირსახოცი, ფერმკრთალი ლაქებით მოჩითული; ემასეული იყო, ერთხელ სეირნობის დროს ცხვირიდან სისხლი რომ წასკდა, ეს ამბავი მას აღარ ახსოვდა. იქვე ეგდო კიდეებშეცრეცილი, ემას ნაჩუქარი პაწია პორტრეტი; ქალის ტუალეტი ახლა მყვირალა ეჩვენა, ხოლო განზემოქცეული კეკლუცი თვალი — რაღაც უგემური; და რამდენსაც იმ სურათს აკვირდებოდა და გონებაში ემას სახის წარმოდგენას ცდილობდა, მისი სახის ნაკვთები ნელინელ ერთმანეთში ერეოდა, თითქოს ცოცხალი სახის ხაზები და პორტრეტის ნახაზობა ერთიმეორეს ეხახუნება და ურთიერთს შლისო. ბოლოს, წაიკითხა მისი რამდენიმე წერილი; ისინი ეხებოდნენ განზრახულ მოგზაურობას, დაწერილი იყო მოკლედ, საქმიანი კილოთი და ლაჯერებით, როგორც ნამდვილი საქმის ქაღალდები, როდოლფს უნდოდა სხვები წაეკითხა, უფრო გრძელი, წინანდელები; მათ საპოვნელად სულ ამოშალა მთელი კოლოფი; ქაღალდებში ჩხრე-

კისას ხან ყვავილთა თაიგულს წააწყდებოდა, ხან წვივსაკრავს, ან კიდევ ქინძისთავს, თმის ნაკუწს თუ შავ ნიღაბს; თმის ნაკუწები — ზოგი შავი, ზოგი ქერა კოლოფის ნაპირებს ედებოდა და გაწევისას წყდებოდა.

ამ მოგონებათა შორის ხეტიალის დროს იგი აკვირდებოდა წერილების ხელსა და სტილს, რაც იმდენადვე სხვადასხვაგვარი იყო, რამდენადაც მათი მართლწერა: იყო ნაზი და უზომოდ მსიარული წერილები, სახუმარო და მელანქოლიური; ზოგიერთი მათგანი სიყვარულს მოითხოვდა, ზოგი კი — ფულს. ერთი რომელიმე სიტყვა თვალწინ დაუყენებდა მთელ სახეს, მიმოხრას, გაახსენებდა ხმის კილოს; ხშირად კი არაფერი არ აგონდებოდა.

და, მართლაც, ეს ქალები ჯარად ესეოდნენ მის ხსოვნას, ერთმანეთს ავიწროებდნენ და ამცირებდნენ. ვით სიყვარულის ერთსა და იმავე ყალიბში მოქცეულთ, ყველას რომ ათანაბრებდა. ბღუჯად იღებდა ამ წერილებს და ერთ ხანს ხელში ათამაშებდა, მარჯვენიდან მარცხენაში ადინებდა, ვით ნაკადს. ბოლოს, მოიღალა კიდეც, მთქნარება დაიწყო; ადგა და კოლოფი თავის ადგილას მიიტანა.

— ნამდვილი ტყუილის გუდაა!

ასე დაასკვნა თავისი ნაფიქრი; რადგან მრავალმა ტკბობამ, ვით მოწაფეებმა სკოლის ეზო, ისე გათელა მისი სული, რომ არავითარი ნორჩი იქ აღარ აღმოცენდებოდა; და ყველაფერი, რაც გაივლიდა, გაცილებით უფრო ქარაფშუტული იყო, ვიდრე ბავშვები, და თავის სახელსაც კი აღარ ტოვებდა იქ, როგორც ბავშვებმა იციან ხოლმე კედელზე წარწერა.

— ახლა კი, — თქვა მან, — საქმეს შევუდგეთ!

და წერა დაიწყო:

„გამხნევდით, ემა! გამხნევდით! მე არ მინდა თქვენი უბედურების მიზეზი გავხდე...“

„ეს ხომ, მართლაც, ასეა, — გაიფიქრა მან, — მისი გულისთვის ვიქცევი ასე, რადგან პატიოსანი ვარ“.

„კარგად აწონდაწონეთ კი თქვენი გადაწყვეტილება? იცით განა, ჩემო საბრალო ანგელოზო, რა უფსკრულისკენ გიტაცებდით? არა, თქვენ არ იცით! მორჩილი და განუსჯელი მომდევდით თან, რაკი ბედნიერება, მომავალი გწამდათ... აჰ, რა უბედურნი, რა უგუნურნი ვართ!...“

აქ როდოლფი შეჩერდა, რათა კარგი საბოლოოდ რამ ეპოვნა.

— რომ ვიგულისხმო, სრულიად გავლარიბდი, გავკოტრდი-მეთქი?.. აჰ, არა, აქედან სრულიად არაფერი გამოვა. მერმე ისევ თავიდან დაწყება დამჭირდება. განა შესაძლებელია იმგვარი ქალების დარწმუნება?

ფიქრდა და მერე განაგრძო:

„ჩვენ არასოდეს არ დაგივიწყებთ, მერწმუნეთ; მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში თავდადებული ერთგული ვიქნები; ხოლო ოდესმე, ადრე თუ გვიან ჩვენი გატაცება, — ასეთია ყოველი ადამიანის ხვედრი, — აუცილებლად განელდებოდა. ჩვენ დავიღლებოდით სიყვარულით და, ვინ იცის, განა ჩემთვის აუტანელი არ იქნებოდა ის გარემოება, რომ თქვენი სინანული მენახა, ან თვითონაც სინანული დამეწყო, რადგან ბრალი მე დამედებოდა? ფიქრიც კი იმაზე, თუ რა მწუხარება მოგელით, საშინლად მაწამებს. დამივიწყეთ! რად მარგუნა ბედმა თქვენი გაცნობა? რათა ხართ ეგეთი ლამაზი? ნუთუ ესეც ჩემი ბრალია? ოჰ, ღმერთო ჩემო, არა, ყოველივე ბედის ბრალია!“

— აი სიტყვა, — თქვა მან, — რომელიც ყოველთვის ახდენს შთაბეჭდილებას.

„აჰ, თქვენ რომ, ბევრი სხვა ქალივით, უგულო ყოფილიყავით, მაშინ ეგოიზმის გულისთვის ერთ ცდას რაიმეს მოვახდენდი, რაც თქვენთვის სრულიად უვნებელი იქნებოდა. მაგრამ იმ მომხიბვლელმა აღფრთოვანებამ, რაც ერთსა და იმავე დროს თქვენს შვენებასაც წარმოადგენს და თქვენს ტანჯვასაც, საშუალება არ მოგცათ, ჩემო შეუდარებელო, გაგეჭვრიტათ ჩვენი მომავალი მდგომარეობის მთელი სიყალბე. მაგრამ პირველ ხანებში არც მე მიფიქრია ამაზე და განცხრომით განვისვენებდი ამ სანეტარო ბედნიერების ჩრდილში, ვით მანსენილის* ქვეშ, და შედეგი მისი კი სრულიად არ მაწუხებდა“.

— შეიძლება იფიქროს, რომ სიძუნწის გამო ვამბობ უარს... აჰ, მერე რა? მით უარესი, ეს ამბავი, ასე თუ ისე, უნდა გათავდეს!

„ქვეყანა სასტიკია, ემა. სადაც უნდა ვყოფილიყავით, იგი ყველგან მოგვწვდებოდა. იძულებული იქნებოდით აგეტანათ აბეზარი გამოკითხვა, ცილისწამება, ზიზღი, შესაძლებელია შეურაცხ-

---

* ხეა ანტილის კუნძულებზე, რომლის ნაყოფიც შხამიანია. (მთარგმნელის შენიშვნა)

ყოფაც. შეურაცხყოფა თქვენ? და მე კი, რომელსაც თქვენთვის ტახტი უნდა დამედგა სადედოფლო, რომელიც გულში ვატარებ თქვენს ხატებას, ვით თილისმას, რაღა უნდა მექნა მაშინ? და აი, გადავიხვეწები და მით მივიზღავ სასჯელს თქვენთვის მოყენებული სიავის გამო. სადა? თვით არ ვიცი: გონება დამკარგვია! მშვიდობით! იყავით კეთილი მარად! მოიგონებდეთ უბედურს, თქვენს დამკარგავს. ასწავლეთ ჩემი სახელი თქვენს ბავშვს, რათა ლოცვის დროს მახსენოს ხოლმე."

სანთლის ალი ლიცლიცებდა, როდოლფი წამოდგა, ფანჯარა დახურა, კვლავ რომ დაჯდა, თქვა:

— მგონია, ყველაფერი ვთქვი. ჰო კიდევ რამდენიმე სიტყვა, რომ გამოდევნება არ იფიქროს:

„როცა ამ ნაღვლიან სტრიქონებს წაიკითხავთ, უკვე შორს ვიქნები თქვენგან, ვინაიდან გადავწყვიტე გაქცევა, რათა თქვენი ნახვის სურვლმა არ დამძლიოს. სისუსტე არ შეიძლება! მე დავბრუნდები და შემდეგ ვინ იცის, იქნებ გულგრილად მოგვიხდვს ლაპარაკი ჩვენს ძველ სიყვარულზე, მშვიდობით!"

ამის ქვეშ კიდევ იყო ერთი გამოსალმება, გაყოფით, ასე მიწერილი: „მშვი-დო-ბით", რაც როდოლფს უმაღლესი გემოვნების ნიშნად ეჩვენებოდა.

— ახლა, ხელი როგორღა მოვაწერო? — ვარაუდობდა თავისთვის. „სავსებით თქვენი ერთგული?" არ ვარგა. „თქვენი მეგობარი". ჰო, სწორედ ასე, „თქვენი მეგობარი".

წერილი გადაიკითხა; მოეწონა.

— საბრალო ქალი! ქვაზე უფრო უგრძნობელი ვგონივარ, — უეცრად მოლბა, — ერთი-ორიოდე ცრემლიც კარგი იქნება! მაგრამ, რა ვქნა, რომ ტირილი არ მეხერხება: რა ჩემი ბრალია.

მერმე ჭიქაში წყალი ჩაასხა, შიგ თითი ჩაჰყო და წერილს დააწვეთა, რომელიც მელანზე გაიდღაბნა. შემდეგ იმის ძიებას შეუდგა, რითი დავბეჭდოო; ხელში ემასეული ბეჭედი მოხვდა, დევიზიანი: Amor nel cor".

— არა, ეს ამ შემთხვევისათვის არ გამოდგება... თუმცა, სულ ერთია!

შემდეგ ამისა სამი ჩიბუხი მოსწია და დასაძინებლად დაწვა.

მეორე დღეს (ნაშუადღევის ორ საათზე ადგა, გვიანამდე ეძინა) ერთი კალათი ჭერამი დააკრეფინა, ქვეშ ვაზის ფოთლებს ქვე-

ვოთ, წერილი ჩადო, მოჯამაგირე ჟირარს დაუბახა და უბრძანა, მადამ ბოვარის მიართვი ფრთხილადო. წინათაც ხმარობდა ხოლმე ამგვარ ხერხს. ხან ხილს უგზავნიდა, ხან ნანადირევს, სეზონის მიხედვით.

— თუ მიკითხოს, ეტყვი შინ არ არის, წავიდა-თქო. კალათს მას გადასცემ, საკუთარ ხელში... გასწი და ფრთხილად იყავ!

ჟირარმა ახალი ხალათი ჩაიცვა, ჭერამიან კალათს ხელსახოცი გადააფარა, ლურსმნებით მოჭედილი მძიმე ფეხსაცმლით ზანტად აიძრა და იონვილის გზას გაუდგა.

როცა იგი ბოვარისას მივიდა, მადამ ბოვარი ფელისიტესთან ერთად საცვლების დასტას ალაგებდა სამზარეულო მაგიდაზე.

— ეს ჩვენმა ბატონმა მოგართვათ. — უთხრა მოჯამაგირემ.

წინათგრძნობამ და შიშმა მოიცვა ქალის გული; ჯიბეში რომ ხურდა ფულს ეძებდა, აბნეულ გლეხს შესცქეროდა, გლეხი კი მეტად გაკვირვებული იყო, ასეთმა უბრალო ძღვენმა როგორ უნდა ამაღელვოსო. ჟირარი, როგორც იყო, წავიდა, მაგრამ სამაგიეროდ. ფელისიტე ფეხს არ იცვლიდა. ემამ ვეღარ მოითმინა, სასადილოში შევარდა. კალათი მიაგდო, ფოთლები ამოშალა, წერილი იპოვნა, გახსნა და, თითქოს მის ზურგს უკან საშინელი ხანძარი ავარდაო, თავის ოთახისკენ გაექანა მთლად შიშითატანილი.

იქ შარლი დახვდა, რაღაცა შეეკითხა, მაგრამ ქალს არაფერი გაუგონია, აქოშინებული განაგრძობდა კიბეზე ასვლას, მთვრალივით გარეტიანებულს ხელში ეკავა ეს საშინელი ქაღალდი, თუნუქის ფურცელივით რომ წიწკინებდა, მესამე სართულზე აირბინა და სხვენის ჩაკეტილი კარის წინ გაჩერდა.

აქ ღონე მოიკრიბა, რათა დამშვიდებულიყო; წერილი გაახსენდა; უნდოდა ბოლომდე ჩაეკითხა, მაგრამ ვერ ბედავდა. ან კი სად? როგორ დაინახავენ.

„არა, აქ კარგად ვიქნები!“ — გაიფიქრა, კარს ხელი ჰკრა, შევიდა. ფიქალის ცხუნვარე სახურავქვეშ ბუღე იდგა, რომელიც საფეთქლებში სცემდა და სუნთქვას უძნელებდა; სარკმლამდის მიცოცდა, გააღო და თვალისმომჭრელი სინათლე შემოვარდა.

მის თვალწინ, ქალაქს გარეთ, კარგა მანძილზე სოფლის მიდამო გაპიმულიყო. ქვემოთ ცარიელი მოედანი მოჩანდა; ქვაფენილის რიყე ლაპლაპებდა; სახლის ფლუგერები უმოძრაოდ გაქვავებული-

ყო: კუთხის სახლიდან რაღაც გაბმული ხრიალი მოისმოდა. ეს ბინე იყო, თავის სახარატო დაზგაზე მუშაობდა.

სარკმლის ჩარჩოს მიეყრდნო და ბოროტი ღრჭენით წერილს კითხულობდა. რამდენადაც მეტი გამძაფრებით ცდილობდა ჩაკვირვებას, იმდენადვე უმწეოდ იხლართებოდა მისი აზრები. აი მის წინ კვლავ როდოლფი დგას, ესმის მისი ხმა, ორივე ხელს ჰხვევს, გულისცემა, თითქოს დიდი ურო ურტყამსო, მატულობს ნერვული ინტერვალებით. გარშემო იცქირება და ბუნდოვანი იმედით ელოდება, რომ სადაცაა, აგერ მიწა გასკდება. არა, ჯობს ერთბაშად გაათავოს ყოველივე? რაღა აკავებს? თავისუფალია. გარეთ გადაიხარა, ქვაფენილს დასცქერის და განუწყვეტლივ იმეორებს:

— აბა, რაღას ვუყურებ?

სინათლის ალმაცერა სვეტი, ქვემოდან რომ მის პირდაპირ ალმართულიყო, სხეულს უფსკრულისკენ იზიდავდა. ეჩვენებოდა, ვითომ ნიადაგი შეინძრა და კედელს მოსდევდა ზევითკენ, იატაკის ნაპირი კი ქვემოთ იხრებოდა ვით გემი ზღვის ღელვის დროს. იგი ზედ ნაპირზე იდგა, თითქმის ეკიდა ცარიელ სივრცე-გარშემოხვეული. ცის ეთეროვანი სილურჯე ავსებდა, დაცარიელებულ თავში თითქოს ჰაერი გადისო, საჭირო იყო მხოლოდ მცირე დათმობა, არგაძალება, დანებება. ხრიალი კი არ წყდებოდა, თითქოს მრისხანე ხმა ეძახისო.

— ქალო! ემა! — გაისმა შარლის ხმა. ემა გაინაბა.

— სადა ხარ? მოდი!

იმ აზრის გამო, რომ სიკვდილს გაუსხლტა, სრულიად ღონეშეხდილი შეიქნა; თვალი მოხუჭა და უეცრად აცახცახდა, რაკი ვიღაცის ხელის შეხება იგრძნო; ეს ფელისიტე იყო.

— ბატონი გელოდებათ, ქალბატონო; სუფრა გაშლილია.

იძულებული იყო ძირს ჩასულიყო. იძულებული იყო სუფრასთან დამჯდარიყო.

ვითომ ჭამას ეცადა, მაგრამ ყელში არ ჩადიოდა. ხელსახოცი გაშალა, მოაჩვენა, ვითომ გაკერილ ადგილებს ვათვალიერებო. და მართლაც, ამით გაერთო, ტილოს ძაფებს დაუწყო თვლა. მაგრამ უეცრად წერილი გაახსენდა. ნუთუ დაკარგა? სადღა უნდა ეძიოს ახლა?

მაგრამ ტვინი ისე მოქანცული ჰქონდა, რომ ვერას გზით ვერ მოახერხა რაიმე საბაბის მოგონება, რათა სუფრიდან ამდგა-

რიყო, თან გაუბედავობაც დაემთხვა; შარლისა ეშინოდა; მან. ალბათ, უკვე ყველაფერი იცისო! და, მართლაც, შარლმა რაღაც უცნაურად თქვა:

— ალბათ, მალე ვეღარ ვნახავთ ბ. როდოლფს.

— ვინ გითხრა? — ჰკითხა და მთლად აცახცახდა.

— ვინ მითხრა? — მიუგო უეცარი კითხვით ოდნავ გაკვირვებულმა, — ჟირარი ამბობდა, ესაა, „ფრანგულ კაფესთან“ შევხვდი. წასვლას აპირებს, თუ უკვე წასულა დიდი ხნით.

ემამ ოდნავ შეჰკივლა.

— რა გაკვირვებს? იგი დროდადრო მიდის ხოლმე, რათა გაერთოს, და, ჩემი ფიქრით, კარგადაც შვრება. როცა ქონება ხელს. ვიწყობს და უცოლოც ხარ!... საზოგადოდ ჩვენი მეგობარი გვარიანად ერთობა! მხიარული კაცია! ბ. ლანგლუა მიამბობდა...

რადგან მსახური შემოვიდა, ზრდილობის გამო გაჩუმდა. მსახურმა გაბნეული ჰერამი ისევ კალათში ჩააწყო. შარლმა, რომელსაც არ შეუნიშნავს ცოლის უეცრად წამოწითლებული სახე, უბრძანა, სუფრაზე მოიტანეო.

— საუცხოოა, — თქვა, — აბა გასინჯე! — და კალათი გაუწოდა. ემამ ხელი ჰკრა ოდნავ.

— ერთი დაყნოსე, რა სუნი აქვს! — და კალათი რამდენჯერმე გაუტარა ცხვირწინ.

— სული მეხუთება! — წამოიძახა ემამ და ზეწამოვარდა. მაგრამ ნებისყოფის დაძაბვით ყელსმობჯენილი კანკალი შეიკავა და თქვა:

— არაფერია! გამიარა! ნერვების ბრალია! დაჯექ, ჭამე!

ეშინოდა, ჩამაცივდებიან, გამომკითხავენ, მარტო აღარ დამტოვებენო.

შარლი, რათა ცოლი არ გაენაწყენებია, კვლავ დაჯდა, ჰერამს შეექცა, კურკებს მუჭში აგროვებდა, მერმე კი თეფშზე აწყობდა.

უეცრად. ლურჯმა ეტლმა გაიქროლა პოედანზე. ემამ შეჰკივლა და უგონოდ გულაღმა წაიქცა.

როდოლფმა, დიდი ფიქრის შემდეგ, მართლაც გადაწყვიტა რეიმსს წასვლა. ხოლო, რადგან ჰუშეტიდან ბიუშისკენ სხვა გზა არ არის, თუ არ იონვილზე გავლით, იგიც იძულებული იყო ეს გზა

აერჩია; და ემამ ფარნებით იცნო იგი, ბნელში რომ ელვასავით ანათებდა.

მეაფთიაქეს ხმაურობა გაეგონა და მოირბინა. სუფრა თეფშებიანად გადაბრუნებულიყო; წვენი, ხორცი, დანები, სამარილე, პროვანსის საზეთე, ყველაფერი იატაკზე ეყარა, შარლი მაშველს ეძახდა; შეშინებული ბერტა ღრიალებდა; ფელისიტე აკანკალებული ხელით უხსნიდა გულს ქალბატონს, რომლის სხეულიც კანკალს აეტანა.

— ლაბორატორიაში გავიქცევი, სურნელოვან ძმარს მოვიტან. — თქვა მეაფთიაქემ.

და როცა ემამ შუშას დაყნოსა და თვალები გაახილა, მეაფთიაქემ შენიშნა:

— ამ წამლის ძალა, დარწმუნებული იყავით, მკვდარსაც კი გააცოცხლებსო.

— ხმა გაგვეცი, ემა, — ემუდარებოდა შარლი, — თქვი რამე! გონს მოდი! აი, მე შენი შარლი ვარ, რომელსაც უყვარხარ! ვერა მცნობ განა? აი შენი გოგონაც, აბა აკოცე!

ბავშვი ხელებს იწვდიდა, რათა დედას ყელს მოხვეოდა, მაგრამ ემამ პირი იბრუნა და ძლივს წარმოთქვა:

— არა, არა... არავინ მინდა!

და კვლავ გრძნობა დაეკარგა. აიყვანეს და ლოგინზე დააწვინეს.

გაჭიმული იწვა; პირდაღებულს თვალები მაგრად დაეხუჭა; ხელისგულები გადმოებრუნებინა; უძრავი და ფერმკრთალი იყო, ვით თაფლის სანთელი, თვალთაგან ცრემლი სდიოდა და ნელინელ ბალიშზე ედინებოდა.

შარლი ალკოვის სიღრმეში იდგა; მის გვერდით — მდუმარე მეაფთიაქე ისეთი იერით, როგორიც ცხოვრების სერიოზულ წუთებს შეეფერება.

— დამშვიდდით, — იდაყვის ჯიკავით უთხრა შარლს, — მგონი, შეტევამ გაიარა.

— დიახ, ახლა ოდნავ ისვენებს, — მიუგო შარლმა, — საბრალო!... საბრალო ქალი!... აი, ისევ დაეცა!

ჰომემ გამოჰკითხა, როგორ მოხდაო. შარლმა მიუგო, სრულიად მოულოდნელად დაემართა, როცა ჭერამს ჭამდაო.

— უცნაურია! — წამოიძახა მეაფთიაქემ, — მაგრამ შესაძლებელია გულისწასვლა ჭერამით იყო გამოწვეული, არიან ისეთები,

რომლებიც სხვადასხვა სუნს ვერ იტანენ. და ეს ძალიან საგულისხმო საგანია საკვლევად, როგორც პათოლოგიური, ისე ფიზიოლოგიური თვალსაზრისით. ხუცებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ, როცა მღვდელმსახურების დროს კმევა შემოიღეს. ეს გონებას ჰბინდავს და აღფრთოვანებას იწვევს, ამ გავლენას განსაკუთრებით ქალები ემორჩილებიან, რომელთაც უფრო ნაზი აგებულება აქვთ, ვიდრე მამაკაცებს. ამბობენ, ზოგიერთი ქალი გრძნობას კარგავს, თუ დამწვარი რქის, ახალგამომცხვარი პურის სუნი მიედინაო...

— ფრთხილად, არ გააღვიძოთ! — წყნარად უთხრა ბოვარიმ.

— და არათუ მხოლოდ ადამიანები განიცდიან ასეთ ანომალიებს, — განაგრძობდა მეაფთიაქე, — არამედ ცხოველებიც. ასე, მაგალითად, არც თქვენთვის უნდა იყოს უცნობი, თუ რა გავლენას ახდენს კატების სქესობრივ სფეროზე nepeta catria, რასაც ხალხურად „კატაბალახას“ ეძახიან; ხოლო, მეორე მხრით, დავასახელებ მაგალითს, რომლის სინამდვილის თავმდები თვითონ ვარ; ერთ ჩემს ძველ მეგობარს, ბრიდუს (მალპალუს ქუჩაზე რომ აფთიაქი აქვს) ჰყავს ძაღლი, რომელსაც მყის კანკალი აუვარდება ხოლმე, როცა დრუნჩთან საბურნუთეს მიუტანენ, ხშირად აკეთებს ხოლმე იგი ასეთ ცდებს ნაცნობების წინაშე, თავის აგარაკში ბუაგიიომის ახლოს. ვინ იფიქრებდა, რომ უბრალო სამცხიკვებელ საშუალებას შეუძლია ისეთი ცვლილება მოახდინოს ოთხფეხის ორგანიზმში? ძალიან საგულისხმო მოვლენაა, არა?

— დიახ. — მიუგო შარლმა, რომელიც არ უსმენდა.

— ეს გვიმტკიცებს, — უთხრა ჰომემ-კმაყოფილების გამომხატველი ღიმილით, — ნერვული სისტემის უთვალავ ირეგულირებას. რაც შეეხება თქვენს მეუღლეს, იგი ყოველთვის განსაკუთრებული გრძნობიერების ადამიანად მეჩვენებოდა. ამიტომ არ შემიძლია გირჩიოთ, ჩემო კარგო მეგობარო, არც ერთი ისეთი ვითომ საშუალება, რომელიც ხშირად სიმპტომატურ მოვლენათა აღსაკვეთად იხმარება, მაგრამ ნამდვილად კი თვით ორგანიზმს ებრძვის. არა, აქ წამლებით ჭყიპვა არ გამოდგება! რეჟიმი ყველაფერია! ტკივილის დამაამებელი, შემამსუბუქებელი და დამამშვიდებელი. შემდეგ, გგონიათ, რომ საჭირო არ იქნებოდა წარმოდგენაზედაც ოდნავი გავლენა მოგვეხდინა?

— როგორ? რანაირად?“ — თქვა ბოვარიმ.

— აი, საქმეც ეგაა! საკითხი სწორედ ეგაა. „That is the question“, როგორც ამას წინათ გაზეთში წავიკითხე.

მაგრამ აქ ემამ თვალი გაახილა და წამოიძახა:

— და წერილი? წერილი?

ეგონათ, ბოდავსო; შუაღამიდან მართლაც ბოდვა დააწყებინა; ტვინის ანთება აღმოაჩნდა.

მთელი ორმოცდასამი დღის განმავლობაში შარლი არ მოშორებია. ავადმყოფები მიატოვა, არ დაწოლილა; მუდამ მაჯას უსინჯავდა, კოქობებს ადგამდა. ცივ ტილოებს ადებდა. ჟუსტენს ნევშატელს გზავნიდა ყინულზე; გზაში ყინული დნებოდა, ჟუსტენი კვლავ იქ მიდიოდა, შარლმა საკონსულტაციოდ ბ. კანივე მოიწვია, რუანიდანაც თავისი ყოფილი პროფესორი, დოქტორი ლარივიერი გამოიწერა. სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი. ყველაზე მეტად ის გარემოება აშინებდა, რომ ემა ძლიერ დავრდომილი იყო; არ ლაპარაკობდა, არ ესმოდა და თითქოს არც კი იტანჯებაო, თითქოს მის სულსა და ხორცს ყოველი მღელვარებისაგან განუსვენებიაო.

ოქტომბრის შუა რიცხვებში მას უკვე შეეძლო ლოგინში წამოჯდომა, გარშემო ბალიშებშემოლაგებულს. შარლს ტირილი მოერია, როცა ემამ პირველად დაადგა კბილი მურაბიან ტარტინს. ღონე თანდათან ემატებოდა; რამდენიმე საათით კიდეც ადგებოდა ხოლმე ნასადილევს, და ერთხელ, როცა თავს უკეთ გრძნობდა, შარლმა ბაღში მისი გასეირნებაც კი გაბედა. ბაღის ბილიკები მხმარი ფოთლებით იყო დაფარული; ფეხს ძლივს ადგამდა, ფლოსტებს მიაჩოჩებდა, შარლის მკერდს მიყრდნობილი, იღიმებოდა.

ასე მივიდნენ ბაღის ბოლომდე, ტერასამდე, ნელინელ წელში გასწორდა, თვალი ხელით დაიჩრდილა და სივრცეს გაჰხედა; შორს იცქირებოდა, ძლიერ შორს; მაგრამ ჰორიზონტზე მხოლოდ კვამლი მოჩანდა: ხმელი ბალახის გროვას წვავდნენ.

— დაიღლები, ჩემო ძვიფრასო!

უთხრა შარლმა და წყნარი ჯიკავით ფანჩატურისკენ წაიყვანა.

— აი ამ სკამლოგინზე ჩამოჯექ; აქ კარგად იქნები.

— აჰ, მანდ არა, მანდ არა! — წამოიძახა სუსტი ხმით. თავბრუ დაეხვა, და ამ საღამოდან ავადმყოფობა განუახლდა, თუმცა ნაკლებ გარკვეული ნიშნებით და რაღაც ახალი გართულებით. ხან გულის

არეში უჩიოდა ტკივილს, ხან მკერდის, ტვინის და ყველა სახსრისას. ზოგჯერ კიდეც აღებინებდა, რაც შარლს კიბოს ნიშანი ეგონა.

და საბრალო კაცი, გარდა ამისა, ფულის შოვნისთვისაც წუხდა.

XIV

უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო ჰომესათვის გადაეხადა მისი აფთიაქიდან წამოღებული წამლების საფასური. თუმცა შარლს, როგორც ექიმს, შეეძლო სრულიად არაფერიც არ გადაეხადა, მაგრამ ამ ვალის გახსენებაზე მაინც ოდნავ წამოწითლდებოდა ხოლმე. შემდეგ საშინლად გადიდდა ოჯახის ხარჯი. ახლა, როცა მზარეული გახდა სრული დიასახლისი; ანგარიში ანგარიშს ემატებოდა; მოვალეები ბუზღუნებდნენ; გაწსაკუთრებით აბეზარი შეიქნა ლერე. ემას ავადმყოფობის დროს ლერემ მდგომარეობით ისარგებლა და რათა ანგარიში გაებერა, საჩქაროდ მოუტანა წამოსასხამი, საკვოიაჟი, ორი ზანდუკი, ერთის მაგიერ, და სხვა მრავალი ნივთი. რამღენიც არ უმტკიცა შარლმა, მე ეგეები სრულიადაც არ მესაჭიროებაო, ვაჭარი მედიდურად უპასუხებდა, რომ ყველაფერი ქალბატონის შეკვეთისამებრ არის გამოწერილი და უკან ვერაფერს დაიბრუნებო; და თვით ექიმიც, ალბათ, არ ისურვებს ნაავადმყოფარის გაღიზიანებას და ამიტომ საჭიროა კარგად დაფიქრდეთო. ერთი სიტყვით, ლერე ისეთ გუნებაზე იყო, რომ უმალ სასამართლოში იჩივლებდა, ვიდრე რასმე უკანვე წაიღებდა; შარლმა ვითომც ბრძანება გასცა, ყველაფერი სავაჭროშივე გაუგზავნეთო, მაგრამ ფელისიტეს დაავიწყდა, ექიმს კი სხვა საქმეც ბევრი ჰქონდა, ასე რომ შემდეგ არც არავის გახსენებია. ამასობაში ლერემ თავისი მოთხოვნა განაახლა ხან მუქარით, ხან წუწუნით. ბოვარისაგან ბოლოს ვექსილი მიიღო ექვსი თვის ვადით. მაგრამ, მოაწერა ხელი თუ არა, შარლს გაბედული აზრი დაებადა: ლერესგან ათასი ფრანკის სესხება. ცოტა დარცხვენით გამოჰკითხა, ხომ არ შეიძლება კაცმა ასეთი თანხა როგორმე იშოვოსო, და დაუმატა: ერთი წლის ვადით, რა სარგებელიც უნდა იქნეს, გადავიხდიო. ლერე თავის სავაჭროში გაიქცა, ფული მოიტანა და ახალი ვექსილის დაწერა უკარნახა, რომლის ძალითაც ბოვარი ვალდებული იყო მომავალი წლის სექტემბრის პირველს ათას სამოცდაათი ფრანკი გადაეხადა, რაც წინანდელ ასოთხმოც ფრანკიანად სწორედ ათას ორას ორმოცდაათ ფრანკს

შეადგენდა. ამრიგად, ლერე მევახშეობდა, ასზე ექვსს იღებდა, გარდა ამისა, მეოთხედი პროცენტი საკომისიო მიჰქონდა და გამოწერილი საქონელიც ღირებულების არა ნაკლებ მესამედს აძლევდა; ყოველივე ამას თორმეტი თვის განმავლობაში ას ოცდაათი ფრანკი სარგებელი უნდა მოეტანა მისთვის; ამასთანავე იმედი ჰქონდა, რომ საქმე ამით არ გათავდებოდა, რომ ვექსილებს თავის დროზე ვერ გაუნაღდებდნენ, ხელახალს დასწერდნენ, და მისი საწყალი ფული ექიმისას ისე გამოიკვებებოდა, როგორც სანატორიუმში, და ერთ მშვენიერ დღეს გვარიანად გასუქებული და გამსხვილებული დაბრუნდებოდა, ასე რომ ქისას წიწკინს დააწყებინებდა.

და მართლაც, მას ყველაფერში ბედი ჰქონდა. როგორღაც ვოახერხა და ნევშატელის საავადმყოფოსთვის სიდრის მიწოდება იჯარით აიღო; ბ. გიიომენი გრუმენილის ტორფის აქციებს დაჰპირდა; ახლა კიდევ არგელსა და რუანს შორის ახალ საფილიქანსო მიმოსვლის მოწყობაზე ოცნებობდა, რაც, რა თქმა უნდა, მოსპობდა „ოქროს ლომის“ ფურგონს; მისი დილიჟანსები, როგორც უფრო სწრაფმოძრავი და დამტევი, სამგზავრო ქირის დაკლებით, მთელი იონვილის ვაჭრობას ხელში ჩაუგდებდა.

შარლი არა ერთხელ შეჰკითხებია თავს, როგორ გავუსწორდები გაისად ამდენ ვალსო; ფიქრობდა და ვარაუდობდა, იგონებდა სხვადასხვა ხერხს — მამას მივმართო დახმარებისათვის თუ გავყიდო რამეო. მაგრამ მის თხოვნას მამა ყურსაც კი არ ათხოვებს. ხოლო გასაყიდი თითქმის არაფერი აქვს. ფიქრები ისე დაეხლართებოდა ხოლმე, რომ უმჯობესი იყო სულ დაევიწყებინა ეს უსიამოვნო საკითხი. თავს ესაყვედურებოდა, ფულის გულისთვის ემაზე აღარ ვფიქრობო; ეგონა, რომ ყოველი თავისი აზრი თუ გრძნობა ტოლს ეკუთვნოდა და უკეთუ მისი ხატება მუდამ გულში არ ჰქონდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მას რასმე ართმევსო.

ზამთარი მკაცრი იყო; ემას ჯანმრთელობა ნელინელ უმჯობესდებოდა; კარგ ამინდში მის სავარძელს ფანჯარასთან მიაგორებდნენ ხოლმე, მოედანს რომ გაჰყურებდა. ბაღი შეძულდა და იმ მხარეს დარაბები მუდამ დაკეტილი იყო. ცხენი გააყიდვინა; ყოველივე, რაც წინათ უყვარდა, ახლა შეიძულა; თითქოს მთელი მისი აზრი საკუთარი თავის მოვლისკენ აქვს მიმართულიო. ლოგინში, თავს იმით ირთობდა, რომ დროდადრო იოლი საჭმლის მორთმევას

ბრძანებდა; დარეკავდა, რათა მსახურისთვის დეკოკტის მომზადება დაეჩქარებინა, ან უბრალო რაიმე საუბარი გაება მასთან.

ამასობაში თოელი სახურავზე გათხელდა და გალურჯდა; შემდეგ წვიმები დაიწყო მუდამდღე, რაღაც ნაღვლიანი შფოთით ელოდა ემა ჩვეულებრივი, ფუქსავატი ამბების უცვლელ განმეორებას, რომლებიც მას სრულიად არ ეხებოდა. მათ შორის ყველაზე დიდი ამბავი საღამოობით „მერცხლის" დაბრუნება იყო. ქ-ნი ლეფრანსუა ამ დროს ხმამაღლა ყვიროდა ხოლმე, მას სხვებიც აჰყვებოდნენ, იპოლიტეს ფარანი კი ბინდბუნდში ვარსკვლავივით ციალტობდა. შუადღისას შარლი დაბრუნდებოდა და ისევ მალე წავიდოდა; ემა ბულიონს შეხვრეპდა, ხოლო საღამოს ხუთ საათზე, დაბინდებისას, სკოლიდან მოწაფეები გამოეფინებოდნენ ქუჩებში, ერთიმეორის მიყოლებით ქვაფენილზე, თავიანთ ხის ფეხსაცმელებს მიაჩოჩებდნენ და სახაზავით ფანჯრების დარაბებს ურაკუნებდნენ.

ამ დროს მასთან უთუოდ უნდა მისულიყო ხოლმე ბ. ბურნიზიენი. ჯანმრთელობის ამბავს ჰკითხავდა, ახალ ამბებს მოუტანდა, შერმე სარწმუნოებაზე ჩამოაგდებდა ლაპარაკს ისე, რომ მსუბუქი, საამო მასლაათის კილოს არ შეიცვლიდა, რასაც სასიამოვნო რამ ახლდა ხოლმე. მხოლოდ მისი ანაფორის დანახვა უკვე დამამშვიდებლად მოქმედებდა ემაზე.

ერთხელ, თავისი ავადმყოფობის უმძიმეს ჟამს, როცა ეგონა, ახლა კი უთუოდ ვკვდებიო, ზიარება მოისურვა. და სანამ ოთახს მღვდელმსახურებისათვის მიალაგებდნენ, — წამლებით სავსე კომოდის თავს ტრაპეზად მორთავდნენ და ფელისიტეც იატაკზე ყვავილებს მიმოაბნევდა, ემამ რაღაც ახალის მოახლოვება იგრძნო, რამაც მთელი მისი ტანჯვა და მწუხარება, ტკივილის ყოველგვარი შეგრძნება განაქარვა; ეგონა, რომ სხეულმა სიმძიმე დაკარგა, სხვა ახალი ცხოვრება იწყებაო; ეჩვენებოდა, თითქოს მთელი მისი არსება ზეცას, ღვთისკენ მიიწევდა და სადაცაა ამ სიყვარულში გაზავდებოდა, ვით ჰაერში საკმევლის კვამლიო; მისი ლოგინი ნაკურთხი წყლით მოასხურეს; მღვდელმა ფეშხუმზე წმიდა ნაწილი აიღო; ციური სიხარულით ღონემიხდილმა ბაგენი გაუწოდა, რათა ხორცი მაცხოვრისა მიეღო, მისთვის განმზადებული. მისი ალკოვის საბურველი იბურცებოდა, ვით ღრუბელი, ხოლო კომოდზე დადგმული შანდლების სინათლე თვალისმომჭრელი დიდების გვირგვინად ეჩვენებოდა; თავი ბალიშზე მიდო და ეზმანებოდა:

სივრცეში სერაფიმების ჩანგის ხმა ესმის, ლაჟვარდოვან ცაში კი, ოქროს ტახტზე წმიდანთა შორის, მამა ღმერთს ხედავს, დიდებით რომ გაბრწყინებულა და ხელის აქნევით ცეცხლისფერთებიან ანგელოზებს გზავნის დედამიწაზე, რათა ზეცას წარიტაცონ ემა.

ეს მოცისკროვნე ჩვენება ისე ჩარჩა ხსოვნაში, ვით უმომხიბლავესი რამ, რასაც კი ადამიანის ოცნება წარმოიდგენს; და ახლა იგი ცდილობდა კვლავ გამოეწვია ის განცდა, რაც ჯერ კიდევ არ გამქრალიყო, კვლავ გრძელდებოდა, მართალია, ნაკლებ ძალუმი, მაგრამ მაინც მეტად საამო, ვით პირველად. სული მისი, ამპარტავნებით გატეხილი, ბოლოს ქრისტიანულ სიმშვიდეში განისვენებდა; ღონემიხდილობის სიამის განმცდელი, ემა თავის სულში იქვრიტებოდა და ხედავდა, როგორ ითრგუნებოდა მისი ნებისყოფა და გზას უხსნიდა მადლის შემოსვლას. მაშ, ბედნიერების მაგიერ შესაძლებელი ყოფილა სხვა, უფრო დიდი ნეტარება, მიწიერი სიყვარულის ტკბობათა ნაცვლად სხვა, უფრო მაღალი სიყვარული, განუწყვეტელი, წარუშლელი, მარადის ძლიერი! მიწიერ ნუგეშთა სიცრუის მიღმა ჭვრეტდა სიწმინდის სიხარულს, ყოველი ამქვეყნიური რომ დაუგმია და ზეცათა სიხარულს შერწყმია. და ასეთი ყოფა სანატრელი იყო მისთვის. ნატრობდა, წმიდანი გამხდარიყო; კრიალოსნები შეიძინა, გულზე ავგაროზი და ნაწილები დაიკიდა, რათა თავის საწოლ ოთახში, სასთუმალთან ნაწილებიანი კიდობანი დაედგა პატიოსანი თვლებით შოოქვილი და საღამოობით მუხლმოდრეკილი ემთხვეოდა ხოლმე. მღვდელს აკვირვებდა მისი ასეთი გუნება, აღტაცებული იყო მისი გულმოდგინებით, მაგრამ შიშობდა, ემას ასეთი მხურვალე კეთილმორწმუნეობა მწვალებლობისაკენ არ მიიდრიკოს და ცოდვად არ იქცესო. მაგრამ, რაკი ასეთ საკითხებში თავი არც მაინცდამაინც ისე გამობრძმედილი მიაჩნდა, ყოველი შემთხვევისთვის წიგნის ვაჭარს პულარს მისწერა, არქიელს რომ წიგნებს აწვდიდა ხოლმე, და სთხოვა რაიმე განსაკუთრებული გამოეგზავნა „მდედრობითი სქესის განათლებული და გამჭრიახი გონების ადამიანისთვის“. წიგნის ვაჭარმა კი ისეთივე გულგრილობით, როგორითაც თუნუქის რაიმე ნაკეთებს, მაგალითად, ზანგებს გაუგზავნიდა, აიღო და, რაც კი რამ იმ დროს სულის საცხონებელი საკითხავი იყო, ერთბაშად მოაზავა. ეს იყო საკატეხიზო, პატარა სახელმძღვანელოე-

ბი კითხვა-პასუხით, მედიდურ მოძღვრულ კილოზე დაწერილი განქიქებანი, მსგავსად დე-მესტრის თხზულებათა, და განსაკუთრებული რიგის რომანები ვარდისფერი ყდით, სემინარიული პოეტების სტილით ან სინანულსმიცემულ ხანდაზმულ ქალწულთა ,ვიერ რომ იყო დაწერილი. სათაურები ასეთი ჰქონდათ: „გონს მოდით“, „საერო კაცი მარიამის ფერხთა წინაშე, თხზულება ბ. დე, ბრავალი ორდენის კავალერისა“; „ვოლტერის შეცდომანი“, ყრმათათვის საკითხავი, და სხვა.

მადამ ბოვარის აზროვნება ჯერ კიდევ ისე საღი როდი ჰქონდა, რომ სერიოზულად შესდგომოდა რასმე; თანაც იგი მეტად დაეწაფა ამ წიგნებს, ვერ იტანდა საეკლესიო წესებს: არც ის სიმკაცრე მოსწონდა, რითაც ქედმაღალი პოლემისტები თავს ესხმოდნენ მათთვის უცხო ადამიანებს; ხოლო სარწმუნოებრივი საფუარით შემზადებული საერო მოთხრობანი ისეთ უვიცობას იჩენდნენ ქვეყნიურ საკითხებში, რომ სრულიად შეუმჩნეველად დააშორეს იგი იმ ჭეშმარიტებათ, რომელთა დადასტურებასაც ეძებდა. იგი მაინც დაჟინებით განაგრძობდა კითხვას და, როცა წიგნი ხელიდან გაუვარდებოდა, ასე ეგონა, უნაზესმა მისტიურმა ნაღველმა შემიპყრო, ქრისტიანულ უმაღლეს განცხოველებას რომ სჩვევიაო.

როდოლფის მოგონება გულის სიღრმეში ჩამარხა: და ხსოვნა იგი განსვენებდა იქ უფრო ზეიმურად და მყუდროდ, ვიდრე მეფეთა ნეშტი აკლდამებში. ამ ბალზამირებული სიყვარულიდან სურნელება ფშვინავდა და ნებიერობით მსჭვალავდა იმ წმიდა ტაძიწოების ატმოსფეროს, რომლითაც ამიერიდან ქალი სუნთქვას ლამობდა. როცა თავისი გოთური ანალოის წინაშე მუხლს მოიდრეკდა, ღმერთს იმავე ნაზი სიტყვებით ევედრებოდა, როგორითაც საყვარელს ამკობდა ხოლმე ვნებათა აღტყინების ჟამს. ამით თავისი რწმენის განმტკიცება სწადდა. მაგრამ ზეციდან მასზე როდი გადმოდიოდა შვება და სიმშვიდე და იგი დგებოდა დაღლილი სხეულით და რაღაც დიდი სიცრუის ბუნდოვანი შეგნებით. ეს ლტოლვანი, ფიქრობდა იგი, მხოლოდ ზედმეტი ღვაწლია; თავისი ამპარტავნული ღვთისმოსაობით წარსულ დროთა იმ ქალებს ადარებდა თავს, რომელთა დიდებაზედაც ოცნებობდა, როცა ქ-ნ ლა-ვალიერის პორტრეტს უცქერდა; ეს ქალები კი დედოფლური დიდებით იკრეფდნენ თავიანთი გრძელი კაბების ოქრომკედით მო-

ქარგულ ბოლოებსა და, უდაბნოში გარდახვეწილნი, ქრისტეს ფერხთქვეშ ღვრიდნენ სიცოცხლით განაწამები გულის უხვ ცრემლებს.

შემდეგ სათნოების ჭარბ მოღვაწეობას მიეცა: ღარიბებს პერანგებს უკერავდა. მშობიარეებს სათბობს უგზავნიდა; ერთხელ შარლმა სამ გლახაკს მიუსწრო, სამზარეულოში რომ წვნიანს შეექცეოდა. კვლავ შინ მოიყვანა თავისი გოგონა, რომელიც მისი ავადმყოფობის დროს შარლმა ძიძას მიაბარა. ახლა თვითონ განიზრახა მისთვის წერა-კითხვის სწავლება: რამდენიც უნდა ეტირა ბერტას, ემა ამის გამო აღარ ჯავრობდა, — ეს იყო განზრახული სიმშვიდე, საყოველთაო მიტევება. მისი სიტყვა, ყოველთვის და ყველაფერზე, სავსე იყო იდეალური გამოთქმებით. თავის ბავშვს ასე ჰკითხავდა:

— მუცლის ტკივილმა გაგიარა, ჩემო ანგელოზო?

დედამთილსაც საბაბი აღარა ჰქონდა ბუზღუნისა, გარდა იმისა, რომ მისმა რძალმა ღარიბებისათვის პერანგების კერვა აიჩემა, მის მაგიერ, რომ საკუთარი საცვლები შეეკეთებინა. მაგრამ, საკუთარი ოჯახური უსიამოვნებით ნაწამები საბრალო ქალი თავს მშვენივრად გრძნობდა ამ მყუდრო სახლში; თუმცა აღდგომაც გავიდა, მაგრამ იგი მაინც არ იჩქაროდა, თავი დაეღწია მოხუცი ბოვარის დაცინვისათვის, რომელიც სწორედ ვნების პარასკევს შეაწვევინებდა ხოლმე თავისთვის ღორის მსუქან კუპატებს.

გარდა დედამთილისა, რომელიც თავისი პირდაპირობით და ხალი მსჯელობით ამაგრებდა ემას, ამ უკანასკნელს თითქმის ყოველდღე ნახულობდნენ მისი ნაცნობები: ქ-ნი ლანგლუა, ქ-ნი კარონი, ქ-ნი დიუბრელი, ქ-ნი ტუვაში, და კეთილი ქ-ნი ჰომე, რომელსაც არ სჯეროდა არც ერთი ჭორი, რასაც მის მეზობელზე ავრცელებდნენ. ჰომეს ბავშვებიც ესტუმრებოდნენ ხოლმე, მათ ჟუსტენი მოჰყვებოდა. ჟუსტენი ბავშვებიანად ადიოდა ზემოთ, ემას ოთახში, და კარებში გაჩერდებოდა უძრავად, უხმოდ ემა ხშირად ყურადღებასაც არ მიაქცევდა ხოლმე მას და თავის ტუალეტს შეუდგებოდა. უწინრეს ყოვლისა, თმიდან სავარცხელს გაიძრობდა და სხარტად გაიქნევდა თავს; როცა ჟუსტენმა პირველად დაინახა ეს საუცხო ხშირი თმა, გიშრის კულულებად რომ მუხლებამდე სცემდა, საბრალო ბავშვის წინაშე თითქოს საკვირველებისა და უნახავის კარი გაიღო, რამაც თავისი სიდიადით შიში მოჰგვარა.

ემა, რასაკვირველია, ვერ ამჩნევდა ვერც მის მდუმარე ბეჯითობას და ვერც მის მოკრძალებას. აბა რას იფიქრებდა, რომ სიყვარული, რომელიც სრულიად აღმოიფხვრა მისი სიცოცხლიდან, ეგერ ფართქალებდა, სულ ახლოს, იმ ყრმის უბრალო გულში, რომელიც ღია იყო ემას სილამაზის ყოველი გამოვლინებისათვის. ამასთანავე ქალი ისე გულგრილად უცქეროდა ახლა ყველაფერს, მისი სიტყვა ისე თანაბრად მოალერსე იყო ყველასთვის, ხოლო თვალი მედიდური და მოქცევაც სხვადასხვანაირი, რომ ძნელი იყო გაგერჩია ეგოიზმი სიბრალულისა და გარყვნილება სათნოებისაგან. ერთ საღამოს, მაგალითად, მსახურს გაუჯავრდა იმის გამო, რომ გასეირნების ნებართვა სთხოვა და საამისოდ რაღაც უხეიროდ მოიბოდიშა: მერმე კი უეცრად მოლბა და ჰკითხა:

— მაშასადამე, გიყვარს იგი?

და წამოწითლებული ფელისიტეს პასუხსაც აღარ მოუცადა, ისე დაურთო:

— რაკი აგრეა, წადი! იმხიარულე!

ადრევე გაზაფხულზე ბრძანება გასცა, მთელი ბაღი თავიდან პოლომდე გადაბარეთო; შარლი წინააღმდეგი იყო, მაგრამ დასთანხმდა, რადგან უხაროდა, რომ რაიმეში მაინც იჩენდა ნებისყოფას; თუმცა თავის ნებისყოფას იგი უფრო და უფრო ხშირად იჩენდა, რაც უფრო უკეთ ხდებოდა. ჯერ ერთი, მოახერხა და სახლიდან გაისტუმრა ძიძა, რომელმაც მისი ავადმყოფობის დროს ოჯახში ფეხი მოიკიდა და თან მოიყვანა ორი ძუძუმწოვარა ბავშვი და ერთიც კიდევ პენსიონერი, მეტისმეტად ღორმუცელა პიროვნება. შემდეგ ჰომეს ოჯახი ჩამოიშორა და ნელინელ დანარჩენ მნახველებსაც ფეხი ამოაკვეთინა; ეკლესიაშიც ძვირად დაიარებოდა, რითაც მეაფთიაქის მოწონება დაიმსახურა, რომელმაც ამის გამო ერთხელ მეგობრულად უთხრა:

— კინაღამ ფარისევლობაში შედგი ფეხი.

ბ. ბურნიზიენი კი ჩვეულებრივ ყოველდღე დაიარებოდა, საღვთო რჯულის გაკვეთილების შემდგომ იგი გარეთ ჯდომას. სუფთა ჰაერის სუნთქვას ამჯობინებდა „კარავში“, როგორც ფანჩატურა ეძახდა. ამ დროს შარლიც დაბრუნდებოდა. რაკი ორივეს სიცხე აწუხებდა, სიდრს მოართმევდნენ და ისინიც სვამდნენ ნელინელ ემას საბოლოო გამომრთელებისათვის.

ბინე იქვე, ახლოს იყო ხოლმე, ბაღის გალავანს გადაღმა, და

კიბოებს იჭერდა; ბოვარი იმას მიიწვევდა, რის საწინააღმდეგოდ ბინეს არა ეთქმოდა რა; კარგად ეხერხებოდა ბოთლების საცობის ამოხდა.

— უნდა აიღო და, — კმაყოფილი თავდაჯერებით იტყოდა ხოლმე, — ბოთლი აი ასე მაგრად დადგა, მერმე ძაფი გაწყვიტო და წყნარად, წყნარად ამოიღო საცობი ისე, როგორც, მაგალითად, რესტორანებში სელტერის წყლის ბოთლებს ხდიან ხოლმე.

თუმცა ზოგჯერ, სწორედ ასეთი ლექციის დროს, სიდრი შიგ თვალებში შეასხამდა ხოლმე; მაშინ მღვდელი გულიანად გადაიხარხარებდა და უცვლელად იმეორებდა ხოლმე ერთსა და იმავე ხუმრობას:

— ამ სასმელის მაღალი ხარისხი, პირდაპირ, თვალში მოგხვდება.

ბოხუცი მართლაც ძალიან გულკეთილი ადამიანი იყო და სრულიადაც არ აღშფოთებულა, როცა ჰომემ შარლს ურჩია, ცოლი რუანს წაიყვანე, იქ ახლა ოპერაა ცნობილი ტენორის ლაგარდის მონაწილეობით და გაერთობაო. გაკვირვებულმა ჰომემ მოინდომა მისი აზრი გაეგო, რაზედაც მღვდელმა უპასუხა, მუსიკა ზნეობისთვის ნაკლებ მავნედ მიმაჩნია, ვიდრე ლიტერატურაო.

მაშინ მეაფთიაქემ ლიტერატურის დამცველობა იკისრა. თეატრიო. — ამბობდა იგი, — ცრუმორწმუნოებას ებრძვის და გართობის სახით სათნოებას გვასწავლისო.

— Castigat ridendo moras*, ბ. ბურნიზიენ! აიღეთ, მაგალითად, ვოლტერის ტრაგედიების უმრავლესობა; იქ ხელოვნურადაა გაბნეული ფილოსოფიური მსჯელობანი, რაც მათ ხალხისთვის ნამდვილი ზნეობისა და პოლიტიკის სკოლად ხდის.

— მე ერთი პიესა მინახავს ოდესღაც. „პარიზელი ბიჭი“ — დაიწყო ბინემ, — ძველი გენერალია გამოყვანილი. მართლაც, კარგადაა დახასიათებული. გენერალი ამათრახებს ერთ ახალგაზრდას, კარგი ოჯახის შვილს, ვისაც ერთი მუშა ქალი შეუცდენია, რომელიც ბოლოს...

— რა თქმა უნდა, — განაგრძობდა ჰომე, — არის ცუდი ლიტერატურა ისე, როგორც ცუდი აფთიაქები; მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელოვნების ასე ხელაღებით გმობა ძე უაზრობად,

* დაცინვით ამათრახებს ნაკლს.

საშუალო საუკუნეების ბარბაროსულ შეხედულებად მიმაჩნია, სწორედ იმ საშინელების მომგვრელ და საძაგელი დროების ღირსად, როცა გალილე დილეგში ჩააგდეს.

— დიახ, ვიცი, — უპასუხებდა ხუცესი, — რომ კარგი წიგნები და კარგი მთხზველებიც არიან; მაგრამ, მიუხედავად ამისა, თვით ეს შეკრებილობა, სხვადასხვა სქესის ადამიანთა აღრევა, რაღაც მაცთუნებელ შენობაში, ფუფუნებით მორთულ თეატრში, შემდეგ ეს წარმართული ცვლა მორთულობისა, ეს ფერ-უმარილი, განათება, მინაზებული ლაპარაკი, განა ყოველივე ეს სულიერი გარყვნილების გამომწვევი არაა? განა ყოველივე ეს მაცთუნებლის აზრებსა და უწმინდურ ნატვრას არ შთაუნერგავს ადამიანს? ყოველ შემოხვევაში ამ აზრისანი არიან ყველა ჩვენი წმ. მამანი. და, დასასრულ, — დაურთო რაღაც იდუმალი ხმით, თანაც თითებით ბურნუთს ფხვნიდა, — უკეთუ ეკლესიამ დაგმო სანახაობანი, ცხადია, იგი მართალი იყო, და ჩვენც უნდა დავემორჩილოთ მის დადგენილებას.

— რისთვის განაგდებს ეკლესია აქტიორებს? — აღძრა საკითხი მეაფთიაქემ, — ისინი ხომ ოდესმე აშკარა მონაწილეობას იღებდნენ სარწმუნოებრივი წესების აღსრულებაში? დიახ, საკურთხევლის წინაშე წარმოადგენდნენ ხოლმე განსაკუთრებული სახის პიესებს, რომლებსაც მისტერიებს ეძახდნენ და რომლებიც ხშირად დასცინოდნენ კეთილზნეობის კანონებს.

მღვდელმა ის იკმარა, რომ ამოიოხრა, ხოლო მეაფთიაქე განაგრძობდა:

— ისე, როგორც ბიბლიაში, აქაც... იცით... არის ისეთი დაწერილებითი... პიკანტური ამბები... ერთი სიტყვით... სასაცილო!

და პასუხად ბურნიზიენის მოძრაობისა, გაჯავრებას რომ გამოხატავდა, დაუმატა:

— აჰ, დამეთანხმებით, რომ ეს წიგნი ხელში არ მიეცემა რომელიმე ახალგაზრდა ქალიშვილს, და ჩემთვის ძალიან საწყენი იქნებოდა, რომ ატალა...

— კი, მაგრამ ჩვენ კი არა, პროტესტანტები ურჩევენ თავიანთ ერთმორწმუნეებს ბიბლია იკითხეთო. — მოუთმენლად წამოიძახა მღვდელმა.

— სულ ერთია — მიუგო ჰომემ, — განცვიფრებელი ვარ, რომ ჩვენს დროში, ამ განათლებულ ეპოქაში მაინც დაეინებით უკრძა-

ლავენ ადამიანს სულიერ დასვენებას, რაც სრულიად უვნებელია, ზნეობრივი და ზოგჯერ ჰიგიენურიც, — არა, ბ. ექიმო?

— რასაკვირველია. — ცალყბად მიუგო ექიმმა, ვერ გაიგებდი, იმიტომ, რომ ისიც იმავე აზრისა იყო და არ სურდა ვისთვისმე ეწყენინებინა, თუ იმიტომ, რომ არავითარი საკუთარი შეხედულება არ გააჩნდა.

ბაასი თითქოს ამოწურული იყო, მაგრამ მეაფთიაქეს ერთი წიხლის ჩაკვრა კიდევ მოესურვა.

— მე იმისთანა მღვდლები მინახავს, რომლებიც საერო ტანისამოსს გადაიცვამდნენ და მოცეკვავე ქალების ფეხების საშვრეტად დაიარებოდნენ.

— ნუთუ?

— დიახ, მი-ნა-ხავს! — თითოეული მარცვლის მკაფიო გამოთქმით მიუგო ჰომემ.

— ვერე რა? ისინი უწესოდ იქცეოდნენ. — ისე წარმოთქვა ბურნიზიენმა, რომ, ეტყობოდა, ყველაფრის მოთმენა გადაწყვიტა.

— აი დასწყევლოს! განა მარტო მაგისთანებს სჩადიოდნენ? — წამოიძახა მეაფთიაქემ.

— ბატონო!.. — ისე მრისხანედ დაიყვირა მღვდელმა, რომ მეაფთიაქე შეშინდა.

— მე იმისი თქმა მინდა, — უკვე ნაკლებ ტლანქი კილოთი დაიწყო მეაფთიაქემ, — რომ მოთმინება საუკეთესო საშუალებაა სარწმუნოებაზე მოსაქცევად.

— ეგ მართალია! ეგ მართალია! — დაეთანხმა ფაშვიანი და კვლავ დაჯდა. მაგრამ ამის შემდგომ ორი წუთიც აღარ მოუცდია. წავიდა თუ არა, ჰომემ მკერნალს უთხრა:

— ნახე, როგორ გავჯორე! გამათრახებაც ამას ჰქვია!,.. დამიჯერეთ და წაიყვანეთ ოპერაში ქალბატონი, უკვე მხოლოდ იმისთვის, რომ სიცოცხლეში ერთხელ მაინც გაუსივოთ გული ერთ-ერთ ამისთანა ყორანს, ეშვაკსაც უზიდავს მაგის სული! ჩემს ძაგივრობას რომ ვინმე გასწევდეს, მეც თქვენთან ერთად წამოვიდოდი. იჩქარეთ! ლაგარდი მხოლოდ ერთ წარმოდგენას მართავს, ინგლისში მიუწვეეიათ დიდი ამბით! საერთო აზრი მის შესახებ ისეთია,. რომ დიდი ვინმეა! ოქროთი ივსება რაღა ყელამდე. თან დაჰყავს სამი ხასა და ერთი მზარეული. ყოველი დიდი არტისტი სანთელს ორივე ბოლოდან წვავს. მათთვის საჭიროა უზნეო ცხოვრება, რათა ოცნე-

ბა გაიხელონ. მაგრამ, ბოლოს, საავადმყოფოში კვდებიან, ვინაიდან ახალგაზრდობაში ჭკუას ვერ მოეგნენ, რომ შავი დღისთვის რამე შეენახათ. მაშ ასე, გისურვებ კაი მადას! ხვალამდე.

სპექტაკლის ფიქრმა მალე გაიტაცა ბოვარი; ცოლს გაუზიარა. მაგრამ მან პირველად იუარა დაღლილობის, შეწუხებისა და ხარჯის საბაბით; შარლმა თავისი არ დაიშალა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ეს გართობა ცოლს არგებდა. არავითარი დაბრკოლება არ არსებობდა; დედამ ამას წინათ სამასი ფრანკი გამოუგზავნა, რასაც სრულიად არ მოელოდა; მიმდინარე ვალები უმნიშვნელო იყო, ხოლო ლერეს ვექსილების განაღდების ვადა ისე შორს იყო, რომ ამაზე ფიქრიც კი არ ღირდა. ამასთანავე, ეგონა, ცოლს ჩემი წინადადების მიღება ეძნელებაო, და ამიტომ უფრო დაჟინებით სთხოვდა. ბოლოს ემაც დათანხმდა და მეორე დღეს, რვა საათზე „მერცხალში" ჩაბარგდნენ.

მეაფთიაქესაც, სიმართლე რომ ითქვას, იონვილში არაფერი არ აკავებდა, მაგრამ თავს ვალდებულად რაცხდა ადგილიდან არ დაძრულიყო; გაცილებისას ღრმად ამოიოხრა და თქვა:

— მაშ, კეთილი მგზავრობა! ბედნიერი ხართ, მე და ჩემმა ღმერთმა!

შემდეგ ემას მიმართა, რომელსაც ოთხფურჩალიანი ცისფერი აბრეშუმის კაბა ეცვა, და უთხრა:

— მშვენიერი ხართ, ვით ამური! ვინძლო რუანში დიდი ფურორი მოახდინოთ!

დილიჟანსი „წითელი ჯვრის" სასტუმროს წინ გაჩერდა, ბოვუაზინის მოედანზე. ეს იყო ფუნდუკი, რომლის მსგავსიც მრავალია პროვინციის ქალაქებში, უზარმაზარი თავლებით, პაწაწინა ბინებითა და ეზოთი, სადაც ქათმები ქერის მარცვალს ეძებენ ტალახში ამოსვრილი ეტლების ქვეშ. მათი შენობები ძველი, დარბაისლურია, დაკილული ხის აივნები ზამთრის ქარიან ღამეში საბრალოდ ჭრაჭუნობენ. ეს ფუნდუკები მუდამ სავსეა ხალხით, ხმაურობითა და სასმელ-საჭმელით; შავი სუფრები ყავითაა დათხუპნული, ფანჯრის მინები — ბუზების ნაჯდომით, ხოლო ნოტიო ხელსახოცები კი ღვინის მოლურჯო ლაქებითაა მოჩითული. ამგვარ სახლებში მუდამ სოფლის სუნი დგას, როგორც ფერმაში მოჯამაგირეთაგან, თუმცა ყველას ქალაქურად აცვია; სასტუმროს აუცილებლად აქვს ყავახანა ქუჩის პირად და ბოსტანი — უკან მინდვრისკენ. შარლი მა-

შინვე საქმეზე გაექანა. ერთმანეთში აურია ავანსცენა და ქანდარა, პარტერი და ლოჟები, იძია, იკითხა, მაინც ვერაფერი გაიგო; კონტროლიორმა დირექტორთან გაგზავნა; შემდეგ სასტუმროში მოვიდა, იქიდან კვლავ სალაროსკენ გაიქცა და მთელი დღე ასე ირბინა ქალაქში, თეატრიდან ბულვარამდე.

მადამ ბოვარიმ ახალი ქუდი, თათმანები და თაიგული იყიდა. ბატონი შიშობდა, არ დავიგვიანოთო და, თითო თეფშის წვნის შეხვრეპა ძლივს მოახერხეს, რომ უკვე თეატრის შესასვლელში იდგნენ, მაგრამ კარები ჯერ ისევ დაკეტილი იყო.

XV

ხალხი თეატრის კედელთან მიმდგარიყო, ბალუსტრადებს შორის ჩამწკრივებული. მახლობელი ქუჩების კუთხეებში უზარმაზარი აფიშები იყო გამოკრული, რომლებზედაც მსხვილი ასოებით ეწერა: „ლუჩია დი ლამერმურ... ლაგარდი... ოპერა...“ და სხვა. მშვენიერი ამინდი იყო; ცხელოდა; დახუჭუჭებული თმა ოფლისაგან იშლებოდა; გაწითლებულ შუბლებს ცხვირსახოცებით იწმენდნენ, ხანდახან, მდინარიდან დაძრული თბილი სიო ოდნავ არხევდა პარუსინის ფარდებს, კაფეების კარებს რომ ჰქონდა ჩამოფარებული. ცოტა ქვემოთ კი ყინულოვანი ორჭოლი უქრიდა, რომელსაც თან ტყავების, ქონისა და ზეთის სუნი მოჰქონდა. ეს იყო ანაორთქლი შარეტის ქუჩისა თავისი შავი საწყობებით, საითაც კასრებს მიაგორებდნენ.

ემას გული აუძგერდა, როცა ვესტიბიულში შევიდნენ. უწებური პატივმოყვარული ღიმი გაუკრთა ტუჩზე, როცა ხალხი სხვა დერეფნით, მარჯვნით გაექანა, თვითონ კი კიბით პირველ ადგილებში ადიოდა. ბავშვური სიანცით ჰკრავდა ხოლმე თითს მაუდგადაკრულს, განიერ კარებს; ღრმად ისუნთქავდა კულისების მტვრიან ჰაერს და, ლოჟაში რომ დაჯდა, თავადის ქალის მედიდურობით გაიმართა წელში.

დარბაზი ხალხით ივსებოდა; ბინოკლებს იღებდნენ, ეაბონენტე ხალხი შორიდან ესალმებოდა ერთიმეორეს. ვაჭრობის დავიდარაბით მოქანცულნი, ხელოვნების ტაძარში დასასვენებლად მოსულიყვნენ; მაგრამ ჩვეულ საქმეებს მაინც ვერ ივიწყებდნენ. ლაპარაკობდნენ ბამბეულობის, ოცდათექვსმეტგრადუსიანი არყის, ინ-

დიგოსა და სხვათა შესახებ. აქა-იქ მოჩანდა მოხუცთა სახეები, შშვიდი, უმეტესად თეთრი და თეთრთმიანი, რომლებიც ტყვიის წყალში გავლებულ ვერცხლის მედლებს მოგაგონებდნენ. ახალგაზრდა თავმომწონეები პარტერში მიმოდიოდნენ, ჟილეტების ამონაჭრებში ვარდისფერი თუ მომწვანო-ვაშლისფერი ჰალსტუხები გამოეჩინათ: მადამ ბოვარი ზემოდან დასცქეროდა მათ და სიამეს ჰგვრიდა ყვითელ თათმანებში გამოწყობილი მათი ხელები, ოქროსთავიან საბიჯგებს რომ დაყრდნობოდნენ.

ამასობაში სანთლები ორკესტრშიც აინთო, ზემოდან ჭაღი დაუშვეს, რომლის თლილმა სასანთლეებმაც ციმციმი იწყეს და დარბაზს ერთბაშად მხიარულება მოჰფინეს; შემდეგ ერთიმეორეზე შემოვიდნენ მემუსიკენიც და ატყდა საკრავების არეულ-დარეული ჭყვიტინი; ბანები ღუღუნებდნენ, ვიოლინოები წივოდნენ, კორნეტ-აპისტონები ღაღანებდნენ, ფლეიტები და ფლაჟოლეტები პიპინებდნენ, მაგრამ, აი სცენაზე სამჯერ დაჰკრეს; ლიტავრები ერთბაშად აგუგუნდნენ, სასულე საკრავებმა რამდენიმე აკორდი გამოიღეს. ფარდა ავარდა და მიდამო გამოჩნდა.

მიდამო ტყის ნაპირს წარმოადგენდა, რომელსაც მარცხნით ნაკადული ჩაუდიოდა, მუხით დაჩრდილული. სოფლელები და ბატონები, რომელთაც მხრებზე პლედები გადაეგდოთ, ერთად მღეროდნენ სანადიროს; მერმე გამოვიდა ბელადი ვინმე და სულსა ბოროტს მოუწოდა ხელაპყრობით; შემდეგ კიდევ ვიღაც გამოვიდა; ცოტა ხანს შემდეგ ესენი გავიდნენ და მონადირეებმა კვლავ სიმღერა დაიწყეს.

ემას თავის სიყმაწვილეში წაკითხული წიგნები, საყვარელი ვალტერ სკოტი წარმოუდგა. ყურში თითქოს შოტლანდიური საყვირის ხმა ესმისო ნისლით დაფარული ლიშხნარებიდან. რომანის გახსენება ლიბრეტოს გაგებას უადვილებდა და კვალდაკვალ მისდევდა ინტრიგის განვითარებას, ხოლო ის ოდნავშესაცნობი ფიქრები კი, თავს რომ დასტრიალებდნენ, მუსიკის გრგვინვაში იცარებოდნენ... მიენდო მელოდიის რწევას და მთელი არსებით თრთოდა, თითქოს სოლინარები სიმებს კი არა მის საკუთარ ნერვებს ეხებიანო. თვალი წარტაცეს ამ ჩაცმულობამ. დეკორაციებმა, მოქმედმა პირებმა, დახატულმა ხეებმა, რომლებიც ვინმეს გავლისას ირხეოდნენ; ხავერდის ბერეტებმა, წამოსასხამებმა, ხმლებმა და ყოველივე ამ ვითომ ნივთებმა, ლამაზმა ტყუილებმა, ჰარმონიუ-

ლად რომ მოძრაობენ, თითქოს სხვა, უცხო ქვეყანაში არიან. მაგრამ აი, გამოვიდა ერთი ახალგაზრდა ქალი და თვისი ქისა მწვანედ ჩაცმულ მხლებელს მიუგდო. მერე ქალი მარტო დარჩა და ამ დროს გაისმა ფლეიტის ხმა, ხანდახან ნაკადულივით მოროკრაკე, ხან კი ჩიტივით ბოჭიკჭიკე. ლუჩიამ გაბედულად დაიწყო თავისი კავატინა სოლ მაჟორით; იგი სიყვარულის წამებას მოსთქვამდა, ფრთებს ნატრობდა. ემასაც ენატრებოდა ცხოვრებიდან გაქცევა, სხვა ქვეყნად გაფრენა. უეცრად ედგარი — ლაგარდი გამოვიდა.

მის სახეს ის შეუდარებელი ფერმკრთალობა დაჰკრავდა, სამხრეთის ფიცხი რასების იერს რომ მარმარილოს რაღაც დიდებას აძლევს. მისი მოყვანილი ტანი მიხაკისფერი ტანსაცმლით იყო გამოკვალთული; ნაჭედი პაწია ხანჯალი მარცხენა თეძოს ულამუნებდა; მიბნედილ ცქერას გარემოს ავლებდა და თავის ქათქათა კბილებს აჩენდა. ამბობდნენ, ვითომ ერთ პოლონელ თავადის ქალს, ბიარიცის ახლოს, საღამოთი ზღვის ნაპირას, გაუგონია მისი სიმღერა იმ დროს, როცა ლაგარდი ნავების შეკეთებაში იყო გართული, და შეჰყვარებია იგი. ქალს მთელი თავისი ქონება მისთვის მიუცია. ლაგარდის კი მალე სხვა ქალებში გაუცვლია იგი; ამ რომანტიკულ წარსულს არტისტის სახელი უფრო გაუთქვამს. მოხერხებული მომღერალი თვითონ ცდილობდა, რომ საამისო რეკლამებში ერთი პოეტური ფრაზაც ყოფილიყო ჩართული. მისი პირადი მომხიბვლელობისა და მგრძნობიარე სულის შესახებ. მშვენიერი ხმა, ურყევი თავდაჯერება. უფრო ტემპერამენტიანი, ვიდრე ჭკუიანი, მეტი პათოსიანი, ვიდრე ლირიკული, ყოველივე ეს ავეძრგვინებდა ამ საკვირველი შარლატანის ბუნებას, რომელშიც პარიკმახერი და ტორეადორი ერთმანეთს ეცილებოდა.

დარბაზი პირველი სცენიდანვე მოხიბლა. ლუჩიას გულში იკრავდა. ტოვებდა, კვლავ უბრუნდებოდა, სასოწარკვეთილებას გამოხატავდა: გულისწყრომის სიტყვებს განუსაზღვრელი სინაზის საამო ჩურჩული ცვლიდა, მისი ყელიდან ქვითინისა და ამბორის ხმები ჩქეფდა. ემა წინ იხედებოდა, რათა უკეთ მოესმინა, და ფრჩხილებს ლოჟის ხავერდს უსვამდა.

სავსებით ისუტავდა ამ მელოდიურ მოთქმას, კონტრაბასების აკომპანემენტში რომ ისე გაისმოდა, ვით ზღვაურის ზათქში მახრჩვალთა ყვირილი. ცნობდა უთვალავ სიამეს და ტანჯვას, რომელმაც კინაღამ იმსხვერპლა იგი. მომღერალი ქალის ხმა საკუთარი

სულის გამოხმობად ეჩვენებოდა, ხოლო იმ მომხიბვლელ ილუზიას რაღაც საერთო ჰქონდა მის ცხოვრებასთან. მაგრამ ასეთი სიყვარულით იგი არასოდეს არავის ჰყვარებია. იგი ამ ედგარივით როდი ტიროდა უკანასკნელ საღამოს, როცა მთვარე ანათებდა, და როცა ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „ხვალამდე!... ხვალამდე!". დარბაზი ვაშას ძახილით გრიალებდა; იძულებული იყვნენ გაემეორებინათ; შეყვარებულნი მღეროდნენ თავიანთ საფლავების ყვავილებზე, ფიცზე, განდევნაზე, ბედისწერასა და იმედზე; და, როცა მათი საბრალო „მშვიდობით" გაისმა, ემას უნებური კივილი აღმოხდა, უკანასკნელმა აკორდებმა რომ ჩაახშეს.

— რას ერჩის იმ ქალს ის დიდებული? — ჰკითხა შარლმა.

— ერჩის კი არა, მისი სატრფოა! — მიუგო ემამ.

— კი, მაგრამ რაღად ემუქრება, თქვენს ოჯახს სამაგიეროს მივუზღავო? ის კი, ახლა რომ შემოვიდა, ამბობდა: „ლუჩია მიყვარს და დარწმუნებული ვარ, მასაც ვუყვარვარო". მერმე კი მის მამას გაჰყვა მკლავგაყრილი. განა ეს მახინჯი, ქუდში რომ მამლის ფრთა აქვს გაჩრილი, მისი მამა არ არის?

მიუხედავად ემას განმარტებისა, იმ რეჩიტატიული დუეტიდან, როცა ჟილბერი თავის ბატონს ეშტონს ვერაგულ-განზრახვას უმხელს, შარლს, ვითომ იმ საქორწინო ბეჭედის დანახვაზე, რამაც ლუჩიას თვალი უნდა აუხვიოს, ეგონა, ბეჭედი მართლაც ედგარის გამოგზავნილია ნიშნად სიყვარულისაო. თუმცა იგი თვით გამოტყდა, რომ სრულიად ვერაფერი ვერ გაიგო მთელი ამ ისტორიისა, რისი მიზეზიც მუსიკაა, რომელიც სიტყვებს ძალიან ვნებსო.

— სულ ერთია. — მიუგო ემამ. — გაჩუმდი!

— მე, ხომ იცი, ყველაფერში გარკვეულობა მიყვარს.

— გაჩუმდი-მეთქი! — მოეთმენლად წამოიძახა.

ლუჩია მხლებლებმა გამოიყვანეს; ნარინჯის ყვავილთა გვირგვინი თავს უმკობდა. უფრო ფერმკრთალი იყო, ვიდრე მისი ატლასის თეთრი კაბა. ემას თავის ქორწინების დღე გაახსენდა, ვიწრო ბილიკი პურის ყანაში, რომლითაც მაყრიონი ეკლესიაში მიდიოდა, რატომ ლუჩიასავით არ იბრძოდა, არ ლოცულობდა მაშინ? არა, მხიარული იყო და ვერ ამჩნევდა რა უფსკრულში ვარდებოდა. აჰ. მთელი წინანდელი, ნორჩი სილამაზით, რასაკვირველია, ქორწინების სირცხვილამდე და სიმრუშის გულგრილობამდე, თავის სიცოცხლეს ვისმე ერთგულს, სულგრძელს რომ შესწირავდეს, მაშინ

ბისთვის სინაზეცა და სათნოებაც. სიამეცა და მოვალეობაც ერთმანეთს შეეზავებოდა და იგიც არასოდეს აღარ ჩამოქვეითდებოდა ასეთი ბედნიერების მწვერვალიდან. მაგრამ ბედნიერება, რა თქმა უნდა, სირცუეა, მხოლოდ იმისთვის მოგონილი, რომ ყველა ნატვრას იმედი გაუქარწყლოს. ემა ახლა კარგად იცნობს ვნების წვრილმანობას, რასაც ხელოვნება ასე ადიდებს. იგი ცდილობდა გაეთავისუფლებინა თავისი ფიქრები მისი შთაგონებისგან და ამ თავის ვანვლილ ტანჯვათა წარმოდგენაში მხოლოდ მხატვრული ოცნება სურდა დაენახა, რაც მარტო თვალთათვის არის საამო, და გულში თავაზიანად იცინოდა კიდეც, როცა სცენის სიღრმეში, ხავერდის ფარდის იქით, უეცრად გამოჩნდა შავწამოსასხამიანი ვაჟი; იგი შეირხა და ესპანური, არეგანიერი ქუდი თავიდან მოსძვრა; იმწამსვე ორკესტრმა და მომღერლებმა სექსტესტი დაიწყეს.

რისხვით აღგზნებული ედგარი ყველას ახშობდა თავისი მძლავრი ხმით. ასტონი დაბალი კილოთი აყრიდა მომაკვდინებელ მუქარას; ლუჩია წივილით აყრუებდა იქაურობას; არტური განზე გამდგარიყო და შუახმით იმღეროდა, ხოლო მღვდლის ბანი ორღანივით ღუღუნებდა. დანარჩენი ქალების ხმები კი იმის სიტყვებს იმეორებდნენ გუნდურად. ყველანი მწკრივად იდგნენ და ყველანი ხელებს იქნევდნენ; მათი ნახევრადღია ბაგენი ერთბაშად ისროდნენ რისხვას, მუქარას, საზღაურს, საშინელებას, შეწყალებასა და განკიფრებას. შეურაცხყოფილი მიჯნური შიშველ ხმალს იქნევდა; მისი არშიიანი საყელო მისივე მკერდის მოძრაობის თანაბრად ირხეოდა. იგი ხან მარცხნით გაიწევდა, ხან მარჯვნით, განიერ ნაბიჯებს ადგამდა და ამ დროს ხის იატაკზე მისი ვერცხლის დეზები, რბილს ბოტფორტებზე რომ ეკრა, საამურად წკრიალებდნენ. ალბათ, სიყვარულის დაუშრეტელ ზღვას იტევს, რაკი ასე უხვად აფრქვევს ტემპერამენტს საზოგადოებასო, ფიქრობდა ემა. მაგრამ გაბიაბრუების ამ ცდამ უნაყოფოდ ჩაუარა, რადგან, როლის პოეზიით გატაცებული, ეხიბლებოდა მომღერლის მიერ: ცდილობდა წარმოედგინა მისი ცხოვრება, განთქმული, არაჩვეულებრივი, დიდებული სიცოცხლე მისი, როგორიც თვითონ შეეძლო ჰქონოდა, უკეთუ შემთხვევას ენებებინა. მათ ხომ შეეძლოთ ერთმანეთს შეხვედროდნენ, შეეყვარებინათ ერთმანეთი! მასთან ერთად მთელი ევროპის სახელმწიფოებში, სატახტოდან სატახტოში იმოგზაურებდა, გაიზიარებდა მის შრომასა და სახელს, აკრეფდა მისთვის ნასროლ ყვავილებს და

საკუთარი ხელით დაუქარგავდა ტანსაცმლებს. შემდეგ, ყოველ საღამოს, ლოჟის მოოქრული ბანდულიდან, სიამით გათანგული. არ გაუშვებდა არც ერთს ბგერას მისი სულისას, რომელიც მხოლოდ მისთვის იქნებოდა ამღერებული; სამაგიეროდ, ისიც სცენიდან, თამაშის დროს, მხოლოდ მას მიაცქერდებოდა. უეცრად რაღაც სიგიჟემ შეიპყრო ქალის არსება: მომღერალი მას უცქერის, ეს უეჭველია. სურდა მისკენ გაქცეულიყო, მისი ძლიერებისათვის შეეფარებინა თავი, ვით თვით სიყვარულის განხორციელებისათვის, და ეთქვა, ეყვირნა მისთვის: „ამიყვანე, წამიყვანე, წავიდეთ! შენი ვარ, შენი! შენთვისაა მთელი ჩემი აღტყინება. ყველა ჩემი ოცნება!“

ფარდა დაეშვა.

აირის სუნი ხალხის ნასუნთქში იყო აზავებული. მარაოების ქნევა ჰაერს კიდევ უფრო ამძიმებდა. ემას ლოჟიდან გასვლა უნდოდა, მაგრამ მთელი დერეფნები ხალხით გაჭედილი იყო და ამიტომ გულაძგერებული კვლავ ლოჟაში დარჩა. შარლი შიშობდა, გული არ წაუვიდესო, და ბუფეტში ხილის წყლის მოსატანად წავიდა.

დიდი გაჭირვებით დაბრუნდა უკან; ყოველ ფეხის ნაბიჯზე უჭიკავებდნენ და ჭიქის სამი მეოთხედი ერთი დეკოლტირებულ რუანელ ქალს დააღვარა ბეჭზე, რომელმაც, როცა ძუძუებში ცივი სითხე იგრძნო, ისე შეჰკივლა, თითქოს კლავენო. მისი მეუღლე, საფეიქროს პატრონი, უზრდელს გაუჯავრდა; და სანამ ქალი ცხვირსახოცით იწმენდდა თავის საუცხოო, ალუბლისფერ აბრეშუმის კაბას, მისი ქმარი ცხვირში დუდუნებდა რაღაც ხარჯისა და ზარალის ანაზღაურებაზე. როგორც იქნა, შარლმა ცოლამდე მიაღწია და საშინლად აქოშინებულმა უთხრა:

— პატიოსნებას ვფიცავ, ვფიქრობდი, ვერ გავაღწევ-მეთქი! იმოდენა ხალხია, იმოდენა რომ!..

და დასძინა:

— აბა გამოიცან, ვინ ვნახე იქა, ზემოთ?... ბ. ლეონი!

— ლეონი!

— დიახ, სწორედ ის, ახლავე აქ მოვა შენს მოსაკითხავად.

ამ სიტყვების წარმოთქმა ვერ მოასწრო, რომ იონვილის ყოფილი კლერკი ლოჟაში შემოვიდა.

მაღალი საზოგადოების კაცის გამბედაობით გაუწოდა ხელი;

ადამ ბოვარიმაც ძყის თავისი მიაწოდა, რადგან, ალბათ, უფრო ძლიერი ნებისყოფის მიმზიდველობას დაემორჩილა. ეს ხელი იმ საღამოს აქეთ აღარ მიჰკარებია, როცა მწვანე ფოთლებზე წვიმა სდიოდა, როცა ისინი ფანჯარასთან მდგომნი გამოეთხოვენ ერთმანეთს. მაგრამ ემამ უმალვე მოიშორა მოგონებათა მიერ გამოწვეული გარინდება და ზრდილობის დასაცავად სწრაფად უთხრა:

— აჰ, გამარჯობა! როგორ? თქვენ აქა ხართ?

— ჩუმად! — გაისმა ხმა პარტერიდან, რადგან მესამე მოქმედება იწყებოდა.

— მაშ რუანში ხართ?

— დიახ.

— დიდი ხანია?

— ჩუმად! გარეთ გადით...

მათკენ მობრუნდნენ; ისინიც იძულებულნი იყვნენ ხმა გაეკმინდათ. მაგრამ ემა უკვე აღარ უსმენდა ოპერას; სტუმრების ბორო, სცენა ეშტონსა და მის მსახურს შორის, დიდი დუეტი რე მაჟორით, ყოველივე ამან რაღაც ბურუსში ჩაიარა, თითქოს საკრავები ნაკლებ ხმოვანი შეიქნენ, ხოლო მოქმედი პირები სადღაც შორს წავიდნენო; მას მოაგონდა ბანქოს საღამოები ბეაფთიაქისას, ძიძის სანახავად წასვლა, ერთად წიგნის კითხვა ფანჩატურში, ბუხართან განმარტოებული ბაასი, მთელი თავისი საბრალო სიყვარული. ისე წყნარი, ხანგრძლივი, მოკრძალებული, ნაზი და მაინც დაეიწყებული... რისთვისღა დაბრუნებულა? რა გარემოებათა დამთხვევა კვლავ ახვედრებს მას ცხოვრების გზაზე? ლეონი ემას უკან იდგა, ბეჭით ტიხარს მიყრდნობილი; ქალს ზოგჯერ უნებურად გააერთოლებდა ხოლმე, როცა ლეონის სუნთქვა თმას აუქროლებდა.

— განა ეს გაინტერესებთ? — თქვა და ისე ძირს დაიხარა, რომ ულვაშის ბოლო ემას ყურს შეეხო.

— ისე, არც ძალიან! — უდარდელად მიუგო.

მაშინ ლეონმა წინადადება მისცა გასულიყვნენ და ნაყინის საჭმელად წასულიყვნენ სადმე.

— აჰ, არა! დავრჩეთ ბოლომდე! — თქვა შარლმა. — იმას თმა გაშლილი აქვს, ეს კი რაღაც ტრაგიკულის მომასწავებელია.

მაგრამ სიგიჟის სცენა სულაც არ აინტერესებდა ემას და მომღერალი ქალის თამაშიც არაბუნებრივი ეჩვენებოდა.

— კი არ მღერის, ყვირის. — უთხრა შარლს, რომელიც ყურს არ აშორებდა.

— ჰო, შესაძლებელია... ოდნავ... — მიუგო და არ იცოდა, რა ერჩია: თავისი წრფელი სიამოვნება, თუ ცოლის აზრის პატივისცემა.

ლეონმა ამოიოხრა და თქვა:

— რა სიცხეა...

— მართალია, აუტანელია.

— ცუდად ხარ? — ჰკითხა ბოვარიმ.

— ჰო, სული მეხუთება. წავიდეთ.

ლეონმა ფრთხილად მოასხა ბეჭებზე არშიიანი გრძელი შალი. სამივენი ნავსადგურისაკენ გაემართნენ და კაფეს ფანჯრებთან, გარეთ დასხდნენ.

პირველად ბაასი ემას ავადმყოფობას შეეხებოდა, თუმცა ემამ რამდენჯერმე გააწყვეტინა შარლს, შესაძლებელია, ლეონს მოსაწყენად ეჩვენოსო; ლეონმა კი უამბო: რუანში ერთ-ორ წელს დავრჩები სამუშაოდ დიდ კანტორაში, რათა გავიწაფო იურიდიული საქმეების წარმოებაში, რასაც პარიზთან შედარებით, ნორმანდიაში ბევრი თავისებურება აქვსო. შემდეგ ამბები გამოჰკითხა ბერტოს, ჰომეს ოჯახისა და მოხუც ლეფრანსუას შესახებ; მაგრამ, რაკი ქვრის თანდასწრებით სალაპარაკო მეტი აღარა ჰქონდათ რა, ბაასიც მალე შეწყდა.

თეატრიდან გამოსული საზოგადოება მათ ახლოს მიდიოდა ქვაფენილით; ვინ თავისთვის უსტვენდა, ვინ პირდაღებული ღრიალებდა: „ო, ლუჩია, ჩემო ანგელოზო“. ლეონს სურდა თავი მუსიკის მოყვარულად ეჩვენებინა და ლაპარაკი ამაზე დაიწყო. მას მოესმინა ტრუბადური, რუბინი, პერსიანი, გრიზი; ამათთან შედარებით ლაგარდი, მიუხედავად თავისი დიდი ბრწყინვალებისა, არაფერს წარმოადგენსო.

— თუმცა, — გააწყვეტინა შარლმა, — ამბობენ, რომ უკანასკნელ მოქმედებაში იგი პირდაპირ განსაცვიფრებელია; მწყინს ბოლოს ვეღარ დავესწარით, ძალიან დამაინტერესა...

— აქ კიდევ იქნება ერთი წარმოდგენა. — თქვა კლერკმა. მაგრამ შარლმა მიუგო, ხვალ უნდა დავბრუნდეთო.

— თუკი შენ მარტო დარჩენას არ მოისურვებ, ჩემო ემიკო, — მიმართა ცოლს.

ასეთი უეცარი ცვლილების გამო, რაც რაღაც იმედს იძლეოდა. კლერკმაც იცვალა ტაქტიკა და მოჰყვა ლაგარდის ქებას, უკანასკნელ მოქმედებაში ეს, მართლაც, უმაღლესი რამეა, რაღაც დიდებულიაო. შარლი დაეინებით ირწმუნებოდა:

— შენ შეგიძლია კვირას დაბრუნდე. ჰა, გადაწყვიტე! ერთ წუთსაც არ უნდა იყოყმანო, თუკი ეს ოდნავ გარგებს რასმე.

ამასობაში სუფრები გარშემო დაცარიელდა; ერთ-ერთი მსახური მოვიდა და მოკრძალებით გაჩერდა შორიახლოს; შარლი მიხვდა და ქისა ამოიღო, მაგრამ კლერკმა ხელი დაუჭირა და, ნახარჯს გარდა. ორი ვერცხლის ფული წკრიალით დააგდო მარმარილოს მაგიდაზე.

— მე სრულიადაც არ მინდა ხარჯი გასწიოთ.

წაიდუდუნა ბოვარიმ. ლეონმა უდარდელად ჩაიქნია ხელი, ქუდი აიღო და თქვა:

— მაშ, ასე: ხვალ ექვს საათზე, არა?

შარლმა კვლავ იბოდიშა, მეტხანს დარჩენა არ შემიძლია, მაგრამ ემას კი არაფერი არ უშლისო...

— საქმე ის არის, რომ... — წაიბურტყუნა ემამ გამოუცნობი ეიმილით, — ღმერთმანი, არ ვიცი...

— ჰო, დავფიქრდები, ხვალ ვნახოთ; ღამე რჩევის მომცემია...

მერე ლეონს მიმართა:

— ახლა, რაკი ჩვენს კუთხეში დაბრუნდით, იმედია, სადილად მობრძანდებით როდისმე ჩვენსა!

კლერკმა მიუგო, დაპატიჟებას უთუოდ გამოვიყენებ, მით უმეტეს, რომ აუცილებლად უნდა წავიდე იონვილს საქმეების გამოო. და სენ-ჰერბლანის შუკის კუთხეში ერთმანეთს დაშორდნენ იმ დროს, როცა კათედრალზე თორმეტის ნახევარი დარეკა.

ნაწილი მესამე

I

ლეონი რომ პარიზში სამართალს სწავლობდა, არც „შომიერ-ში“ სიარული ავიწყდებოდა, სადაც დიდი წარმატება ჰქონდა გრი-ზეტებს შორის, რომლების აზრითაც მას კოხტაობა არ აკლდა, სტუდენტთა შორისაც მიღებული იყო: თმა არც ძლიერ გრძელი ჰქონდა, არც მოკლე, მიღებისთანავე არ ხარჯავდა ნახევარი სე-მესტრის განმავლობაში თავის შესანახავ ფულსა და პროფესორებ-თანაც კარგ განწყობილებაში იყო. აღვირახსნილობას ერიდებოდა, როგორც სიმხდალის ისე სათნო ბუნების გამო.

ხშირად, როცა წიგნით ხელში თავის ოთახში, ან საღამოობით ლუქსემბურგის ბაღის ცაცხვებქვეშ იჯდა ხოლმე, კანონთა კრე-ბული ხელიდან გაუვარდებოდა და ემაზე მოგონებას აედევნებო-და. მაგრამ ნელინელ ეს გრძნობა განელდა, ახალმა სურვილებმა ჩაახშეს იგი, თუმცა მაინც დაჟინებით იჩენდა ხოლმე მათ შორის თავს, იმიტომ რომ ლეონი კიდევ არ კარგავდა იმედს, ბუნდოვა-ნი რამ წინათგრძნობა იტაცებდა. რაღაც მოლოდინი იმალებოდა მომავლის გამოუცნობლობაში, ვით ოქროს ნაყოფი საოცნებო ხის ნეშოებში.

როცა სამი წლის განშორების შემდგომ ემას კვლავ შეეყარა, ვნებამ ისევ გაიღვიძა. ბოლოს და ბოლოს, საჭიროა, ფიქრობდა იგი, მოვიპოვო ძალა და იგი დავიმორჩილო. მხიარულ და გაბედულ ამხანაგებში ტრიალმა მისი კდემამოსილება გაანელა: პროვინციაში რომ დაბრუნდა, სძაგდა ყველა, ვისაც თავისი ლაკირონის ფეხსაცმლით დიდი ბულვარების ასფალტი არ ეთელა. არშიებით მოჭრილი პარიზელი ქალის წინაშე, რომელიმე ცნობილი ექიმის სასტუმრო ოთახში, ექიმისა, რომელსაც ორდენებიც აქვს და საკუთარი ეტლიც, ჩვენი კლერკი, რა თქმა უნდა, ბავშვივით დაირცხვენდა: მაგრამ აქ, რუანში, ნავსადგურის უბანში, უბრალო მკურნალის ცოლის წინაშე თავს გაბედულად გრძნობდა. რადგან წინასწარვე იცოდა, რომ დააბრმავებდა. თავდაჯერება იმ არეზეა დამოკიდებული, სადაც იგი უნდა გამოჩნდეს: ანტრესოლის მცხოვრებნი ისე როდი ლაპარაკობენ, როგორც მეხუთე სართულისა, და მდიდარი ქალის სათნოებასაც ბანკის ბილეთები იცავენ ისე, ვით მისივე ჯავშანი, კორსეტის ქვეშ რომ აცვია.

როცა საღამოს ცოლ-ქმარ ბოვარის განშორდა, ლეონმა თვალი აადევნა მათ და, როცა ისინი „წითელი ჯვრის“ წინ შედგნენ, შინისკენ გაეშურა; მთელი ღამე თავისი გეგმის მოფიქრებაში გაათენა.

მეორე დღეს, საღამოს ხუთ საათზე, სასტუმროს სამზარეულოში შეიარა. სახეგაფითრებულს, ყელში ბურდო ეჩარა; მაგრამ გულში კი მხდალი ადამიანის ის გაბედულება ედო, რისი შეჩერებაც არავითარ ძალას არ შეუძლია.

— ბატონი წავიდა.

უთხრა ლაქიამ. რაც თითქოს რაღაცის მომასწავებლად ეჩვენა. ზემო სართულში ავიდა.

მის დანახვაზე ემა არ აბნეულა, პირიქით, ბოდიში მოიხადა, გუშინ დამავიწყდა, მისამართი ვერ გასწავლეთო.

— ო, მაგას მე თვითონ მივხვდი. — თქვა ლეონმა.

— რანაირად!

იგი ირწმუნებოდა, ალალბედად. ინსტინქტმა მომიყვანაო. ქალმა გაიღიმა, ხოლო ლეონმა, რათა თავისი სისულელე გამოესწორებინა, უამბო, მთელი დილა ქალაქის სასტუმროებში თქვენს ძებნას მოვანდომეო.

— მაშ, გადაწყვიტეთ, რომ დარჩეთ?

— დიახ, — მიუგო მან, — და ცუდადაც მოვიქეცი, ისეთ სიამეს როდი უნდა მიეჩვიო, რომლითაც ვერ ისარგებლებ, როცა ჭრაკალი მოვალეობა გაწევთ კისერზე.

— ოჰ, წარმომიდგენია...

— არა, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რადგან ქალი არა ხართ.

მამაკაცებსაც აქვთ თავიანთი სადარდელი; და საუბარმა ფილოსოფიური მიმართულება მიიღო. ემამ სიტყვა ჩამოაგდო ამქვეყნიური ბრწყინვის ავაოებასა და მარადიულ ბარტოობაზე, რისთვისაც განწირულია ადამიანის გული.

თავმოწონების სურვილით თუ ამ ნაღვლიანობის გულუბრყვილო მიბაძულობით, რაც მასაც გადაედო, ახალგაზრდა კაცმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტის მთელი წლების განმავლობაში საშინელი სევდით იყო შეპყრობილი. სასამართლოში მოღვაწეობა არ არის მისი საქმე, გული სულ სხვა რისამე მონატრულია, მაგრამ დედა არ ეშვება. თითოეული მათგანი თანდათანობით ამჟღავნებდა თავისი წუხილის მიზეზებსა და, რამდენსაც მეტს ლაპარაკობდა, იმდენადვე უფრო იმსჭვალებოდა საკუთარი წრფელი აღსარებით, მაგრამ ზოგჯერ ორივე ერიდებოდა ხოლმე თავისი ნაზრახის აშკარა გამოთქმას და ისეთ სიტყვას ეძებდა, რომელიც ოდნავ მაინც მიახვედრებდა. ემას არ გაუმხელია თავისი სიყვარულის ამბავი და არც მას უთქვამს ქალისათვის, რომ დაიეიწყა.

შესაძლებელია, ამ წუთებში ლეონს აღარ ახსოვდა თავისი ქეიფობანი მხიარულ ქალთა შორის, ცეკვის შემდგომ; აღარც ემას თავისი დილის მგზავრობანი საყვარლის სახლისკენ.

ქუჩიდან ოდნავ ისმოდა ქალაქის ხმაურობა. ოთახი თითქოს დავიწროვდა, რათა უფრო უშუალოდ დაეახლოვებინა ისინი. ემას შსუბუქი პენუარი ემოსა; შავი თმის ხვეული სავარძლის ზურგზე გადაეგდო; ყვითელი შპალიერი ოქროს შარავანდედად მოჩანდა მის უკან. სარკეში ისახებოდა მისი შიშველი თავი შუაგაყოფილი თმითა და ყურის წვეროებით.

— მაგრამ, მაპატიეთ, — თქვა ქალმა, — რა საჭირო იყო ამაზე ლაპარაკი? მუდამ თავს გაბეზრებთ დაუსრულებელი წუწუნით.

— არა, სრულიადაც არა!

— რომ იცოდეთ, — განაგრძო მან და მშვენიერი თვალები აღაპყრო, რომელშიც ცრემლი ბრწყინავდა, — ოჰ, თქვენ რომ იცოდეთ, რაზე ვოცნებობდი!

— მე კი! ოჰ, როგორ ვიტანჯებოდი! ხშირად სახლიდან გავიქცეოდი, არ ვიცოდი, სად მივდიოდი, სანაპირო ქუჩებზე დავეხეტებოდი, ვცდილობდი ბრბოს ღრიანცელით გავბრუებულიყავ, მაგრამ მაინც ვერ ვახერხებდი იმ საშინელებისაგან განთავისუფლებას, მუდამ რომ მდევნიდა. ბულვარებზე, ესტამპების ერთ სავაჭროში არის იტალიური გრავიურა, რაც მუზას გამოხატავს; მას ტუნიკი აცვია და მთვარეს შესცქერის; გაშლილ თმაში უკვდავი ყვავილები აქვს; მთელი საათები ვიდექი ხოლმე მის წინ.

და ათრთოლებული ხმით დაურთო:

— იგი თქვენ გგავდათ ოდნავ.

მადამ ბოვარიმ პირი იბრუნა, რათა უნებური ღიმილი არ შეემჩნევინებინა, ტუჩზე რომ გაუკრთა.

— ხშირად, — განაგრძობდა ლეონი, — მომიწერია თქვენთვის წვრილები და შემდეგ ისევ დამიხევია.

ემა არ პასუხობდა; იგი კი განაგრძობდა:

— ზოგჯერ მეგონა, რაიმე შემთხვევა თქვენთან შემყრის-მეთქი; ქუჩის კუთხეში მომელანდებოდით; ავედევნებოდი ყოველ ეტლს, სადაც კი თქვენი შალისებურს ან ვუალისებურს მოვკრავდი თვალს...

ქალს, ალბათ, გადაეწყვიტა, ნება მიეცა მისთვის გამოეთქვა ყველაფერი, რაკი სიტყვას არ აწყვეტინებდა. ხელებდაკრეფილი და თავდახრილი, იგი თავის ფეხსაცმელებს დასცქეროდა, და ხანდახან, თითების ოდნავი შენძრევით, ფეხსაცმლის ატლასს შეარყევდა.

ბოლოს ამოიოხრა:

— მაგრამ ყველაზე უფრო სამწუხაროა, როცა უსარგებლო ცხოვრებას მიათრევ, როგორც მე. ჩვენი ტანჯვა რომ ვისმე გამოადგებოდეს, მაშინ კიდევ შეიძლებოდა მსხვერპლის გაღების ფიქრით მაინც გვენუგეშა!

ლეონი მოჰყვა სათნოების, მოვალეობისა და უხმო მსხვერპლის შექებას. თავდადების მძაფრი სურვილი მტანჯავს, მაგრამ არ ვიცი რითი დავიკმაყოფილოო.

— მე სათნოების დად ყოფნას ვინატრებდი, სადმე საავადმყოფოში.

— ვაი, რომ მამაკაცებს არ ძალუძთ მაგ წმინდა მოვალეობის შესრულება; და მე ვერ ვხედავ ვერც ერთ პროფესიას, გარდა შესაძლებელია, ექიმისა...

ემამ ოდნავ მხრები აიჩეჩა, სიტყვა გააწყვეტინა და ლაპარაკი დაიწყო თავის ავადმყოფობაზე, რომლითაც კინაღამ მოკვდა; ნეტამც! ახლა მაინც აღარ დაიტანჯებოდა. ლეონმაც მაშინვე ინატრა „ცივი სამარე", ერთ საღამოს ხომ ანდერძიც კი დაწერა, სადაც თხოულობდა, როცა მოვკვდები, ემას ნაჩუქარი საუცხოო ხაევრდის ხალი გადამაფარეთო. ასე ლაპარაკობდნენ ორივენი, რადგან სურდათ, ასეთი ყოფილიყვნენ წარსულში. იდეალს რასმე იხატავდნენ და ცდილობდნენ ამ იდეალის ჩარჩოში მოეთავსებინათ ... თავიანთი წარსული ცხოვრება. თუმცა, სიტყვა სატკეცი ... ორგვი არ არის, რომელიც გრძნობებს ჭიმავს.

მაგრამ ამ ხალის მოგონებაზე ემამ ჰკითხა:

— რატომ მაინცდამაინც ის ხალი?

— რატომ?

იგი ყოყმანობდა.

— იმიტომ, რომ გაგიჟებით მიყვარდით.

და საკუთარი თავი შეაქო, დაბრკოლება გადავლახეო; მერმე ალმაცერი მზერა ემას მიაპყრო, რა შთაბეჭდილება მოვახდინეო.

ემას სახე ისეთი იყო, ვით ცა, რომელზედაც ქარს ღრუბლები მთლად გადაერეკა. მწუხრულ ფიქრთა ბურდო თითქოს სრულიად მოშორებოდა მის ცისფერ თვალებს; სახე უბრწყინავდა.

ლეონი ელოდებოდა.

ბოლოს ქალმა უპასუხა:

— მე მუდამ მაგისი ეშვი მქონდა...

მერმე ერთმანეთს მოაგონეს მცირე ამბები იმ წარსული ცხოვრებისა, რომლის სიხარული და მწუხარება წელან გამოითქვა ერთი სიტყვით. ლეონმა მოიგონა ფანჩატური, ემას ჩაცმულობა, მისი ოთახის ნივთები, მთელი ხალხი.

— კაკტუსები როგორღაა?

— ყინვამ დაზრა ამ ზამთარში.

— იცით, მე ხშირად მიფიქრია მათზე, მომაგონდებოდა, დილის მზე რომ თქვენს ფანჯრებს მიადგებოდა... ვხედავდი თქვენს ხელებს, ყვავილიან ქოთნებს რომ უვლიდა...

— საბრალო მეგობარო!

თქვა ქალმა და ხელი გაუწოდა. ლეონმა მყის ტუჩთან მიიტანა იგი. მერე ღრმად ამოიოხრა და თქვა:

— იმ ხანებში თქვენ ჩემთვის რაღაც იდუმალი ძალა იყავით.

რომელსაც ჩემი სიცოცხლე დაეტყვევებინა. ერთხელ, მაგალითად, თქვენთან რომ მოვედი... მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, აღარ გახსოვთ?

— მახსოვს, — მიუგო მან, — განაგრძეთ.

— თქვენ ძირს იყავით, მისაღებ ოთახში, კიბეზე იდექით და წასვლას აპირებდით; თავს ცისფერყვავილებიანი ქუდი გეხურათ; და მიუპატიჟებლად, ჩემდა უნებურად, უკან გამოგყევით; ეე, რა თქმა უნდა, ვგრძნობდი ამ სისულელეს, მაგრამ მაინც მოვდიოდი, თუმცა ვერც თქვენთან მოსვლას ვბედავდი და არც თქვენი მოშორება მსურდა. სავაჭროში რომ შეხვედით, ქუჩაში დავრჩი და დარაბიდან ვხედავდი, როგორ იძრობდით თათმანებს და როგორ ითვლიდით წვრილ ფულს. ბოლოს, თქვენ ქ-ნ ტუვაშისას დარეკეთ, შეხვედით და მე კი რეგვენივით გამოშტერებული დავრჩი მოკეტილი კარის წინ.

მადამ ბოვარი უსმენდა და უკვირდა, როგორ დავბერებულვარო: ყველა ეს მოგონება, კვლავ განახლებული, თითქოს მის წარსულ სიცოცხლეს ახანგრძლივებდა; მისი გულის წარსულში ეს იყო რაღაც განუსაზღვრელი სივრცე, რომელიც ძალიან შორს იყო დარჩენილი, სადაც ახლა იგი აზრით მიფრინავდა. დროგამოშვებით, ოდნავგასაგონი ხმით და თვალმოხუჭული, იგი იტყოდა:

— დიახ, აგრეა! მართალია!

ორივემ გაიგონა, რომ მოუვაზინის უბანში, რომელიც სავსე იყო პანსიონებით, ეკლესიებითა და მიტოვებული უზარმაზარი სახლებით, სხვადასხვა ადგილს რვა საათისა დაირეკა. გაჩუმდნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ; თავბრუხვევას გრძნობდნენ, თითქოს გაშტერებულ თვალთაგან რაღაც უცნაური ხმოვანი დენი გამოდიოდა. ხელები ერთმანეთს გადაეხლართა; წარსული, მომავალი, მოგონებანი, ოცნებანი, ყველაფერი ამ აღფრთოვანების სიამეში ჩაიძირა, ოთახში ბინდი გასქელდა; კედელზე კიდევ ბრწყინავდა ფერადი ლიტოგრაფიული სურათები, რომლებიც „ნელის კოშკის“ სცენებს წარმოადგენდა, და ქვეშ განმარტებანი ეწერა ესპანურად და ფრანგულად. ვიწრო ფანჯარაში წოწოლა სახურავებს შორის ბნელი ცის ნაჭერი მოჩანდა.

ემა წამოდგა, კომოდზე ორი სანთელი აანთო და კვლავ თავის ადგილას დაბრუნდა.

— მაშასადამე...

— მაშასადამე?

გაიმეორა ქალმა. ლეონი ფიქრობდა, გაწყვეტილი ბაასი როგორ გადავაბაო. ქალმა ჰკითხა:

— რატომ აქამდე არავის გაუზიარებია ჩემთვის ასეთი გრძნობები?

კლერკმა შესძახა, რომ იდეალური ბუნების მქონე ადამიანების გაგება აგრე ადვილი არ არისო. მე პირველი შეხედვისთანავე შემიყვარდით, მაგრამ სასოწარკვეთილებას ვეძლეოდი, რატომ წინათ არ შევხვდით-მეთქი ერთმანეთს, რომ განუყრელად დაკავშირებულიყავით და გაბედნიერებულიყავით.

— მეც მიფიქრია მაგაზე ზოგჯერ. — მიუგო ქალმა.

— რა საამო ოცნებაა! — წაიჩურჩულა ლეონმა. მერმე მისი გრძელი, თეთრი ქამრის ცისფერ ფოჩს ნაზად შეეხო, და დასძინა:

– მერე რა გვიშლის, რომ ხელახლა დავიწყოთ?

— არა, ჩემო კარგო! — მიუგო ემამ, — მე ძალიან ხნიერი ვარ... თქვენ კი — მეტად ახალგაზრდა... დამივიწყეთ! სხვები შეგიყვარებენ... თქვენც შეიყვარებთ.

— თქვენსავით კი არა! — შესძახა მან.

— ნამდვილი ბავშვი ხართ! იქონიეთ გონიერება. მე ასე მსურს!

და მერმე აუხსნა მათი სიყვარულის შეუძლებლობა, ამიტომაც წინანდებურად მეგობრული განწყობილების ფარგლებში უნდა დავრჩეთო. განა ამას სერიოზულად ამბობდა? ემამ თვითონაც არ იცოდა; გრძნობდა მხოლოდ ცთუნების სიამეს და მისგან თავდაცვის საჭიროებას; ალერსიანი ცქერით ათვალიერებდა ვაჟს და წყნარად ირიდებდა მის აკანკალებულ ხელთა ალერსს.

— აჰ, უკაცრავად! — თქვა ლეონმა და უკან დაიწია.

ემა უეცარმა შიშმა შეიპყრო იმ გაუბედაობის წინაშე, რაც მისთვის უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენდა, ვიდრე როდოლფის გაბედულება, როცა იგი ხელგაშლილი შეეგებებოდა ხოლმე, არასოდეს არც ერთი მამაკაცი ასე ლამაზი არ ჩეენებია. მისი საქციელი მომხიბვლელი წრფელობით იყო აღსავსე. გრძელსა და წვრილს, ზეადრეკილ წამწამებს ძირს ხრიდა, რაც ნიშანი იყო ჭარბი სურვილისა; და ემას სურდა დაეკოცნა ეს წამწამები. ქალი ერთბაშად დაიხარა, თითქოს საათს უნდა დახედოსო, და წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო, რა დრო გასულა! რამდენი გვისაუბრია!

ლეონი გადაკრულს მიხვდა და ქუდისკენ ხელი წაიღო.

— თეატრიც კი დამავიწყდა. საბრალო ბოვარიმ კი საგანგებოდ წარპოდგენისათვის დამტოვა. ბ. ლორმოს, გრანპონის ქუჩაზე რომ ცხოვრობს, ცოლიანად უნდა გამოევლო და თეატრში წავეყვანე.

ეს შემთხვევაც გაუშვა, ხვალ კი უთუოდ შინ უნდა დაბრუნდეს.

— მართლა? — იკითხა ლეონმა.

— დიახ.

— მე მინდა აუცილებლად ერთხელ კიდევ გნახოთ; სათქმელი რამ მაქვს...

— რა?

— რაღაც... მნიშვნელოვანი, სერიოზული. მაგრამ თქვენ არ წახვალთ, ეს შეუძლებელია. თქვენ რომ იცოდეთ... გამიგონეთ... მაშ თქვენ გამიგეთ? ვერ მიმიხვდით?...

— თქვენ ძალიან გასაგებად ლაპარაკობთ, — უთხრა ემამ.

— აჰ, ნუ ხუმრობთ!... კმარა, კმარა! შემიბრალეთ, მომეცით საშუალება ერთხელ კიდევ გნახოთ... მხოლოდ ერთხელ...

— ვითომ რაო!...

იგი შედგა. მერმე თითქოს გონს მოვიდაო, თქვა:

— ოჰ, მხოლოდ აქ კი არა!

— სადაც გენებებათ.

— გინდათ... — დაფიქრდა და მოწყვეტით უთხრა:

— ხვალ, თერთმეტ საათზე, ეკლესიაში.

— იქ ვიქნები!

წამოიძახა და ორივე ხელი დაუჭირა, მაგრამ ემამ ხელები გაითავისუფლა.

ლეონი ცოტა უკან იდგა, ქალი კი თავდაღუნული იყო; ვაჟი დაიხარა და კისერი დაუკოცნა.

— გიჟი ხართ, გიჟი! — იძახდა იგი და ნერვულად იცინოდა, ვაჟი კი კოცნას არ იშლიდა.

გვერდულად თვალში ჩასცქეროდა, თითქოს იქ თანხმობის ამოკითხვას ეძებსო, მაგრამ იქ ცივი, ყინულოვანი დიდებულება სუფევდა.

ლეონი კარისკენ გაემართა, ზღურბლზე შედგა და ათრთოლებული ბაგით ძლივს წარმოთქვა:

— ხვალამდე.

ემამ თავის ჩაქნევით უპასუხა და ჩიტივით მეორე ოთახში შეფრთხიალდა.

საღამოს კლერკს გრძელ წერილს სწერდა, სადაც პაემანზე უარს ამბობდა; ახლა მათ შორის ყველაფერი გათავებულია და, სწორედ მათი ბედნიერების გულისთვის, კვლავ ერთმანეთს აღარ უნდა შეხვდნენ. მაგრამ, როცა წერილი გაათავა, გაჭირვებაში ჩავარდა, — მისამართი რომ არ იცოდა.

— თვითონ მას გადავცემ, — გაიფიქრა, — როცა მოვა.

მეორე დილას ლეონმა თავისი პატარა აივნის კარი გააღო, საწმენდი აიღო და ფეხსაცმელი გაიწმინდა, თან მხიარულად ღიღინებდა. ჩაიცვა თეთრი შარვალი, თხელი წინდები და მწვანე ფრაკი, ცხვირსახოცს ნელსაცხებელი აპკურა, პარიკმახერთან შეიარა, თმა დაიხუჭუჭა, მერე ისევ ააშლევინა, რათა თმისთვის მოხდენილი უბრალოება მიეცა.

— ჯერ ადრეა, — გაიფიქრა, როცა სადალაქოში იყო. — ცხრა საათია.

ძველი მოდების ჟურნალი აიღო, გადაფურცლა, მერმე გავიდა, სიგარა მოსწია, ქუჩებში გაისეირნა; ბოლოს გადაწყვიტა ლროაო, და ღვთისმშობლის ტაძრის მოედნისკენ გაემართა.

ზაფხულის მშვენიერი დილა იყო. ახლომახლო სავაჭროების ფანჯრებში ვერცხლის ნივთები ბრჭყვიალებდნენ; სინათლე. ტაძარს რომ გვერდიდან სცემდა, ქვების ჩუქურთმებში თამაშობდა: ჰაერში, სამრეკლოს ირგვლივ, ფრინველთა გუნდი რიალებდა; მოედანი სავსე იყო ყიჟინითა და ყვავილთა სურნელებით, ქვაფენილზე რომ იყო შემორგული; ვარდები, იასამანი, მიხაკი, ნარცისი. ტუბეროზი. ყვავილთა კვლებს შორის, აქა-იქ, მსუყე მწვანე იყო ჩარგული; კატაბალახა და ქათანაცარა; შუაგულ მოედანზე შადრევანი ჟღურტულებდა, ხოლო უზარმაზარ ქოლგებქვეშ, გორებად დაყენებულ ნესვთა შორის, ყვავილების მოვაჭრე ქალები ქაღალდში ხვევდნენ იის თაიგულებს.

ლეონმა ერთი ასეთი თაიგული იყიდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ თაიგულს ქალისათვის ყიდულობდა. ყვავილებს დაჭყნოსა და წელში ამაყად გაიმართა, თითქოს ქალისათვის მისართმევი ეს პატარა ძღვენი თვით მას ამაღლებსო.

მაგრამ შეშინდა, არ დამინახონო, მყისვე ეკლესიაში შევიდა. ეკლესიის მცველი იმ წუთს მარცხენა პორტალის ზღურბლზე

იდგა „მროკავი მარიანის“ ქანდაკებასთან. ქუდში — ფრთა, წელზე — რაპირი, ხელში — თუღი, დიდებული, ვით კარდინალი, და ბრწყინვალე, ვით საეკლესიო სამკაული.

იგი ლეონს მიუახლოვდა და სათნო-ეშმაკური ღიმილით, როგორც მღვდლებს სჩვევიათ, როცა ბავშვებს ელაპარაკებიან, ჰკითხა:

— თქვენ აქაური არ უნდა ბრძანდებოდეთ, ბატონო? იქნებ ტაძრის დათვალიერებას ინებებდით?

— არა, — მიუგო მან.

ჯერ ეკლესიაში შეჰყო თავი, მერმე ისევ პორტალთან დაბრუნდა და მოედანი ჩამოათვალიერა. ემა არსად ჩანდა. იგი პირდაპირ შევიდა, შუა შესასვლელით, და საკურთხეველამდე მივიდა.

ტაძრის შუა ტანი, ისროვანი თაღების ნაწილი და ფერადი მინები სავსე სასხურებლებში იხატებოდნენ. ფანჯრების მხატვრობის ანაშუქი მარმარილოს ნაპირებზე იმსხვრეოდა და იატაკის ქვაფენილს ეფრქვეოდა, ვით ჭრელი ხალიჩა. მთავარი პორტალის ღია კარებში სინათლის სამი უზარმაზარი ნაკადი შემოდიოდა, დროდადრო ეკლესიაში მედავითნე გაივლიდა და, აჩქარებული მლოცველივით, სწრაფად წაიჩოქებდა ხოლმე საკურთხევლის წინაშე. ბროლის კანკელები უძრავად ეკიდა. საკურთხეველზე ვერცხლის ლამპარი იყო ანთებული; გვერდითი, ბნელი კაპელებიდან ოხვრის მსგავსი რამ ხმა ისმოდა, ხოლო გაღებული რიკულის ბრახუნი გამოხმობასავით გუგუნებდა მაღალ თაღებში.

ლეონი ნელი ნაბიჯით მიჰყვებოდა კედლებს. სიცოცხლე ასე ლამაზი არასოდეს არ სჩვენებია. აი, ახლავე ნოვა იგი, მომხიბვლელი, მღელვარე. უკან მიიხედავს, თვალს ხომ არავინ მადევნებსო; ფურჩალებიანი კაბით, ოქროს ლორნეტით, თხელი ფეხსაცმელით, მშვენების მთელი შომჯადოებლობით, რაც ამას ჯერ არ უგემია, მთელი იმ მიმზიდველობით, რაც სათნოებას ამკობს ხოლმე დაცემის მომენტში. ტაძარი, ვით ვეება ბუდუარი, იშლება მის ზემოთ, თაღები იდრიკება, რათა ბინდბუნდში ისმინოს აღსარება მისი სიყვარულისა; ფერადი მინები ბრწყინავს, რათა გაანათოს სახე მისი და საცეცხლურებიც მზადაა დასაწველად, რათა იგი მოევლინოს, ვით ანგელოზი სურნელოვან კვამლსა შინა.

ქალი მაინც არ ჩანდა. სკამზე დაჯდა და თვალი ცისფერ ფანჯარას მიაპყრო, რომელზედაც მეთევზეთა მჩატვრობა იყო: მეთევ-

ზეები კალათებით ეზიდებოდნენ ნავებიდან თევზს, დიდხანს უცქერდა გულისყურით, დაჟინებით, ითვლიდა ქერტლს თევზების ტანზე და ღილებს მეთევზეთა ჯუბეებზე, ფიქრი კი მისი ემას დაეძებდა.

განზემდგომი მცველი ბრაზით იბერებოდა ასეთი უცნაური ჰომსვლელის საქციელის გამო; ზის და მარტოდმარტო ათვალიერებს ტაძრის საკვირველებასო. ასე ეგონა, ეს ვიღაცაა პირადად მე მძარცვავს და თითქმის კიდეც მკრეხელობსო.

მაგრამ უეცრად, აბრეშუმის შრიალი ქვის იატაკზე, ქუდის არე და შავი პელერინა... ის არის! ლეონი წამოვარდა და თითქმის სირბილით შეეგება.

ემა ფერმკრთალი იყო. ჩქარა მოდიოდა.

— წაიკითხეთ ესა! — და დაკეცილი ქაღალდი გაუწოდა, — ოჰ, არა! და ხელი მოწყვეტით წაიღო; მერმე წმიდა ქალწულის ნიშში შეავიდა, მუხლი მოიდრიკა, სკამის ზურგს ხელებით ჩამოეყრდნო და ლოცვას შეუდგა.

ყმაწვილი თითქმის გააჯავრა ქალის ამ ფარისევლურმა ჭირვეულობამ; მაგრამ შემდეგ კიდეც მოეწონა მისი საქციელი. რაკი იგი, პაემნის წინ ლოცვას დაეწაფა ვით ანდალუზიელი მარკიზა; ხოლო ცოტა ხნის შემდგომ განაწყენდა, რადგან ქალი ლოცვას აღარ ათავებდა.

ემა ლოცულობდა, ან, უკეთ, ცდილობდა ლოცვას და იმედოვნებდა, რომ ზეცა რაიმე გადაწყვეტილებას შთააგონებდა; და ზენაარი შველის მოსაზიდავად თვალით იხუტებდა საკურთხევლის სხივოსნობას, ხარბად იყნოსავდა ღვმის თეთრი იების სურნელებას, მაღალ ლარნაკებში რომ გაფურჩქნულიყვნენ. ყურს უგდებდა ტაძრის მყუდროებას, რის გამოც შეშფოთება გულისა უფრო მატულობდა.

ბოლოს წამოდგა და, ის იყო, კიდეც უნდა წასულიყვნენ, რომ მცველი სწრაფად მივიდა და ჰკითხა;

— ქალბატონი აქაური არ ბრძანდება, ალბათ. იქნებ ტაძრის დათვალიერებას ინებებდით?

— არა-მეთქი! — წამოიძახა კლერკმა.

— რატომაც არა? — უთხრა ემამ.

მისი შერყეული სათნოება ყველაფერს ებღაუქებოდა: ქანდაკებას, ლოცვასა და ძეგლებს.

მაშინ, რათა ყველაფერი „რიგზე“ ეჩვენებინა, მცველმა ისინ კვლავ შემოსასვლელში გაიყვანა, თუღით იატაკზე დიდი წრე უჩვენა, შავი ფილაქნებით რომ იყო შემოფარგლული, უწარწერო და უსამკაულო:

— აი, — თქვა მან დარბაისლურად, — გარეწრე ამბუაზის განთქმული ზარისა. იგი ორმოც ათას გირვანქას იწონიდა, მისი მსგავსი მთელ ევროპაში არ იყო. მისი ჩამომსხმელი ოსტატი სიხარულმა მოკლა.

— წავიდეთ. — თქვა ლეონმა.

გამყოლი მიაბიჯებდა; ახლა კვლავ უკან მოიყვანა, ღვთისმშობლის ნიშთან, სადაც ხელები ფართოდ გაშალა და, სოფლელი მესაკუთრის სიამაყით, როცა იგი ხეხილის ბაღს უჩვენებს ვისმე, წარმოთქვა:

— ამ უბრალო ქვის ქვეშ განისვენებს პიერ დე ბრეზე, მფლობელი ვარენისა და ბრისაკისა, პუატიეს დიდი მარშალი და გუბერნატორი ნორმანდიისა; მოკლულ იქნა მონლერის ბრძოლაში ათას ოთხას სამოცდახუთი წლის ივლისის თექვსმეტს.

ლეონი ტუჩებს იკვნეტდა და ფეხიდან ფეხს ინაცვლებდა.

— ეს რაინდი კი, ცხენოსანი, ჯავშნით შეჭურვილი, მისი შვილიშვილია, ლუი დე ბრეზე, ბრევალისა და მონშოვეს ბატონი გრაფი მალევრისა ბარონი მონისა, კამერჰერი მეფისა, კავალერი ორდენისა და, მსგავსად თავისი პაპისა, გუბერნატორი ნორმანდიისა; გარდაიცვალა კვირას, 1531 წლის ივლისის 23-ს; ძირს კი, კაცი, რომელიც შვილია, ლუი დე ბრეზე, ბრევალისა და მონშოვეს ბატონი, გრაფი, განსახიერება ამქვეყნიური ამაოებისა, მგონი, არსად არ ნახულა, — ხომ, ბატონებო?

მადამ ბოვარიმ ლორნეტი მიიტანა თვალთან. ლეონი უძრავად იდგა, თვალს არ აშორებდა და უკვე აღარ ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას არც სიტყვით და აღარც მოძრაობით; ყოველი სიმამაცე ეკარგებოდა ლაყბობისა და გულგრილობის ამ ორმაგი კავშირის წინაშე.

დაუღალავი გამყოლი კი არ ცხრებოდა:

— მის გვერდით, დაჩოქილი და მტირალი ქალი მისი მეუღლეა, დიანა და პუატიე, გრაფინია დე ბრეზე, ჰერცოგინია დე ვალენტინუა, დაიბადა 1499 წ.; გარდაიცვალა 1566 წ., ხოლო მარცხნით, ბავშვახუტებული, ღვთისმშობელია. ახლა აქეთ მობრუნდით:

ი ამბუაზების აკლდამა, ორივე კარდინალი და რუანის არქიეპისკოპოსი იყო. ეს მეფე ლუი XII მინისტრი იყო; ბევრი რამ ღვაწლი მიუძღვის ამ ტაძრისათვის. ანდერძით ოცდაათი ათასი ეკუი ღარიბებს დაუტოვა.

მცველი უცნაურად ფუსფუსებდა, განუწყვეტლად ლაპარაკობდა; ახლა ესენი ჯიკავით ერთ ნიშში შეიყვანა, რომელიც სავსე იყო ბალუსტრადებით; ზოგი მათგანი მისწი-მოსწია და რაღაც ლოდი გამოაჩინა, რომელიც, შეიძლება, ცუდადნაკეთები ქანდაკიც იყო.

— ეს ოდესმე ინგლისის მეფისა და ნორმანდიის მთავრის რიჩარდ ლომგულის საფლავს ამშვენებდა, მაგრამ კალვინისტებმა, პატონებო, ეი ასეთ მდგომარეობაში დაანარჩუნეს. ბოროტი განზრახვით მიწაში ჩაფლეს საეპისკოპოსო ადგილს. ახლა ნახეთ ეს კარი, რომლითაც არქიეპისკოპოსი თავის სადგომში შედიოდა ხოლმე; შემდეგ კი გიორგი ძლევამოსილის მხატვრობიანი ფანჯრები ვნახოთ.

მაგრამ ამ დროს ლეონმა საჩქაროდ ამოიღო ჯიბიდან ვერცხლის წვრილი ფული და ემას მკლავში ხელი დასტაცა. მცველი გაშტერებული დარჩა ამ უდროო გულუხვობით, რადგან სანახავი ჯერ კიდევ ბევრი იყო; ამიტომ უკან მისძახოდა:

— ბატონო, მოითმინეთ! გუმბათი, გუმბათი...

— არა, გმადლობთ. — მიუგო ლეონმა.

—-ცდებით, ბატონო! სიმაღლე — ოთხას ორმოცი ფუტი, ეგვიპტის უმაღლეს პირამიდაზე სულ რაღაც ცხრა ფუტითაა დაბალი. მთლად თუჯისაგანაა ჩამოსხმული...

მაგრამ ლეონი გარბოდა; მას ეგონა, რომ სიყვარული, რომელიც ამ ორი საათის განმავლობაში ასე გაიყინა, როგორც ეკლესიის ქვები, ახლა ბოლივით დაიცარება იმ საკომურივით აღმართულ გუმბათში, რომელიც გროტესკულად ადგია თავს ტაძარს, ვით მეოცნებე ვინმე მექვაბის განზრახვის განხორციელებაო.

— სად მივდივართ? — ჰკითხა ემამ.

ლეონი არ პასუხობდა და გასასვლელისაკენ იჩქაროდა; მადამ ბოვარიმ ის იყო თითები ჩააწო სასხურებლის ნაკურთხ წყალში, რომ უეცრად უკანიდან მძიმე ქშენა და თუღის რიტმული კაკუნი მოესმა. ლეონი მიტრიალდა.

— ბატონო!

— რაო?

მის წინ მცველი იდგა, რომელსაც იღლიაში გამოეჩარა, ხოლო ქვემოდან კი წონასწორობისათვის მუცლით იჭერდა, ოციოდე ტომი შეუკინძავი წიგნები ტაძრის აღწერილობის შესახებ.

— რეგვენი! — წაიბურტყუნა ლეონმა და ეკლესიიდან გავარდა. იქვე პატარა ბიჭი თამაშობდა.

— გაიქე, ეტლი მომიყვანე!

ბიჭი ისარივით გაფრინდა ოთხი ქარის ქუჩაში; რამდენიმე წუთს პირისპირ იდგნენ მარტონი და ოდნავ დარცხვენილნი.

— აჰ, ლეონ! არ ვიცი როგორ მოვიქცე!..

პრანჭიაობდა. მერმე სერიოზულად წარმოთქვა:

— ეს ძალიან უხერხულია, იცით?

— რათა? — მიუგო კლერკმა, — პარიზში ასე იციან!

ამ სიტყვებმა, ვით შეურყეველმა საბუთმა, გადააწყვეტინა.

ხოლო მეეტლე არსად ჩანდა. ლეონი შიშობდა, ემა კვლავ ტაძარში არ შევიდესო; ბოლოს, ეტლიც მოვიდა.

— ჩრდილოეთის პორტალით მაინც გადით, — მიაძახა მათ ზღურბლზე მდგომმა მცველმა, — იქ დაინახავთ „აღდგომას“, „საშინელ სამსჯავროს“, „სამოთხეს“, „დავით მეფეს“ და „ცოდვილებს მარადიულ გეენიაში“.

— საით ინებებთ წასვლას? — იკითხა მეეტლემ.

— საითაც გინდათ! — მიუგო ლეონმა და ემას ეტლში ჩაჯდომა უშველა. ფარდები დაეშვა და გზას გაუდგა.

ეტლი დიდი ხიდის ქუჩით წავიდა, გადაჭრა ხელოვნებათა მოედანი, გაიარა ნაპოლეონის სანაპირო, ახალი ხიდი და ერთბაშად პიერ კორნეის ძეგლთან შედგა.

— იარეთ! — შიგნიდან გამოსძახა ლეონმა.

ეტლი კვლავ დაიძრა და, ლაფაიეტის ქუჩაბანდიდან დაღმართს დაშვებული, ჭენებით მიადგა რკინიგზის სადგურს.

— არა, პირდაპირ წადით! — კვლავ გაისმა გაჯავრებული ხმა.

რიკულის გალავნიდან ეტლი კვლავ ბულვარზე გავიდა და ჩაქჩაქით მაღალ თელებქვეშ გასწია. მეეტლემ ოფლიანი შუბლი შეიმშრალა, თვისი ტყავის ქუდი მუხლებში ჩაიდო და ეტლი გარდიგარდმო ხეივნებში მიუშვა, გაზონებს შორის რომ მდინარისკენ მიემართებოდა.

ეტლი ახლა მდინარის ნაპირთან მიდიოდა, რიყის ქვით მოფე-

ნილ გზაზე, უძველის მიმართულებით; დიდხანს იარა, კუნძულებსაც გასცდა, მაგრამ მერე უეცრად გაუხვია და სწრაფად გაქანა; გაიარა კატრმარი, სოტევილი, დიდი შოსე, ელბეფის ქუჩა და მესამეჯერ შესასვენებლად ბოტანიკური ბაღი აირჩია.

— იარეთ-მეთქი! — უფრო მრისხანედ გამოსძახა ხმამ.

ეტლმა ახლა განვლო სენ-სეევრი, კიურანდიეს სანაპირო, მელის სანაპირო, ერთხელ კიდევ ხიდი, მარსის ველის მოედანი, ჰოსპიტლის ბაღების ბოლო, სადაც შავადჩაცმული მოხუცები მზისგულზე დასეირნობდნენ, მთლად სუროთი შებორბლილი ტერასის გასწვრივ, შეჰყვა ბუვრეილის ბულვარს, გაიარა კოშუაზის ბულვარიც და მონრიბუდე, თვით დევილის მაღლობებამდე.

შემდეგ უკან დაბრუნდა; ახლა უკვე უგეგმოდ დაეხეტებოდა, უთავბოლოდ და შემთხვევის მიხედვით. სენ-პოლოში, ლესკურში, გარგანის გორაკზე, რეჟ-მარკში და გაილარბუას მოედანზე, მალადრერის, დინანდერის ქუჩებში, სენ-რომენის, სენ-ვივიანის, სენ-მაკლუს, სენ-ნიკეზის ეკლესიებთან, საბაჟოსთან, ვიეიტურთან. ტრუა-პიპთან და მონუმენტურ სასაფლაოსთან. დროდადრო მეეტლე თავის კოფოდან უიმედოდ გადაჰხედავდა ხოლმე სამიკიტნოებს. ვერაფერი გაეგო, რა სიგიჟე აიძულებდა მის მუშტრებს ასე შეუსვენებლად სიარულს. შეანელებდა ოდნავ სვლას თუ არა, იმწამსვე გაჯავრებული შეძახილი ესმოდა, მაშინ შეუბრალებლად სცემდა შოლტს თავის გაქაფულ ჯაგლაგებს და მიქროდა. აღარ არჩევდა ოღროჩოღროებს, ხან რას წაედებოდა, ხან რას; უგუნებოს კინაღამ ტირილი ერეოდა დაღლილობის, წყურვილისა და გაბეზრების გამო.

ნავსადგურში, ურმებსა და კასრებს შორის, ქუჩებსა და გზაჯვარედინებზე ხალხი თვალდაჭყეტილი უცქეროდა პროვინციაში უცხო შესახედაობის ეტლს ჩამოშვებული ფარდებით, კუბოსავით მაგრად ჩაკეტილს, ხან აქ, ,ხან იქ რომ გამოჩნდებოდა და ოღროჩოღროებში ისე ირხეოდა, ვით ზღვაში ხომალდი.

მხოლოდ ერთხელ, ქალაქს გარეთ, როცა მზე ძალზე აცხუნებდა ძველს, მოკერცხლილ ფარნებს, ყვითელ ტილოს ფარდებში ვიღაცამ შიშველი ხელი გამოყო და ქაღალდის ნახევები გადმოყარა, რომლებიც ქარისგან ანიავებულნი, ასე დაეფრქვნენ წითლად აყვავებულ იონჯას, თითქოს თეთრ პეპელათა გუნდიაო.

შემდეგ, ასე საღამოს ექვს საათზე, ეტლი ჩოუვაზინის უბნის ერთ-ერთ შუკაში გაჩერდა; ეტლიდან ქალი ჩამოხდა და ვუალიუხდელი, უკანმოუხედავად გაუდგა გზას.

II

სასტუმროში რომ მივიდა, მადამ ბოვარი გაკვირვებული დარჩა: დილიჟანსი აღარ იყო. ივერს თითქმის ერთ საათს ეცადნა და წასულიყო.

თუმცა, არაფერი საჩქარო შინ არა ჰქონდა, მაგრამ სიტყვა მისცა, დღესვე დავბრუნდებიო,. შარლი ელოდებოდა; ემა უკვე განიცდიდა მხდალი მორჩილების იმ გრძნობას, რაც ბევრი ქალისთვის ერთსა და იმავე დროს დასჯაც არის და საზღაურიც მეუღლური ღალატის გამო.

სასწრაფოდ ჩაალაგა ჩემოდანი, სასტუმროს ხარჯი გადაიხადა, დაიქირავა იქვე მდგომი ერთ-ერთი კაბრიოლეტი და დილიჟანსს დაადევნა, მეეტლეს აჩქარებდა და აქეზებდა, წამდაუწუმ კითხულობდა რომელი საათიაო, ან რამდენ მანძილს გაივლიდაო; ბოლოს, როგორც იქნა, „მერცხალს“ ბენჯამპუას პირველ შენობებთან დაეწია.

დაჯდა თუ არა თავის ადგილს, მაშინვე თვალები დახუჭა და მხოლოდ გორაკის ძირას გაახილა, საიდანაც თვალი მოჰკრა ფელიციტეს, რომელიც სამჭედლოებთან ელოდებოდა. ივერმა ცხენები შეანელა, მზარეული დილიჟანსის ფანჯარასთან მიდგა და ქალბატონს იდუმალი ხმით წასჩურჩულა.

— ქალბატონო, ახლავე უნდა მიხვიდეთ ჰომესას. რაღაც სასწრაფო საქმეა.

დაბაში მყუდროება იყო, როგორც ყოველთვის, ქუჩის კუთხეში ვარდისფერი გროვები მოჩანდა, ჰაერში რომ ბოლავდა; რადგან მურაბის ხარშვის დრო იყო, ყველა იონვილელი ერთსა და იმავე დღეს იმზადებდა მურაბის მარაგს. ხოლო აფთიაქის წინ ყველაზე უფრო დიდი ცეცხლი ენთო. იმდენად დიდი, რამდენადაც სამრეწველო დაწესებულებაა უბრალო ოჯახზე დიდი, და საზოგადოებრივი მოთხოვნილება კი — პირად მოთხოვნილებაზე უფრო ფართო.

ემა შევიდა, დიდი სავარძელი გადაბრუნებული იყო, და თვით „რუანის კანდელიც“ კი ძირს ეგდო, იატაკზე. ემამ ტალანის

ჯარი შეაღო და შუაგულ სამზარეულოში, ყვითელ ქილებს შორის, გარჩეული მაყვლით რომ იყო სავსე, ფხვნილსა და ნატეხ შაქარს, მაგიდაზე სასწორებსა და იატაკზე ტაშტებს შორის დაინახა ყველა ჰომე, დიდი თუ პატარა, რომლებსაც ყელამდე წინსაფარი ეკეთათ, ხელში ჩანგალი ეკავათ. ეუსტენი თავჩაღუნული იდგა, ხოლო მეაფთიაქე ყვიროდა:

— ვინ გითხრა საკუჭნაოში წადიო?

— რა მოხდა? რა ამბავია?

— რა ამბავია? — გაეპასუხა მეაფთიაქე, — მურაბა იხარშება: დულს და სადაცაა დაიღვრება მეტი ცხუნვარების გამო; ვეუბნები, მეორე ტაშტი მოიტანე-მეთქი. ეს ვაებატონი კი ზარმაცი და დაუდევარია, მიდის ლაბორატორიაში და იქიდან საწყობის გასაღები მოაქვს, ლურსმანზე რომ ჰკიდია.

„საწყობს“ მეაფთიაქე ჭურჭლითა და აფთიაქის საქონლით გამოტენილ სხვენის საკუჭნაოს ეძახდა. მრავალ საათს ატარებდა ჩოლმე იქ მარტოდმარტო, წერდა ეტიკეტებს, ასხამდა სითხეებს, თავს უცობდა ბოთლსა და ქილებს; იმას ისე კი არ უყურებდა, როგორც საკუჭნაოს. არამედ როგორც წმიდათა წმიდას, საიდანაც მისი საკუთარი ხელით ნაკეთები გამოდიოდა: აბები, მსხვილი თუ წვრილი, სხვადასხვა ნაზავი, ათასგვარი სარგო წამალი, რომლებსაც მთელ იმ მხარეში გაჰქონდა მისი სახელი. ვერავითარი სულიერი ვერ გადააბიჯებდა მის ზღურბლს, ისეთი მოწიწებით ეპყრობოდა, რომ თვითონვე ჰგვიდა. ერთი სიტყვით, უკეთუ აფთიაქი, ყველასათვის ხელმისაწვდომი, მისი სიამაყის გამოსაჩენი ადგილი იყო, საკუჭნაო, პირიქით, განმარტოების სავანეს წარმოადგენდა, სადაც იგი საყვარელი საქმით ეგოისტურ სიამეს განიცდიდა. აპიტომაც ეუსტენის ქარაფშუტობა საშინელ სიბრიყვედ ეჩვენა; ჯოლოზე უფრო წამოჭარხლებული განაგრძობდა:

— წარმოგიდგენიათ, აფთიაქის საწყობის გასაღები! გასაღები იმ ადგილისა, სადაც ათასგვარი სიმჟავე, მტუტეა ჩაკეტილი! იქ წახვიდე მეორე ტაშტის მოსატანად! ხელიანი ტაშტისა, რომელსაც შესაძლოა მე არასოდეს არც კი ვხმარობ! ყველაფერს თავისი მნიშვნელობა აქვს ჩვენს მეტისმეტად პასუხსაგებ ხელოვნებაში. მაგრამ, ეს ოხრის ტიალი, უნდა გესმოდეს თუ არა, რომ საშინაო საჭიროებისთვის არ იხმარო ის, რაც ფარმაცევტიკისთვისაა დანიშნუ-

ლი! ეს იმას ემგვანებოდა, რომ ვთქვათ, შემწვარ ქათამს სკალპელით დაუწყო აქნა, ან მოსამართლემ...

— კარგი, დამშვიდდი!

ეუბნებოდა ქალბატონი ჰომე. ატალა კი სერთუკზე ებღაუჭებოდა და ყვიროდა:

— მამილო! მამილო!

—არა, თავი დამანებეთ, თუ შეიძლებოდეს, — განაგრძობდა მეაფთიაქე, — დამეთხოვეთ! თუ ასეა, მაშინ ჯანდაბას, უმჯობესია შედუქნე გავხდე. ინებე და წიხლი ჰკარი ყველაფერს! დაამსხვრიე! დალეწე! გამოუშვი წურბელები! ხრაკე ვარდის ზეთი! სააფთიაქე ქილებში მწნილი ჩადე, სახვევები დაფხრიწე!

— თქვენ, მგონი, გინდოდათ... — უთხრა ემამ.

— ამ წუთში! მერე, იცი კი, რა შეგეძლო ჩაგედინა?.. ნახე თუ არა, რა დგას იქ, მესამე თაროზე, მარცხენა კუთხეში? თქვი, მიპასუხე, ერთი სიტყვა მაინც ამოიღე!

— არ... ვიცი. — წაიბუტბუტა ახალგაზრდა შეგირდმა.

— ჰო, შენ არ იცი? აბა, აი მე ვიცი! დაინახე თუ არა იქ ლურჯი შუშა, თეთრფხვნილიანი, ყვითელი ლუქით დაბეჭდილი, რასაც საკუთარი ხელით დავაწერე: „საწამლავი". იცი რა არის იმ შუშაში? იმაში დარიშხანია. შენ კი მას ხელს ახლებ! იღებ ტაშტს, რომელიც მის გვერდით დევს.

— გვერდით? — შეჰკივლა ქ-მა ჰომემ და ხელები აღმართა, — დარიშხანი? ხომ ყველას მოგვწამლავდი!

ბავშვებმა ყვირილი ატეხეს, თითქოს თავიანთ სტომაქში უკვე საშინელი ტკივილი იგრძნესო.

— ან შეგეძლო ავადმყოფი მოგეწამლა! — განაგრძობდა მეაფთიაქე, — გინდოდა, რომ საბრალმდებლო სკამზე დავმჯდარიყავი, რომ სისხლის სამართალში მივცემულიყავი? გინდოდა გენახა, როგორ ამიყვანდნენ ეშაფოტზე? ნუთუ არ გესმის, რამდენად ფრთხილი ვარ წამლების მომზადების საქმეში, მიუხედავად ჩემი განსაცვიფრებელი გამოცდილებისა? ხშირად შიში თვით შემიპყრობს ხოლმე, როცა ჩემს პასუხისმგებლობაზე დავფიქრდები! ვინაიდან მთავრობა გვსჯის, ხოლო უაზრო კანონმდებლობა, რასაც ვიქვემდებარებით, დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ჩვენ თავს ზემოთ!

ემა უკვე აღარ ცდილობდა, ეკითხა რისთვის დაგჭირდითო. აქოშინებული მეაფთიაქე კი აღარ ცხრებოდა:

— აი როგორი მადლობელი ხარ ჩემი სიკეთის! აი როგორ მიზღავ მამობრივ მზრუნველობას! უჩემოდ სად წახვიდოდი? რა უნდა გექნა? ვინ გაწვდის საზრდოს, ტანსაცმელს, განათლებას და სხვა სახსარს, რათა მომავალში შენი შესაფერისი ადგილი პატივით გეპყრას საზოგადოებაში? მაგრამ საამისოდ წელში უნდა გაწყდე და, როგორც იტყვიან ბებერებით დაიმშვენო ხელები, Fabricando fit faber, ace quod acis*.

ისე აღშფოთებული იყო, რომ ლათინური ანდაზები აგონდებოდა. მგონი ჩინურად, გრენლანდიურადაც დაიწყებდა ლაპარაკს, რომ სცოდნოდა; ერთ-ერთი ისეთი კრიზისი ჰქონდა, როცა ადამიანი ენებურად ააშკარავებს თვისი სულის შინაარსს, ვით ოკეანე ღელვის დროს, როცა ნაპირს გამოაქვს ლელიცა და თავისი წიაღის ქვიშნარიც.

და განაგრძობდა:

— ძალიან ვნანობ, რომ თავს მოვიხვიე შენთვის მზრუნველობა. უმჯობესი იყო შენი ხვედრისთვის მიმენდე, რათა იმ სიღარიბესა და ჭუჭყში დარჩენილიყავ, რომელშიც დაიბადე. შენგან მხოლოდ მწყემსი თუ გამოვა. მეცნიერების არავითარი ნიჭი შენ არ გაგაჩნია. ეტიკეტს ძლივძლივობით მიაკრავ შუშას! ჩემს ოჯახში კი ისე ცხოვრობ, როგორც წმიდა ბერი, თავს ისე გრძნობ, როგორც თაგვი ბეღელში.

ემამ ახლა ქ-ნ ჰომეს მიმართა:

— ჩემთან გამოგეგზავნათ, მოდიო...

— აჰ, ღმერთო ჩემო! — ნაღვლიანი ხმით წამოიძახა კეთილმა ქალმა, — როგორ უნდა გითხრათ? რა სამწუხაროა!

სიტყვა აღარ დაასრულა. მეაფთიაქე გრგვინავდა:

— გაცალე! გაასუფთავე! თავის ადგილს მიიტანე! გაინძერი.

ჟუსტენს საკინძეში ეცა და შეანჭღრია; ბავშვს ჯიბიდან წიგნი ამოუვარდა.

მაშინვე დაიხარა, მაგრამ ჰომე უფრო მარდი აღმოჩნდა: წიგნი აიტაცა, გადაფურცლა, თვალდაჭყეტილი და პირდაღებული დააკვირდა.

---

* ჰედე, მჭედელი გამოხვალ, რასაც ხელი მოჰკიდო, აკეთე. (მთარგმნ.).

„ცოლქმრული... სიყვარული", — ნელა ამოიკითხა მარცვალ-მარცვალ.

— საუცხოოა! მშვენიერია! ძალიან კარგია! დასურათებულიცაა!.. აჰ, ეს მეტისმეტია!

ქ-მა ჰომემ წინ წამოიწია: — არა, ხელს ნუ ახლებ!

ბავშვებს ვითომ სურათების ნახვა უნდოდათ.

— გადით აქედან!

ბრძანების კილოთი დაიძახა. ბავშვები გავიდნენ.

მეაფთიაქემ აქეთ-იქით იწყო სიარული, განივრად დააბიჯებდა, ხელში გადაშლილი წიგნი ეჭირა, თვალებს აბრიალებდა. ქშინავდა. ჰთლად გაბერილი იყო, აპოპლექსიური. მერმე შეგირდთან მივიდა და ხელდაჭდობილი შედგა მის წინ.

— ყოველი სენი გჭირვებია, შე საბრალო! ფრთხილად, უფსკრულის პირას დგები!.. მაშასადამე, არც კი გიფიქრია იმაზე, რომ, შეიძლება, ეს საძაგელი წიგნი ჩემს ბავშვებს ჩაუვარდეთ ხელში. ნაპერწკალი ჩააგდოს მათ ტვინში, შეაშფოთოს ატალას უმანკოება, გარყვნას ნაპოლეონი! იგი ახლა უკვე ვაჟკაცია! დარწმუნებული თუ ხარ მაინც, რომ მათ ეს წიგნი არ წაუკითხავთ? შეგიძლია თუ არა დამარწმუნო?

— ბაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ბატონო ჰომე, — უთხრა ემამ, — თქვენ რაღაც სათქმელი გქონდათ ჩემთვის?

— სრული სიმართლეა, ქალბატონო... თქვენი მამამთილი გარდაცვლილა.

მართლაც, შარლის მამას ორი დღის წინათ დამბლა დასცემოდა და გარდაცვლილიყო; ემას მეტისმეტი მგრძნობიერების გამო, შარლს მეაფთიაქესთვის ეთხოვნა, რაც შეიძლება ფრთხილად აცნობეთ ეს საშინელი ამბავიო.

მეაფთიაქემ წინასწარ მოისაზრა სათქმელი, დააზუსტა, შნო და რიტმი მისცა; ეს იყო სრულყოფილი თქმა სიფრთხილისა და თანდათანობის, სიმსუბუქისა და სინაზის გამოხატულების მხრით, მაგრამ წყრომის ქარტეხილმა მთელი მეევრმეტყველება გააცამტვერა.

ემამ შემდეგ დაწვრილებით ცნობებს აღარ დაუცადა და აფთიაქიდან წავიდა; ჰომემ კვლავ განაგრძო ჭკუის სწავლების ლექცია. თუმცა, ახლა იგი ოდნავ დაწყნარებული იყო, თავისი ფესით სახეს იგრილებდა და მამობრივი კილოთი დუდუნებდა;

— მე სავსებით როდი ვწუნობ ამ თხზულებას. მისი ავტორი

ექიმია. მასში არის მეცნიერული ნაწილი, რომლის ცოდნაც ურიგო არ იქნება მამაკაცისთვის, და მე გავბედავდი და ვიტყოდი, არათუ ურიგო, არამედ საჭიროცაა მისი ცოდნა. მაგრამ შენთვის იგი ჯერ ადრეა, ადრეა! მანამდე მაინც მოიცადე, სანამ დავაკაცდებოდე, სანამ ხასიათი განგიმტკიცდებოდეს.

კარზე რომ კაკუნი გაიგონა, ემას მომლოდინე შარლმა იმწამსვე გაუღო, ხელგაშლილი შეეგება და ცრემლით ათრთოლებული ხმით უთხრა:

— აჰ, ჩემო ძვირფასო მეგობარო...

და ნაზად გადაიხარა, რათა ეკოცნა, ხოლო როცა მისი ტუჩი სახეს შეახო, ემას სხვა ვინმე მოაგონდა, შეკრთა, სახეზე ხელი გადაისვა.

და მერე მიუგო:

— დიახ, ვიცი... ვიცი!

შარლმა წერილი გაუწოდა, სადაც დედა ფარისევლური სენტიმენტალობის გარეშე მოუთხრობდა სიკვდილის ამბავს. ემას მხოლოდ ის აწუხებდა, რომ მეუღლე უზიარებელი მოკვდა დუდევილში. ქუჩაში, როცა რესტორნიდან გამოდიოდა, გადაჰდგარი ოფიცრების პატრიოტული სადღეგრძელოს შემდეგ.

ემამ წერილი ქმარს დაუბრუნა, ხოლო სადილზე ზრდილობის გამო, საჭმლისადმი ოდნავი უმადობა გამოიჩინა. მაგრამ რაკი შარლი ეპატიჟებოდა, ხათრი აღარ გაუტეხა და გვარიანად მიირთვა, თვით შარლი კი პირდაპირ უჯდა უმოძრაო და დაძაბულები.

დროდადრო თავს ასწევდა ხოლმე და მწუხრულ თვალს მეაშტერებდა. ერთხელ კიდევ ამოიოხრა და თქვა:

— როგორ მენატრება, ერთხელ კიდევ ვნახო!

ემა დუმდა, თუმცა გრძნობდა, რომ რაიმე უნდა ეთქვა, ამიტომ ჰკითხა:

— რა ხნისა იყო მამაშენი?

— ორმოცდათვრამეტისა!

ბაასი გაწყდა.

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ შარლმა დაუმატა:

— საბრალო დედა!... რაღა უნდა ქნას ახლა?

ემამ ხელი ისე გადაშალა, რაც ნიშანი იყო, არ ვიცი.

ცოლის დაკნინებული სიჩუმე შარლმა მისი ღრმა მწუხარებით ახსნა და ამიტომ თავს ძალას ატანდა თვითონაც მდუმარე ყოფი-

ლიყო, რათა ეს გულისამაჩუყებელი მწუხარება აღარ შეეშფოთებინა. მიუხედავად ამისა, საკუთარი წუხილის გასაქარვებლად მაინც ჰკითხა:

— ჰო, შენ კი როგორი დროება გაატარე გუშინ?

— ისე.

სუფრა აალაგეს, მაგრამ ბოვარი მაინც იჯდა; არც ემა დაძრულა თავის ადგილიდან, და რამდენადაც მეტს აკვირდებოდა მის სახეს, ერთგვარობის-ასეთი სანახაობა ყოველგვარ სიბრალულს უკლავდა გულში. ქმარი სავსებით უმწეო, სუსტი, არარაობა ეჩვენებოდა. ყოველი მხრით საბრალო და საცოდავი. როგორ მოვიშორო თავიდან? ან ეს საღამო რა დაუსრულებლად გაჭიანურდა! რაღაც გამაბრუებელმა ძალამ, თითქოს თრიაქის ორთქლიაო, სრულიად გააოგნა.

წინკარში იატაკზე ჯოხის ბაკუნი გაისმა. ეს იპოლიტე იყო, ქალბატონის ბარგი რომ მოიტანა. რათა ბარგი მხრიდან ჩამოეღო, თავისი ხის ფეხით ნახევარწრე მოხაზა.

„საკუთარი ფეხი კიდევაც დაავიწყდა!“

გაიფიქრა ემამ იპოლიტეს დანახვაზე, რომელსაც მწითური თმიდან ოფლი ღვარივით სდიოდა.

ბოვარი ქისაში ხურდას ეძებდა; და, ალბათ, სრულიად ვერ გრძნობდა რა დამცირებას წარმოადგენდა მისთვის ამ კაცის დანახვა, რომელიც ცოცხალი საყვედური იყო მისი გამოუსწორებელი უნიჭობისა.

— რა მშვენიერი თაიგული მოგიტანია?

უეცრად წამოიძახა შარლმა, როცა ბუხარზე ლეონის იები შენიშნა.

— ჰო, — გულგრილად მიუგო ემამ, — წეღან ვიყიდე... მათხოვრისაგან.

შარლმა თაიგული აიღო, ცრემლით დაწითლებული თვალები გაიხალისა და ნაზად დაუწყო ყნოსვა. ემამ მყისვე ჩამოართვა და კვლავ წყლიან ლარნაკში მოათავსა.

მეორე დღეს მოხუცი ქალბატონი ბოვარი ესტუმრა. დედა და შვილი დიდ ხანს ტიროდნენ. ემამ ოჯახის საქმეები მოიმიზეზა და გაილალა.

ერთი დღის შემდეგ სამგლოვიარო ტანისამოსზე უნდა ეფიქრათ; ორივე ქალი სამუშაო კოლოფს მიუჯდა მდინარის პირად, ფანჩატურში.

შარლი კი მამას იგონებდა და უკვირდა, რომ ამდენი სინაზე აღმოაჩნდა გულში იმ კაცისადმი, რომელიც თითქმის არც კი ჰყვარებია. დედა ბოვარიც ფიქრით უწინდელ ცოლქმრულ გარემოში ტრიალებდა. მათი წარსულის ცუდი დღეებიც კი ახლა სანატრელი ეჩვენებოდა. ყოველივეს რაღაც გაუგებარი სიბრალული ფარავდა, რაც, ალბათ, დიდი ხნის შეჩვევის ნაყოფი იყო; და დროდადრო ნემსს რომ აგებდა, თვალზე მსხვილი ცრემლი გადმოუგორდებოდა, ცხვირის წვეროზე დაეკიდებოდა და ციმციმებდა. ხოლო ემა იმაზე ფიქრობდა, რომ ჯერ ორმოცდარვა საათსაც არ გაევლო მას შემდეგ, როცა იგი და ლეონი ერთად იყვნენ მარტონი და ენებით ღამთვრალნი, და ერთმანეთის სიყვარულით ვერ გამძღარიყვნენ. ცდილობდა, გონების ძალით გაეცოცხლებინა სახსოვარი დღის თვით უმნიშვნელო წვრილმანებიც კი. დედამთილისა და ქმრის იქ ყოფნა აბრკოლებდა. სურდა, არა გაეგონა რა, არა დაენახა რა. არაფერს დაერღვია სასიყვარულო განმარტოება, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ყოველნაირად იცავდა, გარე სამყაროს შეხების გამო მაინც ქრებოდა.

ემა ტანისამოსის სარჩულს არღვევდა და ნაჭრები გარშემო იფანტებოდა; დედაბერს თავი ჩაეღუნა და მაკრატელს აღიჭინებდა. შარლიც, რომელსაც რბილი ფოსტლები და ხალათის მაგიერ ძველი, მისაკისფერი პიჯაკი ეცვა, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი იქვე მიმოდიოდა და დუმდა. მათ ახლოს თეთრწინსაფრიანი პატარა ბერტა პატარა ნიჩბით ქვიშას აგროვებდა.

უეცრად ჭიშკარში მეწვრილმანე ლერე გამოჩნდა.

მოვიდა, რათა სამძიმარი გამოუცხადოს და დახმარება შესთავაზოს „სამწუხარო შემთხვევის გამო“. ემამ მიუგო საყიდელი არაფერი დამჭირდებაო, მაგრამ ვაჭარი არ ეშვებოდა.

— უკაცრავად ვარ, — თქვა მან, — მარტო შინდოდა თქვენთან ლაპარაკი. — და ჩურჩულით დაურთო:

— იმ საქმეზე... იცით?

შარლი ყურებამდე გაწითლდა.

— აჰ, დიახ... მართალია!

და დარცხვენილი ცოლს მიუბრუნდა:

— არ შეგიძლია... ჩემო კარგო, რომ?..

ემა, ალბათ, მიხვდა, რადგან მაშინვე ადგა, დედას კი შარლმა ასე უთხრა:

— არაფერია! საოჯახო რამ წვრილმანია.

. არ უნდოდა, რომ დედას ვექსილისა გაეგო რამე რადგან ეშინოდა, მისაყვედურებსო.

როცა მარტონი დარჩნენ, ლერემ საკმაოდ გარკვეულად მიულოცა ემას მემკვიდრეობის მიღება, მერმე ლაპარაკი იქითებურსა და აქეთებურზე გადაიტანა, მოჰყვა ლაყბობას ხეხილის ბაღზე, მოსავალსა და საკუთარ ჯანმრთელობაზე, რომელიც ძველებურად სახარბიელო ვერ იყო. ისიც უნდა ითქვას, რომ წელებზე ფეხს იდგამს, იქანცება, მაგრამ, მიუხედავად მითქმა-მოთქმისა, თავს ძლივს ირჩენს.

ემას სიტყვა არ გაუწყვეტინებია. ეს ორი დღეა მეტად მოწყენილია!

— თქვენ კი სავსებით გამოკეთდით? — განაგრძობდა ვაჭარი, — ეჰ, ვიცი, მინახავს, როგორ უჭირდა თქვენს ქმარს ზოგჯერ. მშვენიერი ადამიანია, თუმცა ერთგვარი გაუგებრობაც მოხდა ჩვენს შორის.

ემამ იკითხა, როგორი, რადგან შარლს მისთვის არ გაუმხელია დავა ლერეს მოტანილი საქონლის გამო.

— თქვენ ხომ ყველაფერი გეცოდინებათ, — უთხრა ლერემ, — ეს თქვენი ოდნავი ჭირვეულობის გამო იყო, ამ ჩემოდნების მიზეზით.

ამ სიტყვებზე ქუდი ჩამოიფხატა, ხელები ზურგზე მოიდო, ეშმაკური ღიმილით უსტვენდა და თვალს არ აშორებდა. პირდაპირ აუტანელი იყო. ხომ არაფერი შეუტყვიაო, გულის ფანცქალით ფიქრობდა შეშინებული ემა. ბოლოს, ვაჭარმა თქვა:

— მერე, როგორც იყო, მოვრიგდით; დღეს კი სწორედ ერთ საქმეზე მინდოდა მოვლაპარაკებოდი. მინდოდა, ბოვარის მიერ გაცემული ვექსილი განმეახლებინა. თუმცა, როგორც ეჭიმს ნებავდეს, ისე მოიქცეს, ამაზე შეწუხება, განსაკუთრებით ახლა, როცა ისედაც თავსატეხი ბევრი რამე აქვს, არა ღირს. და უმჯობესი იქნებოდა ყველა ამ საზრუნავს რომ ვისმე მიანდობდეს, მაგალითად, თქვენ; თქვენ მინდობილობას მოგცემდათ, თვითონ დამშვიდებული იქნებოდა, ჩვენ კი თქვენთან ერთად საქმეებს მოვაკვარახჭინებდით...

ემას ვერა გაეგო რა. ვაჭარი დუმდა. მერმე ლაპარაკი სავაჭროზე გადაიტანა და უთხრა, რამე უნდა გამისაღოთო. აი შინ მი-

ვალ და სამგლოვიაროდ თორმეტიოდე მეტრს შავ ბარეჟს გამოვ-
გზავნი საკაბედო.

— ზედ რაც გაცვიათ, საშინაოდ კარგია, მაგრამ საგარეოდ
ხომ სხვაა საჭირო? როგორც შემოვედი, მაშინვე შევამჩნიე ესა.
ნამდვილი ამერიკელის თვალი მაქვს, აი!

ქსოვილი როდი გამოუგზავნია, თვითონ მოიტანა. მერე ერთ-
ხელ კიდევ მოვიდა ზომის ასაღებად. შემდეგაც მრავალი სხვა
საბაბით დაიარებოდა; ყოველთვის თავაზიანი იყო, ენამოთაფლუ-
ლი, ქვემძრომობდა, — როგორც ჰომე იტყოდა, — და ხელსაყრელ
დროს არც იმას ივიწყებდა, რომ მინდობილობის ქაღალდზე სიტ-
ყვა ჩამოეგდო. ვექსილს აღარ იგონებდა; ემას ავადმყოფობის დროს
შარლი, მართალია, რაღაცას ეუბნებოდა ფულის სესხების თაობაზე,
მაგრამ იმ დროს ქალს სხვა საფიქრებელიც ბევრი ჰქონდა და
ამიტომ ის როდიღა ახსოვდა. გარდა ამისა, ემა ერიდებოდა ფულზე
ლაპარაკს. დედამთილი ამით მეტად გაკვირვებული იყო და რძლის
ასეთ გამოცვლას სარწმუნოებრივ გრძნობას მიაწერდა, ამ ბოლო
დროს რომ ემას დაეუფლა. მაგრამ, წავიდა თუ არა დედამთილი,
ემა ისე იქცეოდა, რომ ქმარი განცვიფრებაში მოჰყავდა თავისი
პრაქტიკული საზრიანობით. საჭირო იყო ცნობების შეკრება მი-
ღებული მემკვიდრეობის შესახებ, გირავნობის ფურცლებიც შესა-
მოწმებელი იყო იმის გამოსარკვევად, გაიყიდოს მამული თუ არაო.
იგი ბევრს ლაპარაკობდა და თან ტექნიკურ ტერმინებს ხმარობდა
მამულის მოვლის წესების, მომჭირნეობისა და სიფრთხილის შე-
სახებ, თანაც განგებ ასახელებდა სიძნელეებს, რაც მემკვიდრეობის
უფლების დამტკიცებას თან სდევდა. და ერთ მშვენიერ დღეს
ქმარს წარუდგინა ზოგადი ხასიათის მინდობილობის პროექტი,
რომლის ძალითაც შეეძლო „ეკისრა გამგებლობა და ზრუნვა ყვე-
ლა მისი საქმისთვის, აეღო სესხი, გაეცა და განეახლებინა ვექსი-
ლები, გადაეხადა ვალები“ და სხვ. ლერეს მიერ მიცემულ გაკვეთი-
ლებს ტყუილად როდი ჩაევლო.

შარლმა გულუბრყვილოდ ჰკითხა, ეს ქაღალდი სად გიშოვ-
ნიაო.

— ბ. გიიომენისგან. — და დიდი გულგრილობით დაუმატა:

— მე მას დიდად როდი ვენდობი. ნოტარიუსებს ცუდი რე-
პუტაცია აქვთ. შესაძლებელია, საჭირო იყოს სხვასთან მოლაპარა-
კებაც... მაგრამ, რომ არავინ გვყავს ისეთი... გარდა... ოჰ, არავინ!

— ლეონის ხომ არა... — მიუგო ჩაფიქრებულმა შარლმა.

მაგრამ მიწერ-მოწერით ამ საქმის მოგვარება არ შეიძლებოდა, მე ვინახულებ პირადადო, უთხრა ემამ. შარლმა მადლობა გამოუცხადა, შენ როგორ გაგრჯი მაგისთვისო; ემამ დაიჟინა. შეიქნა დიდი პატიჟი და თავაზი. ბოლოს, ხელოვნური ჭირვეულობით ემამ წამოიძახა:

— არა, ბატონო, მე წავალ!

— რა კეთილი ხარ! — მიუგო შარლმა და შუბლზე აკოცა.

მეორე დღეს ემა „მერცხალში" ჩაჯდა და რუანისკენ გაემართა ლეონისთვის რჩევის საკითხავად, და იქ სამ დღეს დარჩა.

III

ის სამი დღე ნამდვილი სიამის, ნეტარებისა და თავდავიწყების დღე იყო.

„ბულონის სასტუმროში" ცხოვრობდნენ, ნავსადგურში. ფანჯრის დარაბებდახურულნი, კარჩაკეტილნი; იატაკზე ყვავილები იყო მიმობნეული; სიროპიანი ცივი წყლით იკლავდნენ წყურვილს, საღამოს დახურულ ნავს დაიქირავებდნენ და სადილის საჭმელად კუნძულზე მიდიოდნენ.

ეს ის დრო იყო, როცა ვერფებში გახურებული მუშაობაა, გემების შესაკეთებლად. ფისისა და კუპრის ბოლი ხეებს ედება, ხოლო მდინარის ზედაპირზე ზეთის ფართო ლაქები ისე ციმციმებს ჩამავალი მზის სხივებზე, თითქოს ფლორენციული ბრინჯაოს ნაფოტები დაცურავენო.

შეყვარებულნი ნაპირს მიადგებოდნენ დაბმულ ბარკასებს შორის, რომელთა გრძელი ბაგირები მათი ნავის ძირს ედებოდა. ქალაქის ხმაურობა, ურმების ხრაგუნი, ჟივილ-ხივილი, ძაღლების ყეფა გემთა ბაქნებზე ნელინელ სწვდებოდა. ემა ქუდის ლენტებს გაიხსნიდა და ნაპირს გადავიდოდნენ ხოლმე.

სამიკიტნოს დაბალ სასადილოში დასხდებოდნენ, რომლის წინაკარშიც შავი ბადე იყო ჩამოფარებული. შეექცეოდნენ შემწვარ თევზს, ნაღებს, ალუბალს. ისვენებდნენ მოლზე, ერთმანეთს ეალერსებოდნენ მოფარებულ ადგილას, ალვის ხეების ქვეშ, და სურდათ, ვით ორ რობინზონს, სამუდამოდ ეცხოვრათ ამ კუთხეში, რომელიც ბედნიერებს ყველაზე მშვენიერ კუთხედ ეჩვენებოდათ ამ-

ქვეყნად. პირველად როდი უნახავთ მათ ეს ხეები, ლურჯი ცა, მინდორი და არც მდინარის დუდუნი ან ნიავის სისინი სმენიათ პირველად, მაგრამ ყოველივე ამას ისინი არასოდეს ისე არ მოეხიბლა, როგორც ახლა, თითქოს ბუნება მათთვის წინათ არ არსებულა ან თითქოს მომხიბვლელი მხოლოდ მაშინ შეიქნა, როცა მათ სურვილები დაიკმაყოფილესო.

ღამით შინ ბრუნდებოდნენ. ნავი კუნძულების ნაპირებს უვლიდა. ისინი ნავის სიღრმეში ისხდნენ, ბნელში, მდუმარენი, ნიჩბები რკინის კოტეტს ეჯახებოდა და ეს ხმაურობა მყუდროებას ადასტურებდა, ვით მეტრონომის რიტმული ცემა, ხოლო ნავის ბოლოზე გადაგდებული ბაგირი წყალში ლივლივებდა წყნარი ქღურტულით.

ერთხელ, როცა მთვარე ამოვიდა, უეცრად ენა ამოიდგეს და მელანქოლიური პოეზიით სავსე მნათობს მშვენიერი სიტყვები უძღვნეს. ემამ სიმღერაც კი დაიწყო:

„გახსოვს? ოდეს საღამოს ჩვენ მივცურავდით და მთვარეც...“

მისი ნაზი და მელოდიური ხმა წყლის სივრცეში იკარგებოდა, ქარი შორს იტაცებდა მოსათვალავს, ლეონის ყურს რომ ფრთების თქრიალად ესმოდა.

ემა მის პირდაპირ იჯდა, ნავის ტიხრს მიყრდნობილი, სადაც ღია დარაბებში მთვარის შუქი შემოდიოდა. ქალის შავი კაბის ნაოჭები მარაოსებრ იშლებოდა, და იგიც უფრო ტანწვრილი და მაღალი ჩანდა. სახეაწეული. ხელდაკრეფილი, თვალებაპყრობილი. ზოგჯერ ძეწნების ჩრდილი ფარავდა, მერე ისევ გამოკრთებოდა, ვით მოჩვენება მთვარის შუქზე.

ლეონმა, რომელიც მის ფერხთით იჯდა ნავის ფსკერზე, აბრეშუმის წითელი ბაბთა იპოვნა. მენავემ შეამჩნია და უთხრა:

— ალბათ, იმ კომპანიას დაეკარგა, წელან რომ გადავიყვანე. ძალიან მხიარული ხალხი იყო: კაცები და ქალები; თან წამოეღოთ შამპანური, ნამცხვარი, ფლეიტა და რა ვიცი, რა; მათ შორის ერთი იყო ძალიან ლამაზი, მოსული ტანის, პატარა ულვაშებიანი, მხიარული და ხუმარა. ყველანი იმას მიმართავდნენ: „აბა გვიამბე, რამე, ადოლფ... თუ როდოლფ... მგონი...“

ემა შეკრთა.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა ლეონმა და ახლოს მიიწია.

— არაფერია. ალბათ, ღამის სიგრილის ბრალია.

— ისეთებს, ალბათ, ქალებიც ეტანებიან.

დაუმატა ხნიერმა მენავემ, რომელსაც, ალბათ, ქებით მოხსენიება უნდოდა იმ უცხო კაცისა.

მერმე ხელები დაინერწყვა და კვლავ ნიჩბებს მიეძალა.

გაყრის ჟამიც დადგა! გამოთხოვება მეტად ნაღვლიანი იყო. ლეონს წერილები დეიდა როლეს მისამართით უნდა ეგზავნა და, ემამ ისეთი დაწვრილებითი დარიგება მისცა ორმაგი კონვერტის შესახებ, რომ ლეონი მოხიბლული იყო მისი მიჯნურული ვერაგობით.

— მაშ, მარწმუნებ, რომ ყველაფერი კარგადაა? — ჰკითხა ემამ და გამოსათხოვრად აკოცა.

— დიახ, რა თქმა უნდა!

„კი, მაგრამ. — ფიქრობდა ლეონი შინ მიმავალი, — რატომ ასე ჰძაფრად ებღაუჭება იმ რწმუნების ქაღალდს?“

IV

ამიერიდან ლეონი გაუკადრისდა, ამხანაგებს აღარ ეკარებოდა და მეცადინეობასაც სავსებით გაანება თავი. ემას წერილებს ელოდა მხოლოდ, რამდენჯერმე გადაიკითხავდა. თვითონაც სამაგიეროს წერდა. ვნებით აღტყინებულს, სურდა მუდამ თვალწინ ჰქონოდა მისი ხატება. განშორებას ნახვის ნატვრა კი არ შეუსუსტებია, არამედ, პირიქით, უფრო გააძლიერა და, ერთხელ, შაბათ დილას სამსახური მიატოვა.

როცა სერიდან დაბლობში თვალი მოჰკრა ნაცნობ სამრეკლოს, რომელზედაც ქარი თუნუქის ფლუგერს ატრიალებდა, გულში ისეთი მოზეიმე სიამაყე და მიამიტური სიამე იგრძნო, როგორიც მილიონერს შეიძლება აღეძრას გულში სამშობლო სოფლის ნახვისას.

იონვილს მისვლისთანავე მისი სახლისკენ გაემართა. სამზარეულოში სინათლე შეამჩნია. ელოდებოდა, იქნებ ფარდებზე მისი ლანდი გამოჩნდესო. ვერავინ დაინახა.

მამიდა ლეფრანსუამ რომ დაინახა, სიხარულით შეჰკივლა და უთხრა: გაზრდილხარ და აწოწილხარო. არტემიზამ კი განაცხადა: დავაუკაცებულა და შავგვრემანი გამხდარაო.

ვით ოდესმე, პატარა სასადილოში ისადილა მარტომ; გადასახადთა ამკრეფს თურმე მოსწყინდა „მერცხლის“ ლოდინი და თა-

ვისი სადილობის დრო საბოლოოდ ერთი საათით ადრე დააწესა. ახლა უკვე სრულ ხუთ საათზე სადილობდა, მაგრამ მაინც განაგრძობდა ბუზღუნს, როცა დილიჟანსი იგვიანებდა ხოლმე.

ლეონმა, როგორც იყო, ღონე მოიკრიბა და ექიმის კარს დააკაკუნა. ქალბატონი თავის ოთახში იყო და მხოლოდ თხუთმეტი წუთის შემდეგ ჩამოვიდა. ბატონს თითქოს ეამა მისი სტუმრობა. მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა არც იმ საღამოს და არც მეორე დღეს.

ლეონი ემას მხოლოდ საღამოთი შეხვდა, ძალიან გვიან, შუკაში, სახლს უკან, იმ შუკაში, სადაც იმ პირველს ხვდებოდა ხოლმე! წვიმდა, ქოლგის ქვეშ ბაასობდნენ, ელვის სინათლეზე.

განშორება აუტანელი ხდებოდა.

— სიკვდილი მიჯობს! — ეუბნებოდა ემა; ეხუტებოდა და ცრემლით იღვენთებოდა.

— მშვიდობით!... მშვიდობით! როდისღა გნახავ?

ორივენი დაბრუნდნენ, რათა ერთხელ კიდევ მოხვეოდნენ ერთმანეთს; ემამ აღუთქვა, ყოველ ღონეს ვიხმარ, რაც შეიძლება მალე რაიმე საბაბი ვიშოვნო, რათა მუდმივად და თავისუფლად ვხვდებოდეთ ერთმანეთს კვირაში ერთხელ მაინცო. ემა იმედოვნებდა, ამას უთუოდ მოვაწყობ, ფულსაც მალე ვიშოვნიო.

საამისოდ ემამ თავისი ოთახისთვის ფართოზოლებიანი ყვითელი ფარდები იყიდა, რომლის სიიაფესაც ლერე ექებდა, და ხალიჩის შეძენაზედაც კი ოცნებობდა; ლერე, რასაკვირველია, კვერს უკრავდა: მაგაში საძნელო არ არის რაო, და ხალიჩის შოვნასაც დაჰპირდა. ემას უკვე აღარ შეეძლო უმისობა. დღეში ერთი ოცჯერ მაინც უნდა დაებარებინა; და ვაჭარიც უსაყვედურო ეახლებოდა ხოლმე. ვერც ის გაეგო ვისმე, თუ რად საუზმობდა ქალბატონისას ყოველ დღე მამიდა როლე, ან რად დაძვრებოდა იქ სალაპარაკოდ. სწორედ ამ დროსვე, ესე იგი, ზამთრის პირს, ემას რაღაც განსაკუთრებული სიყვარული აღეძრა მუსიკისადმი.

ერთ საღამოს, როცა შარლი უსმენდა, ემა ოთხჯერ შეეცადა ერთი და იმავე ნაწყვეტის დაკვრას, მაგრამ მაინც უკმაყოფილო დარჩა: მეშლებაო; შარლი კი დაკვრის ნაკლს ვერ ამჩნევდა და გაიძახოდა:

— ვაშა!... მშვენიერია!... შენ ტყუილად არ მოგწონს, განაგრძე!

— ეჰ, არა! საშინელებაა! თითები სრულიად გამხევებია:

მეორე დღეს შარლმა სთხოვა: კიდევ დაუკარ რამეო.

— კარგი, თუკი გესიამოვნება!

და შარლიც იძულებული იყო დაედასტურებინა, რომ ემა მართლაც ოდნავ გადაჩვევია დაკვრას; ნოტები ეშლებოდა, ურევდა; მერე უეცრად შედგა და თქვა:

— ეჰ, მორჩა! კარგი იქნებოდა, გაკვეთილები ამეღო, მაგრამ... — ტუჩებს კბილი დააჭირა და გაუბედავად დაუმატა:

— ოცი ფრანკი ერთ გაკვეთილში, ძალიან ძვირია!

— ჰო, მართალია... ცოტა ძვირია... — მიუგო შარლმა და სულელურად გაიღიმა. — მაგრამ, მგონია, უფრო იაფადაც შეიძლება მოეწყოს; ხომ არიან ისეთი არტისტები, რომლებიც განთქმული არ არიან, მაგრამ განთქმულებს მაინც არ ჩამოუვარდებიან?

— აბა მომიძებნე. — უთხრა ემამ.

მეორე დღეს, შინ დაბრუნებისას, შარლმა ეშმაკურად გაუღიმა ცოლს და ვითომ უსაყვედურა:

— როგორი ახირება იცი ხანდახან! დღეს ბარფეშერში ვიყავი და მადამ ლიეჟარმა მითხრა: ჩემი სამი ქალიშვილი, მიზერიკორდის მონასტერში რომ სწავლობს, მუსიკის თითო გაკვეთილში ორმოცდაათ სუს იხდის და ისიც სახელგანთქმულ მასწავლებელთანო!

ემამ მხრები აიჩეჩა და მას შემდეგ საკრავს აღარ მიჰკარებია.

ხოლო, როცა ახლოს გაუვლიდა ხოლმე (თუ ქმარიც იქ იყო), ეთეოდ აწუწუნდებოდა:

— აჰ, ჩემი საბრალო პიანინო!

სტუმრები რომ ეწვეოდნენ, მუდამ ჩიოდა, დაკვრა სრულიად მივატოვე ძალიან სერიოზული მიზეზების გამოო. დაიწყებოდა სინანული. რა სამწუხაროა! მერმე რა ნიჭი ჰქონდა! თანაც ბოვარის მისდგებოდნენ, არცხვენდნენ, განსაკუთრებით მეაფთიაქე.

— თქვენ დიდად ცდებით! ბუნებრივი ნიჭი არასოდეს არ უნდა ჩაახშოთ. გარდა ამისა, ჩემო კარგო, მუსიკისადმი ქალბატონის წაქეზებით მომავალში მომჭირნეობას გასწევთ ქალიშვილის სწავლებაზე. ჩემი აზრით, დედები თვით უნდა ასწავლიდნენ თავიანთ შვილებს. ეს აზრი რუსოს ეკუთვნის; შესაძლებელია, იგი ჯერ კიდევ ოდნავ ახალი იყოს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მომავალში უეთეოდ გაიმარჯვებს, როგორც აზრი დედის რძით ბავშვების კვების შესახებ.

ასე რომ, შარლი იძულებული შეიქნა კვლავ ჩამოეგდო საუბარი ემასთან მუსიკის თაობაზე. მან ნაღვლიანად მიუგო, უმჯობესია საკრავი გაიყიდოსო, მაგრამ ეს საბრალო პიანინო, რომელსაც მისთვის ამდენი საამაყო სიამე მიუნიჭებია, როგორ უნდა წაიღონ ისე, რომ ემა თავისი არსების ერთ ნაწილს არ გამოეთხოვოს სამუდამოდ!

— რომ მოინდომებდე, — უთხრა ქმარმა, — და ხანდახან მაინც გაკვეთილს აიღებდე. ეს არც ისე ძვირი დაჯდებოდა მაინცდამაინც.

— გაკვეთილი მაშინ არის სასარგებლო, — მიუგო მან, — როცა რეგულარულად იღებენ.

აი როგორი გზით მოახერხა მან ქმრისაგან ნებართვის მიღება, რათა კვირაში ერთხელ ქალაქში ევლო საყვარლის სანახავად. ერთი თვის მეცადინეობის შემდეგ ბევრმა დაადასტურა, რომ მას დიდი წარმატება დაეტყო.

V

ხუთშაბათობით ემა დილაადრიანად წამოდგებოდა, ჩუმად ჩაიცვამდა, რომ შარლი არ გაეღვიძებინა, რადგან საყვედურს ეტყოდა. ასე ადრე რად ადექიო. მერმე ოთახში დაიწყებდა აქეთ-იქით სიარულს; ფანჯრებს მიადგებოდა. მოედანზე გაიხედავდა. ბურუსიანი განთიადი ბაზრის თაღებში შეიხედავდა და აფთიაქის წინამოზე ბუნდოვანი ციმციმით აბრის მსხვილი წარწერა გამოჩნდებოდა.

რვის თხუთმეტ წუთზე „ოქროს ლომის“ სასტუმროსკენ გაემართებოდა, სადაც არტემიზა მთქნარებით გაუღებდა კარს და ღუმელში მისთვის დაუწყებდა ნაკვერჩხლებს ჩხრეკას. ემა სამზარეულოში მოიცდიდა მარტო. დროდადრო ეზოში გავიდოდა. ივერი აუჩქარებლად შეაბამდა ცხენებს და თან ყური მადამ ლეფრანსუასკენ ჰქონდა, რომელიც მიტკლის თავსაფრით შებურული, თავს სარკმელში გაჰყოფდა და იმდენ დავალებასა და დარიგებას მისცემდა მეეტლეს, რომ სხვას, ვისმე უთუოდ გზა-კვალი აერეოდა.

ბოლოს, თავის წვნიანსაც შეჭამდა, ხალათის მსგავს შალის რაღაც საცმელს წამოისხამდა, ჩიბუხს გაიჩაღებდა, შოლტს მოიმარჯვებდა და კოფოზე რიგიანად მოიკალათებდა.

„მერცხალი“ რახრახით დაიძრებოდა და სამ მეოთხედ მილ-

ბანძილზე, ხან აქ, ხან იქ შეჩერდებოდა მგზავრების მოსაკრებად, რომლებიც თავიანთ ჭიშკრებთან ელოდებოდნენ. ვინც წინა დღით ლაიბევა, იმისთვის უთუოდ უნდა მოეცადა. ზოგი ჯერ კიდევ ლოვინიდან არ ამდგარიყო. ივერი ეძახდა, ყვიროდა, იგინებოდა, მერე ჩამოხდებოდა და კარებზე დაუწყებდა ბრახუნს. დილიჟანსის დამსხვრეულ სარკმელებში ქარი ზუზუნებდა.

ნელინელ შეივსებოდა ოთხივე სკამლოგინი. ეტლი კვლავ დაიძრებოდა; გზის პირად ჩამწკრივებული ვაშლის ხეები ერთმანეთს გასდევდა, ხოლო აქეთ-იქით მხარეს გაპრილ თხრილთა შორის, ყვითელი წყლიან რომ იყო სავსე, გამართული გზა ცის დასავალზე თანდათანობით ვიწროვდებოდა.

ემა ზედმიწევნით იცნობდა ამ გზას; იცოდა, რომ მინდორს იქით სვეტი იქნებოდა, შემდეგ თელა, საბძელი და სადარაჯო ქოხი. ზოგჯერ, რათა მოულოდნელი სანახაობით დამტკბარიყო, თვალს ღახუჭავდა, მაგრამ მანძილის მკაფიო შეცნობას მაინც არ ჰკარგავდა, ბოლოს, აგურის შენობები უფრო და უფრო გახშირდებოდა. „მერცხალი“ მოტკეპნილ გზაზე არახუნდებოდა ბაღებს შორის, სადაც ფოთლებში შეიძლებოდა გაერჩია ქანდაკებანი, შადრევნები, შეკრეჭილი ბუჩქები, საქანელები. და უეცრად ქალაქიც გამოჩნდებოდა.

ამფითეატრივით შეფენილი და ნისლით დაბურული, იგი მდინარის გაღმა იყო გაზიდული თვისი ხიდებით. ქალაქს იქით მინდვრები იყო გაჭიმული შორეულ, გაურკვეველ მიჯნამდე, სადაც ტუბი ცა იწყებოდა. ან სერიდან მთელი სანახაობა უმოძრაო ჩანდა, ვით სურათი; ღუზაჩაშვებული ხომალდები ერთ კუთხეში შეჯგუფებულიყვნენ; მწვანე გორაკების ძირში მდინარე რკალივით უხვევდა. და მოგრძო კუნძულები წყალში ისე მოჩანდა, თითქოს მძინარე ვეება შავი თევზებიაო. ფაბრიკების საკომურიდან შავყომრალი ბოლი ამოდიოდა და ჰაერში იცარებოდა. ისმოდა თუჯის ჩამომსხმელი ქარხნების ხრიალა სუნთქვა და ზარების გაბმული მოთქმა სამრეკლოებზე, მათი გუმბათები რომ ნისლში იწვეტებოდა. ბულვარების გაშიშვლებული ხეები მოლურჯო ჩირგვებივით მოჩანდა შენობებს შორის, ხოლო სახლთა სახურავები, წვიმას რომ დაესველებინა, ზოგან მეტად, ზოგან ნაკლებად ლაპლაპებდა. ზოგჯერ ქარი ღრუბლებს შეუტევდა და წმ. ეკატერინეს სერს მიახეთქებდა, თითქოს ჰაეროვანი ტალღებია, ნაპირს რომ უხმოდ აწყდებიანო.

ემასთვის რაღაც თავბრუდამხვევი რამ ფშვინავდა ამ ერთად-თავმოყრილ არსებათაგან, გულიც ძალზე უცემდა, თითქოს მთელი ამ ასოცი ათასი მცხოვრების ყველა შესაძლო ვნება ერთბაშად მას შთაენერგაო. სიყვარული მისი იზრდებოდა ამ სივრცის წინაშე და ბუნდოვანი გუგუნის გაგონებაზე შფოთით ივსებოდა. ამ სიყვარულს იგი აფრქვევდა მოედნებს, ქუჩებსა და ბულვარებს; ძველი ნორმანდიული ქალაქი უზარმაზარ სატახტოსავით იშლებოდა მის თვალთა წინაშე, ვით წარმართული ბაბილონი, და იგიც შედიოდა ამ ბაბილონში; ეტლის ფანჯარას ორივე იდაყვდაყრდნობილი, სუფთა ჰაერს ისუნთქავდა; ცხენები მიაქენებენ; თვლები ქვებზე რახრახებენ. ეტლის ძირი ირხევა; ივერი შორიდანვე უყვირის შემხვედრ ურმებს, ხოლო გიიომის ტყეში ღამენათევი მოქალაქენი წყნარად ჩამოდიან დაღმართზე შინაური პატარა ურმებით.

საბაუოსთან შეისვენებდნენ ხოლმე. ემა ხის ფოსტლებს გაიხდიდა; თათმანებს გამოიცვლიდა, შალს გაისწორებდა და ჩამოხდებოდა.

ქალაქი იღვიძებდა. ნოქრები სავაჭროების ფანჯრებს წმენდდნენ; კალათებით დაზურგული ქალები ქუჩაბანდებში თავიანთ საქონელს სთავაზობდნენ გამვლელთ. ემა თავდახრილი ვიდოდა კედლების ახლოს, და სიამით იღიმებოდა ჩამოშვებულ შავ ვუალში.

ეშინოდა, არავინ მიცნოსო, და ამიტომ მოკლე გზით მისვლას ჩვეულებრივ ერიდებოდა. მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებს გაჰყვებოდა და გაოფლიანებული მიაღწევდა ეროვნული ქუჩის ქვემო ბოლოს, სადაც შადრევანი იყო. ეს არის უბანი თეატრების, სამიკიტნოების და მხიარული ქალებისა. გზაში ხშირად შეეყრებოდა მთრთოლვარე დეკორაციებით დატვირთული ურემი. წინსაფრიანი გარსონები ქვაფენილებს ქვიშავდნენ ამწვანებულ მცენარეებს შორის. ქუჩაში აბსენტის, სიგარისა და სარდაფის სუნი იდგა.

ემა მეორე ქუჩაში შეუხვევდა ხოლმე და ლეონს ხუჭუჭ თმაზე იცნობდა, ქუდიდან რომ ჰქონდა ჩამოშლილი.

ლეონი წინ წავიდოდა, ემა უკან მიჰყვებოდა სასტუმრომდე. იგი კიბეს აივლიდა, ოთახის კარს გააღებდა, შევიდოდა... რა ნეტარება იყო!

კოცნას ბაასი მოჰყვებოდა. ერთმანეთს გაუზიარებდნენ მთელი კვირის წუხილს, წინათგრძნობას, შეშფოთებას წერილების გამო;

მაგრამ ახლა ხომ ყველაფერი გათავებული იყო! ერთმანეთს ღიმილით თვალებში შეაცქერდებოდნენ, ვნებააშლილნი იცინოდნენ, ერთიმეორეს საალერსო სიტყვებს ეუბნებოდნენ.

წითელი ხის უზარმაზარი ლოგინი ნავს ჰგავდა, ზემოდან წითელივე აბრეშუმის ჩარდახით მობურულს; და რა შეედრებოდა ევას შავთმიანი თავისა და ქათქათა ტანის ნახვას, როცა ამ მეწამულის არეზე, დარცხვენილი, ჰკერდზე მკლავებს მიიჭერდა და თვალებზედაც ხელებს დაიფარებდა!

თბილი ოთახი, ხალებითა და მორთულობით დამყუდროებული, ნაზად განათებული, სწორედ მათი ვნების შესაფერისი სავანე იყო. ფარდების საკიდურები ისრებით თავდებოდა. ღუმელის რიკულის ბუქლები და ბურთულები ლაპლაპებდა. ბუხარზე, შანდლებს შორის, ორი დიდი ვარდისფერი ნიჟარა იდო, რომლებშიც, თუ ყურს მიადებდი, ზღვის ხმაური ისმოდა.

როგორ უყვარდათ ეს სანუკვარი, საამო და სანეტარო ოთახი, მიუხედავად მისი ოდნავგახუნებული დიდებისა! დგამები ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილს იდგა ხოლმე, ხოლო ბუხრის საათის ქვეშ ემა ზოგჯერ თმის საჭერებსაც პოულობდა, წარსულ კვირაში რომ აქ დარჩენოდა. საუზმობდნენ ბუხრის წინ, პატარა მრგვალ სუფრაზე. ემა ხორცს დაჭრიდა, თეფშებზე დააწყობდა, თანაც ლეონს ეალერსებოდა და ეანცებოდა; მხიარული, გულუბრყვილო სიცილი აუტყდებოდა, როცა თხელი სასმისიდან შამპანური ვადმოიღვრებოდა და ბეჭდებით შეჭედილ თითებზე დაედინებოდა. ერთმანეთის დასაკუთრების გრძნობით ისე იყვნენ დამთვრალნი, რომ ეგონათ საკუთარ სახლში ვართ, სადაც სამუდამოდ ასეთი ახალგაზრდული შეუღლებით ვიცხოვრებთო. იტყოდნენ: ჩვენი ოთახი, ჩვენი ხალიჩა, ჩვენი სავარძლები; ემა კი დაუმატებდა: ჩვენი ფოსტლები, რაც ლეონის მიერ ნაჩუქარს შეეხებოდა, — ეს იყო ვარდისფერი ატლასის საცმელები, გედის ბუმბულით მორთული; როცა ლეონს მუხლზე დაუჯდებოდა ხოლმე, ფეხი იატაკს ვერ უწვდებოდა და უქუსლო კოხტა ფეხსაცმელი მხოლოდ ფეხის თითებზე ეკიდა.

ლეონი პირველად გრძნობდა ქალის გამოუთქმელი მშვენების მომხიბვლელობას. მისთვის ახალი იყო სიტყვის ეს გრაცია, ჩაცმულობის საგანგებო კრძალულება, მიყუჩებული მტრედის პოზები. აღფრთოვანებული იყო მისი სულის უმაღლესი ლტოლვილე-

ბითა და ქვედა კაბის არშიებით. განა იგი, მართლაც, „მაღალი საზოგადოების“ ქალი არ იყო? და თანაც ქმრიანი, ნამდვილი ხასა!

ზნისა და გუნების ცვალებადობით, როცა ხან მეოცნებე იყო და გამოუცნობი, ხან მხიარული, მოლაპარაკე, ხანაც დიდხნობით მღუმარე, ხან ფიცხი, ხანაც გულგრილი, ქალი განუწყვეტლად იწვევდა ლეონის გულში ათასგვარ სურვილს, უღვიძებდა ბუნდოვან მისწრაფებათ და მოგონებათ. იგი ხასა იყო ყველა რომანისა, გმირი ყველა დრამისა, გაურკვეველი „ქალი“ ყველა ლირიკული პოემისა. მის მხრებზე იგი „მობანავე ოდალისკის“ ქარვისებურ იერს ჰხედავდა: მას მოგრძო წელი ჰქონდა, ვით საშუალო საუკუნეების ქალებს, ფეოდალური ციხე-დარბაზებს რომ ჰფლობდნენ; იგი „ბარსელონელ ფერმკრთალ ქალსაც“ ჰგავდა, მაგრამ, უწინარეს ყოველისა, იგი ნამდვილი ანგელოზი იყო!

როცა ლეონი უცქერდა, ასე ეგონა, ჩემი სული, ასე მძაფრად რომ მისკენ მიილტვის, შარავანდედივით თავს ეხვევა, და სიამის ძალით მიზიდული, მისი მკერდის სითეთრეს ეზავებაო.

მის ფერხთაქვეშ მოიფრთხნიდა და, მის მუხლსდაყრდნობილი, ღიმილით თვალებში შესცქეროდა.

იგი კი დაიხრებოდა, და, სუნთქვაშეკრული, მთვრალივით უჩურჩულებდა:

— ოჰ, ნუ გაინძრევი! ჩუმად იყავ! მიცქირე! შენი თვალებიდან გამოუთქმელი სიამე იღვრება, რომელიც ნეტარებით ავსებს ჩემს გულს.

ბავშვს უწოდებდა მას:

— ბავშვო, გიყვარვარ?

და პასუხსაც არ დაუცდიდა, ისე ფიცხად და ენებიანად გაუწვდიდა ტუჩებს.

საათზე ბრინჯაოს კუპიდონი იყო გამოსახული, რომელსაც ყვავილების აკიდო ეჭირა ხელში. ხშირად დასცინოდნენ ხოლმე მას, გამოთხოვების ჟამს მათს თვალში ყველაფერს სერიოზული ეზიშვნელობა ეძლეოდა.

პირისპირ მდგომნი განუწყვეტლივ იმეორებდნენ:

— ხუთშაბათამდე!.. ხუთშაბათამდე!..

მერე უეცრად თავზე ხელს შემოხვევდა, საჩქაროდ შუბლზე აკოცებდა და გავარდებოდა გარეთ ძახილით: „მშვიდობით!“

თეატრალური ქუჩით წავიდოდა, პარიკმახერთან შეივლიდა და

თმას გაისწორებდა. ამასობაში კიდეც დაბინდდებოდა. გაზის ფარანი აინთებოდა.

ემას ესმოდა თეატრის ზარის რეკვა, მსახიობებს რომ სცენაზე იწვევდა; ხედავდა მის გვერდით გავლილ ფერმკრთალ მამაკაცებსა და გახუნებულტანისამოსიან ქალებს, მსახიობთა შესასვლელ კარებში რომ მიილალებოდნენ.

საპარიკმახეროს დაბალ ოთახში ბუღი იდგა, სადაც პარიკებსა და საცხებლებს შორის ღუმელი ღუღუნებდა. გახურებული ტარწუხებისა და პარიკმახერის გაქონილი ხელების სუნი თავბრუს ახვევდა ემას და ძილს ჰგვრიდა ხოლმე. ზოგჯერ, ოსტატი თმის დახვევისას, მასკარადის ბილეთებს შესთავაზებდა. შემდეგ ადგებოდა, იმავ ქუჩას აჰყვებოდა, „წითელი ჯვრის“ სასტუმროში შევიდოდა; მოსძებნიდა თავის ხის ფოსტლებს, დილით რომ სკამლოგინის ქვეშ დამალა, და, მოუთმენელ მგზავრთა შორის, თავის ადგილზე დაჯდებოდა. აღმართში ზოგიერთები ჩამოხდებოდნენ, იგი კი მარტო რჩებოდა დილიჟანსში.

თითოეულ მოსახვევზე უფრო და უფრო ფართოდ მოჩანდა განათებული ნაწილი ქალაქისა. ემა მუხლებით შედგებოდა სკამზე და თვალგაშტერებით გასცქეროდა ამ განათებულ ბურუსს. თვალზე ცრემლი ეძალებოდა, ლეონს ეძახდა, ალერსით მიმართავდა, კოცნას უგზავნიდა ჰაეროვანს.

გორაკზე ერთი მათხოვარი ცხოვრობდა, დილიჟანსებს შორის რომ ჯოხით დაძვრებოდა. ტანზე ათასნაირი ძონძი ეცვა, სახეს ტაშტივით მრგვალი, გაცვეთილი კასტორის ქუდი უფარავდა; როცა ქუდს მოიხდიდა, უპეების ადგილს ორი პირღია, სისხლიანი ნახვრეტი ჩნდებოდა. ხორცი ნაფლეთებად ეკიდა და იქიდან სითხე ჟონავდა: ნაჟონევი მწვანე მუწუკებით ჰქონდა შედედებული ცხვირზე, რომლის შავი ნესტოებიც თრთოლვით იბერებოდა, როცა მოწყალებას თხოულობდა, თავს რაღაცნაირი სულელური სიცილით გადააგდებდა; მაშინ მოლურჯო გუგებიც ზემოთკენ გადატრიალდებოდა და საფეთქლებთან თითქმის ეხებოდა წყლულის კიდეებს.

დილიჟანსებს დასდევდა და იმღეროდა:

კარგი დარის ცხუნვარება
ქალწულს ვნებად ეჯარება...

შემდეგ ლექსში უმღეროდა ჩიტებს, მზეს, ფოთლებს...

მათხოვარი ზოგჯერ უეცრად ემას უკან გაჩნდებოდა ქუდმოხ-

დილი. ქალი შეჰკივლებდა და განზე გახტებოდა. ივერი გაეხუმრებოდა ხოლმე გლახას. ურჩევდა ბალაგანი გამართე სენ-რომენის ბაზრობაშიო, ან შეეკითხებოდა, შენი მიჯნური რასა იქმსო.

ზოგჯერ გაქანებულ დილიჟანსში უეცრად გამოჩნდებოდა მისი ქუდი. ცალი ხელით ფანჯრის გამირს ჩაებღაუჭებოდა და საფეხურზე შედგებოდა ტალახიან თვლებს შორის. მისი ხმა, ჯერ სუსტი და წვიტინა, თანდათან ყივანა ხდებოდა; და სიბნელეში ისე გაისმოდა, ვით მოთქმა გაურკვეველი წუხილისა; ზარების წკარუნსა, ხეების შრიალსა და დილიჟანსის ხრაგუნთან შეზავებული, ხმა იგი რაღაც შორეულს გამოხატავდა, რაც ერეოლას ჰგვრიდა ემას, სულში სწვდებოდა, ვით ნაპრალში შეჭრილი ქარიშხალი, და განუსაზღვრელი ნაღვლის სივრცეში იტაცებდა. მაგრამ ივერი მალე იგრძნობდა დილიჟანსის ცალ მხარეზე გადაწონვასა და შოლტით მისწვდებოდა ბრმას, რომელიც ღრენით გაგორდებოდა ტალახში.

„მერცხლის“ მგზავრებს ნელინელ ძილი მოეკიდებოდათ: ზოგს პირღია ჩაეძინებოდა, ზოგი თავს დაჰკიდებდა, ზოგი მეზობლის მხარს დაეყრდნობოდა, ზოგიც თასმაში ხელს გაუყრიდა და რიტმულად ირხეოდა დილიჟნის ქანაობის თანაბრად; ფარნის შუქი, გარეთ, შუა ცხენის კუდის სწორა რომ ეკიდა, მოყვითალო ჩითის ფარდებს გასდიოდა და მძინარეთა უძრავ სახეებს სისხლისფერ ჩრდილებს აყენებდა. მწუხარებით გაბრუებული ემა სიცივით მოიკრუნჩხებოდა თავის წამოსასხამში; გრძნობდა, რომ ფეხები თანდათან ეყინებოდა, სულშიც კი მკვდრული სიცივე ჩასახლებოდა.

შინ შარლი ელოდებოდა; „მერცხალი“ ხუთშაბათობით ყოველთვის იგვიანებდა, მაგრამ, აი ქალბატონიც მოვიდოდა. გავლით და საჩქაროდ აკოცებდა თავის პატარას. სადილი კიდევ არ იყო მზად, არა უშავს რა! მზარეულს არ ამტყუნებდა. ახლა ამ გოგოსთვის, მგონი, ყველაფერი ნებადართული იყო.

ზოგჯერ ქმარი, მის ფერმკრთალობას რომ შეამჩნევდა, ჰკითხავდა, ავად ხომ არა ხარო.

— არა. — მიუგებდა ემა.

— კი, მაგრამ რაღაც უცნაური ხარ ამ ნაღამოს.

— ეჰ, არაფერია! სრულიადაც არაფერი!

ისეთი დღეებიც იყო ხოლმე, როცა იგი, მივიდოდა თუ არა.

მაშინვე თავის ოთახში ავიდოდა; ჟუსტენი, რომელიც იქვე გაჩნდებოდა, ფეხაკრეფით დაიწყებდა სიარულს და ფარეშ ქალზე უკეთ ემსახურებოდა. სანთელს აუნთებდა, ასანთსა და წიგნს მიუტანდა, საღამურ პერანგს გაუსწორებდა, საბანს გადაუფენდა.

— ჰო, კარგი, — ეტყოდა ემა, — წადი!

იგი კი ფეხს არ მოიცვლიდა, ხელებდაშვებული და თვალგაშტერებული იდგა, თითქოს უეცარი ოცნების უთვალავმა ძაფმა შეჰბოჭაო.

მეორე დღე აუტანელი იყო, შემდეგი დღეები კიდეკ უფრო უარესი იმ მოუთმენლობის გამო, რაც გამოწვეული იყო ნეტარების თრობით, — ჩვეული, გამძაფრებული მწვავე ნდომით, რაც მხოლოდ მეორე კვირაში იპოვნიდა კმაყოფილებას ლეონის ალერსსა და ტრფიალში. საკუთარივე ვნებანი ბადებდნენ ლეონის არსებაში აღფრთოვანებისა და მადლიერების გრძნობას. ემაც მთელი სისრულითა და წყურვილის მოკვლით თვრებოდა ამ სიყვარულით; თავისი ალერსის ყოველნაირი ხერხით კვებავდა მას და უკვე შიშით კანკალებდა, მალე არ დავკარგოო.

ხშირად უთქვამს ხოლმე მისთვის ნაღვლიანი ხმით:

— ეჰ, შენც მიმატოვებ! ცოლს ითხოვ!... შენც სხვებივით მოიქცევი!

— ვინ არიან ეს სხვები? — იკითხავდა იგი.

— ყველა მამაკაცი, — მიუგებდა, ალერსიანად ჰკრავდა ხელს და დასძენდა:

— თქვენ ყველა უპატიოსნო ხართ!

ერთხელ, როცა ფილოსოფიურად ბაასობდნენ ამქვეყნიური ინდების გაცრუებაზე (იჭვნეულობის გამოსაცდელად, თუ იმიტომ, რომ გულნადების გამოთქმა აწუხებდა), ემამ უთხრა, რომ ოდესღაც, სანამ მას შეხვდებოდა, სხვა უყვარდა, „არა ისე, როგორც შენ“. — სწრაფად დაუმატა, — და თან თავისი ბავშვი დაიფიცა, ჩვენ შორის არაფერი ყოფილაო.

ყმაწვილმა დაუჯერა, მაგრამ მაინც გამოჰკითხა; სურდა გაეგო, ვინ იყო ის სხვა.

— გემის კაპიტანი იყო, ჩემო კარგო.

განა ეს პასუხი ყოველგვარ ძიებას თუ ძებნას ზღვარს არ უდებდა? და იმავე დროს არ ამაღლებდა ქალს საყვარლის თვალ-

ში, რომ ისეთი კაცი მოხიბლა, რომელიც, ალბათ, მამაციც იყო და ქალთა შორის სახელის მქონეც?

ახლა კლერკს ნათლად წარმოუდგა თვალწინ თავისი არასახარბიელო საზოგადოებრივი მდგომარეობა. შეშურდა სამხრეულები, წარმატება, ორდენები. ყოველივე ეს ემას უნდა მოსწონდეს, ალბათ; განა ამას არ მოწმობს ხელგაშლილი ცხოვრებისკენ მისი მიდრეკილება!

ემას კი ბევრი რამ არ გაუმხელია მისთვის იმ გიჟური ოცნებიდან, რაც მოსვენებას არ აძლევდა: ცისფერი კაბრიოლეტი რუანში სამგზავროდ, ინგლისური ცხენი და გრუმი ყელგადაკეცილი წაღით. ეს ფანტაზია მას ჟუსტენმა შთააგონა და თანაც ემუდარებოდა, ლაქიად მე ამიყვანეო. ხოლო თუ ეს ნაკლი პაემანზე მისვლის სიხარულს არ ამცირებდა, დაბრუნების ნაღველს კი უთუოდ ამძაფრებდა.

ხშირად, როცა პარიზზე ჩამოაგდებდნენ ხოლმე ბაასს, ემა ოხვრით იტყოდა:

— აჰ, რა კარგად ვიცხოვრებდი იქა!

— განა აქაც ბედნიერები არა ვართ? — ჰკითხავდა იგი და ალერსით თმაზე გადაუსვამდა ხელს.

— ჰო, შენ მართალი ხარ, — უპასუხებდა, — მე გიჟი ვარ, გიჟი! მაკოცე!

ქმართან ახლა უფრო მომხიბვლელი იყო, ვიდრე როდისმე, უმზადებდა ხოლმე მის საყვარელ ნუშის კრემს და საღამოობით მისთვის სხვადასხვა ვალსს უკრავდა. ქმარს უბედნიერეს ადამიანად მიაჩნდა თავი ამქვეყნად, ემა კი უშფოთველად ცხოვრობდა, რომ, ერთ საღამოს, შარლმა უეცრად ჰკითხა:

— შენი მუსიკის მასწავლებელი ხომ m-lle ლამპრერია?

— დიახ.

— სწორედ წეღან შევხვდი ქ-ნ ლიეჟარისას. შენზე ვკითხე და, ვერ ვიცნობო, მითხრა.

ემას თითქოს მეხი დაეცაო. მაგრამ მაინც მშვიდად მიუგო:

— აჰ, უთუოდ დაავიწყდა ჩემი სახელი!

— იქნებ რუანში რამდენიმე ლამპრერია მუსიკის მასწავლებელი? — გამოთქვა ვარაუდი შარლმა..

— შესაძლებელია. — და უმალვე დაუმატა:

— კი, მაგრამ მისი ქვითრები ხომ აქა მაქვს! აი, ნახე!

და საწერი მაგიდისკენ გაემართა, უჯრები გადაჩხრიკა, ქაღალდები ააფორიაქა და ისე გაწვალდა, რომ შარლმა ხვეწნა დაუწყო, თავი გაანებე, განა რაღაც ქვითრებია, თავის შეწუხებად ღირსო.

— ოჰ, არა! უსათუოდ უნდა მოვძებნო.

და, მართლაც, შემდეგ პარასკევს, როცა შარლი ბნელ საკუჭნაოში წაღებს იცვამდა, წაღის ყელში უეცრად რაღაც ქაღალდი შეამჩნია, ამოიღო და წაიკითხა:

„სამი თვის გაკვეთილებისა, ნაყიდი ნოტების საფასური და სხვ. მივიღე სამოცდახუთი ფრანკი.

ფელისე ლამპრერ, — მუსიკის მასწავლებელი".

— აი დალახვროს! მერმე ამ ჩემს წაღაში საიდან გაჩნდა?

— ალბათ იმ კოლოფიდან ამოვარდა, — მიუგო ემამ, — სადაც ძველი ანგარიშები აწყვია, აი, განაპირას რომ დგას.

ამიერიდან მისი ცხოვრება სიცრუით იყო აღსავსე; სიცრუე, ვით საბურველი ფარავდა და ინახავდა მის სიყვარულს.

სიცრუე საჭიროებად, ფიქრად, სიამოვნებად გადაექცა ისე, რომ გუშინ ქუჩის მარჯვენა მხრით მივდიოდიო რომ ეთქვა, შეიძლებოდა დარწმუნებული ყოფილიყავით, რომ მარცხენა მხრით მიდიოდა.

ერთ დილას, როცა ჩვეულებრივ მსუბუქად ჩაცმული წავიდა, უეცრად თოვა დაიწყო. შარლმა, რომელიც ფანჯარაში ამინდს აკვირდებოდა, თვალი მოჰკრა, რომ აბატი ბურნიზიენი ტუვაშის შარაბანით რუანს მიემგზავრებოდა. ექიმმა სქელი შალი გადასცა და სთხოვა, როგორც კი „წითელი ჯვრის" სასტუმროში მიხვიდეთ, ჩემი ცოლი ნახეთ და მიეცითო. მისვლისთანავე მღვდელმა იონვილელი ექიმის ცოლი იკითხა, მაგრამ სასტუმროს პატრონმა უთხრა, ქალბატონი ბოვარი ჩვენსას ძვირად დაიარებაო. ხოლო როცა აბატი საღამოს „მერცხალში" შეხვდა ემას, თავისი თავგადასავალი უამბო, მაგრამ ამისათვის მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ მიუცია, რადგან იმწამსვე სიტყვა რუანის საკრებულო ტაძრის ქადაგზე ჩამოაგდო, რომელსაც ყველა დიდი ქებით იხსენიებდა და რომლის მოსასმენადაც ქალაქის ქალები მუდამ იქ გარბოდნენ.

მართალია, მღვდელმა გამოკითხვა არ ისურვა, მაგრამ მომავალში ხომ შეიძლებოდა სხვები უფრო ცნობისმოყვარენი გამომდგარიყვნენ; ამიტომ ემამ გადაწყვიტა ამიერიდან „წითელი ჯვრის"

სასტუმროში ჩამომხდარიყო, რათა იონვილელ ნაცნობებს დაენახათ და ამნაირად არავითარი ეჭვი არ აეღოთ.

თუმცა ერთხელ კი ლერემაც ნახა იგი, ლეონთან მკლავგაყრილი რომ გამოვიდა „ბულონის სასტუმროდან“. ვყისვე შიშმა აიტანა, ენას არ გააჩერებსო, გარნა ლერე იმდენად უჭკუო როდი იყო.

სამაგიეროდ, როცა მესამე დღეს ვაჭარი ესტუმრა, ოთახის კარი დახურა და უთხრა:

— ქალბატონო, ფული მესაჭიროება.

ემამ მიუგო, ამჟამად ფული არ მაქვსო. ლერე წუწუნს მოჰყვა და გაწეული ამაგი გაახსენა.

მართლაც, იმ ორი ვექსილიდან, რომელიც შარლმა გასცა, ემამ მხოლოდ ერთი გაანაღდა, მეორე კი, ემას თხოვნით, ვაჭარმა გამოცვალა, თანხა ორად გაყო და უფრო გრძელი ვადა დაუნიშნა. მერე დავთარი ამოიღო და ნისია ჩამოთვალა: საფარდეები, ხალიჩა, დგამების გადასაკრავი, რამდენიმე კაბა და საპირფარეშო სხვა საქონელი; საერთო ღირებულება თითქმის ორი ათას ფრანკს აღწევდა.

ემამ თავი დახარა. ვაჭარი განაგრძობდა:

— თუ ფული არა გაქვთ, ქონება ხომ გაქვთ?

და გაახსენა სახლი, ბარნევილში რომ ჰქონდათ, ომალის ახლოს, რომელიც შემოსავალს თითქმის არ იძლეოდა. ოდესმე ეს სახლი ნაწილი იყო იმ ფერმისა, რომელიც ჯერ კიდევ შარლის მამას გაეყიდნა; ლერემ ყველაფერი იცოდა: რამდენი ჰექტარი იყო, ან მეზობლები ვინ იყვნენ.

— თქვენს ადგილას რომ ვიყო, თავიდან მოვიშორებდი, და რაჰდენი კიდევ თავისუფალი ფულიც გადამრჩებოდა.

ემამ მყიდველის უყოლობა მოიმიზეზა, ლერემ უთხრა, მე თვითონ ვიშოვნიო.

—კი, მაგრამ სახლის გაყიდვის უფლებას ვინ მომცემს? — ჰკითხა ემამ.

— განა თქვენ მინდობილობა არა გაქვთ?

ეს სიტყვები სუფთა ჰაერივით მოხვდა ქალს.

— დამიტოვეთ ეგ ანგარიში. — უთხრა მან.

ერთი კვირის შემდეგ კვლავ ესტუმრა და კვეხნით უთხრა: დიდი წვალების შემდეგ, როგორც იქნა, ვიპოვნე ვინმე ლანგლუა,

რომელსაც ეს მაგიერზე დიდი ხანია თვალი უჭირავს, თუმც ფასს ჯერჯერობით არ ამხელსო.

— საქმე ფასი როდია! — წამოიძახა ქალმა.

— პირიქით, უნდა მოიცადო, გაჯანჯღლდე, — ურჩევდა ვაჭარი, — საჭიროა ადგილობრივ მიხვიდეთ, მაგრამ რაკი თქვენ არ შეგიძლიათ, მე თვითონ წავიდოდი და მოველაპარაკებოდი იმ ლანგლუას.

დაბრუნებისას განაცხადა, რომ მყიდველი ოთხი ათას ფრანკის მეტს არ იძლევაო. ამ ამბავმა ემა გაახარა.

— სიმართლე რომ ვთქვა, კაი ფასია.

ნახევარი თანხა დაუყოვნებლივ მიიღო, ხოლო როცა ნისიის გასტუმრება დააპირა, ვაჭარმა უთხრა:

— პატიოსნებას გეფიცებით, მეხათრება ამდენი ფულის ერთბაშად გამორთმევა!

ქალი ასიგნაციებს დააცქერდა და გაიფიქრა, რამდენ სანატრელ პაემანს შეიცავს ეს ორი ათასი ფრანკიო! მერე გაუბედავად წაიბუტბუტა:

— აბა როგორ?

— ო, ფიქრი ნუ გაქვთ, ნავაჭრის ანგარიშში ყველაფერი ჩაიწერება. განა არ ვიცი საოჯახო საქმეები როგორ კეთდება?

და შიგ თვალებში უცქერდა, თანაც ორ გრძელ ასიგნაციას ხელში ატრიალებდა. ბოლოს საფულე გახსნა, ოთხი ვექსილის ქაღალდი ამოიღო, თითო ათას-ათასფრანკიანი და მაგიდაზე დადო.

— აი, ამაზე მომიწერეთ ხელი, ფული კი თქვენ დაიტოვეთ.

ემა აღშფოთდა.

— კი, მაგრამ ზედმეტს რომ გაძლევთ, — თავხედურად მიუგო ლერემ, — განა ეს სამსახურის გაწევა არაა?

მერე კალამი აიღო და ანგარიშის ბოლოს მიაწერა:

„ოთხი ათასი ფრანკი მივიღე მადამ ბოვარისაგან“.

—რაკი სახლის დანარჩენ საფასურს ექვსი თვის შემდეგ მიიღებთ და უკანასკნელი ვექსილის ვადაც ამ ფულის მიღების შემდეგაა, მე არ ვიცი, რაღა გაწუხებთ?

ემას ეს ანგარიშები ოდნავ უჭირდა, ყურებში წკრიალი ესმოდა, თითქოს ტომსიკას თავი მოეხსნა და ოქროები იატაკზე იფრქვევაო, ბოლოს, ლერემ განუცხადა: რუანში მყავს ერთი მეგობარი, ბანკირი ვენსარი, რომელიც ამ ოთხ ვექსილს გაანაღდებს, შემ-

დეგ კი საკუთარი ხელით მოგართმევთ ფულს, რაც ნამდვილ ვალს ვადარჩებაო.

ხოლო ორი ათასი ფრანკის მაგიერ, ათას რვაასი მიუტანე, რადგან ვენსარმა (რაც სავსებით კანონიერი იყო) ორასი ფრანკი ვექსილის გასანაღდებელი და საკომისიო აიღო.

მერე, ცალუბად, ხელწერილი სთხოვა:

— მოგეხსენებათ... სავაჭრო საქმეებში... არის ხოლმე შემთხვევა... და არ დაივიწყოთ, გეთაყვა, ხელწერილზე დღევანდელი რიცხვი აღნიშნეთ.

განსახორციელებელი ოცნების განუსაზღვრელი ჰორიზონტი გადაეშალა უეცრად ემას. ისეთი გონიერება კი მოიხმარა, რომ ათასი ეკიუ გადასდო და პირველი სამი ვექსილი შინ გამოისყიდა, როცა მათი ვადა დადგა, ხოლო მეოთხე ვექსილი შინ მიუვიდა, შემთხვევით ხუთშაბათს, და აღელვებული შარლი ცოლის დაბრუნებას ელოდებოდა, რათა მისგან განმარტება გაეგო.

— თუკი ამ ვექსილზე შენთვის არაფერი მითქვამს, მხოლოდ იმიტომ, რომ არ მინდოდა ოჯახური წვრილმანებით შემეწუხებინე.

მერე ნაზად მიუახლოვდა, მუხლზე დაუჯდა, ეალერსებოდა, ეღუღუნებოდა, თანაც ნისიად წამოღებული საქონლის დაუსრულებელ სიას უკითხავდა.

— ერთი სიტყვით, თვითონ დარწმუნდები, რომ ამდენი საქონლისთვის ეს არც ისე დიდი თანხაა.

შარლმა არ იცოდა, რა ექნა, და ისევ იმ შეუღლებულ ლერეს მიმართა, რომელიც პატიოსნებას ეფიცებოდა, ყველაფერს გავარიგებ, ოღონდ ერთი შვიდასფრანკიანი ვექსილი მომეცი. სამი თვის ვადითო. რათა როგორმე ამ გაჭირვებიდან გამოსულიყო, შარლმა მგრძნობიარე წერილი გაუგზავნა დედას. პასუხის ნაცვლად თვით დედა მოვიდა, და, როცა ემა შარლს შეეკითხა, მოახერხე რისამე მიღებაო, უპასუხა:

— კი, გარნა დედა მოითხოვს, ანგარიში მიჩვენეთო.

მეორე დღეს, დილაადრიან, ემა ლერესას გაიქცა და სთხოვა, მეორე ანგარიში დამიწერეო, რომელიც ათას ფრანკს არ აღემატებოდა, რადგან, უკეთუ ოთხი ათასი ფრანკის ანგარიშს უჩვენებდა, ისიც ხომ უნდა ეთქვა, რომ ამაში ორი მესამედი უკვე გადაიხადა, მაშასადამე, უნდა გამოტეხილიყო უძრავი ქონების გა-

ყიდვაში, რაც ლერემ ჩინებულად მოახერხა, და რაც გაცილებით გვიან გამომჟღავნდა.

მიუხედავად იმისა, რომ სიაში აღნუსხული საქონელი ძალიან შეღავათიანად იყო ნაანგარიშევი, დედაბერ ბოვარის ასეთი ხარჯი მაინც მეტისმეტი ეჩვენა.

— განა უხალიჩობა არ შეიძლებოდა? ან რა საჭირო იყო დგამების ხელახლა გადაკვრა? ჩემს დროს შინ მხოლოდ ერთი სავარძელი იყო ხოლმე მოხუცებისათვის, — ყოველ შემთხვევაში, დედაჩემისას ასე იყო და, გარწმუნებთ, დედაჩემი პატიოსანი ქალი იყო. ყველა ხომ მდიდარი ვერ იქნება? ან რა ქონება გაუძლებს ფლანგვას! სირცხვილი დამწვავდა, თქვენსავით განებივრებული რომ ვიყო! და მე კი მოხუცებული ვარ, მოვლა მესაჭიროება... აბა, ერთი შეხედეთ, რა გინდა, სულო და გულო, რომ აქ არ იყოს! როგორ? სარჩულად ორფრანკიანი აბრეშუმი? განა არ შეიძლებოდა საამისოდ ათსუიანი, ან უფრო იაფი ჟაკოტენი აგეღოთ, რაც ამას არც კი ჩამოუვარდებოდა?

კუშეტზე წამოწოლილი ემა ცდილობდა მშვიდად ეპასუხნა, რაც კი შეიძლებოდა:

— კმარა, ბატონო, — ეუბნებოდა იგი, — გეყოფათ...

ხოლო დედაბერი საყვედურს განაგრძობდა და უწინასწარმეტყველებდა, თქვენ სიცოცხლეს ორივე თავშესაფარში დაასრულებთო. რა თქმა უნდა, ყველაფერი შარლის ბრალია, მაგრამ, საბედნიეროდ, იგი დამპირდა, იმ მინდობილობას გავაუქმებო...

— რაო?

— დიახ, შემომფიცა. — მიუგო დედაბერმა.

ემამ ფანჯარა გააღო, ქმარს დაუძახა, და საბრალოც იძულებული იყო გამოტეხილიყო, რომ დედამ აიძულა ასეთი დაპირება.

ემა წუთით გაქრა; როცა დაბრუნდა, ამაყად გაუწოდა დედამთილს ფართო ფურცელი ქაღალდი.

— გმადლობთ. — უთხრა დედაბერმა და მინდობილობა ცეცხლში შეაგდო.

ემას უეცარი ხარხარი აუვარდა, გამყინავი, გამაყრუებელი, — ისტერია დაემართა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! — იძახდა შარლი, — კარგად ვერც შენ იქცევი, დედაჩემო! სცენებს უწყობ!

დედამ მხრები აიჩეჩა და განაცხადა: ყველაფერი ეს მხოლოდ მეტიჩრობაა.

მაგრამ შარლი, მართალია, პირველად აღშფოთდა, ახლა კი ცოლს მიემხრო. დედაბერმა განაცხადა, მივდივარო. იგი მართლაც გაემგზავრა მეორე დღეს და, ზღურბლზე რომ შედგა ფეხი, შარლს, რომელიც ეპატიჟებოდა, ნუ წახვალო, უთხრა:

— არა, არა! შენ ის უფრო გიყვარს, ვიდრე მე, და მართალიც ხარ, წესი ასეა! თუმცა მით უარესი! თვითონ დაინახავ! კარგად ბრძანდებოდეთ... მე კი აქ ფეხს აღარ შემოვდგამ, რათა, როგორც შენ ამბობ, სცენები აღარ მოვუწყო!...

შარლი თავს მაინც უხერხულად და დარცხვენილად გრძნობდა ცოლის წინაშე და არც ემა მალავდა წყენას უნდობლობისთვის; დიდ ხანს ეხვეწა შარლი, სანამ ახალი მინდობილობის მიცემაზე დაითანხმებდა: მერმე ერთად წავიდნენ ბ. გიიომენთან, რათა ახალი შეედგინათ, სავსებით მსგავსი წინანდელისა.

— მესმის, მესმის, — განაცხადა ნოტარიუსმა, — მეცნიერებაში ჩაფლულ კაცს ცხოვრების პრაქტიკული წვრილმანებისთვის საქმე სცალია!

ამ ქების გამო შარლს ოდნავ მოეშვა გულზე, რადგან მის სისუსტეს ეს ქათინაური მაღალი ინტერესების საამაყო იერს აძლევდა.

სამაგიეროდ, რა ზეიმი ჰქონდა ემას რუანში შემდეგ ხუთშაბათს ლეონთან ერთად! ემა იცინოდა, ტიროდა, მღეროდა, ცეკვავდა, უბრძანა, შარბათი მიერთმიათ. პაპიროსის მოწევაც ინება; ლეონს დამთხვეული ეჩვენა, მაგრამ მაინც საუცხოო, საღმერთებელი.

ვერ გაეგო, რა ემართებოდა ქალს, რა სულიერი ყოფა აიძულებდა, ასეთი გაუმაძღრობით რომ ეწაფებოდა ცხოვრების ყოველ სიამეს; ადვილად გასაღიზიანებელი, ვნებათმოყვარული და გრძნობის ამყოლი ხდებოდა; ქუჩებში მასთან მკლავგაყრილი, თავაწეული დაიარებოდა და, როგორც თვითონ ამბობდა, სრულიად არ ეშინოდა სახელის გატეხისა, თუმცა, ზოგჯერ ცახცახი აიტანდა ხოლმე, სადმე როდოლფი არ შემეყაროსო; მიუხედავად საბოლოო გაყრისა, მაინც ეგონა, სავსებით ვერ განთავისუფლებულვარ იმ კაცის მონობისაგანო.

ერთ საღამოს ემა იონვილს აღარ დაბრუნებულა. შარლმა არ იცოდა, რა ექნა, ხოლო პატარა ბერტას უდედოდ დაწოლა არ სურ-

და და მთელი სახლი ღრიალით აიკლო. ჟუსტენი ქუჩაში გავიდა ალალბედზე სახეტიალოდ, ჰომემაც კი თავისი აფთიაქი მიატოვა.

ბოლოს, ღამის თერთმეტ საათზე, შარლს მოთმინება გამოელია. თავისი შარაბანი შეაბა და ნაშუაღამევს ორ საათზე უკვე „წითელი ჯვრის“ სასტუმროში იყო. ემასი კვალიც კი არ ჩანდა. იფიქრა, იქნებ კლერკმა მოჰკრა სადმე თვალიო, მაგრამ რომ არ იცის კლერკი სად ცხოვრობს? საბედნიეროდ, მისი უფროსის მისამართი გაახსენდა და იქ გაემართა.

თენდებოდა. ერთ-ერთ კარზე ნოტარიუსის აბრა შეამჩნია; დააკაკუნა. კარგაუღებლად ვიღაცამ საჭირო ცნობა მოაძახა და თან გვარიანად შეუკურთხა უზრდელს, რომელიც ღამით პატიოსან ხალხს მოსვენებას არ აძლევს.

იმ სახლში, სადაც კლერკი ცხოვრობდა, არც ზარი იყო, არც საკაკუნო ჩაქუჩი და არც მეკარე. შარლმა მუშტები დაუბრაგუნა ღარაბებს. შორიახლო პოლიციელმა გაიარა; შარლი დაფრთხა და სახლს მოშორდა.

— რა სულელი ვარ! — ამბობდა თავისთვის, — ალბათ, ლორმოსას ისადილა და იქვე დარჩა ღამის გასათევად.

მაგრამ ლორმო კარგა ხანია რუანში აღარ ცხოვრობს.

— იქნებ ქ-ნ დიუბრეილის მოსავლელად დარჩა? მაგრამ არა! დიუბრეილი ხომ ამ ათი თვის წინათ გარდაიცვალა? ვაშ, სად არის?..

უეცრად ნათელი აზრი დაებადა: ყავახანაში „წელიწდეული“ მოითხოვა და იქ ქ-ნ ლამპრერის გვარი მოძებნა, რომელიც რენელ დემაროკინიეს ქ. № 74 ცხოვრობდა.

ის იყო, ამ ქუჩაში შეუხვია, რომ მეორე ბოლოში თვით ემა გამოჩნდა; უფრო მივარდა, ვიდრე მოეხვია, და შესძახა:

— ვინ დაგაკავა, რომ არ დაბრუნდი?

— ავად გავხდი.

— რითი? სად? როგორ?

ქალმა შუბლზე ხელი გადაისვა და მიუგო:

—ქ-ნ ლამპრერისას.

— განა არ ვიცოდი! მეც სწორედ იქ მივდიოდი.

— რა საჭიროა, — წამოიძახა ემამ, — მით უმეტეს, რომ იგი უკვე გავიდა სახლიდან; შემდეგში კი, გთხოვ ნუღა შეწუხდები. იცი, მე აღარ შემიძლია ვიფიქრო თავისუფალი ვარ-მეთქი, თუკი ოდნაკი დაგვიანებაც კი აგრე შეგაშფოთებს.

ეს რაღაც ნებართვისებური იყო, რომელიც მან თავის თავს მისცა, რათა მომავალში აღარ შეწუხებულიყო და, მართლაც, ისე ფართოდ გამოიყენა, როგორც კი ეპრიანებოდა. როდესაც ლეონის ნახვის ნატვრა მოუვლიდა, სულ უმნიშვნელო რასმე მოიმიზეზებდა, ხოლო, რადგან ლეონი ასეთ დღეებში არ ელოდებოდა, ამიტომ მასთან სანოტარო კანტორაში მივიდოდა ხოლმე.

პირველ ხანებში ეს ძალიან საამო იყო ლეონისთვის, გარნა სულ მალე სიმართლეც გაუმჟღავნა, სახელდობრ, ჩემი უფროსი მეტად უკმაყოფილოა, როცა სამსახურიდან გავრბივარო.

— აჰ, არაფერია! წავიდეთ. — ეტყოდა ემა და ისიც გაჰყვებოდა.

ემამ მოითხოვა, რათა ლეონს შავი კოსტუმი შეეკერა და წვერი ესპანურად მოეშვა. მაშინ ლუი XXIII დაემგვანებიო; მოისურვა მისი ბინის ნახვაც, და ოთახი მეტად ღარიბი ეჩვენა; ლეონი წამოწითლდა, ხოლო ქალმა ამას ყურადღებაც არ მიაქცია და ურჩია, უთუოდ ისეთი ფარდები შეიძინე, როგორიც მე მაქვსო. ხოლო, როცა ლეონმა ხარჯის გაწევა მოიმიზეზა, სიცილით უთხრა:

— აჰ, აჰ, როგორ მისტირი შენს ფულს!

ლეონი იძულებული იყო ყოველთვის ანგარიში მიეცა, რას აკეთებდა უკანასკნელი პაემნის შემდეგ. იგი ლექსებს მოითხოვდა მისგან, სასიყვარულო ლექსებს, ლეონს კი არასოდეს ორი სტრიქონიც კი არ დაეწერა, ამიტომ იძულებული იყო ალმანახიდან გადმოეწერა შესაფერისი სონეტი.

ეს ჩაიდინა არა ცრუ პატივმოყვარეობით, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ეამებინა, იგი, ჩვეულებრივად, არ ეწინააღმდეგებოდა ემას ჩვევებს, იზიარებდა მის გემოვნებას; ხასა უფრო იგი იყო, ვიდრე ემა. ემამ იცოდა საიდუმლოებანი ნაზი ალერსისა და ხვევნა-კოცნისა, რაც ყმაწვილის არსებას მთლად ჰბოჭავდა; სად შეიძინა ეს გარყვნილება, თითქმის არანიეთიერი, ასე ღრმა, ასე იდუმალიო?

VI

ემას სანახავად რომ იონვილს დაიარებოდა, ლეონი ხშირად სადილობდა მეაფთიაქისას, ამიტომ თავაზიანობის წესი მოითხოვდა, რათა თავის მხრივ, დაეპატიჟა იგი.

— სიამოვნებით გეწვევი, — მიუგო ჰომემ. — მართლაც, ური-

ვო არ იქნება, მეც წყალი დავალევინო თვალს, თორემ აქ სრულიად დავობდი. თეატრში წავიდეთ, რესტორნები მოვინახულოთ, ერთი სიტყვით, დრო გავატაროთ.

— აჰ, ჩემო კარგო!

ნაზად დაიჭიკჭიკა ქ-მა ჰომემ, რომელსაც ერთბაშად შიში აღეძრა იმ მრავალი ხიფათის გამო, რაც შეიძლეობდა მის ქმარს შემთხვეოდა.

— ჰო, ვითომ რაო? არ კმარა ის, რომ ჯანმრთელობას იმ ათასგვარი წამლის სუნთქვით ვიოხრებ? აი, როგორი ბრძანდებით ქალები: მეცნიერებაზე ეჭვიანობთ და თან არც ის მოგწონთ, როცა კაცი სულ უვნებელ გასართობს მოისურვებს. არა, თქვენ მაინც იმედი გქონდეთ, ამ დღეებში უთუოდ მოვალ რუანს და ერთი რიგიანად გავუტიოთ.

წინათ ასეთ გამოთქმას მეაფთიაქე უთუოდ მოერიდებოდა, მაგრამ ახლა კი ასეთი ქარაფშუტული ტონი ირჩია, რაც, მისი აზრით, უზენაესი გემოვნების გამომხატველი იყო. და, როგორც მისი მეზობელი მადამ ბოვარი, იგიც ცნობისმოყვარეობით ეკითხებოდა კლერკს პარიზის ამბებს, მსმენელთა გასაოცებლად არგოს იშველიებდა და ხშირად ურევდა სხვებისათვის გაუგებარ სიტყვებს.

ამრიგად, ერთ-ერთ ხუთშაბათს, განცვიფრებული ემა „ოქროს ლომის“ სამზარეულოში შეხვდა ჩვენს ჰომეს, რომელიც სამგზავროდ იყო ჩაცმული: ძველი რამ საწვიმარი ამშვენებდა, რომელიც ინონვილში მის ტანზე არავის ენახა; ცალ ხელში ჩემოდანი ეჭირა, მეორეში კი — აფთიაქიდან წამოღებული ფეხთსათბობი. თავიანი გეგმა არავისთვის გაუზიარებია, რადგან შიშობდა, ხალხი შეშფოთდებაო.

იმის ფიქრი, რომ კვლავ ნახავდა იმ ადგილებს, სადაც სიყმაწვილე გაეტარებინა, რა თქმა უნდა, ახალისებდა და მთელი გზა ენა არ დაუყენებია; მივიდა თუ არა, ეტლიდან ჩამოხდა და ლეონის საძებრად გაეშურა; ბევრი იუარა ლეონმა, მაგრამ მაინც არ მოეშვა და „ნორმანდიის“ დიდ ყავახანაში წაიყვანა, სადაც ბ. ჰომე ქუდმოუხდელად შევიდა, ვინაიდან საზოგადოების შესაკრებ ადგილას თავშიშვლობა პროვინციულ ჩვეულებად მიაჩნდა.

ემა თითქმის ერთი საათის განმავლობაში ელოდებოდა ლეონს. მერმე კანტორაში ავიქცა, აყვედრიდა, სისუსტის გამო საკუთარ

თავს ტუქსავდა; მთელი ნასადილევი დრო ფანჯარასთან იჯდა, შუბლით მინას მიყრდნობილი.

უკვე ორი საათი იყო, მაგრამ ჰომე და ლეონი კვლავ პატარა სუფრას უსხდნენ, დიდი დარბაზი თანდათან დაცარიელდა; პალმასავით ამართული ღუმელის საკომური თეთრ ჭერში აბჯენდა თავის მოოქრულ კირწს; მათს ახლოს პატარა შადრევანი ქღურტულებდა მარმარილოს აუზში, სადაც სალათასა და სატაცურს შორის სამი ვეება ომარი გაჭიმულიყო და გრძელი ულვაშებით ჭწკრივად დალაგებულ მწყურებს ეხებოდა.

ჰომე ტკბებოდა, თუმცა ამ ფუფუნების სანახაობით უფრო თვრებოდა, მაგრამ პომარის ღვინომაც თავისი ქნა, და როცა რომიანი ერბოკვერცხი მოართვეს, უზნეო თეორიებზე გაბა ბაასი: ცხოვრებაში ყველაზე უფრო კოხტაობა მხიბლავს; წარმტაცია ქალის ლამაზი ტუალეტი შნოიანად მორთულ ბუდუარში; ხოლო რაც შეეხება ტანადობას, მოსქოს ვამჯობინებო.

ლეონი სასოწარკვეთილებით დასცქეროდა საათს. მეაფთიაქე კი განაგრძობდა სმა-ჭამას და ლაყბობას.

— რუანში ყოველივე ამას, ალბათ, ძაან მოკლებული ხართ, — უეცრად თქვა მან, — თუმცა თქვენი სიმპათია არც ისე შორსაა...

ხოლო რადგან ლეონი წამოწითლდა, მყის დასძინა:

— ჰა, გამოტყდით! აბა იმის უარს ხომ ვერ იტყვით, რომ იონვილში...

ყმაწვილმა რაღაც წაიდუდუნა.

— რომ იონვილში, მადამ ბოვარისას, თქვენ ეკურკურებით...

— ვის?

— მის მოახლეს!

იგი როდი ხუმრობდა. ლეონი კი, რადგან ცრუ პატივმოყვარეობით სიფრთხილეს სჯობნის ხოლმე, უნებლიეთ აღშფოთდა, სხვა არა იყოს რა, მე მხოლოდ შავგვრემანები მომწონსო.

— მე ვეთანხმები თქვენს არჩევანს, — მიუგო მეაფთიაქემ, — შავგვრემანები უფრო ტემპერამენტიანები არიან.

მერმე მის ყურთან დაიხარა და ჩურჩულით გაანდო ის ნიშნები, რომლებითაც შეიძლება ტემპერამენტიანების გარჩევა. ეთნოგრაფიული წვრილმანებიც კი ჩამოთვალა: გერმანელი ქალები ავზნიანები არიან, ფრანგები — გარყვნილები, იტალიელები — ვნებიანნიო.

— ზანგები? — ჰკითხა კლერკმა.

— ხელოვანთა მოსაწონი არიან, — განმარტა ჰომენ. — გარსონ, ფინჯანი ყავა!

— არ წავიდეთ?

შეეკითხა ბოლოს მოთმინებადაკარგული ლეონი.

— Ies.

მაგრამ წასვლამდე რესტორანის პატრონის ნახვა მოისურვა, რათა ორიოდე სიტყვა ეთქვა მისთვის.

მაშინ ყმაწვილმა საჩქარო საქმეები მოიმიზეზა, რათა როგორმე თავი დაეღწია.

— რაკი აგრეა, გაგაცილებთ! — მიუგო ჰომენ.

გზადაგზა თავის ცოლზე, ბავშვებზე, მათ მომავალსა და აფთიაქზე ელაპარაკებოდა, რომელიც წინათ ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო, მაგრამ მისმა გარჯილობამ ძალიან გააუმჯობესა.

„ბულონის სასტუმროსთან“ რომ მივიდნენ, ლეონი უცბად დაუსხლტა, კიბეზე ავარდა და თავისი სატრფო მეტად აღელვებული ნახა.

მეაფთიაქეს ხსენებაზე ემა გაფითრდა, ლეონი ბოდიშობდა, არწმუნებდა: ბრალი არა მაქვს, ხომ იცი ჰომეს ამბავიო. რა დასაჯერებელია, თითქოს მასთან ყოფნა მერჩივნოსო! მაგრამ ქალს აღარაფრის მოსმენა აღარ სურდა. ლეონმა ხელი მოხვია, დაიჩოქა, ეხვეწა, ემუდარა.

ქალი ზეზე იდგა; მისი ფართო მწველი თვალები სერიოზულად, თითქმის მრისხანედ უცქერდა. უეცრად ამ თვალებში ცრემლი აბრწყინდა, ვარდისფერი უპეები დაეშვა, ხელები მიანება, ლეონმაც გახშირებული ამბორი დააფრქვია, რომ უეცრად კარებში მსახური გამოჩნდა, — ბატონს ვიღაცა კითხულობსო.

— ხომ მალე დაბრუნდები?

— რა თქმა უნდა.

— მაინც როდის?

— ამ წუთს.

— ხრიკი ვიხმარე, — უთხრა მეაფთიაქემ ლეონს, — მინდოდა შემეწყვიტა ეგ ვიზიტი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, არაფრად გეპიტნავებოდათ. წავიდეთ ბრიდისას, ერთი ჭიქა გამაგრილებელი რამ დავლიოთ.

ლეონი ეფიცებოდა, აუცილებლად კანტორაში უნდა დავბრუნ-

ლეო. მაშინ მეაფთიაქემ ხუმრობა დაუწყო ქალაღდობიასა და სასამართლოს კლიაუზობაზე.

— თავი გაანებეთ მაგ თქვენ კუიაციებს და პარტოლოებს, ეშმაკმა იცის მაგათი თავი! რა გიჭირთ! ვაჟკაცი არა ხართ, წავიდეთ ბრიდისას, მის ძაღლსაც ნახავთ. ძალიან საინტერესო რამეა!

კლერკი მაინც უარობდა. მაშინ ჰომემ უთხრა.

— მაშ, მეც თქვენთან წამოვალ. მოგიცდით! გაზეთს წავიკითხავ. კანონთა კრებულს თვალს გადავავლებ.

ემას მრისხანებით, ჰომეს ლაყბობით და, შესაძლებელია, მაძღარი საუზმითაც გუნებააშლილი ლეონი ყოყმანობდა, მეაფთიაქე კი განაგრძობდა:

— წავიდეთ, წავიდეთ ბრიდისას! ორი ფეხის ნაბიჯზეა აქედან, მალპალუს ქუჩაზე.

სიმხდალის, უჭკუობისა და იმ უცნაური გრძნობის გამო, რომელიც ხშირად უსიამოვნო და უჩვეულო საქციელს ჩაგვადენინებს ხოლმე, იგი გაჰყვა ბრიდისას. მასპინძელი ეზოში იყო და თვალს ადევნებდა ფავის მუშებს, რომლებიც ზელცის წყლის სახდელ მანქანას ატრიალებდნენ. ჰომე ბრიდს მოეხვია. მუშებს რამდენიმე რჩევა მისცა, თითო ჭიქა წყალიც დალიეს. ლეონი რამდენჯერმე შეეცადა გაქცევას, მაგრამ მეაფთიაქემ ხელი დაუჭირა და უთხრა:

— ახლავე! მეც თქვენთან წამოვალ. „რუანის შუქურაში“ შევიაროთ. მინდა იქაურობაც მოვინახულო. ტომასენსაც გაგაცნობ უთუოდ.

ბოლოს, როგორც იქნა, ლეონმა თავი აიშვა, სასტუმროში მიირბინა, მაგრამ ემა იქ უკვე აღარ დახვდა.

ის იყო, წასულიყო გაბრაზებული. ჭირივით ეჯავრებოდა ახლა ლეონი, პატიოსანი სიტყვის გატეხა, როცა იგი პაემანს შეეხება, შეურაცხყოფად მიაჩნდა. ამიტომ დამატებით საბაბსაც ეძებდა გაყრისათვის: მას არ სჩვევია სიმამაცე, სუსტია, ქალაჩუნა, უილაჯო და სულმოკლე, ვით დიაცი, თანაც ძუნწი და მხდალია.

მაგრამ, ბოლოს, როცა დამშვიდდა, გულში გაივლო, ცილი დაეწამეო. ხოლო საყვარელი ადამიანის აუგად ხსენება მაინც შეუმჩნევლად გვაშორებს მათ. კერპების ხელისხლება როდი შეიძლება: ვარაყი ხელზე შეგვრჩება.

მას შემდეგ საქმე იქამდე მივიდა, რომ ხშირად ისეთ რამეებზე საუბრობდნენ, რასაც მათ სიყვარულთან არავითარი კავში-

რი არ გააჩნდა. თავის წერილებში ემა ლაპარაკობდა ყვავილებზე, ლექსებზე, მთვარესა და ვარსკვლავებზე, რაც უწყინარი საშუალება იყო განელებული ვნებისა, რომელიც გამოსაცოცხლებლად გარეგან საცთურს ებღაუჭებოდა. ყოველი განზრახული პაემანი უმწვერვალეს ნეტარებას ჰპირდებოდა ემას, მაგრამ შემდეგ კი იგი იძულებული იყო გამოტეხილიყო, რომ არაფერი არაჩვეულებრივი არ განუცდია. ამ გულაცრუებას ახალი იმედი მოსდევდა და უფრო აღტყინებული, უფრო მოწყურებული უბრუნდებოდა საყვარელს, უხეშად იწყებდა გაშიშვლებას, წყვეტდა კორსეტის წვრილ ზორტებს, რომლებიც მოსრიალე გველებივით ეხვეოდნენ თეძოებზე. ფეხაკრეფით მიკიდოდა კართან, დაკეტილია თუ არაო, და მერმე ერთბაშად გაიშვეტავდა მთელ ტანისამოსს და ფერმკრთალი, მდუმარე, სერიოზული, მთლად აცახცახებული ჩაეკვრებოდა გულში საყვარელს.

გარნა, ამ შუბლზე, ცივი ოფლით რომ იყო დაცვარული, უაზროდ მოჩურჩულე ტუჩებში, გაშტერებულ თვალებში, მჭიდრო ხვევნაში ლეონს რაღაც უკიდურესი, საბედისწერო, ავის მომასწავებელი და ჩუმად შემოპარული რამ ეჩვენებოდა, რაც მათ ერთმანეთს დააშორებდა.

კითხვას, მართალია, ვერ ბედავდა, მაგრამ რაკი მის გამოცდილებას ხედავდა, გულში ამბობდა, ალბათ, ტანჯვისა და ტკბობის ყოველი საფეხური გაუვლიაო. ის, რაც წინათ ასე ხიბლავდა, ახლა ოდნავ გაურკვეველ შიშს ჰგვრიდა; და ყმაწვილის სულში იღვიძებდა აღშფოთება ამ მოხიბლვის წინააღმდეგ, მისი პიროვნების სრულებით შთანთქმას რომ ემუქრებოდა; ემასთვის ვერ ეპატიებინა მისი მუდმივი გამარჯვება. ცდილობდა კიდეც აღარ ჰყვარებოდა, მაგრამ მისი ფეხის ხმა ისე იმორჩილებდა, ვით ლოთს ღვინის დანახვა.

თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, ქალი ყურადღებას არ აკლებდა, საჭმლით დაწყებული და კოხტა ტანსაცმლით და გრძელი, მიბნედილი ცქერით გათავებული იონვილიდან მკერდით მოჰქონდა ხოლმე ვარდები და სახეში აყრიდა, ზრუნავდა მისი ჯანმრთელობისთვის. დარიგებას აძლევდა, როგორ უნდა მოქცეულიყო და რათა უფრო მტკიცედ ჰყოლოდა მიბმული, ღვთისმშობლის პაწია ხატიც კი დაჰკიდა გულზე იმ იმედით, რომ ცამაც თავისი საფარვე-

ლი მოავლინოსო. მოსიყვარულე დედასავით გამოჰკითხავდა ხოლმე ამხანაგების ამბავს და ხშირად ეტყოდა.

— ნუღა ინახულებ მათ, ნურსად წახვალ, მხოლოდ ჩვენს ბედნიერებაზე ფიქრობდე, გიყვარდე, გიყვარდე!

სურდა თვალყური ედევნებინა მთელი მისი ცხოვრებისათვის და ფიქრადაც კი მოსდიოდა ვინმე საგანგებოდ მიეჩინა მისთვის ქუჩაში სათვალთვალოდ. სასტუმროსთან მუდამ დაეხეტებოდა ხოლმე ერთი ვინმე, რომელიც გამვლელებს თავს აბეზრებდა, იგი უთუოდ არ იტყოდა უარს... მაგრამ სიამაყემ ამის ნება არ მისცა.

— აჰ, განა სულ ერთი არაა, თუკი მატყუებს! რა მენაღვლება? განა ასე შეულეველია?

ერთხელ, როცა ერთმანეთს ადრე დაშორდნენ და ემა ბულვარით ბრუნდებოდა, უეცრად თავისი მონასტრის კედლებს მოჰკრა თვალი. იქვე, თელების ჩრდილში, სკამლოგინზე ჩამოჯდა, რა სიმშვიდე სუფევდა იმ დროს მის სულში! როგორ წყუროდა ის უშრეტი გრძნობანი, რომელთა წარმოდგენასაც წიგნების საშუალებით ცდილობდა!

გათხოვების პირველი თვეები, ცხენით ტყეში სეირნობა, ვალსი ვიკონტთან, ლაგარდის მღერა, ყოველივე თვალწინ წარმოუდგა... და, უეცრად, ლეონიც ისეთივე შორეული ეჩვენა, ვით სხვები.

— არა. ხომ მაინც მიყვარს? — გაიფიქრა.

განა სულ ერთი არაა! ბედნიერი არც ახლა არის და არც არასოდეს ყოფილა. მაშ საიდან წარმოდგა ცხოვრების ეს სინაკლულე. მთელი ეს უეცარი გახრწნილება, რაზედაც დაყრდნობას ფიქრობს? ხოლო თუკი სადმე არსებობს ძლიერი და ლამაზი ვინმე, ღირსეული, აღმაფრენითა და უზენაესი მისწრაფებით აღსავსე, გულით პოეტი და სახით ანგელოზი, სიმებწკრიალა ჩანგი, ზეცას რომ ტკბილხმოვან სასძლო-საგალობელს უგზავნის, ბედისწერა რატომ მას არ შეახვედრებს? ოჰ, რა შეუძლებელია! არა, ამქვეყნად არაფერი ძიებად არა ღირს, ყოველივე სიცრუეა! ყოველ ღიმილში მოწყენის მთქნარება იმალება, ყოველ სიხარულს წყევა ახშობს, ყოველ სიამეს ზიზღი მოსდევს და თვით უცხუნვარესი ამბორი ბაგეზე მხოლოდ უზენაესი ტკბობის მოუკვლელ წყურვილს ტოვებს.

ლითონისებურმა ტკრციალმა ჰაერი შეარყია და მონასტრის სამრეკლოზედაც ზარის ოთხი შემოკვრა გაისმა. ოთხი საათია! მას

კი ეგონა, მთელი საუკუნის განმავლობაში ამ სკამზე ვზივარო. განა განუზომელი ვნებანი შეიძლება ერთმა წუთმაც დაიტიოს ისე, ვით რიცხვმრავალი ბრბო მცირე სივრცემ?

ემაც თავისი გრძნობებით გატაცებული ცხოვრობდა და ისევე ნაკლებ ფიქრობდა ფულზე, ვით რომელიმე დიდი თავადის ასული.

მავრამ ერთ მშვენიერ დღეს ეწვია ერთი ვინმე ჩია, მწითური და მელოტი, რომელმაც განუცხადა, ვენსარმა გამომგზავნა რუინიდანო. უცნობმა თავისი მწვანე რედინგოტის უბის ჯიბეს ქინძისთავები დააძრო, სახელოზე დაიბნია და თავაზიანად რაღაც ქაღალდი გაუწოდა.

ეს იყო ემას მიერ ხელმოწერილი ვექსილი რვაასი ფრანკისა, რაც ლერემ, მიუხედავად ემას თხოვნისა, ვენსარის განკარგულებაში გაგზავნა.

ლერესას მსახური გაგზავნა; შემოეთვალა: არ მცალიაო.

მაშინ უცნობი, რომელიც ზეზე იდგა და ცნობისმოყვარეობით მალულად ათვალიერებდა ყველაფერს მარცხნით თუ მარჯვნით, გულუბრყვილოდ შეეკითხა:

— რა პასუხს ინებებთ ვენსარის გასაცემად?

— გადაეცით, რომ ამჟამად ფული არა მაქვს... მომავალ კვირაში მივიღებ... მადროვოს... დიახ, მომავალ კვირაში.

უცნობი უხმოდ გავიდა.

ხოლო მეორე დღეს, შუადღისას, აღმასრულებელი ფურცელი მიაყენეს კარზე; საგერბო ქაღალდის დანახვამ, რაზედაც რამდენჯერმე მსხვილი ასოებით ეწერა: „ჰარან, ბიუშის სასამართლოს აღმასრულებელი“, ისე შეაშინა ემა, რომ იმწამსვე ვაჭრისას გაიქცა.

ლერე სავაჭრო რაღაცას ფუთავდა.

— თქვენი უმორჩილესი მონა! — წამოიძახა მან, — რას გვიბრძანებთ?

თან მუშაობას განაგრძობდა, რაშიც ცამეტიოდე წლის გოგონა შველოდა, ოდნავ კუზიანი, უხერხული, რომელიც ვაჭრისას ერთსა და იმავე დროს ნოქრისა და მზარეულის მოვალეობას ასრულებდა.

შემდეგ ხის ქოშების ბრახუნით ქალბატონი ზემო სართულის ვიწრო კაბინეტში აიყვანა, სადაც უშნოდ ნახელავ საწერ მაგიდაზე ეწყო შემოსავალ-გასავლის რამდენიმე წიგნი, რასაც დაბოქლომებული სარტყელი იცავდა. კუთხეში, ჩითის გაუხსნელ თოფებს ქვეშ, სალარო ყუთი იდგა, გარნა ისეთი მოცულობისა,

რომ მასში, ალბათ, მარტო თამასუქები როდი ინახებოდა! და მართლაც, ლერე ნივთების გირავნობითაც ავალებდა ფულს; სწორედ ამ ყუთში შეინახა მან ოდესღაც მადამ ბოვარის ოქროს ძეწკვი და საყურეები საბრალო ტელიესი, რომელიც ბოლოს იძულებული იყო მთელი ქონება გაეყიდა, რის ნაცვლადაც კენკამპუანში საწვრილმანო შეიძინა და, კუჭის კატარით ავადმყოფი, იქ ლევდა თავის ბოლანასკნელ დღეებს თაფლის სანთლის გროვათა შორის, რომლებიც მასზე ნაკლებ ყვითელი ჩანდა.

ლერე განიერმოწნულ სავარძელში ჩაჯდა და ჰკითხა:

— ახალს რას იტყვით?

— კი. — და ქაღალდი გაუწოდა.

— დიახ, მაგრამ მე აქ რა შემიძლია?

ემა გაფიცხდა, მოაგონა დაპირება, ვექსილს საბრუნავად არ ვაუშვებო; იგიც არ უარყოფდა ამას.

— იძულებული ვიყავი. ყელს დანა დამაჭირეს!

— ახლა რაღა მომელის? — ჰკითხა ქალმა.

— ოჰ, სულ უბრალო რამე: სასამართლოს დადგენილება, შემდეგ კი ყადაღა... გადავებული საქმეა!

ემამ თავი ძლივს შეიკავა, რომ სილა არ გაეწნა მისთვის. მერმე მშვიდად შეეკითხა. განა არავითარი საშუალება არაა ვენსარის დასაწყნარებლადო.

— ცადეთ ერთი: ვის შეუძლია მისი დაწყნარება? თქვენ მას ვერ იცნობთ! ნამდვილი ულმობელი არაბია.

— კი. მაგრამ საჭიროა ლერე ჩაერიოს ამ საქმეში.

— გამიგონეთ. მე მგონია, რომ აქამდე ძალიან კარგი ვიყავი თქვენთვის.

და ერთ-ერთი საანგარიშო წიგნი გადაშალა:

— კი, დახედეთ!

თითი ნუსხის ქვემოდან ზემოთ ააყოლა, ციფრები ჩამოთვალა:

— კი. ინებეთ... ინებეთ... აგვისტოს 3-ს ორასი ფრანკი... ივნისის 17-ს ას ორმოცდაათი... მარტის 23-ს ორმოცდაექვსი... და აპრილში...

აქ უკვერდა შედგა, თითქოს სისულელე არ წამომცდეს რაო.

— აღარაფერს ვამბობ თქვენი ქმრის მიერ გაცემულ ვექსილებზე, ერთია შვიდასი ფრანკის, მეორე კი სამასისა! ახლა კიდევ თქვენი წვრილმანი ვალები და ვადაგასული სარგებლის გადახდ:

იმდენია, რომ ვერც კი ჩამოვთვლი, ამიტომ მე აღარაფერში აღარ ვერევი!

ემა ატირდა, ლერეს „კეთილი ბატონი ლეონეც“ კი უწოდა. ეს კი „ქოფაკ ვენსარს“ ადანაშაულებდა; ამასთან თვით მას ახლა ერთი გახვრეტილი ფარაც კი აღარ გააჩნია, ვალს აღარავინ უხდის, სულ გაატყავეს, ისეთ საბრალო მეწვრილმანეს, როგორიც ისაა, სად შეუძლია ფულის გავალება!

ემა დუმდა; ლერე ბატის ფრთის კალმის ბოლოს კვნეტდა, ალბათ ემას დუმილმა შეაშინა და ბოლოს თქვა:

— ამ დღეებში რომ რაიმე იქნებოდეს შეტანილი... მაშინ შესაძლებელია...

— როგორც კი დანარჩენ ფულს მივიღებ ბარნევილის საფასურში...

— როგორ?

და როცა შეიტყო, ლანგლუას ჯერ კიდევ არ გაუსტუმრებიაო, დიდად გაიკვირვა. მერმე ტკბილი ხმით დაურთო:

— მაშ, მოვრიგდებითო, ამბობთ?

— როგორც კი გენებებათ!

ლერემ თვალები მოხუჭა, რაღაც მოიფიქრა, რამდენიმე ციფრი დაწერა და განაცხადა, მეტად მეძნელება, სახუმარო საქმე როდია, თქვენი გულისთვის ვიღუპებიო. ოთხი ვექსილი დააწერინა, თითო ორას ორმოცდაათ ფრანკიანი, თანდათანობით თვიური ვადით.

— ოღონდ კი ვენსარი დავითანხმო! თუმცა საქმე უკვე გათავებულია, მე ადამიანის წვალება როდი მიყვარს, გაჯანჯლება ვეჯავრება.

მერე უგულოდ ახალმოდის რამდენიმე ქსოვილი აჩვენა, რომელთაგანაც, მისივე სიტყვით, არც ერთი არ ეკადრება ასეთ ქალბატონს.

— წარმომიდგენია, შვიდსუიანი საკაბე და ისიც პირობით, რომ არ გახუნდება! ზოგიერთი ყეყეჩი პირს დააღებს სიხარულით, ის კი ბრ იცის, საქმე რაა!

ასეთი აღსარებით, რომ სხვებს ატყუებს, იმის დამტკიცება სურდა, ვითომ შენ სინდისიერად გეპყრობიო.

შემდეგ კარებიდან მოაბრუნა, რათა სამიოდე მეტრი გიპიური ეჩვენებინა, რომელიც „იაფ ვაჭრობაზე“ შემთხვევით იშოვნა.

— ხომ ლამაზია! — ამბობდა, — ახლა ძალიან ბევრს მიაქვს ასეთი გიპიური სავარძლების გადასაკრავად, მოდაშია!

და ჯამბაზზე უფრო მოხერხებით შეახვია ქსოვილი ლურჯ ქაღალდში და გადასცა.

-- ფასი მითხარით მაინცა...

— აჰ, შემდეგ... — უთხრა და ქუსლებზე შეტრიალდა.

იმ საღამოსვე ემამ აიძულა ქმარი, რათა დედისთვის მიეწერა, რომ მემკვიდრეობის დანარჩენი ნაწილიც გამოეგზავნა. დედაჩთილმა შემოუთვალა: მეტი აღარაფერი გამაჩნია; ლიკვიდაცია დასრულებულია და მათს წილად, გარდა ბარნევილისა, დარჩა ექვსასი ლივრის წლიური შემოსავალი, რასაც თავის დროზე ზუსტად გაგზავნიან ხოლმეო.

მაშინ ემამ ანგარიში დაუგზავნა ქმრის ორ-სამ პაციენტს და ამის შემდგომ ხშირადაც ხმარობდა ხოლმე ასეთ ხერხს, რაც მიზანშეწონილი გამოდგა მისთვის. პოსტსკრიპტუმში უთუოდ მიაწერდა ხოლმე: „ჩემს ქმარს ამას ნუ გაუმხელთ, ხომ იცით, როგორი ამაყია... უკაცრავად ვარ... მარად თქვენი“... იყო რამდენიმე შეკითხვაც, მაგრამ ყველა ემასვე ჩაუვარდა ხელში.

ფული რომ როგორმე ეშოვნა, ხელი მიჰყო ძველმანების გაყიდვას: თათმანები, ქუდები, ჯართი, ყველაფერს კრიჟანგულად ვაჭრობდა, მოგების სურვილით სავსებით მეღავნდებოდა მისი გლეხური სისხლი. გარდა ამისა, ქალაქში ყოფნის დროს ყიდულობდა სხვადასხვა გამოუსადეგარ რამეებს იმ იმედით, რომ, თუ სხვა ვინმე არა, ლერე მაინც გამისაღებსო. ასე მოაგროვა სირაქლემას ფრთები, ჩინური ფაიფური, კოლოფები თუ ყუთები და ყოველივე ამისათვის სესხულობდა ფულს ფელისიტესაგან, ქ-ნ ლეფრანსუასა, „წითელი ჯვრის“ პატრონისაგან და ყველგან, სადაც კი მოახერხებდა. ბარნევილის მამულის ნაფასურიდან ორი ვექსილი გამოისყიდა, დანარჩენი ათას ხუთასი ფრანკი კი სადღაც გაქრა უნაყოფოდ. ვალი ვალს ემატებოდა დაუსრულებლად!

ზოგჯერ, მართალია, შეუდგებოდა ვალების გამორკვევას და ანგარიშს, მაგრამ მალე ისეთ საშინელ დეფიციტს აღმოაჩენდა, რომ საკუთარ თავს არ უჯერებდა. ხელახლა დაიწყებდა ანგარიშს, დაიბნეოდა, მიაგდებდა და შემდეგ ცდილობდა სულაც აღარ ეფიქრა ამაზე.

ოჯახში მწუხარებამ დაისადგურა. მოვალეები... ერთიმეორეზე

გამოდიოდნენ იქიდან გაბრაზებულნი. ღუმელზე ჭუჭყიანი ცხვირსახოცები ეყარა; პატარა ბერტა, ქ-ნ ჰომეს გასაოცრად, დახეული წინდით დაიარებოდა. თუ შარლი გაბედავდა ეთქვა, ყველაფერი რიგზე არ არისო, ემა უხეშად მიუგებდა, რა ჩემი ბრალიაო!

ასე რამ გააწიწმატა? შარლი ყოველივეს მისი წინანდელი ნერვული აშლილობით ხსნიდა და საკუთარ თავს უსაყვედურებდა, ავადმყოფობას ცუდ საქციელში რად ვუთვლიო; თავის თავს ეგოიზმს სწამებდა და სურდა მისულიყო ცოლთან და ხელები დაეკოცნა.

-- ოჰ, არა, — იტყოდა თავისთვის, — უფრო შევაწუხებ!

და განზრახვას მოიშლიდა.

ნასადილევს ბაღში მარტო დასეირნობდა ხოლმე; პატარა ბერტას მუხლზე დაისვამდა, სამკურნალო ჟურნალს გადაშლიდა და ცდილობდა ანბანი ესწავლებინა. მეცადინეობას მიუჩვეველი გოგონა თვალებს ნაღვლით გამოპრაწავდა და ტირილს დააპირებდა. შარლი მოეფერებოდა; სარწყავში წყალს ჩაუსხამდა და ქვიშაში ნაკადულს დაუდენდა, ან კენწლებს დაამტვრევდა და ყვავილნარში დაასობდა, ვითომ ტყე არისო; ამით, რასაკვირველია, ბაღს არავითარი ზიანი არ ადგა, რადგან ისედაც მორეული ჰქონდა მაღალი ბალახი; რამდენი დღისა ემართათ ლუსტიბუდუასი! მერმე ბავშვს შეცივდებოდა და დედას დაუძახებდა.

— ძიძას დაუძახე, — ეტყოდა შარლი, — ხომ იცი, ჩემო პატარავ, რომ დედას არ უყვარს, როცა აწუხებენ.

მოახლოვდა შემოდგომა, ფოთოლი ცვივოდა, როგორც ამ ორი წლის წინათ, როცა ემა ავად იყო! როდისღა მოეღება ბოლო ყოველივე ამას!.. და შარლი ზურგზე ხელებს მოიდებდა და ბაღში აქეთ-იქით იწყებდა სიარულს.

ქალბატონი თავის საწოლ ოთახში იჯდა, იქ შესვლას ვერავინ გაბედავდა. მთელი დღე რჩებოდა იქ როგორღაც გაშეშებული, ჩაუცმელი, მოურთავ-მოუკაზმავი; დროდადრო აღმოსავლურ სურნელს წვავდა, რუანში რომ ეყიდნა ალჟირელ ვაჭართან. ღამით რომ გვერდით ქმარი მძინარი არ ჰყოლოდა, ბევრი მანჭვა-გრეხით აიძულა ზეთო სართულში გადასულიყო, თვითონ კი გათენებამდე უცნაური შინაარსის წიგნებს კითხულობდა, სადაც ორგიები და სისხლიანი სცენები იყო აღწერილი. ხშირად შიშის ზარი შეიპყრობდა, წამოიკივლებდა. შარლი ჩამოირბენდა.

— აჰ, წადი, მომშორდი! — მიაძახებდა ცოლი.

ან, ზოგჯერ, შინაგანი ცეცხლით ანთებული, რასაც აკრძალული სიყვარული ასაზრდოებდა, ვნებიანი აღტყინება ეძალებოდა, მაშინ ფანჯარას გააღებდა, ცივ ჰაერს მკერდს მიუშვერდა, გრძელსა და მძიმე ნაწნავებს გაიშლიდა, ვარსკვლავებს თვალს მიაპყრობდა და მეფისწულის სიყვარულს ნატრობდა. იმაზედაც, ლეონზედაც ფიქრობდა. რას არ გაიმეტებდა ამ დროს ერთ-ერთი იმ პაემნისათვის, რომელიც მის წყურვილს აცხრობდა ხოლმე!

ეს პაემნები მისი ნამდვილი დღესასწაულები იყო და უხვადაც იცოდა მათი გადახდა. როცა ლეონს სახსარი არ ეყოფოდა, დანარჩენს თვითონ კისრულობდა დაუზოგველად, ეს კი თითქმის ყოველთვის ხდებოდა ხოლმე. ლეონი ცდილობდა, როგორმე შთაეგონებინა, სხვა, უფრო იაფ სასტუმროშიც ისევე კარგად ვიქნებითო, მაგრამ იგი საწინააღმდეგოს ყოველთვის გამოძებნიდა.

ერთხელ, თავის პარკიდან ნახევარი დუზენი მოოქრული ვერცხლის კოვზები ამოიღო (მოხუც რუოს საქორწინო საჩუქარი) და სთხოვა სასწრაფოდ ლომბარდში შეიტანეო; ლეონი დაემორჩილა, თუმცა არ ეამა კი: ეშინოდა, არავინ მიცნოსო.

როცა დაფიქრდა, დარწმუნდა, რომ მისი ხასა რაღაც უცნაურად იქცევა, და, შესაძლოა, მართალნიც არიან ისინი, ვინც მასთან გაყრას ურჩევენ.

ამავე ხანებში ვიღაცას დედამისისთვის გრძელი უსახელო წერილი გაეგზავნა და ატყობინებდა: „შენი ვაჟი ქმრიან ქალს გადაეკიდა და თავს იღუპავსო“. საბრალო დედამ ნათლად წარმოიდგინა ცოლქმრული ცხოვრების მარად გამანადგურებელი, ახალგაზრდათა სიცოცხლის უცნობი დამღუპველი, ის ფანტასტიკური არსება, სირინოზი, რომელიც ჩვეულებრივი სიყვარულის მიუვალ კუნჭულებში განისვენებს, და ყოველივე გაანდო ლეონის უფროსს, ბ. დუბოჟაკს, რომელიც გამოსადეგი შეიქნა ამ საქმეში. იგი თითქმის მთელი ერთი საათის განმავლობაში ელაპარაკა ლეონს, ცდილობდა თვალი აეხილა მისთვის და გაეფრთხილებინა, რა საფრთხეც მოელოდა; ასეთი ინტრიგა შემდეგში ხელს შეგიშლის ცხოვრების მოწყობის საქმეშიო, ემუდარებოდა გაეწყვიტა ეს კავშირი და, უკეთუ საკუთარი მომავლის სიკეთისთვის არ გსურს ასეთი მსხვერპლის მოტანა, ჩემთვის და ჩემი პატივისცემისთვის მაინც ქენიო.

ლეონმა დაუთმო და შეჰფიცა, ამიერიდან ემას აღარ ვინახუ-

ლებო; ახლა კი თავს აყვედრიდა სიტყვის გატეხას, რადგან იცოდა, რომ ეს ქალი მრავალ უსიამოვნებასა და საყვედურს შეახვედრებდა, უკეთუ არ ვიანგარიშებთ იმ დაცინვას, რაც ამხანაგებისგან ესმოდა დილაობით, როცა ისინი ღუმელთან თბებოდნენ ხოლმე. გარდა ამისა, უკვე უფროსი კლერკის თანამდებობა აღუთქვეს, და დრო იყო, გონს მოსულიყო. საჭირო იყო ხელი აეღო სალამურზე, ფუქსავატობასა და ოცნებაზე. განა არის სადმე ისეთი ადამიანი, რომელსაც სიყმაწვილის მცხუნვარე ხანაში ერთი დღით, გინდ ერთი-წუთით, თავი დაუშრეტელ ვნებათა წყაროდ და დიდ ღვაწლთა შემძლედ არ წარმოედგინოს? თვით უმდაბლესი გარყვნილი ვინმე, ალბათ, სულთნის ცოლზე ოცნებობს, და თითოეული ნოტარიუსიც პოეტის სულის ნამსხვრევების მატარებელია.

ახლა იგი უკვე მოწყენილობას განიცდიდა, როცა ემა უეცრად ატირდებოდა ხოლმე მის მკერდზე; ლეონს სწორედ ისე, ვით იმ ადამიანებს, რომელთაც მუსიკის განცდა მხოლოდ ერთგვარი ზომიერი დოზით შეუძლიათ, ვნებათა ამ აბობოქრების დროს რაღაც გულგრილი თვლემა შეიპყრობდა ხოლმე, და უკვე ვეღარ არჩევდა სიყვარულის ნაირნაირ მომხიბვლელობას.

ისინი ისე ძლიერ კარგად იცნობდნენ ერთმანეთს, რომ ხორციელი ტკბობის იმ განსაცვიფრებელ თავდავიწყებას, რაც სიამეს აასკეცებს, უკვე ძალა აღარ ჰქონდა. ემას უკვე მობეზრდა ლეონი, და თვით ლეონიც დაღლილობას გრძნობდა ემას გამო. ამ მოღალატურ სიყვარულში ემამ ცოლქმრული ცხოვრების სიტლანქე დაინახა. გარნა, როგორ უნდა დააღწიოს თავი? დაე, ასეთი ბედნიერება დამამცირებელიც იყოს, ქალი მაინც ვერ ელეოდა მას, ჩვევის თუ გარყვნილების გამო; დღითიდღე უფრო მეტი გამწარებით ეპყრობოდა მას, აღარ ზოგავდა სიამის არავითარ შესაძლებლობას, რათა ზედმეტად გაემძაფრებინა იგი. ლეონს თავისი იმედის გაცრუებას უკიჟინებდა, თითქოს იგი მოღალატე ყოფილიყოს; ნატრულობდა უბედურებასაც კი, რაც მათ გაჰყრიდა, რადგან თვითონ საამისო გაბედულება არ გააჩნდა.

და, მიუხედავად ამისა, მაინც განაგრძობდა ლეონისადმი სატრფიალო წერილების გზავნას, რადგან სწამდა, ქალი მუდამ უნდა სწერდეს თავის საყვარელსო.

ხოლო, როცა ამ წერილებს წერდა, თვალწინ სულ სხვა ვინმე ედგა, აჩრდილი, რომელიც ნაყოფი იყო საკუთარ აღტყინებულ

მოგონებათა, საყვარელ წიგნებში წაკითხულ სახეთა და უმძაფრეს-ნატვრათა; ეს ხატება, ბოლოს და ბოლოს, ისეთი ხორცშესხმული ხდებოდა, რომ ქალი ნეტარებით თრთოდა მის წინაშე, მაგრამ მეტი გარკვეულობით მის წარმოდგენას მაინც ვერ ახერხებდა, რადგან ხატება იგი, ვით ღმერთი, საკუთარ ჭარბ ღირსებათა ბურუსში იძირებოდა. იგი ცხოვრობდა მზიურ ქვეყანაში, სურნელოვან ყვავილთა შორის, მთვარის შუქით მოვარაყებულ არეში, სადაც აიკენებზე აბრეშუმის კაბები შარიშურობდნენ. სულ ახლოს გრძნობდა მას, თითქმის გვერდით; აი, მოდის იგი და ერთი მცხუნვარე ამბორით წარიტაცებს. ხოლო, ერთი წუთის შემდეგ კი, ქალი, მთლად განადგურებული, კვლავ ცოდვით მიწაზე დაეცემოდა, რადგან ეს საშინელი ლტოლვანი ტრფობისა უფრო მეტად ქანცავდნენ, ვიდრე თვით უმძაფრესი ხორციელი ტკბობანი.

ახლა იგი მუდამ საერთო უღონობასა და ავადობას გრძნობდა. ხშრად, მაშინაც კი, როცა აღმასრულებელი ფურცლის გერბიან ქაღალდს მიიღებდა, ზედ არც კი დახედავდა. სიკვდილს ნატრულობდა ან მუდმივ, გაუტეხელ ძილს.

შუა ყველიერის დღეს იონვილს აღარ დაბრუნებულა და მაკარადზე წავიდა: ხავერდის შარვალი, წითელი წინდები, XVIII საუკუნისებური პარიკი, ყურზე პატარა ფარანი. ტრომბონების გამაყრუებელ ხმაზე მთელ ღამეს ცეკვავდა; გარშემო ბრბო ეხვია, ფერხულს უვლიდა, დილით ქუჩაში რომ გამოვიდა, ექვსიოდე ნიღაბოსანი შერჩა, ლეონის ნაცნობები: ნავსადგურის მუშა-ქალები და მეზღვაურები; საკახშმოდ წასვლას ვარაუდობდნენ.

ყველა უახლოესი კაფე ხალხით იყო გაჭედილი. ნავსადგურში ერთი უხეირო სამიკიტნო იპოვეს, სადაც პატრონმა ერთი პატარა ოთახი გაუღო მეოთხე სართულზე.

მამაკაცებს კუთხეში ჩურჩული შეექნათ, ალბათ, ხარჯზე თათბირობდნენ, მათ შორის იყო ერთი კლერკი, ორი მკურნალის თანაშემწე, ერთი ნოქარი; ერთი სიტყვით, ენა უკეთეს საზოგადოებას ვერ ინატრებდა! რაც შეეხება ქალებს, მათი ხმის კილოზე ემატალე მიხვდა, რომ ისინი სულ უკანასკნელი ხარისხისა უნდა ყოფილიყვნენ. მაშინ შეშინდა, სკამი უკან დასწია, თავი დახარა.

კომპანია სმა-ჭამას შეუდგა. ემას კი ხელი არაფრისთვის უხლია; თავი სტკიოდა, თვალები ეხუჭებოდა, ტანში ერუანტელი უვლიდა, ყურში ისევ იატაკის ჭრაჭუნის ხმა ედგა, ათასთა მოცეკვავე

ფეხი რომ აზანზარებდა. პუნშისა და სიგარის სუნი თავბრუს ახვევდა. კინაღამ გული წაუვიდა; ფანჯარასთან მიიყვანეს.

თენდებოდა. წმ. ეკატერინეს მთის მწვერვალზე უზარმაზარი მეწამული ლაქა ეფინებოდა მიმკრთალებულ ცას. დამდორებულ-მორუხო მდინარეს ქარი აჩქროლებდა. ქუჩაში ჭაჭანება აღარ იყო: ფარნები ქრებოდა.

ემა გამოერკვა და უეცრად გაახსენდა თავისი გოგონა, რომელსაც იქ, თავის ოთახში ეძინა ძიძასთან ერთად. ქუჩაში გრძელი რკინის ლატნებით დატვირთულმა ურემმა გაიარა, მიდამო რკინის გამაყრუებელმა ჯახუნმა მოიცვა.

შეუმჩნევლად გაილალა, კოსტიუმი გაიხადა, ლეონს უთხრა, უკვე ჩემი წასვლის დროაო. და, ბოლოს, „ბულონის სასტუმრო"-ში მარტო დარჩა. ყველაფერი, საკუთარი თავიც კი, აუტანელი ეჩვენებოდა. სურდა ჩიტივით სადმე გაფრენილიყო, შორს, ძალიან შორს და წმიდა, შეუმწიკვნელ ატმოსფეროში განბანილიყო.

სასტუმროდან გავიდა, გაიარა ბულვარი, კოშუაზის მოედანი. გარეუბანი და ქუჩის გასათავარზე შედგა, ბაღებთან, ჩქარა ვიდოდა, სუფთა ჰაერი დამამშვიდებლად მოქმედებდა და მალე ბრბო, ნიღაბოსნები, ცეკვა, ვახშამი, ეს ქალები, ყველა და ყველაფერი სადღაც გაქრა, ვით ნისლი დაიცარა. „წითელი ჯვრის" სასტუმროში რომ მივიდა, სწრაფად შეაღო თავისი პატარა ოთახი, მეორე სართულზე, სადაც ნელის კოშკის სურათები ეკიდა, და იმწამსვე ლოგინზე დაეცა. მხოლოდ ნაშუაღამევის ოთხ საათზე გააღვიძა ივერმა.

შინ მისვლისთანავე ფელისიტემ კედლის საათის უკანიდან რაღაც რუხი ქაღალდი გამოაძრო და გადასცა. ემამ წაიკითხა:

„თანახმად სასამართლოს დადგენილებისა, რაც სისრულეში უნდა იქნეს მოყვანილი..."

რა დადგენილება? ჰო, გუშინ რაღაც ქაღალდი მოუტანეს, რომელიც ჯერ არც კი უნახავს, ამიტომ ამ სიტყვებმა სრულიად განაცვიფრა:

„მისი უდიდებულესობის მეფის ბრძანებით და კანონისა და მართლმსაჯულების სახელით, ქ-ნი ბოვარი ვალდებულია..."

და რამდენიმე სტრიქონის შემდგომ განაგრძო:

„ოცდაოთხი საათის ვადაში, დაუყოვნებლივ..."

— რაო?

„გადაიხადოს უკლებლივ თანხა რვა ათასი ფრანკის რაოდენობით“. ხოლო ბოლოს მიწერილი იყო:

„უკეთუ ქ-ნი ბოვარი ამ დადგენილებას არ შეასრულებს, ნაბრძანებია, კანონისამებრ მოეპყრონ, სახელდობრ, ასწერონ და ყადაღა დაადონ მთელ მის მოძრავ ქონებას“.

რა უნდა ქნას? ოცდაოთხი საათის ვადაში! მაშასადამე, ხვალ! ლერე, ალბათ, კვლავ მაშინებსო, გაიფიქრა. და უეცრად ნათელი გახდა ყოველი მისი ეშმაკობა და თავაზის მიზანი. თვით ვალის უზომოდ გაზრდილი თანხა ამშვიდებდა ოდნავ.

იმ დროს, როცა ემა ყიდულობდა, მაგრამ ფულს კი არ იხდიდა, პირიქით კიდეც სესხულობდა მისგან, აძლევდა და აახლებდა ვექსილებს, რომელთა ღირებულებაც ყოველ განვალებაზე თანდათანობით იბერებოდა, ლერემ ნელინელ გვარიანი კაპიტალი დაამრგვალა და ახლა მოუთმენლად ელოდებოდა მის განაღდებას საშემდეგო სპეკულაციისთვის.

სრულიად უდარდელი სახე ჰქონდა ემას, როცა ლერესთან შევიდა.

— თქვენ იცით, რაც დამემართა? ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობაა!

— სრულიადაც არა!

როგორ?

იგი ზანტად შეირხა, ხელები გულზე დაიკრიფა და უთხრა:

— მაშ, თქვენ გეგონათ, ჩემო პატარა ქალბატონო, რომ მხოლოდ თქვენს მშვენიერ თვალთა ჭვრეტის გულისთვის მეორედ მოსვლამდე თქვენი მორჩილი შემძენი და ბანკირი ვიქნებოდი? ჩემი საწყალი კაპიკები ხომ უნდა დავიბრუნო როდისმე, სამართალი აღარ არის?

ქალს აღნიშნული თანხის გაბერვა აბრაზებდა.

— ეჰ! უკაცრავად! სასამართლომ ის დაადასტურა. დადგენილება გამოტანილია! თქვენ ქაღალდი გამოგეგზავნათ... თუმცა მე აქ არაფერ შუაში ვარ, ეს ვენსარის საქმეა.

— თქვენ კი არ შეგეძლოთ?...

— ოჰ, სრულიად არაფერი.

— კი, მაგრამ... ყოველ შემთხვევაში... მოვიფიქროთ...

ემა მოჰყვა ცისას და ბარისას, სრულიადაც არ მოველოდი ამასხე უეცრადო...

— მერე ვისი ბრალია? — უთხრა ლერემ, — მე რომ აქ მონასავით ოფლსა ღვრი, თქვენ მხიარულ დროსტარებაში ხართ.

— გთხოვთ, ჭკუას ნუ მასწავლით!

— ეს არასოდეს საზიანო არაა. — მიუგო მან.

ქალი შეშინდა; ხვეწნა დაუწყო, და თავისი თეთრი და მოგრძოთიოლებიანი ხელიც კი დაადო მუხლზე ვაჭარს.

— თავი დამანებეთ! ასე მგონია, შეცდენა გინდათ-მეთქი!

— არამზადავ! — შეჰკივლა ემამ.

— ოჰო, ძალიან ფიცხდებით! — სიცილით თქვა მან.

— ყველას წინაშე გამოვაჩენ თქვენს კაი კაცობას. ქმარსაც ეეტყვი, რომ...

— ჰოდა, მეც რასმე ვუჩვენებ თქვენს ქმარს!

და ლერემ ცეცხლგამძლე სკივრიდან ათას რვაასი ფრანკის ქვითარი ამოიღო, ვენსარის მიერ ვექსილის დახურდავების შემდეგ რომ ემამ მიიღო.

— ნუთუ გგონიათ, რომ საბრალო პატიოსანი კაცი თქვენს ასეთ მცირე ქურდობას ვერ მიხვდება? — უთხრა ვაჭარმა.

ემა, თითქოს თავში კეტი დაჰკრესო, მთლად მოიხარა. ლერე კი ფანჯარასა და საწერ მაგიდას შორის მიმოდიოდა და განაგრძობდა:

— აჰ, ვუჩვენებ... დიახ, ვუჩვენებ...

მერე მიუახლოვდა და ნაზი ხმით უთხრა:

— რასაკვირველია, ეს სასიამოვნო არაა. არც ამგვარი რამით ვომკვდარა ვინმე, მაგრამ რაკი ეს ერთადერთი საშუალებაა თქვენგან ჩემი ფულის მისაღებად...

— კი მაგრამ, საიდან უნდა გიშოვნოთ? — ხელების მტვრევით უთხრა ემამ.

— ეჰაა! ვისაც თქვენისთანა მეგობრები ჰყავს...

და ისეთი გამხვრეტი, საშინელი თვალი მიაშტერა, რომ ემა თავიდან ფეხებამდე ერეოლამ აიტანა.

— პირობას მოგცემთ... ხელს მოგიწერთ..

— მეყოფა თქვენი ხელწერილები...

— კიდევ გავყიდი რასმე...

— კარგი, თუ ღმერთი გწამდეთ! — მხრების აჩეჩით უთხრა მან, — გასასყიდი რაღა გაგაჩნიათ?

მერე სავაჭროსკენ გამართულ სარკმელში გასძახა:

— ანეტა, სამი ნაჭერიც არ დაგავიწყდეს, № 14!

მსახური შემოვიდა; ემა მიხვდა და ჰკითხა: რა თანხა იქნება საჭირო, რომ გადახდევინება შეაჩერონო.

— ახლა უკვე გვიანღაა!

— ხოლო რამდენიმე ათასი ფრანკი რომ მოგიტანოთ, მთელი თანხის მესამედი, ან თითქმის სულ?

— ეჰ, არ უშველის! — და ნელინელ მიერეკებოდა მას კიბისკენ.

— გემუდარებით, ბატონო ლერე, მაცალეთ კიდევ რამდენიმე დღე!

ემა ქვითინებდა.

— ეს კიდევ რა ამბავია? ცრემლები!

— თქვენ სასოწარკვეთილებაში მაგდებთ!

— მე მაგის დარდი არა მაქვს. — მიუგო და კარი გაიბრახუნა.

VII

ემამ სულის დიდი სიმტკიცე გამოიჩინა, როცა მეორე დღეს სასამართლოს აღმასრულებელი ჰარანი, ორი მოწმის თანხლებით, მისას გამოცხადდა ქონების ასაწერად.

ბოვარის კაბინეტიდან დაიწყეს. ფრენოლოგიური მოდელი თავისა სიაში არ შეუტანიათ, რადგან „პროფესიულ იარაღად“ სცნეს. სამაგიეროდ სამზარეულოში გადათვალეს ყველა თეფში, ქოთანი, სკამი, შანდალი, ხოლო ემას საწოლ ოთახში კი... ყოველი წვრილმანი დაათვალიერეს. მისი ტანისამოსი, საცვალი, მთლად გადააქოთეს ტუალეტის მოწყობილობა; მთელი მისი ცხოვრება გადმოატრიალეს თვით ფარულ კუნჭულებიანად. ასე რომ, იქაურობა ამ სამი კაცის წინაშე დაგდებულ განკვეთილ გვამსა ჰგავდა.

შავი, მჭიდრო სერთუკით, თეთრი ჰალსტუხითა და დაჭიმული შარვლით გამოწყობილი ბ. ჰარანი დროდადრო იტყოდა:

— თქვენ თუ ნებას დამრთავთ, ქალბატონო! თქვენ თუ ნებას ღამრთავთ!

ან უეცრად წამოიძახებდა:

— მომხიბლავია!... ძალიან ლამაზი ნივთია!

შემდეგ კი ფრთის კალამს რქის საწერელში ჩაუწებდა, მარცხენა ხელში რომ ეჭირა, და აღწერას განაგრძობდა.

ბინას რომ მორჩნენ. სხვენზე ავიდნენ.

იქ ემას საწერი მაგიდა ედგა, სადაც როდოლფის წერილებს ინახავდა, ისიც უნდა გაეღო.

— ჰა, მიმოწერა! — მოკრძალებული ღიმილით თქვა ჰარანმა, — მაგრამ, ნება მიბოძეთ, დავრწმუნდე, რომ იქ სხვა არა არის რა.

და ქაღალდები ფრთხილად შეარხია, თითქოს იქიდან ნაპოლეონისეულ ოქროების დაცვივნას ელისო. და ემას აღშფოთება მიეძალა ამ მსხვილი, წითელი, ლოკოკინასავით რბილი თითების დანახვაზე, რომლებიც უტიფრად ატრიალებდა ქაღალდებს, სადაც ემას გული ფართქალებდა!

ბოლოს, როგორც იყო, წავიდნენ. ფელისიტეც დაბრუნდა. ემამ იგი სახლის წინ დააყენა სადარაჯოდ, რათა როგორმე ექიმის დაბრუნება შეეგვიანებინა; ქალებმა სასწრაფოდ ააგდეს სხვენზე ის პოლიციელი, რომელიც აწერილი ნივთების სამეთვალყურეოდ იყო დატოვებული, და სიტყვაც ჩამოართვეს, რომ იქიდან ფეხს არ მოიცვლიდა.

მთელი საღამოს განმავლობაში შარლი რაღაც უგუნებოდ იყო. ემა შეშფოთებულ თვალს არ აშორებდა: მისი სახის ნაოჭებში თითქოს უხმო საყვედურს კითხულობსო. ხოლო, როცა ქალი ჩინური ეკრანით მორთულ ბუხარს, ფართო ფარდებს, სავარძლებსა და ყველა იმ ნივთს მიაპყრობდა თვალს, რაც ცხოვრების სიმწარეს უმსუბუქებდა, სულს სინანული ან, უკეთ, განუსაზღვრელი წუხილი ეუფლებოდა, რაღაც აღიზიანებდა, მაგრამ როდი ანადგურებდა მის ვნებას. შარლს კი ბუხრის გამირზე ფეხები შეეღო და უდარდელად უჩხიკინებდა ცეცხლს.

სხვენზე პოლიციელს, ალბათ, მოეწყინა, და ერთბაშად ბრაგუნი აუტყდა.

— ზემოთ ვიღაც დადის! — თქვა შარლმა.

— არა, — მიუგო ემამ, — ეგ სხვენის სარკმელია, ალბათ, დაუხურავი დარჩენილა.

მეორე დღეს, კვირას, ემა რუანს გაემგზავრა, რათა მისი ნაცნობი ყველა ბანკირი ჩამოევლო. ზოგი მათგანი აგარაკზე იყო, ზოგიც სამოგზაუროდ იყო წასული. მაგრამ ემა გულს არ იტეხდა. ამათ, ვინც ნახა, ფულს სთხოვდა, უხსნიდა, ძალიან მესაჭიროებაო და მალე გადახდას ჰპირდებოდა. ზოგი პირში დასცინოდა, ყველანი გადაჭრილ უარს ეუბნებოდნენ.

ორ საათზე ლეონისას გაიქცა და კარს დაუკაკუნა. არავინ გაუღო.

ბოლოს, თვით ლეონი მოვიდა.

— რამ მოგიყვანა?

— შეგაწუხე?

— არა, მაგრამ...

მერმე გამოტყდა; სახლის პატრონს არ მოსწონს, როცა მდგმურებს „ქალები“ დაუდიანო.

— შენთან სალაპარკო მაქვს, — უთხრა ემამ.

მაშინ ლეონმა გასაღები ამოიღო.

ქალმა შეაჩერა.

— არა, იქ წავიდეთ, ჩვენსას.

„ბელონის სასტუმროში“ წავიდნენ, თავიანთ ნომერში. მისვლისთანავე ემამ ერთი დიდი ჭიქა წყალი დალია. ძლიერ ფერმკრთალი იყო, მერმე უთხრა:

— ლეონ, ერთი ამაგი უნდა დამდო.

ორივე ხელი მტკიცედ დაუჭირა და დაურთო:

— გამიგონე, რვა ათასი ფრანკი მესაჭიროება.

— ხომ არ გაგიჟდი?

— ჯერ არა.

და უამბო ქონების აღწერა, მთელი თავისი მწუხარება გაუზიარა: შარლმა სრულებით არაფერი იცის, დედამთილს ჭირივით ვეჯავრები. მოხუც რუოს არავითარი შველა არ შეუძლია. შენ კი ახლავე უნდა დამიტრიალდე და საჭირო თანხა მიშოვნოო...

— მერე საიდან უნდა...

— აჰ, როგორ გამხდალდი! — მიაძახა ქალმა.

მაშინ ლეონმა სულელურად წაიბურტყუნა:

— შენ ძალიან აჭარბებ. შეიძლება ათასი ეკიუც საკმაო იქნეს, რომ შენი კარგი მევალე დავაშოშმინოთ.

მით უმეტეს საჭიროა ხელის განძრევა; წარმოუდგენელია, რომ სამი ათასი ფრანკის შოვნა არ შეიძლებოდეს; შეუძლია ჩემს მაგიერ ხელწერილიც გასცეს.

— წადი! სცადე! ძალიან საჭიროა! აბა გაიქე! ჩემო ძვირფასო, შენ იცი, როგორ მოიწადინებ! რა მოყვარული ვიქნები!

ლეონი წავიდა. ხოლო, როცა ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა, ზეიმით განაცხადა:

— სამ პირთან ვიყავი... მაგრამ ამაოდ.

ბუხრის აქეთ-იქით მხარეს ისხდნენ, პირისპირ, უმოძრაოდ, მდუმარედ.

ემა მხრებს იჩეჩავდა და იატაკზე ფეხს აბაკუნებდა.

ლეონმა ყური მოჰკრა მის ჩურჩულს:

— შენ ადგილს რომ ვიყო, ამდენ ხანს კიდეც ვიშოვნიდი!

— აბა სად?

— შენს კანტორაში. — და პირდაპირ თვალებში ჩააცქერდა.

ქალის ანთებულ თვალებში ჯოჯოხეთური გამბედაობა ელავდა. უპეები ვნებითა და წაქეზებით ელულებოდა; ყმაწვილი გრძნობდა, რომ ძალა ელეოდა ამ ქალის მუნჯი ნებისყოფის წინაშე, ბოროტმოქმედებისათვის რომ აქეზებდა. მაშინ შიშმა მოიცვა და, რათა ყოველგვარი განმარტება თავიდან აეცილებინა, შუბლში ხელი შემოიკრა და წამოიძახა:

— დღეს, საღამოს, მორელი უნდა მოვიდეს! იმედი მაქვს, უარს არ მეტყვის (მორელი მისი მეგობარი იყო, დიდი ვაჭრის შვილი), ფულს ხვალ მოგიტან, — დაასკვნა მან.

ემას სრულიადაც არ დასტყობია ის სიხარული, რის დანახვასაც ყმაწვილი მოელოდა მის სახეზე, როცა ამ ახალი იმედით ანუგეშებდა. „ნუთუ ეჭვი მიიტანა, რომ ვტყუი?“ ამიტომ წამოწითლებული ლეონი განაგრძობდა:

— ხოლო, თუ სამ საათამდე ვერ მოვედი, მერე ნუღარ მელოდები, ჩემო ძვირფასო! ახლა კი, უნდა წავიდე, მაპატიე, მშვიდობით!

ხელი მაგრად ჩამოართვა, მაგრამ იგი უკვე მომჩვარებული იყო. ემას აღარავითარი შეგრძნების უნარი აღარ ჰქონდა.

ოთხი საათი დაჰკრა. ჩვევის ძალით, ავტომატივით წაიღოდგა, რათა იონვილს დაბრუნებულიყო. გარეთ სინათლე იყო. მარტის კაშკაშა, გრილი დარი იდგა, როცა მზე მხიარულად ანათებს და ცაც მოწმენდილია. საკვირაოდ მორთული რუანელები კმაყოფილი იერით დასეირნობდნენ. ემა ეკლესიის მოედანზე მივიდა. ხალხი მწუხრის ლოცვიდან ბრუნდებოდა; ბრბო სამივე პორტალიდან მოედინებოდა, ვით მდინარე სამთაღოვან ხიდქვეშ, ხოლო შუაგულს, ვით კლდე ურყევი, მეკარე იდგა.

და მოაგონდა ის დღე, როცა, წუხილითა და იმედით აღსავსემ, ფეხი შედგა ამ გოთურ თაღებში, რომელთა მოცულობაც ნაკლებ

ღრმა ეჩვენებოდა, ვიდრე თავისი სიყვარული... შეუფერხებლად განაგრძობდა წინსვლას, უმიზეზოდ, ლასლასით; ვუალჩამოფარებულს ცრემლი სდიოდა, კინაღამ გული მისდიოდა.

— გზა!

მიაძახა საეტლე ჭიშკრიდან უეცრად გამომავალმა ვინმემ.

იგი შედგა, რათა გზა მიეცა შავი ბედაურისათვის, რომელიც მოუთმენლად ტოკავდა ინგლისურ შარაბანში, რასაც წავისქურჭიანი ჯენტლმენი მართავდა. ვინ უნდა იყოს? სახე თითქოს ეცნაურება... ეტლი გაექანა და მიიმალა.

ეს ხომ ვიკონტია?! უეცრად შეტრიალდა, მაგრამ ქუჩაში უკვე აღარავინ იყო. მწუხარებამ ისე მოღუნა, ისე მოთელა, რომ კედელს მიეყრდნო, რათა არ წაქცეულიყო.

მერმე გაიფიქრა, შევცდიო. აღარაფერი გაეგებოდა. ყველაფერი შინ და გარეთ ღალატობდა. გრძნობდა, რომ იღუპებოდა, უფსკრულში მიექანებოდა. და როცა „წითელი ჯვრის" სასტუმროში მივიდა, თითქმის სიხარულით შეხვდა კეთილ ჰომეს, რომელიც თვალყურს ადევნებდა, როგორ ტვირთავდნენ „მერცხალში" საფთიაქო საქონლით სავსე მის უზარმაზარ კალათს; ხელში აბრეშუმის თავსაფარში გახვეული რუანული ექვსი პატარა პური ეკავა ცოლისთვის ნობათად ნაყიდი.

ქ-ნ ჰომეს ძალიან უყვარდა ეს პატარა, ჩალმასავით დახვეული მძიმე პური, დიდმარხვაში რომ მარილიანი კარაქით ჭამენ; ეს იყო უკანასკნელი ნაშთი ძველი გუთების საჭმლისა, რაც, შესაძლებელია, ჯვაროსანთა ეპოქის გადმონაშთია: ბრგე ნორმანები ოდესმე იმით ძღებოდნენ და ეჩვენებოდათ, რომ ყვითელი ჩირაღდნებით გაჩაღებულ სუფრაზე ტკბილი ღვინის კასრებსა და უზარმაზარ შაშხებს შორის სარაცინთა დოლბანდიანი თავები ეყარა.

მეაფთიაქის ცოლიც, ნორმანებივით, თავგამეტებით ჭამდა ამ ჩალმისებრ დაგრეხილ პურებს, მიუხედავად იმისა, რომ ყბები საამისოდ ცუდად ჰქონდა შეიარაღებული. ამიტომ ყოველთვის, როცა კი ჰომე ქალაქს წავიდოდა, ცოლისთვის ეს პური უნდა ეყიდნა იქაურ საუკეთესო მეპურესთან მასაკრის ქუჩაზე.

— მოხარული ვარ თქვენი ნახვისა!

უთხრა ემას, ხელი ჩამოართვა, დილიჟანსში ჩაჯდომა უშველა.

მერე პურები დილიჟანსის ბადულში ჩადო, ქუდი მოიხადა,

ხელები გულზე დაიკრა და ნაპოლეონისებური პოზით დაჯდა ჩაფიქრებული.

ხოლო, როცა დალმართის შემდეგ, ჩვეულებრივ, ბრმა მათხოვარი გამოჩნდა, წამოიძახა:

— არ მესმის, როგორ ითმენს ხელისუფლება დღემდე ასეთ უწესობას! ასეთი უბედურები უნდა დაიჭირონ და რაიმე საშუშაო დააკისრონ. პროგრესი, პატიოსნებას ვფიცავ, კუს ნაბიჯით მიჩოჩავს! ჯერ კიდევ სრულ ბარბაროსობაში გვიდგას ფეხი!

ბრმას ქუდი გაეწვდინა და ფანჯარაში დილიჟანსის ჩამოგლეჯილი სარჩულივით აფრიალებდა.

—აი დურბლის ერთ-ერთი ნიმუში!

თქვა მეაფთიაქემ, და, თუმცა გლახაკს ძალიან კარგად იცნობდა, თავი ისე ეჭირა, თითქოს პირველად ხედავსო, ბურტყუნებდა უცნობ სიტყვებს: „რქოვანი გარსი, თვალის მაგარი გარსი, სკრელოტიკუმი, ბროლოვანი“ და, ბოლოს, მამობრივი ხმით ჰკითხა:

— დიდი ხანია, მეგობარო, რაც ეს საშინელი სენი გაგიჩნდა? სამიკიტნოში ლოთობის მაგიერ, გერჩივნა რეჟიმი დაგეცვა.

მერმე ურჩია, კარგი ღვინო ან ლუდი სვი და ცვრიანი მწვადი სჭამეო. უსინათლო თავის სიმღერას ღიღინებდა; თითქმის იდიოტური გამომეტყველება ჰქონდა, ჰომემ ქისა გახსნა.

— აი ერთი სუ, ორი ლიარი ხურდა მომეცი და რჩევაც არ დაგავიწყდეს, მოგიხდება.

ივერმა გასაგონად გამოთქვა ეპვი ამ რჩევის მარგებლობის შესახებ. მაგრამ მეაფთიაქემ განაცხადა: მაგას უთუოდ მოვარჩენ ანტიფლოგისტიკური საცხების საშუალებითო, და თავისი მისამართი მისცა გლახაკს.

— ბ. ჰომე, ბაზრის ახლოს, საკმაოდ ცნობილია.

— აბა, — უთხრა ივერმა, — ახლა მადლობის ნიშნად ერთი წარმოდგენა გვიჩვენე.

უსინათლო ჩაცუცქდა, თავი გადასწია, მომწვანო გუგები გადაკარგა, ენა გამოყო და ორივე ხელით მუცელს დაუწყო სრესა, თანაც, მშიერი ძაღლივით, ყრუდ იღრინებოდა. ემას ზიზღი დაეუფლა, ხელუკუღმა ვერცხლის ხუთფრანკიანი გადაუგდო. ეს იყო უკანასკნელი ავლადიდება. მშვენიერი ეჩვენა მისი სწორედ ასე გადაგდება.

დილიჟანსი უკვე დაძრული იყო, რომ ჰომემ უეცრად თავი ფანჯარაში გაჰყო და მიაძახა:

— ერიდეთ ფქვილეულსა და რძიანს! ტანზე შალეული ჩაიცვით და დაწყლულებულ ადგილებს მრავალძარღვა უბოლეთ.

ნაცნობი ადგილების დანახვამ, თვალწინ რომ გაურბოდა, ემას ნელინელ დააკვიწყა თავისი მწუხარება. გამოუთქმელმა მოქანცულობამ შეიპყრო და შინ სრულიად გამოშტერებული, მოდუნებული და თითქმის მძინარე მივიდა.

„რაც იქნება, იქნეს!“ — ფიქრობდა.

თანაც ვინ იცის? განა არ შეიძლება ერთბაშად რაიმე არაჩვეულებრივი რამ მოხდეს? ნეიძლება ლერეც კი მოკვდეს.

დილის ცხრა საათზე ხმაურობამ გააღვიძა, მოედანზე რომ ისმოდა. ბაზარში მთელი ბრბო მოგროვილიყო დიდი განცხადების წინ, ბოძზე რომ იყო გაკრული. ემამ თვალი მოჰკრა, რომ ბოძზე აცოცებულმა ჟუსტენმა განცხადება ჩამოგლიჯა, მაგრამ დარაჯმა მყის ქეჩოში სტაცა ხელი. ჰომე აფთიაქიდან გამოვიდა, მამიდა ლეფრანსუა კი შუაგულ ბრბოში ჩამდგარიყო, თითქოს ქადაგებსო.

— ქალბატონო! ქალბატონო! — იძახოდა დაბრუნებული ფელისიტე, — რა საძაგლობაა!

და საბრალო გოგომ ყვითელი ქაღალდი გაუწოდა, რომელიც, ის იყო, კარებზე ააგლიჯა. ემა პირველ შეხედვისთანავე მიხვდა, რომ მისი ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა იყო გამოცხადებული.

ერთმანეთს უხმოდ გადაჰხედეს. ქალბატონსა და მსახურს შორის დიდი ხანია საიდუმლო აღარაფერი ყოფილა. ბოლოს, ფელისიტემ ამოიოხრა:

— თქვენს ადგილზე რომ ვიყო, ქალბატონო, უთუოდ ბ. გიიომენისას წავიდოდი.

— შენ გგონია?

ამ კითხვას ისეთი აზრი ჰქონდა: „ლაქიის მეშვეობით შენ იცი, რაც იმ სახლში ხდება; გაგიგონია როდისმე, რომ ბ. გიიომენს ჩემზე რამე ეთქვას?“

— დიახ, კარგი იქნება, თუ წახვალთ.

ემა მოირთო, შავი კაბა ჩაიცვა, სტეკლარუსიანი ქუდი დაიხურა და, რომ არ ეცნოთ (მოედანზე ხალხი მუდამ არის), უკანა ეზოებით წავიდა, მდინარის ნაპირით.

აქოშინებული მიადგა ნოტარიუსის ბაღის ჭიშკარს; ცა მოღუშული იყო და წვრილი თოვა ცრიდა.

დარეკა. წინკარში წითელყილეტიანი თევდორე გამოვიდა. ფითქმის თავისიანივით გაუღო, როგორც ნაცნობს, და სასადილო ოთახში შეუძღვა.

უზარმაზარი კაკტუსის ქვეშ, მთელ ნიშს რომ ავსებდა, პორსელენის განიერი ღუმელი გუგუნებდა: მუხის ფიცრისებურ შპალერზე შავ ჩარჩოში ჩასმული ეკიდა შტოიბენის „ესმერალდა“ და შოპენის „პუტიფარის ცოლი“. გაშლილი სუფრა, ვერცხლის საუდები კერძისათვის, კარების ბროლის სახელურები, პარკეტი და დგამი, ყველაფერი ინგლისური უნაკლო სისუფთავით ბრწყინავდა; ფანჯრის კუთხეები ფერადი მინებით იყო მორთული.

— აი ჩემი გემოვნების შესაფერისი სასადილო! — გაიფიქრა ემამ.

ნოტარიუსიც შემოვიდა; ცალი ხელით გულზე თურქული თაიგულებით მოქარგული ხალათი ეჭირა, მეორეთი კი სწრაფად ასწია და კვლავ ჩამოიფხატა მიხაკისფერი ხავერდის ჩაჩი, მარჯვნით რომ კოხტად ჰქონდა გადმოვარდნილი მელოტ კეფაზე.

ემას სკამი მიაწოდა, თვით კი საუზმეს მიუჯდა და თან ძალზე იბოდიშა ასეთი უზრდელობისათვის.

— ბატონო, მე მინდოდა მეთხოვნა...

— რა, ქალბატონო? გისმენთ.

ემამ თავისი მდგომარეობა აუხსნა.

ნოტარიუსმა გიიომენმა, კარგად იცოდა ეს მდგომარეობა, რადგან საიდუმლო კავშირი ჰქონდა მეფართლესთან, რომლისგანაც ყოველთვის შოულობდა ხოლმე ფულს თავისი გაცემული გირავნობის ქაღალდებისთვის.

ასე რომ, ნოტარიუსმა ემაზე უკეთ იცოდა ამ ვექსილების გრძელი ისტორია, რომლებიც პირველ ხანებში პატარ-პატარა თანხებზე და დიდი ვადებით იყო გაცემული, თანაც სხვადასხვა პირის წარწერებით იყო აჭრელებული; შემდეგ კი ამ ვექსილებს თანდათან განაახლებდნენ ხოლმე იმ დრომდე. როცა ლერემ გაპროტესტებული ვექსილები შეაგროვა და თავის მეგობარს ვენსარს მიანდო, რათა თავისი სახელით გაენაღდებინა ისინი, რაკი ვაჭარს არ სურდა მევახშის სახელი გავარდნოდა თავის მეზობლებს შორის.

ემა უსაყვედურებდა ლერეს, რაზედაც ნოტარიუსი უმნიშვნე-

ლო რამ სიტყვით ეხმაურებოდა. თავდახრილს, ნიკაპი თავის ცისფერ ჰალსტუხზე დაედო, რომელზეც ოქროსაგე ძეწკვით ერთმანეთს გადაბმული ოქროს ორი ქინძისთავი ებნია. არხეინად შეექცეოდა კატლეტებს, ზედ ჩაის აყოლებდა და უცნაური, რაღაც დამტკბარი და ორაზროვანი ღიმილით იკრიჭებოდა.

რაკი შეამჩნია, ფეხი სველი აქვსო, ემას მიმართა:

— ახლოს მოიწიეთ ღუმელისაკენ... ფეხები ზემოთ შეაწყვეთ... პორსელენზე.

ემას არ სურდა პორსელენი გაესვარა; ნოტარიუსმა თავაზიანად შენიშნა:

— ლამაზი არასოდეს არაფერს წაახდენს.

ემა ცდილობდა თავი შეებრალებინა მისთვის და თვითონაც გულაჩუყებული უამბობდა თავის ხელმოკლეობას, გაჭირვებას და სიღარიბეს. მას, რა თქმა უნდა, ესმის ყოველივე ეს: ასეთი ლამაზი ქალი! საუზმობას განაგრძობდა, მაგრამ მთელი ტანით მისკენ მიიწია ისე, რომ მუხლით ემას ფეხსაცმელს ეხებოდა, რომლის ლანჩებს ცეცხლზე ოხშივარი ასდიოდა.

ხოლო, როცა ათასი ეკიუს სესხება სთხოვა, ნოტარიუსმა ტუჩი მოკუმა და უთხრა: — ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენი ქონების მეურვეობა მე არ მომანდეთ, რადგან ათასნაირი საშუალება გამოიძებნებოდა, ქალისთვისაც სარგო, რათა ფული საჭიროდ ყოფილიყო დაბანდებული. შეიძლებოდა თითქმის ურისკოდ გაგვეწია სპეკულაცია გრუმენილის ტორფის ჭაობებში ან ჰავრის მიწებშიო.

და ახლა გულს უკლავდა ემას იმ საზღაპრო თანხების დასახელებით, რომელთა მოგებაც ასე ადვილად შეიძლებოდა.

— როგორ მოხდა, რომ მე არ მომმართეთ? — ჰკითხა მან.

— არ ვიცი, — მიუგო ემამ.

— რატომ, ა! ალბათ, ძალიან გეშინოდათ ჩემი? პირიქით, საჩიველი სწორედ მე უნდა მქონდეს! ჩვენ ხომ ოდნავ ვიცნობთ ერთმანეთს! მაგრამ მე მაინც თქვენი ერთგული ვარ, იმედია, ახლა ამისი ეჭვი აღარ გექნებათ?

მერმე მისკენ მიიწია, ხელი გამოართვა, ზედ ხარბად აკოცა. მუხლზე დაიდო და თითებს ფრთხილად ეკარებოდა, თანაც საალერსოს ეჩურჩულებოდა.

ნოტარიუსის დაშაქრული ხმა ნაკადულივით ჟღურტულებდა; სათვალეს ქვემოთ, თვალებში ნაპერწკლები უკრთოდა, ხოლო მი-

სი ხელი კი უფრო და უფრო ზევით მიძვრებოდა ქალის სახელოში; ზედ ლოყასთან გრძნობდა სუნთქვას, და აუტანელი ხდებოდა მისი სიახლოვე. ემა უეცრად წამოდგა და უთხრა:

— ველოდები, ბატონო!

— რასა? — ჰკითხა უეცრად გაფითრებულმა ნოტარიუსმა.

— ფულს.

— მაგრამ...

და რაკი ერთბაშად აღძრულს მძლავრ სურვილს დანებდა, სწრაფად თქვა:

— ჰო, კარგი!

მერმე უეცრად დაიჩოქა და სალათში ფეხებგახვეულმა მისკენ მიიწია.

— გემუდარებით, დარჩით? მე თქვენ მიყვარხართ! — და ქალს წელზე მოხვია ხელი.

ემას სისხლი ერთბაშად აუვარდა თავში. განრისხებულმა უკან დაიწია და შესძახა:

— თქვენ უტიფრად სარგებლობთ ჩემი უბედურებით, ბატონო! მე შესაბრალისი ვარ, მაგრამ არა გასასყიდი! — და გავიდა.

გაოცებულმა ნოტარიუსმა თვალი თავის მოქარგულ კოხტა ფოსტლებს დააშტერა. ისინი საყვარლის ნაჩუქარი იყო. მათმა დანახვამ ანუგეშა, თანაც მაშინვე გაიფიქრა, ასეთი კავშირი ძლიერ შორს წარმიტაცებდაო.

— რა არამზადაა!... რა პირუტყვი! რა საზიზღარი!...

თავისთვის იძახდა ემა და გზის პირად გამწკრივებულ ტირიფებს ქვეშ ნერვულად მიაბიჯებდა. მარცხით გამოწვეული წუხილი შეურაცხყოფილი უბიწოების რისხვას უმძაფრებდა. ასე ეგონა, განგება მომართულა ჩემს წინააღმდეგო, და, სიამაყით აღჭურვილს არასოდეს ასე საკუთარი თავი არ დაუფასებია და არასოდეს ასეთი ზიზღი არ უგრძვნია სხვებისადმი. რაღაც მებრძოლმა ძალამ შეიპყრო: სურდა ეცემა მამაკაცები, ეფურთხებინა მათთვის, ეთრია ისინი, ეგლიჯა. კვლავ ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, აცახცახებული, გაფითრებული, გაბრაზებული და ნამტირალევ თვალებს ცარიელ მიდამოს აპყრობდა.

თავისი სახლის დანახვაზე სასო წაერთვა. ნაბიჯიც ვეღარ გადადგა. შესვლა კი საჭირო იყო. ანკი სად გაქცეულიყო?

ფელისიტე კარებში ელოდებოდა.

— აბა, რა ქენი?

— ვერაფერი! — მიუგო ემამ.

ერთ ხანს ორივენი იონვილის სხვადასხვა პირებს ასახელებდნენ, ვისაც კი დახმარების გაწევა შეეძლო. მაგრამ ყოველთვის როცა ფელისიტე ვინმეს დაასახელებდა, ემა იმწამსვე იტყოდა:

— როგორ შეიძლება? არაფერს არ მოგვცემენ.

— ბატონი კი, სადაცაა, დაბრუნდება!

— ვიცი... წადი.

ყველაფერი სცადა. მეტი აღარაფერი დარჩენოდა. როცა შარლი მოვა, იგი ადგება და ასე ეტყვის:

— წადი. ეს ხალიჩა, რაზედაც ფეხი გიდგას, ჩვენი აღარაა. შენს ოჯახში აღარც სკამი გაქვს, აღარც ნემსი და აღარც რაიმე სხვა და ყოველივე ეს მე გიყავი, საბრალოვ, მე დაგღუპე!

შარლი აქვითინდება, დიდხანს იტირებს. მერმე მომხდარ უბედურებას შეურიგდება და მასაც აპატიებს.

— დიახ, — კბილების კრაჭუნით ჩურჩულებდა ქალი, — იგი მაპატიებს, ის, ვისაც ერთი მილიონის გულისათვისაც არ ვაპატიებდი, რომ შემიუღლდა... არასოდეს! არასოდეს!

ფიქრი ქმრის უპირატესობაზე აბრაზებდა, მაგრამ, ყველაფერში გამოუტყდება თუ არა, სულ ერთია, იგი მაინც მაშინვე, მალე, ხვალ ხომ მიხვდება, ისე რომ, საჭიროა ელოდოს ამ საშინელ სცენას და გადაიტანოს მისი სულგრძელობის მთელი სიმძიმე. უნდოდა ერთხელ კიდევ წასულიყო ლერესთან. მაგრამ რისთვის? მამას მისწეროს? გვიანღაა და, შესაძლებელია, ამ წუთს კიდევაც ნანობდა, რომ ნოტარიუსის ნებას არ დაჰყვა, რომ უეცრად ხეივნიდან ცხენის ფეხის ხმა მოისმა. ის იყო, ჭიშკარს აღებდა. სახე მისი უფრო ფერმკრთალი იყო, ვიდრე კირით შეფეთქილი კედელი. ქალი კიბეზე დაეშვა და მოედანი გადაირბინა; და მერის ცოლმა, ეკლესიასთან რომ ლესტიბუდუას ელაპარაკებოდა, თვალი მოჰკრა, რომ ემა გადასახადთა ამკრეფთან შევიდა.

იმწამსვე გაიქცა, რათა ეს ამბავი ქ-ნ კარონისთვის გადაეცა, ორივენი სხვენზე ავიდნენ და მოხერხებულად დაიმალნენ საშრობად გაკიდებულ თეთრეულებში, რათა იქიდან ბინეს ბინისთვის ეთვალთვალნათ.

ბინე მარტო იყო თავის სხვენზე და ცდილობდა ხეში გამოეკვეთა ერთ-ერთი აუწერელი ნაკეთობა სპილოს ძვლისა, რომელიც

ნერწყმული იყო ერთმანეთში ჩამჯდარი სფეროებითა და მცხრალი მთვარეებით, სწორი, ვით ობელისკი, და სრულიად არაფრის მაქნისი; ბინე უკვე უკანასკნელ ნაწილს აკეთებდა, შრომა დასასრულს უახლოვდებოდა. სინათლითა და ჩრდილებით აჭრელებულ სახელოსნოში დაზგიდან ღია ყვითელი ნახერხი იფრქვეოდა, ვით ცხენის ნალით ნაკვესი ნაპერწკლები. ორივე ჩარხი ტრიალებდა, გუგუნებდა, ბინე იღიმებოდა, თავჩაღუნული, ნესტოებგაგანიერებული. ჩანდა, რომ იმ სრულ ბედნიერებას განიცდიდა, რასაც მოკრძალებული სამუშაო იძლევა, გონებას რომ ადვილდასაძლევი დაბრკოლებით იტაცებს, სულსაც საბოლოო განხორციელებით ამშვიდებს, რის შემდეგაც სანატრელი აღარაფერი რჩება.

— ეჰე, აგერ ისიც!

თქვა ქ-ნმა ტუვაშმა; მაგრამ დაზგის გუგუნი სიტყვებს ახშობდა, ქალებმა მაინც გაარჩიეს, რომ ემა ფრანკებზე ლაპარაკობდა, და ტუვაშმა წაიჩურჩულა:

— ალბათ, ვალების გადახდის განვადებას სთხოვს.

— მგონია, აგრეა.

ხედავდნენ, რომ ემა ოთახში მიმოდიოდა და კედელზე დაკიდებულ ხელსახოცის შესაკრავ რგოლებს, შანდლებისა და აივნის ჩუქურთმებიან რიკულს ათვალიერებდა. ბინე კი ამასობაში დამშვიდებული იურვებდა თავის წვერს.

— იქნებ რისამე შესაკვეთად მივიდა? — თქვა ქალბატონმა ტუვაშმა.

— კი, მაგრამ ბინე ხომ არაფერს არ ჰყიდის.

ბინე, თვალებდაჭყეტილი, რაღაცას უსმენდა, მაგრამ, ალბათ, ვერა გაეგო რა, ქალი კი ნაზად ლაპარაკობდა, თითქოს რაღაცას ემუდარებაო. ახლოს მივიდა, მძიმედ სუნთქავდა; ორივე დუმდა.

— იქნებ ეკურკურება კიდეც? — იკითხა ტუვაშმა.

ბინე ყურებიანად გაწითლდა. ქალმა ხელი გამოართვა.

— აჰ, ეს მეტისმეტია!

რა თქმა უნდა, რაღაც უზნეო წინადადებას აძლევს, რადგან ბინე (იგი ხომ მამაცი კაცია, ბაუცენსა და ლუცენთან იბრძოდა, პარიზს იცავდა მოკავშირეებისაგან და საპატიო ლეგიონის ორდენზედაც კი იყო წარდგენილი) უეცრად გველნაკბენივით შეხტა და წამოიძახა:

— ქალბატონო! რა საფიქრებელია?

— ასეთი ქალები სულ მათრახით უნდა გააჭრელო! — თქვა ქ-ნმა ტუვაშმა.

— კი, მაგრამ რა იქნა?

წამოიძახა ქ-მა კარონმა, რადგან ამ სიტყვებისთანავე ემა ერთბაშად გაქრა, ხოლო, როცა შემდეგ თვალი მოჰკრეს, დიდ ქუჩაზე რომ გავიდა და სასაფლაოსკენ გაექანა, ქალებს დავთარი აერიათ...

— მამიდა როლე! — მიაძახა შესვლისთანავე ემამ, — ცუდად ვარ! კორსეტი გამიხსენ.

ლოგინზე დაემხო და აქვითინდა. მამიდა როლემ კაბა წააფარა და თავს დაადგა. მაგრამ, რაკი ემა ხმას არ იღებდა, მოშორდა და ისევ თავის სართავს მიჰყო ხელი.

— ოჰ, გაათავეთ!

წაიბუტბუტა ემამ, რადგან უერში კვლავ ბინეს დაზგის გუგუნი ესმოდა.

ნეტავ რა დამართნია? — ფიქრობდა ძიძა, — ან აქ რამ მოიყვანა? ემა კი აქ იმიტომ მოვიდა, რომ საკუთარი სახლიდან-რაღაც საშინელება ერეკებოდა.

ზურგზე მწოლარე, უმოძრაო, თვალგაშტერებული იგი ძლივს არჩევდა საგნებს, თუმცა ძალიან ცდილობდა და თითქმის იდიოტის ყურადღებას აცლენდა. უცქერდა ჩამოღლეტილ კედლებს, აბოლებულ მუგუზლებსა და ვეება ობობას, მის თავს ზემოთ რომ დვირის ნაპობში ტრიალებდა. ბოლოს, როგორც იქნა, აზრი მოიკრიფა. მოაგონდა... ერთხელ, ლეონთან... ოჰ, რამდენი ხანია მას აქეთ! მდინარე მზეზე ლაპლაპებდა, იასამანი სურნელებას აფრქვევდა... და ფიქრთა გამალებული სრბოლით წარტაცებულს გაახსენდა გუშინდელი დღეც.

— რომელი საათია? — იკითხა.

მამიდა როლე გარეთ გავიდა, შუბლი ხელისგულით დაიჩრდილა, ზეაიხედა, ნელა შემობრუნდა და უთხრა:

სამი საათი იქნება.

— აჰ, გმადლობთ, გმადლობთ!

სადაცაა ლეონი მოვა. ნამდვილად მოვა! რასაკვირველია, ფულს იშოვნიდა. კი, მაგრამ, იგი პირდაპირ იქ წავა, არ იცის, რომ მე აქა ვარ; და ძიძას უთხრა, შინ წადი, ახლავე აქ მომგვარეო.

— მაღე, თუ ქალი ხარ!

— მივდივარ, ჩემო ქალბატონო, მივდივარ.

ემას ახლა უკვირდა, რატომ არ მომაგონდაო; გუშინ ხომ სიტყვა მისცა, უთუოდ აასრულებს. თავი უკვე ლერესას წარმოედგინა, აი, იღებს ბანკის სამ ბილეთს და მაგიდაზე სდებს. შემდეგ რაიმე უნდა მოიგონოს, რომ ბოვარის აუხსნას ყოველივე, მაგრამ რა უნდა მოიგონოს?

ძიძას კი დაბრუნება აღარ აგონდებოდა; ხოლო, რაკი ქოხში საათი არ იყო, ემას ეგონა, არც ისე დიდ ხანს გაუვლიაო. ბაღში გავიდა, მძიმე ნაბიჯით იწყო სიარული; ღობის პირას გაჰყვა ბილიკით. მერმე ისევ აჩქარებული დაბრუნდა, იფიქრა, შეიძლება ძიძა სხვა გზით დაბრუნდაო. ბოლოს, ლოდინით დაღლილი, გაეპვიანებული, ფიქრებს რომ თავიდან ერეკებოდა, კუთხეში მიჯდა, თვალი დახუჭა, ყური დაიცო, არ იცოდა, ერთი საუკუნე გაატარა აქ, თუ სულ რამდენიმე წუთი. ჭიშკარმა გაიჭრიალა. ზე წამოიჭრა. სიტყვის დაძვრა ვერ მოასწრო, რომ როლემ განუცხადა:

— თქვენსას არავინ არაა.

— როგორ თუ არავინ?

— ოჰ, სრულიად არავინ, ბატონი ტირის: თქვენ გეძახით, ყველგან გაგზავნეს თქვენს საძებრად.

ემამ არა უპასუხა რა. სული ეხუთებოდა, თვალებს აცეცებდა. სოფლელი ქალი კი, ამ სანახაობით შეშინებული, უნებლიეთ უკან იხევდა, ეგონა, გაგიჟდაო. უეცრად ემამ ხელი შუბლში იტკიცა და შეჰკივლა, რადგან მის გონებაში, ვით ელვა ბნელ ღამეში, ერთბაშად გაკრთა როდოლფის ნოგონება. იგი ხომ ასე კეთილია, მიმხვედრი, სულგრძელი! და კიდეც რომ გაუძნელდეს დახმარების აღმოჩენა, ემა მოახერხებს იძულებას, რადგან ერთი შეხედვით გაახსენებს ძველ სიყვარულს. და იმწამსვე ჰუშეტისკენ გაეშართა; ვერ შეეგნო, რომ ნებაყოფლობით წინ ეგებებოდა იმასვე, რამაც წეღან ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, და სრულიადაც ფიქრად არ მოსდიოდა, რომ მის მიერ გადადგმული ნაბიჯი პროსტიტუციაა.

VIII

მიდის და თან თავის თავს ეკითხება: რა უნდა ვუთხრა? საიდან დავიწყო? რამდენადაც უფრო უახლოვდებოდა, იმდენად ცნობდა ჩირგვებს, ხეებს, ლვრწამს გორაკზე, შორს კი — ციხე-

ღარბაზს. ცოცხლდებოდნენ პირველი სინაზის განცდანი და საბრალო, ნაწამები გული მათი ცქერით ისვენებდა. თბილი ქარი სახეში სცემდა, თოვლი დნებოდა და წვეთ-წვეთად ცვივოდა ტოტებიდან.

პარკის პატარა ჭიშკარში გაძვრა, ვით ოდესმე იცოდა ხოლმე, მერე ეზოში შევიდა, ირგვლივ რომ ხმირფოთლოვანი ცაცხვები ჰქონდა შემორგული; მათ გრძელ ტოტებს ქარი არხევდა და ახმაურებდა. დაბმული ძაღლები აყეფდნენ თავიანთ საბმულებში, მაგრამ ყეფაზე გარეთ არავინ გამოსულა.

სწორსა და განიერ კიბეს შეუდგა, ხის რიკული რომ ჰქონდა; მერმე მტვრიანი ფილაქნებით მოფენილი ტალანი იწყებოდა; ტალანის აქეთ-იქით მხარეს კარები იყო ჩამწკრივებული, ვით მონასტერში, სასტუმროში. როდოლფის ოთახი ტალანის ბოლოს იყო, ვარცხნით, ნაპირა. როცა კარის სახელურს შეეხო, ღონე მთლად მიეხადა. ეშინოდა, შინ არ დამხვდებაო, თუმცა თითქმის სურდა კიდეც, ასე ყოფილიყო, მიუხედავად იმისა, რომ ეს ერთადერთი, უკანასკნელი იმედიღა იყო ხსნისა. ერთ ხანს ჰოჰმანობდა, მაგრამ აუცილებელი საჭიროების შეგნებამ გამბედაობა შეჰმატა და შევიდა.

იგი ბუხართან იჯდა, ფეხები ბუხრის რიკულზე შეეწყო და ჩიბუხს ეწეოდა.

— ა, ეს თქვენ ხართ? — წარმოთქვა და სწრაფად წამოხტა.

— დიახ, მე ვარ! როდოლფ. რჩევა მინდოდა თქვენთვის მეკითხა. — მიუხედავად ბევრი ცდისა, მეტი ვეღარა თქვა რა.

— სრულიად არ გამოცვლილხართ, მარადის შომხიბვლელი ხართ!

— ოჰ, — მწარედ თქვა ქალმა, — სამწუხაროა ეს მომხიბვლელობა, რაკი იგი თქვენ უარყავით, ჩემო მეგობარო.

ვაჟი ზოგადი და გაურკვეველი ფრაზებით ეცადა თავისი საქციელის გამართლებას, რადგან უმჯობესი ვერა მოეხერხებინა რა.

ქალი მიენდო ამ სიტყვებს, უფრო კი მის ხმას, მისი პიროვნების შთაბეჭდილებას: თავი ისე დაიჭირა, ვითომ სჯეროდა, ან, შესაძლებელია, მართლაც დაიჯერა მის მიერ დასახელებული საბაბი გაყრისა: მან თქვა, რომ მიზეზი მისი საქციელისა იყო საიდუმლოება, რაზედაც დამოკიდებული იყო სიცოცხლე და პატიოსნება მესამე პირისა.

— ასე იყო თუ ისე, — მიუგო ქალმა და ნაღვლიანი თვალი მიაპყრო, — მე ბევრი ვიტანჯე!

მან ფილოსოფიური კილოთი უთხრა:

— ასეთია ცხოვრება!

— კეთილგანწყობილი თუ იყო მაინც ის ქალი ჩვენი გაყრის შემდგომ? — ჰკითხა ემამ.

— არც კეთილგანწყობილი... არც ავადგანწყობილი.

— ვინ იცის, იქნებ სჯობდა, რომ არასოდეს ერთმანეთს არ გავყროდით.

— დიახ... შესაძლებელია!

— შენ გგონია? — უთხრა და მიუახლოვდა. მერე უნებურად ამოიოხრა:

— ოჰ, როდოლფ! რომ გცოდნოდა... როგორ მიყვარდი!

ქალმა ხელი გამოართვა და ერთ ხანს ასე იდგნენ, თითებგადაჭდობილნი, ვით იმ პირველ დღეს, ყრილობაზე. ვაჟი სიამაყის მოშველიებით ებრძოდა უკვე გაღვიძებულ სინაზეს. ქალი ჯი, ბის მკერდს მიხუტებული, ეუბნებოდა:

— როგორ გინდოდა, რომ უშენოდ მეცხოვრა? განა შეიძლება ბედნიერებას გადაეჩვიო? სასოწარკვეთილი ვიყავ! სიკვდილი მენატრებოდა! ყველაფერს გიამბობ, აი ნახავ, შენ კი... გამირბოდი.

ამ სამი წლის განმავლობაში იგი მართლაც გაურბოდა, სიმხდალის გამო, ძლიერ სქესს რომ სჩვევია; ემა კი თავის ქნევით უალერსებდა, ვით გალოლიავებული კატა, და ჩურჩულებდა:

— შენ სხვები გიყვარს. გამოტყდი. ოჰ, მე მესმის მათი! აი! მიპატიებია მათთვის! ისე შეაცდენდი, ვით მე შემაცდინე. შენ ვაჟი ხარ! და ყოველივე მოგეპოვება, რათა მოსწონდე, მაგრამ ჩვენ ისევ განვაახლებთ, ხომ? კვლავ გვეყვარება ერთმანეთი! ნახე, ვიცინი, ბედნიერი ვარ! მაშ, თქვი რამე!

მომხიბვლელი იყო. მის მშვენიერს თვალებში ცრემლი ციმციმებდა, ვით ქარიშხლის შემდეგ წვიმის წვეთი ლურჯი ყვავილის მკერდზე.

ხელი მოხვია და მუხლზე დაისვა, თანაც ხელისგულით თმას უალერსებდა, სადაც, ბინდში გამოკრთობილი, ოქროს ისარივით ბრწყინავდა მზის უკანასკნელი სხივი. ქალმა თავი დახარა; ვაჟმა თვალები დაუკოცნა, ნაზად, ტუჩთა ოდნავი მიკარებით.

— მაგრამ, შენ ტიროდი? — ჰკითხა, — რათა?

ქალს ქვითინი აუტყდა; როდოლფმა ეს სიყვარულის აფეთქების ნიშნად მიიღო, ქალი დუმდა, ხოლო მან კდემის უკანასკნელ კრძალვად ჩათვალა იგი.

— აჰ, მაპატიე! — წამოიძახა როდოლფმა, — მხოლოდ შენ მომწონხარ ერთადერთი! ავი და უგუნური ვიყავ! მიყვარხარ და მარად მეყვარები!.. რა მოგვიდა? თქვი! — და მის წინაშე დაიჩოქა.

— ჰოდა, აი... დავიღუპე, როდოლფ! სამი ათასი ფრანკი უნდა მასესხო!

— დიახ, გარნა...

თქვა და ნელა წამოდგა, სახეს კი სერიოზული გამომეტყველება ეძლეოდა.

— შენ იცი, — სწრაფად ამბობდა ქალი, — რომ ჩემმა ქმარმა მთელი თავისი ქონება ერთ ნოტარიუსს მიანდო, რომელიც სადღაც გაქრა. დიდძალი ვალი დაგვაწვა თავს, პაციენტები არაფერს იძლეოდნენ. ქონების ლიკვიდაცია, მართალია, ჯერ არ დასრულებულა; ფული კიდევ გვექნება, მაგრამ, თუ დღესვე სამი ათასი ფრანკი არ შევიტანე, ყველაფერს აგვიწერენ და გაგვიყიდიან; ეს ახლავე უნდა იქნეს, ამ წუთში; და შენთან იმიტომ მოვედი, რაკი შენი მეგობრობის იმედი მქონდა.

„ა, — გაიფიქრა უეცრად გაფითრებულმა როდოლფმა, — აი, მაშ, რისთვის მოსულა!“

მერე დამშვიდებულის ხმით უთხრა:

— მე ამდენი ფული არ მაქვს, ძვირფასო ქალბატონო.

როდი სტყუოდა. ამდენი ფული რომ ჰქონოდა, უეჭველია, მისცემდა, რაგინდ ძნელიც უნდა იყოს საზოგადოდ ასეთი კეთილშობილური საქციელის ჩადენა: იმ ქარიშხალთა შორის, რაც კი სიყვარულს შეიძლება დაატყდეს თავს, ფულის თხოვნა ყველაზე უფრო გამყინველი და გამანადგურებელია.

ერთხანს უხმოდ უცქეროდა.

—მაშ, არ გაქვს! — და რამდენჯერმე გაიმეორა:

— არ გაქვს!.. და არც ეს უკანასკნელი დამცირება უნდა მიმეყენებია ჩემი თავისთვის. შენ არასოდეს არ გყვარებივარ! და არც სხვებზე უკეთესი ხარ!

თავს ღალატობდა, იღუპებოდა.

როდოლფმა სიტყვა გააწყვეტინა, არწმუნებდა, რომ თვითონაც „უჭირს“.

— აჰ, როგორ მებრალები! — თქვა ემამ, — როგორ მებრალები!..

და თვალი გადაავლო ვერხცლის ზარნიშიან დამასკურ თოფს, სხვა იარაღთა შორის რომ კედელზე ეკიდა, და წამოიძახა:

— როცა კაცი ასე ღარიბია, მაშინ ვერცხლით როდიღა კაზმავს თავის იარაღს! არც ბუხრის საათებს ყიდულობს სადაფით მოოქვილს, — განაგრძობდა და ბულის ნაოსტატევ საათს ანიშნებდა, — არც ოქროს სასტვენიან მათრახს, — ხელი შეახო, — არც საათის ძეწკვის ბრელოკებს! ოჰ, არაფერი არ აკლია! ლიქიორიც კი უდგას თავის ოთახში. შენ გიყვარს შენი თავი, ჩინებულად ცხოვრობ, გაქვს ციხე-დარბაზი, ტყეები, ფერმები, გიყვარს მწევრებით ნადირობა, პარიზში მგზავრობა... ეჰ, სხვა არა იყოს რა, — წამოიძახა და ხელი დასტაცა მისი სამაჯურების ღილებს, ბუხრის თავზე რომ იდო, — ან გინდ სხვა ბევრი ფუქსავატური რამ! ესენი შეიძლება ფულად იქცეს! ოჰ, ესენი მე არ მინდა! შენ შეინახე!

და სამაჯურის ღილები შორს გაისროლა, კედელს მიეხალა და მათი შემაერთებელი ძეწკვი გაწყდა.

— მე კი, ყველაფერს მოგცემდი, ყოველივეს გავყიდდი, თვით დავიწყებდი შრომას, ხელგაწვდილი მოწყალებას ჩამოვითხოვდი მხოლოდ ერთი შენი ღიმილისათვის, ერთი შემოხედვისათვის, იმისათვის, რომ გეთქვა „გმადლობო“! შენ კი დამშვიდებული გამოჭიმულხარ შენს სავარძელში, ვითომ ჯერ საკმაო მწუხარება არ მოგეყენებიოს! უშენოდ, იცი თუ არა, მე შემეძლო ბედნიერი ვყოფილიყავ! განა ჭირვეულობა არ იყო შენი მხრით, რომ გადამეკიდე? მაშ, რა იყო? ნაძლევი? ხოლო ამბობდი, მიყვარხარო... აი, ახლაც, ამ წუთში... აჰ, უმჯობესი იყო, გაგეგდე! ჩემი ხელები ჯერ კიდევ არ გაცივებულა შენგან ნაკოცნი, და აი ეგერ ხალიჩა, სადაც დაჩოქილი მეფიცებოდი მარადიულ სიყვარულს... შენ მაიძულე მეწამა იგი: ორი წლის განმავლობაში მხიბლავდი საუცხოო, ტკბილი ოცნებით! ან თუნდ, ჩვენი მოგზაურობის გეგმები. აღარ გახსოვს? ოჰ, შენი წერილი, შენი წერილი! ჩემი სული იმან გაანადგურა!.. და ახლა, როცა მასთან მივსულვარ, მდიდარსა, ბედნიერსა და თავისუფალთან, რათა დახმარება ვთხოვო, რაზედაც პირველი შემხვედრიც კი უარს არ მეტყოდა, როცა ვევედრები და კვლავ ჩემს სინაზეს ვთავაზობ, იგი უარს მეუბნება, რადგან ეს სამი ათასი ფრანკი დაუჯდება!

— არა მაქვს-მეთქი! — მიუგო როდოლფმა ისეთი სიმშვიდით, როგორითაც ვით ფარით, თავს იცავს ხოლმე ღრმად ჩასაფრებული რისხვა.

ქალი წავიდა. თითქოს კედლები ირყეოდა, ჭერი სჭყლეტდა. მარტო მიდიოდა გრძელ ხეივანში; ბორძიკობდა გამხმარ ნეშოში, ქარი რომ ანიავებდა; პარკის გალავნის თხრილამდე მივიდა: ისე ჩქარობდა, ფრჩხილები მთლად დაიმტვრია ჭიშკრის გაღებაზე. ასიოდე ნაბიჯი რომ გაიარა, აქოშინებული შედგა, კინაღამ წაიქცა. მიბრუნდა, ერთხელ კიდევ მოავლო თვალი გულცივ ციხე-დარბაზს, მის პარკს, ბაღებს, სამ ეზოსა და ფანჯრებიან წინამოს.

გაშეშებული იდგა, არაფერი ესმოდა, აღარაფერს გრძნობდა, გარდა საკუთარი სისხლის ფეთქვისა, რაც ისე ეჩვენებოდა, თითქოს გამაყრუებელი რამ მუსიკა არემარეს ავსებსო. ნიადაგი ფეხქვეშ წყალზე უფრო დუნე ეჩვენებოდა, ხნულის კვალები კი ვეება მღვრიე ტალღებად, ნაპირებს რომ ეხეთქებოდა. შორეული მოგონებანი, აზრები, ფიქრები, ყველაფერი, რაც კი სულის სიღრმეში დალექილიყო, ერთბაშად გონებაში აელვარდა, ვით სადღესასწაულო ათასფეროვანი ცეცხლი. თვალწინ წარმოუდგა თავისი მამა, ლერეს კაბინეტი, საკუთარი ოთახი ქალაქში, რომელიღაც ადგილი. სიგიჟე ეუფლებოდა. შეკრთა, რამაც ოდნავ, ბუნდოვნად გონს მოიყვანა. თავისი საშინელი ყოფის მიზეზი, ეხე იგი, ფულის საკითხი. გონებაში უკვე ვეღარ აღედგინა. იგი მხოლოდ სიყვარულის გამო იტანჯებოდა; ამის გახსენებაზე გრძნობდა, რომ სული ელეოდა, სწორედ ისე, ვით მომაკვდავი გრძნობს ხოლმე, რომ ჭრილობიდან მჩქეფარე სისხლთან ერთად სიცოცხლეც ელევა.

ბინდდებოდა; ყორნები დაფრატუნებდნენ.

მოეჩვენა, თითქოს ჰაერში ცეცხლოვანი ბურთულები დაფრინავენ, ვით გავარვარებული ტყვიები, ბზრიალებენ, და გაჭყლეტილნი თოვლზე, ხის ტოტებში დნებიან. თითოეულ ბურთულაში როდოლფის სახე იხატებოდა. იგი თანდათან მრავლდებოდა, უახლოვდებოდა და სხეულში ექსოვებოდა. ერთბაშად ყველაფერი გაქრა. შორს თვალი მოჰკრა სახლების სინათლეებს, ნისლში რომ კიაფობდა.

მაშინ თავისი მდგომარეობა, უფსკრულისაკენ რომ მიაქანებდა, თვალწინ წარმოუდგა. გამალებული სუნთქვისაგან მკერდი გაპობას ლამობდა. შემდეგ, უეცრად მხნეობის გრიგალმა აიტაცა, რამაც სულს თითქმის სიხარული მოჰფინა; სირბილით დაეშვა დაღ-

მართზე. გაირბინა ძროხების ბოგირი, ბილიკი, ხეივანი, გასცდა ბაზარსა და აფთიაქის წინ შედგა.

აფთიაქში არავინ იყო, შესვლა განიზრახა, მაგრამ ზარის ხმაზე ხალხი გამოვიდოდა. სუნთქვაშეკრული, ბოჩინით კედლებს გაჰყვა და სამზარეულოსთან მივიდა, სადაც ღუმელზე სანთელი ანათებდა. იქ ჟუსტენი დაინახა, ჟილეტის ამარა, კერძი გაჰქონდა.

— ა, სადილობენ! მოვიცადოთ.

ჟუსტენი დაბრუნდა. ემამ დააკაკუნა, ჟუსტენი გაეგება.

— გასაღები! ზემო საკუჭნაოს გასაღები, სადაც...

— როგორ?

და გაკვირვებული ქალის სახეს დააცქერდა, რომელიც ისე გაფითრებული იყო, რომ ლაქასავით იხატებოდა ღამის წყვდიადში. მეტისმეტად მშვენიერი და მოჩვენებასავით დიდებული ეჩვენა: თუმცა ვერ გაეგო, რა სურდა, მაგრამ წინათგრძნობა კი რაღაც საშინელებას ჰპირდებოდა.

ემა ჩქარი, მაგრამ თან ტკბილი, შემპარავი ჩურჩულით ეუბნებოდა:

— გასაღები მესაჭიროება. მომეცი მალე!

ტიხარიანთხელი იყო, სასადილოდან ჩანგლებისა და დანების ჩხაკუნი მოისმოდა.

ქალი არწმუნებდა, ვირთაგვების გაწყვეტა მინდა, ძილს რომ ჭიფრთხობენო.

— ბატონს უნდა ვკითხო.

— არა, არ წახვიდე! — და გულგრილად დაუმატა:

— ეჰ, რა საჭიროა? თვით მე ვეტყვი შემდეგ. წამო! გამინათე.

ტალანით წავიდა, ლაბორატორიას გაუარა. კედელზე კლიტე ეკიდა წარწერიანი ფირფიტით: ფარმაკოტეკა.

— ჟუსტენ! — გაისმა მეაფთიაქის მოუთმენელი ხმა.

— ავიდეთ! — და ჟუსტენიც გაჰყვა.

კლიტე გადაატრიალა, შევიდა და პირდაპირ მესამე თაროს მიადგა, ზუსტად ახსოვდა, ლურჯი მინის ქილა ჩამოიღო, საცობი მოჰგლიჯა, ხელი ჩაუყო და ერთი მუჭა თეთრი ფხვნილი რომ ამოიღო, იქვე დაუწყო გამალებით ჭამა.

— შესდექით! — მიაძახა ყმაწვილმა და მივარდა.

— ჩუმად! მოვა ვინმე...

ჟუსტენი სასოწარკვეთილებას მიეცა, სურდა დაეძახნა.

— კრინტი, თორემ ყველაფერი შენს პატრონს დაბრალდება!

მერმე, ერთბაშად დაწყნარებული, შინისკენ გაემართა, თითქმის გამხიარულებული, თითქოს მოვალეობა რამ მოიხადაო.

როცა ქონების აღწერის ამბით შეშფოთებული შარლი შინ დაბრუნდა, ემა ის იყო გავიდა. შარლი ყვიროდა, ეძახდა, გული მისდიოდა, მაგრამ ემა არ დაბრუნებულა. სად უნდა იყოს? ფელისიტე გაგზავნა ყველგან: მეაფთიაქისას, ტუვაშისას, ლერესას, „ოქროს ლომის" სასტუმროში; ხოლო სულთმობრძაობის ინტერვალებში კი ნათლად ხედავდა თავისი სახელის შებღალვას, ოჯახის სიღატაკეს, ბერტას დამსხვრეულ მომავალს, რა მიზეზია, რისთვის? ვინ უნდა უთხრას! საღამოს ექვს საათამდე იცადა. მეტი ველარ მოითმინა; ეგონა, რუანს წავიდაო, ადგა, დიდ გზაზე გავიდა, ნახევარი ლიე გაიარა, ვერავის შეხვდა, კიდევ მოიცადა და ისევ შინ დაბრუნდა.

ემა დაბრუნებულიყო.

— რა ამბავია?.. რა მოხდა?.. გამაგებინე!..

ემა საწერ მაგიდას მიუჯდა, წერილი დაწერა, რიცხვი და საათი აღნიშნა, ნელა დააწება და რაღაც საზეიმო კილოთი უთხრა:

— ამას ხვალ წაიკითხავ; მანამდე კი, გთხოვ, ნურაფერს მკითხავ!... სრულიად ნურაფერს!

— მაგრამ...

— ოჰ, დამეხსენ!

თავის ლოგინზე დაწვა და გაიშიმა.

მწვავე გემომ, პირში რომ იგრძნო, გააღვიძა. შარლი რომ დაინახა, თვალები კვლავ დახუჭა.

ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა თავს, ცდილობდა გარკვეულიყო, ვიტანჯები თუ არაო. მაგრამ არა! ჯერ არაფერი. ესმოდა საათის რაკუნი, ცეცხლის ტკაცანი და ლოგინთან მდგომი შარლის სუნთქვა.

— ეჰ! უბრალო რამე ყოფილა სიკვდილი! — გაიფიქრა. — ჩავიძინებ და ყველაფერი გათავდება!

წყალი მოხვრიპა და კიდლისკენ გადაბრუნდა.

მელნის ეს საშინელი გემო მაინც არ შორდებოდა პირს.

— მწყურია!.. ოჰ, ძალზე მწყურია! — უეცრად წამოიკვნესა.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა შარლმა და ჭიქა მიაწოდა.

— არაფერია!... ფანჯარა გააღე... სული მეხუთება!

უეცრად ისეთი ღებინება დაეწყო, რომ ძლივს მოასწრო ბალიშქვემოდან ცხვირსახოცის გამოძრობა.

— წაიღე აქედან! — უთხრა შარლს. — გადააგდე!

შარლმა გამოკითხვა დაუწყო, არაფერი უპასუხა. უძრავად იწვა: ეშინოდა, გავინძრევი და მაშინვე რწყევა ამიტყდებაო. თანაც გრძნობდა, რომ საშინელი სიცივე ეპარებოდა, ფეხებიდან დაწყებული ყელამდე წვდებოდა.

— აჰ! აი როდის იწყება! — წაიჩურჩულა.

— რას ამბობ?

ემა ბალიშს ეწყვეტებოდა, სახედამწუხრებული, პირდაღებული, თითქოს ენაზე სიმძიმე რამ ჰკიდიაო. რვა საათზე ღებინება განუახლდა. შარლმა შეამჩნია, რომ ტაშტის ფსკერზე ფქვილისებური რაღაც თეთრი დარჩა.

— არაჩვეულებრივია! უცნაურია! — იმეორებდა თავისთვის.

გარნა ემამ მტკიცე ხმით წარმოთქვა:

— არა, შენ ცდები!

შარლმა ნაზად, თითქოს ეალერსებაო, მუცელზე ხელი გადაუსვა. ქალმა ცივად შეჰკივლა. შეშინებულმა შარლმა ერთბაშად უკან დაიწია.

შემდეგ ემამ კვნესა დაიწყო, პირველ ხანებში სუსტი, საშინელი კანკალი უვლიდა მთელ ტანში; ზეწარზე უფრო ფერმკრთალს დაკრუნჩხული თითები ზეწრებისთვის ჩაევლო, არეული მაჯისცემა ახლა თითქმის აღარ ისინჯებოდა.

ოფლი წურწურით სდიოდა გალურჯებულ სახეზე, რომელიც თითქოს ლითონის ოხშივარს გაუყინავსო, კბილებს ერთმანეთზე აცემინებდა; გაგანიერებულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და ყოველ შეკითხვაზე მხოლოდ თავს უკანტურებდა; ერთი-ორჯერ კიდევ გაიღიმა თანდათან კვნესას უმატა. ყრუდ გმინავდა, თუმცა ირწმუნებოდა, უკეთ ვარ და მალე-ავდგებიო. უეცრად ძიგძიგი დააწყებინა.

— აჰ, ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა! — წამოიძახა.

შარლმა ლოგინთან დაიჩოქა.

— თქვი, რა მიიღე. მითხარი, ღვთის გულისათვის!

და ისეთი სინაზით უცქერდა, როგორიც ემას არასოდეს არ უნახავს

— აი, იქ, იქ!.. — ძლივს წამოიკნავლა დასუსტებული ხმით.

შარლი საწერ მაგიდას მივარდა, წერილი გახსნა და ხმამაღლა წაიკითხა: „არავის დაებრალოთ...“ შედგა, თვალებზე ხელი გადაისვა და კვლავ გადაიკითხა.

— რაო?.. მიშველეთ! მომეხმარეთ!

მხოლოდ ერთ სიტყვას იმეორებდა: „მოწამლულა! მოწამლულა!“ — ფელისიტე მეაფთიაქისას გაიქცა, რომელიც ყვირილით გამოვარდა მოედანზე. მადამ ლეფრანსუას სასტუმროში შეესმა ეს ამბავი, ზოგიერთი ლოგინიდანაც კი ადგა, რათა მეზობლებისთვის შეეტყობინებინა; იმ ღამეს მთელი დაბა შეშფოთებული იყო.

უბედურებით გონებადაკარგული შარლი რაღაცას ბუტბუტებდა, ღონემიხდილი ოთახში დაბორიალობდა, დგამებს ეხლებოდა, თმას იგლეჯდა, მეაფთიაქე ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა, რომ ასეთი საშინელების მნახველი გახდებოდა.

ბ. ჰომე შინ დაბრუნდა, რათა ექიმი კანივე და ექიმი ლარიერი გამოეწვია, მაგრამ აზრი ვერ მოეკრიბა და დაწერილი ბარემ ხუთმეტჯერ დახია. იპოლიტე ნევშატელს გაგზავნეს, ხოლო ჟუსტენმა ისე მოქანცა ექიმის ცხენი, რომ საბრალო პირუტყვი გიიომის ტყეში მიატოვა მომაკვდავი.

შარლმა ვითომ თავის სამკურნალო ლექსიკონში ჩახედვა სცადა. მაგრამ ვერაფერი გაიგო, რადგან თვალებში უბრჭყვიალებდა.

— დამშვიდდით! — უთხრა მეაფთიაქემ. — საჭიროა მხოლოდ ძლიერი რამ საწინააღმდეგო წამალი მიეცეს, რით მოწამლულა?

შარლმა წერილი უჩვენა. დარიშხანი ყოფილა.

— მაშასადამე საჭიროა ანალიზის გაკეთება.

მიუგო ბ. ჰომემ, რომელმაც იცოდა, რომ მოწამვლის ყოველ შემთხვევის დროს საჭირო იყო ანალიზის გაკეთება; შარლმა, რომელსაც აღარაფერი გაეგებოდა, მიუგო:

— აჰ, გააკეთეთ! გააკეთეთ! გადაარჩინეთ!

მერმე კვლავ მის ლოგინთან მივიდა, დაიჩოქა. თავი ლოგინის ნაპირს მიადო და აქვითინდა.

— ასე იყო საჭირო, ჩემო მეგობარო, — მიუგო ემამ.

— რათა, რამ გაიძულა?

— ნუ ტირი! — უთხრა ემამ, — მალე გაგათავისუფლებ ამ ტანჯვისაგან!

— განა ბედნიერი არ იყავი? ან, იქნებ, ჩემი ბრალია? თუმცა ეს ყოველივე გავაკეთე, რაც კი შემეძლო!

— ჰო... მართალია... შენ გულკეთილი ხარ!

და თითები თმებში გაუყარა, ნაზად, მოდუნებულად. ამ შეხების სიამემ შარლს მწუხარება გაუმძაფრა; გრძნობდა, რომ მთელი თავისი არსებით ნადგურდებოდა, რადგან სწორედ მაშინ უნდა განშორებოდა სამუდამოდ, როცა ემა უფრო მეტ სიყვარულს იჩენდა მისდამი, ვიდრე როდისმე. და სრულიად ვერაფერს ახერხებდა, აღარაფერი გაეგებოდა, ვერც ბედავდა რასმე, ხოლო გადამწყვეტი ღონისძიების აუცილებლობა კი სამუდამოდ უკარგავდა ღონეს.

ყველაფერს მოვრჩი, ფიქრობდა ემა. გათავდა ყოველი ღალატი და სულმდაბლობა. გულისთქმათა დაუსრულებელ წამებასაც ბოლო მოეღო, ახლა უკვე აღარავინ სძულდა; შეუცნობელი ბინდი ეფარებოდა გონებას, და დედამიწის ხმათაგან ახლა ესმოდა მხოლოდ ამ საბრალო ნაღვლიანი გულის ჩივილი, ოდნავ გასაგონი კვნესა, ვით შორეული სიმფონიის უკანასკნელი გამოხმობა.

— ბავშვი მომგვარეთ. — თქვა და იდაყვზე წამოიწია.

— უფრო ცუდად ხომ არა ხარ? — ჰკითხა შარლმა.

— არა! არა!

გადიამ ბავშვი მოიყვანა, მძინარა, მოღუშული! გრძელ, საღამურ პერანგში შიშველი ფეხები უჩანდა; გაკვირვებული უცქეროდა აფორიაქებულ ოთახსა და თვალებს ხუჭავდა, რადგან სხვადასხვა ადგილს ანთებული სანთლები თვალსა სჭრიდა. ამ სანთლებმა, ალბათ, ახალი წელი და ყველაფერი მოაგონა, როცა ასე ნამძინარევს მიიყვანდნენ ხოლმე დედასთან საჩუქრების მისაღებად, რადგან ბავშვმა იკითხა:

— დედიკო, აბა სადაა იგი? — მაგრამ, რაკი ყველა დუმდა:

— სად არის ჩემი ფაჩუჩები?

ფელისიტემ დედის ლოგინთან მიიყვანა, მაგრამ პატარა სულ ბუხრისკენ იცქირებოდა.

— იქნებ ძიძამ წაიღო? — იკითხა ბავშვმა.

ამ სიტყვებზე, რამაც მადამ ბოვარის თავისი ფარული სიყვარული და მისგან გამოწვეული უბედურება გაახსენა, პირი იბრუნა, თითქოს საწამლავზე უფრო მეტი სიმწარე იგრძნოო. ბერტა ლოგინზე ჩამოსვეს.

— ოჰ, რა დიდრონი თვალები გაქვს, დედიკო! რა თეთრი ხარ! და რა ოფლიანი!...

დედა თვალს არ აშორებდა.

— მეშინია!

წამოიძახა ბავშვმა და განზე გაიწია, ემას უნდოდა ხელზე უკოცნა მისთვის. ბავშვი არ ანებებდა.

— კმარა, წაიყვანეთ!

წამოიძახა შარლმა, რომელიც სასთუმალთან ქვითინებდა. ტანჯვა წუთით განელდა; ავადმყოფი ნაკლებ შფოთავდა; თითოეულ მის უმნიშვნელო სიტყვაზე, ყოველ ოდნავ მსუბუქ ამოოხვრაზე შარლის გულში იმედი იღვიძებდა. როცა ოთახში ექიმი კანივე შეშოვიდა, შარლი სლოკინით მოეხვია კისერზე.

— აჰ, თქვენა ხართ? გმადლობთ! რა კეთილი ხართ! ახლა უკვე უკეთაა, აი, თვით ნახეთ...

კოლეგა კი სულ სხვა აზრისა იყო და, რაკი, როგორც თვით იტყოდა ხოლმე, მუდამ პირდაპირ, მიუკიბ-მოუკიბავად მოქმედებდა, ამიტომ უბრძანა, ახლავე სასაქმებელი მიეცით, რათა კუჭი სავსებით გაეწმინდოსო.

მაშინვე ავადმყოფს სისხლიანი აღებინა. ტუჩები უფრო მტკიცედ მოეკუმა; იკრუნჩხებოდა, ტანზე შავი ლაქები დააყარა, ხოლო მაჯის ცემა დაძაბული ჰქონდა, თითქოს გასაწყვეტად დაჭიმული სიმიაო.

უეცრად შემაძრწუნებელი კივილი აღმოხდა. წყევლიდა საწამლავს, შველას ითხოვდა და გაშეშებული ხელებით იშორებდა ყოველივეს, რაც საშინელი წუხილით მოთენთილ შარლს პირში უნდოდა მისთვის ჩაესხა. შარლი გალენჩებული იდგა, ტუჩზე ცხვირსახოცი მიედო, ხროტინებდა, ქვითინებდა, თავიდან ფეხებამდე ცახცახებდა. ფელისიტე კუთხიდან კუთხეს აწყდებოდა; ჰომე უძრავად იდგა და ოხრავდა: თვით კანივეც კი, მუდამ დარბაისლურად თავის დამჭერი, აშკარად ღელავდა.

— რა ჯანდაბაა! თითქოს... კუჭი ახლა გაწმენდილია, ხოლო რაკი მიზეზი აღარ არსებობს...

— შედეგიც წყდება, — მიაშველა სიტყვა ჰომემ, — თავისთავად ცხადია.

— გადაარჩინეთ-მეთქი! — წამოიძახა შარლმა.

კანივე ყურსაც არ უგდებდა მეაფთიაქეს, რომელიც ჰიპოთე-

ზის გამოთქმასაც კი ბედავდა, რომ „შესაძლებელია ეს კეთილისმყოფელი პროგრესიზმი იყოსო“. ის იყო, ავადმყოფისათვის თრიაქის დიდი დოზა უნდა გამოეწერა, რომ ქუჩაში შოლტის ტყლაშუნი გაისმა. ფანჯრის მინებმა ზრიალი დაიწყო და კოფომდე ტალახში აფოსვრილი ეტლი, რომელსაც სამი ცხენი მოაქროლებდა, ბაზრის მოედანზე გამოვარდა. ეს ექიმი ლარივიერი იყო.

ისეთ შთაბეჭდილებას, მგონი, ღვთის გამოცხადებაც ვერ მოახდენდა. ბოვარიმ ხელები აღაპყრო, კანივე იქვე გაშეშდა, ხოლო ჰომემ თავისი ჩაჩი იმ დროს მოიხადა, როცა განთქმული ექიმი ჯერ ოთახშიც კი არ შემოსულიყო.

იგი ეკუთვნოდა ქირურგთა იმ დიდ სკოლას, რომელიც სახელქებულ ბიშას მიერ იყო დაფუძნებული; იგი ექიმ-ფილოსოფოსების იმ თაობის წარმომადგენელი იყო, რომელიც აწ უკვე გარდასულია, და რომელიც ფანატიკური სიყვარულით, აღფრთოვანებითა და ნებიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. ყველაფერი თრთოდა ჰოსპიტალში, როცა ლარივიერი გაჯავრებული იყო, ხოლო მოწაფეები ისეთ პატივს სცემდნენ, რომ ახლადდამწყებნიც კი ცდილობდნენ რაც შეიძლებოდა ყველაფერში მისთვის მიებაძნათ. ასე რომ, ახლო-მახლო ქალაქებში მისი ნამოწაფარი ექიმები, მასავით შალის გრძელ პალტოებს იცვამდნენ. ლარივიერის შავი ფრაკის მუდამ გახსნილი მანჟეტები მის დიდრონსა და ლამაზ ხელებს ოდნავ ფარავდნენ, რომელთაც არასოდეს თათმანი არ სცმიათ, თითქოს ისინი მუდამ მზად არიან წყლულთა სახელავადო. ჯვრების, მაღალი თანამდებობის და აკადემიების უგულებელმყოფელი, სტუმართმოყვარე და ლიბერალი, ღარიბებისათვის მამობრივი მზრუნველი და კეთილისმყოფელი, სათნოების რწმენის გარეშე, იგი წმიდანად იქნებოდა აღიარებული, რომ მეტად გამჭრიახი გონება არა ჰქონოდა, რომელსაც დემონსავით უფრთხოდა ყველა. სადასტაქრო ნესტარზე უფრო ბასრი თვალი მისი პირდაპირ სულში სწვდებოდა ადამიანს და ყოველგვარ პირმოთნეობასა და კრძალვაში სიცრუეს გამოამჟღავნებდა. ასე ცხოვრობდა იგი, სათნო დიჯებით შემოსილი, რასაც ადამიანს დიდი ნიჭის შეგნება, ბედი და ოცდაორმოცი წლის გამრჯელი, უმწიკვლო სიცოცხლე ანიჭებს.

მან კარებშივე შეიკრა კოპები, როცა უძრავად მწოლიარე, პირდაღებულ ემას მიმკვდარებული სახე დაინახა. ვითომ კანივეს

უსმენსო, საჩვენებელი თითი ნესტოებს ზვეშ გაივლო და გაიმეორა:

— კეთილი, კეთილი...

მერმე მხრები აიჩეჩა. ბოვარი თვალს ადევნებდა; ერთმანეთს შეხედეს და... მრავალი ტანჯვის მნახველმა ამ კაცმაც კი ვეღარ შეიმაგრა თავი, ცრემლი მოსწყდა და საყელოზე დაუგორდა.

კანივე წაიყვანა და მეორე ოთახში გავიდა, შარლიც თან გაჰყვა.

— ძალიან ცუდად არის, არა? იქნებ კოჭობები დააყაროთ ან სხვა რამ. მოახერხეთ რამე, თქვენ ხომ ბევრი გადაგირჩენიათ!

შარლი ორივე ხელს ჰხვევდა, შიშითა და მუდარით პირდაპირ თვალებში შესცქეროდა, მის მხარს უღონოდ მიყრდნობილი.

— გამხნევედით, ჩემო საბრალო! უკვე საშველი აღარ არის. — და სწრაფად პირი იბრუნა.

— მიბრძანდებით?

— კიდევ შემოვივლი.

იგი ვითომ იმისთვის გავიდა, რომ მეეტლესთვის განკარგულება რამ ეცა; კანივეც მას მიჰყვა, სრულიადაც არ ეპიტნავებოდა, რომ ეგა მის ხელზე მომკვდარიყო.

მეაფთიაქე მოედანზე დაეწია მათ. არ შეეძლო სახელგანთქმულებს დაშორებოდა. ასეთი იყო მისი ხასიათი. ამიტომ ბ. ლარივიერსა სთხოვა, პატივი დამდეთ და ჩემსას ისაუზმეთო.

იმწამსვე კაცი აფრინეს „ოქროს ლომში“ მტრედების მოსაყვანად. ყასაბთან — კატლეტებისათვის, ტუვაშთან — ნაღებისათვის, ლესტიბუდუასთან — კვერცხებისათვის; მეაფთიაქე თვითონ შველოდა სუფრის გაშლას. ქ-ნი ჰომე თავისი კოფთის შესაკრავებს იგრეხდა და კრძალვით ეუბნებოდა:

— უკაცრავად გახლავართ; ჩვენს მიყრუებულ კუთხეში თუ წინდაწინვე გაფრთხილებული არა ხართ...

— ფეხიანი ჭიქები!!! — წასჩურჩულა ჰომემ.

— ქალაქში რომ ვცხოვრობდეთ, მაშინ დაკეპილ ხორცს მაინც...

— ჩუმად! ექიმო, გთხოვთ დაბრძანდეთ!

რამდენიმე ლუკმის შემდეგ მეაფთიაქემ საჭიროდ დაინახა ზოგიერთი წვრილმანის გახსენება კატასტროფის შესახებ.

— პირველად, სიმშრალეს გრძნობდა თურმე ყელში; მერე აუ-

ტანელი ტკივილები დაეწყო მუცლის ღრუში, ფაღარათი, კომა-ტოზური მდგომარეობა.

— საწამლავი სადღა უშოვნია?

— არავინ იცის, ექიმო, და ვერც კი წარმომიდგენია, როგორ მოახერხა დარიშხანის სიმჟავის შოვნა.

ჟუსტენი, რომელსაც ამ დროს მთელი გროვა თეფშები მოჰქონდა, ძალზე შეკრთა.

— რა მოგვიდა? — ჰკითხა მეაფთიაქემ.

ამ კითხვაზე ყმაწვილმა თეფშებს ხელი შეუშვა და ისინი საშინელი გრიალით იატაკზე დაიმსხვრა.

— დამთხვეულო, — წამოიძახა · მეაფთიაქემ, — პირღია! დათვო! უტვინო ვირო!

შემდეგ ოდნავ დაშოშმინდა და განაგრძო:

— მე მსურდა, ექიმო, ანალიზი გამეკეთებინა და, primo ფრთხილად შევიყვანე სინჯარაში...

— უკეთესი იქნებოდა თითი ჩაგეყოთ მისთვის პირში.

მისი კოლეგა კი დუმდა; წელან კონფიდენციალურად გვარიანად შეახურეს მის მიერ მოცემული სასაქმებლისათვის. პატივცემული კანივე, რომელიც ისეთი ცხვირაწეული და სიტყვის მოყვარული იყო მრუდი ფეხის გასწორების დროს, ახლა მომეტებულ ჭოკრძალებას იჩენდა და, ნიშნად სრული თანხმობისა, ჰუდამ იღიმებოდა.

ჰომე პირდაპირ ბრწყინავდა ამფიტრიონის როლში, და ბოვარისადმი მწუხრული ფიქრი რამდენიმედ კიდეც აძლიერებდა მის მოლხენას, რადგან ეგოისტურად მის ბედს თავისას ადარებდა. ექიმი ლარივიერის სტუმრობა ფრთებს ასხამდა. თავის ერუდიციას ამჟღავნებდა, უთავბოლოდ ასახელებდა კანტარიდებს, უპასს, მანსენილიეს*, გველის შხამს.

— მე ისიც წამიკითხავს, ექიმო, რომ ბევრი იწამლებოდა და პირდაპირ მეხდანაცემივით კვდებოდა ძალზე მოძველებული ძეხვით, სადაც თურმე ერთგვარი შხამი ჩნდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ამაზე ლაპარაკობს ერთი მშვენიერი მოხსენება ცნობილი ფარმაცევტის, ჩვენი ერთ-ერთი მასწავლებლის, სახელგანთქმული კადე დე-გასიკურისა!

---

* სხვადასხვანაირი შხამიანებია (მთარგმ.).

კვლავ შემოვიდა მადამ ჰომე, რომელსაც ხელში ერთ-ერთი ისეთი ნაზი წყობის მანქანა ეჭირა, რასაც სპირტით ათბობენ ხოლმე. ჰომეს ჩვეულება ჰქონდა, თავისი ყავა თვითონვე უნდა ეოვზადებინა: საკუთარი ხელით მოხალული ყავა თვით უნდა დაეფქვა ხელის პაწია წისქვილზე, თვითვე უნდა შეეზავებინა სათანადო ინგრედიენტებით.

— Saccharum, ექიმო! — უთხრა და ლარივიერს საშაქრე მიაწოდა.

შემდეგ ზემო სართულიდან ყველა თავისი შვილი ჩამოაყვანინა. სურდა ექიმის აზრი გაეგო მათი აგებულების შესახებ.

ლარივიერი უკვე წასასვლელად იყო გამზადებული, რომ ქ-მა ჰომემ ქმრის ჯანმრთელობის თაობაზე რჩევის მიცემა სთხოვა: ნასადილევს ძილი უყვარს და მეშინია, სისხლი არ აუვარდეს ტვინშიო.

— ოჰ, არა! მაგას ტვინი არ შეაწუხებს.

რაკი მისი ორაზროვანი ნათქვამი ვერავინ შეამჩნია, ექიმმა სასადილოს კარი გააღო და ოთახში გავიდა, ხოლო აფთიაქი ხალხით იყო გაჭედილი და ძლივს გაართვა თავი მათს ჩივილსა და სატკივარს. ბ. ტუვაში წუხდა, რომ მის მეუღლეს უთუოდ ჭლექი შეეყრება, რადგან ჩვეულება აქვს ნაცარში აფურთხოსო; ბ. ბინე უეცარი შიმშილის შეტევებს უჩიოდა, ხოლო ქ-ნ კარონს ერუანტელი უვლის ხშირად ტანში; ლერეს ხშირად თავბრუ ესხმის, ლესტიბუდუას რევმატიზმი აწუხებს, ქ-ნი ლეფრანსუა კი ხშირი ბოყინით იტანჯება. დაბოლოს, როგორც იქნა, სამცხენიანი ეტლიც დაიძრა და მაშინ ყველამ დაასკვნა, რომ ექიმი ვერ იყო საკმაოდ თავაზიანი.

ხალხის ყურადღება ახლა მღვდელმა ბურნიზიენმა მიიპყრო, რომელმაც ბაზარი გაიარა და თან ნაკურთხი ზეთი მიჰქონდა.

ჰომემ, თავისი პრინციპების თანახმად, მღვდლები ყორნებს შეადარა, მძოვრის სუნს რომ იკრავენ და შეგროვდებიან ხოლმე; ეკლესიის მსახურის დანახვა ჭირივით ეჯავრებოდა, რადგან ანაფორა სუდარას მოაგონებდა, ხოლო პირველი კი მეორისადმი შიშის გამო უფრო ეზიზღებოდა.

მიუხედავად ამისა, მაინც არ დაუხევია უკან იმის წინაშე, რასაც იგი „თავის მოვალეობას“ ეძახდა და კანივესთან ერთად, რომელსაც ლარივიერმა ბეჯითად სთხოვა, ბოვარისას გაემართა; ცო-

ლის წინააღმდეგობა რომ არა, მეაფთიაქე თავის ორ ვაჟსაც თან წაიყვანდა სულიერად მათი წრთობისათვის, რათა მძიმე სანახაობა მათთვის მომავალში გაკვეთილი, თვალსაჩინო მაგალითი და დაუვიწყარი ყოფილიყო.

როცა ისინი შევიდნენ, ოთახი რაღაც შავბნელი ზეიმით იყო აღსავსე. თეთრსუფრაგადაფარებულ სამუშაო მაგიდაზე, ვერცხლის ლანგარზე, ვერცხლის მკვრივი ჯვარცმის გვერდით, ორ ანთებულ შანდალს შორის, ბამბის ხუთი-ექვსი პაწია გუნდა იყო, ემას ნიკაპი მკერდზე დაშვებოდა, თვალები გაგანიერებოდა, ხოლო მისი ჩამომხმარი თითები ზეწარზე ისეთი უმწეო და შიშის ზარის მომგვრელი ბოჩინით მოძრაობდა, როგორც მომაკვდავებს სჩვევიათ, თითქოს წინასწარვე სუდარაში გახვევას ლამობენო. ქანდაკებით ფერმკრთალი და ნაკვერჩხალივით თვალებდაწითლებული შარლი, რომელსაც ცრემლი გაშრობოდა, ავადმყოფის ფერხთით იდგა. ცალ მუხლზე დაჩოქილი მღვდელი ლოცვას ბუტბუტებდა.

ემამ ნელა მოაბრუნა თავი და, თითქოს გაეხარდაო, როცა იისფერი ოლარი დაინახა; ამ შინაგანი ღრმა მყუდროებით აღვსებისას, ვინ იცის, იქნებ თავისი პირვანდელი, აწ უკვე დაკარგული მისტიური აღფრთოვანების სიამე განუახლდა წუთით და შინაგანი თვალიც მარადიული ნეტარების ბუნდოვან ჩვენებას სჭვრეტდა. მღვდელი წამოდგა. ჯვარცმა აიღო; ემამ კისერი გაიწვდინა, ვით მწყურვალმა, როცა ასმევენ, ბაგით ღმერთკაცის სხეულს შეეხო და თავისი მილეული ღონით ისეთი ვნებიანი ამბორი უყო, როგორიც არასოდეს არავისთვის უძღვნია. შემდეგ მღვდელმა misereatur და Indulgentiam წაიკითხა, ცერი ნაკურთხ ზეთში ჩაუწო და ცხებას შეუდგა: ჯერ თვალებსა სცხო, ამქვეყნიურ მშვენებას რომ გაუმაძღრად ეძებდა; შემდეგ ცხვირის ნესტოებს, რომლებიც ხარბად ეტანებოდა კეთილნაზავებ სურნელებას და ვნებისაღმძვრელ საუნოსავს; მერმე ბაგეს, სიცრუისთვის რომ იხსნებოდა და სიამაყითა და ვნებათა ტკბობით რომ კვნესოდა; შემდეგ ხელებს, რომელთაც გრძნობის აღმძვრელი შეხება ატკბობდა, და, ბოლოს, ფეხისგულებს, ოდესმე მარდსა და მოუღალავს, რათა სურვილის ძახილს ასდევნებოდა, მაგრამ რომელთაც აწ სიარული აღარ შეეძლოთ.

მღვდელმა თითები გაიწმინდა, ზეთით გაჟღენთილი ბამბა ცეცხლში ჩააგდო, მომაკვდავს სასთუმალთან მიუჯდა და არიგებდა,

რომ ამიერიდან თავისი ტახჯვანი იესო ქრისტეს წამებას უნდა შეუერთოს და ღვთის მოწყალებას უნდა მიენდოსო.

დარიგება რომ გაათავა, სურდა ანთებული ნაკურთხი სანთელი, სიმბოლო ზეციური სინათლისა, რომლითაც იგი მალე შეიმოსება, ავადმყოფისთვის ხელში მიეცა, მაგრამ ემა ისე იყო დასუსტებული, რომ თითების მოჭერაც ვეღარ შეძლო, და მღვდელი რომ არ მიშველებოდა, სანთელი ძირს დავარდებოდა.

სამაგიეროდ, ახლა ნაკლებ ფერმკრთალი ჩანდა და სახეზედაც მშვიდი ნათელი ეფინა, თითქოს ზეთისცხებამ განკურნაო.

მღვდელმა მაშინვე მიაქცია ამას ყურადღება და შარლსაც კი უთხრა, ღმერთი ზოგჯერ ინებებს და სიცოცხლეს განუგრძობს კაცს, უკეთუ მისი ცხოვრებისათვის ამას სასარგებლოდ მიიჩნევსო. შარლს გაახსენდა ის დღე, როცა ასე სიკვდილის პირს მიმდგარი ემა აზიარეს.

„იქნებ მართლაც სასოწარკვეთილება საჭირო არ იყოს“, — გაიფიქრა.

და მყისვე ემამ თვალი გაახილა, ოთახი ნელა ჩამოათვალიერა, თითქოს ესაა, გაიღვიძა; მერე გარკვეული ხმით სარკე მოითხოვა, ერთხანს თავდახრილი ჩასცქეროდა, სანამ თვალთაგან მსხვილი ცრემლი არ მოსწყდა; მაშინ თავი უკან გადაიგდო და ბალიშზე ოხვრით დაეცა.

მკერდი აჩქარებით და წყვეტებით აუმოძრავდა, ენა ბილად გადმოუვარდა; გეგონებოდათ, უკვე მოკვდაო, რომ საშინლად და გამალებით მფეთქავი ფერდები არა, რომელთაც სასტიკი სუნთქვა ამოძრავებდა, თითქოს სული მისი გამწარებული ფართქალებს და ყოველ ღონეს. ხმარობს როგორმე გათავისუფლდესო.

ფელისიტე ჯვარცმის წინაშე დაემხო, თვით მეაფთიაქემაც კი ოდნავ მოიხარა მუხლები, მხოლოდ ერთი კანივე იდგა და ფანჯარაში გულგრილად იცქირებოდა, მამა ბურნიზიენმა თავი ლოგინზე დახარა და კვლავ ლოცვების კითხვას შეუდგა, ხოლო მისი მეტად გრძელი ანაფორის ბოლო განზე შორს ეთრეოდა. შარლი ლოგინის მეორე მხარეს იყო დაჩოქილი; ხელში ემას ხელები ეკავა და მისი გულის ყოველ ცემაზე ცახცახებდა, თითქოს სადღაც ნანგრევები ირღვევა და იმას უპასუხებსო. მომაკვდავის ხროტინის გაძლიერებისას, მღვდელიც დუდუნს უმატებდა; ლოცვის სიტყვები ბოვარის ყრუ ქვითინს უერთდებოდა და ზოგჯერ გეგონებოდათ, ლათინუ-

რი სალაბის ყღურტული, რაც განსვენების ზართა რეკვისას გაისმოდა, ყველაფერს ახშობსო.

უეცრად, ქვაფენილზე ხის ფეხსაცმლის ფხაკუნი და საბიჯგის რაკუნი გაისმა; ხრინწიანი ხმა მღეროდა:

კარგი დარის მხცუნვარება
ქალწულს ვნებად ეჯარება.

ემამ გალვანიზირებული გვამივით წამოიწია, თმაგაწეწილმა, თვალგაშტერებულმა.

თავთავების ასაკრეფად,
ნამგალი რომ უხვად ცელავს,
ეს ნანეტი თავდახრილი
გამალებით კვალებს ქსელავს.

— უსინათლო! — წამოიძახა მან და საშინელი, ველური, სასოწარკვეთილებით აღსავსე ხმით გადაიხარხარა, თითქოს მახინჯის საზიზღარი სახე მარადიული წყვდიადის წიაღში საფრთხობელად ეჩვენაო.

დაუბერა უცბად ქარმა,
კაბაც თავზე დააფარა..

მძაფრმა კანკალმა კვლავ ლოგინზე დასცა ავადმყოფი. მისცვივდნენ. იგი უკვე აღარ არსებობდა.

IX

როცა ვინმე კვდება, ყველას მოიცავს რაღაც განცვიფრება, იმდენად ძნელი მისაწვდომია არარაობის დადგომა, იმდენად ძნელია მისი დაჯერება. მაგრამ როცა შარლმა მაინც შეამჩნია, ეგა აღარ იძვრისო, მივარდა და ქვითინი მორთო.

— მშვიდობით! მშვიდობით!

ჰომემ და კანივემ მეორე ოთახში გაიყვანეს იგი.

მოითმინეთ, გამხნევდით!

— დიახ, ვეცდები, — ამბობდა იგი და გასხლტომას ლამობდა, — ცუდს არაფერს ავუტეხავ თავს, მაგრამ გამიშვით! მინდა ვნახო, ის ხომ ჩემი ცოლია! — და კვლავ ატირდა.

— იტირეთ, — უთხრა მეაფთიაქემ, — გამოსავალი მიეცით მწუხარებას, შეგიმსუბუქებთ!

ბავშვივით ულონო შარლი აღარ ეწინააღმდეგებოდა; ქვემო დარბაზში ჩაიყვანეს, და ჰომეც შინ წავიდა.

მოედანზე ბრმა გადაეკიდა, სამკურნალო მალამოს იმედით იონვილს მოთრეულიყო და ყველა გამვლელს ეკითხებოდა, მეაფთიაქე სად ცხოვრობსო.

— ერთი შენც კიდევ! თითქოს შენს გარდა, სხვა აღარაფერი პაწუხებდეს. რა დროსია, სხვა დროს მოდი! — და საჩქაროდ აფთიაქში შევიდა.

ორი წერილი უნდა დაეწერა, ბოვარისთვის დამამშვიდებელი წამალი უნდა დაემზადებინა, რაიმე ხრიკი უნდა გამოეძებნა, რომ თავის მოწამვლის ამბავი ხალხში არ გავრცელებულიყო და ამავე მიზნით „რუანის შუქურაში“ შენიშვნა უნდა მოეთავსებინა. გარდა ამისა, ათასი ვინმე ელოდებოდა მისგან ცნობების მიღებას. როცა ყველა იონვილელმა მოისმინა მისი ნაამბობი, რომ ემას ვანილიანი კრემის მომზადებისას დარიშხანი შეცდომით შაქრად მიეღოო, ჰომე კვლავ ბოვარისას გაემართა.

შარლი მარტო დახვდა, კანივე, ის იყო, წასულიყო. ბოვარი სავარძელში იჯდა ფანჯარასთან და უაზროდ დასცქეროდა იატაკს.

— ახლა საჭიროა გასვენების დღე დავნიშნოთ, — უთხრა მეაფთიაქემ.

— რაო? რა გასვენება? — და მერმე შეშინებული აჩიფჩიფდა:

— ოჰ, არა, არა! ის აქ უნდა დარჩეს.

ჰომემ, ზრდილობისათვის, ეტაჟერზე სურა აიღო და ყვავილები მოარწყო.

— აჰ, გმადლობთ, — უთხრა შარლმა, — რა კეთილი ხართ!

სიტყვა ვეღარ დაასრულა, რადგან მეაფთიაქის საქციელმა ბევრი რამ მოაგონა.

მაშინ მის გასართობად ჰომემ მებაღეობაზე ჩამოაგდო სიტყვა. მცენარეებს სინესტე ესაჭიროებაო. შარლმა, თანხმობის ნიშნად, თავი ჩაიქნია.

— მაღლე კარგი ამინდი დადგება.

— აჰ... — ამოიგმინა შარლმა.

მეაფთიაქემ აღარ იცოდა, რა ეთქვა; მივიდა, ფარდები ოდნავ გადაწია.

— აკერ ტუკაში მიდის.

შარლმა მანქანისებრ გაიმეორა:

— ტუკაში მიდის.

ჰომე ვეღარ ბედავდა კვლავ დაეწყო ლაპარაკი გასვენებაზე; ისევ მღვდელმა მოახერხა მისგან საჭირო განკარგულების მიღება.

შარლი თავის კაბინეტში ჩაიკეტა, კალამი აიღო და ბევრი ქვითინის შემდეგ, დაწერა:

„მსურს, იგი საქორწინო კაბით, თეთრი ფეხსაცმლითა და გვირგვინით დაასაფლაონ. თმა მხრებზე უნდა ჰქონდეს ჩამოშლილი, კუბო სამი უნდა იქნეს: მუხის, ურთხელისა და ტყვიის. დაე ნურაფერს მეტყვიან. ძალა არ შემწევს. ძაძის მაგიერ, კუბოს მწვანე ხავერდის დიდი ნაჭერი გადააფარონ. ასეთია ჩემი ნება. და ყოველივე ასე ჰქენით, როგორც მე მსურს“.

ბოვარის რომანტიკულმა სურვილმა ახლობლები გააკვირვა; მეაფთიაქე მაშინვე ადგა და მოახსენა:

— ეს ხავერდი მე ზედმეტად მიმაჩნია. სხვა არა იყოს რა, ხარჯიც...

— თქვენ რა გეკითხებათ? — წამოიძახა შარლმა. — თავი დამანებეთ! თქვენ ხომ არ გყვარებიათ იგი. მომშორდით აქედან!

მღვდელმა მკლავი გაუყარა და ბაღში გასასეირნებლად გაიყვანა. ქვეყნის ამაოებაზე ჩამოუგდო საუბარი: ღმერთი დიდია და მოწყალე; ადამიანი უდრტვინველად უნდა დაემორჩილოს მის ბრძანებასა და ყველაფრისათვის მადლობდეს მასო.

შარლი მკრეხელობას მოჰყვა:

— ვგმობ მე თქვენს ღმერთს!

— სული მეამბოხისა კვლავ სადგურობს თქვენში. — ამ იოხრა მღვდელმა.

მაგრამ ბოვარი უკვე ძლიერ დაწინაურდა. იგი დიდი ნაბიჯით ვიდოდა კედლის გასწვრივ, კბილებს აკრაჭუნებდა და ზეცას სიძულვილით აღსავსე თვალებს აპყრობდა, მაგრამ ერთი ფოთოლიც კი არ შერხეულა.

წვიმის შხეფები წამოვიდა. შარლმა, რომელსაც მკერდი ღია ჰქონდა, სიცივე იგრძნო, სამზარეულოში შევიდა და დაჯდა.

ექვს საათზე, მოედანზე რკინეულობის ჯახუნი გაისმა: „მერცხალი“ დაბრუნებულიყო. შარლი ფანჯარასთან იდგა, შუბლი მინაზე მიედო და უცქერდა როგორ ერთიმეორეზე ჩამოდიოდნენ

მგზავრები. ფელისიტემ სასტუმრო ოთახში დაუგო ლეიბი იატაკზე; შარლი მიეგდო და მიეძინა.

ჰომე თუმცა ფილოსოფოსი იყო, მაგრამ მიცვალებულებს მაინც პატივს სცემდა. ამიტომ არც საბრალო შარლს უმუნათა და საღამოს კვლავ მივიდა, რათა მიცვალებულისათვის ღამე ეთია; თან წამოეღო სამი წიგნი და უბის წიგნაკი „შენიშვნებისათვის.

მღვდელი უკვე იქ იყო. ალკოვიდან გამოტანილი საწოლის სასთუმალთან ორი მსხვილი სანთელი ენთო.

მეაფთიაქემ, რომელსაც დუმილი ამძიმებდა, ვერ მოითმინა და რამდენიმე ნაღვლიანი სიტყვა წარმოთქვა ამ „უბედურ ახალგაზრდა ქალზე“. მღვდელმა მიუგო, ახლა მისთვის ლოცვის მეტი აღარა დაგვრჩენია რაო.

— ხოლო ორში ერთია. — განაგრძო ჰომემ, — იგი ან მოწყალებასა შინა მყოფი გარდაიცვალა (როგორც ეკლესია ამბობს), და მაშინ სრულიადაც ჩვენს ლოცვებს არ საჭიროებს, ან მოუნანეებელი მოკვდა (მგონი, ესეც ეკლესიური გამოთქმაა), და მაშინ...

ბურნიზიენმა გაჯავრებით გააწყვეტინა, ყოველ შემთხვევაში ლოცვა საჭიროაო.

— კი, მაგრამ, — არ ცხრებოდა მეაფთიაქე, — უკეთუ ღმერთმა ყოველი ჩვენი გასაჭირი იცის, ლოცვა რაღა საჭიროა?

— როგორ თუ რაღა საჭიროა? — წამოიძახა მღვდელმა, — თქვენ ქრისტიანი არა ხართ თუ?

— უკაცრავად, — უთხრა ჰომემ, — მე ქედს ვიხრი ქრისტიანობის წინაშე. მან განათავისუფლა მონები, ქვეყანას ზნეობა გაუჩინა...

— საქმე ეგ როდია! სამღვთო წერილი...

— ოჰ, ოჰ! რაც შეეხება სამღვთო წერილს, ისტორია გადაშალეთ; ცნობილია, რომ მთელი სამღვთო წერილი იეზუიტებმა შურყვნეს.

ოთახში შარლი შემოვიდა, საწოლთან მივიდა და ჩარდახი წყნარად გადაწია.

თავი ემას ოდნავ მარჯვნით მოედრიკა. ღიადშთენილი პირი შავი ხვრელივით მოჩანდა სახის ქვემო ნაწილზე. ცერები ხელისგულებზე მიკეცილი დარჩენოდა. წამწამები თეთრად დაქრქილვოდა, ხო-

ლო ღია თვალებს წებოვანი, მუქი აპკი გადაჰკვროდა, ვით ობობას ქსელი. ზეწარი მკერდსა და მუხლებს შორის ჩაწოლილიყო. მხოლოდ ფეხის თითებზე იყო აწეული; შარლს ისე მოეჩვენა, თითქოს მეტისმეტად მძიმე რამ დასწოლია მიცვალებულსო.

ეკლესიის საათმა ნაშუაღამევის ორი დარეკა. ისმოდა ხმიანი ღუღუნი მდინარისა, ბნელში რომ მოედინებოდა ტერასის ახლოს. მღვდელი ბურნიზიენი დროდადრო გულიანად აცხიკვებდა, ჰომე კი ქაღალდზე კალამს აწრიპინებდა.

— გამიგონეთ, ჩემო ტკბილო მეგობარო, — უთხრა ჰომემ შარლს, — წადით აქედან, ეს სანახაობა თქვენ გულს გიკლავთ.

გავიდა თუ არა შარლი, მღვდელი და ჰომე კვლავ შეეკამათნენ ერთმანეთს.

— წაიკითხეთ ვოლტერი, — ამბობდა ერთი, — წაიკითხეთ ჰოლბახი, წაიკითხეთ ენციკლოპედია!

— წაიკითხეთ „ზოგიერთი პორტუგალელი ებრაელის თხზულებანი", — ეუბნებოდა მეორე, — წაიკითხეთ „ქრისტიანობის სული" მსაჯულად ამყოფის ნიკოლასი!

ორივე გაცხარებული იყო, გაწითლებული, ერთდროულად ლაპარაკობდნენ, ერთმანეთის არა ესმოდათ რა. ბურნიზიენი აღშფოთებული იყო ასეთი უტიფრობით: ჰომეს აკვირვებდა ამგვარი სისულელე; ლამის ერთმანეთი შეურაცხჰყვეს, რომ ამ დროს შარლი არ შესულიყო. რაღაც ძალა ეზიდებოდა აქეთკენ და იგიც წამდაუწუმ ამოდიოდა კიბეზე.

მიცვალებულის პირდაპირ დადგებოდა, რათა უკეთ დაენახა და კარგა ხანს ასე გარინდებული რჩებოდა. მაგრამ ტანჯვას როდიღა გრძნობდა, რადგან მეტად ღრმა იყო იგი. იგონებდა კატალეფსის და მაგნიტიზმის სასწაულებზე ნაამბობს და თავს აჯერებდა, საჭიროა მხოლოდ მძაფრი სურვილი, რომ შესაძლებელი გახდეს შისი გაცოცხლებაო. ერთხელ კიდეც დაიხარა მისკენ და წუნარად უხმო: „ემა! ემა"! მისმა ძალუმმა ამოოხვრამ სანთლების ალი შეარხია.

განთიადისას დედამისი მოვიდა. შარლი მოეხვია და აქვითინდა. დედამაც, ისე ვით მეაფთიაქემ, გაბედა და რამდენიმე სიტყვა დასძრა დაკრძალვის ხარჯზე. შარლი ისე გაჯავრდა, რომ დედამ გაჩუმება არჩია; პირიქით, შვილმა სწორედ მას მიანდო ქალაქს წასვლა და ყოველივე საჭიროს ყიდვა.

ნასადილევიდან შარლი მარტოდმარტო დარჩა. ბერტა ქ-ნ ჰომ-ესთან წაიყვანეს; ფელისიტე კი, მამიდა ლეფრანსუასთან ერთად, ზემო ოთახში იყო.

საღამოს მნახველ-მოსამძიმრენი მოვიდნენ. შარლი ადგებოდა. ხელს ჩამოართმევდა, სიტყვის თქმის თავი კი აღარ ჰქონდა. მოსულ-ი დანარჩენ სტუმრებს მიუჯდებოდა, ბუხრის წინ რომ ფართოდ შემორკალულიყვნენ; თავდახრილნი, ფეხზეფეხშემოდგმულნი, ისინი თავს იქნევდნენ და ხანგამოშვებით ღრმად ოხრავდნენ; ყოველი მათგანი ძალზე გაბეზრებული იყო, მაგრამ ცდილობდა სხვაზე მეტ ხანს დარჩენილიყო.

საღამოს ცხრა საათზე ჰომეც გამოვიდა (ამ ორი დღის განმავ-ლობაში მხოლოდ მას თუ დაინახავდი მოედანზე) და თან მოიტა-ნა ქაფური, ბენზოი და სურნელოვანი ბალახეულობა; არ დავიწყე-ბოდა აგრეთვე არც ქლორი ჰაერის გასაწმენდად. ამ დროს ფელისი-ტე, მამიდა ლეფრანსუა და დედაბერი ბოვარი ემას დასტრიალებ-დნენ თავს და მის მორთვას ათავებდნენ; დასასრულს, მიცვალებულს თავით ფეხებამდე ხამი ლეჩაქი გადააფარეს.

ფელისიტე ტიროდა;

— ოჰ, ჩემო საბრალო ქალბატონო! ჩემო საბრალო ქალ-ბატონო!

— ერთი შეხედეთ, რა ლამაზია, — ამბობდა საუტუმროს პატ-რონი ქალი, — გეგონება, ესაა, წამოდგებაო!

მერმე მიცვალებულისათვის გვირგვინი უნდოდათ დაედგათ: საჭირო იყო თავის ოდნავ აწევა; პირიდან ნარწყევივით, ერთბაშად იფეთქა შავმა სითხემ.

— აჰ, ღმერთო ჩემო! ტანისამოსს გაუფრთხილდით, — წამო-იძახა ქ-მა ლეფრანსუამ, — თქვენც დაგვეხმარეთ, — მიმართა მეაფ-თიაქეს, — იქნებ კიდეც გეშინიათ?

— მე მეშინია? — მხრების აჩეჩვით ჰკითხა მან, — მაგისთანე-ბი მინახავს ჰოტელ-დიეს-საავადმყოფოში, როცა ფარმაციას ვსწავ-ლობდი! ანატომიურ კლინიკაში, გვამების გაკვეთის დროს, ჩვენ პუნშს ვამზადებდით ხოლმე! არყოფნა ფილოსოფოსს როდი აში-ნებს; ეგ კი არა, მე ხშირად მითქვამს ხოლმე კიდეც, რომ ჩემი გვამი კლინიკებს უნდა ვუანდერძო, რათა სიკვდილის შემდეგაც მეცნიერებას რადმე გამოვადგე.

მღვდელი შარლის ამბის გასაგებად მოვიდა და, როცა ჰომეს უამბო, მწუხარედ თქვა:

— მოგეხსენებათ, მწუხარება ჯერ კიდევ არ განქარვებია!

მაშინ ჰომე მღვდელს შეესიტყვა, საყვარელი არსების დაკარგვის მუდმივი შიშისაგან თქვენ ხომ დაზღვეული ხართო. ამ გარემოებამ კვლავ კამათი გამოიწვია სამღვდელოების უცოლობაზე.

— სრულიადაც ბუნებრივი არ არის, რომ კაცი უქალოდ ცხოვრობდეს, — თქვა მეაფთიაქემ, — ვინ იცის, რამდენი დანაშაულება მომხდარა...

— ღვთის რისხვა! — წამოიძახა მღვდელმა, — როგორ გნებავთ, რომ ცოლიანმა კაცმა, ვთქვათ, საიდუმლოდ დაიცვას აღსარება.

მაშინ ჰომემ აღსარებას შეუტია. ბურნიზიენი კი მას იცავდა: ასახელებდა მრავალ შემთხვევას, როცა აღსარებას ადამიანი სრულიად გამოუცვლია. უამბო რამდენიმე ანეგდოტი ქურდებზე, რომლებიც ერთბაშად გაპატიოსნდნენ, სამხედრო პირებზე, რომელთაც საღსარებოდ წარდგომისას თვალთაგან თითქოს ბისტი მოშორებიათო. ფრიბურგში იყო ერთი მღვდელმსახური...

მის მოკამათეს უკვე ჩასძინებოდა, რადგან ოთახში დახშული ჰაერი იდგა, მღვდელმა ფანჯარა გააღო, რამაც მეაფთიაქე გააღვიძა.

— ინებეთ! — და საბურნუთე გაუწოდა, — ერთი ნაფაზი. გამოგაფხიზლებთ.

სადღაც ძაღლის ყმუილი ისმოდა.

— გესმით, ძაღლი ყმუის? — უთხრა მეაფთიაქემ.

— ამბობენ, — მიუგო მღვდელმა, — ძაღლები მიცვალებას გრძნობენო. აგრეთვე ფუტკარიც. იგი უთუოდ წავა, უკეთუ შინ მიცვალებულია.

ჰომეს უკვე ადარ გაულაშქრნია ამ ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ, რადგან კვლავ ჩაეძინა.

უფრო ამტანი ბურნიზიენი ერთ ხანს კიდევ აცმაცუნებდა ტუჩებს უხმოდ; მერე, მისდა შეუმჩნევლად, კისერი მოეღრიცა. მსხვილი წიგნი გაუვარდა და ხვრინვა ამოუშვა.

ასე ისხდნენ პირისპირ მუცლებგამოზიდულნი, სახემოთენთილნი, რომელნიც ამდენი უთანხმოების შემდეგ მაინც შეურიგდნენ ერთმანეთს ადამიანთათვის ამ საერთო სისუსტის დროს; უძრავნი იყვნენ, ვით მიცვალებული მათ ახლოს, რომელსაც თითქოს ეძინა.

შარლი შემოვიდა, მაგრამ ისინი არ გაუღვიძებია. ეს უკანასკნელი მოსვლა იყო. სურდა მიცვალებულს გამოთხოვებოდა.

სურნელოვანი ბალახები კვლავ ბოლავდა; კვამლი გარედან შემოსულ ნისლს ეზავებოდა. ცაზე რამდენიმე ვარსკვლავი ციმციმებდა. წყნარი ღამე იყო.

თაფლის სანთლის ნაღვენთები მსხვილ ცრემლებად ეცემოდა ლოგინის ზეწრებს. შარლი სანთლებს მიშტერებოდა და მათი ყვითელი ლიცლიცი თვალებს სტკენდა.

მთვარის შუქვით მოკიაფე თეთრი სატინის კაბაზე სინათლის ტალღები ციმციმებდა; ემაც ამ ტალღებში იძირებოდა; და შარლს ეჩვენებოდა: მიცვალებული თავისი სხეულიდან გამომძვრალა, რათა გარემოს შეუერთდეს, აი, ამ ღამის მყუდროებას, ნიავის ამ ჭროლვასა და დედამიწის ანაორთქლსაო.

შემდეგ, უეცრად თვალწინ წარმოუდგა იგი, ვით ცოცხალი, ხან ტოსტის-ბაღში სკამზე მჯდომარე, ეკლიან ღობესთან, ხან რუანის ქუჩებში, ხან თავიანთ სახლის წინ, ხანაც ბერტოს ფერმის ეზოში. ყურში ყმაწვილთა სიცილი ესმოდა, მაშინ რომ ვაშლის ხეებქვეშ ცეკვავდნენ. ოთახი სავსე იყო მისი თმის სურნელებითა და მისი კაბის ქსოვილიც ხელში ისე უტკაცუნებდა, თითქოს ბუხარში ცეცხლის ნაპერწკლები წკიპინებენო. სავსებით ისეთივე იყო!

დიდხანს აგონდებოდა წარსული ბედნიერების ყოველი წუთი, მისი ქცევა, მიმოხრა, ხმის კილო, ერთი სასოწარკვეთილების შეტევა რომ განელდებოდა, შემდეგ სხვა გამოჩნდებოდა, და ასე უსაზღვროდ ეფინებოდა მათი დაუსრულებელი ცვლა, ვით აღელვებული ზღვის ტალღები.

საშინელმა ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო: მივიდა და წყნარად, აცახცახებული თითის წვეროებით ასწია პირბადე, მაგრამ მყის მკერდიდან საშინელი კივილი აღმოხდა, და ორივე გააღვიძა. მათ ძირს ჩაიყვანეს იგი, სასტუმრო ოთახში.

ცოტა ხნის შემდეგ ფელისიტე მოვიდა და თქვა, მიცვალებულის თმის ნაწკეპს თხოულობსო.

— მოსჭერით! — უთხრა მეაფთიაქემ.

მაგრამ, რაკი მსახური ვერ ბედავდა, თვით აიღო მაკრატელი. ხელები ისე უკანკალებდა, რომ საფეთქლებზე კანი რამდენსამე ადგილს გაუჩხვლიტა. ბოლოს, ალალბედზე მოსჭრა და სამიოდე

ადგილას მშვენიერ, სქელსა და შავ თმაში თეთრი ხარვეზები დატოვა.

მღვდელი და მეაფთიაქე თავ-თავიანთ საქმეში იყვნენ გართულნი. ხანდახან კიდეც ჩაეძინებოდათ, რისთვისაც, ყოველ გაღვიძებისას, ერთმანეთს აყვედრიდნენ ხოლმე. მაშინ მღვდელი ოთახში ნაკურთხი წყლის სხურებას შეუდგებოდა. მეაფთიაქე კი — ქლორის ფრქვევას.

ფელისიტეს მათთვის ეზრუნა და კომოდზე დაეტოვებინა ერთი ბოთლი არაყი, ყველი და ერთი დიდი ტკბილი პური. სრულიად ღონემიხდილმა მეაფთიაქემ, ასე დილის ოთხ საათზე, ძლივს წაიკნავლა:

— ჩემმა მზემ, დიდი სიამით დავნაყრდებოდი ახლა!

მღვდელს პატიჟი არ დასჭირვებია; მაშინვე წავიდა, ილოცა და როცა დაბრუნდა ისაუზმეს, გადაჰკრეს; თანაც, ოდნავი სიცილი ააყოლეს, თვითონაც არ იცოდნენ, რისთვის; ალბათ, იმ გაუგებარმა მხიარულების გრძნობამ აიტაცა, ადამიანს რომ სამწუხარო სანახაობის ხილვის შემდეგ დაეუფლება ხოლმე. უკანასკნელ ჭიქაზე მღვდელმა მეაფთიაქეს მხარზე ხელი მოუთათუნა და უთხრა:

— ჩვენ მაინც მოვრიგდებით!

ქვემოთ, დერეფანში მოსულ მუშებს შეეყარნენ. შემდეგ, მთელი ორი საათის განმავლობაში შარლს წამება უნდა აეტანა: ჩაქუჩს ფიცრებს ურახუნებდნენ. მიცვალებული მუხის კუბოთი ძირს ჩაიტანეს, სადაც კიდევ ორ კუბოში უნდა ჩაედოთ. გარეთა კუბო მეტად განიერი აღმოჩნდა, ასე რომ, იძულებულნი იყვნენ, ნაპირები ლეიბიდან გამოღებული მატყლით გამოეტენათ. ბოლოს, როცა სამივე სახურავი მოარგეს, დაჭედეს და დაადუღეს, კუბო ღია კარის პირდაპირ დაასვენეს. სახლის კარები ფართოდ იყო გაღებული და იონვილელებმაც იწყეს გასვენებაზე მოსვლა.

მოედანზე მოსულ მოხუც რუოს, როგორც კი მან თკალი მოჰკრა კარებში გამოფენილ შავ მაუდს, გული წაუვიდა.

X

მეაფთიაქის წერილი მხოლოდ დღენახევრის შემდეგ მიეღო რუოს. რაკი ჰომემ მისი მგრძნობიარობის ამბავი იცოდა, წერილი ისე შეადგინა, რომ მოხუცმა არ იცოდა, რა მოელოდა.

პირველად მოხუცი დამბლადაცემულივით წაიქცა. მერმე წერილი ისე გაიგო, რომ ემა არ მომკვდარა, მაგრამ, შესაძლებელია, ასე მოხდესო. მაშინ საჩქაროდ ჩაიცვა ბლუზა, ქუდს ხელი დაავლო, ფეხზე დეზი დაიკრა და ცხენი აჭენა; მთელი მანძილი ხვნეშით, წამებითა და შიშით გაიარა, ერთხელ ცხენიდან ჩამოხდომაც კი მოუხდა.

ველარაფერი დაინახა, ყურში რაღაც ხმები ესმოდა, ეგონა გავგიჟდიო.

ინათა. გზაში სამი შავი ფრინველი შეამჩნია, ხის ტოტზე რომ ექინათ და ამ წინასწარი ნიშნის გამო შიშის ძრწოლა აუტყდა. მაშინვე ღვთისმშობელს ეკლესიისათვის სამი შესამოსლის შეწირვა აღუთქვა, აგრეთვე ბერტოს სასაფლაოდან ვასონვილის ნიშამდე ფეხშიშველა მისვლა.

მარომს რომ მიაღწია, მეფუნდუკეს შორიდანვე მიაძახა, კარი ბეჭის ერთი კვრით შეანგრია, ქერის ტომარს მივარდა, თოფრაკში ერთი ბოთლი ტკბილი სიდრი მოაპირქვავა, თავის ცხენს მოახტა და კვლავ გააქროლა.

თავის თავს აჯერებდა, ემას უთუოდ მოარჩენენო; ექიმები საშუალებას გამოსძებნიან, ეს უეჭველიაო. გაიხსენა ყველა საკვირველი განკურნება, რაც კი თავის სიცოცხლეში გაეგონა.

მერმე ქალიშვილი უკვე მკვდარი წარმოუდგებოდა. გზაში, მის წინ იდო გაშხლართული. სადავეს ჩაჰკრავდა და მოჩვენებაც გაქრებოდა.

კენკამპუაში, რათა ღონე მოეკრიბა, ზედიზედ სამი ფინჯანი ყავა დალია.

მერმე აზრმა გაუელვა, წერილის დამწერს სახელი აერიაო. ჯიბეები მოიჩხრიკა, იპოვნა, მაგრამ ამოღება ველარ გაბედა.

იმ ზომამდე მივიდა, რომ ეჭვი შეეპარა. ხომ არავინ იხუმრა ასე უხეიროდო, შურისძიებით ან სიმთვრალის დროსო; აბა მკვდარი რომ იყოს, ხომ ეცოდინებათო? არა! გარშემო არაჩვეულებრივი არა იყო რა: ცა ლურჯად კამკამებდა, ხეები ირხეოდა, ეგერ ცხვრის ფარას მიერეკებოდნენ. დაბაც მალე გამოჩნდა; ხედავდნენ, რომ მივიდა, ცხენის ფაფარზე დახრილი; საბრალო პირუტყვს უმოწყალოდ სცემდა, მთელი მოსართავები სისხლით იყო გალაფული.

როცა მოსულიერდა, ატირდა, ბოვარის მოეხვია.

— შვილო! შვილო! ემა! ამიხსენით რა მოხდა...

იგი კი სლოკინით ეუბნებოდა:

— არ ვიცი, არ ვიცი! ეს ღვთის რისხვაა!

შეაფთიაქემ განაშორა ისინი:

— რა საჭიროა ეს საშინელი წვრილმანები? მერმე ყველაფერს მე გიამბობთ, ბ. რუო. აი ხალხი უკვე შეიკრიბა. მეტი დარბაისლობა, თუ შეიძლებოდეს! მეტი ფილოსოფოსობა!

საბრალო შარლსაც უნდოდა მხნედ ყოფილიყო და ამიტომ რამდენჯერმე გაიმეორა:

— რა გაეწყობა! სიმხნევე კი მეყოფა. ჯანდაბას ჩემი თავი! საფლავამდე მივაცილებ.

ზარები რეკავდა. ყველაფერი მზად იყო უკვე. დრო იყო გაესვენებინათ.

და ეკლესიაში, სამლოცველო სკამზე ერთად მჯდომარენი, ისინი ხედავდნენ, სამი მედავითნე რომ აქეთ-იქით მიმოდიოდა და გაბმულად გალობდა. ყურთასმენის წამღებად ჭყვიტინებდა სერპენტი*. შემოსილი ბურნიზიანი წვრილი ხმით ღაღადებდა. სამკვეთლოს წინაშე მეტანიას იხდიდა. ხელებს აღაპყრობდა. ლესტიბუდუა თავისი ცოცხიანად ეკლესიაში მიმოდიოდა; საწიგნობლის ახლოს, ოთხრიგად ანთებულ სანთლებს შორის კუბო იდგა. შარლს უცნაური სურვილი უღიტინებდა: ამდგარიყო და ის სანთლები ჩაექრო.

გარნა, ცდილობდა სასოება გამოეწვია, მომავალ ცხოვრებას მისწვდომოდა, სადაც ემას შეეყრებოდა. ისე წარმოედგინა, რომ იგი სამოგზაუროდ იყო წასული, დიდი ხნით და ძალიან შორს. მაგრამ, როცა გაახსენდებოდა, რომ იგი აქაა, კუბოში ძევს, რომ ყველაფერი გათავებულია და ახლავე მიწაში ჩაფლავენ, ბრაზი მოერეოდა, ველური, შავი, სასოწარკვეთილი. ზოგჯერ ასე ეგონა, ვეღარაფერს ვგრძნობო და ტკბებოდა თავისი მწუხარების ამ განცლებით, მაგრამ ამავე დროს თავი კიდევაც ეზიზღებოდა ასეთი უგვანობისთვის.

ეკლესიაში უეცრად რკინით მოჭედილი საბიჯგის კაკუნი გაისმა, ტაძრის სიღრმიდან მოისმა და გვერდის მინაშენში მისწყდა. მიბაკისფერ უბრალობლუზიანმა კაცმა დიდი გაჭირვებით დაიჩოქა

* მუსიკალური ინსტრუმენტი.

ეს იპოლიტე იყო, „ოქროს ლომის“ მეჯინიბე. თავისი ახალი ფეხი წამოეგო.

ერთ-ერთი მედავითნე შესაწირავს აგროვებდა და შავი ფული წკარუნით ცვიოდა ვერცხლის ლანგარზე.

— გაათავეთ! აღარ შემიძლია!

წამოიკვნესა ბოვარიმ და გაჯავრებით ხუთფრანკიანი დააგდო ლანგარზე.

ეკლესიის მსახურმა მდაბლად მადლობა მოახსენა.

კვლავ გალობა, კვლავ მეტანიები, ადგომა და დაჯდომა, თითქოს ბოლო აღარ უჩანსო! შარლს გაახსენდა, რომ აქ გადმოსახლების პირველ ხანებში ერთხელ ისინი წირვაზე იყვნენ და ეგერ, მარჯვენა კედელთან ისხდნენ. ზარი კვლავ დარეკეს. სკამები ამსურით მისწი-მოსწიეს. მესაფლავეებმა სამი კეტი გაუყარეს კუბოს და ყველანი ეკლესიიდან გაემართნენ.

აფთიაქის ზღურბლზე ჟუსტენი გამოჩნდა, მაგრამ ისევ მიიმალა; გაფითრებული იყო, ფეხზე ძლივს იდგა.

მწუხრულ პროცესიას უმრავლესობა ფანჯრიდან უცქეროდა. შარლი წინ მიდიოდა. ცდილობდა წელგამართული ყოფილიყო, მხნეობდა, თავის ქნევით სალამს აძლევდა მათ, ვინც გზადაგზა პროცესიას უერთდებოდა.

ექვსი მტვირთველი, თითო მხრიდან სამ-სამი, ოდნავაქოშინებული, ნელა მიაბიჯებდა. ეკლესიის კრებული, ჭგალობლები, ორი ბავშვი. მღვდელმსახურებას რომ ეხმარებოდა. De profundis გალობდნენ; მათი ხმა მინდვრებს ეფინებოდა, აღმართში მძლავრად ისმოდა, დაღმართში კი — მინელებით. ზოგჯერ თვალთაგან მიეფარებოდნენ, მაგრამ ვერცხლის დიდი ჯვარი მაინც მოჩანდა ხეებში.

ქალები ბოლოს მიდიოდნენ, შავი წამოსასხამებითა და ჩამოშვებული ბარტყულებით; ხელში მსხვილი სანთლები ეჭირათ. შარლს თავბრუ ეხვეოდა ამ დაუსრულებელი ლოცვების, სანთლების ციაგის, ფიჭისა და შესამოსელის მოტკბო სუნის გამო. ქროდა გრილი ნიავი. მწვანობდა ჭვავი და მინდვრის თალგამი, ნამის წვრილი წინწკლები ციმციმებდა ეკლიან ღობეებზე. გარემოს მხიარული ხმაურობა ავსებდა: სადღაც, შორს ისმოდა მიმავალი ურმის ჭრიალი, მამლის ყივილი, კვიცის ჭიხვინი, ვაშლის ხეებსქვეშ რომ ლაჭენობდა. მოწმენდილ ცაზე ვარდისფერი ღრუბლები მიცურავდნენ, ქოხთა ბალახმოსულ სახურავებზე კვამლის მოლურჯო რგო-

ლები იხვეოდა. გზადმიმავალ შარლს ეცნაურებოდა ეს ეზოები. აგონდებოდა სხვა დილები, როცა თავის ავადმყოფებს ჩამოუვლიდა, ამ ეზოებს გაივლიდა და შინ დაბრუნდებოდა მასთან.

ვერცხლის „ცრემლებით“ მოჩითულ შავ მაუდს ქარი აფრიალებდა და კუბოს აჩენდა. მტვირთველნი დაიღალნენ. ნაბიჯს უკლეს, კუბო ჯიკავით იძვროდა, ვით ნავი ტალღებზე მოქანავე.

მივიდნენ, მამაკაცები ფერდობზე დაეშვნენ და ახალგათხრილ სამარესთან შეგროვდნენ, სანამ მღვდელი ლაპარაკობდა, თხრილიდან ამოყრილი მოწითალო მიწა ნელინელ ისევ სამარეში ცვიოდა.

კუბოს ოთხი თოკი ამოსდეს და სამარეში ჩაუშვეს. შარლი თვალს არ აშორებდა. კუბო თანდათან ეშვებოდა.

ბოლოს ბიძგის ყრუ ხმაური მოისმა; თოკები სივილით ზევით ამოათრიეს. ბურნიზიენმა ეკლესიის მსახურის მიერ მიწოდებული ნიჩაბი მოიმარჯვა; მარჯვენაში რომ ისოპი ეჭირა, მარცხენათი მძლავრად ისროლა სამარეში კარგა მოზრდილი ბელტი; ხის კუბომ, ქვები რომ მოხვდა, საშინელი ხმა გამოსცა, რომელიც მარადისობის გამოხმობად გვეჩვენება ხოლმე.

მღვდელმა ისოპი გვერდით მდგომს გადასცა. ეს ჰომე იყო. მეაფთიაქემ სასხურებელი ზეიმით შეარხია და მერმე შარლს გადასცა, რომელიც ნაყარ მიწაში მუხლამდე ჩაფლულიყო და მუჭა-მუჭა ყრიდა საფლავში მიწას. თან განუწყვეტლად იმეორებდა: „მშვიდობით!“ მიცვალებულს ჰაეროვან ამბორს უგზავნიდა, სამარისკენ იზიდებოდა, თითქოს მასთან უნდა დაიმარხოსო.

ხელი მოჰკიდეს და გაიყვანეს; მალე დამშვიდდა, რადგან, ვინ იცის, იქნებ მანაც, ისე, როგორც ყველამ, ოდნავი შვება იგრძნო იმის გამო, რომ ყოველივე გათავდა.

მოხუცმა რუომ დაბრუნებისას მადიანად ააბოლა თავისი ჩიბუხი, რაც ჰომეს გულის სიღრმეში მაინცდამაინც არ მოეწონა. მან ისიც შენიშნა, რომ გასვენებას ბ. ბინე არ დასწრებია, ტუვაში წირვის გათავებისთანავე „გაილალა“, ხოლო თევდორეს, ნოტარიუსის ლაქიას ლურჯი სერთუკი ეცვა, „თითქოს შავს ვერ უშოვნიდნენ, რაკი წესი ასეთია, ეშმაკმა წაიღოს!“ თავის შთაბეჭდილებათა გასაზიარებლად იგი ჯგუფიდან ჯგუფში გადადიოდა. ყველანი დიდ მწუხარებას გამოთქვამდნენ ემას გარდაცვალების გამო; განსაკუთრებით ლერე, რომელიც დაკრძალვას არ დაკლებია.

— საბრალო ქალი! რა დანაკლისია ქმრისათვის!

— იცით, მე რომ არა, — გააწყვეტინა მეაფთიაქემ, — ქმარი უთუოდ თავს მოიკლავდა.

— რა სასიამოვნო პიროვნება იყო! მერმე, ამ ერთი კვირის წინათ ჩემს სავაჭროში იყო სწორედ, ვინ იფიქრებდა!

— ვერ მოვიცალე, რომ მოვმზადებულიყავი, თორემ ორიოდე სიტყვა მინდოდა მეთქვა მის საფლავზე. — უთხრა ჰომემ.

შინ რომ მივიდა, შარლმა ტანისამოსი გამოიცვალა. მოხუცმა რუომაც კვლავ თავისი ლურჯი ხალათი ჩაიცვა. ხალათი ახალი იყო და, რადგან გზაში ნამტირალევ თვალებს სახელოებით იწმენდდა, ეს ადგილები გახუნდა, ხოლო ლაქები სახეზე შერჩა, გარდა ამისა, ცრემლებმა ნაღარევი დაუხატეს მტვრიან ლოყებზე.

ბოვარის დედაც მათთან იჯდა. სამივე დუმდა. ბოლოს მოხუცმა რუომ ამოიოხრა:

— გახსოვთ, ჩემო, ტოსტში რომ გეწვიეთ სწორედ იმ დროს, როცა პირველი ცოლი დაასაფლავეთ? მაშინ კიდევ შემეძლო თქვენთვის ნუგეში მეცა, კიდევ შემეძლო რამე მეთქვა, ახლა კი...

და ღრმა ამოოხვრის შემდგომ, რამაც მთელი მისი მკერდი შეარყია, მოხუცმა განაგრძო:

— ეჰ, რაღა უნდა ვთქვა! ჩემთვის ეს აღსასრულია. ჯერ ცოლი დავმარხე... მერმე ვაჟი... და აი, დღეს ქალიშვილი!

და მაშინვე ბერტოს დაბრუნება განიზრახა, — ამ სახლში ვერ ვავიძინებო. შვილიშვილის ნახვაც კი არ ისურვა.

— არა, არა! კიდევ მეტი მწუხარება! ვეღარ ავიტან! ჩემს მაგიერ აკოცეთ მაგრად. მშვიდობით... ჩემო კარგო შვილო! რაც შეეხება ამას, — და მან ბარძაყზე ხელი დაიკრა, — ფიქრი ნუ გაქვთ! თქვენს ინდაურს ყოველთვის წესიერად მიიღებთ ხოლმე!

ხოლო გორაკის წვერზე რომ ავიდა, მობრუნდა, ვიდ ოდესმე სენვიქტორის გზაზე, ქალიშვილი რომ გამოაცილა, იონვილის სახლთა ფანჯრები ჩამავალ მზის სხივებს ხანძარივით გაეჩირაღდნებინა. მოხუცმა ხელისგულით შუბლი დაიჩრდილა და შორს, ცის დასავალზე გაარჩია გალავანი, რომლის გადაღმა ხეთა შავ ჯგუფებში თეთრი ქვები გამოჩანდა; მერე ცხენს გაუჯავრდა და ნელი ტროტით გასწია, რადგან ცხენი აკოჭლებულიყო.

შარლი და მისი დედა, მიუხედავად დაღონებისა, დიდხანს ისხდნენ ერთად ამ საღამოს. წარსულს იგონებდნენ, მომავალს ითვალისწინებდნენ. დედა იონვილს გადმოსახლდება შვილთან, ოჯახს

გაუძღვება, ახლა აღარ განშორდებიან ერთმანეთს. დედა მზრუნველი და ალერსიანი იყო, რადგან გულში კიდეც უხაროდა, რომ ბოლოს შვილის სიყვარულს დაისაკუთრებდა, რაც ამდენი ხნის განმავლობაში ვერ მოეხერხებინა. შუაღამე შეიქნა. დაბას ჩვეულებრივი მყუდროება დაესადგურა, მაგრამ შარლი მაინც ფხიზლობდა და სულ ემაზე ფიქრობდა.

როდოლფი გულის გადასაყოლებლად მთელი დღე ტყეში დაეხეტებოდა, ახლა კი მშვიდად ეძინა თავის ციხე-დარბაზში.

ლეონსაც, რუანში, აგრეთვე ეძინა.

იყო კიდევ ერთი ვინმე, რომელსაც ამ შუაღამისას ძილი არ ეკარებოდა.

საფლავზე ნაძვთა შორის მუხლმოდრეკილი იდგა ყმაწვილი და ტიროდა. მკერდი მისი ქვითინით გმინავდა. განუსაზღვრელი სიმძიმე წუხილისა სუნთქვას უკრავდა, ნაღველი მისი უხმო იყო, ვით მთვარე, და უძირო, ვით ღამის წყვდიადი. უეცრად ჭიშკარმა იჭრიალა. ეს ლესტიბუდუა იყო, თავისი ნიჩბისთვის მოვიდა. მან იცნო ჟუსტენი, ღობეზე რომ გადახტა, და მაშინ ხელათ მიხვდა, თუ ვინ იყო ის ბოროტმოქმედი, ამ ბოლო დროს კარტოფილს რომ ჰპარავდა.

XI

დილით შარლმა ბავშვი მოაყვანინა. ბერტას დედის ნახვა სურდა. უთხრეს, დედა სხვაგან წავიდა, სათამაშოებს მოგიტანსო. ბავშვმა კვლავ რამდენჯერმე მოიგონა, მერმე დაივიწყა. ბავშვის მხიარულება გულს უკლავდა ბოვარის, ამასთანავე იძულებული იყო დაუსრულებლად ესმინა მეაფთიაქის აუტანელი სამძიმარი.

მალე ისევ დაიწყო ვალების დავიდარაბა: ბ. ლერე კვლავ აქეზებდა თავის მეგობარს ვენსარს და შარლიც იძულებული გახდა ღიდი თანხის ვექსილები გაეცა, რადგან არ სურდა ემას არც ერთი ნივთის გაყიდვა. დედა ბრაზით გულზე სკდებოდა. შარლი კიდევ უფრო აღშფოთებული იყო. გუნება მთლად გამოეცვალა. დედამ მიატოვა და თავისას წავიდა.

ახლა ყველა ისწრაფოდა „ხელი მოეთბო“. მადმუაზელ ლამპერერმა ექვსი თვის გასამრჯელო მოითხოვა მუსიკის გაკვეთილებისთვის, თუმცა ემას მასთან ერთი გაკვეთილიც კი არა ჰქონია,

მიუხედავად ქვითრისა, რომელიც ქმარს უჩვენა: ასე ჰქონდა ორივე ქალს დათქმული. ბიბლიოთეკიდან სამი წლის სააბონენტო გადასახადს თხულობდნენ; მამიდა, რომელმაც ოცი გაგზავნილი წერილის ანგარიში წარმოადგინა, და, როდესაც შარლმა განმარტება მოსთხოვა, მეტად კრძალულად უპასუხა:

— აჰ, აბა რა ვიცი? ეგ ქალბატონის საქმე იყო!

ყოველი ვალის გადახდისას შარლს ეგონა, ეს უკანასკნელიაო. მაგრამ კვლავ ახალ-ახალი ჩნდებოდა.

პაციენტებს ძველი ნამკურნალევის გასამრჯელო სთხოვა. მათ მისი ცოლის ბარათები უჩვენეს. იძულებული იყო ბოდიში მოეხადა. ფელისიტე ახლა ქალბატონისეულ კაბებს იცვამდა, თუმცა არა ყველას, რადგან ზოგიერთი შარლმა შეინახა და მათ სანახავად ემას საპირფარეშო ოთახში დაიარებოდა ხოლმე. მსახური ემას ტანისა იყო და, ხშირად, შარლი უკანიდან უცქერდა. ილუზიას ეძლეოდა და მიაძახა:

— ოჰ, იდექ! იდექ აგრე!

ხოლო „სული წმიდის მოფენის დღეს“ ფელისიტე იონვილიდან გაილალა, თევდორემ მოიტაცა, და ყველაფერი მოიპარა, რაც კი ქალბატონის გარდერობში მოიპოვებოდა.

სწორედ ამ ხანებში დიუპუის ქვრივმა პატივით აცნობა შარლს „ქორწინება თავისი ვაჟის ლეონ დიუპუისა. ივეტოს ნოტარიუსისა, ქალწულ ლეოკადია ლეფებზე. დაბა ბონდვილიდან“. შარლმა მისალოცი წერილში, სხვათა შორის, მოიხსენია: „ჩემი საბრალო ცოლიც რა მოხარული იქნებოდა“.

ერთხელ, როცა ოთახებში უმიზნოდ დაეხეტებოდა და სხვენზედაც კი ავიდა, ფოსტლიანი ფეხი ფოსტის დაჭმუჭნულ ქაღალდს დააბიჯა; გაშალა და შემდეგი წაიკითხა: „გამხნევდით, ემა! გამხნევდით! მე არ მინდა თქვენი ხიცოცხლე გავაუბედურო...“ ეს იყო როდოლფის წერილი, რომელიც ყუთებს შორის ჩავარდნილიყო. და მერმე სარკმლიდან შემონაბერ ქარს კარისკენ გამოეგდო. პირდაღებული შარლი იქვე გაქვავდა, სადაც ოდესმე ემა, უფრო გაფითრებული, ვიდრე ახლა შარლი იყო, სასოწარკვეთილი, სიკვდილს ნატრულობდა. მეორე გვერდზე ბოლოში ძლივს გაარჩია ასომთავრული რ. ვინ უნდა ყოფილიყო? გაახსენდა, რომ ერთ ხანს, ემა მოსწონდა როდოლფს. გაახსენდა აგრეთვე მისი საქციელი ემას მიმართ, მისი მოულოდნელი წასვლა, მისი სახის დარცხვენილი

იერი, მას შემდეგ რომ ორიოდეჯერ შეხვდა, მაგრამ წერილის ზრდილობიანმა კილომ თვალი აუხვია.

„შესაძლებელია, პლატონურად უყვარდათ ერთმანეთი.“ — გაიფიქრა.

ამასთანავე, შარლი არც ისეთი ხასიათისა იყო, რომ საგანს ძირამდე ჩაჰყოლოდა. საბუთებს გვერდი აუხვია და ოდნავგაელვებული იქვნეულობაც მისმა უსაზღვრო მწუხარებამ შთანთქა.

იგი ყველას უნდა გაეღმერთებინაო, ფიქრობდა, ალბათ, ყველა მამაკაცს სწყუროდა მისი დაუფლებაო. ამ ფიქრში იგი ახლა უფრო ლამაზი მოეჩვენა, ერთბაშად მძლავრი და მწველი სურვილი აღეძრა მისდამი, რაც უსაზღვროდ უმძაფრებდა სასოწარკვეთილებას, ვინაიდან იგი განუხორციელებელი იყო.

მისთვის რომ თავი მოეწონებინა, თითქოს კვლავ ცოცხალიაო, მისი გემოვნებისამებრ იქცეოდა; ლაკირონის ფეხსაცმელს და თეთრ ჰალსტუხს ატარებდა, ულვაშებისთვის ფიქსატურას ხმარობდა; და ვექსილებზედაც მასავით აწერდა ხელს. ემა საფლავიდანაც კი ახერხებდა ქმრის გარყვნას.

მალე იძულებული შეიქნა მთელი ვერცხლეულობა გაეყიდა, მერმე ავეჯეულობას მიჰყო ხელი; ოთახები სულ გაძარცვა. მაგრამ საწოლი ოთახი, მისი საწოლი ოთახი კი ხელუხლებელი დარჩა. ნასაღილევს შარლი იქ ადიოდა ხოლმე. ბუხართან მრგვალ მაგიდას დადგამდა და მის სავარძელს მიაგორებდა; თვითონ კი სავარძლის პირდაპირ დაჯდებოდა, ვარაყიან ჭაღზე სანთელს მოუკიდებდა, ბერტაც მის გვერდით აფერადებდა ხოლმე თავის ნახატებს.

გული უკვდებოდა მამას, პატარას რომ ასე ცუდად ჩაცმულს ხედავდა: ფეხსაცმელს ზონრები აკლდა, კაბა საქამრემდე ჩამოხეული ჰქონდა, რადგან მსახური არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ბავშვს. პატარა კი ისეთი ნაზი და კოხტა იყო, ისე კეკლუცად ხრიდა გვერდზე პაწია თავს, ამასთანავე ქერა კულულებიც ვარდისფერ ლოყებზე ჰქონდა ჩამოშლილი, რომ შარლს უსაზღვრო სიხარული და სიამე იპყრობდა, რასაც თან რაღაც სიმწარე ახლდა, ვით ცუდად ნაკეთებ ღვინოს კუპრის ხელი. შარლი ეფერებოდა: სათამაშოებს შეუკეთებდა, მუყაოსაგან ხუმარას ხატებას გამოჭრიდა, დედოფალების გარღვეულ მუცლებს ამოუკერავდა. და, თუ უეცრად ხელსაქმის კალათს, გადმოვარდნილ ბაბთას და ან მაგიდის ნაღრჭენში ქინძისთავს დაინახავდა, მაშინვე ფიქრს მიეცემოდა,

სახეც ისეთი ნაღვლიანი გაუხდებოდა, რომ ბავშვიც მასავით დაძ-ვარდებოდა.

მისას ახლა აღარავინ დაიარებოდა. ჟუსტენი რუანს გაიქცა და იქ საწვრილმანო სავაჭროს ნოქრად დადგა, ხოლო მეაფთიაქის ბავშვები ბერტასთან ძვირადღა დაიარებოდნენ, რადგან ჰომეს, მათი საზოგადოებრივი მდგომარეობის სხვადასხვაობის გამო, მაინც და მაინც აღარ ეპრიანებოდა მათი მეგობრობის განმტკიცება.

უსინათლო, რომელიც ჰომეს მალამომ ვერ განკურნა, კვლავ გიიომის ტყეში დახეტიალობდა, მგზავრებს მეაფთიაქის უხეირო ოსტატობის ამბებს უყვებოდა და რუანს მიმავალი ჰომე დილი-ჟანსის ფარდებს ამოეფარებოდა ხოლმე, რათა უსიამო შეხვედ-რას ასცდენოდა. საშინლად სძულდა ბრმა; და, თავისი რეპუტაციის დასაცავად, ცდილობდა როგორმე თავიდან მოეშორებინა, რისთვი-საც ისეთი ღრმა ნაღმები ჩაუწყო, რაც მისი მოხერხებისა და ვე-რაგობის მთელ საიდუმლოებას ამჟღავნებდა. მთელი ექვსი თვის განმავლობაში „რუანის შუქურაში“ ასეთი შინაარსის შენიშვნები შეგეძლოთ წაგეკითხათ:

„ყველა, ვისაც კი პიკარდიის ნოყიერ ველზე გაუვლია, უთუოდ შენიშნავდა გიიომის ტყის მაღლობზე საბრალო გლახას, რომელ-საც სახე საშინლად დასწყლულებია. იგი თავს აბეზრებს გამვლ-ელებს და ნამდვილ ხარკს იღებს მათგან. ნუთუ ჯერ კიდევ არ გა-მოვსულვართ საშუალო საუკუნეების საშინელი ხანიდან, როცა მოხეტიალეებს უფლება ჰქონდათ ქალაქთა მოედნებზე საქვეყნოდ გამოეჩინათ ჯვაროსანთა ლაშქრობაში შენაძენი თავიანთი კეთრი და დურბელი?“

ან კიდევ:

„მიუხედავად არსებული კანონისა მოხეტიალეთა შესახებ, ჩვ-ენი დიდი ქალაქების გარეუბნები წინანდებურად სავსეა მათხოვრ-ებით. მათ შორის ი[illegible]ებიც არიან, რომლებიც მარტოკა დაეხეტ-ებიან და სხვებზე ნაკლებ საშიშნი არ არიან, ნეტავ, რას ფიქრობენ საზოგადოებრივი წესრიგის დამცველნი?“

შემდეგ ჰომე ფელერაკებსაც იგონებდა:

„გუშინ გიიომის ტყის მაღლობზე ერთ მგზავრს ცხენი გაუ-ფრთხა“... და მერე ნაამბობი იყო, უბედურება უსინათლო გლახის მიზეზით მოხდაო.

იმდენი ეცადა, რომ გლახაკი დააპატიმრეს, მაგრამ მალე გა-

ათავისუფლეს და კვლავ თავის ხელობას შეუდგა. ჰომეც თავისას არ იშლიდა; ბრძოლა გაჩაღდა, რომლიდანაც გამარჯვებული მეაფთიაქე გამოვიდა; რადგანაც მტერს თავშესაფარში მუდმივი დამწყვდევა მიუსაჯეს.

ამ წარმატებამ ფრთები შეასხა: ამიერიდან მთელ ოლქში არ გაქულეტილა არც ერთი ძაღლი, არ დამწვარა ფაცხა და არ გალახულა ქალი ვინმე, რომელთა შესახებაც მას დაუყოვნებლივ არ ეცნო სიყვარულით და ხუცესებისადმი ზიზღით. იგი ერთმანეთს ადარებდა დაწყებით სკოლებში მიღებულ სწავლასა და უვიც ბერებთან შეძენილ ცოდნას, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელის დაფოლებით; ეკლესიის სასარგებლოდ ერთხელ ასფრანკიანი შეწირულების გამო, იგონებდა ბართლომეს ღამეს, ამეღავნებდა ბოროტმოქმედებათ და უხვად ისროდა შხამიან ისრებს. ამის შესახებ თვითონ გაყვიროდა. ჰომე ძირს უთხრიდა ყველაფერს, იგი საშიში ხდებოდა.

ამავე დროს იგი გაზეთის ვიწრო ჩარჩოში ვეღარ ეტეოდა; მალე წიგნის, ნაშრომის გამოქვეყნება მოისურვა! ასე შეადგინა „იონვილის კანტონის ზოგადი სტატისტიკა. კლიმატოლოგიურ დაკვირვებათა დანართით". ხოლო სტატისტიკამ ფილოსოფიამდე მიიყვანა. მაშინ ხელი მოჰკიდა დიდი საკითხების გადაჭრას: სოციალურ პრობლემას, ღარიბი-კლასების ზნეობრივ მდგომარეობას, მეთევზეობას, კაუჩუკისა და რკინიგზების საკითხებსა და სხვ. ბურჟუობა უკვე ეთაკილებოდა, ხელოვანთა ქცევას ჰბაძავდა, თამბაქოს წევა დაიწყო, სასტუმრო ოთახის მოსართავად პომპადურის სტილის ორი კოხტა ქანდაკიც კი შეიძინა.

გარნა, ხელი არც მეაფთიაქეობაზე აუღია; პირიქით, ყოველ ახალ აღმოჩენას ამ დარგში თვალყურს ადევნებდა. ძალიან აინტერესებდა შოკოლადის მრეწველობის განვითარება. ქვემო სენის დეპარტამენტში მან პირველმა გამოიწერა „შო-კა" და „რევალენცია". პულვერმახერის ჰიდროელექტრონულ ქამარს დიდი აღფრთოვანებით შეეგება; თვითონაც ატარებდა და საღამოს, როცა ფანელის სათბურს გაიხდიდა, ქ-ნ ჰომეს თვალს სჭრიდა ხოლმე ოქროსვარაყიანი სპირალი, რომელიც მისი ქმრის გულ-მკერდს ფარავდა, რის გამოც ქალის სიყვარული ერთი-ორად ძლიერდებოდა ამ კაცისადმი, რომელიც სკვითივით შეჯავშნული და მოგვივით დიდებული იყო.

ბრწყინვალე აზრები უტრიალებდა თავში ემასთვის ძეგლის დადგმის შესახებ. პირველად რჩევას იძლეოდა დაედგათ გადატეხილი სვეტი, ჩუქურთმიანი; მერე პირამიდა, შემდეგ ვესტას ნიში, როტონდისებური რამ... ან, უკეთ, „ნანგრევთა ხროვა". მაგრამ ყველა ამ გეგმას უთუოდ თან ახლდა ძებნა, რაც მწუხარების აუცილებელ სიმბოლოდ მიაჩნდა.

შარლი და იგი ერთხელ რუანსაც კი გაემგზავრნენ, რათა ძეგლების მკეთებელთან დაეთვალიერებინათ საჭირო ძეგლი; თან წაიყოლიეს ერთი მოქანდაკეც, გვარად ვოფრილარი, ბრიდუს მეგობარი, რომელიც ერთობ ხუმარა კაცი იყო. ბოლოს, როცა ასიოდე ნახატი გაარჩიეს, ხარჯთაღრიცხვა შეადგინეს და რუანიც მეორედ მოიარეს, შარლმა თვისი არჩევანი მავზოლეუმზე შეაჩერა, რომლის წინამოც მორთული უნდა ყოფილიყო „ერთ-ერთი ღვთაების გამოხატულებით, ხელში რომ ჩამქრალი ჩირაღდანი უჭირავს".

რაც შეეხება ძეგლის წარწერას, ჰომეს აზრით, ყველაზე უკეთესი იქნებოდა: „შესდექ, მგზავრო..." მაგრამ, რამდენიც არ იმტვრია თავი, გაგრძელება მაინც ვერ მოიგონა და განუწყვეტლად იმეორებდა: Sta, viator..." ბოლოს, როგორც იყო, იპოვნა: „Amabilem conjugem calcas", რაც მოწონებულ იქნა.

უცნაური რამ იყო: მიუხედავად იმისა, რომ ბოვარი განუწყვეტლად ფიქრობდა ემაზე, იგი მაინც ავიწყდებოდა, რის გამოც სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა, რომ საყვარელი არსების ხატება ხსოვნიდან გაურბოდა. თუმცა, სიზმარში ყოველ ღამე ხედავდა; სიზმარიც მუდამ ერთნაირი იყო: ემა მისკენ მიემართებოდა, მაგრამ, შარლი რომ ხელის მოხვევას დააპირებდა, ხელში ფერფლიღა შერჩებოდა ხოლმე მისი.

მთელი ერთი კვირის განმავლობაში, საღამოობით, ეკლესიაში დაიარებოდა. ბურნიზიენმაც ორჯერ თუ სამჯერ ინახულა, შემდეგ მიატოვა. თუმცა, ჰომეს სიტყვით, მღვდელი უფრო და უფრო შეურიგებელი და ფანატიკოსი ხდებოდა. იგი თანაშედროვე მსოფლმხედველობის წინააღმდეგ ილაშქრებდა და ორ კვირაში ერთხელ, ქადაგების დროს, უთუოდ უნდა მოეხსენებინა სულთმობრძავი ვოლტერი, რომელიც, როგორც ყველამ უწყის, საკუთარსავე განავალს ნთქავდაო.

მიუხედავად თავისი მომჭირნეობისა, ბოვარიმ ვერ შეძლო ვალების გადახდა. ლერემ ერთი ვექსილის ვადის გადადებაც კი არ

ინდომა. ქონების აღწერა აუცილებელი ხდებოდა. მაშინ შარლმა დედას მიმართა და მანაც ნება დართო თავისი ქონების დაგირავებისა, მაგრამ ამასთანავე ემას ხსოვნას ბევრი საყვედური აკადრა, და თავისი მსხვერპლის სანაცვლოდ ემასეული შალი მოითხოვა, ფელისიტეს მძარცველ ხელს რომ გადარჩენოდა. შარლმა უარი შეუთვალა, რის გამოც დედა და შვილი კვლავ დაემდურნენ ერთმანეთს.

შემრიგებელი ნაბიჯი ისევ დედამ გადადგა და შარლს წინადადება მისცა, ბავშვი ჩემთან გამოგზავნე, იქნებ მარტოობა ცოტათი შემიმსუბუქდესო. შარლი დათანხმდა, მაგრამ განშორების უკანასკნელ წუთს მხნეობა აღარ ეყო ბავშვის დასათმობად. ამ გარემოებამ სავსებით და საბოლოოდ გაჰყარა დედა და შვილი.

რამდენადაც თანდათანობით ქრებოდა ყველაფერი, რაც შარლს წარსულთან აკავშირებდა, იმდენადვე ძლიერდებოდა ბავშვისადმი სიყვარული. ხოლო ბავშვის მდგომარეობა ძლიერ აფიქრიანებდა: ბერტას ხველება დაწყებინა და ლოყებზე რაღაც საეჭვო წითელი ლაქები ადგებოდა.

მის პირდაპირ კი, მეაფთიაქის ბედნიერი და მხიარული ოჯახი ცხოვრობდა, ვისი კეთილდღეობისთვისაც თითქოს მთელი ქვეყანა ზრუნავსო. ნაპოლეონი ლაბორატორიაში შველოდა, ატალა ჩაჩებს უქარგავდა, ირმა მურაბის ქილების საცობებს აკეთებდა ქაღალდისაგან, ფრანკლინი კი ერთბაშად ჩაარაკრაკებდა პითაგორის საანგარიშო ცხრილს. ჰომე ერთი უბედნიერესი კაცი იყო მათთა შორის, ხოლო ადამიანთა შორის კი ერთ-ერთი უნეტარესი.

მაგრამ, ვაგლახ, წუთისოფელო! ერთი რამ სურვილი მოსვენებას არ აძლევდა: ჰომე ორდენს ნატრობდა. საამისოდ დამსახურებაც არ აკლდა.

1. ხოლერიანობის დროს დიდი თავდადება გამოიჩინა; 2. საკუთარი ხარჯით გამოსცა საზოგადოებრივ-სასარგებლო რამდენიმე ნაშრომი, როგორიცაა... (მხედველობაში ჰქონდა: „სიდრე, მისი დაყენება და გავლენა ადამიანის ორგანიზმზე“, შემდეგ, მის მიერ აკადემიაში გაგზავნილი ნაშრომი: „დაკვირვებანი მატყლოვანი ბალახის მღილის შესახებ“, მერე სტატისტიკური თხზულება და, ბოლოს, თავისი დისერტაცია, ფარმაცევტის ხარისხის მისაღებად რომ დაეწერა ოდესმე); თუ ანგარიშში არ ჩავაგდებთ იმ გარემოებას, რომ მრავალი სამეცნიერო საზოგადოების (ნამდვილად კი ზოლოდ ერთის) წევრად ითვლება.

— დასასრულ, — წამოიძახა და შეიკუნტრუშა, — საკმაო დამსახურება ისიცაა, რომ ამდენჯერ თავი ვისახელე ხანძრებზე!

ჰომე ახლა ხელისუფლების მომხრე გახდა. არჩევნების დროს დიდი ფარული დახმარება გაუწია ბ. პრეფექტს, ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ თავი გასასყიდადაც არ დაიზოგა, პირდაპირ გაიხრწნა. მონარქის სახელზე შუამდგომლობაც კი გაგზავნა, სადაც ემუდარებოდა, მოხედეთ ჩემს სიმართლესო; მეფეს „ჩვენს კეთილ გვირგვინოსანს“ უწოდებდა და ჰენრი IV ადარებდა.

ყოველ დილით გაზეთს მივარდებოდა, დაჯილდოებულთა შორის ხომ არ ვარო, მაგრამ ნანატრი წარმატება არ ჩანდა. ბოლოს, იმედი რომ გადაუწყდა, თავის ბაღში ბალახზე „საპატიო ლეგიონის“ ვარსკვლავი გამოაყვანინა და ზემოთ, თავში, ბალახზე ამოყვანილი ორი ზოლი დააყოლებინა, ვითომ ბაბთაო. ამ ვარსკვლავის გარშემო ხელდაკრეფილი დასეირნობდა და მთავრობის უუნარობასა და კაცთა უმადურობაზე ფიქრობდა.

ცოლის ხსოვნისადმი პატივისცემის თუ იმ განსაკუთრებული სიავის გამო, რომელსაც დაყოვნება გვრიდა, შარლი ვერ ბედავდა იმ საიდუმლო უჯრის გაღებას, რომლითაც ჩვეულებრივ ემა სარგებლობდა ხოლმე. ერთხელ, როცა მის ახლოს იჯდა, კლიტე უნებურად გადააბრუნა და ზამბარას თითი დააჭირა. ლეონის ყველა წერილი შიგ აღმოჩნდა, ამჯერად უკვე აღარავითარი ეჭვი აღარ დარჩენილა, ყველა ხარბად და სრულად წაიკითხა. ყოველი კუთხე დაათვალიერა, დგამებს, განჯინებსა და შპალერს ქვეშ დაძებნა, ქვითინებდა, განცვიფრებული, გონებადაკარგული ღრიალებდა. რაღაც კოლოფი იპოვა, წიხლი დაჰკრა და სახურავი გააგდებინა. არეულ-დარეულ სატრფიალო ბარათებს შორის როდოლფის პორტრეტი დაინახა.

ყველას უკვირდა მისი უნუგეშოდ დაღონება, სახლიდან აღარსად გადიოდა, არც არავის ღებულობდა, ავადმყოფებთან წასვლაზეც კი უარს ამბობდა. მაშინ ხმა გავარდა, — ჩაიკეტება ხოლმე და მალულად სვამსო.

ზოგჯერ ცნობისმოყვარე ვინმე ბაღის მაღალ მესერში შეიჭვრეტდა და დაინახავდა წვერმოშვებულ კაცს, ჭუჭყიანი ტანისამოსით და სახის ველური გამომეტყველებით, რომელიც ბაღში მიმოდიოდა და გულამოსკვნილი ტიროდა ხოლმე.

ზაფხულში, საღამოობით თავის პატარა ქალს ხელს ჩაჰკიდებ-

და და სასაფლაოზე წაიყვანდა. შინ უკვე გვიან ღამით ბრუნდებოდნენ, როცა მოედანზე ფარნები ჩამქრალი იყო და მხოლოდ ბინეს სარკმელი იყო ხოლმე განათებული.

გარნა, მისი მწუხარების განცდა სრული არ იყო, რადგან ახლოს არავინ ჰყავდა, ვისთვისაც ის გაეზიარებინა; ამიტომ მოხუც ლეფრანსუასთან იწყო სიარული, რათა იმაზე ეგაასნა. მაგრამ მიკიტანი ქალიც ცალი ყურით უსმენდა, რადგან საკუთარი სადარდელიც საკმაო ჰქონდა. ლერემ, ბოლოს და ბოლოს, დააარსა თავისი ფუნდუკი და დილიჟენების მიმოსვლა „ვაჭრობის ხელისშემწყობის“ ფირმით და ივერმაც, რომელიც განთქმული იყო როგორც დავალებათა საუკეთესო შემსრულებელი, ჯამაგირის მომატება ითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაშიო, იმუქრებოდა, „კონკურენტთან“ გადავალო.

ერთხელ, როცა შარლი არგელის ბაზრობაზე იყო, რათა თავისი უკანასკნელი საქონელი—ცხენი გაეყიდა, იქ როდოლფს შეეყარა.

ერთმანეთი რომ დაინახეს, ორივე გაფითრდა. როდოლფმა, რომელმაც გასვენებაზე მხოლოდ სადარბაზო ბარათი გამოგზავნა, რაღაც წაიბუტბუტა ნიშნად ბოდიშისა, მერმე გათამამდა და ბოლოს ისე გათავხედდა, რომ სამიკიტნოში შეიპატიჟა, ერთი ბოთლი ლუდი დავლიოთო. აგვისტო იყო და ძლიერ ცხელოდა.

სუფრას დაყრდნობილი როდოლფი სიგარას ღეჭავდა და მასლაათობდა; შარლი კი ფიქრებმა გაიტაცა ამ კაცის დანახვაზე, რომელიც ემას უყვარდა. რაღაც უცნაურად ეგონა, რომ ამ კაცში ემას არსების ნაწილაკს ვწვდებიო. საოცარი რამ გრძნობა ეუფლებოდა, — სურდა ამ კაცად ქცეულიყო.

იგი კი დაუსრულებლად ლაყბობდა ნათესზე, საქონელსა და სასუქზე და ცდილობდა ამით დაეგმანა ყველა ის ხვრელი თუ ნაპრალი, რომლიდანაც შეიძლებოდა რაიმე საეჭვო შემომძვრალიყო. შარლი არ უსმენდა; როდოლფი ამჩნევდა და სახის ცვლილებათა მიხედვით თვალს ადევნებდა მის ფიქრებს. შარლს სახე თანდათან უწითლდებოდა, ნესტოები ებერებოდა. ტუჩები უთრთოდა; იყო ისეთი მომენტი, როცა შარლმა ისეთი მძაფრი სიძულვილით აღსავსე თვალი მიაშტერა, რომ როდოლფი უნებურმა შიშმა შეიპყრო და დადუმდა. მაგრამ მალე კვლავ ძველებური, საშინელი მოქანცულობის იერი მიეცა შარლის მოთენთილ სახეს.

— მე თქვენ არ გიჯავრდებით. — უთხრა შარლმა.

როდოლფს კრინტი არ დაუძრავს, შარლმა ორივე ხელი თავ-

ზე შემოიდო და, უსიზღვრო მწუხარებას დამორჩილებულმა, სუსტი ხმით განაგრძო:

— არა, მე თქვენ აღარ გიჯავრდებით.

და თავის სიცოცხლეში პირველად წარმოთქვა ასეთი მაღალფარდოვანი სიტყვა:

— ყოველივე ბედისწერის ბრალია.

როდოლფს, რომელიც ამ ბედისწერას ხელმძღვანელობდა, ისე ეჩვენა, რომ თავისი მდგომარეობის მიხედვით, შარლი მეტად გულკეთილი, სასაცილო და ოდნავ სულმდაბალიც არის.

მეორე დღეს შარლი ბაღში ჩავიდა და ფანჩატურის ძველ სკამლოგინზე ჩამოჯდა. ტალავერში მზის სხივები ჟონავდა; ვენახის ფოთლების ჩრდილი ქვიშაზე იხატებოდა, იასამანი ფშვინავდა, ცალურჯად კამკამებდა, აყვავებულ ზამბახებს ბუზანკლები დასტრიალებდნენ და შარლსაც სუნთქვა ეკვროდა, ვით ყრმას, ბუნდოვანი სიყვარულის ღელვის გამო მის მწუხრულ გულს რომ ეძალებოდა. საღამოს შვიდ საათზე პატარა ბერტა, რომელსაც დილას აქეთ მამა არ ენახა, მივიდა, რათა ეთქვა, სადილი მზადააო.

შარლს თავი კედელზე მიედო. თვალები დაეხუჭა, პირი დაეღო; ხელში შავი თმის გრძელი ნაწკეპი ეჭირა.

— წაჰო რა, მამილო!

უთხრა ბერტამ, და რაკი ეგონა, მამა, ალბათ, მეხუმრებაო. ოდნავ უბიძგა. შარლი წაიქცა. მკვდარი იყო.

ოცდათექვსმეტი საათის შემდგომ, მეაფთიაქის თხოვნით. კანივე მოვარდა, გვამი გაჰკვეთა და ვერა იპოვა რა.

ქონების გაყიდვა შემდგომ ვალებს თორმეტი ფრანკი და სამოცდათხუთმეტი სანტიმი გადარჩა, რაც მადმუაზელ ბოვარის სწორედ საგზაოდ ეყო ბებიამდე მისასვლელად; დედაბერიც იმავე წელს გარდაიცვალა; პაპა რუოს დამბლა დაეცა და ბავშვი მამიდამ შეივრდომა. მამიდა ღარიბი ქალია და ლუკმა პურისთვის ბავშვს საფეიქრო ქარხანაში აგზავნის.

ბოვარის სიკვდილის შემდეგ იონვილმა სამი ექიმი გამოიცვალა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოიკიდა იქ ფეხი, რადგან ჰომე მაშინვე დაუწყებდა ხოლმე კორტნას. მას უთვალავი მუშტარი ჰყავს; ხელისუფლება ზოგავს, ხოლო საზოგადოებრივი აზრი მფარველობს...

ამას წინათ „საპატიო ლეგიონის“ ორდენი მიიღო.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

ა მ ე რ ი გ ო ვ ე ს პ უ ჩ ი (1451 — 1512) — იტალიელი, რომელმაც პირველად აღწერა ამერიკის ნაპირები და რომლის სახელიც შემდეგში მთელ ამერიკას დაერქვა.

„ ა ნ ა ხ ა რ ს ი ს“ — „უმცროსი ანახარსისის მოგზაურობა საბერძნეთში“ — ასე ეწოდება ფრანგი მეცნიერისა და მწერლის, აბე ჟან-ჟაკ ბარტელემის (1716—1795) ნაწარმოებს.

ა რ ქ ი მ ე დ ი (დაახლოებით 287 — 212 ძვ. წელთაღრიცხვით) — განთქმული ბერძენი მათემატიკოსი და მექანიკოსი.

„ ა ტ ა ლ ა“ — ცნობილი ფრანგი დრამატურგის ჟან რასინის (1639 — 1699) ტრაგედია.

ბ ა კ ა ლ ა ვ რ ი — დაბალი სამეცნიერო ხარისხი, რომელიც საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს ეძლევათ.

ბ ა უ ც ე ნ ი დ ა ლ ე ც ე ნ ი — ქალაქებია საქსონიაში, სადაც 1813 წელს ნაპოლეონ I დაამარცხა მოკავშირეთა ჯარები რუსი გენერლის პ. ვიტგენშტეინის მეთაურობით.

ბ ა ი ა რ დ ი პ ი ე რ ტ ე რ ა ი ლ ი (1476—1524) — ფრანგი მხედართმთავარი, რომელსაც სიმამაცის გამო „უშიშარი და უმწიკელო რაინდის“ სახელი შეარქვეს.

ბ ე ა რ ნ ე ლ ი — ფრანგთა მეფის ჰანრი IV (1553 — 1610) ზედმეტი სახელია.

„ ო თ ხ მ ო ც დ ა ა ს ხ რ ა წ ლ ი ს უ კ ვ დ ა ვ ი პ რ ი ნ ც ი პ ე ბ ი“ — პრინციპები, რომლებიც გამოცხადებულია „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში“ საფრანგეთის რევოლუციის დროს 1789 — 1794 წ. წ.

ბ ი შ ა მ ა რ ი ფ რ ა ნ ს უ ა ქ ს ა ვ ი ე (1771 — 1802) — ფრანგი ექიმი, ანატომი და ფიზიოლოგი.

ბ ო ს ი უ ე ჟ ა კ ბ ე ნ ი ნ ი (1627 — 1704) — ფრანგი ეპისკოპოზი და მოქადაგე, ღვთისმეტყველების სხვადასხვა თხზულების ავტორი.

ბ ო ტ ო კ უ დ ე ბ ი — ინდიელთა ერთ-ერთი ტომი, რომელიც აღმოსავლეთ ბრაზილიაში ცხოვრობდა.

ბ ი უ ფ ო ნ ი ჟ ო რ ჟ ლ უ ი ლ ე კ ლ ე რ კ ი (1707—1788)—ფრანგი ბუნებისმეტყველი, რომელმაც „ბუნების ისტორია“ დაწერა.

ბ ა რ თ ლ ო მ ე ს ღ ა მ ე — 1572 წლის 23 აგვისტოს ღამეს, წმ. ბართლომეს დღესასწაულის წინადღეს მოხდა კათოლიკეთა მიერ ჰუგენოტების მასობრივი ჟლეტა.

რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს IX წ ლ ი ს 19 ვ ე ნ ტ ო ზ ი (ლათინური სიტყვიდან Ventosus — ქარიანი) — რესპუბლიკური კალენდრის მეექვსე თვე, ეს კალენდარი დაწესდა 1792 წლის 21 სექტემბერს, რომლითაც წელთაღრიცხვა იწყებოდა „თავისუფლების 1-ლი წლიდან", ე. ი. მეფის ხელისუფლების დამხობიდან.

ვ ე ს ტ ა — ძველი რომაელების ადგილის დედა-ღმერთი.

„ღ მ ე რ თ ე ბ ი ს ო მ ი" — „ძველი და ახალი ღმერთების ომი" — ფრანგი პოეტის პარნის (1753—1814) პოემა.

ვ ო ლ ტ ე რ ი ფ რ ა ნ ს უ ა მ ა რ ი ა რ უ ე (1694 — 1778) — XVIII საუკუნის დიდი ფრანგი მწერალი — განმანათლებელი.

გ ვ ე რ ი ლ ი ა — პარტიზანული ომი; გვერილიასებმა — ესპანელმა პარტიზანებმა სახელი გაითქვეს ნაპოლეონ I წინააღმდეგ ომში.

ჰ ო ლ ბ ა ხ ი პ ო ლ ჰ ა ნ რ ი (1723 — 1789) — ცნობილი ფრანგი მატერიალისტი-ფილოსოფოსი.

დ ა ლ ა მ ბ ე რ ი ჟ ა ნ ლ ე რ ო ნ ი (1717 — 1783) — ფრანგი განმანათლებელი, მათემატიკოსი და ფილოსოფოსი.

დ ე კ ა რ ტ ი რ ე ნ ე (1596 — 1650) — გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი. მათემატიკოსი და ფიზიოლოგი.

ჟ ი რ ო ნ დ ი ს ტ ე ბ ი — საფრანგეთის რევოლუციის პერიოდის პოლიტიკური პარტია (1789 — 1794).

„ს ა ვ ო ა ს ქ ო რ ე პ ი ს კ ო პ ო ზ ი ს ა ღ ს ა რ ე ბ ა" — ეპიზოდი ფრანგი განმანათლებლის ჟან-ჟაკ რუსოს თხზულებიდან „ემილი ანუ აღზრდის შესახებ".

ლ ა თ ი ნ უ რ ი კ ვ ა რ ტ ა ლ ი — პარიზის ერთ-ერთი უძველესი უბანი. დაც მოთავსებულია მრავალი სასწავლებელი.

ლ ი ვ რ ი — ძველი ფრანგული ფულის ერთეული, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად ფასობდა.

ლ ი ე — სიგრძის ძველი საზომი, რომელიც 4,445 მეტრს უდრიდა.

ს ე ნ-ჟ ე რ მ ე ნ ი ს გ ა რ ე უ ბ ა ნ ი — არისტოკრატთა უბანი პარიზში.

ფ ლ ე ბ ო ტ ო მ ი ა — სისხლის გალება.

ე კ ი უ — ფრანგული ძველისძველი ოქროსა და ვერცხლის ფული.

სარჩევი

გუსტავ ფლობერი — წინასიტყვაობა არისტო ჭუმბაძისა	5
ნაწილი პირველი	35
ნაწილი მეორე	91
ნაწილი მესამე	251
შენიშვნები	370

გამომც. რედაქტორი თ. ცინცაძე
მხატვარი ნ. იანჭოშვილი
მხატვრული რედაქტორი ირ. ჯანაშკილი
ტექრედაქტორი ვ. მენთეშაშვილი
კორექტორი თ. იოსელიანი

გადაეცა წარმოებას 3/XII 67 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/VII 68 წ.
ქაღალდის ზომა 60×84 1/16
ნაბეჭდი თაბახი 24, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 29.

ტირაჟი 20.000 შეკვ. № 4619

ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება"
რუსთაველის 47, თბილისი, 1969.